დენი დიდრო

ესთეტიკა
ფილოსოფია
სოციოლოგია

დასავლეთ ევროპის ლიტერატურა

დენი დიდრო

1713-1784

დენი დიდრო

ესთეტიკა
ფილოსოფია
სოციოლოგია

ი. თავაძის

რედაქციით და წინასიტყვაობით

19 თბილისი 39

დენი დიდრო

პარტია და ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევენ წარსულის ისტორიის შესწავლის საკითხებს. წარსულის ისტორიის შესწავლამ კი თვალწინ უნდა გადაგვიშალოს ის გმირული ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა ხალხი თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, უნდა გვამცნოს ის აზრები და მიზანსწრაფვანი, რომელნიც ამოძრავებდნენ ხალხთა მასებს და რომელნიც ყველაზე რელიეფურ გამოხატულებას ჰპოვებდნენ კლასობრივი ბრძოლის ისტორიის გარდამტეხ, რევოლუციურ ეპოქებში.

წარსულის ისტორიის შესწავლამ უნდა გადაგვიშალოს ის კულტურული მემკვიდრეობა, რომლის კრიტიკულ ათვისებასაც ანხორციელებს შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორია. ტროცკისტულ-ბუხარინული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მავნებლები ცდილობდნენ ისტორიულ ძველმანად ექციათ და დაესამარებიათ ის უდიდესი ღირებულებანი, რომელნიც მემკვიდრეობად მიიღო მუშათა კლასმა კაცობრიობის ისტორიის კულტურული წარსულიდან. ისინი ადგნენ კულტურული და თეორიული მემკვიდრეობის ამ რკინის ფონდის სრული უარყოფის გზას და ეს იმ დროს, როცა „მარქსიზმი ემყარებოდა კაპიტალიზმის დროს მოპოებულ კაცობრიული ცოდნის მტკიცე საფუძველს და აღმოაჩინა ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონები" [1]. „ყოველივე ის, რაც კი შეექმნა ადამიანთა საზოგადოებას, მან კრიტიკულად გადაამუშავა ისე, რომ არცერთი პუნქტი არ დაუტოვებია უყურადღებოდ. ყოველივე ის, რაც კი შეექმნა ადამიანის გონებას, მან გადაამუშავა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, მუშათა მოძრაობით შეამოწმა და გამოიყვანა ის დასკვნები, რომელთა გამოყვანა არ შეეძლოთ ბურჟუაზიულ ჩარ-

[1] ლენინი, რჩეული თხზულ., ტომი II, გვ. 557.

ჩოებით შეზღუდულ თუ ბურჟუაზიულ ცრუ-შეხედულებებით შებოჭილ ადამიანებს" [1].

მხოლოდ მუშათა კლასმა, რომელმაც მოახდინა უდიდესი მთელს მსოფლიოში ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია, დაამყარა კაცობრიობის ისტორიაში არნახული სოციალისტური წყობილება და უდიდეს კულტურულ ღირებულებათა შექმნასთან ერთად ნამდვილი შეფასება მისცა ისტორიული წარსულის კულტურულ საგანძურს.

სავსებით გასაგებია, რომ ხალხის ისტორია, მისი კულტურა, მთლიანად ეკუთვნის მშრომელ მასებს, რომელნიც წარმოადგენენ მთელი კაცობრიობის კულტურული წარსულის მემკვიდრეს. განმათავისუფლებელ ბრძოლაში მშრომელ ხალხს უდიდეს დახმარებას უწევდა დიდ მწერალ-მოაზროვნეთა დიადი თხზულებები. ისინი მგზნებარე იდეებით აღვიძებდნენ და აღანთებდნენ ადამიანთა შეგნებას და ამით თავგანწირვის ცეცხლით ამოძრავებდნენ ხალხის განთავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა გულებს.

რევოლუციურ-დემოკრატიულ მოაზროვნეთა ამ კორიფეებს შორის არამცირემნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება XVIII საუკუნის ფრანგ განმანათლებელთა რევოლუციური მატერიალიზმის წარმომადგენელს – დ ე ნ ი დ ი დ რ ო ს.

დიდროს მოღვაწეობა უაღრესად მრავალფეროვანია. დიდი მატერიალისტი-ფილოსოფოსი იმავე დროს იყო დრამატურგი, საუცხოვო პროზაიკოსი, ასეთივე გამოჩენილი ლიტერატურული კრიტიკოსი, რეალისტური ხელოვნების თეორეტიკოსი, ჩინებული პუბლიცისტი და ა. შ.

მარქსის წინაპერიოდის გამოჩენილ მოაზროვნეთა შორის – თავისი გენიალობის, აზროვნების სიღრმისა და, მრავალფეროვანების, ფილოსოფიისა და მეცნიერების ისტორიაში თავისი მნიშვნელობის მხრივ – დ ი დ რ ო ს ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო ადგილთაგანი უკავია.

დ ე ნ ი დ ი დ რ ო (1713-1784) – ფილოსოფოსი, სწავლული, ხელოვნების კრიტიკოსი და მწერალი – უნიჭიერესი წარმომადგენელი იყო რევოლუციის წინადღის საფრანგეთის „ლიტერატურული რეს-პუბლიკისა“. დენი დიდრო, წარმოშობით ლანგრიდან, წვრილი ხელოსნის შვილი იყო. დიდროს მამამ, რომლის სურვილიც იყო მისი შვილიდან გამოსახულიყო „გონიერი ღვთისმეტყველი“, მიაბარა ის იეზუიტთა კოლეჯში. და როცაა 15 წლისა შეიქნა, გაგზავნა პარიზში დარკურის კოლეჯში. კოლეჯის დამთავრების შემდეგ დ ი დ-

[1] ლენინი, იქვე, გვ. 558.

რ ო მ უარი განაცხადა ყოველგვარ პროფესიაზე და ლიტერატურით გატაცებულმა იწყო ინგლისური ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების შესწავლა: ის გატაცებული იყო ჰ ო ბ ს ი თ , ლ ო კ ი თ და ნ ი უ ტ ო ნ ი თ .

მისი მკვირცხლი გონება მოვლენიდან მოვლენის შესწავლაზე

გადადის და მისი მეტყველებაც არაფერში არ ჩამორჩება მის აზრთა სისწრაფეს. მისი სიმხიარულე ატარებდა ფართო ხალხურ ხასიათს, მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით ის მოურიდებლად ამ-ხელდა ყველას. მაგრამ ამავე დროს დ ი დ რ ო იყო გულკეთილი, სულგრძელი, ეგოიზმსმოკლებული და უაღრესად უანგარო კაცი. მისი მჩქეფარე ენერგია არასოდეს არ გრძნობდა დაღლილობას და ის ყოველთვის მგზნებარე სიტყვებით გამოხატავდა თავის გო-ნებრივ შემოქმედებას, რომელიც გამოხმაურებას პოულობდა მთე-ლი მისი ეპოქის მანძილზე. იმ დროს, როცა ძველი საზოგადოე-ბის წიაღში ხდებოდა ბურჟუაზიის იდეოლოგიური მომწიფება, როცა დღის წესრიგში იდგა ბურჟუაზიის მოსვლა ხელისუფლების სათავეში, მთელი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული შე-დეგებით, დ ი დ რ ო ს ეპოქა ყველაზე კონდენსირებული ფორმით წარმოადგენდა ბურჟუაზიის იდეურ მზადებას ამ ისტორიული ამ-ბებისათვის.

საფრანგეთის კაპიტალისტური განვითარების ამ ეტაპზე პრო-გრესულ კლასს წარმოადგენდა ამ ქვეყნის ბურჟუაზია, რომელიც მთელი მესამე წოდების სახელით გამოდიოდა. მაგრამ მესამე წოდება თავისი კლასობრივი შემადგენლობით წარმოადგენდა კონგლომერატს სხვადასხვა დაჯგუფებებისა, რომელთა შორისაც შეუპოვარი ბრძოლა სწარმოებდა. იდეოლოგიურ მოძრაობაში კი ამ ჯგუფებმა თავიანთი გამოხატულება ჰპოვეს ვოლტერიანობაში, რუსოს მიმდევრებში და მატერიალისტ-ათეისტებში. ჩვენთვის შეუძლებელია აქ ყველა ამ ჯგუფთა გარჩევა, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ისინი ფრანგული გა-ნათლების აქტუალურ საკითხებზე თავიანთი პოზიციების მიხედვით სრულიადაც არ იყვნენ ერთსულოვანნი. ასეთი დაქსაქსულობისა გამო XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიამ ვერ შეჰქმნა მო-ნოლიტური პოლიტიკური პარტია ჩამოყალიბებული პროგრამით, რის გამოც საფრანგეთის ბურჟუაზიის ტრიბუნები თავიანთ გამოსვლებში სხვადასხვა ჯგუფთა კონკრეტული პოზიციების გამომხატველებად გვევლინებოდნენ. ვინაიდან ეკლესია წარმოადგენდა იდეოლოგიურ განსახიერებას ყოველივე იმისა, რაც უკვე დრომოჭმული და გარ-დასული იყო, რაც საზოგადოებას მიერეკებოდა უკან საშუალო საუ-კუნოებისაკენ, რაც წინ ეღობებოდა ისტორიულ განვითარებას, მე-

სამე წოდების იდეოლოგები თავიანთი ნიჭისა და მახვილი კალმის მთელი სიძლიერით ესხმოდნენ თავს ეკლესიას. მათი შესანიშნავად გა-მიზნული იერიშები პირველ ყოვლისა სამღვდელოებისა და იდეალიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ მხრივ დ ე ნ ი დ ი დ რ ო ს და მისი ჯგუფის ისტორიული ადგილი და როლი წარმოადგენდა თავისებურ „ენციკლოპედიურ წამოწყებას", რომელსაც უაღრესი პოლიტიკური და იდეოლოგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ყველაფერი ის, რაც დრომოჭმული იყო, რაც იდეოლოგიურ

საყრდენს წარმოადგენდა რეაქციისათვის, ე. ი. რელიგია, მისტიკა, იდეალიზმი – არამცთუ უკუგდებული იყო, არამედ მათ უპირისპირ-დებოდა ახალი მეცნიერულ-მატერიალისტური ათეისტური მსოფლ-მხედველობა, რომელიც ფართოდ ემყარებოდა აღნიშნული ეპოქის მეცნიერების უკანასკნელ მონაპოვართ, მის უკანასკნელ მიღწევებს.

ახალი მოძღვრების დამუშავება-განვითარებაში და მისი გავრ-ცელების საქმეში დ ი დ რ ო ს ერთ-ერთი მოწინავე როლი ენიჭება.

დ ი დ რ ო ს სახით საფრანგეთის რევოლუციას ჰყავდა მოაზ-როვნე მანქანა, რომელიც იტევდა საკვები მასალის უდიდეს მა-რაგს ფილოსოფიის, მათემატიკის, ფიზიკის. ბუნებათმეცნიერების, ისტორიის დარგებიდან და იცნობდა უკანასკნელ ჰიპოთეზებს და ყველაზე საგულისხმო ცდებს, რომელთაც მტკიცე გავრცელება მხო-ლოდ ასი წლის შემდეგ ჰპოვეს.

დ ი დ რ ო მ ჩინებულად იცოდა მისი თანამედროვე და ძველი ლიტერეტურა. ყოველ ნაწარმოებს ის ჯერ შეისწავლიდა როგორც სპეციალისტი, ფილოლოგი, პოეტი და ისტორიკოსი და მხოლოდ ამის შემდეგ იყენებდა მას. მის სიტყვებში და თხზულებებში კოლეიდოს-კოპივით ელვარებდნენ იდეები, მეცნიერული დაკვირვებანი, ნაირ-გვარად დასურათხატებული ნაყოფიერი ჰიპოთეზები და ზოგჯერ გასაოცარი წინასწარხილვანიც.

ამრიგად, უაღრესად საინტერესო მოაზროვნემ, რომლის მთელი გონებრივი განვითარებაც გამომხატველი იყო თავისი ეპოქის სო-ციალურ-ეკონომიური ძვრებისა, თავი შესწირა ლიტერატურულ მოღვაწეობას და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იტანდა ასეთი მდგომარეობის სიტკბო-სიმწარეს. მგზნებარე რწმენით და ენთუზიაზ-მით ანთებულმა მან უარჰყო მოხუცი მამის რჩევა-დარიგებანი გამხდა-რიყო შეძლებული და ღვთისმსახური კაცი. მამა, მის წინააღმდეგ მიმართავდა მუქარას და მას კიდევაც წაუყენა მკაცრი მოთხოვნა დასდგომოდა განსაზღვრულ და „საკადრის" პროფესიას, წინააღმდეგ შემთხვევაში აღუკვეთდა მას მატერიალურ დაახმარებს. მაგრამ მისი დროის ინგლისური და ფრანგული ფილოსოფიის ევოლუციური

პროცესით გატაცებულმა 21 წლის დ ი დ რ ო მ უარი განაცხადა მა-მის მეურვეობაზე და ხელი მიჰყო ლიტერატურული ბოჰემისათვის დამახასიათებელ ცხოვრებას.

ამ დროიდან იწყება დ ი დ რ ო ს მატერიალური სიდუხჭირე, და მისი შემოსავალი მხოლოდღა შემთხვევითი ხასიათის მატარებე-ლია. ასეთი მდგომარეობა გრძელდება თითქმის ათი წელი, სა-ნამ მან ინგლისურიდან არ სთარგმნა „საბერძნეთის ისტორია“ 1743 წელს ღა არ მოაგვარა თავისი ლიტერატურული ჰონორარის საკითხი. ამავე წლის დამლევს დ ი დ რ ო მ ცოლად შეირთო წვრი-ლი მოვაჭრე ქვრივი ქალი შ ა მ პ ი ო ნ ი ს ასული ა ნ ტ უ ა ნ ე ტ ა. ანტუანეტა შამპიონმა წესრიგში მოიყვანა ბოჰების ცხოვრება და

შეარიგა ის მამას. მაგრამ დ ი დ რ ო მ მაინც ვერ შესძლო მატერიალური გაჭირვებიდან თავის დაღწევა. თავისი დიდების მწვერვალს მიღწეული განთქმული ფილოსოფოსი ისეთ მდგომარეობაში ვარდება, რომ იძულებული ხდება გაჰყიდოს თავისი შესანიშნავი ბიბლიოთეკა, რომელიც, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II შეიძინა.

იყო რა დაჯილდოვებული .უმთავრესისა და უმნიშვნელოვანესის ათვისება-შემჩნევა-გადმოცემის შესანიშნავი ნიჭით, დ ი დ რ ო თარგმანებიდან გადადის საკუთარ ნაწარმოებთა შექმნაზე, რომლებშიც ის გადმოგვცემს განსაზღვრულ, ტრადიციიდან შორს მდგომ მსოფლმხედველობას, განათლების ეპოქის ყველა დამახასიათებელ ითავისებურებათა არეკვლით. ამის საფუძველზე, ადევნებდა რა თვალყურს საფრანგეთის ბურჟუაზიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემას, ბურჟუაზიისა, რომელიც „თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით უკვე წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს კლასს სახელმწიფოში" [1], დ ი დ რ ო ყალიბდებოდა როგორც ბურჟუაზიისა და მესამე წოდების იდეური ხელმძღვანელი. მან გადაჭრით უკუაგდო მთელი დახავსებული და მოძველებული ფეოდალური იდეოლოგია, ჰქმნიდა რა მის ნაცვლად ახალს, ეკონომიურ მდგომარეობისადმი შესატყვისს კულტურას. ამიტომაც დ ი დ რ ო მეგობრებითურთ, წარმოადგენდნენ რა XVIII საუკუნის ფილოსოფოსებს, და ამზადებდნენ რა რევოლუციას, „მიმართავდნენ გონებას, როგორც ყოველ არსებულზე ზემდგომ ერთადერთ მსაჯულს. ისინი მოითხოვდნენ გონივრული სახელმწიფოს, გონივრული საზოგადოების შექმნას და დაუნდობლად უკუგდებას ყოველივე იმისა, რაც მარადიულ გონებას უპირისპირდება" [2].

---

[1] ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ/ 152, I931 წ. გამოც.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. XVII, გვ. 184, მე-3 სურ. გამოც.

ამ გონივრულ სახელმწიფოში არ უნდა იყოს რელიგია, ვინაიდან ის უზნეოა და წარმოადგენს ბოროტმოქმედებათა, ფანატიზმის, შფოთისა და დასჯის წყაროს.

ბუნებაში ღვთაება არ არის და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან იქ არ მოიპოვება მისთვის ადგილი – აცხადებდა დ ი დ რ ო როგორც პროგრესული კაპიტალიზმის იდეოლოგი და წინარემაუწყებელი იმ ამოცანებისა, რომელნიც ყალიბდებოდნენ XVIII საუკუნის კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების განვითარებით. დ ი დ რ ო მ, რომელიც გამომხატველი იყო კაპიტალიზმის ისტორიული მისიისა, მისი აღმავლობის, ბრძოლისა და წარმოების დახავსებული ფეოდალური ფორმის დაძლევის ეპოქაში, ცოდნა და მეცნიერება დაუმორჩილა თავისი კლასის ამოცანებს. ამისათვის კი საჭირო იყო მეცნიერებათა მეთოდოლოგიის გაუმჯობესება, ბუნების დაუფლება და სწავლულთა ყურადღების მიპყრობა ბუნებისმეტყვე-

ლებისადმი.

ისტორიის ასეთი იმპულსით შეიარაღებულ დ ი დ რ ო ს არ შეეძლო ღვთაება მიეჩნია გონივრულ ძალად, რომელიც თითქოს მიმართავდეს და ხელმძღვანელობდეს მსოფლიოს. ამიტომ მან გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა რელიგიას. მებრძოლ ათეისტთა ეს ლაშქრობა, რომელიც ემყარებოდა დ ი დ რ ო ს ა და მისი მეგობრების მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, ლენინის მიერ შემდეგნაირად იქნა შეფასებული: „XVIII საუკუნის ძველი ათეისტების ხალისიანი, ცხოველი, ნიჭიერად დაწერილი და გაბატონებულ ხუცობაზე ჭკუამახვილურად და აშკარად თავს დამსხმელი პუბლიცისტიკა ხშირად ათასჯერ უფრო გამოსადეგია იმისათვის, რომ ადამიანები რელიგიურ ძილისაგან გამოერკვენ, ვიდრე მშრალი, მოსაწყენი თითქმის არავითარი მოხდენილი ფაქტებით გადმოღეჭვა მარქსიზმისა, რაც გაბატონებულია ჩვენს ლიტერატურაში და რითაც ასე ხშირად (არაფერია აქ დასამალავი) მარქსიზმს ამახინჯებენ" [1].

დ ი დ რ ო ს ერთ-ერთი დამოუკიდებელი ნაშრომთაგანი – „ფილოსოფიური აზრები" უკვე სავსეა იჭვებით ქრისტიანული ეკლესიის დოგმების მიმართ. დიდრო გაბედულად და გადაჭრით უჭერს. მხარს კრიტიკული მსჯელობისა და შემოქმედებითი მეცნიერული კვლევის თავისუფლებას. აღნიშნულმა წიგნმა გამოიწვია რეაქციის ქოფაკთა გაცოფებული დევნა და ხელისუფლების განკარგულებით ის ცეცხლს მისცეს.

დ ე ნ ი დ ი დ რ ო ს შესანიშნავი წიგნი, რომელიც გამოვიდა 1749 წელს სახელწოდებით წერილები ბრმებზე თვალხილებულთა

---

[1] ლენინი, თხზ. ტ. IV, გვ. 61.

ჭკუის სასწავლებლად" თავზარსა სცემს და აცოფებს რეაქციის წარმომადგენლებს. ამრიგად, ყოველი ახალი წიგნი სულ უფრო და უფრო აბოროტებს როგორც საერო, ისე სასულიერო მესვეურთ და როგორც ავტორის, ისე მის ნაწარმოებთა დევნა სულ უფრო და უფრო მკაცრ ხასიათს იღებს. დ ე ნ ი დ ი დ რ ო ს არ აშინებს დევნა-შევიწროვება, ის ვერ გასტეხა ვერც საპყრობილემ, ვერც სხვა სასჯელმა მას მაღლა უპყრია მეცნიერებისა და მატერიალიზმის დროშა. თავისი დროის სხვა მატერიალისტებთან ერთად ის ასწავლიდა, რომ ბუნების უსაზღვრო და მარადიულად არსებული მატერიის გარეშე არ არსებობს არავითარი არამატერიალური, ზებუნებრივი ძალა; ეს უკანასკნელი ისევე, როგორც თვით ღვთაება, წარმოადგენს უვიცობის შედეგს, ადამიანის ფანტაზიის პროდუქტს.

დ ი დ რ ო ს ა და სხვა ფრანგ მატერიალისტთა მოძღვრებით, ადამიანი წარმოადგენს ბუნების ერთ-ერთ უმაღლეს ქმნილებათაგანს და ისევე, როგორც ბუნებაც, ისიც ემორჩილება მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურ კანონზომიერებებს.

მატერია მარადის არსებობს, მას დასაბამითვე ახასიათებს თვისება მარადიული შინაგანი მოძრაობისა. მატერიის მოძრაობის პროცესში ხორციელდება ქმნადობისა და რღვევის უსასროლო პროცესი.

მიწა, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ, კოსმოსის ერთერთი, მცირე რგოლთაგანია. თავის მოძრაობაში მატერია ჰქმნის დიდსა და მცირე სამყაროებს, მნათობებსა და პლანეტებს. აღიარებდა რა მოძრაობას მატერიის განუყრელ თვისებად, დ ი დ რ ო მ ისტორიული პირობადობის ძალით, ვერ შესძლო აღმოეჩინა მატერიის მოძრაობის ნამდვილი მიზეზი. აღიარებს რა განვითარებას, დ ი დ რ ო უ ა რ ყ ო ფ ს მის ნახტომისებრ ხასიათს.

დ ი დ რ ო ბუნებას განიხილავს როგორც მთლიანს, რომელშიაც ყველაფერი შეკავშირებულია და სადაც ხდება დაუსრულებელი ცვლილებები. ერთი მდგომარეობა გადადის მეორეში. ცოცხალი წარმოიშობა მკვდარი მატერიიდან.

აზროვნება წარმოდგენილია მატერიის გარეშე. აზროვნება მატერიის თვისებას წარმოადგენს.

განიხილავდა რა გრძნობიერებას როგორც თვით მატერიის თვისებას, რაც უაღრესად სწორი მატერიალისტური დებულებაა – დ ი დ რ ო ს მაინც არასაკმაოდ ჰქონდა შეგნებული ის თვისობრივი თავისებურობა, რომელიც ორგანიული სამყაროს დამახასიათებელია და რომლითაც ეს უკანასკნელი განსხვავდება არაორგანიული სამყაროსაგან.

د ი د რ ო არ წარმოადგენს აგნოსტიციზმის მიმდევარს, როგორც ამას შეცდომით აღნიშნავდა გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, რომელმაც,

მიუხედავად ამისა, ფრანგ მატერიალისტთა საუკეთესო კრიტიკა მოგვცა. ცნობილია, რომ ეს მცდარი დებულება კიდევ უფრო გააღრმავა დებორინმა.

ცნობილია აგრეთვე, რომ მარქსიზმის ბრწყინვალე გამგრძობმა, რომელმაც შეჰქმნა ახალი ეტაპი მარქსიზმის განვითარებაში და კერძოთ კი მარქსიზმის ფილოსოფიაში – ვ. ი. ლ ე ნ ი ნ მ ა გენიალურად დაამტკიცა აღნიშნული დებულების მცდარობა და გვიჩვენა, რომ დ ი დ რ ო თავის შემეცნების თეორიაში მატერიალისტურ პოზიციებზე დგას.

თავის უკვდავ ნაშრომში – „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ლ ე ნ ი ნ ი მრავალგზის მიუთითებს დ ი დ რ ო ს ნაწარმოებებზე და სუბიექტური იდეალიზმისა და მისი სახესხვაობის – მახიზმის – ამ რეაქციული ფილოსოფიის – გამანადგურებელ კრიტიკაში ლ ე ნ ი ნ ი იყენებს დ ი დ რ ო ს, რომლის ბრძოლასაც – ბ ე რ კ ლ ი ს სუბიექტური იდეალიზმის წინააღმდეგ – ერთობ მაღალ შეფასებას აძლევს.

ასეთია მოკლედ ცხოვრება და მატერიალისტური მოძღვრება დ ე ნ ი დ ი დ რ ო ს ი, რომლის შესახებაც ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი თავის ნაშრომში – „ლიუდვიგ ფეიერბახი“ სწერდა: „თუ რომ ვინმემ

მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა „ჭეშმარიტებისა და სიმართლის" სამსახურს (ამ სიტყვების კარგი გაგებით), ასეთი სწორედ დ ი დ რ ო იყო“.

ზემოთ ნაწილობრივ აღნიშნული იყო დ ი დ რ ო ს ფილოსოფიის ის დამახასიათებელი ნიშნები, რომელნიც ნათლად მიგვითითებენ, რომ, მიუხედავად ცალკეული დიალექტიკური ელემენტებისა, დ ი დ რ ო ს ფილოსოფია მთლიანად წარმოადგენს მ ე ქ ა ნ ი ს ტ უ რ და მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ უ რ მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ს. აქვე უნდა მიეთითოს, რომ დ ი დ რ ო მ ა ც ისევე, როგორც მ ა რ ქ ს ი ს წინადროის სხვა მატერიალისტებმაც, ვერ გაავრცელა (უკეთ რომ ვთქვათ ვერ შესძლო გაუვრცელებია) მატერიალიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზედაც. ის აქ იდეალისტად რჩება.

დ ე ნ ი დ ი დ რ ო მ ვერ მოგვცა და არც შეეძლო მოცემა ისტორიული პირობებისა გამო, ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონების მატერიალისტური გაგება. ისტორიულ პიროვნებათა იდეალური მისწრაფებები მას მიაჩნდა საფუძვლად, საზოგადოებრივი განვითარების მთავარ მიზეზად.

მ ა რ ქ ს ი და ე ნ გ ე ლ ს ი, ახდენდნენ რა ფრანგ მატერიალისტთა ისტორიულ შეზღუდულობათა ანალიზს, იმავე დროს მიუ-

თითებდნენ, რომ ისინი წარმოადგენდნენ ისტორიული პირობების პროდუქტს, რომ ისინი განპირობებული იყვნენ ეპოქის მიერ.

ქართულ ენაზე დიდროს ფილოსოფიურ-ესტეტიკურ ნაწარმოებთა გამოცემა სასარგებლო და აუცილებელი საქმეა.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი და ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი გვასწავლიან მზრუნველობით მოვეპყროთ კაცობრიობის კულტურის, კლასიკურ ნაწარმოებებს და ფართოდ გამოვიყენოთ ყველაფერი ის დადებითი, რაც ჩვენ გამოგვადგება ადამიანის ბედნიერებისა და კომუნისტური საზოგადოებისათვის ბრძოლაში, საერთაშორისო რეაქციის – გამხეცებული კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ ბრძოლაში დ ე ნ ი დ ი დ რ ო ჩვენი მოკავშირეა.

ი. თ ა ვ ა ძ ე

მიშელ ვან ლო დიდროს პორტრეტი.

ცალკეული აზრები

ფერწერასა, ქანდაკებასა, არქიტექტურასა და პოეზიაზე

გემოვნებაზე

მხატვართა შორის მოიპოვება პოეტები, და პოეტთა შორის – მხატვრები. დიდ მხატვართა სურათების ცქერა ისევე სასარგებლოა მწერლისათვის, როგორც დიდ ნაწარმოებთა კითხვა მხატვარისათვის.

არ კმარა გქონდეთ ნიჭი, გემოვნებაც საჭიროა. მე ვსცნობ ნიჭს თითქმის ყველა ფლამანდიურ სურათში; მაგრამ ამაოდ ვეძებ მათში გემოვნებას.

ნიჭი ჰბაძავს ბუნებას; გემოვნება შთააგონებს არჩევანს; ამასთან ერთად მე მირჩევნია გაუთლელობა მანჭიაობას; და მე მიესცე-

მდი ათ ვატოს*) ერთ ტენირსში**). მე ვ ი რ გ ი ლ ი უ ს ი ფრო მომ-
წონს, ვიდრე ფ ო ნ ტ ე ნ ე ლ ი ***), და ორივეს მირჩევნია თ ე ო კ რ ი-
ტ ე: თუ მას არა აქვს ლაზათიანობა პირველისა, ის უფრო წრფე-
ლია, და შორსაა მეორის ფარისევლობისაგან.

შეკითხვა, რომელიც არც ისე სასაცილოა, როგორიც მო-
გეჩვენებათ: შეიძლება გქონდეთ წმინდა გემოვნება, როდესაც გული
ბიწიერია?

განა არავითარი განსხვავება არაა იმ გემოვნებასა, რომე-
ლიც შეძენილია აღზრდით და უმაღლეს საზოგადოებასთან ურთი-
ერთობით, და იმ გემოვნებას შორის, რომელიც წარმოიშობა პა-
ტიოსნების გრძნობიდან? განა არაა პირველი უხიაკი? არ ყოლია მას
თავისი კანონმდებელი? და რომელია ეს კანონმდებელი?

სილამაზის გრძნობა დაკვირვებათა გრძელი რიგის შედე-
გია; და როდის გაჩნდა ეს დაკვირვებანი? ყოველთვის, ყოველ წამს.
სწორედ ეს დაკვირვებანი გვიხსნიან ანალიზის აუცილებლობიდან.
გემოვნება გამოსთქვამს თავის მსჯელობას ბევრად უფრო ადრე,
ვიდრე გაიგებდეს ამ მსჯელობის საფუძველს; ზოგჯერ ის ეძებს ამ უკა-
ნასკნელს, ვერ პოულობს და მაინც გაჯიუტებით განაგრძობს თავისას.

მახსოვს ერთხელ ვსეირნობდი ტრიანონის ბაღებში. მზე
ჩადიოდა, ჰაერი გაჟღენთილი იყო ყვავილების სურნელებით. მე გა-

---

*) Watto (1684-1721) – ფრანგი ფერმწერი.

**) Teniers – ფლამანდიელი ფერმწერი.

***) ფონტენელი (1657-1757) – ფრანგი მეცნიერი და მწერალი (პოეტი, დრამატურგი ფილოსოფოსი, კრიტიკოსი).

ვიფიქრე: ტიულიერი მშვენიერია; მაგრამ აქ ყოფნა უფრო სასია-
მოვნოა.

ჩვეულებრივი ბუნება ხელოვნების პირველი მოდელი იყო.
ნაკლებ ჩვეულებრივი ბუნების მიბაძვის წარმატებამ გვაგრძნობინა
არჩევანის უპირატესობა და ყველაზე სასტიკმა არჩევანმა მიგვიყვანა
აუცილებდობამდე სრულგვექმნა და შეგვეკრიბა ერთ ობიექტში ყვე-
ლა ის სიმშვენიერე, რომელიც ბუნებამ გაჰფანტა მრავალრიცხო-
ვან ობიექტებში. მაგრამ როგორ შეჰქმნეს ერთი მთლიანი ესოდენ
მრავალი ნაწილებიდან, რომელნიც აღებულია სხვადასხვა მოდე-
ლებიდან? ეს იყო დროის ნაწარმოები.

ყველა აღიარებს, რომ გემოვნება ყოველგვარი კანონის წი-
ნაპარია; მხოლოდ მცირედმა იცის ამის მიზეზი. გემოვნება კარგი გე-
მოვნება იმავე ასაკისაა, რაც ქვეყნიერება, ადამიანი კი სათნოებაა;
საუკუნეებმა მხოლოდ გაასრულქმნილეს იგი.

ბოდიშს ვიხდი ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს წინაშე; მაგრამ ყალბია ის
კრიტიკა, რომელიც ყველაზე სრულ ქმნილი შრომებიდან ცალმხრივ
კანონებს დაასკვნის, ვითომდა მოწონების საშუალებანი დაუსრულე-
ბელნი არ იყვნენ. არაა ამ კანონთა შორის თითქმის არცერთი, რო-

მელსაც გენიოსი წარმატებით ვერ დაარღვევდა. ისიც მართალია, თუ მონათა ბრბო როგორის აღფრთოვანებით გაჰკივის ამგენიონის მკრეხელობაზე.

კანონებმა რუტინად აქციეს ხელოვნება; და მე არ ვიცი თუ ისინი უფრო სასარგებლო არიან, ვინემ საზიანო. ვიგულვოთ ასე: ისინი სასარგებლო იყვნენ ჩვეულებრივი ადამიანისათვის; მათ ავნეს გენიოსს.

ლონგინის**) პიგმეები, ყოყოჩნი თავიანთი სიპატარავით, აფერხებდნენ თავიანთ ზრდას ნაკერის დადებით. De te fabula narratur, [1] სულმოკლე ადამიანო, აზროვნებისა რომ გეშინიან. [1]

მე დარწმუნებული ვარ, რომ როდესაც პ ო ლ ი გ ნ ო ტ მ ა თაზოსიდან და მ ი რ ო ნ მ ა ათენიდან თავი დაანებეს გროტესკოვან სურათს და შეუდგნენ ოთხი ფერით ხატვას, ძველი ფერწერის თაყვანისმცემელნი უყურებდნენ მათ ცდას როგორც თავგასულობას.

მე მგონია, რომ ჩვენ უფრო მეტი აზრები გვაქვს, ვიდრე სიტყვები. რამდენი რამეა საგრძნობი, მაგრამ გამოუთქმელი! და ეს უამრავია მორალში, უამრავია პოეზიაში, უამრავია ხელოვნებაში. გამოვტყდები, რომ არასოდეს არ შემეძლო მეთქვა თუ რა ვიგრძენი ტ ე რ ე ნ ც ი ს ა დ რ ი ა ნ შ ი და მ ე დ ი ც ი ს ვ ე ნ ე რ ა შ ი. ეს ალბად მიზეზია იმისა, რომ ეს ნაწარმოებნი ყოველთვის ახალია ჩემთვის. თითქმის ვერაფერს ვერ იხსომებ თუ სიტყვა არ მოაშველე,

---

*) L'imitation - იმიტაცია, წარმოსახვა ყველგან თარგმნილია – „მიბაძვა" (მთარგმნ.).

**) ლონგინი – ფილოსოფოსი-ნეოპლატონიკი (მთარგ.).

და სიტყვები თითქმის არასოდეს არ გყოფნიან, რომ ზუსტად გამოსთქვა ის, რასაც გრძნობ.

რასაც გრძნობ და ვერ გამოსთქვამ, საიდუმლოდ მიგაჩნია.

არაფერია ისეთი ადვილი, როგორც განასხვაოთ ადამიანი, რომელიც კარგად გრძნობს და ცუდად ლაპარაკობს, იმ ადამიანიდან, რომელიც კარგად ლაპარაკობს და არა გრძნობს. პირველი ზოგჯერ ქუჩაში მოინახება, მეორე ხშირად სასახლეშია.

გრძნობა ძნელად ემორჩილება გამოთქმას, ის ეძებს მას; და ამ დროს ის ან ბუტბუტებს ან მოუთმენლობით იძლევა გენიურ ნაკვესს; მაგრამ ეს ნაკვესი არ არის ის, რასაც ის გრძნობს; მაგრამ ეს უკანასკნელი მბჟუტავად გამოკრთის ამ ნაკვესებში.

რომელიმე უხეირო სიტყვა, ან უცნაური გამოთქმა ზოგჯერ უფრო მეტს მაცნობებს, ვიდრე ათი ლამაზი ფრაზა.

არაფერია საზოგადოებაში უფრო სასაცილო და უშვერი, როდესაც რომელიმე სულელს სურს გაჭირვებიდან გამოიყვანოს გენიოსი ადამიანი. ეჰ! საცოდავი იდიოტი (აცადე, იწვალოს) გამონახავს საჭირო სიტყვას; და როდესაც იტყვის, შენ მას ვერ გაიგებ.

მე ვისურვებდი გამეგო სად არის ის სკოლა, სადაც გრძნობას ასწავლიან.

არსებობს კიდევ სხვა სკოლა, სადაც მე მრავალ მოწაფეს გავგზავნიდი, ეს არის ის, რომელშიაც ასწავლიდნენ სიკეთის დანახვას და სიბოროტეზე თვალების დახუჭვას. ეჰ! განა ჰომეროსში ნახე შენ მხოლოდ ის ადგილი, სადაც პოეტი აქილესის საზიზღარ ბავშვურ საქციელს აღწერს? შენ ხელს ურევ მდინარის ქვიშაში, რომელიც შეიცავს ოქროს მარცვლებს; და შენ ამოგაქვს ერთი მუჭა ქვიშა, ხოლო ძირს სტოვებ ოქროს მარცვლებს!

მე შევეკითხე ერთ ყმაწვილს: რატომ ჰკიცხავ შენ ყოველთვის, და არასოდეს არ აქებ; ეს იმიტომო, მიპასუხა მან, რომ ჩემმა უადგილო კიცხვამ მხოლოდ სხვას ავნოს... მე, რომ ის კარგ ბიჭად არ მცოდნოდა, როგორ შემცდარად ვიგულვებდი მას.

ხალხს უფრო სურს ჭკვიანის წოდება მიიღოს, ვიდრე ეშინიან ბოროტის წოდებისა. განა არ კმარა ჭკუისაგან წარმოშობილ უსიამოვნებებს არ დაუმატო კიდევ სხვა – სიბოროტისაგან წარმოშობილი? ყოველ სულელს ეშინიან ჭკვიანი ადამიანის, ყველას ეშინიან ბოროტისა, ბოროტთა გამონაკლისით.

17

ცოტაა, ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანები, რომელთაც ამავე დარგის ადამიანის წარმატება გულწრფელად ახარებდეთ; ეს ერთერთი ყველაზე უფრო იშვიათი მოვლენაა ბუნებაში.

ცეზარის პატივმოყვარეობა ბევრად უფრო ჩვეულებრივია, ვიდრე ამას ფიქრობენ; გული ამორჩევის საშუალებასაც კი არ იძლევა, ის არ ამბობს: aut Caesar, aut nihil [2].

არსებობს გონებამახვილობა, ძალიან დამღუპავი; ის წარმოშობს ეჭვს და დაურწმუნებლობას. ეს ბუნდოვანად მოსაუბრენი განსაკუთრებით მეჯავრებიან: ისინი ჰგვანან ქარს, რომელიც მტვერით აგვივსებს თვალებს.

დიდი განსხვავებაა რეზონერსა და გონიერ ადამიანს შორის. გონიერი ადამიანი ხშირად სდუმს, რეზონერი კი არ აჩერებს ენას.

პოეტმა სთქვა:

..... Trahit sua quemque voluptas [3].

თუ ბუნებაზე დაკვირვება არ წარმოადგენს ლიტერატორისა ან მხატვარის გაბატონებულ გემოვნებას, ნურაფერს ღირსეულს ნუ მოელით მისგან; და კიდეც, რომ შენიშნოთ მასში ეს გემოვნება სიყრმიდანვე, ნუ აჩქარდებით მსჯელობით. მუზა – ქალია, ის არ წყალობს ყოველთვის იმას, ვინც ყველაზე დაჟინებით ეძებს მის წყალობას. რამდენია მათგან გაუბედურებული შეყვარებული და რამდენს გააუბედურებენ კიდევ! და ბედნიერ შეყვარებულსაც კი მოელის ღალატის საფრთხე.

რა სულელური საქმეა დაუყოვნებლივ ხელი შეგვიშალონ სია-

მოვნება მივიღოთ, ან გაგვაწითლონ იმ სიამოვნებისათვის,რომელიც კიდევაც მივიღეთ; სწორედ კრიტიკოსები გვექცევიან ასე.

პ ლ უ ტ ა რ ქ ი ამბობს, რომ ყოფილა ერთხელ ისე დასრულებული მშვენიერი ადამიანი, რომ იმ დროს, როდესაც ხელოვნება აყვავებული იყო, მან დეფექტად ჩაუთვალა. ფერწერასა და ქანდაკებას მათ საშუალებათა უძლურება. მაგრამ ეს ადამიანი ხელმწიფე იყო, მას ერქვა დ ე მ ე ტ რ ი უ ს პ ო ლ ი ო რ ც ე ტ ე ს ი . ამ ადამიანში არ იყო იქნება არცერთი ნაწილი, რომლის კიდევ გამშვენიერებას ხელოვნება ვერ შესძლებდა; მლიქვნელობას ამაში ეჭვიც არ ეპარება, მაგრამ, რასაკვირველია, უფრთხილდება ამის თქმას.

ერთმა ძველი დროის მხატვარმა სთქვა, რომ სურათის წერა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე მოთავებული სურათი გქონდესო. არსებობს თანამედროვე ამბავი, რომელიც ამას ამტკიცებს: ეს არის ერთი მხატვრის ამბავი, რომელმაც დაუთმო ქურდს ესკიზის ნაცვლად დამთავრებული სურათი.

არსებობს ყალბი თავაზიანობა, თუ არა დამღუპავი ხელოვნებისათვის, მაინც სამწუხარო ხელოვანისათვის. მოყვარული, რომელიც ღებულობს ქედმაღალ მსაჯულებს თავის გალერეაში, ამაოდ აჩერებს მათ ყურადღებას საუკეთესო სურათებზე; გაკვრით თუ გადახედავენ ისინი მათ; ისინი იმყოფებიან იქ, როგორც ქალაქის ვირთაგვა მინდვრის ვირთაგვას სუფრაზე.

.....Tangentis male singula dente superbo [4].

ეს ძალიან ლამაზია; მაგრამ ეს ყოველთვის ბევრად ჩამორჩება იმას, რაც სხვაგან უნახავთ. რანდონ დებუასე [5], თუ ეს მიზეზია, რომელიც შენი კაბინეტის კარს გაკეტინებს, შენ ქების ღირსი ხარ.

როგორიც არ უნდა იყოს თქვენი წარმატება, მოელოდეთ კრიტიკას. თუ თქვენ ოდნავ ფაქიზი ხართ, თქვენ უმალ ნაკლებ გეწყინებათ ტქვენი მტრების შეტევა, ვიდრე მეგობრების გამოსარჩლება.

კომპოზიციისათვის, და სიუჟეტის შერჩევაზე

მთლიანობის გარეშე არ არსებობს სიმშვენიერე; და არ არსებობს მთლიანობა სუბორდინაციის გარეშე. თითქოს აქ წინააღმდეგობაში ვვარდებით; მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის.

მთლიანობა ყოველივესი წარმოიშობა ნაწილთა სუბორდინაციით; და ამ სუბორდინაციით წარმოიშობა ჰარმონია, რომელიც გულისხმობს მრავალფეროვნებას.

მთლიანობასა და ერთფეროვნებას შორის ისეთივე განსხვავებაა როგორც წარმტაც ჰანგსა და ერთხმოვან განუწყვეტელ ბგერას შორის.

სიმეტრია ნიშნავს შესატყვის ნაწილთა თანასწორობას ერთ მთლიანში. სიმეტრია, რომელიც არსებითია არქიტექტურაში, განდევნილია ყოველგვარი ფერწერიდან. ადამიანის ნაწილთა სიმეტრია

იქ ყოველთვის დარღვეულია მოქმედებათა და პოზათა ნაირფეროვ-
ნებით; ის არ არსებობს მაშინაც კი, როცა ფიგურა წინამო ხედშია
და გაშლილი ხელებით მოჩანს. ფიგურის სიცოცხლე და მოქმედება
ორი სხვადასხვა საგანია. სიცოცხლე ფიგურაში უძრავ მდგომარეო-
ბაშია. ხელოვანთ სიტყვას მ ო ძ რ ა ო ბ ა განსაკუთრებული გაგება
მიანიჭეს. უძრავი ფიგურის შესახებ ისინი ამბობენ, რომ მას აქვს
მ ო ძ რ ა ო ბ ა, ე. ი. ის მზადაა მოძრაობისათვის.

ყველაზე ულამაზესი სურათის ჰარმონიაც კი ბუნების ჰარმონიი-
სადმი მხოლოდ-ღა სუსტი მიბაძვაა.

ხელოვნება ყველაზე მეტად გაურბის სიძნელეებს.

სწორედ ეს ახასიათებს უპირველესად ყოველი ოსტატის ტექ-
ნიკასა და შესრულებას.

რაც უფრო მეტად ახდენს სურათის შემენის მსურველი სურა-
თის სიუჟეტის დეტალიზაციას, მით უფრო მეტად უნდა იყოს ის

დარწმუნებული, რომ ცუდ სურათს მიიღებს. მან არ იცის თუ რამ-
დენად ვიწრო ჩარჩოები აქვს ხელოვნებას თვით უნიჭიერესი ოსტა-
ტის ხელშიაც კი.

რა მესაქმება წინ უსწრებდა თუ არა მოქანდაკეთა ლ ა ო კ ო ო-
ნ ი პოეტთა ლაოკოონს? სარწმუნო კია, რომ ერთი გამოყენებულ
იქნა მეორის მოდელად.

ყველა თანასწორ პირობებში მე ისტორია მირჩევნია მოგონილ
ამბებს.

ადამიანის თავი ცხენის ტანზე მოგვწონს; ცხენის თავი ადამია-
ნის ტანზე არ მოგვწონს. ეს ნიშნავს, რომ თვით გემოვნება ჰქმნის
საშინელებას. შესაძლებელია მე ჩავეკონო სირენას; მაგრამ თუ ის
ნაწილი, რომელიც ქალია, თევზის ყოფილიყო, და ის ნაწილი კი, რო-
მელიც თევზია, ქალი ყოფილიყო, მე მას ზედაც არ შევხედავდი.

მე ვფიქრობ, რომ დიდი მსახიობი წარმატებით მიჩვენებს კლაკ-
ნილებს ევმენიდთა გველების თავზე. მედუზა ხომ ლამაზია, მაგრამ, მისი
ხასიათი მაინც ელდასა მგვრის, და ასეც უნდა იყოს; ეს ის ქალია, რომ-
ლის დანახვაც მსიამოვნებს, მაგრამ მეშინიან კი ახლო გავეკარო მას.

ო ვ ი დ ი უ ს ი თავის მ ე ტ ა მ ო რ ფ ო ზ ე ბ შ ი ფერწერას უც-
ნაურ სიუჟეტებს აწვდის; ჰომეროსი კი მათ აწვდის დიდებას.

რატომაა, რომ ჰ ი პ ო გ რ ი ფ ი მომწონს პოემაში და არ მომ-
წონს ტილოზე? მე ამას ავხსნი ასე თუ ისე. ჩემს წარმოდგენაში სუ-
რათი მხოლოდ წარმავალი ჩრდილია. ტილო ახდენს ობიექტის ფიქ-
სირებას ჩემს თვალში და ჩამაგონებს მის სიმახინჯეს. ამ ორი მი-
ბაძვის შორის არსებობს განსხვავება, რომლის მიხედვითაც ე ს შ ე-
ი ძ ლ ე ბ ა ა ს ე ც ი ყ ო ს დ ა ა რ ც ი ყ ო ს.

ჭორი კუნძულ დელოსის მცხოვრებთა შესახებ, რომელნიც
თითქოს მეტამორფოზირებულ იქნენ ბაყაყებად, წარმოადგენს ნამდ-
ვილ სიუჟეტს დიდი წყალსატევისათვის.

გემოვნების მქონე მხატვარი არასოდეს არ გააცდენს თავის ფუნჯს ულისის გოჭებად გარდაქმნილ მხლებლებზე. ამავე დროს, ლეკარაში სწორედ ასე მოიქცა ფარნეზის სასახლეში.

ან ნურასოდეს მიჩვენებთ პოს, ან მოაცილეთ მას მისი ხარის თავი.

ლუსიენი მოგვითხრობს ერთი ოლქის შესახებ, სადაც მცხოვრებლებს ჰქონდათ ის საბედისწერო უპირატესობა, რომ შეეძლოთ თვალები მოეცილებიათ თავიანთი თავებიდან, და ეთხოვათ თვალები თავიანთი მეზობლებიდან, საკუთარი თვალების დაკარგვისას. სად არის ეს ოლქი? და თქვენც, ვინც მე ამას მეკითხებით, რომელი ქვეყნიდან ბრძანდებით?

20

ჰორაციუსმა სთქვა:

Nec pueros coram populo Medea trucidet;[6]

და რუბენსმა მაჩვენა მეიუდიფი, გოლოფერნეს თავის მხერხველი. ან ჰორაციუსმა სთქვა, ან რუბენსმა ჩაიდინა სისულელე.

იყავით უფრო საშიში, მე ამის მომხრე ვარ; მაგრამ ისე, რომ თქვენ მიერ ჩემდამი მოგვრილი შიში შერბილებული იყოს რაიმე დიდი ზნეობრივი იდეით.

თუ რომ წამების ყველა სურათს, ესოდენი სიდიადით შესრულებულს ჩვენი დიდი ოსტატების მიერ, მიეღწიათ შორეულ შთამომავლობამდე რად ჩაგვთვლიდა ჩვენ ეს უკანასკნელთ მძვინვარე მხეცებად ან ანტროპოფაგებად.

რატომ არიან ესოდენ დიადი ძველთა ნაწარმოებები? მიტომ რომ ძველი ოსტატები ყველანი ესწრებოდნენ ფილოსოფოსთა სკოლებს.

ქანდაკების ან ფერწერის ყოველი მონაკვეთი უნდა წარმოადგენდეს უდიდეს შესაძლებლობათა გამოსახულებას, გაკვეთილს მაყურებლისათვის, ურომლისოდაც ის მუნჯია.

ორი თვისებაა არსებითი ხელოვანისათვის – მორალი და პერსპექტივა.

ყველაზე ულამაზესი აზრიც კი არ მოეწონება სულს, თუ ყური დაჭრილია [7]. აქედან ნახატისა და კოლორიტის აუცილებლობა.

ბუნებისადმი ყოველგვარ მიბაძვაში არის ტექნიკა და მორალი. მორალის განსჯა ეკუთვნის გემოვნების მქონე ყველა ხალხს; ტექნიკის განსჯა ეკუთვნის მხოლოდ ხელოვანთ.

ბუნების რომელი კუთხეშიც არ შეიხედოთ, ველურია თუ კულტივირებული ის, ღარიბი თუ მდიდარი, უდაბნო თუ დასახლებული, თქვენ ყოველთვის ნახავთ იქ ორ მომხიბვლელ თვისებას – ჭეშმარიტებასა და ჰარმონიას.

გადაიტანეთ სალვატორი როზა პოლუსის მოსაზღვრე ყინულოვან რაიონებში, და მისი გენია მათ დაამშვენებს.

შეთხზეთ ახალი ალეგორიული პერსონაჟები ზომიერების დაც-

ვით, თუ რომ არ გინდათ საცნაური გახდეთ.

რამდენადაც თქვენთვის შესაძლებელი იქნება, უპირატესობა მიანიჭეთ რეალურ პერსონაჟებს სიმბოლიურ არსებებთან შედარებით.

ალეგორია, იშვიათად თუა დიადი, თორემ თითქმის ყოველთვის ცივია და უკუნეთით მოცული.

ბუნება უპირატესად საინტერესოა მხატვარისათვის, ვინემ ჩემთვის; ჩემთვის ეს მხოლოდ სანახაობაა, მისთვის კი ამასთანავე მოდელიც.

ზოგი თავისუფლება დასაშვებია ნახატში, და შესაძლოა ბარელიეფშიც, მაგრამ ისინი დაუშვებელია ფერწერაში. კოლორიტის

ძალა გამოავლენს ობიექტის სიყალბეს, ან გარეწრობას, ან საზიზღრობას.

თანამედროვე ხელოვანი დაგანახვებთ აქილესის შვილს, მოსაუბრეს უბედურ პოლიქსენთან; და ის გულქვა რჩება. ანტიკური ხელოვანი დაგანახვებს თქვენ მას მსხვერპლისადმი თმებში ხელჩაჭიდებულსა და მის გასაგმირავად მზამდყოფს; მასთან გულფიცხს იმ მომენტში, როცა მახვილსა სცემს მას გულში, რითაც ზიზღს იწვევს ჩვენში.

კაპუცინი არა ვარ; მაინც უნდა ვაღიარო, რომ მე დიდი ხალისით ვანაცვალებდი მშვენიერი შიშველი ფიგურების დანახვით გამოწვეულ კმაყოფილებას, ოღონდაც შემძლებოდა დამეჩქარებია ის მომენტი, როცა უფრო კეთილსაკადრისი და უფრო ზნეობრივი ფერწერა და ქანდაკება, სხვა ხელოვნებებთან ერთად, განიზრახავდნენ ხელი შეეწყოთ სათნოებისა და მაღალი ზნეობისადმი. ვგონებ საკმარისზე მეტი მინახავს შიშველი ძუძუები და დუნდულები; ეს მომხიბლავი ობიქტები ხელს უშლიან სულის ამაღლებას იმ აფორიაქებით, რომელშიც ისინი აგდებენ გრძნობებს.

ვუცქერი ს ი უ ზ ა ნ ა ს; და სრულიადაც არ ვგრძნობ ზიზღს მოხუცთა მიმართ, შესაძლოა მინდოდეს კიდეც მათ ადგილას ვიყო.

ბატონო დე ლაჰარპ, როგორც გენებოთ ისე იმსჯელეთ, ოღონდ საჭიროა აღელვება, ტანჯვა, აგზნება. ტრაღიკულ მუზას ჰქონდა წარწერა: φόβος[8] καί ἔλεός [9]. და თქვენვერ შთამაგონებთ მე ვერც შიშს, ვერც სინანულს თუ თქვენ არ გყოფნით სითბო, ისევე როგორც თქვენ ვერ აამაღლებთ ჩემს სულს თუ თქვენი სული კეთილშობილებას მოკლებულია.

ლონჟენი ურჩევს ორატორებს იკვებონ დიადი და კეთილშობილი აზრებით. მე არ ვთაკილობ ამ რჩევას. მაგრამ მხდალი ტყუილუბრალოდ იბაგუნებს ხელს საკუთარ გვერდებში, რათა სიმხნევე მოიკრიფოს: პირველყოვლისა ან უნდა იყო ასეთი, ანდა გამხნევდე მხოლოდ-ღა გამბედავებთან ურთიერთობით. უნდა შეგვეძლოს საკუთარ გულში ჩაწვდომა, როცა მათ ვკითხულობთ ან მათ ვუსმენთ; გაოცებდეთ ისინი – ეს ნიშნავს აღიარო, რომ არ შეგწევს უნარი ლაპარაკობდე, აზროვნებდე და მოქმედებდე იმათი

მსგავსად. ბედნიერია ის, ვინც, ეცნობა რა გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებას, გაძარცვავს მათ და აღფრთოვანების ნაცვლად წამოიძახებს: ed anch'son pittore! [10].

უგულოდ და ნაკლები მზრუნველიბით შესრულებულ ფერწერაშიც კი მსხვერპლი უნდა გავიღოთ გრაციების წინაშე.

არაფერია ისე მომხიბვლელი როგორც მელანქოლიური თანამდე საოხუნჯო სიუჟეტში.

22

Vivamus, mea Lesbia, atque amemus,
Rumoresque senum severiorum
0mnes unius oestimemus assis.
Soles, occidere, et redire possunt:
Nobis, quum semel occidit brevis lux,
Nox est perpetua una dormienda.
Da mihi basia mille, deinde centum [11].

ერთგვარი ნიჭი, რომელიც კიდევაც რონ მოიპოვებოდეს რომელიმე უხამს შრომაში, ეს უკანასკნელი ღირსია დაიღუპოს ან მკაცრი ადამიანის, ან ცრუმორწმუნე პედანტის, ანდა ღვთისმოსავი ადამიანის ხელით. – როგორ? განა თქვენ ბარბაროსი იქნებოდით თუ დაამსხვრევდით ლამაზ დუნდულებიან ვენერას? – თუ რომ მე შევამჩნევდი ამ ქანდაკებასთან მდგომ ჩემს შვილს, რომ მას პოლუცია მოსდის, მე მას არ დავძრახავდი. ერთხელაც იყო მე ვნახე საათის გასაღების ანაბეჭდი ავხორცობის ერთ-ერთი ქანდაკების ბარძაყზე!

უხამსი სურათი ან ქანდაკება შეიძლება მეტად საშიში იყოს, ვინემ ცუდი წიგნი; პირველი ამ მიბაძვათაგანი უფრო ახლო დგას სინამდვილესთან. მითხარით, ლიტერატორებო, ხელოვანებო, მომეცით პასუხი: თუ ახალგაზრდა უმანკო ქალი ზოგი თქვენი ნაწარმოებისა გამო ასცდა ჭეშმარიტ გზას, ჩავარდებოდით თუ არა თქვენ სასოწარკვეთილებაში; ანდა განა მამამისი გაპატივებდათ თქვენ, და დედამისი კი მოკვდებოდა თუ არა ჯავრისაგან? რა დაგიშავათ თქვენ ამ პატიოსანმა მშობლებმა ისეთი, რომ ითამაშოთ მათი შვილების სათნოებითა და მათი ბედნიერებით?

მე ვისურვებდი სინიდისის ქენჯნასაც თავისი სიმბოლო ჰქონოდა და ეს სიმბოლო ყველა ატელიეში ყოფილიყო.

ნათელი მხოლოდ სათნო ადამიანის სულშია დამკვიდრებული; ბოროტის სულში კი წყვდიადია.

მე არ მომწონს, რომ აპოლონი, რომელიც დევნის დაფნეს, პატივისცემაშია. ის შიშველია; ნიმფაც, რომელსაც ის დევნის, აგრეთვე შიშველია! თუ რომ ის თავის ხელს უკან წევს, თუ რომ მას მისი შეხების ეშინია, ის სულელია; თუ რომ ის მას ეხება, ხელოვანი უხამსია. თუ ის მას შეეხება ხელის ზურგით, როგორც ეს ჩანს ლერესის სურათზე, მაყურებელი იტყვის: „ბატონო აპოლონ, თქვენ

ასეთნაირად მას ეერ დაიჭერთ; თუ თქვენ შიშობთ, რომ ის საკმაო სისწრაფით არ გაიქცევა, მაშინ თქვენ ძალიან კარგად მოქცეულ-ხართ... – მაგრამ ღვთაებას შესაძლოა მხოლოდ გარედან ჰქონდა გლუვი

ხელის კანი, შიგნიდან კი ხორკლიანი. – თავი დამანებეთ; თქვენ გეს-ლიანი დამცინავი ხართ“.

შედიხართ ოთახში და ამბობთ: „რა ბევრი ხალხია“; ანდა: „აქ სული მეხუთება“; ანდა: „აქ სული შეგეხუთება“; ანდა: „არავინ არაა", კარგი და კეთილი; თუ თქვენც ასეთი ტაქტი გახასიათებთ, რაც არც ისე იშვიათია, თქვენი ტილო არც ცარიელი იქნება და არც გადატვირთული.

შედიხართ ოთახში და ამბობთ: „რამდენი რამ დაუზავებიათ აქ?“ ანდა: „ნივთები ძალზე დაშორებულად მეჩვენება". და თუ თქვენც ასეთი ტაქტი გახასიათებთ, რაც არც ისე იშვიათია, თქვენს ფიგურებს შორის ჰაერი იქნება და ისინი არც ძალზე დაახლოებული იქნებიან და არც ძალზე დაცილებული.

თუ რომ დავინტერესდებოდით თითოეული ნივთის მანძილი გაგვეზომა მთავარი ობიექტიდან, მაშინ ისინი ნამდვილ თავთავიანთ ადგილზე აღმოჩნდებოდნენ.

თუ დავინტერესდებოდით რა განსხვავებებია მათ მდგომარეო-ბაში, მათ ექნებოდათ ნამდვილი თავიანთი მდგომარეობა.

თუ დავინტერესდებოდით განგვესხვავებია მათი იერი, მათ ექნე-ბოდათ ნამდვილად თავიანთი ხასიათი.

თუ დავინტერესდებოდით განგვესხვავებია ჩრდილთა და შუქთა განაწილება და თუ რომ ამ საერთო მასიდან თითოეული ფიგურა დაიკავებდა თავისი ნიშნადობის შესატყვის ნაწილს, თქვენი სურა-თიც ბუნებრივად განათებული იქნებოდა.

თუ რომ თქვენი შუქი და ჩრდილები ვრცელია და ერთისა მეორეში გადასვლა შეუმჩნეველი და ნაზი იქნება, თქვენ ჰარმონიული იქნებით.

ბუნებაში არსებობს ფუჭი სივრცეები, ასეთები შეიძლება მი-ბაძვაშიც (ხელოვნებაშიც) არსებობდეს.

ზოგჯერ ბუნება მშრალია, ხელოვნება კი არასოდეს ასეთი არ უნდა იყოს.

ეს ნიშანი იქნებოდა ხელოვნების ფარგლების სივიწროვისა, მისი სიღატაკისა, რომელმაც ფერები განასხვავა მ ე გ ო ბ რ უ ლ ფ ე-რ ე ბ ა დ და ა რ ა მ ე გ ო ბ რ უ ლ ფ ე რ ე ბ ა დ. არსებობს გაბედული კოლორისტები, რომელთაც უგულვებელყვეს ეს განსხვავება. საფრთ-ხილოა მათდამი მიბაძვა და უგულვებელყოფა თვალის ბუნებაზე დამ-ყარებული გემოვნების განსჯისა.

გაანათეთ საკუთარი ობიექტები საკუთარივე მზის შუქით, იმ მზისა, რომელიც არაა ბუნების მზე; დარჩით ცისარტყელას შეგირ-დად, მაგრამ ნუ იქცევით მის მონად.

თუ თქვენ გეხერხებათ საკუთარ პირმოთნეობათაგან განთავი-
სუფლება, ნუ შესცოდებთ უკიდურესობამდე ატაროთ ისინი, თქვენი
სურათის სიუჟეტის შესატყვისად; მაშინ მთელი თქვენი სურათიც იქ-
ნება იმდენად გაცხოველებული როგორიც შეიძლება იყოს და უნდა
იყოს.

მე მესმის, რომ ხელოვნებას გააჩნია საკუთარივე წესები, რო-
მელნიც არბილებენ ყველა წინამორბედ წესებს; მაგრამ იშვიათად
მოხდება, რომ მორალი შეეწიროს ტექნიკას; მე არ მივმართავ არც
ვან გიუიზუმს და არც შარდენს; ჟანრის ფერწერაში ყველაფერი
უნდა შეეწიროს ეფექტს.

ჟანრული ფერწერა როდია მოკლებული ენთუზიაზმს; მაგრამ
არსებობს ორგვარი ენთუზიაზმი: ენთუზიაზმი სულისა და ენთუზიაზმი
ოსტატობისა. პირველის გარეშე იდეა უფერულია; უმეორისოდ შესრუ-
ლება სუსტია; ხოლო მათი შერწყმა დიად ელფერს აძლევს ნაწარ-
მოებს. დიდ პეიზაჟისტს გააჩნია თავისი განსაკუთრებული ენთუზიაზმი;
ეს გახლავთ თავისებური ღვთაებრივი თრთოლვა. მისი მღვიმეები
წყვდიადით მოცული სიღრმეა; მისი ციცაბო კლდეები ცას ემუქრე-
ბიან; მათგან ჩამონადენი ნიაღვრის ღრიანცელი შორითშორამდე
არღვევს გარემო ტყეების დიად მყუდროებას. ადამიანი დადის დე-
მონთა და ღვთაებათა სავანეთა შორის. აქ შეყვარებული ვაჟი უმან-
კოებას ართმევს თავის შეყვარებულ ქალს, მხოლოდ ქალს ესმის აქ
მისი სულთქმა. აქ ბრძენი მჯდომარე თუ დინჯმოარული გაუტაცნია
საკუთარ აზრებს. მე უნებურად ვკანკალებ როს ვჭვრეტ ბუნების ამ
იდუმალ ბაძვას.

თუ ნანგრევთა ფერმწერი არ აღძრავს ჩვენში მოგონებას ცხოვ-
რების უკუღმართობისა და ადამიანის ნამოქმედარის ამაოების შე-
სახებ, ეს იმას ნიშნავს, რომ მან მხოლოდღა ქვების უფორმო გროვა
დახატა. ხომ გესმით, ბატონო მაში?

ძლიერსა და დიად წარმოსახვას უნდა ავსებდეს მტკიცე, და-
მაჯერებელი და მსუბუქი ყალამი; დესჰეის თავი მისი სიმამრის მარ-
ჯვენით [12].

ხოტბის ღირსი ყოველი კომპოზიცია ყველაფერში და ყველგან
ეწყობა ბუნებას; უნდა შემეძლოს განვაცხადო: „არ მინახავს ეს ფე-
ნომენი, მაგრამ ის არის".

როგორც დრამატიულ პოეზიას, ხელოვნებასაც გააჩნია შემ-
დეგი სამება მთლიანობისა: დროის, მზის ამოსვლის ჟამს თუ ჩასვ-
ლისას; ადგილის, ე. ი. ქოხში, ტყის მყუდროში თუ ხალხში; მოქმე-
დების, ეს არის ან ქრისტე მძიმე ჯვრით მავალი გოლგოთისაკენ, ან

სამარიდან ამომავალი ქვესკნელის დათრგუნვით ანდა ემაუსის პი-
ლიგრიმთა წინაშე მოვლენილი.

დროის მთლიანობა კიდევ უფრო მკაცრადაა განსაზღვრული ფერმწერისათვის, ვინემ პოეტისათვის; ამ უკანასკნელს თითქმის განუყოფელი წამიერობა გააჩნია.

პოეტის აღწერაში წამი წამს მისდევს, თითქოს იქმნება უწყვეტი გალერეა ფერწერისა. ვინ მოსთვლის რამდენი სიუჟეტია იმ მომენტიდან, როცა ეფთის ქალი უახლოვდება მამას, სანამ ეს მკაცრი მამა მას ხანჯლით გულს გაუგმირავდეს.

ეს პრინციპები გაცვეთილია; სად ნახავთ ისეთ ფერმწერს, რომელიც მათ არ იცნობდეს? განა არსებობს ფერმწერი, რომელიც მათ იცავდეს? რა არ თქმულა ტანსაცმელზე, მაგრამ ალბად არც არსებობს არცერთი მხატვარი, რომელიც ცოტადთუბევრად უხეშად არ სცდებოდეს ტანსაცმლის მხრივ.

ხომ გინახავთ ღვთაებრივი კომპოზიცია, სადაც რაფაელი ღვთისმშობლის ხელით სწევს რიდეს, რომელიც ჰხურავს ყრმა იესოს, და იქვე მუხლმოდრეკით მდგომ პატარა წმინდა იოანეს უჩვენებს მას?[13] ვკითხე ერთ უბრალო ქალს:

„როგორ მოგწონთ?

– ძალზე ცუდია.

– როგორ თუ ძალზე ცუდი? ეს ხომ რაფაელია.

– მერე რა, ეს თქვენი რაფაელი ვირია და მეტი არაფერი.

– რათა, გეთაყვა?

– ეს ქალი ღვთისმშობელია?

– დიახ, აი ყრმა იესოც.

– გასაგებია. ეს ვინ არის?

– წმინდა იოანე.

– ესეც გასაგებია. რა ასაკისად იტყოდით ყრმა იესოს?

– თხუთმეტი ან თვრამეტი თვისად.

– წმინდა იოანეს?

– სულ ცოტა ოთხი ან ხუთი წლისად.

– კეთილი, – სთქვა ქალმა, – მხოლოდ დედები ხომ ერთდროულად იყვნენ ფეხმძიმედ“.

ეს ამბავი სრულებითაც არ მომიგონებია; ფაქტს მოგახსენებთ. მეორე ფაქტი ეს ისაა, რომ ამის გამო კომპოზიცია ჩემთვის ნაკლებ ლამაზი არ ყოფილა.

ამავე ქალის გაგებით, კარაშის ყ რ მ ა დ უ მ ი ლ ი ს ა [14] უზარმაზარი და მახინჯი იყო; და ის მართალიც იყო. ქალს ეხამუშებოდა

ბავშვის პროპორციული შეუსაბამობა მის ნაზ დედასთან; და ის ამ შემთხვევაშიაც მართალი იყო.

გადაჭარბებულ ბუნებას ჭეშმარიტი ბუნების თანაბრად არ უნდა ვაყენებდეთ, თუ არადა წინააღმდეგობაში ჩავვარდებით. თუ ჰომეროსის გმირები კლდის გოროხებს ისვრიან, მისი ღმერთები მთებს ალაჯებენ.

მოგახსენებდით, რომ ხელოვანს აქვს მხოლოდ ერთი მომენტი; მაგრამ ეს მომენტი შეიძლება არსებობდეს წინამორბედ მომენტთა კვალთან ერთად, და მოსალოდნელ მომენტებთანაც, რომელნიც აწი იქნებიან. იფიგენია ჯერ კიდევ არ დაუკლავთ; მაგრამ უკვე ვხედავ მიახლოებულ ქურუმს დიდი თასით ხელში იფიგენიას სისხლის მისაღებად, და ეს გვერდითი მომენტი ჟრუანტელსა მგვრის.

სცენის ადგილის დაშორების კვალობაზე ფართოვდება მხედველობის კუთხეც, და სურათის არეც შეიძლება ასეეე იზრდებოდეს. რაოდენ დიდია ეს კუთხე თვალის ფსკერზე? ოთხმოცდაათი გრადუსი; ამ ზომის საზღვრის მიღმა მე მაჩვენებენ იმაზე მეტ სივრცეს, ვინემ ძალმიძს მივსწვდე. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა გავაფართოვოთ ამ ხაზების მიღმა არსებული სივრცე.

კომპოზიციები მონოტონური იქნებოდნენ, თუ რომ მთავარ მოქმედებას ზუსტად სჭეროდა სცენის შუა ადგილი. შეიძლება, და შესაძლოა საჭიროც იყოს გადავსცდეთ ამ ცენტრს, ხოლო აქაც აუცილებელია ზომიერების დაცვა.

რას გულისხმობენ კომპოზიციის წონასწორობის სახით? შესაძლოა მე შემცდარი აზრი მქონდეს ამაზე; ეს ის, რომ სურათის სიგანეს მე განვიხილავ როგორც ბერკეტს, განვიხილავ როგორც ნულს იმ ფიგურათა სიმძიმეს, რომელნიც საყრდენ წერტილში იმყოფებიან, დადგენას უღელზე მყოფ ფიგურათა შორის არსებული წონასწორობისა და შემცირებას ან გადიდებას, დაჭიმვას როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან მანძილის უკუპროპორციულად. ფიგურები ცოტაა, თუ ამას მოითხოვს სიუჟეტი, და მრავალია მათ შორის მეორეხარისხოვანი; ანდა ბევრია ფიგურა და ცოტაა მეორეხარისხოვანი.

რატომაა, რომ ხელოვნება ესოდენ ადვილად ეგუება მოგონილ სიუჟეტებს, მიუხედავად ამ უკანასკნელთა დაუჯერებლობისა? იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც სცენა უკეთ ეგუება ხელოვნურ განათებას, ვინემ დღიურ სინათლეს. ხელოვნება და ეს განათება წარმოადგენენ ილუზიისა და მოხიბლვის საწყისს. მე უმალ ვიფიქრებდი რომ ტილოზედაც ღამის სცენებს მეტი ეფექტი ექნებოდათ, ვინემ დღისას, რა თქმა უნდა, თუ მათდამი მიბაძვაც ასევე ადვილი იქნებოდა. დახეთ ჟუვნეს წმინდა ნიკოლოზი როგორ

აღადგენს მკვდრეთით ლაზარეს [15] ჩირაღდნების შუქზ.ე ნახეთ, შატროს მონასტერთან წმინდა ბრუნო, მომაკვდავი[16] ხელოვნური განათებისას. უნდა ვაღიარო, რომ სიკვდილსა და ღამეს შორის არსებობს იდუმალი შესატყვისობა, რომელიც ჩვენ გვაღელვებს მანამდეც, სანამ ჩვენ ამას შევამჩნევდეთ. ამის გამო მკვდრეთით აღდგენა უფრო საოცარია, სიკვდილიც უფრო შემაძრწუნებელია.

მე თითქმის არც ვდავობ გმირულ მოქმედებათა წინააღმდეგ; მე მომწონს ფიქრი იმაზე, რომ ეს საგმირო საქმენი მოხდა. მე ხალისით ვიღებ სისტემებს, რომელნიც ამშვენებენ ობიექტებს. მე

უპირატესობას ვანიჭებ ნიუტონის ქრონოლოგიას სხვა ისტორიკოსთა ქრონოლოგიების წინაშე, მიტომ, რომ თუ ნიუტონი კარგ გამოთვლას აწარმოებდა, ენეა და დიდონი თანამედროვენი იქნებიან.

ზოგჯერ საკმაოა მხოლოდ ერთი ხაზის მოსმა იმისათვის, რომ ვაჩვენოთ მთელი ფიგურა.

Et vera incessu patuit Dea….. [17]

ზოგჯერ მხოლოდ თქმაა საკმარისი იმისათვის, რომ დიდი ხოტბა შევასხათ. როქსანა ალექსანდრემ შეირთო. ვინ იყო ეს როქსანა, რომელიც შეირთო ალექსანდრემ? უსათუოდ ყველაზე დიდებული და ყველაზე ლამაზი ქალი იმ დროისათვის.

დიდ ხელოვანთა მიერ დაშვებული შეცდომები ოდესმე საყოველთაო ჭეშმარიტებად იქნებიან აღიარებული. თუ რომ არსებულიყო თიხის ფრინველთა მძერწავი და ცხოველმყოფელი ყრმა იესოს რამდენიმე სურათი, ჩვენ მას ვირწმუნებდით. ლამაზი სიუჟეტი სურათისათვის იგივეა, რაც არეოპაგის სამსჯავროს წინშე ბიწიერებისათვის წარმდგარი და მისი გულმკერდის ხილვისას პატივებული ფრინეა. ეს ადასტურებს იმას, თუ რაოდენ აფასებდნენ ბერძნები სილამაზეს, ან მოდელებს, რომელთაც იყენებდნენ თავიანთი ღმერთებისა და ქალღმერთებისათვის.

ეს სიუჟეტი ბოდუენისათვის მეტად აჭარბებდა მის ძალღონეს. მან ვერ იგრძნო, რომ მსაჯულებს უნდა სჭეროდათ სცენის მარცხენა მხარე და რომ გარყვნილი ქალი და მისი ვექილი უნდა ყოფილიყვნენ მარჯვნით, ვექილი უფრო სცენის სიღრმისაკენ, ქალი კი ჩვენსკენ. მან ვერ მისცა მათ გამომეტყველება; ვექილის მოქმედებაში, როცა ის ფრინეას ტუნიკას ჰხდის, არც ისეთი ენთუზიაზმი და არც ისეთი კეთილშობილებაა, როგორნიც ამ მოქმედებას შეშვენდებოდნენ. მსაჯულნი, რომელთა მოძრაობაც ბუნებრივად უნდა ყოფილიყო მრავალფეროვანი, უძრავნი და გაქვავებულნი არიან. მე არ

მახსოვს ჰქონდა თუ არა ადგილი დამსწრეთა მოზღვავებას; ამავე დროს უჩვეულო ამბების მოსმენა ათინაში ხდებოდა ისევე როგორც ხდება ეს პარიზში. მაგრამ უმთავრესად ძნელი იყო გარყვნილი ქალის გამოსახვა; და მანაც ვერ შესძლო მისი გადმოცემა.

Sumite materiam vestris, qui scribitis, oequam
Viribus; et versate diu quid ferre recusent,
Quid valeant humeri [18].

პატარა მხატვარმა ისტორიკოსმა ზოგჯერ უბრალო მოკვდავთა და ზოგჯერ კი დარბაისელთა სახით, მხოლოდ ღარიბი როლის მო-

ცემა შესძლო არეოპაგის სახით: როგორც ეს მოუვიდა აგრეთვე ბოდუენს. ის მოკვდა გარყვნილებით არაქათგამოლეული. მე სრულიადაც ამრიგად არ ვილაპარაკებდი, მე სულაც არაფერს ვიტყოდი მასზე, რომ ის ცოცხალი ყოფილიყო. დესჰაისს, ბუშეს მეორე სიძეს, იგივე ზნე სჭირდა, და ისეთივე ბედი შეემთხვევა როგორც ბოდუენს.

რაოდენ დახელოვნებული არ უნდა იყოს მხატვარი, ადვილი მისახვედრია იწვევდა ის მისაბაძ მოდელს თუ მუშაობდა საკუთარი გამოცდილებით; ბუნების ზოგი ჭეშმარიტების უთანაბრობა ამჟღავნებს ან მის სიძუნწეს ან მის მედიდურობას. როცა ხშირად hბაძავდნენ ამ ბუნებას, განა არ შეიძლებოდა მისთვის გვერდის ავლა? არა – და აი რატომ? მიტომ რომ სხეულის შეუმჩნეველი მოძრაობაც კი სცვლის კუნთების მდებარეობას, იძლევა სისწორეს იქ, სადაც უსწორობაა, უსწორობას, სადაც სისწორე იყო, მთელი ფიგურა წაგავს სინამდვილეს, და ყველაფერია იქ შესაძლებელი.

ფიგურათაშორისო ასეთი კონტრასტი, რომელსაც ესოდენ სულელურად გვირჩევენ და კიდევ უფრო სულელურადვე ადარებენ დრამატიულ პერსონაჟთა კონტრასტს, გაგებულია იმგვარად, როგორადაც ეს ესმით მწერლებს და შესაძლოა მხატვრებსაც, კომპოზიციებს აუტანელი ძალდატანების იერს მისცემდა. წაბრძანდით შარტრეში, ინახულეთ იქ ორმოცი ბერი ორ პარალელურ მწკრივად დამდგარi; ყველა ერთსა და იმასვე აკეთებს და ყველა სხვადასხვანაირად; ზოგს თავი უკან გადაუწევია და თვალები დაუხუჭავს; სხვებს კი თავი წინ დაუხრიათ და კაპიშონში დაუფარავთ; ასევე სხვა მათი წევრებიც. მე მხოლოდ ასეთი კონტრასტი მწამს.

რა გაეწყობა! განა საჭიროა ერთი ლაპარაკობდეს, როცა მეორე გაჩუმებულია; ერთი ყვიროდეს, როცა მეორე ლაპარაკობს; ერთი სწორდებოდეს, როცა მეორე წახრილია; ერთი მხიარული იყოს, როცა მეორე სევდას შეუპყრია; ერთი გიჟობდეს, როცა მეორე სდუმს? ეს მეტად სასაცილო რამ იქნებოდა.

თუ თქვენ იტყოდით, რომ კონტრასტი წესის საქმეა, მე არ დაგიჯერებდით. თუ რომ მოქმედება მოითხოვს, რომ ორი ფიგურა ძირს დაიხაროს, მაშინ ორივ წახრილი უნდა იყოს; და თუ რომ თქვენ მათ მიჰბაძავთ ნატურით, ნუ შიშობთ ისინი ერთმანეთს ჰგვანან თუ არა.

კონტრასტი ასევე არ წარმოადგენს შემთხვევისა და წესის საქმეს. ეს აუცილებლობითაა გამოწვეული და მისგან ადვილად ვერ გავთავისუფლდებით თუ არ გვაქვს ყალბი წარმოდგენა, რომ თითქოსდა შესაძლებელია ორი სხვადასხვანაირი ფიგურა ან ასაკის, ან სქესის, ან ხასიათის მიხედვით სხვადასხვანაირად ასრულებდეს ერთსადაიმავე საქმეს.

კომპოზიცია ისეთნაირად უნდა დალაგდეს, რომ დამარწმუნოს, რომ ის სხვანაირად არც შეიძლებოდა დალაგებულიყო; ფიგურა

უნდა მოქმედებდეს ან ისვენებდეს იმგვარად, რომ მან მე დამარწმუნოს იმაში, რომ სხვანაირად მოქმედება არ შეეძლებოდა.

ერთხელაც კიდევ ვეწვიოთ შარტრეს; ინახულეთ ბრუნოს მ ო წ ყ ა ლ ე ბ ი ს გ ა ც ე მ ა ა ს ა მ დ ე ს ა წ ყ ლ ე ბ ი ს ა დ მ ი, რომელნიც მას გარს ეხვევიან [19]. ყველა დგას, ყველა ითხოვს, ყველა ხელს იშვერს მისაღებად; მითხარით, სადაა კონტრასტი ამ ფიგურებს შორის?

მე არ ვიცი შეამკო თუ არა ტექნიკურმა კონტრასტმა ზოგი კომპოზიცია; მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მან ისინი ბევრად დააზიანა.

კონსტრასტი, რომელსაც თქვენ მირჩევთ, შეიგრძნობა, კონტრასტი კი, რომელიც მე მომწონს, არ იგრძნობა.

ნუ იფიქრებთ თითქოს შესაძლო იყოს ერთიდაიმავე მოქმედების შენარჩუნება თავისი ფიგურის წამდაუწუმ ასნაირ ყაიდაზე შეტრიალებით; მხოლოდ ერთია კარგი და სრული; და მხოლოდ ჩვენი უვიცობა აიძულებს ხელოვანს აკეთოს არჩევანი მრავალთა შორის.

როგორ თუ ასე! მეტყოდით თქვენ, ერთ-ერთი ამ მთხოვარ-თაგანი, მაგალითად ლესიუერი, რომელიც ფულს იღებს, უნდა იღებდეს მას მხოლოდ განსაზღვრული წესით და არ შეიძლება მეტად ან ნაკლებად დაიხარჯოს?

– ჭეშმარიტად რომ არა.

– არ შეუძლია ორივე ფეხი პარალელურად ჰქონდეს ანდა ერთი ფეხი წამდგარი ჰქონდეს წინ, მეორე კი უკან?

– არა.

– აიღოს ერთი ხელით და მეორეთი დაებჯინოს, თუ არ დაებჯინოს მიწას?

– არა და არა.

– სწრაფად წაეტანოს თუ უნდილად აიღოს?

– არამც და არა, გეუბნებით, რომ არა.

– მაგრამ რომ ხელოვანს ნება არ ჰქონდეს საკუთარი ფანტაზიით განასხვაფეროს თავისსავე ფიგურათა მდგომარეობა, მან უარი უნდა სთქვას საკუთარ ნიჭზე, ანდა მხოლოდ თავის, მხოლოდ ფეხის თუ მხოლოდ თითის გამო ჩაშალოს თავისი პოზა (სურათის გეგმის თვალსაზრისით),

– ეს აგრე გვგონია, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის, საბედნიეროდ მხატვარის მიმართ ჩვენ ამას საკმაოდ ვერ ვამჩნევთ და ვერ ვგრძნობთ მის შეცდომებს. ინებეთ კიდევ ერთი წუთით მისმინოთ. მხატვარს სურს ნატურიდან გადმოგვცეს რაიმე მოძრაობა; ის იწვევს მენატურეს და ეუბნება: აკეთეთ ესა და ეს, ასე და ასე. მენატურე ემორჩილება და ასრულებს დავალებებს, რადგანაც ეს მისთვის უფრო მოსახერხებელია. ეს ისეთი პოზაა, რომელიც მას ახასიათებს, რომელიც ფლობს მთელი მისი სხეულის ნაწილებს. ეს იმდენად სარწმუნოა, რომ თუ მხატვარი გამოიყენებს სხვა მენატურეს, უფრო მოქნილს

ან უფრო ტლანქს, უფრო ახალგაზრდას ან უფრო მოხუცს, რომელ-
საც უბრძანებს შეასრულოს იგივე მოქმედება, ეს მეორე მენატურე
შეასრულებს მას ჩინებულად. რას შვრება მხატვარი როცა ზევით ან
დაბლა სწევს მენატურეს თავს, გამოსწევს ან გასწევს მის ფეხს, ან-
და გამოწვდის წინისკენ ერთ მის ხელს, ანდა უკან სწევს მეორეს?
განა ცხადი არაა, რომ ის ეწინააღმდეგება ამ ადამიანის მოყვანი-
ლობას, რომ ის მას ცოტად თუ ბევრად ავიწროვებს?

– რა მესაქმება, ოღონდაც ეს უხერხულობა გამორჩეს ჩემი
ყურადღებიდან, და მთელი კი უფრო სრულქმნილი იყოს.

– მართალი ბრძანდებით; მაგრამ უნდა დაგვეთანხმოთ, რომ
ფიგურის ამ ხელოვნურ მოწყობას საკმაოდ ვიწრო ჩარჩოები აქეს
და ოდნავი ჭარბი ნებისმიერი მოპყრობა აძლევს მას აკადემიურ ან
უხერხულ, სრულიად უვარგის იერს.

თუ გსურთ მოგითხროთ ფაქტი, რომელიც მე შემემთხვა? თქვენ
ალბად გინახავთ ან არ გინახავთ ლუდოვიკო XV ქანდაკება, რომელიც
იმყოფება სამხედრო სკოლის ერთ-ერთ ეზოში; ის ეკუთვნის ლემუანს.
ოდესღაც ეს მხატვარი სწერდა ჩემს პორტრეტს; მუშაობა უკვე
თავდებოდა. ის უძრავად იდგა ჩემსა და ჩემს პორტრეტს შორის,
მოღუნული მარჯვენა ფეხით და მარცხენა ხელით ბეჭზე დოინჯდაყრ-
დნობილი, არა იმავე მხრიდან, არამედ მარცხენა მხრიდან.

მე ვეკითხები: ბატონო ლემუან, თქვენ გეხერხებათ აგრე დგომა?

– ძალზე კარგად მეხერხება, მიპასუხა მან.

– მაშ რატომ არ გიდევთ ხელი ბეჭზე მოღუნული ფეხის
მხრიდან?

– მიტომ, რომ მისი წნევით მე თავდაყირა გადაბრუნების
საფრთხე მომელის; საჭიროა, რომ საყრდენი იყვეს იმ მხარეზე, რო-
მელიც მთელ ჩემს სიმძიმეს ზიდავს.

– თქვენის აზრით, პირუკუ ხელის შემოდება სისულელე იქ-
ნებოდა?

– მაშ რატომ ჩაიდინეთ ეს თქვენი ლუდოვიკო XV მიმართ
სამხედრო სასწავლებლიდან...

ამის გამგონე ლემუანი განცვიფრებისაგან გაშეშდა, მე დავუ-
მატე: „გყავდათ თქვენ მენატურე ამ ფიგურისათვის?

– რა თქმა უნდა.

– თქვენ უკარნახეთ ასეთი პოზა თქვენს მენატურეს?

– უსათუოდ.

– როგორ იდგა ის, ისე, როგორც ახლა თქვენ დგეხართ თუ
როგორც თქვენი ქანდაკება?

– როგორც მე ვდგეგარ.

– რატომ დააყენეთ ქანდაკება სხვანაირად?

– დიახ, უნდა გამოგიტყდეთ.

– რატომ?

– მიტომ რომ მე ამაში მეტი გრაცია ვპოვე.

მე შემეძლო დამემატებია: და თქვენ ჰფიქრობთ, რომ გრაცია ეთვისება სისულელეს? მაგრამ მე დავდუმდი სიბრალულისა გამო; მე მაინც ვერ ვაპატივებ ჩემს თავს სისასტიკეს; რად უნდა მიუთითო ხელოვანს მისი ნამუშევარის ნაკლი, როცა უკვე ვერაფრით დაეხმარები? ამით ტყუილუბრალოდ დააღონებ მას, განსაკუთრებით როცა მას ასაკისა გამო უკვე არ ძალუძს გამოსწორდეს. ახლა მე მოგმართავთ თქვენ და გეკითხებით, განა ლემუანი ნაცვლად იმისა, რომ თავისი ფიგურა დაეყენებია ისე, როგორც ჩვენ მას ვხედავთ, უკეთ არ მოიქცეოდა გადმოეცა ის დაახლოვებით ზუსტად მოდელის მიხედვით? მე ვამბობ დაახლოვებით, ვინაიდან ყველაზე სრულქმნილი მოდელიც კი, თითქმის ისეთი ფიგურაა, რომლის შესრულებაც ხელოვანს სურს; მისი მოქმედება შეიძლება იყოს მხოლოდ დაახლოვებითი მოქმედება, რომლის მიცემაც მისთვის სურდათ.

– მაგრამ შეცდომები იშვიათად შეიძლება ამდენად უხეში იყოს.

– გეთანხმებით. ამავე დროს თქვენ რომელიმე ხელოვანის კომპოზიციის შესახებ ხშირად გაგიგონიათ: მის ფიგურებში რაღაცა ნაძალადევია; იცით, თქვენ, საიდან მოდის ეს ნაძალადობა? თავი-

სუფლებიდან, რომელიც მან დაუშვა თავისი მენატურეს ბუნებრივი მოქმედების დასამორჩილებლად ტექნიკის წყეული კანონებისადმი; დაგვეთანხმეთ, რომ ზუსტ მიბაძვას კიდევაც რომ ექნეს ზოგი ნაკლი, ის ისეთი აღარ იქნება, რომელზედაც მოგახსენებდით.

– მაგრამ თუ ისეც ხდება, რომ მენატურე მოუხეშავია?

– დაუფიქრებლად უნდა ავიყვანოთ სხვა, რომელიც არ იქნება მოუხეშავი. თუ შევეცდებოდით გამოგვესწორებია მისი მოუხეშავობა, ეს იქნებოდა დავმდგარიყავით ყველაფერის წახდენის საფრთხის წინაშე. ჩვენ კარგად ვგრძნობთ მენატურეს ცუდად დგომას; მაგრამ, განა ვერკვევით ჩვენ უჩვეულო მოძრაობებში, რომელნიც მას აკლია და რომელნიც ხელს უშლიან კარგად დადგომაში, და განა ვიცით ჩვენ ეს ისეთი სიზუსტით, რომელსაც მოითხოვს ხელოვნების კეთილსინიდისიერება? ფლამანდიელები და ჰოლანდიელები, რომელთაც თითქოს უკუაგდეს ნატურის შერჩევა, საუცხოვონი არიან ამ მხრივ. ტენირსის რომელიმე კ ე რ მ ე ს შ ი [20] თქვენ ჰპოვებთ იმ ფიგურათა უამრავ რაოდენობას, რომელნიც სხვადასხვა მოქმედებით არიან გატაცებულნი; ზოგი სვამს, ზოგი ცეკვავს ან მასლაათობს, კამათობს ან ჩხუბობს, ან ბარბაბაცით ბრუნდება სიმთვრალისაგან, ანდა სიცილ-ყიჟინით გამოსდგომია ქალებს, რომელნიც გაურბიან მას; ამ მხრივ სხვადასხვანაირ სცენებს შორის არაა არცერთი პოზა, არცერთი მოძრაობა, არცერთი მოქმედება, რომელიც ყველას ბუნებრივად არ ეჩვენებოდეს.

– როგორ იქცევიან ბატალისტები?

– უნდა მივუთითოთ მარშალ ბროლიოს მათს სურათზე და

ვკითხოთ, რას ჰფიქრობს ის ამაზე; ანდა სასწრაფოდ დავრაზმოთ ამისი მსგავსი ფერწერის მიმართ მთელი ჩვენი შეწყნარებულობა. როგორ გინდათ, რომ რომელიმე მენატურემ ერთგვარი დამაჯერებლობით გადმოგცეთ ჯარისკაციც, რომელიც გააფთრებით ეკვეთება მტერს, და სულმოკლე მხდალიც, რომელიც თავზარდაცემული გარბის, და მთელი მრავალფეროვნებაც ერთი სისხლიანი დღისა? ხომ უღრმესი შთაბეჭდილება მოახდინა ამ სურათმა თქვენზე? შეგიძლიათ თქვენ კიდევ უცქიროთ თუ არა? ხომ ყველაფერი კარგია? არავითარ წვრილ-მანებს არ გამოედევნები. მიუხედავად ცუდად შესრულებული ფეხისა ანდა მახინჯი, უფორმო ხელისა, ლამაზი ბატალური სურათი ყოველ-თვის წარმოადგენს წარმოსახვისა და ოსტატობის საარაკო ნაწარმო-ებსა და შემდეგ, როგორ უნდა დავსდოთ ბრალი მოძრაობათა ნაძა-ლადეობაში შუაგულ შეტაკებაში, სადაც ყოველი ინდივიდი ყოველ-მხრივ გარშემორტყმულია საფრთხით, სადაც ყოველ მეომარს სიკვ-დილი მარჯვნივაც, მარცხნივაც, წინიდანაც და უკანიდანაც უდარა-ჯებს და არც იცის სად ჰპოვოს შველა? ვგრძნობთ, რომ ამ შემთხვე-

ვაში პოზები მერყევი, გამოურკვეველი და მოუსვენარი უნდა იყვნენ, გამონაკლისით იმ მეომრისა, რომელიც გაშმაგებულია და თვითვე ეკვეთება მოწინააღმდეგის მახვილს. მან გადასწყვიტა: ან გაიმარჯვოს ან მოკვდეს; და ასეთი გადაწყვეტილებისა გამო მისი მოძრაობანი თავისუფალია, მისი მოქმედება მტკიცეა, და მისი მდგომარეობა შე-ზღუდულია მხოლოდ წინააღმდეგობებით, რომელთაც ის წააწყდება.

სადღაც მითქვამს, რომ ძველი დროის ზნეჩვეულებები უფრო პოეტური და უფრო მხატვრული იყო, ვინემ ჩვენი; მე ამასვე ვამ-ბობ ახლა ძველების ბატალური სურათების შესახებ. რა შედარებაა ყველაზე ულამაზესი ვან-დერ-მეილენებისა [21] ლებრენის რომელიმე სუ-რათთან როგორიცაა გ რ ა ნ ი კ ი ს გ ა დ ა ს ვ ლ ა! შერბილებულმა ზნეობებმა, სამხედრო ხელოვნების გაუმჯობესებამ თითქმის გაანადგუ-რეს მხატვრული ხელოვნებანი.

ფერწერა იმდენად მტრულადაა განწყობილი სიმეტრიასთან, რომ, თუ მხატვარს შეაქვს შენობის რომელიმე ფასადი თავის სუ-რათში, ის აუცილებლად შეეცდება რითიმე შესწყვიტოს მონოტო-ნურობა თუნდაც რამდენიმე სხეულის ჩრდილით, ანდა შუქის ალმა-ცერი მიმართვით. განათებული მხარე გვეჩვენება თვალთან ახლობ-ლად, დაჩრდილული კი – დაშორებულად.

პროპორცია იძლევა ძალისა და სიმტკიცის იდეას.

მხატვარი ერიდება პარალელურ ხაზებს, სამკუთხედებს, კვად-რატებს და ყველაფერ იმას, რაც უახლოვდება გეომეტრიულ ფიგუ-რებს, იმიტომ რომ ათასი შემთხვევიდან, შემთხვევითობა, რომელიც განაწყობს საგნებს, მხოლოდ ერთხელ თუ გვაძლევს ასეთ ფიგურებს. რაც შეეხება მახვილ კუთხეებს, ფორმათა უმადურობა და სიღატაკე მათ გამორიცხვას.

ჟანრული ფერწერისა და უთავბოლოდ დახორომებულ ობიექტთა ჯგუფის გამოსახვისათვის არსებობს ერთი ძირითადი კანონი. ისინი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ცოცხალი სინამდვილე და განვალაგოთ ისე, თითქოს თავისთავად ასე დაწყობილან, ე. ი. რაც შეიძლება ნაკლები შევიწროებითა და მეტი სარფიანობით თითოეული მათ-განისათვის.

ის,ვინც გამოხატავს ქანდაკებას პ ე ტ რ ე ს ქ ე ი ფ შ ი [22], დგას გაშეშებული, ღებულობს ნაძალადევ პოზას, ჰბაძავს მარმარილოს ლოდს რამდენადაც შეუძლია კარგად; მაგრამ ამრიგად მან ხომ უნდა მიჰბაძოს ცუდ ქანდაკებას? მაშ რატომ არ უნდა ჰბაძავდეს კარგს? ასეთ შემთხვევაში ის უნდა ჰბაძავდეს თავისი როლის მიხედვით, დიდი ოსტატის ქანდაკებას, აღსავსეს გამომეტყველებით, სიცოცხლით, კეთილშობილებით გრაციით. ერთადერთი თვისება, რომე-

ლიც მასში უნდა წააგავდეს ხელოვნების ნაწარმოებებს, ესაა უძრაობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოძრაობას. განა სიზიფი, რომელიც ეზიდება კლდეს მწვერვალისკენ, არ მოძრაობს?

არ უნდა ვიგულვოთ თითქოს უსულო საგნებს ხასიათი არ ჰქონდეთ. ლითონებსა და ქვებს აქვთ საკუთარი ხასიათი. ხეთა შორის ვის არ შეუნიშნავს ტირიფის მოქნილობა, ორიგინალურობა ალვის ხისა, ციცაბობა ნაძვისა, სიდიადე მუხისა? ყვავილთა შორის ვარდის სინაზე, კოკორის მორცხვობა, მთის შროშანას მედიდურება, იას თავდამბლობა, ყაყაჩოს უდარდელობა? Lentove papavera collo *).

ტალღოვანი ხაზი მოძრაობისა და სიცოცხლის სიმბოლოა; სწორი ხაზი ინერტულობისა და უძრაობის ნიშანია: ეს არის გველი, სიცოცხლით სავსე, ეს არის გველი გაშეშებული.

სიუჟეტი, რომელსაც მე მივაწოდებდი კომპოზიციაში გასრულქმნილების მსურველს, ეს არის ი ო ს ე ბ ი , რ ო მ ე ლ ი ც უ ხ ს ნ ი ს თ ა ვ ი ს ს ი ზ მ ა რ ს ძ მ ე ბ ს, რომლებიც გარს შემორტყმიან მას და სულგანაბული უსმენენ. აი აქ ისწავლიდა ის კონტრასტების დალაგებას, კონტრასტების შექმნას და განასხვავებდა პოზებსა და გამომეტყველებებს. მე მინახავს რაფაელის ასეთი სურათი.

ქვადრიგის **) ოთხ ცხენში არცერთი ერთმანეთს არა ჰგავს.

ჯგუფები დაკავშირებულია მთელ კომპოზიციაში ისევე, როგორც თითოეული ფიგურა ჯგუფში.

ავრორის ცხენები, რომელნიც მზის ეტლს მიაქროლებენ, მოძრაობენ გარკვეული საზღვრისაკენ. უსწორო ქროლვა მათ არ შეჰფერით.

კარლ ვან-ლოო თიხიდან ძერწავდა თავისი ჯგუფების ფიგურებს იმისათვის, რომ გაეშუქებია ისინი ყველაზე დამაჯერებელი და მომხიბლავი ხერხებით. ლერესი ასრულქმნილებდა თავის ფიგურებს, სჭრიდა და აგროვებდა მათ ჯგუფისათვის ხელსაყრელი წესით.მე ვიცავ ვან-ლოოს წესს; მე მომწონს ცქერა თუ როგორ გადაანაცვლებს ის ცეცხლს თავისი თიხის ჯგუფების ირგვლივ. ვშიშობ, რომ

ლერესის წესი მის ანსაბლებს ჰხდის თუ არა მანერულს, ყოველ შემთხვევაში ცივს მაინც.

საერთო მოქმედება რამდენიმე ფიგურისათვის ჰქმნის ჯგუფს; ჩრდილები და შუქი აბოლოვებენ კავშირს, მაგრამ არ ჰქმნიან მას.

თუ ვისურვებდით ეფექტით განგვესაზღვრა რა იწვევს მოუსვენრობას სურათის ცქერისას, დავრწმუნდებოდით რომ ამისი მიზეზი ისაა, რომ ყველა ფიგურა ერთნაირად იზიდავს ჩემს ყურადღებას. ეს მომაგონებს გონებამახვილთა საზოგადოებას, სადაც ყველა ერთად

---

*) ყაყაჩო დონდლო ღეროთი.

**) ოთხცხენიანი ეტლი. (მთარგმ.)

საუბრობს, ერთმანეთის მოუსმენლად, რომელნიც მღლიან და მაიძულებენ დავემალო მათ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საუცხოვო ამბებს გადმოგვცემენ.

არსებობს სულიერი მოსვენება, რომლის შესახებაც მე ახლახან მოგახსენებდით, და მოსვენება ფერებისა და ჩრდილებისა მბჟუტავი ანდა მბრწყინავი ფერებისა – მოსვენება თვალისა.

სურათის აღწერისას მე პირველყოვლისა მივუთითებ სიუჟეტს; გადავდივარ უმთავრესს პერსონაჟზე და იქედანვე იმავე ჯგუფის დაქვემდებარებულ პერსონაჟებზე; მერე პირველთან დაკავშირებულ ჯგუფებზე ურთიერთთან მათი კავშირის მიხედვით; გამომეტყველებაზე, ხასიათებზე, მათს ტანსაცმელზე, კოლორიტზე, ჩრდილთა და შუქთა გავრცელებაზე, აქსესუარებზე და, შემდეგ, ზოგად შთაბეჭდილებაზე. თუ რომ მე მივსდევ სხვა წესს, ეს ნიშნავს, რომ ჩემი აღწერილობა ცუდადაა შესრულებული ანდა კომპოზიცია ცუდადაა აგებული.

დიდი ოსტატობაა საჭირო, რომ ლამაზად მოვჭრათ ფიგურა სურათის კიდით. ეს ფიგურა არასდროს არ გასცდება სურათის ფარგლებს, ის ყოველთვის შედის მასში.

ტენირსი მეტად გესლიანად დასცინოდა რეპუსუარებს.*) ისინი უდაოდ იმყოფებიან მის სურათში, მაგრამ არ შეიძლება გაგება, თუ სად იმყოფებიან ისინი. ის აკეთებს კომპოზიციას ოცდაათი ან ორმოცი პერსონაჟით, როგორც გვიდოს, კორეჯიოს ან ტიციანს გამოჰყავთ სავსებით შიშველი ვენერა. ტონები, რომელნიც ავლენენ და ხვეწავენ ფორმებს, ერთიმეორეში იხსნებიან ისე შეუმჩნევლად, რომ თვალს ეჩვენება თითქოს ის ამჩნევს მხოლოდ ერთს და იმავე თეთრ ფონს. ასევე ტენირსშიაც, მაყურებელი ემებს თუ რა აძლევს სიღრმეს სივრცეს, რა ჰყოფს ამ სიღრმეს პლანების უამრავ რიცხვზე, როგორ ხდება ფიგურების გაწევ-გამოწევა, რა აიძულებს ჰაერს მათს ირგვლივ მოძრაობას, და ვერ ჰპოულობს.

იმიტომ, რომ სურათშიაც იმასვე უნდა ვხედავდეთ, რასაც ვამჩნევთ ხის ან ცალკე ობიექტის მიმართ, რომელიც იზოლირებულია ბუნებაში, სადაც ყველაფერი წარმოადგენს რეპუსუარს.

ორი სიტყვა, რომელთაგანაც შეიძლება ერთი წარმოითქვას აკადემიაში, მეორე მოედანზე, იგივეა, რაც ორი მინერვა – ერთი ფიდიასის, მეორე ალკამენის. ერთის ნიშნები მეტად ნაზი და მეტად სათუთია რომ შორიდან დასანახი იყოს; მეორეს ნიშნები ერთობ უფორმოა, ერთობ უხეში ახლოდან დასანახავადაც. ბედნიერია ლიტერატორი ან მხატვარი, რომელიც ყველა მანძილზე მოსაწონია.

რეპუსუარი – სურათის წინამო ხედის უფრო მკვეთრი ტონები. მთარგმ.

პეიზაჟს შესაძლოა მივსცეთ შეღრმავებული გარეგანი ხედი, ან ამობურცული გარეგანი ხედი. ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს სიუჟეტთან, რომელსაც სურათის წინა ნაწილი უჭირავს და მაშინ უკანა ნაწილი დაბოლოვდება ვრცელი და თითქმის უსაზღვრო სივრცით. პირველი კი იმ შემთხვევაში, როცა პეიზაჟი წარმოადგენს სურათის მთავარ სიუჟეტს; მაშინ შიშველი სივრცე იმყოფება წინისაკენ, პეიზაჟს კი უკავია და აბოლოვებს უკანა ნაწილს. მე ანგარიშში არ ვიღებ ხარვეზებს,რომელთა შესახებაც უნდა იზრუნოს მხატვარმა.

რუბენსმა და კორეჯიომ გამოიყენეს ეს ორი ფორმა. კორეჯიოს ღ ა მ ე შეზნექილია; მისი წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი გამოზნექილია.

შეღრმავებული გარეგანი ხედი აბნევს და აგრძელებს ობიექტს ფონზე; გამოზნექილი გარეგანი ხედი თავს უყრის მათ წინითკენ. ერთი შეშვენის ისტორიულ პეიზაჟს, მეორე – სუფთა და მარტივ პეიზაჟს.

ლერესი გვიმტკიცებს, რომ მხატვარს ნება აქვს შეიყვანოს მაყურებელი თავისი სურათის სცენაზე. მე კი აგრე არ ვფიქრობ; და გამონაკლისებიც ამ მხრივ ესოდენ ცოტაა, რომ დიდის ხალისით გამოვიყვანდი უკუშექცევადობის საერთო წესს. ვგონებ ეს ისეთივე ცუდი გემოვნების მანიშნობელი იქნებოდა, როგორც თამაში იმ მსახიობისა, რომელიც პარტერს მიმართავს. ტილოს უკავია მთელი სივრცე და მის მიღმა არავინაა. როცა თვალწინ წარმომიდგება შიშველი სუსანა, მოხუცთა ცქერისაგან ყველა საფარველებით განრიდებული, სუსანა უმანკოებაა და მხატვარიც აგრეთვე; არც ერთმა, არც მეორემ არ იციან რომ აქ ვიმყოფები.

არასოდესარ უნდა შევსწყვიტოთ დიდრონი მასები მცირედი დეტალებით; ეს დეტალები ამცირებენ მათ, აძლევენ რა მათ ზომას. ღვთისმშობლის საყდრის კოშკები გაცილებით მაღალი იქნებოდნენ, რომ ისინი გლუვი ყოფილიყვნენ.

მე არ ვფიქრობ, რომ პეიზაჟში დასაშვები იყოს ერთ ხარვეზზე მეტი; ორი ხარვეზი კომპოზიციას გადაკვეთდა და ისევე გზის ამბნევი იქნებოდა თვალისათვის, როგორც მგზავრისათვის გზაჯვარედინი.

ყველაზე ვრცელი კომპოზიცია ითმენს ძირითად განაყოფთა მხოლოდ მცირე რიცხვს, არა უმეტეს ერთისა, ორისა, სამისა. ამ განაყოფთა შორის მოთავსებული რამდენიმე იზოლირებული ფიგურა, რამდენიმე ჯგუფი ორი ან სამი ფიგურით მშვენიერ ეფექტს იძლევა.

მდუმარება თანმხლებია სიდიადისა.

მდუმარება ზოგჯერ იმყოფება მაყურებელთა ბრბოში; ხმაური კი სცენაზე. მდუმარებით შევსდგებით ჩვენ ლ ე ბ რ ე ნ ი ს ბ ა ტ ა ლ უ რ ი ს უ-
რ ა თ ე ბ ის წინაშე. ზოგჯერ მდუმარება სცენაზე იმყოფება; და ტუ-
ჩებზე თითებმიდებული მაყურებელი ჰკრთის არ დაარღვიოს ის.

37

საზოგადოდ, მდუმარე სცენა უფრო გვიზიდავს, ვინემ გახმაურე-
ბული. ქრისტე დაფნის წალკოტში, სიკვდილის მოლოდინის კაეშნით
შეპყრობილი, მიტოვებული თავისი მოწაფეების მიერ, რომელთაც
მის ირგვლივ სძინავთ, ჩემში სხვა შთაბეჭდილებას ახდენს, ვინემ
იგივე პერსონაჟი იუდეველთა ბრბოს მიერ წამებული, ეკლიანი გვირ-
გვინით მოსილი, შეგინებული და შეურაცხყოფილი.

თუ ჰოლანდიურ და ფლამანდიურ სურათებს ჩამოაცილებდით
ხელოვნების მაგიას, ხელთ დაგრჩებოდათ ყოვლად უმსგავსი ქერქები.
დაე, პუსენმა დაჰკარგოს მთელი თავისი ჰარმონია, ხოლო ე ვ დ ა მ ი -
დ ი ს ა ნ დ ე რ ძ ი კი მაინც ღვთაებრივი ნაწარმოები დარჩება.

რას ვხედავთ ევდამიდის ამ სურათზე? მომაკვდავს სარეცელ-
ზე; გვერდით მკურნალი, რომელიც მაჯას უსინჯავს; ნოტარიუსი,
რომელსაც ანდობს უკანასკნელ სურვილს; ფერხთ უზის ცოლი ზურგ-
შექცევით; იატაკზე დედის ფერხთშორის მის მუხლებზე თავის დაყრ-
დნობით წევს მისი ქალი. არავითარი აფორიაქება. სიმრავლეს ან
ბრბოს ერთობ შეჰფერის უწესოება. რა არის აქ მეორეხარისხოვანი?
არაფერი გარდა უკანა პლანის კედელზე დაკიდებული მთავარი პერ-
სონაჟის დაშნისა და ფარისა. მეორეხარისხოვანი ნივთების სიმრავლე
ერთობ ახლოა სიღატაკესთან. ფერწერაში ამასა ჰქვიან „ხ ვ რ ე ლ ი ს
დ ა ც ო ბ ა“, და პოეზიაში კი „ძ მ ე ბ ი-ქ უ დ ე ბ ი".

სცენის მდუმარება, სიდიადე, ღირსება ოდნავ საგრძნობია ჩვეუ-
ლებრივი მაყურებლისათვის. რაფაელის თითქმის ყველა წ მ ი ნ დ ა
ო ჯ ა ხ ე ბ ი, ყოველ შემთხვევაში უაღრესად წარმტაცები, მოთავსე-
ბული არიან ბუნების ტიალ და მივარდნილ ადგილებში; და როცა ის
ასეთ ადგილებს ირჩევდა, მშვენივრად იცოდა, თუ რასაც სჩადიოდა.

სიყვარულის, მეგობრობის, სათნოების, დიდსულოვნობის, გუ-
ლის ნადების გამომჟღავნების ყველა წარმტაცი სცენა ხდება ცის და-
სავალთან.

ფერწერა, როგორც სპარტაში ესმოდათ ხოლმე.

დრამატიულ პოეზიაში და ფერწერაში რაც შეიძლება ნაკლები
პერსონაჟები.

ტილოზე, ვარენის სასადილოსებრ, ცხრა წყეულზე მეტი არა-
სოდეს.

ფერმწერები კიდევ მეტადაა ცდუნებული პლაგიატით, ვინემ ლი-
ტერატორები. მაგრამ პირველთ აქვთ ის თავისებურობა, რომ ისინი
სახელს უფუჭებენ როგორც ოსტატს, ისე სურათს, რომლის ასლიც
მათ მოგვცეს. ხომ მართალია, ბატონო პიერ?

მე მინახავს სენ კლუს ჩანჩქერი და ჩემთვის მითქვამს: „რა
დიდი ხარჯებია იმისათვის, რომ მიგვეღო სანდომიანი ნივთი, მაშინ

როცა ნახევარფასად შეიძლებოდა წარმტაცი ნივთის მიღება! რა არის
ყველა ეს წყლის პატარ-პატარა ჩქერები, პატარ-პატარა ვარდ-
ნილობანი ციცაბოდამ ციცაბოზე, შედარებით დიდ ჩანჩქერთან,
რომელიც გრიალით გადმოჰქუხს კლდის პირიდან ან ბნელი მღვიმე-
დან და რომელიც თავის ვარდნისას იკვეთება უზარმაზარი უხეში
ქვებით, ჰფარავს რა მათ ქაფით, მიაქროლებს რა თავის გზაზე
ღრმა და ვრცელ ტალღებს, უზარმაზარი კლდეებით ზემოთკენ, რო-
მელნიც დაფარულია ხავსით, ხეებითა და ჯაგებით, რომელნიც
გაფანტულან ველური ბუნების შესაბამი სიდიადით? რას მოიმოქმედებს
ასეთი ჩანჩქერის წინაშე წარმდგარი ხელოვანი? არაფერს, გარდა
იმისა, რომ, დაინახავს ის ამას თუ არა, მაშინვე აიღებს ხელთ
ფანქარს.

ეს მაგალითი ერთეული არაა; იმაში დასარწმუნებლად, რომ
ხელოვნების ნაწარმოები კარგი თუ ცუდი გემოვნებით, დიდი თუ
მცირე გემოვნებით არის შესრულებული, მისგან უნდა ავიღოთ მხო-
ლოდ სიუჟეტი ფერწერისათვის თუ ის წარმტაცია ტილოზე, აღია-
რეთ, რომ ის წარმტაცია თავისთავად.

პოეტი ამბობს:

II n'est point . . . . . de monstre odieux,

Qui, par l'art imite, ne puisse plaire aux yeux [23].

მე აქედან ვრიცხავ ჩვენი ახალგაზრდა ქალებს, მორთულთ მა-
თი ახლანდელი თავსამკაულით.

ელცჰაიმერი, მსხვერპლი დამთავრებული და ხელოვნურად გარ-
თულებული, მაგრამ ნელი და მცირე შემოსავლიანი ხერხისა, მოკვდა
სევდით განადგურებული და სიღატაკით დაბეჩავებული საპატიმრო-
დან გამოსვლისთანავე, სადაც ის მოხვდა ვალებისა გამო. ახლანდელი
ფასი მისი სამი სურათისა მას გაამდიდრებდა.

საერთოდ ყოველ კომპოზიციაში თვალი ეძიებს ცენტრს და
არჩევს შეჩერებას შუათანა პლანზე.

მხატვრები დ რ ო მ ო ჭ მ უ ლ ა დ სთვლიან სინათლის უსწორო-
ბას, რომელიც არღვევს ტილოს რომელიმე ადგილის მონოტონობას.
ყველა ეს დრომოჭმულობა ყალბია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სუ-
რათს ისე უცქერიან როგორც რაგუს, რომელსაც შეიძლება მივუმა-
ტოთ ან მოვაკლოთ მარილი.

როცა მოდელი ნატურიდან კარგადაა შერჩეული, უკეთე-
სია მისდამი ზუსტი მიბაძვა; მიტომ რომ რამდენიც ყალმის ნაც-
ხია მის შესამკობლად, იმდენივე ნაცოდვილარია მისთვის ორიგინა-
ლურობის წასართმევად. არსებობს ცუდი გემოვნების იერი, რომე-
ლიც განსაკუთრებით შეშვენის ბუნებისადმი მიბაძვითი ნაწარმოებებს,

რა ჟანრისაც არ უნდა იყოს ისინი, მიტომ რომ ბუნება ყოველთვის
გგამჟღავნებს ცუდ გემოვნებას თავის შემოქმედებაში, თუ რომ ის ადა-
მიანის ხელით არაა განადგურებული. ბუნება სრულიადაც არ ჰქმნის
სფეროსებრ მცენარეს; ამას მხოლოდ მებაღის მაკრატელი სჩადის,
რაც ნაბრძანებია მეპატრონის უცნაური გემოვნებით და ნუ თუ სფე-
როსებრი ხეები თქვენ მოგწონთ? რამდენადაც სწორი არ იყოს ტყის
ხე, მას მაინც მოეპოვება რამდენიმე უჯერო ტოტი; დაიცავით ისინი
განადგურებისაგან, და თქვენ მიიღებთ ბაღის მცენარეს.

კოლორიტის, ფერთა გაგებისა და შუქ-ჩრდილის შესახებ

მართალია, რომ მხატველი მეტია, ვინემ კოლორისტები? თუ
ეს მართალია, მიზეზი რაა?

ლოგიკურად მოაზროვნენი მეტია, ვინემ მჭერმეტყველი ხალხი,
მე ვგულისხმობ ნამდვილად მჭერმეტყველთ. მჭერმეტყველება წარმოა-
დგენს მხოლოდ ლოღიკის შემამკობელ ხელოვნებას.

კეთილგონიერი ხალხი მეტია, ვინემ გონებამახვილი. მე ვგული-
სხმობ ჭეშმარიტად დიდ გონებამახვილობას. ეს უკანასკნელი მხო-
ლოდ გონიერების შემოსვის ხერხია.

კანცლერმა ბეკონმა და კორნელმა დაამტკიცეს, რომ გონება-
მახვილობა არაა გენიოსობასთან შეუთავსებელი. ეს მთაა, რომლის
ძირშიაც იზრდება ზიზილა.

ჩვენ გვაქვს საკუთარი შუქ-ჩრდილები, ისევე როგორც აქვს
ის მხატვრებს, თუ რომ ვიგულვებთ, რომ მის მთავარ ეფექტს წარ-
მოადგენს ხელი შეუშალოს თვალს გზიდან აცდენაში, მიაპყრობს რა
მას განსაზღვრულ ობიექტებს.

ვრცელი შუქ-ჩრდილის უქონლობისა გამო ჩვენი ნაწარმოებნი
ისევე აჭრელებულია, როგორც სურათები.

იცით თქვენ რას ნიშნავს გამოკრთომა? დაუპირისპირეთ ე ს-
ფ ი რ ა ა რ ტ ა ქ ს ე რ ქ ს ი ს წ ი ნ ა შ ე – პ ა რ ა ლ ი ტ ი კ ს გრეზისა,
ანდა ციცერონი სენეკას.

ტაციტი ლიტერატურის რემბრანდტია: ხშირი ჩრდილები და
დამაბრმავებელი შუქები.

მოიქეცით ტინტორეტოს მსგავსად, რომელიც თავისი ფერის
განსამტკიცებლად თავისი მოლბერტის გვერდით ადებდა სკიავონეს
რომელიმე ნივთს. ერთმა ახალგაზრდა შეგირდმა დაიჯერა ეს რჩევა
და მხატვრობაც მიატოვა.

ენიუსს მხოლოდ ჰომეროსის ჩრდილი ასულდგმულებდა.

რა კარგი იქნებოდა, რომ ტიციანს ეხატა და ეკეთებია კომ-
პოზიცია რაფაელის მიხედვით! რა კარგი იქნებოდა, რომ რაფაელი

ისევე დაუფლებოდა კოლორიტს როგორც ტიციანი!.. ასეთი საქციე-

ლით მხოლოდ ამცირებენ ორ დიდ ადამიანს.

მე მინახავს რემბრანდტის გ ა ნ ი მ ე დ ი: ის საზიზღარია; შიშმა შეასუსტა მისი ბუშტის სფინქტერი; ის ბილწია: არწივს, რომელიც მოსჭიდებია მის სამოსელს და ეზიდება მას, წამოუხდია მისი უკანალი; მაგრამ ეს პატარა სურათი გარშემო ყველაფერს ჩრდილავს. ყალამის როგორი სიმტკიცით და რა გაშმაგებით იყო დაწერილი ეს არწივი!

მე მესმის თქვენგან: საჭირო იყო აზროვნება მსგავსად ლეონარისა და წერა მსგავსად რემბრანდტისა... დიახ, საჭირო იყო ყოველმხრივი ღვთაებრივობა.

საჭირო იყო რომ განათება ბუნებრივი, თუ ხელოვნური, ყოფილიყო მარტოხელი; ერთდროულად სხვადასხვა შუქით განათებული კომპოზიციები ძალზე მდარეა.

შუქ-ჩრდილის მთელი მაგია დაჰყავთ ყურძნის მტევნამდე; და ეს ძალზე კარგი აზრი შეიძლება კიდევ უფრო გამარტივებულ იქნას. ყველაზე ვრცელი სურათიც კი წარმოადგენს მტევნის მხოლოდ ერთ მარცვალს; მიაპყარით თვალნი წერტილს, თანდათანობით შეასუსტეთ ჩრდილები და შუქები ისევე როგორც ამას დაინახავთ ამ მარცვალზე. გაატარეთ თქვენს ტილოზე შუქისა და ჩრდილის საბოლოო წრე.

ნაცვლად თქვენი მთავარი ჯგუფისა დასვით პერსპექტივაში პრიზმა თქვენი პირველი ფიგურის ოდენობისა; გააგრძელეთ ამ პრიზმის ხაზები ყველა წერტილებისკენ, რომელნიც თქვენი ტილოს კიდეებზეა; და იყავით დარწმუნებული, რომ თქვენ არ შესცოდებთ არც შუქთა აქცენტების შერწყმისა და არც ობიექტთა ნამდვილი შემცირების მხრივ.

მე სრულიადაც არ მაქვს კადნიერება წესები მივუთითო გენიოსს. მე მხოლოდ ვეუბნები მხატვარს: „აკეთეთ ესა და ეს“; ისევე როგორც ვეტყოდი მას: „თუ თქვენ გინდათ წეროთ, შეიძინეთ ტილო.

ამრიგად, გვაქვს სამგვარი წინასწარი ხაზები: განათების საბოლოო ხაზი, ფიგურათა წონასწორობის ხაზი და პერსპექტივის ხაზი.

ჭეშმარიტ ფერთა ცოდნა და ლოკალურ ტონთა გამოყენების ჩვევები მხოლოდ დიდი ხნის გამოცდილებით შეიძინება.

ვინ მოსთვლის რამდენი რამ უნდა განიხილოს, გაიანგარიშოს და განალაგოს მხატვარმა თავის წარმოსახვაში მანამ, სანამ პალიტრაში დიდ თითს გაუყრიდეს, ურომლისოდაც ის დადგებოდა

საფრთხის წინაშე – დაუბოლოვებლად ეწერა და ხელახლად ეწერა.

ოსტატი უფრო ნაკლებად სინჯავს, ვინემ მისი შეგირდი, მაგრამ მაინც სინჯავს.

რამდენი მოულოდნელი მშვენიერება თუ ნაკლი იბადება და ისევ ჰქრება ყალმის ქვეშ!

„მე ვიცი თუ რაც გამოვა აქედან“ – შეუძლია სთქვას სრულქმნილმა მუსიკოსმა, ლიტერატორმა ან მხატვარმა.

რაც ბუნებისათვის ჭეშმარიტია, ის დამაჯერებელი ხელოვნების საფუძველია.

ფერები სურათში გვიზიდავს, მოქმედება გვითვისებს; ეს ორი ღირსება გვაიძულებს ვაპატიოთ ოსტატს სურათის უმნიშვნელო უსწორობანი; მე ვამბობ ვაპატიოთ ოსტატ ფერმწერს და არა ოსტატ-მოქანდაკეს. სურათის სიზუსტე აუცილებელია ქანდაკებაში; ფიგურის რომელიმე ნაწილი, თუნდაც ოდნავ დასახიჩრებული, უკარგავს ქანდაკებას თითქმის მთელს თავისს ღირებულებას.

დაფნეს ხელები, რომლის თითებიდანაც ლემუანის ყალამის შეხებით ამოდის დაფნის ფოთლები, გრაციით აღსავსეა; ეს ფოთლები ისე წარმტაცადაა განლაგებული, რომ აღწერაც არ შემიძლია. მე ეჭვი მეპარება, რომ მან რაიმე შეჰქმნა მგლად გარდაქმნილ ლიკაონიდან. ამომავალი რქები აქტეონის თავზე უფრო მოხდენილი თემა იქნებოდა. ამ სიუჟეტთა სხვაობა უკეთ იგრძნობა, ვინემ აიხსნება.

ლერესი „მეორე ფერს“ უწოდებს ნახევარტონს, რომელიც იმყოფება ნათელ ნაწილში კონტურის მხარეზე, და ეს ხერხია, რომელიც უკანა პლანზე აყენებს სხეულის ამობურცულ ნაწილებს და რომელიც აძლევს მას სიმრგვალეს.

არსებობს სინათლის ტონები და სინათლის ნახევარტონები; ჩრდილების ტონები და ნახევარჩრდილების ტონები. სისტემა, გაგებული „სინათლის გრადაციის“ საერთო სახელწოდებით, დაწყებული ყველაზე დიდი შუქიდან, გათავებული ყველაზე ძლიერი ჩრდილით.

არსებობს მრავალი ტექნიკური საშუალება ამ გრადაციის შესანელებლად და გასაძლიერებლად, დასაჩქარებლად ან შესანელებლად. შემთხვევითი ჩრდილები, რეფლექსები, გარდამავალი ჩრდილები, წინაღობანი სინათლის გზაზე; მაგრამ რომელი ხერხიც არ უნდა გამოიყენონ, გრადაცია მაინც რჩება, აძლიერებენ მას თუ ამცირებენ, ანელებენ მას თუ აჩქარებენ. ხელოვნებაშიც ისევე, როგორც ბუნებაშიც, ნახტომები არაა, nihil per saltum; და ეს იმისი შიშით, რომ არ გვექნეს ჩრდილის ხარვეზები ან სინათლის წრეები და შეჭრილ-შემოჭრილობანი.

განა ჩრდილის ეს ხარვეზები და ეს ნათელი წრეები ბუნებაში არ მოიპოვება? მე ვფიქრობ კი. მაგრამ ვინ გაიძულებთ იყოთ ბუნების სასტიკი მიმბაძველი?

რა არის ფონი? ეს არის ან უსაზღვრო სივრცე, სადაც ობიექტების ყველა ფერი ერთმანეთში ირევა შორმანძილზე, ჰქმნის რა საბოლოოდ მონაცრისფერო-თეთრის შეგრძნობას; ანდა ეს ვერტიკალური პლანია, რომელიც ღებულობს ან პირდაპირს ან ალმაცერ შუქს. და რომელიც როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ემორჩილება

სინათლის გრადაციის წესებს.

იგივე რაც ითქმის შუქ-ჩრდილებზე, ტერმინები „ტონი“ და „ნ ა ხ ე ვ ა რ ტ ო ნ ი“ ითქმის ერთსა და იმავე ფერზედაც.

ტონი, რომელიც მოწოდებულია გადასვლის ხაზად შუქიდან ჩრდილისაკენ ანდა სინათლის გრადაციის უკანასკნელი ზღურბლი ყოველთვის უფრო ვრცელია, ვინემ ტონი შუქისა, რომელიც მოთავსებულია კონტურთან სინათლის არეში. ლერესი მას უწოდებს „ნ ა ხ ე ვ ა რ ტ ო ნ ს“.

ყველა ეს კანონი კარგად გასაგები იქნებოდა მხოლოდ იმ მხატვრისათვის, რომელსაც უნდა შეესწავლა მათი გამოყენება პრაქტიკაში, ჯოხით ხელში, რომელიმე გალერეაში, სხვადასხვა სურათზე.

სესხება გამოკრთომიდან იმ ნახევარტონისა, რომელიც თითქოს თვალს აცილებს კონტურის ხედვითი ნაწილის მიღმა, წარმოადგენს ერთობ დახელოვნებულ ოსტატობას. ეს მართლაც მაგიაა, ვინაიდან მაყურებელი გრძნობს ეფექტს, არა აქვს-რა შესაძლებლობა ჩასწვდეს მის მიზეზს.

არა არს-რა იმაზე სწორი, რომ დაშორებული და მახლობელი ობიექტების ხილვის, თვალით მანძილის გაზომვის მუდმივმა ჩვევამ შეჰქმნა ჩვენს ორგანოში ტონების, ნახევარტონების, მეოთხედ ტონების ინჰარმონიული შკალა, სავსებით სხვაგვარად გავრცელებული, მაგრამ სავსებით ისევე ზუსტი, როგორიცაა მუსიკის შკალა ყურისათვის; და როგორც ყური ამჩნევს ყალბად მღერას, ისევე თვალიც ამჩნევს სიყალბეს ფერწერაში.

ათინათინთა შერწყმა რომელიმე დიდ კომპოზიციაში, ანდა ერთმანეთზე მოქმედება ან უკუქმედება გაშუქებული სხეულებისა, დაუძლეველ სიძნელედ მეჩვენება როგორც სიმრავლის, ისე მისი მიზეზების გამოვლინების მხრივ. ვფიქრობ, რომ ამ საკითხზე ყველაზე დიდი ფერმწერიც ბევრად დავალებულია ჩვენი უვიცობით.

ჩრდილი ვალდებულია თავისი სინათლისა და ცოტად თუ ბევრად თავისი რეფლექსის მიმართ.

მე მგონია, რომ რემბრანდტს ყოველი თავისი კომპოზიციის ქვეშ უნდა მივწერთ Per foramen vidit et pinxit *).

სხვანაირად გაუგებარია თუ ესოდენ მუქი ჩრდილები როგორ შეუძლიათ ერტყმოდნენ გარს ესოდენ განათებულ ფიგურებს.

მაგრამ ნუ თუ ობიექტები შექმნილია იმისათვის, რომ დასანახი იყოს ჭუჭრუტანებიდან? თუ რომ უეცრად დაცემული ძლიერი სინათლე შეაშუქებს მღვიმის წყვდიადში, ეს ისეთი შემთხვევა იქნება, რომლისადმი მიბაძვასაც არ დავუშლიდი ხელოვანს; მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ მოვითმენდი წესად მის გადაქცევას.

რეფლექსებით თავდაპირველი განათება შეიძლება შეგროვდეს და შემთხვევით გახდეს უფრო ძლიერი. მაგალითად: ერთდროულად თავდაპირველ სინათლესთან, რომელიც ეცემა რომელიმე ობიექტს, ამ

ობიექტმა შეიძლება მიიღოს ათინათინი თეთრი კედლიდან. მე ვკითხულობ, შეუძლია თუ არა მაშინ ობიექტს მეტი ბრჭყვინვა ჰქონდეს, ვინემ თავდაპირველი განათებისა? შეიძლება ისეც მოხდეს და შემთხვევითაც უნდა მოხდეს, რომ არა თავდაპირველი განათება იქნება კომპოზიციის ყველაზე ძლიერი განათება.

ალბად, არასოდეს არცერთ სკოლაში შეგირდებს არ ეუბნებოდნენ, რომ სინათლის არეკვლის კუთხე, ისე როგორც სხვა სხეულებისაც, უდრის დაცემის კუთხეს.

თუ მაქვს განათებული წერტილი და სურათის განწესი, ჩემს თავში ადგილი აქვს მრავალ ანარეკლ შუქს, რომელნიც ეჯვარედინებიან პირდაპირ სინათლეს. როგორ შეუძლია ხელოვანს ამ სუმბურში გარკვევა? თუ ის ამაზე არ ზრუნავს, როგორ უნდა მომეწონოს მე მისი კომპოზიცია?

რა აქვს საერთო განათებას და ფერსაც კი იზოლირებული სხეულისა, რომელიც უშუალოდ ღებულობს მზის სხივს, სხივთან და ფერთან იმავე სხეულისა, რომელიც ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია სხვა მრავალი ნაირნაირად განათებული და შეფერადებული სხეულების ძალუმი ათინათინებით? უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამაშიაც ვიბნევი: ზოგჯერ მიფიქრია, რომ მხოლოდ ბუნებაშია ლამაზი სურათები.

რა არის წითელი სხეული? ნიუტონი გიპასუხებდათ: „ეს ის სხეულია, რომელიც ყველა სხივსა ნთქავს, და გამოსტყორცნის მხოლოდ წითელს“.

რას ვღებულობთ ორი ფერის შეღრევიდან? მესამე ფერს, რომელიც არც ერთია და არც მეორე. მწვანე ფერი ლურჯასა და ყვითელის შეღრევის შედეგია.

---

*) ჭუჭრუტანიდან დავინახე და დავხატე“.

როგორ შევარიგოთ ამ ფიზიკურ მონაცემთა პრაქტიკა თეორიასთან რეფლექსთა შესახებ, რომლებითაც ერთბაშად კომბინირდება მრავალნაირი ფერი? მე აქაც ვერ ვერკვევი და ვუბრუნდები იმავე დასკვნას, რომელსაც ვივიწყებ ჩემი ვერნეს პირველდანახვისთანავე, მაგრამ ამასთანავე აუცილებლად ვეუბნები საკუთარ თავს: „ვერნეს ეს ნივთი ესოდენ ჰარმონიულია, და ალბად მაინც მთელს მის ზედაპირზე არაა არცერთი წერტილი, რომელიც უსწორო არ იყოს“. მე ეს მაღონებს; მაბრამ ან უნდა დაივიწყო ბუნების სილაღე და ხელოვნების სიღატაკე, ან უნდა დაღონდე.

მე ვდგები დღის მნათობზე ადრე, და თვალს ვავლებ პეიზაჟს, სახეცვლილს მწვანით დაფარული მთებით, დიდრონი ტოტიანი ხეებით შემოსილი მწვერვალებით; ტრიალი მინდვრები გადაშლილა ამ მთების ძირში; ეს მინდვრები გადასერილია დაკლაკნილი მდინარით. აი იქ კოშკი მოსჩანს; აქეთ ქოხია. გავსცქერი შორით მომავალ მწყემსს

თავისი ჯოგით; აი ეს-ესაა გამოსცდა სოფელს, და მტვერი კიდევ ხელს მიშლის ცხოველთ ხილვას. მთელ ამ მყუდრო და თითქმის მონოტონურ სცენას აქვს თავისი მკრთალი და რეალური ფერი. ამავე დროს დღის მნათობიც გამოჩნდა და ყველაფერი შეიცვალა მრავალფეროვანი ლივლივით. ეს სულ სხვა სურათია, სადაც არ დარჩა პირველის არცერთი ფოთოლი, არცერთი ბალახი, არცერთი წერტილი. გულზე ხელდადებით აღიარე, ვერნე, მზის მეტოქე ხარ შენ თუ არა? და ეს სასწაულიც აგრეთვე იმყოფება შენი ყალამის წვერზე?

სურათის ნ ა თ ე ლ ი ა დ გ ი ლ ე ბ ი წარმოადგენენ ათინათინის აუცილებელ შედეგს, ანდა ყალბნი არიან.

ვენერა უფრო თეთრი ჩანს სამ გრაციათა შორის, ვინემ ცალკე გამოსახული, მაგრამ მათგან მიღებულ ბრწყინვას ის მათვე უბრუნებს.

ბნელი სხეულის ათინათინი უფრო გრძნობიერია, ვინემ განათებული სხეულის ათინათინი და განათებული სხეული ნაკლებ მგრძნობიარეა ათინათინის მიმართ, ვინემ ბნელი სხეული.

ჰაერი და სინათლე მოძრაობენ და ლივლივებენ გარეული ღორის თავის აბურძგვნილ ჯაგარში, ცხვრის ბუსუსის კულულებში,ქსოვილის ბანჯგვლიან უსწორობათა შორის, ქვიშიანი ტერასის მარცვლებს შორის. ასეთი ლივლივის უთანაობა სიმქრქალეს აძლევს ატლასის ნათელ ნაწილებს, და თავისებურ სიხისტეს მის ჩრდილოვან ნაწილს და ყველა ელვარე ქსოვილს.

ფერთა სხვადასხვანაირად მგრძნობიარე ნიუანსები, როგორც მხატვრის სრული პალიტრის შედეგი, შეიძლება დათვლილ იქნას; ისინი არ აჭარბებენ რვაასცხრამეტს.

ამბობენ, რომ წითელი და თეთრი ერთმანეთს ვერ ეწყობიან მაგრამ ნუ თუ ამას ამბობს ვან ჰეისუმი? თუ შარდენი დამარწმუნებს,მეც დავიჯერებ.

სანტერი, რომლის კოლორიტიც ნაზი და დამაჯერებელი იყო, ხმარობდა მხოლოდ ხუთ ფერს. ძველ დროში ხმარობდნენ მხოლოდ ოთხ ფერს: წითელს, ყვითელს, თეთრსა და შავს. შესაძლოა ამას უნდა მიემატოს ლურჯი და მწვანე, მიღებული ლურჯისა და ყვითელის შეღრევით.

ფერმწერი ისჯება ფერთა მრავალნაირობისათვის მისი სურათის ადრე თუ გვიან დაშლისა გამო, რაც შედეგია ერთმანეთზე მატერიათა ქმედებისა და უკუქმედებისა. ასეთივე სასჯელია განკუთვნილი გაუბედავი კოლორისტისათვის, რომელიც აწამებს თავის პალიტრას.

ჯორჯონე, დიდი კოლორისტი, დე პილის* მოწმობით, ყველა თავის ნაზ ფერებს, რა განსხვავებაც არ უნდა ყოფილიყო მის ფიგურათა სხეულის ფერში, ასაკსა და სქესში, ღებულობდა ოთხი ძირითადი ფერიდან.

თუ რომ ნაცვლად მოქანდაკისა, დიდი მოქანდაკისა, როგორ-
საც წარმოადგენს ფალკონე, ის ყოფილიყო ფერმწერი, ის, ჩემის აზ-
რით, ცოტას იზრუნებდა თავისი ფერების შერჩევაზე; თუ ის თან-
მიმდევარი იქნებოდა, იტყოდა: რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, რომ
ჩემი სურათის კოლორიტმა ჰარმონიულობა შეინარჩუნოს, თუ ის უკვე
დაიშლება, როცა მე არ ვიქნები?

ეს მინანქრიანი თვალები, ეს ოქროსფერი თმები და უძველეს ქან-
დაკებათა ყველა ეს უმდიდრესი სამკაული მე მიმაჩნია ქურუმთა მო-
ნაჭორად, რომელიც საყდრებიდან გავრცელდა საზოგადოების მოსა-
წამლავად.

ნერონმა მოაოქროვებია და კიდევაც გააფუჭა ალექსანდრეს ქან-
დაკება. მე ეს კიდევაც მომწონს; კარგია როცა საშინელება გემოვნე-
ბას მოკლებულია. სიმდიდრე ყოველთვის იწვევს უცნაურობას.

მცოდნენი ძლიერ აფასებენ მხატვართა ოფორტებს – და მარ-
თალნიც არიან.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩემი აზროვნება მიმართულია
ხელოვნების აბსტრაქტული თეორიისაკენ, მაინც, როცა ვნახულობ
ზოგ ხერხს, რომელნიც დამოკიდებული არიან მის პრაქტიკულ მა-
გიაზე, მე არ შემიძლია არ შევჩერდე მათზე. დახეთ, რას ამბობს
ლერესი, ეს ოსტატი, რომელსაც ურჩევნია, როგორც მე ეს მგონია,

---

*) დე პილი (1635- 1709) მწერალი, დიპლომატი და მხატვარი, რომელ-
მაც გამოსცა თხზულება ფერწერის შესახებ.

თავისი ხელოვნების, და არა თავისი პირადი რეპუტაციის უკვდავ-
ყოფა: „ეს მოლურჯო ტონი, რომელსაც ეწოდება „ნაზი“, „ნარნარი“,
არ უნდა იდებოდეს ტილოზე ფერების სქელ მასებთან ერთად,
მაგრამ უნდა ჩაძირულ იქნას ფერებში უკანასკნელ რიგში. ეს ტონი
არ უნდა კეთდებოდეს ნაცრისფერთან და თეთრთან არეული ლურ-
ჯი ფერიდან; ის უნდა განზავდეს ყალამის წვერის ჩაწებით შერბი-
ლებულ ნადნობში და ულტრამარინში... იგივე საშუალებაა ათინა-
თინისათვის ან სინათლის გამოსხივებისათვის“.

გსურთ თქვენ წარმატება მოიპოვოთ ხელოვნების ტექნიკის
ასეთ ძნელ შემეცნებაში? გაისეირნეთ რომელიმე ტალანში ხელო-
ვანთან და დაე მან აგიხსნათ და დაგანახვოთ თქვენ ტილოზე ტექ-
ნიკური სიტყვების მაგალითი; უამისოდ თქვენ მხოლოდ ბუნდოვანი
წარმოდგენა გექნებათ მ დ ო ვ რ კ ო ნ ტ უ რ ე ბ ზ ე, უ ლ ა მ ა ზ ე ს
ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ფ ე რ ე ბ ზ ე, ყ ა ლ ა მ ი ს ზ ე შ თ ა გ ო ნ ე ბ ა ზ ე, თ ა-
ვ ი ს უ ფ ა ლ, მ ჩ ა ტ ე, გ ა ბ ე დ უ ლ ხ ა ვ ე რ დ ო ვ ა ნ ყ ა ლ ა მ ზ ე,
ს ა თ უ თ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ზ ე, ბ ე დ ნ ი ე რ დ ა უ დ ე ვ რ ო ბ ა ზ ე.
უნდა შეგვეძლოს და ისევ უნდა შეგვეძლოს ხარისხის დანახვა დე-
ფექტთან ერთად; ერთი ასეთი დანახვა უდრის ას გვერდიან ტრაქ-
ტატებს.

ელემენტარული ტრაქტატები ფერწერაში, წინააღმდეგ სხვა მეცნიერებათა ელემენტარული ტრაქტატებისა, გასაგებია მხოლოდ ამ საქმის ოსტატებისათვის.

ნიჭს არამოკლებულმა ერთმა ხელოვანმა შეასრულა არმიის გენერლის სურათი; სარდლის კვერთხი, რომელიც მას ხელთ ეპყრა, ესოდენ ბრჭყვინავი იყო, რომ რამდენიც არ უნდა გეცქირათ ფიგურისათვის, თვალები მაინც კვერთხისაკენ გადაგსცდებოდათ.

უჰარმონიოდ, ანდა რაც იმასვე ნიშნავს, უსუბორდინაციოდ შეუძლებელია ზოგადის ხილვა; უამისოდ თვალი უნებლიედ სრიალებს ტილოზე.

ა ნ ტ ი კ უ რ ზ ე

ტანთვარჯიშობას ორი შედეგი ჰქონდა: ის ალამაზებდა ტანს, და სილამაზის გრძნობას ჰქმნიდა ხალხის საკუთრებად.

რუბენსი დაუსრულებლად მაღლა აფასებდა ძველ ოსტატებს, რომელთათვის მას არასოდეს არ მიუბაძავს. როგორ მოხდა, რომ ასეთი დიდი ოსტატი, ყოველთვის კმაყოფილდებოდა თავისი ქვეყნის უხეში ფორმებით? ეს გაუგებარია.

ყველგან, სადაც სათაკილოდ ითვლება მენატურეობა, იშვიათად თუ შეჰქმნიან ლამაზ საგნებს. ვინც სიტყვის თქმას გაურბის, მას საკმარისად არ უყვარს მუსიკა.

ახალგაზრდა ლაკედემონიელი ქალები სულ შიშველი ცეკვივდნენ და ათინელი ქალები უწოდებდნენ მათ უ კ ა ნ ა ლ-ჩ ე ნ ი ე ბ ს. ისინი ამაოდ მიუთითებდნენ დაღუპულიყვნენ იმ ხელოვნებისთვის, რომელსაც სპარტაში მხოლოდ უცხოელები და მონები ასრულებდნენ.

კ ი თ ხ ვ ა: ცხადია, რომ, რაც უფრო იღლება სხეულის რომელიმე ნაწილი, მით უფრო იბერებიან და აშკარავდებიან კუნთები. პროფესიონალურ მოჭიდავეს მარჯვენა მკლავი არა აქვს ისე მორგვალებული და სადა, როგორც მარცხენა. თუ თქვენ მოჭიდავეს დახატავდით, შეასწორებდით თქვენ ამ დეფექტს?

გლიკონის ჰ ე რ კ უ ლ ე ს ს, შედარებით თავთან და ფეხებთან, ძალიან მსხვილი კისერი აქვს.

ამ მშვენიერ ანტიკურ მარმარილოებს თქვენ ჰხედავთ, მაგრამ არასოდეს გსმენიათ მათი შემქმნელის სიტყვა, თქვენ ის არასოდეს არ გინახავთ საჭრისით ხელში; ამ სკოლის სული დაკარგულია თქვენთვის; არა გაქვთ წარმოსახული ბრინჯაოსა და მარმარილოს ისტორია ხელოვნების თანამიმდევრობითი პროგრესის სახით, დაწყებული მისი უხეში წარმოშობიდან გასრულადების მომენტამდე. ამ შედევრების წინაშე დგეხართ ისევე, როგორც ფიზიკოსი ბუნების მოვლენების წინაშე.

ანატომიის ღრმა შესწავლამ უფრო მეტი ავნო, ვინემ გაასრუ-

ლადა მხატვარი. ფერწერაში, როგორც მორალში, ძლიერ სახიფა-
თოა კანქვეშ ჩახედვა.

რა უნდა ისწავლო ანტიკურისაგან? გაარჩიო ლამაზი ნატურა. არარად ჩააგდო დიადი მოდელების შესწავლა, ეს ნიშნავს დადგე ხელოვნების პირვანდელ საფეხურზე და ეძებო შემოქმედის სახელი.

ნატურის ამორჩევა პიგალისათვის განურჩეველია; თუმცა ერთ-ხელ მან შეჰქმნა ძველთა ღირსნი – მ ე რ კ უ რ ი და ვ ე ნ ე რ ა. აფა-სებს თუ არ აფასებს ის თავის ამ ნაწარმოებებს?

მის ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ს, წმინდა სულპიციის ეკლესიაში, ვიწ-რო ნესტოები და მისი ცოლის პირისახის დეფექტები აქვს.

მე რომ მეკითხა რომელიმე მხატვარისათვის: რას ეძებ შენ, როდესაც თანდათან იცვლი ამდენ მოდელებს? არც შემრცხვებოდა და არც გამიკვირდებოდა, რომ მიპასუხოს: მე ვეძებ ანტიკურის მსგავს მოდელს.

ანტუან კუაპელმა აშკარად მახვილი გონება გამოიჩინა, როდესაც უთხრა ხელოვანთ „ისე შევჰქმნათ, თუ შესაძლებელია, რომ ჩვენი სურათების ფიგურები უფრო ანტიკურ ქანდაკებათა ცოცხალი მოდელები იყვნენ, ვიდრე ეს ქანდაკებანი – ორიგინალები იმ ფიგურებისა, რომელთაც ჩვენ ვწერთ“. იგივე რჩევა შეიძლება ლიტერატორებს მიეცეს.

48

პუსენს უსაყვედურეს, რომ ის ანტიკურს ჰბაძავს; იქნებ ეს მართალია სურათისა და ტანსაცმელის მიმართ, მაგრამ არა ვნებათა მიმართ. ამ შემთხვევაში, განა ის ცუდად მოიქცა?

ყველა იმათ, ვინც ლ ა მ ა ზ დ უ ნ დ უ ლ ე ბ ი ა ნ ვ ე ნ ე რ ა ს* თავს იწუნებს, არ იციან თუ რას ნიშნავს მისი პოზა.

სამოცი ათასი ანტიკური ქანდაკებიდან, რომელნიც რომში და მის მიდამოებში მოიპოვება, ასიოდე ლამაზია, ოციოდე კი საუცხოვო.

ლ ა ო კ ო ო ნ ს ა და ა პ ო ლ ო ნ ს, ორივეს მარცხენა ფეხი უფრო გრძელი აქვთ, ვიდრე მარჯვენა; პირველს ოთხი წუთით**), ან ნაწილის ერთი მესამედით; მეორეს, დაახლოებით ცხრა წუთით. მ ე დ ი ც ი ს ვ ე ნ ე რ ა ს ფეხი, რომელიც მოხრილია, თითქმის ერთი ნაწილით და სამი წუთით უფრო დიდია, ვიდრე ფეხი, რომელზე-დაც დაყრდნობილია. ლაოკოონის უფროსი შვილის მარჯვენა ფეხი თითქმის ცხრა წუთით უფრო გრძელია, ვიდრე მარცხენა. ამას ხსნიან იმ ადგილით, საიდანაც ეს ფიგურები დანახული უნდა იყვნენ. ეს ნაწილები მოგვეჩვენებოდნენ რა იქედან შემოკლებული, უშნო იქ-მებოდნენ. ბუნების დამახინჯება აქ დიდი თავგასულობაა და ოდრანის ეს განმარტებაც სადაოა. ამავე დროს დასაშვები არაა, რომ ამ შეუ-დარებელ ნაწარმოებთა ავტორები დაუდევრობისა გამო შესცდნენ; რომელი დღევანდელი ჩვენი ხელოვანი გაბედავდა ამის გაკეთებას? რომელია ის, ვინც ამას გაბედავდა და არ იქნებოდა გაკიცხული? რა ბედნიერი ვიქნებოდით, ჩვენს თანამედროვეებს რომ მოესურვათ ჩვენზე

მსჯელობა ისე, ვითომდა ჩვენ სამი ათასი წლის წინ მოვმკვდარყავით!

ყველა იმათ, ვინც ჰკიცხავდა მ ე დ ი ვ ი ს ვ ე ნ ე რ ა ს თავს, ვერ შეიგნეს, ალბათ, მთელი ამ ფიგურის აზრი. განა შეიძლება, რომ ხასიათი ქალისა, რომელიც ემალება მოურიდებელ თვალებს, ზედმეტად მკაცრი იყოს? როგორ უწოდებთ, თქვენ, ამ ვენერას? – უ მ ა ნ კ ო ვ ე ნ ე- რ ა ს. – მაშ ყველაფერი ნათელია!

მხატვარ ტიმანთმა, პოეტ ევრიპიდეს მიხედვით, თავზე რიდე ჩამოაფარა აგამემნონს. ეს კარგია; მაგრამ ეს ოსტატური ხერხი გამოყენებულ იქნა თავდაპირველადვე; მისი განმეორება არ იქნება.

მათ არ სურთ, რომ ვენერამ თმა იგლიჯოს ადონისის ცხედართან; არც მე მინდა ეს. მაგრამ პოეტმა სთქვა:

Inornatos laniavit Diva capillos;
Et repetita suis percussit pectora palmis [24].

საიდან წარმოიშობა ეს თუ არა იქედან, რომ ცემა, რომელსაც წარმოვიდგენთ, ნაკლებ მტკივნეულია, ვიდრე ის, როდესაც ნაცემს ვხედავთ?

---

*) ასე უწოდებენ ვენერას ანტიკურ ქანდაკებას, რომელიც ინახება ნეაპოლის მუზეუმში.

**) Minute-თა ის ზომის დანაყოფი (48-ედი ნაწილი), რომლითაც ადგენენ მთელი ფიგურის პროპორციას.

ის, რაც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე ამ განთქმულ ჯგუფში ლაოკოონისა და მისი შვილებისა, ეს არის ადამიანის ღირსება, შენარჩუნებული ღრმა მწუხარების დროსაც. რაც უფრო ნაკლებ უჩივის მწუხარებას ადამიანი, მით უფრო მაღელვებს მე ის. რა კარგი სანახაობაა მხნე ქალი მწუხარებაში!

ფალკონე დასცინოდა ევფრანერის პარისს, რომელშიაც სცნობდა სამივე ქალღმერთის მსაჯულსაც, ელენეს საყვარელსაც, და აქილესის მკვლელსაც. მერე რა! განა ამ ფიგურას არ შეეძლო შეეთავსებია სიმახვილე მხედველობისა, ნებივრობა პოზისა და ვერაგობის ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება? როდესაც მე ვუცქერი თვით მას, უფრო ბევრ რამეს ვხედავ მასში, მე ვხედავ მის სახეზე ჭკუას, ირონიას, ცინიზმს, უხერხულობას, ცრუ ლმობიერებას, შურს, ორპირობას, სიცრუეს და თუ საჭირო იქნებოდა დეტალურად გარჩევა, მე დავასახელებდი მისი გარეგნობის თითოეულ ნაკვთს, შესაბამისს მისი ყოველი ვნება-მიდრეკილებისა. ეს მიმიყვანს იმ აზრამდე, რომ თუ ჩვენ შეუდგებით ისეთი ფიგურის ძებნას, რომელსაც მხოლოდ ერთი დამახასიათებელი თვისება უნდა ჰქონდეს, შესაძლებელია ვერც გამოვნახავდით ასეთს.

მხატვარისათვის მთავარია მიჩვენოს უმთავრესი გრძნობა ისეთი სიძლიერით გადმოცემული, რომ მე არ მქონდეს ცდუნება გავარჩიო იქ სხვა გრძნობები, რომელნიც იქ, რასაკვირველია, არიან. თვალები ამბობენ ერთს, პირი მეორეს და მთლიანად სახე – მესამეს.

გარდა ამისა, განა ხელოვანს ნება არა აქვს ჩემი წარმოსახვის იმედი იქონიოს? და როდესაც ჩვენ დაგვისახელეს ადამიანი, ცნობილი თავისი კეთილი ან ბოროტი ზნეჩვეულებებით, განა თითქოს არ ვკითხულობთ მაშინვე ჩვენ მის სახეზე მისი ცხოვრების ისტორიას?

ფალკონე, რომელიც ცილს სწამებს პლინიუსს, განა უფრო ლმობიერი იქნებოდა ლომაცოს მიმართ, რომელიც ამბობს ლეონარდო დე ვინჩის ყ რ მ ა ი ე ს ო ს ერთი მოდელის შესახებ, რომ „მასში მოსჩანს ყრმის უბრალოება და სიწმინდე, რასაც თან ახლავს რაღაც ისეთი, რაც ამჟღავნებს სიბრძნეს, ჭკუასა და სიდიადეს; და იერიც, რომელიც შეეფერება ყრმის ასაკს, მოსჩანს მოხუცის სიბრძნით შემკული, ჭეშმარიტად საუცხოვო ნივთია“.

ჰფიქრობთ თქვენ, რომ ფიდიასის უ პ ი ტ ე რ ი ს ა თ ვ ი ს სულ ერთი იქნებოდა იცნობს თუ არა მაყურებელი ჰომეროსის მშვენიერ ლექსებს: „...ის დასტურს გამოსთქვამს თავისი შავი წარბების მოძრაობით; მისი ღვთიური თმა ღელავს მის უკვდავ თავზე, და მთელი ოლიმპი შეირყა [25]“, ყველაფერი ეს სჩანდა ფიდიასის ი უ პ ი ტ ე რ შ ი.

გვიდოს წ მ ი ნ დ ა მ ი ხ ე ი ლ ი ს რისხვა ისეთივე კეთილშობილი, ისეთივე მშვენიერია, როგორიც არის ლაოკოონის მწუხარება.

რას წარმოადგენს მხატვართა ღვთაება? ეს არის მოხუცი ყველაზე უფრო დიდებული როგორიც კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. თუ მისი ხატება ჩვენთვის უცნობია ბუნებაში, ეს მართლა ღვთაებაა.

ვის უნახავს ღმერთი? რაფაელს, გვიდოს.

ვის უნახავს მოსე? მიქელ ანჯელოს.

ზოგიერთის გამონაკლისით, თითქმის ყველა ანტიკურ ფიგურას თავი ოდნავ წინ დახრილი აქვს. ეს დუმილის დამახასიათებელია ან თვისებაა თვით ადამიანისა; ადამიანი მოაზროვნე ცხოველია.

მე მგონია, რომ სურათის ჭვრეტის შესწავლას მეტი დრო უნდა, ვინემ პოეზიის ნიმუშის შეგრძნობას. და შეიძლება, კიდევ უფრო მეტი დროა საჭირო გრავიურის სისწორით განსჯისათვის.

გრაციის, ულაზათობისა და უბრალოებისათვის

გრაცია ეკუთვნის მხოლოდ ფაქიზ და სუსტ ნატურებს. ომფალს აქვს გრაცია, ჰერკულესს არა აქვს. ვარდს, მიხაკსა და ტიტას ჯამს აქვთ გრაცია; ბებერ მუხას, რომლის მწვერვალი ზეცასა სწვდება, იგი არა აქვს; მის ტოტს ან მის ფოთოლს შეიძლება ჰქონდეს.

ბავშვს აქვს გრაცია; ის შეინარჩუნებს მას დავაჟკაცებისას, გრაცია სუსტდება ასაკოვან ხანაში, და სავსებით ჰქრება სიბერისას.

არსებობს გრაცია პიროვნებისა, და გრაცია მოქმედებისა. დიუპრე *) იყო, რომელიც ესოდენი გრაციით ცეკვავდა, ხოლო სრულიად მოკლებული იყო მას სიარულის დროს.

ყოველივე ჩვეულებრივი მარტივია; მაგრამ ყოველივე მარ-

ტივი ჩვეულებრივი არ არის. სიმარტივე ერთერთი მთავარი დამახასიათებელი თვისებაა სილამაზისა; ხოლო იგი არსებითია დიადისათვის.

ჰორაციუსმა სთქვა: მ ე მ ი ნ დ ა ს ი ტ ყ ვ ა მ ო კ ლ ე ვ ი ყ ო დ ა ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ი კ ი ვ ხ დ ე ბ ი ო [26]. შეიძლება დაემატოს: „მე მინდა მარტივი ვიყო და უშვერი კი ვხდები“.

ორიგინალურობა არ გამორიცხავს სიმარტივეს.

ზოგი კომპოზიცია ღარიბია მრავალი ფიგურით, ზოგი კი მდიდარია რამდენიმე ფიგურით.

გაწამებით მიღებული წინააღმდეგია ადვილისა; მაგრამ ზოგჯერ ადვილსაც მრავალი წვალებით ღებულობენ.

..... Sudet multum, frustraque laboret
Ausus idem. [27]

---

*) „დიდი“ დიუპრე, XVIII საუკუნის შუა პერიოდის განთქმული მოცეკვავე.

ბუნება არასოდეს არაა ნაწვალები; მისი იმიტაცია კი ხშირადაა ასეთი.

ბუალო ჰთხზავს, ჰორაციუსი სწერს; ვირგილიუსი ჰთხზავს, ჰომეროსი სწერს.

რაკურსები ცოდნის მაჩვენებელია; ხოლო ისინი იშვიათად არიან სასიამოვნო.

კომპოზიციის დაუდევრობა ლამაზი ქალის დილის ტანსაცმელს წააგავს; კიდევ ერთი წამი და ტუალეტი ყველაფერს წაახდენს.

არსებობს დაუდევარი გრაციები, და გრაციასმოკლებული დაუდევრობანი.

დაუდევრობა ამშვენიერებს პატარა საგანს, და ყოველთვის აფუჭებს დიდს.

სიცხიან დღეებში ცოცხალი არსებანი ზანტნი არიან. სწორედ ამ დროსაა მომკალის მდგომარეობა ძნელი. -

ლამაზი პეიზაჟები გვასწავლიან ბუნების შეცნობას ისევე, როგორც მოხერხებული პორტრეტისტი გვამცნობს ჩვენი მეგობრის სახის უკეთ შესწავლას.

ციცერონმა უთხრა ორატორ მარკუს ბრუტუსს: „Sed quodam etiam negligentia est diligens *)“. ეს სიტყვები, განმარტებული გემოვნების მქონე ადამიანის მიერ, სიფაქიზით სავსე იქნებოდა. ეს დაუდევრობანი დაშვებულია ყოველთვის მოხდენილ ხელოვნებაში ან ყოველგგარ იმიტაციაში. – და განა ბუნებას, მათ მოდელს, არა აქვს დაუდევრობანი? – მაგრამ რაში გამოიხატებიან ისინი?

რა არის დაუდევარი პოეტი? ეს ისეთი პოეტია, რომელიც ჩინებული ლექსების გვერდით დროგამოშვებით იძლევა უსიცოცხლო და სუსტ პროზას. ეს არის s e m i - p o e t a**. ეს უსიცოცხლო და სუსტი შრომა მეტ ენერგიას აძლევს იმ პოეზიას, რომელსაც ის

ეხება. ეს მსახურია, რომლის ღარიბი ტანსაცმელი კარგად ამჟღავ-
ნებს მისი ბატონის მდიდრულ მოკაზმულობას. ბატონი წინ მიდის,
მსახური უკან მისდევს.

J'ai vu de près le Styx, l'ai vu les Euménides;
Dèja venaient frapper mes oreilles timides
Les affreux cris du chien de l'empire des morts [28].

რატომ ბუნება არასოდეს არაა დაუდევარი? იმიტომ, რომ
რისგანაც არ იქნება, ჩვენს თვალწინ წარმოდგენილი რა მანძილზე-
დაც არ იყოს, რა თვალთახედვითაც არ იყოს განჭვრეტილი, ბუნების
მიერ მოწოდებული ნივთი, არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს, ესაა
შედეგი მიზეზებისა, რომელთა მოქმედება მან განიცადა.

---

*) „მაგრამ დაუდევრობაც ხომ ერთგვარად გაფაქიზებული უნდა იყოს".

**) ნახევარ-პოეტი.

მიამიტობასა და მლიქვნელობაზე

იმისათვის, რომ გამოვთქვა ის, რასაც მე ვგრძნობ, საჭი-
როა შევქმნა სიტყვა, ან, ყოველ შემთხვევაში, გავაფართოვო გა-
გება კიდევაც შემქნილი სიტყვისა; ასეთია სიტყვა მ ი ა მ ი ტ ო ბ ა.
გარდა სიმარტივისა, რომელსაც ის გამოსთქვამს, უნდა მიემატოს უმწი-
კვლობა, ჭეშმარიტება და თავისებურება ძალდაუტანებელი ბედნიერი
ბავშვობისა, და მაშინ მიამიტობა არსებითი იქნებოდა ხელოვნების ყო-
ველი ქმნილებისათვის; მიამიტობა ემჩნევა რაფაელის სურათების
ყოველ წერტილს; მიამიტობა სულ ახლო იქნება ღვთაებრივობასთან,
მიამიტობა გამოინახება ყოველივეში, რაც ძალიან ლამაზი იქნება:
ცალკეულ პოზაში, ცალკეულ მოძრაობაში, ცალკეულ ტანსაცმელში,
ცალკეულ გამომეტყველებაში. ეს თვით საგანია, მაგრამ წმინდა სა-
განი, ყოველივე ცვლილების გარეშე. აქ ხელოვნება უკვე აღარ არის.

ყოველი ჭეშმარიტი არ არის მიამიტი; მაგრამ ყოველი მია-
მიტი – ჭეშმარიტია, ის არის მიმზიდველი, თავისებური და იშვიათი
ჭეშმარიტება. პუსენის ყველა ფიგურა მიამიტია, ე. ი. ისინი არიან
მხოლოდ სრულად ის, რაც უნდა ყოფილიყვნენ. რაფაელის ყველა
მოხუცი, მისი ქალები, მისი ბავშვები, მისი ანგელოზები მია-
მიტნი არიან, ე. ი. მათ აქვთ ერთგვარი თავისებურება ბუნებისა,
გრაცია, რომელიც დაბადებიდანვე მოსდევთ, და აღზრდით არ იყო
მიღებული.

მანერა ხელოვნებაში იგივეა, რაც ფარისევლობა ცხოვრე-
ბაში. ბუშე ყველაზე დიდი ფარისეველია, რომელსაც მე ვიც-
ნობ; არ არის არცერთი მისი ფიგურა, რომლის შესახებაც არ შეიძ-
ლებოდეს ითქვას: „შენ გსურს ჭეშმარიტი იყო, მაგრამ არა ხარ". მია-
მიტობა ყოველგვარ გარემოებაშია შესაძლებელი: შეიძლება იყო
მიამიტად გმირი, მიამიტად ბოროტი, მიამიტად ღვთისნიერი, მიამი-

ტად ლამაზი, მიამიტად ორატორი, მიამიტად ფილოსოფოსი. მიამიტობის გარეშე ნამდვილი სილამაზე არ არსებობს. ხე, ყვავილი, მცენარე, ცხოველი მიამიტად არიან ასეთნი. მე ვიტყოდი კიდეც რომ წყალი მიამიტად წყალია, თორემ ის შეეცდებოდა დამსგავსებოდა გაკრიალებულ ფოლადს ან ბროლს. მიამიტობა არის დიდი მსგავსება იმიტაციისა საგანთან, თანდართული შესრულების დიდი სიადვილით: ეს არის წყალი, აღებული წყაროდან და გადატანილი ტილოზე.

მე ბევრი ცუდი ვთქვი ბუშეს შესახებ და მე სიტყვებს გადავთქვამ. მე მგონი ნახული მაქვს მის მიერ დახატული ბავშვები, რომელნიც სავსებით მიამიტად ბავშვებია.

53

მიამიტობა, ჩემი გაგებით, არსებობს, როგორც აბობოქრებულ, ისე მშვიდ გრძნობებში, როგორც მოძრაობაში, ისე უძრაობაში. ის თითქმის არაფერზეა დამოკიდებული; ხშირად მხატვარი ძალიან უახლოვდება მას; მაგრამ კი ვერ აღწევს მას.

ტენირსის სურათებს და ჰოლანდიური და ფლამანდიური სკოლების ყველა კომპოზიციებს, გარდა ხელოვნების მაგიისა, მათი უგულვებელყოფისაგან იხსნის ის, რომ მათი უხამსი ფიგურები სავსებით მიამიტად უხამსნი არიან.

დიუსელდორფში თუ დრეზდენში ვნახე სნაიდერსის ტ ა ხ ი. ის გააფთრებულია. მისი თვალები ცეცხლს აფრქვევენ და ელვარებენ, ჯაგარ-აყრილს პირიდან ქაფი გადმოსდის; არასოდეს არ მინახავს უფრო საშინელი და უფრო ჭეშმარიტი იმიტაცია. მხატვარს რომ მხოლოდ ეს ცხოველი დაეხატა, მაინც განსწავლულ ოსტატად ჩაითვლებოდა.

რა საქმეც არ უნდა იყოს, სჯობს უცნაური იყო, ვინემ გულგრილი.

დიუსელდორფში ვნახე გერარდ დოუს ჯ ა მ ბ ა ზ ი. ეს ისეთი სურათია, რომელიც უნდა ნახო და რომლის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია. ეს არაა იმიტაცია, ეს თვით საგანია, წარმოუდგენელი ჭეშმარიტებით, უსაზღვრო გემოვნებით წარმოდგენილი. ამ ფიგურებში მოიპოვება ისეთი უაღრესად ფაქიზი ხაზები, რომელთა გამონახვა უფრო მაღალ ფერწერაში ამაო იქნებოდა. მე არასოდეს არ მინახავს უფრო ძლიერად გადმოცემული სიცოცხლე.

გასაკვირალი არაა, რომ თითქმის ყველა ჰოლანდიური და ფლამანდიური სურათი პატარაა; ისინი გამიზნული იყვნენ მათი საცხოვრებელი ბინების შესაბამისად.

განა ჩვენი საცხოვრებელ ბინათა შინაგანი განაწილება არ წარმოადგენს მიზეზს დიდი ფერწერის დაცემისა? ქანდაკება თავის წინანდელ სიმაღლეზე სდგას, მიტომ, რომ მისი საჭრისი მარმარილოს სჭრის მხოლოდ ტაძრებისა და სასახლეებისათვის.

შესწორებებს, რომელთაც ოსტატი უკეთებს თავის პირველ აზრებს იტალიელები უწოდებენ p e n t i m e n t i;*) და ეს ის გამოთ-

ქმაა, რომელიც მე მომწონს.

რემბრანდტის p e n t i m e n t i-ებმა გაადიდეს მისი ნაწარმოები რამდენიმე ტომით.

მე მსურს ამიხსნან, რატომაა, რომ ძველი ძვირფასი მედალების რევერსები**) თითქმის ყოველთვის ცუდადაა შესრულებული? მლიქვნელობა ხომ არაა ეს? იქნებ სცდილობდნენ, რომ არაფერს გაეწია ხელმწიფის გამოსახულებასთან მეტოქეობა?

---

*) Pentimenti – მონანიება. (,თარგმნ.)

**) რევერსი – უკანა მხარე.

ფერწერაშიც არსებობს მლიქვნელობა; ერთის შეხედვით ის მიგიზიდავს; მაგრამ ჩქარა მოგწყინდება.

მე ვილაპარაკე მლიქვნელობაზე სურათის შესრულებასთან შეფარდებით. არსებობს კიდევ სხვა – ზნეობასთან შეფარდებით; მისი საშუალება ალეგორიაა; ალეგორიას ჰქმნიან შესამკობელად იმისა, რომლის შესახებ არაფრის გარკვეულის თქმა არ შეიძლება. აქ ალეგორია ერთგვარი სიცრუეა, რომლის ბუნდოვანება იხსნის მას უგულვებელყოფისაგან.

საკვირველია, რომ ყველა ჩვენი პატარა ლიტერატორები ყოველდღე იმეორებენ მათთვის ერთად-ერთ ცნობილ ჰ ო რ ა ც ი უ ს ი ს წყობილს:

Ut pictura, pesis erit... [29];

რომ ისინი ყოველდღე აღფრთოვანებაში არიან დრამატიზმით ფერწერაში, და რომ ისინი მათ სდევნიან სცენიდან.

O imitatores, servum pecus! [30].

მან, ვინც ტრაღიკულიდან კომიკურზე გადავიდა, სხვა ნახტომი გააკეთა.

როგორც პოეზიაში არსებობს აბდაუბდა, ასევე ფერწერაშიაც*). იხილეთ მ ა რ შ ა ლ გ ა რ კ უ რ ი ს ს ა ფ ლ ა ვ ი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში.

ვენერა კუთი, ეს შინმჯდომი და უბიწო ვენერაა; ზღვის ღორით ან მტრედებით, ეს გარყვნილი ვენერაა.

არსებობს ლერესის რამდენიმე სურათი, ძვირფასნი თავიანთი სიმშვენიერით, მაგრამ ისეთი ბუნდოვანნი, რომ ჯერ ვერვინ შესძლო მათი შინაარსის ამოხსნა.

მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა ზ ე

იმ მომენტში, როდესაც ხელოვანი ფულზე ჰფიქრობს, ის ჰკარგავს სიმშვენიერის გრძნობას.

ყველაფერი, რაც ითქვა ელიპსოიდურ, წრიულ, კლაკნილ, ტალღისებრ ხაზებზე – სისულელეა. სხეულის თითოეულ ნაწილს აქვს

სილამაზის საკუთარი ხაზი; თვალის სილამაზის ხაზი სულ სხვა რამაა, ვინემ მუხლის სილამაზის ხაზი.

და თუ ტალღისებრი ხაზი იქნებოდა ადამიანის სხეულის სილამაზის ხაზი, ათას ტალღისებრ ხაზში, რომელი უნდა ვირჩიოთ?

ამბობენ: „თქვენი კონტური შეუპოვარი უნდა იყოსო“ და თანაც უმატებენ: „თქვენი კონტური ჰაეროვანი უნდა იყოსო“ ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ერთიმეორეს? არა, მაგრამ ამის შერიგება მხოლოდ სურათზე შეიძლება.

---

*)შესაძლოა აქ ნაგულისხმევი იყოს ქანდაკება, ვინაიდან ლაპარაკია მარშალ გარდერის ძეგლზე რომელიც შესრულებულია პიგალის მიერ 1769-1776 წ.წ.

იტალიელები უწოდებენ ამ ჰაეროვანს stumato*); მე მეჩვენება, რომ sfumato-ს საშუალებით თვალი ტრიალებს დახატული ნაწილის ირგვლივ, და რომ ხელოვნება ითვალისწინებს იმასაც, რაც დაფარულია და არ იქნა გამოსახული, სჩადის რა ამას ისეთი სიძლიერით, რომ თუმცა ვერა სჭვრეტ, მაგრამ მაინც ჰფიქრობ, რომ ჰხედავ კონტურის მიღმა. თუ მე პრაქტიკული ხერხის განმარტებაში ვსცდები, იმედი მაქვს, მხატვრები მოიგონებენ, რომ მე ლიტერატორი ვარ და არა მხატვარი. მე ვთქვი ის, რაც მე დავინახე; რომ იქ კონტურები მკრთალ ნისლში გავლებული მეჩვენება.

ორი მოვლენა ძალიან ახლობელი ეს ის არის, რომ ფერწერა სცდილობს გვიჩვენოს საგნები ოდნავ ბუნდოვანი გამოსახულებით, და რომ ოფორტები ჩვენ ხშირად მეტად მოგვწონს, ვინემ საჭრისით შექმნილი საგნები. ეს მართალია უმთავრესად პეიზაჟისტისათვის. არაფერია ისეთი მიმზიდველი, როგორც ლამაზი სახე თხელი პირბადის ქვეშ.

წარმოიდგინეთ თქვენი თავი რომელიმე სფეროს წინაშე. ის ადგილი, რომელსაც ვერ სჭვრეტთ, ბუნდოვანი, გაურკვეველია; ეს არ არის მძაფრი, გარკვეული ხაზი, როგორიცაა მხედველობის ხაზი. ეს საზღვარი ცვალებადობს სხეულის ფორმის მიხედვით; ის უფრო ვცრელია დედაკაცის მრგვალ კლავში, ვიდრე მზიდავის ძარღვიან და კუნთოვან მკლავში. კონტური აქ უფრო შ ე ი გ რ ძ ნ ო ბ ა; იქ კი უფრო ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ი ა. მე მსიამოვნებს ამ ტერმინების ხმარება, ყოველ შემთხვევაში იმ სახით, როგორადაც მე ისინი მესმიან.

სილამაზეს მხოლოდ ერთი ფორ ა აქვს.

სილამაზე მხოლოდ ჭეშმარიტებაა, ამაღლებული შესაძლებელი, მაგრამ იშვიათი და სასწაულებრივი გარემოებებით. თუ არსებობენ ღმერთები, არსებობენ აგრეთვე ეშმაკებიც: რატომ არ შეიძლება მოხდეს სასწაული ერთთა და მეორეთა შემწეობით?

სიკეთე არის მხოლოდ სარგებელი, ამაღლებული შესაძლებელი და სასწაულებრივი გარემოებებით.

მეტი თუ ნაკლები შესაძლებლობა ჰქმნის სიმართლის მსგავსე-

ბას; ჩვეულებრივი გარემოებანი ჰქმნიან შესაძლებლობას.

ხელოვნება არის ჩვეულებრივ გარემოებათა ჩართვა ყველაზე სასწაულებრივ საგნებში, და სასწაულებრივ გარემოებათა ჩართვა ყველაზე ჩვეულებრივ შინაარსებში.

აქ ტერმინები ს ა ს წ ა უ ლ ე ბ რ ი ვ ი და ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი სინონიმებია. ამრიგად არსებობს სასწაულებრივი, რომელიც სიცილს ან ტირილს იწვევს; მისი თავისებურებაა – გამოიწვიოს გაკვირვება და განცვიფრება.

---

*) მკრთალი ნისლი.

დროგამოშვებით ესაუბრეთ სწავლულს; მაგრამ რჩევა ჰკითხეთ პატიოსან და მგრძნობიარე ადამიანს.

უცნაურ ფორმებზე

რად უნდა შემჯავრდნენ მე კარიატიდები, როდესაც ვიცი, რომ დედამიწის თითქმის ყველა ხალხს გადაუტანია მონობა? ნაკლებად მწყენია ჩემი მსგავსის დანახვა თავმოხრილი ანტაბლემენტის ტვირთის ქვეშ, ვიდრე იმისა, რომელიც ტირანის ფეხის მტვერს ჰკოცნის.

მე თვალს არა მჭრის არც წყვილად დადგმული სვეტები, რომელნიც აძლიერებენ ჩემში უშიშროების შეგრძნებას, არც ღარიანი სვეტები, რომელნიც მსხვილდებიან ან მსუბუქდებიან ხელოვანის სურვილის ანდა მის მიერ ამორჩეული ღარის მიხედვით.

რაც შეეხება ბოძკინტებს, მე სიამოვნებით დაგითმობდით თქვენ მათ, რომ ასჯერ არ შემხვედროდა დამენახა ფიგურის მხოლოდ ნახევარი. ეს მორთულობა საკმაოდ კარგი სანახაობა იქნებოდა ხშირ ბოსქეტში*), რომლიდანაც მოსჩანს მხოლოდ ამ მორთულობათა ზედა ნაწილი.

ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ზ ე

როდესაც რომელიმე ხალხის ტანსაცმელი ბეჩავია., ხელოვნებამ უნდა უგულვებელჰყოს იგი. რა უნდა შეჰქმნას მოქანდაკემ თქვენი ქურთუკიდან, შარვლიდან და ღილების რიგებიდან?

განა კიდევ კარგი საიმიტაციო საგანი არაა სასახლისა ან უნივერსიტეტის პარიკი?

არსებობს ერთი ვენერა, რომლის შესახებ არც ბ-ნ ლარშეს [31], არც მგონია აბატ ლაშოს [32] არაფერი არ უთქვამთ; ეს არის ვენერა m a m m o s a, მსხვილძუძუიანი ვენერა, ერთადერთი, რომელსაც ჰოლანდიურმა და ფლამანდიურმა სკოლებმა თავი შესწირეს.

გრაციები, ვენერა-ურანიის კომპანიონები, ჩაცმულნი არიან;

გრაციები, ვენერა-ავხორცობის ქალღმერთის თანამგზავრები, შიშ-
ველნი არიან.

რომაელ ქალთა ტანსაცმელი სამგვარია: თეთრი stola, დიდე-
ბული ქალთათვის, შავი stola – აზატმქნილთათვის, და ჭრელი კაბა
უბრალო წრის ქალთათვის. მე არასოდეს არ ვუსაყვედურებ ხელო-
ვანს, თუ მან არ იცის ან არაფრად აგდებს ამ შემავიწროებელ გან-
სხვავებებს.

") ბოსქეტი – ჭალა.

მხატვართა ნაირნაირი ხასიათები

პეიზაჟისტებმა კნიფერგენმა, ვან-გოიენმა, და მარინისტმა
პორსელისმა სანაძლეო დასდეს საუკეთესო სურათის შექმნაზე ერთი
დღის განმავლობაში. განსჯა კი მიანდეს თავიანთ მეგობრებს, რო-
მელნიც ესწრებოდნენ ამ თავისებურ პაექრობას.

კნიბერგენი სდგამს თავის ტილოს მოლბერტზე და თითქოს
მზად იღებს პალიტრაზე ცას, სიშორეს, კლდეებს,ნაკადულებს, ხეებს.

ვან-გოიენი იძლევა თავის ტილოზე ღია და ყავისფერს და
ჰქმნის ქაოსს,საიდანაც დაუჯერებელი სისწრაფით გამოდიან მდინა-
რეები და ნაპირები, ავსებული ნახირით და სხვადასხვა ფიგურებით.

ამასობაში პორსელისი უმოძრაოდ და ჩაფიქრებული იდგა, მაგ-
რამ მალე აღმოჩნდა, რომ მის დუმილს უშედეგოდ არ ჩაუვლია.
მან შეჰქმნა მარინი, რომელიც ყველამ მოიწონა. მისმა მეტოქეებმა
იფიქრეს მხოლოდ მუშაობის დროს; პორსელისმა კი იფიქრა მა-
ნამდე. ეს ამბავი მე წავიკითხე ჰაგედორნში.

და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მხატვრები იტყვიან,
რომ ამ სამ მხატვარს ცუდი სურათები დაუხატიათო. თუმცა ციცე-
რონმა e x a b r u o t o წარმოსთქვა ძალიან მოხდენილი სიტყვა, რაც
არა ნაკლებ გასაკვირალია, ვინემ რომელიმე სურათის შესრულება.

აი ვერნეს მსჯელობა თავის თავზე; „ჩემი ჟანრის თითოეულ
ნაწილში არის ხელოვანი, რომელიც ჩემზე მაღლა სდგას, მაგრამ
ყველა ნაწილში მე მეორე ადგილი მიკავია“.

ყოველ მხატვარს აქვს თავისი ჟანრი. ერთმა მოყვარულმა
მოსთხოვა ყვავილების მხატვარს დაეხატა ლომი. „სიამოვნებით,–
უთხრა მხატვარმა, – მაგრამ ელოდეთ ლომს, რომელიც, როგორც
წყლის ორი წვეთი, ემსგავსება ვარდს.

ყოველ გრავიორს ჰყავს თავისი მხატვარი; ნუ მოაშორებთ მას
ამ უკანასკნელს, წინააღმდეგ შემთხვევაში ელოდეთ რემბრანდტს,
რომელიც, როგორც წყლის ორი წვეთი, ემსგავსება ტიციანს.

თუმცა მხატვარი ვილი იქცევა რიგოდ როდესაც რიგოს მიხედ-
ვით მუშაობს, და ნეტჩერად, როდესაც ნეტჩერის მიხედვით მუშაობს.
მაგრამ ბევრია ისეთი მხატვარი, რომელთაც, როგორც კომენმა,

ფერწერის ყველა ჟანრის საერთო კანონები შეითვისეს და რომელ-
ნიც ფერწერის არცერთმა სკოლამ არ გაიტაცა?

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი ბუნება არსებობს, და
რომ მისი წარმოსახვის წესი შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს, და ისიც
ისეთი, რომელიც მას წარმოსახავს ყველაზე მეტი სიძლიერით და
ჭეშმარიტებით, თითოეულ ხელოვანს მინიჭებული აქვს შესრულების

საკუთარი წესი; დაუთმობლობას იჩენენ მხოლოდ ნახატის მიმართ.
ამ უკანასკნელის წარმოსახვის წესი მხოლოდ ერთია. – განა თი-
თოეულ მწერალს არა აქვს თავისი სტილი? – აქვს. – განა ეს სტილი
არ წარმოადგენს წარმოსახვას? – გეთანხმებით; მაგრამ სად არის ამ
წარმოსახვის მოდელი? სულში, გონებაში, წარმოსახვის მეტ თუ ნაკ-
ლებ უნარიანობაში, გულის მეტ თუ ნაკლებ სიფიცხეში. გარეგანი მო-
დელი არ უნდა შეურიოთ შინაგან მოდელში. – მაგრამ განა არ უხდება
ზოგჯერ ლიტერატორს რომელიმე პეიზაჟის ან ბატალური სურათის
აღწერა; ამ შემთხვევაში მისი მოდელი განა გარეგანი არაა? – სწორედ
რომ ასეთია; მაგრამ მისი გამოთქმა არ გადმოგვცემს ფიზიკურად
ფერს; მასში არ არის არც ლურჯი, არც მწვანე, არც რუხი, არც
ყვითელი ფერი; სხვანაირად მას არ ექნებოდა გამოთქმის ამორჩე-
ვის თავისუფლება; სხვანაირად, თუ ენის სიმდიდრე ამის შე-
საძლებლობას მისცემდა და ენას რვაას ცხრამეტი სიტყვა, შესაბა-
მისად პალიტრის რვაასცხრამეტი ფერისა, ჰქონოდა, საჭირო იქნე
ბოდა, სიყალბის თავიდან ასაცილებლად, ეხმარა მხოლოდ ის ერთი
სიტყვა, რომელიც ზუსტად გადმოგვცემდა საგნის ფერს. მხატვარი
ზუსტია; სიტყვა, რომელიც გვიხატავს, ყოველთვის ბუნდოვანია. მე
ვერაფერს ვერ დაუმატებ მხატვარის იმიტაციას; ჩემს თვალს შეუძ-
ლიან დაინახოს იქ მხოლოდ ის, რაც იქ არი. მაგრამ ლიტერატურულ
სურათში, რაოდენ დამთავრებულიც არ უნდა იყოს იგი, ყველაფერი
ხელახლად გასაკეთებელია მხატვრისათვის, რომელიც მოისურვებდა
ლიტერატორის სიტყვების გადმოტანას ტილოზე. როგორი ჭეშმა-
რიტიც არ უნდა იყოს ჰომეროსი რომელიმე ერთ-ერთ მის აღწერაში,
როგორადაც დაწვრილებითი არ უნდა იყოს ოვიდიუსი რომელიმე
ერთ-ერთ მის მეტამორფოზში – არც ერთი და არც მეორე არ აძლევენ
მხატვარს ფუნჯის არცერთი გასმის შესაძლებლობას, არ აძლევენ არც
ერთ ფერს, მაშინაც კი, როდესაც ისინი ზუსტად აღნიშნავენ ფერს.
განა შესრულებისათვის დიდი შეღავათი ეძლევა მხატვარს, როდესაც
მან წაიკითხა ოვიდიუსში, რომ ატალანტის კუპრივით
შავი თმა გაფანტული იყო მის სპილოს ძვლისებრ
თეთრ მხრებზე? [33] პოეტი უკარნახებს მხატვარს, მაგრამ ბრძა-
ნება, რომელსაც ის მას აძლევს, შეიძლება მხოლოდ გამოცდილე-
ბით, ხანგრძლივი შესწავლით და გენიოსობით შესრულდეს. პოეტმა
სთქვა: Ques ego!.... sed motos praestat componere fluctus [24]; და
აი,მისი სურათიც შესრულებულია. რჩება მხოლოდ რუბენსის სურა-

თის შესრულება.

არსებობენ სურათები, რომელთა პირველი პირი შესრულებულია ისეთი მგზნებარე ფუნჯით, რომ მათი ანალიზი ისევე შეუძლებელია, როგორც ზოგიერთი ლირიკული ლექსებისა.

პორტრეტები ისეთი ძნელია, რომ, როგორც ეს მითხრა პიგალმა, მას არასოდეს არ შეუსრულებია არცერთი ისეთი სურათი, რომ არ მოესურვა მათზე უარის თქმა. მართლაც, სწორედ ადამიანის სახეში იხატება სიცოცხლე, ხასიათი და გამომეტყველება.

როდესაც პორტრეტს ნათურის შუქზე აკეთებ, შემაღლებანი და ჩაღრმავება – უსწორობანი უკეთ შეიგრძნობიან, ჩრდილი უფრო ძლიერია ჩაღრმავებაში, სინათლე უფრო კაშკაშაა შემაღლებაზე.

დეტალების შესრულება გვიჩვენებს სწორია თუ არა მასები. თუ ეს მასები ზედმეტად დიდია, დეტალებისათვისაც ადგილი მრავალია; თუ ისინი მეტად მცირენი არიან, დეტალებს ადგილი აკლდება.

გაიგება რამე ქანდაკებაში მხატვარს? გაეგება რამე ფერწერაში მოქანდაკეს? რასაკვირველია; მაგრამ მხატვარმა არ იცის თუ რა რჩება გასაკეთებელი მოქანდაკეს, და მოქანდაკემ – თუ რა რჩება გასაკეთებელი მხატვარს; მათ არ ძალუძთ მსჯელობა ხელოვნების მიერ მიღწეული საფეხურისა და იმ იმედის შესახებ, რომლითაც ხელოვანს შეჰყურებენ.

განმარტებანი

შემთხვევითობა *)

სიტყვა შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ო ბ ა მხოლოდ განათების შესახებ იხმარება რომელიმე საგნისა ან საგნის ნაწილის მეტი განსხვავებისათვის. შემთხვევითობას თავისი გამართლება აქვს კომპოზიციაში; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ყალბია.

ა ქ ს ე ს უ ა რ ე ბ ი

ა ქ ს ე ს უ ა რ ე ბ ი ს დაუდევრად შესრულება დიდი ხელოვნებაა. ამ დაუდევრობის აუცილებლობა მიგვითითებს ხელოვნების სიღატაკეზე. ბუნება ზოგჯერ უნაყოფოა, მაგრამ არასოდეს არაა დაუდევარი.

აქსესუარების მეტად მზრუნველობით შესრულება არღვევს სუბორდინციას. ყველა ანტიკურ ლითონებში რევერსები დაუდევრადაა გაკეთებული.

აქსესუარების დაუდევრად შესრულება უფრო დასაშვებია დიდ კომპოზიციებში, ვიდრე პატარებში.

---

*) Accident – შემთხვევა, შეშთხვევითობა.

პუსენს ტიბრის მეზობელ ველებიდან მოჰქონდა ქვა, ხავსი, ყვავილი და სხვა, და ამბობდა: „ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ეს თ ა ვ ი ს ა ლ ა გ ს მ ო ნ ა ხ ა ვ ს".

შ ე წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ა

სურათის შ ე წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ა დამოკიდებულია განათებასა და ფერებზე.

გ ა მ ო ტ ო ვ ე ბ ა ნ ი

გემოვნებაზე

თითქმის ვერცერთი ხელოვნება, რომელიც განცხრომას ემსახურება, ვერ მიაღწევს სრულქმნილების რომელიმე საფეხურს პრაქტიკისა და საზოგადოებრივი სამხატვრო სკოლების გარეშე. არ კმარა ერთი სკოლა, საჭიროა მრავალი. ის სახელმწიფო, სადაც ასწავლიან ხატვას, როგორც ასწავლიან წერას, მალე წინ გაუსწრებდა ყველა სხვა სახელმწიფოს ყოველგვარ ხელოვნებაში.

რა სახელი მიეცეს ამ გამომგონს? გენიალური ადამიანის სახელი. რა სახელი რჩება იმათ, რომელთაც უხეში გამოგონებანი გასრულადების ისეთ საფეხურამდე აჰყავთ, რომ განცვიფრებას იწვევენ ჩვენში? იგივე სახელი. ამგვარად მოდის საუკუნეთა ეხო, იმეორებს რა თანამიმდევრობით უმაღლეს ეპიტეტს, რომელიც იქნებ უკანასკნელ მომენტსაც კი არ შეჰფერის.

მინერვა ჟამთა განმავლობაში აგდებს თავის ფლეიტას; და ყოველთვის არის რომელიმე მარსიასი, რომელიც მას აიღებს. ამ სახელის პირველ მტარებელს ტყავი გააძვრეს.

კ ო მ პ ო ზ ი ც ი ა ზ ე

მილიუსი, ახალგაზრდა მხატვარი, ხელმძღვანელობდა გერარდ დოუს სკოლას, როდესაც ეს უკანასკნელი მოხუცდა. ის ასწავლიდა მოხუცის მაგივრად და აძლევდა მას გაკვეთილების ხელფასს. უკანასკნელი ომის დროს ის წასულა ერთ-ერთი მისი მეგობარის მამისათვის წამლების მოსატანად. ავადმყოფი მამა იმყოფებოდა ლაიპციგის მიდამოში. ავადმყოფი შვილი იმყოფებოდა ლაიპციგში. მილიუსი შეპყრობილ იქნა პრუსიელების მიერ, როგორც ჯაშუში და ჩაგდებულ იქნა* საპყრობილეში, რომლიდან გამოსვლისას იგი გარდაიცვალა.

რამდენ მშვენიერ სიუჟეტს მისცემდა ფერწერას პრუსიელთა სიმძაფრე საქსონიაში, პოლონეთში, ყველგან, სადაც ისინი გაბატონდნენ!

ძნელია შესაბამისჰყო დედაკაცის ფიგურაში გრაცია და ტანსრულობა; და მამაკაცის ფიგურაში გრაცია და ძალა.

ნურასოდეს ნუ გადააცილებთ, აუცილებლობის გარეშე, რვა თავის სიმაღლეს.

მაგარშესახსრულობა ასაკმოსულობის მანიშნობელია; სუსტი და დაქანცული შესახსრულობანი კი შეეფერება სიბერეს; ბავშვებს ისინი სრულიად არ ემჩნევიან.

არც ზედმეტი სიფიცხე, არც ზედმეტი მორიდებულობა. სიფიცხე ღლის, მორიდებულობა რწმენას უკარგავს. წინასწარი გაგება იმისა, რაც უნდა განიცადო, იძლევა გამბედაობას და სიადვილეს.

სხეულის ყველა ნაწილს აქვს თავისი გამომეტყველება. ხელოვანთა ყურადღებას მე ვაქცევ ხელების გამომეტყველებას. გამომეტყველება, ისევე როგორც სისხლი და ნერვული ბოჭკოები, მიიკლაკნება და ისახება მთელს ფიგურაში.

უნდა მიჰბაძო მიქელ-ანჯელოს, და შეასწორო შენი ნახატი რაფაელის მიხედვით.

ის, რომ თავი უფრო მაღლა უნდა იყოს მობრუნებული მხრისაკენ, მექანიკის პრინციპად მიმაჩნია. მე გამონაკლისს ვაკეთებ მხოლოდ მომაკვდავი ადამიანისათვის. ხელოვანს შეუძლია სურვილისამებრ მოახრევინოს თავი წინისაკენ, უკან გადაახრევინოს, ან რომელიმე გვერდზე, როგორც მისთვის უფრო მოსახერხებელი იქნება.

მე ვსცდები: მე ვფიქრობ, რომ უნდა გამონაკლისი გაკეთდეს ადამიანისათვის, რომელიც გარკვეულ მოქმედებას აწარმოებს. არ ვიცი თუ ტიულიერის ფ ლ ე ი ტ ი ს ტ ს თავი მოხრილი არა აქვს უფრო დაშვებული მხარისაკენ. მე შევამოწმებ ამ ფაქტს.

როდესაც ქალი გაურბის მომტაცებელს და ამ დროს ზევით სწევს და წინ მიაქვს მარჯვენა ხელი, უეჭველია ამ მხარეზე მხარი უფრო მაღლა იქნება, ვიდრე მეორეზე მხარეზე; და სწორედ ამიტომ, თუ შიში აიძულებს მოატრილოს თავი იმის დასანახად, ახლოა მდევარი თუ შორს, ის მიიხედავს უკან მარცხენა მხარისაკენ.

მხატვარი, რომელსაც გაეგება კუნთთა თეორია, უფრო დარწმუნებული იქნება რომელიმე კუნთის მოძრაობის გამოსახვის დროს იმაში", რომ სწორად გადმოგვცემს მისი ანტაგონისტის კუნთის მოძრაობასაც.

ახალგაზრდებს, რომელნიც ისწრაფვიან შეისწავლონ ბუნების ფილოსოფია

ახალგაზრდავ, აიღე და იკითხე. თუ შენ შესძლებ ამ ნაწარმოების ბოლომდე გადაკითხვას, შენთვის შეუძლებელი არ იქნება უკეთესის გაგება. ვინაიდან მე უმალ განზრახული მაქვს შენი გავარჯიშება, ვინემ სწავლება, ამიტომ ჩემთვის მთავარი ის კი არაა მიიღებ თუ უკუაგდებ შენ ჩემს აზრებს, არამედ ის, რომ ამ უკანასნელთ შესძლონ მთელი შენი ყურადღების დაპყრობა. რომელიმე უკეთესი ოსტატი გასწავლის შენ ბუნების ძალთა შეცნობას; ჩემთვის კი საკმარისი იქნება შენი საკუთარი ძალა გაგასინჯო. მშვიდობით!

P. S. კიდევ ერთი სიტყვა, და მეც დაგეხსნები: ყოველთვის გახსოვდეს, რომ ბ უ ნ ე ბ ა ღ მ ე რ თ ი არაა; რომ ა დ ა მ ი ა ნ ი არაა მ ა ნ ქ ა ნ ა, რომ ჰ ი პ ო თ ე ზ ი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ა რ ა ა: და დარწმუნებული იყავ, რომ არასწორად გამიგებ მე ყველგან, სადაც კი ამ პრინციპების საწინააღმდეგო რასმეს შენიშნავ.

ბუნების განმარტებისათვის

Quae sunt in luce tuemur
E tenebris.
Lucret. De Rerum-natura, lib. VI.

I

ბუნების შესახებ ვსწერ. დაე, ჩემი აზრები იმავე წესით გადმოლაგდნენ ჩემი კალმის წვერიდან, რა წესითაც საგნები აღბეჭდილა ჩემს შეგნებაში; ასე უკეთ წარმოგიდგებათ ჩემი გონების მსვლელობა და მოძრაობანი. ესენი იქნებიან, ან ზოგადი აზრები ცდისეულ

ხელოვნებაზე, ანდა თავისებური შეხედულებანი მოვლენაზე, რომელმაც, როგორც ჩანს, გაიტაცა ყველა ჩვენი ფილოსოფოსები და ორ ჯგუფად გაჰყო ისინი. ჩემის აზრით, ერთს ჯგუფს მრავალი ფაქტი გააჩნია, ხოლო იდეები კი ცოტა; მეორეს კი მრავალი იდეა გააჩნია, მაგრამ ფაქტებს კი სავსებით მოკლებულია. ჭეშმარიტების ინტერესი მოითხოვდა, რომ, ბოლოსდაბოლოს, მოაზროვნეთ, კეთილ ინებონ გაერთიანება იმათთან, ვინც მოქმედობს, რათა თეორეტიკოსიც გაჰყვეს ამ მოძრაობას, რათა დამხმარე მუშამაც იქონიოს მიზანი თავის დაუსრულებელ მოძრაობაში, რათა ყველა ჩვენი ძალები გაერთი-

ანდნენ და ბუნების წინაღობის დასაძლევად იყონ მიმართულნი და
რათა ფილოსოფოსთა ასეთ ლიგაში თითოეულმა შეასრულოს მის-
დამი შესატყვისი როლი.

II

მათემატიკოსების დარგი – ინტელექტუალური სამყაროა; ასეთია
ჭეშმარიტება, უდიდესი გამბედაობით და სიმტკიცით აღიარებული
ჩვენს დროში,[35] ჭეშმარიტება, რომელსაც მხედველობიდან არ გაუშვებს
კარგი ფიზიკოსი და რომელსაც, უეჭველია, მეტად ნაყოფიერი შედე-
გები ექნება. ის, რაც ამ ინტელექტუალურ სამყაროში მყარ ჭეშმარი-
ტებადაა მიჩნეული, ჩვენს ცოდვილ მიწასთან შეხებისთანავე სრულებით
ჰკარგავს ამ უპირატესობას. აქედან ის დასკვნა გამოიტანეს, რომ
ექსპერიმენტული ფილოსოფიის საქმეა შესწორებები შეიტანოს გეო-
მეტრიის გაანგარიშებაში; და ეს დასკვნა თვით გეომეტრებმაც აღი-
არეს. მაგრამ რა საჭიროა გეომეტრიის გაანგარიშებათა შესწორება
ცდის დახმარებით? განა უფრო ადვილი არ იქნებოდა ცდების შედე-
გებით დაკმაყოფილება? აშკარაა, რომ მათემატიკური მეცნიერებანი,
განსაკუთრებით უმაღლესნი, ცდის გარეშე არაფერს ზუსტს არ იძლე-
ვიან; რომ ცდის გარეშე ისინი ემსგავსებიან ზოგად მეტაფიზიკას, სადაც
სხეულები ჰკარგავენ თავის ინდივიდუალურ თვისებებს და რომ, თით-
ქოს, რჩებოდეს მხოლოდ შრომის დაწერა სათაურით: ц д и с г а м о-
ყ ე ნ ე ბ ა გ ე ო მ ე ტ რ ი ა შ ი, ანდა ტ რ ა ქ ტ ა ტ ი გ ა ნ ზ ო მ ი ლ ე-
ბ ა თ ა ц д ო მ ი ლ ე ბ ა ზ ე.

III

მე არ ვიცი არის თუ არა რაიმე მსგავსება თამაშის არსსა და
მათემატიკურ გონებას შორის; მაგრამ ბევრია საერთო მათემატიკურ
მეცნიერებათა და თამაშს შორის. კიდევაც რომ უგულვებელვყოთ
თამაშის შედეგებში დაურწმუნებლობა, ანდა,რომ შევადაროთ ის მა-

თემატიკის არაზუსტობას, აბსტრაქციის გამო, ჩვენ შეგვიძლია განვი-
ხილოთ თამაშის მთელი წყება როგორც განუსაზღვრელი რიგი მო-
ცემულ პირობებში გადასაჭრელი პრობლემებისა. არაა არცერთი
საკითხი მათემატიკაში, რომელსაც იგივე განსაზღვრა არ უდგებო-
დეს, და ს ა გ ა ნ ი მათემატიკოსისა არსებობს ბუნებაში არა უმეტეს,
ვიდრე მოთამაშისა. ერთისა და მეორეს მხრითაც ეს პირობის საქმეა.
როდესაც გეომეტრები სახელს უტეხავდნენ მეტაფიზიკოსებს, ისინი
შორს იდგნენ იმ აზრიდან, რომ მთელი მათი მეცნიერება მხოლოდ
მეტაფიზიკაა. ერთხელ კითხულობდნენ: „ვის უწოდებენ მეტაფიზი-
კოსს?“ ერთმა გეომეტრმა უპასუხა: „ადამიანს, რომელმაც არაფერი
არ იცის“. ქიმიკოსები, ფიზიკოსები, ნატურალისტები და ყველა

ისინი, ვინც თავის გამოკვლევაში ექსპერიმენტულ ხერხს მიმართავენ, მეტაფიზიკოსებით არანაკლებ შეურაცხყოფილნი თავის გრძნობებში, ვგონებ მზად არიან შური იძიონ მეტაფიზიკის მაგიერ და იგივე განსაზღვრა მიაკუთვნონ გეომეტრს. ისინი ამბობენ: „რის მაქნისია ყველა ეს ღრმა თეორიები ციურ სხეულებზე, ყველა ეს გაუთავებელი გამოანგარიშებანი რაციონალური ასტრონომიისა, თუ ისინი არ ანთავისუფლებენ ბრედლის ან ლემონიეს ცაზე დაკვირვების აუცილებლობისაგან? მე კი ვამბობ – ბედნიერია გეომეტრი, რომელსაც აბსტრაქტულ მეცნიერებათა სერიოზულმა შესწავლამ არ შეუსუსტა ხელოვნების გემოვნება, რომელთანაც ჰორაციუსი და ტაციტი ისევე ახლო დგანან, როგორც ნიუტონი, რომელიც შესძლებს მრუდის თვისებების აღმოჩენასაც და პოეტის სილამაზის განცდასაც, რომლის აზრი და ნაწარმოები უცვლელნი დარჩებიან ყველა ეპოქისათვის და რომელიც პატივცემული იქნება ყველა აკადემიების მიერ! ის არ ჩაეფლობა უმეცრების წყვდიადში; მას არ ექნება შიში, რომ მისი სახელი მასზე ადრე მოკვდება.

IV

ჩვენ მოწამენი ვართ დიდი რევოლუციისა მეცნიერულ დარგში. იმ მიდრეკილებისა გამო, რომელიც, მე მგონია, ყველა გონებას აქვს მორალისაკენ, ლიტერატურისაკენ, ბუნების ისტორიისაკენ და ექსპერიმენტული ფიზიკისაკენ, მე თითქმის დარწმუნებით ვიტყვი, რომ ასი წელიწადიც არ გაიარს, როცა მთელს ევროპაში შეუძლებელი შეიქნება სამი დიდი გეომეტრის მოძებნა. ეს მეცნიერება შეჩერდება იმ ალაგზე, სადაც მას ბერნული, ეილერი, მოპერტუი, კლერო, ლაფონტენი, დალამბერი და ლაგრანჟი დასტოვებენ, ისინი დასდგამენ ჰერკულესის სვეტებს. ამ სვეტებს ვერავინ გაშორდება. მათი

შრომები დარჩება მომავალ საუკუნოებში, მსგავსად ეგვიპტის პირამიდებისა, რომელთა მასები, დატვირთული იეროგლიფებით, აღვიძებენ ჩვენში შემაძრწუნებელ აზრს მათი ამშენებელი ადამიანების სიდიადესა და საშუალებებზე.

V

როდესაც ჩასახვას იწყებს რომელიმე მეცნიერება, მაშინ, უდიდესი პატივისცემისა გამო, რომლითაც მისი ფუძემდებელნი სარგებლობენ საზოგადოებაში, აგრეთვე ბუნებრივად აღძრული სურვილისა გამო თვითონვე შეისწავლო საგანი, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობენ, რაიმე აღმოჩენით სახელის განთქმის იმედით, სახელოვან ადამიანთა გუნდში მოხვედრის პატივმოყვარული ჟინისა გამო, ყველა ამ მეცნიერებას ეპოტინება. დგება ისეთი დრო, როდესაც სხვადასხვა ჯურის

ხალხთა განუზომელი სიმრავლე კიდებს მას ხელს. ეს ან მაღალი საზოგადოების ხალხია, რომელსაც უსაქმობა აწუხებს; ან ცოდნის სხვა დარგებიდან გამოსულნი, რომელნიც ოცნებობენ მოდაში შესული მეცნიერებაში მოიხვეჭონ ის სახელი, რომლის მოხვეჭა მათ ამაოდ უცდიათ მეცნიერების სხვა დარგში; ანდა ზოგი მას თავის ხელობად იხდის; სხვები მიიწევენ მისკენ ბუნებრივი მიდრეკილებისა გამო. ასეთ შეერთებულ ძალას საკმაო სისწრაფით მიყავს მეცნიერება იმ საზღვრამდე, სანამდეც მას მისვლა შეუძლია. მაგრამ მისი საზღვრების გაფართოებასთან ერთად, საზღვრები მისდამი პატივისცემისა ვიწროვდება. რჩება პატივისცემა მხოლოდ წარჩინებით აღჭურვილ პირთა მიმართ. მაშინ ბრბო მცირდება; ახლა უკვე აღარ მიისწრაფვიან უცნობ მხარეში, სადაც ფორტუნა იშვიათი და ძნელი გახდა. მეცნიერებას შერჩა მხოლოდ ანგართმოყვარენი, რომელთაც ის ლუკმაპურს აჭმევს და რამდენიმე გენიალური ადამიანი, რომელთაც ის კიდევ დიდხანს აძლევს სახელს, პრესტიჟის დაცემის შემდეგაც, და რომელთა ნაშრომის უსარგებლობაზე ყველანი გაჰკივიან. ამ ნაშრომს ყოველთვის უყურებენ, როგორც საგმირო საქმეს, რომელიც პატივს სდებს კაცობრიობას. აი მოკლე ისტორიული სურათი გეომეტრიისა და ყველა მეცნიერებათა, რომლებიც აღარ ანათლებენ ან აღარ მოსწონთ; მე არ ვრიცხავ აქედან ბუნების ისტორიასაც.

VI

ვადარებთ რა ბუნების მოვლენათა დაუსრულებელ სიმრავლეს ჩვენი შეგნების შეზღუდულობასთან და ჩვენი ორგანოების სისუსტესთან, განა სხვა რამეს უნდა მოველოდეთ ჩვენი მუშაობის სინე-

ლისაგან, მისი ხშირი და ხანგრძლივი შეწყვეტისაგან და გენიოსქმედთა იშვიათად მოვლინებისაგან, გარდა მოწყვეტილი და ცალკეული ნაწილებისა იმ დიდებული ჯაჭვიდან, რომელიც ყველაფერს აერთიანებს?... მთელი საუკუნოებიც რომ იმუშაოს ექსპერიმენტალურმა ფილოსოფიამ, მის მიერ დაგროვილი მასალა, ბოლოსდაბოლოს მაინც დამუშავებისათვის გამოუსადეგარი იქნება თავისი გარდამეტი სიმრავლისა გამო და მასთან ოდნავ ამომწურავიც არ იქნება. რამდენი ტომი შეიქნებოდა საჭირო მხოლოდ იმისათვის, რომ შიგ მოგვეთავსებია მარტო ტერმინები, აღმნიშვნელნი მოვლენათა სხვადასხვა ჯგუფებისა, თვით მოვლენები კიდეც ცნობილი რომ იყოს? როდის დასრულდება ფილოსოფიური ენა? და დასრულებულიც რომ ყოფილიყო, რომელი ადამიანთაგანი შესძლებდა მის შესწავლას? თუ რომ მარადიულს თავისი ყოვლისშემძლებლობა უფრო თვალსაჩინოდ გამოეჩინა, ვიდრე ბუნების სასწაულებით და კეთილნებებია საკუთარის ხელით მოეხაზა წიგნის ფურცლებზე სამყაროს მექანიზმი, ვინ დაიჯერებს, რომ ეს დიადი წიგნი უფრო მისაწვდომი იქნებოდა ჩვენ-

თვის, ვიდრე თვით სამყარო? რამდენ გვერდს ამ წიგნისას გაიგებდა ის ფილოსოფოსი, რომელიც, მიუხედავად თავისი ტვინის სიმძლავრისა, არ იქნებოდა დარწმუნებული მასში, რომ შეეთვისებია მარტო ის დასკვნებიც კი, რომელთა შემწეობითაც ერთმა ძველმა გეომეტრმა განსაზღვრა სფეროს დამოკიდებულება ცილინდრთან? ამ წიგნით ჩვენ გვექნებოდა ჩვენი გონების სიძლიერის საკმაოდ კარგი საზომი და კიდევ უკეთესი სატირა ჩვენს მედიდურობაზე. ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა: ფერმატი მივიდა ამა და ამ გვერდამდე, არქიმედი წაიწია წინ რამდენიმე გვერდით. მაშ, როგორია ჩვენი მიზანი? ჩვენი მიზანია შესრულება სამუშაოსი, რომელიც არასოდეს არ შეიძლება შესრულდეს და რომელიც სრულიად მიუწდომელი იქნებოდა ადამიანის შეგნებისათვის, რომ ის კიდევაც ოდესმე დამთავრებულიყო. განა ჩვენ სენაარის ვაკის პირველ მცხოვრებლებზე უფრო უგნურები არა ვართ? ჩვენ ვიცით, რომ ცასა და დედამიწის შუა დაუსრულებელი მანძილია და მაინც არ ვეშვებით გოდოლის შენებას.

მაგრამ განა არ უნდა ვივარაუდოთ, რომ დადგება დრო, როდესაც ჩვენი საქციელწამხდარი სიამაყე შესწყვეტს ამ მუშაობას? რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აქ სივიწროვესა და მოუწყობლობაში მცხოვრები, ადამიანი მაინც დაჟინებით იშრომებს უმკვიდრო სასახლის ასაშენებლად ატმოსფეროს საზღვრის მიღმა? თუ კი ის გაჯიუტდება, ნუ თუ მას ენათა აღრევაც არ შეაჩერებს, რომელიც ახლაც უკვე მეტად საგრძნობი გახდა და ფრიად უხერხულია ბუნების ისტორიაში? თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სარგებლიანობა ყოვე-

ლივეს საზღვრავს. სარგებლიანობა რამდენიმე საუკუნის შემდეგ ცდისეულ ფიზიკას შემოფარგლავს, როგორც ახლა ის მზად არის შემოფარგლოს გეომეტრია. მე ვაძლევ ამ მეცნიერებას საუკუნეებს, იმიტომ, რომ მისი სარგებლიანობის სფერო დაუსრულებლად უფრო ფართოა, ვიდრე რომელიმე სხვა აბსტრაქტული მეცნიერებისა, და იმიტომ, რომ ის, უდაოდ, ჩვენი ჭეშმარიტ ცოდნათა საფუძველია.

VII

მანამ საგნები მხოლოდ ჩვენს შეგნებაში არსებობენ, ისინი მხოლოდ ჩვენს შეხედულებებს წარმოადგენენ: ეს ცნებანია, რომლებსაც შეუძლიათ იქნენ მცდარნი ან ჭეშმარიტი, შეწყობილი ან წინააღმდეგობრივი. ისინი მყარი ხდებიან მხოლოდ გარეშე საგნებთან დაკავშირებით. ეს კავშირი ხორციელდება ან ცდების განუწყვეტელი ჯაჭვით, ან მსჯელობის განუწყვეტელი ჯაჭვით იგი ერთი ბოლოთი დაკვირვებაზეა მიყრდნობილი, მეორეთი კი – ცდაზე; ანდა მსჯელობათა შორის, აქა-იქ გაბნეული ცდების ჯაჭვით, როგორც ტვირთები, ორი მხრიდან ჩამოკიდებული ძაფზე. უტვირთოდ ძაფი ჰაერის მცირეოდენი მოძრაობის სათამაშო შეიქნებოდა.

VIII

ცნებანი, რომელთაც არავითარი დასაყრდენი არა აქვთ ბუნებაში, შეიძლება შევადაროთ ჩრდილოეთის იმ ტყეებს, სადაც ხეები უფესვონი არიან. საკმარისია ქარის მსუბუქი დაბერვა, ან რაიმე უმნიშვნელო ფაქტი, რომ ყირამალა გადააბრუნოს მთელი ასეთი ხეების და წარმოდგენების ტყე.

IX

ადამიანები ძლივს გრძნობენ, თუ რა სასტიკია ამ მხრივ ჭეშმარიტებათა ძიების კანონები და რა რიგ განსაზღვრულია ჩვენი შესაძლებლობანი. ყველაფერი გამოიხატება გრძნობებიდან აზროვნებაზე და აზროვნებიდან გრძნობებზე გადასვლაში: განუწყვეტლივ ღრმავდებოდე საკუთარ არსებაში და უბრუნდებოდე სინამდვილეს, ეს ფუტკრის მუშაობა იქნებოდა. რისთვისაა საჭირო ფუტკარისათვის ყვავილიდან ყვავილზე გადაფრენა, თუ ცვილით სავსე სკაში არ შევიდა?

უმიზნოა ცვილის დაგროვება თუ იმისგან ფიჭის გაკეთება
არ იცი.

X

მაგრამ, საუბედუროდ, საკუთარი თავის გამოკითხვა უფრო ადვილი და ხელმისაწვდომია, ვიდრე ბუნებისა. ამიტომ გონებას მიდრეკილება აქვს თავისივე თავში დარჩეს, ინსტინქტს კი – გარეთ გაიშალოს. ინსტინქტი განუწვეტლივ ათვალიერებს, სინჯავს, ეხება, უსმენს; და შეიძლება ცხოველების შესწავლით ცდისეული ფიზიკა უკეთ ისწავლო, ვიდრე პროფესორის ლექციების მოსმენით. ცხოველების საქციელში არ არის თვალთმაქცობა. ისინი მიდიან თავიანთ მიზნისაკენ, უზრუნველად იმაზე, თუ რაა მათ გარშემო: თუ ისინი ჩვენ გვაკვირვებენ, ეს სრულიად არ შედის მათ განზრახვაში. გაკვირვება პირველი ეფექტია დიადი მოვლენისა: მხოლოდ ფილოსოფია თუ გაჰფანტავს მას. ცდისეული ფილოსოფიის ლექციამ მსმენელი უფრო განსწავლული უნდა გახადოს და არა უფრო განცვიფრებული. იამაყო ბუნების მოვლენებით, თითქოს შენ თვითონ იყო მათი ავტორი, იგივე იქნება რომ მიჰბაძო ც დ ე ბ ი ს ერთერთ გამომცემლის სისულელეს, რომელსაც, გაუწითლებლად მონტენის სახელის გაგონება არ შეეძლო. საკუთარი ცოდნის არასაკმარისობის აღიარება დიდებული გაკვეთილია, რისი საბაბიც ხშირად ეძლევა ადამიანს. უკეთესი არაა სხვების ნდობა დაიმსახურო გულწრფელი მ ე ა რ ა ფ ე რ ი ა რ ვ ი ც ი თ, ვიდრე იბურტყუნო რაღაც სიტყვები და შენი თავისთავისვე საცოდავი შეიქნე, ეცადო რა ყო-

ველივეს ახსნას? ვინც გულახდილად აღიარებს, რომ მან არ იცის ის, რაც მან არ უწყის, მაგულიანებს დავუჯერო მას ყოველივე ის, რისი ახსნასაც ის მე დამიწყებს.

XI

გაკვირვება ხშირად იწყება იმისაგან, რომ ჩვენ ვვარაუდობთ მრავალი სასწაულების არსებობას იქ, სადაც მხოლოდ ერთია; რომ ჩვენ წარმოვისახავთ იმდენ ცალკეულ ქმედობათა არსებობას ბუნებაში, რამდენი მოვლენაც იქ ირიცხება, მაშინ როდესაც ბუნებას, შესაძლოა, მხოლოდ ერთი ქმედობის მეტი არ მოუცია. რომ მას ჰქონოდა მრავალი ქმედობის წარმოშობის აუცილებლობა, მაშინ კი მათი სხვადასხვანაირი შედეგები, ალბად, იზოლირებულნი იქნებოდნენ; წარმოიშობოდნენ ერთმანეთზე დამოუკიდებელ მოვლენათა ჯგუფები, და მთელი ჯაჭვი, რომლის განუწყვეტლობა იგულისხმება ფილოსოფიაში, გაწყდებოდა მრავალ ადგილას. აბსოლუტური დამოუკიდებლობა ერთი ფაქტისა შეუთავსებელია მთელის წარმოდგენასთან; მთელის წარმოდგენის გარეშე კი ფილოსოფია არ არსებობს.

XII

როგორც ჩანს, ბუნებას მოსწონს დაუსრულებლად სხვადასხვა სახით ვარიირება ერთისა და იმავე მექანიზმისა[36]. ის სტოვებს თავის რომელიმე სახის ნაწარმოებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაამრავლებს ყოველგვარ სახეებში მის ინდივიდებს. როდესაც უკვირდები ცხოველთა სამეფოს და ამჩნევ, რომ ოთხფეხთა შორის არ არის არცერთი ცხოველი, რომლის ფუნქციები და ნაწილები, უმთავრესად შინაგანი, სავსებით არ ემსგავსებოდნენ ასეთივეებს სხვა ოთხფეხისას, ნუ თუ სიამოვნებით არ დაიჯერე, რომ ოდესღაც იყო ერთი პირველი ცხოველი, ყველა ცხოველის პროტოტიპი, რომლის ზოგიერთი ორგანოები ბუნებამ მხოლოდ დააგრძელა, დაამოკლა, გარდაქმნა, გაამრავლა, გააწონასწორა? წარმოიდგინეთ ერთმანეთთან შეერთებულად ხელის თითები და საფრჩხილე ქსოვილი ისე მოჭარბებული, რომ გაფართოებული და გაბერილი ის გაიშალოს და დაჰფაროს ყოველივე; ადამიანის ხელის მაგივრად თქვენ მიიღებთ ცხენის ფეხს. როცა ვუკვირდებით პროტოტიპის საფარველის მეტამორფოზის თანამიმდევრობას, რამდენადაც შეუმჩნეველი არ იყოს იგი თავისი გადასვლებით, ის მაინც აახლოვებს ერთ სამეფოს მეორესთან და ავრცელებს მათ ორ სამეფოს საზღვრებზე (თუ ნებას მიბოძებთ ვიხმაროთ ტერმინი ს ა ზ ღ ვ ა რ ი, იქ, სადაც სინამდვილეში არავითარი გაყოფა არ არსებობს). და, ვამბობ მე, ავრცელებსო, ორი სამეფოს საზღვრებზე საეჭვო, გამოურკვეველ არსებათ, უმეტეს შემთხვევაში ფორმებს, მოკლებულთ თვისებებსა და ფუნქციებს

ერთისა და დაჯილდოებულთ ფორმებით, თვისებებით და ფუნქციებით მეორისა; ვინ არ მოისურვებდა იმის დაჯერებას, რომ ოდესღაც იყო მხოლოდ ერთი პირველარსება – ყველა არსებათა პროტოტიპი? მაგრამ მიიღებთ თქვენ დოქტორ ბაუმანთან[37] ერთად ამ ფილოსოფიურ ვარაუდს, როგორც ჭეშმარიტებას, თუ ბიუფონთან ერთად უკუაგდებთ მას, როგორც მცდარს, თქვენ მაინც ვერ უარყოფთ, რომ საჭიროა მისი მიღება, როგორც ჰიპოთეზისა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ცდისეული ფიზიკისა და რაციონალური ფილოსოფიის პროგრესისათვის, ორგანიზაციაზე დამოკიდებულ მოვლენათა აღმოჩენისა და ახსნისათვის, რადგან აშკარაა, რომ ბუნებას შეეძლო განესაზღვრა ესოდენი მსგავსება ნაწილებში და დაემყარებია ესოდენი სხვადასხვაობა ფორმებში, ისე რომ არ გამოემჟავნებია ერთს ორგანიზებულ არსებაში ის, რაც მან მეორეს წაართვა. ბუნება ემსგავსება ქალს, რომელსაც კეკლუცად მორთვა უყვარს და რომელიც ანახვებს რა ხან ერთს, ხან მეორე ნაწილს, მაინც იმედს აძლევს თავის მოტრფიალეებს ოდესმე მთლიანად გაიცნონ იგი.
70

XIII

აღმოაჩინეს, რომ ერთს სქესს ისეთივე სათესლე სითხე აქვს, როგორც მეორეს. ამ სითხის შემცველი ორგანოები უკვე აღარ წარმოადგენენ საიდუმლოებას. შენიშნეს, რომ დედლის ცნობილ ორგანოებში განსაკუთრებული ცვლილებები ხდება, როდესაც ბუნება იძულებულს ხდის მას მამალი მოსძებნოს[38]. როდესაც ადარებ სქესთა შეერთების დროს ერთის ტკბობის სიმპტომებს მეორეს ტკბობის სიმპტომებს და რწმუნდები, რომ ვნება ორივე მათგანს ერთნაირად დამახასიათებელი ფორმის აღტაცებაში უმჟღავნდებათ, არ შეიძლება ეჭვი არ შეგეპაროს, რომ მათში ხდება სათესლე სითხის ერთნაირი გადმოღვრა. მაგრამ სად და როგორ სწარმოებს ეს გადმოღვრა ქალებში? რა ემართება სითხეს? რა გზით მიდის იგი? ამას გაიგებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ბუნება, არა ყოველგან და ყველაფერში იდუმალი, გამოამჟღავნებს თავს რომელიმე სხვა სახეში, რაც, ალბად, მოხდება ერთერთი შემდეგი ორი საშუალებათაგანით: ან ორგანოების ფორმები უფრო აშკარა გახდებიან, ან სითხის გადმოღვრა, მისი განსაკუთრებული სიუხვით, საგრძნობი გახდება დასაწყისში და მთელ მის გზაზე. ის, რაც გარკვეულად მჟღავნდება ერთ არსებაში, არ დააყოვნებს გამომჟღავნებას მეორე მის მსგავსში. ცდისეულ ფიზიკაში ეჩვევიან უმნიშვნელო მოვლენის შემჩნევას დიდ მოვლენაში; ისე როგორც რაციონალურ ფიზიკაში – დიდი სხეული შეისწავლება პატარაში.

XIV

მეცნიერებათა განუზომელი გალავანი მე წარმოდგენილი მაქვს ფართო მინდვრად, რომელზედაც მიმობნეულია ბნელი და ნათელი ლაქები. ჩვენი შრომის მიზანი უნდა იყოს ან ნათელი ლაქების საზღვრების გაფართოება, ანდა მინდორში სინათლის ცენტრების გამრავლება. ერთი შეშვენის გენიოსს, რომელიც ჰქმნის; მეორე – გამჭრიახობას, რომელიც აუმჯობესებს.

XV

ჩვენ სამი მთავარი საშუალება გვაქვს: ბუნებაზე დაკვირვება, აზროვნება და ცდა. დაკვირვება აგროვებს ფაქტებს; აზროვნება აკომბინირებს მათ; ცდა ამოწმებს კომბინაციების შედეგებს. ბუნებაზე დაკვირვებისთვის საჭიროა მუყაითობა, აზროვნებისათვის სიღრმე და ცდებისთვის სიზუსტე. იშვიათად გვხვდება ეს სამი საშუალება შეერთებული. ამიტომაც გენიოსი შემომქმედნი არც ისე ხშირი არიან.
71

XVI

ზოგი ფილოსოფოსი, რომელიც, მსგავსად უბადრუკი პოლიტიკოსისა, ჭეშმარიტებას უცქერის მხოლოდ მელოტი მხარედან, ამტკიცებს,რომ შეუძლებელია ჭეშმარიტების ხილვა. ამავე დროს კი სრულიად უბრალო მუშაკმა შეიძლება უცაბედად იხილოს ჭეშმარიტების ნამდვილი ანუ თმიანი მხარე. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ცდების მუშაკთა შორისაც არიან უბედოები: ერთი მათგანი მთელ თავის სიცოცხლეს მწერებზე დაკვირვებაში დახარჯავს და ვერაფერს ახალს ვერ დაინახავს; მეორე კი გაკვრით შეხედავს მათ და შენიშნავს სიპინს ან ბალახის ტილს – ჰერმაფროდიტს.

XVII

განა ქვეყანას აკლდა გენიოსები? არავითარ შემთხვევაში. განა ისინი საკმარისად არ აზროვნობდნენ და არ სწავლობდნენ? ამაზე ეჭვიც არ შეიძლება. მეცნიერებათა ისტორია სავსეა განთქმული სახელებით; მიწის ზედაპირი დაფარულია ჩვენი ნაშრომთა ძეგლებით, მაშ რატომ ასე მცირედია გარკვეული ცოდნა ჩვენს განკარგულებაში? რა ბედისწერაა, რომ მეცნიერება ასე ნელი ნაბიჯით მიდის წინ? განა ჩვენ სამუდამოდ ბაშვებად დარჩენა გვიწერია? მე უკვე ვუპასუხე ამ კითხვებზე. აბსტრაქტულ მეცნიერებებს მეტად ხანგრძლივ და მეტად უნაყოფოდ ჰყავდათ ტყვეობაში საუკეთესო ტვინები; ან არ სწავლობდნენ იმას, რისი ცოდნაც საჭირო იყო, ან სწავლობდნენ უგეგმოდ გარკვეული შეხედულების გარეშე, უმეთოდოდ; სიტყვები დაუსრულებლად გამრავლდნენ, საგნების ცოდნა კი ჩამორჩენილი დარჩა.

XVIII

ფილოსოფოსების ჭეშმარიტი ხერხი იყო და ალბად იქნება
რომ გონება გონებას შეაშველო, გონება და გამოცდილება – გრძნო-
ბებს, გრძნობები – ბუნებას, ბუნება – ფაქტების შემოწმებას, ფაქ-
ტები – კვლევას და ხელობათა გაუმჯობესებას, რომლებსაც ხალხს
მიუგდებენ, რათა ასწავლონ მას ფილოსოფიისადმი პატივისცემა.

XIX

არის მხოლოდ ერთი საშუალება, რათა მოსაწონი გავხადოთ ფი-
ლოსოფია ხალხის თვალში; დავარწმუნოთ ის, რომ ფილოსოფია სასარ-
გებლოა. ხალხი ყოველთვის კითხულობს რ ი ს თ ვ ი ს ა ა ე ს? და არა-
სოდეს არ უნდა უპასუხოთ მას: ა რ ა ფ რ ი ს ა თ ვ ი ს; მან არ იცის,

რომ ის, რაც ანათლებს ფილოსოფოსს, და ის, რასაც სარგებლობა
მოაქვს უბრალო ხალხისათვის, – სულ სხვადასხვა საგნებია, ვინაიდან
ფილოსოფოსის გონება ხშირად ნათლდება იმით, რაც მავნებელია,
და ბნელდება იმით, რაც სასარგებლოა.

XX

ფაქტები, როგორიც არ უნდა იყვნენ ისინი თავიანთი ბუნე-
ბით, შეადგენენ ფილოსოფოსის ნამდვილ სიმდიდრეს. მაგრამ ერთ-
ერთი ყალბი აზრი რაციონალური ფილოსოფიისა იმაშია, რომ ადა-
მიანი, რომელსაც ეკიუთა*) უთვალავი რაოდენობა გააჩნია არ
იქნება უფრო მდიდარი მეორეზე, რომელსაც მხოლოდ ერთი
ეკიუ ექნება. საუბედუროდ, რაციონალური ფილოსოფია გაცილე-
ბით მეტს ზრუნავს მის განკარგულებაში მყოფი ფაქტების ერთმა-
ნეთთან შეფარდება-დაკავშირებაზე, ვიდრე ახალი ფაქტების დაგ-
როვებაზე.

XXI

ფაქტების შეკრება და დაკავშირება, ეს ორი მეტად ძნელი
საქმეა; ამიტომაც ფილოსოფოსებმა გაინაწილეს ისინი ერთმანეთში.
ერთნი – სასარგებლო და მუყაითი მშრომელნი, მთელს სიცოცხლეს
ატარებენ მასალების დაგროვებაში: მეორენი ამაყი არქიტექტო-
რები – ჩქარობენ მოახმარონ ეს მასალა საქმეს. მაგრამ დღემდე
დრო ანგრევდა რაციონალური ფილოსოფიის თითქმის ყველა ნაგე-
ბობას. ადრე თუ გვიან გამტვერილ მშრომელს ამოაქვს მიწისქვე-
შეთიდან, სადაც ის ბრმად თხრის, ლოდი, რომელიც ფატალური

გახდა ნაგებობისათვის; შენობა იმსხვრევა და რჩება მხოლოდ ნამ-
სხვრევთა ხროვანი, სანამ მოვიდოდეს მეორე გამბედავი გენიოსი,
რომელიც შეუდგება მათგან ახალი კომბინაციების შექმნას. ბედ-
ნიერია ფილოსოფოსი-სისტემატიკოსი, რომელსაც, ისე როგორც
ოდესღაც ეპიკურს, ლუკრეციუსს, არისტოტელეს, პლატონს ბუნება
დააჯილდოებს მძლავრი წარმოსახვით, უდიდესი მჭერმეტყველებით,
საკუთარ იდეათა მაღალ და ნათელ სახეებში გადმოცემის ხელოვ-
ნებით! მის მიერ აგებული შენობა, შეიძლება ოდესმე დაეცეს; მაგ-
რამ ნანგრევებში დარჩება მისი ძეგლი; კლდე კი, მთიდან მომსკ-
დარი, ვერ დაამსხვრევს მას, ვინაიდან ის თიხის ფეხებზე არა დგას.

---

*) ეკიუ – ძველებური ფულის ერთეული. მთარგმნ.

XXII

გონებას თავისი ყალბი აზრები აქვს; გრძნობას – თავისი გამო-
ურკვევლობა; მეხსიერებას – თავისი საზღვრები; წარმოსახვას – თავისი
ელვარება; ფაქტებს – თავიანთი უსრულობა; მოვლენები აურიცხა-
ვია, მიზეზები ფარულნი, ფორმები, შეიძლება, წარმავალნი. დასაძლე-
ვად, ესოდენი დაბრკოლებებისა, რომლებიც ჩვენში არიან მოთავსე-
ბულნი და ჩვენს გარეშედაც აღუმართავს ისინი ბუნებას, ჩვენ გაგ-
ვაჩნია მხოლოდ უბადრუკი ცდა და განსაზღრული აზროვნება: აი ის
ბერკეტები, რომლებითაც ფილოსოფიას მთელი ქვეყნის გადაბრუ-
ნება განუზრახავს.

XXIII

ჩვენ გავარჩიეთ ორგვარი ფილოსოფია, ცდისეული და რა-
ციონალური. ერთს ახვეული აქვს თვალები, დაიარება ყოველთვის
ხელცეცებით, ეტანება ყველაფერს, რაც კი ხელში მოჰყვება, ბო-
ლოსდაბოლოს ჰპოულობს ძვირფას საგნებს. მეორე აგროვებს ამ
ძვირფასეულობას და ცდილობს ჩირაღდანი გაიკეთოს მათგან: მაგ-
რამ დღემდე ეს ყალბი ჩირაღდანი უფრო ცუდად ემსახურებოდა მას,
ვიდრე ხელცეცებით ძებნა მის მეტოქეს, და ასეც უნდა მომხდარიყო.
ცდა დაუსრულებლად ამრავლებს თავის მოძრაობას; ის განუწყვეტ-
ლივ მოქმედებაშია; მთელს იმ დროს, რომელსაც გონება ანალოგიე-
ბის ძებნაში ხარჯავს,ის მოვლენათა ძებნაში აბანდებს. ცდისეულმა
ფილოსოფიამ არ იცის არც ის, რა გამოვა, არც ის, რა არ გამოვა
მისი მუშაობიდან; მაგრამ ის განუწყვეტლივ მუშაობს. რაციონა-
ლური ფილოსოფია კი, წინააღმდეგ, აწონდაწონის შესაძლებლო-
ბებს, გამოიტანს მსჯავრს და დადუმდება. ის გაბედულად გამო-
სთქვამს: „ს ი ნ ა თ ლ ი ს დ ა შ ლ ა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა“. ცდისეული ფი-
ლოსოფია უსმენს მას და სდუმს მის წინაშე მთელი საუკუნეების

განმავლობაში; შემდეგ უცებ გამოაჩენს ის პრიზმას და იტყვის: „ს ი ნ ა თ ლ ე ი შ ლ ე ბ ა“.

XXIV

ცდისეული ფიზიკის ესკიზი

ცდისეული ფიზიკა სწავლობს საერთოდ ყოფიერებას, ხარისხებს და გამოყენებას.

ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა მოიცავს ი ს ტ ო რ ი ა ს, ა ღ წ ე რ ა ს, წ ა რ მ ო შ ო ბ ა ს, შ ე ნ ა ხ ვ ა ს და ნ გ რ ე ვ ა ს.

ი ს ტ ო რ ი ა შეიძლება იყოს: ადგილმდებარეობათა, შემოტანის, გატანის, ფასის, ცრუმორწმუნეობისა, და სხვ...

ა ღ წ ე რ ა ეხება ყველა შინაგან და გარეშე ხელსაწვდომ ხარისხებს.

წ ა რ მ ო შ ო ბ ა, აღებული პირველადი ჩასახვიდან სრულყოფის მდგომარეობამდე.

შ ე ნ ა ხ ვ ა – მოცემული მდგომარეობის ყოველივე საშუალებით შენარჩუნებაა.

ნ გ რ ე ვ ა, აღებული სრულყოფის მდგომარეობიდან დ ა შ ლ ი ს ან დ ა ღ უ პ ვ ი ს, გ ა ხ ს ნ ი ს ან გ ა ხ რ წ ნ ი ს უკანასკნელ ცნობილ საფეხურამდე.

ხ ა რ ი ს ხ ე ბ ი არიან ზოგადნი ან განსაკუთრებულნი.

მე ვუწოდებ ზ ო გ ა დ ს ისეთს ხარისხებს, რომელნიც საერთო არიან ყველა არსებისათვის და რომლებიც ვარიირობენ მათში მხოლოდ რიცხვობრივ.

მე ვუწოდებ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ს ისეთ ხარისხებს, რომელნიც ჰქმნიან განსაზღვრულ არსებობას; ისინი შესდგებიან ან მ თ ლ ი ა ნ ი სუბსტანციიდან, ანდა დ ა ყ ო ფ ი ლ ი ან დ ა შ ლ ი ლ ი სუბსტანციიდან.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა მოიცავს შ ე დ ა რ ე ბ ა ს, მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ს და კ ო მ ბ ი ნ ი რ ე ბ ა ს.

შ ე დ ა რ ე ბ ა სწარმოებს მსგავსობის ან სხვაობის საშუალებით.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა უნდა იყოს რაც შეიძლება უფრო ვრცელი და მრავალნაირი.

კ ო მ ბ ი ნ ა ც ი ა არის ანალოგიური ან თავისებური.

XXV

მე ვამბობ: ა ნ ა ლ ო გ ი უ რ ი ან თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი, რადგან ბუნებაში ყოველივეს აქვს თავისი შედეგი: როგორც ყველაზე უფრო უაზრო ცდას, ისე ყველაზე უფრო გონიერსაც. ცდისეული ფილოსო-

ფია, რომელიც მიზნად არაფერს ისახავს, ყოველთვის კმაყოფილია იმით, რაც მას გამოუდის; რაციონალური ფილოსოფია ყოველთვის მცოდნეა, მაშინაც კი, როცა მას არ გაუმართლდა ის, რაც განზრახული ჰქონდა.

XXVI

ცდისეული ფილოსოფია მარტივი მეცნიერებაა და გონების თითქმის არავითარ მომზადებას არ მოითხოვს. არ შეიძლება იგივე ითქვას ფილოსოფიის სხვა დარგებზე მათი უმრავლესობა იწვევს ჩვენში ვარაუდთა აბობოქრებას. დროთა განმავლობაში ცდისეული ფილოსოფია აცხრობს მათ. ადრე თუ გვიან მობეზრდებათ ხოლმე უხეირო ვარაუდთა ამოცნობაზე თავისმტვრევა.

XXVII

დაკვირვებისადმი მიდრეკილება შეიძლება ყოველ ადამიანს ჩააგონოთ; ცდისადმი მიდრეკილება, როგორც სჩანს, მხოლოდ მდიდარ ხალხს უნდა ჩააგონოთ.

დაკვირვებისათვის საჭიროა მხოლოდ გონების ჩვეულებრივი გამოყენება; ცდებისათვის აუცილებელია განუწყვეტელი ხარჯი. სასურველი იქნებოდა, რომ დიდებულთ თავიანთ გასაკოტრებლად მიემატებიათ ეს საშუალებაც ესოდენი სხვა, მათ მიერ გამოგონილი, მაგრამ უფრო ნაკლებ პატივცემული საშუალებებისადმი. უკეთ რომ ვიმსჯელოთ, უკეთესია ქიმიკოსმა დაუცალიეროს მათ ჯიბე, ვიდრე საქმის მჩარხველებმა გააძრონ ტყავი; უკეთესია გატაცება ცდისეული ფიზიკით, რომელიც ხანგამოშვებით გაართობდა მაინც მათ, ვიდრე ქანცისლევა ტკბობის აჩრდილზე, რომელსაც ისინი განუწყვეტლივ დასდევდნენ, მაგრამ რომელიც მათ ყოველთვის ხელიდან უსხლტებოდათ. მატერიალურად შევიწროებულ, მაგრამ ცდისეული ფიზიკისადმი მიდრეკილების მქონე ფილოსოფოსებს მე დიდი ხალისით მივსცემდი ისეთს რჩევას, როგორსაც ჩემს მეგობარს, თუ მას გარყვნილი ტურფა ქალის დაუფლების სურვილი ვნებად გადაექცეოდა.

Laidem habeto, dummodo te Lais non habeat[39]

ასეთივე რჩევას მივსცემდი მე მათ, ვინც საკმაოდ ფართო ნიჭითაა დაჯილდოებული, რომ სისტემები შეჰქმნას, და ვინც საკმაოდ მდიდარია, რომ ისინი ცდებზე შეამოწმოს: გქონდეთ სისტემა, მე გეთანხმებით ამაში; მაგრამ თქვენზე გაბატონების ნებას ნუ მისცემთ მას: Laidem habeto.

XXVIII

თავისი კეთილი შედეგებით – ცდისეული ფიზიკა შეიძლება შევადაროთ იმ ანდერძს, რომელიც მომაკვდავმა მამამ მისცა თავის შვილებს, რომ მის ყანაში განძია დაფლული, მაგრამ მან არ იცის რომელ ალაგას. შვილებმა ყანის თხრა დაიწყეს; განძი მათ ვერ ნახეს; მაგრამ სამაგიეროდ მიიღეს უხვი მოსავალი, როგორსაც არ მოელოდნენ.

XXIX

შემდეგ წელს ერთ-ერთმა შვილმა უთხრა თავის ძმებს: მე გულდასმით დავათვალიერე მამის დატოვებული მიწა და ვფიქრობ, რომ ვიპოვე განძის ადგილი. „მომისმინეთ, აი მე როგორ ვმსჯელობდი. თუ განძი მინდორშია ჩაფლული, მის სივრცეზე უნდა იყოს რაღაც ნიშნები, განძის მდებარეობის მაჩვენებელნი; და აი მე შევნიშნე

უცნაური ნაკვალევი ყანის აღმოსავლეთის კუთხეში; ნიადაგი იქ ეტყობა ამოთხრილი იყო. წარსულ წელს ჩვენ გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ნიადაგის ზედა ფენაში არაა განძი; მაშასადამე, ის მის სიღრმეშია დამალული: მოვკიდოთ ხელი ბარებს და ვბაროთ სანამ ძუნწის მიწისქვეშეთს არ მივაღწევთ. გატაცებულნი არაიმდენად მსჯელობის ძლიერებით, რამდენადაც გამდიდრების წყურვილით, ძმები ყველანი შეუდგნენ მუშაობას. მათ უკვე ამოთხარეს ღრმა ორმო, მაგრამ ვერაფერი ვერ ნახეს; უკვე იმედი ეკარგებოდათ მათ და უკვე ბუზღუნი შეიქნა ძმებს შორის, როდესაც ერთ მათგანს, კრიალა ნაწილაკების გამო, მოეჩვენა, რომ რაღაც მადანს წააწყდა. ეს მართლაც ტყვიის მადანი იყო, რომელსაც ოდესღაც ამუშავებდნენ, და რომელიც დაამუშავეს მათაც და მდიდარი ნაყოფი მიიღეს. ასეთია ზოგჯერ ცდების შედეგები, შთაგონებული რაციონალური ფილოსოფიის სისტემატური იდეებითა და დაკვირვებებით. ამრიგად, ქიმიკოსები და გეომეტრები, რომლებიც დაჟინებით მუშაობდნენ, – შეიძლება, გადაუჭრელი პრობლემების გადაჭრის ცდისას ხშირად მისულან უფრო მნიშვნელოვან აღმოჩენებამდე, ვიდრე თვით ამ პრობლემების გადაჭრაა.

XXX

ცდების წარმოებაში დიდი დახელოვნებისა გამო, ამ საქმის ყოვლად უხეშ მოხელეებშიაც კი გამომუშავდება ხოლმე წინაგრძნობა, რომელსაც ზეშთაგონების ხასიათი აქვს. ასეთ წინაგრძნობაში შეცდომა თითქმის მარტო ამ მოხელეებზეა დამოკიდებული, რომელთაც, სოკრატეს მზგავსად, უფლება აქვთ მ ც ვ ე ლ ი გ ე ნ ი ა უწოდონ ასეთ ზეშთაგონებას. სოკრატეს ადამიანების გაგებისა და გარემოებათა აწონ-დაწონის ისეთი განსაცვიფრებელი გამოცდილება ჰქონდა, რომ უუძნე-

ლეს მდგომარეობაშიაც კი მასში შეუმჩნევლად მწიფდებოდა სწრაფი
და ზუსტი კომბინაცია, პროგნოზის თანხლებით, რომელსაც თითქმის
ყოველთვის მომავალი ადასტურებდა. ის მსჯელობდა ადამიანებზე,
როგორც გემოვნების მქონე პირები გრძნობათა მეშვეობით მსჯელობენ
გონების ნაწარმოებზე. ცდისეულ ფიზიკაში იგივე ითქმის ჩვენი დი-
დებული მუშაკების ალღოს შესახებ. მათ ხშირად უხდებათ თა-
ვიანთ ცდებში ბუნების ქმედების ისეთი ახლო მეთვალყურეობა, რომ
ისინი საკმაო სიზუსტით ხვდებიან თუ რა მიმართულება შეუძლია
მიიღოს ბუნებამ იმ შემთხვევებში, როცა მათ ფიქრად მოუვათ მისი
პროვოცირება თავიანთი ფრიად თავისებური ცდებით. ამრიგად,
ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი სამსახური, რომელიც მათ შეუძ-
ლიათ გაუწიონ მათ მიერვე ცდისეულ ფილოსოფიას განდობილ პი-
რებს, იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შეათვისო მათ პროცესისა

და მისი შედეგების ცოდნა, არამედ იმაში, რომ შთანერგო მათში
წინასწარჭვრეტის სული, რომლის შემწეობითაც, ასე ვთქვათ, შეიძ-
ლება ალღო აუღო უცნობ მეთოდებს, ახალ ცდებს, გაუთვა-
ლისწინებელ შედეგებს.

XXXI

როგორ ზოგადდება ეს სული? საჭირო იქნებოდა, რომ ის, ვისაც
იგი აქვს, ჩაღრმავდეს თავის თავში, რათა მკაფიოდ შეიგნოს, თუ რას
წარმოადგენს ის, რათა ამით მცველი გენია შესცვალოს ადვილად გა-
საგები და ნათელი ცნებებით და განუმარტოს ეს ცნებები სხვებს. თუ
ის, მაგალითად, მონახავდა, რომ ეს არის შესაძლებლობა ად-
ვილად გაითვალისწინო ან შენიშნო წინააღმდეგო-
ბანი ან ანალოგიები, რომელთა წყარო მდებარეობს
ცალკ-ცალკე ან ერთობლივ, ან მათ ურთიერთმოქმე-
დებაში გასინჯულ არსებათა ფიზიკური თვისებების
პრაქტიკულ ცოდნაში, ამით ის განავითარებდა ამ აზრს, განამ-
ცკიცებდა რა მას მისი მეხსიერებიდან ამოტივტივებული მრავალი ფაქ-
ტებით, რითაც შეიქმნებოდა ზუსტი ისტორია მის თავში წარმოშობილ
აშკარა შეუსაბამობათა. მე ვამბობ შეუსაბამობათა, რადგანაც
სხვა რა სახელი უნდა დაერქვას ასეთ ჯაჭვს ვარაუდებისას, დამყარე-
ბულთ წინააღმდეგობებზე და იმდენად ურთიერთდაშორებულთ, იმდე-
ნად უჩინარ მსგავსებებზე აგებულთ, რომ ავადმყოფის ბოდვაც კი მათ-
თან შედარებით უცნაურობად ან უთავბოლობად არ მოგეჩვენებოდათ?
ზოგჯერ ვერ მონახავ თუნდაც ერთ ვარაუდსაც, რომელიც სადაო არ
იყოს ან თავისთავად, ანდა წინანდელთან ან მერმინდელთან დაკავში-
რებით. მთელი კი იმდენად არასაიმედოა როგორც თავის წინაპი-
რობებში, ისე თავის დასკვნებში, რომ ხშირად უგულვებელჰყოფ-
დნენ მათგან გამომდინარე დაკვირვებებისა და ცდების გაკეთებას.

მაგალითები

XXXII

პირველი ვარაუდები

1. არის სხეული, რომელსაც ბუშტნამქერს უწოდებენ. ეს უცნაური სხეული ქალის ორგანიზმში ჩნდება და, ზოგიერთების აზრით, მამაკაცის დაუხმარებლად. რა სახითაც არ უნდა მოხდეს ჩასახვა, აშკარაა, რომ მასში ორივე სქესი იღებს მონაწილეობას. ხომ არაა ბუშტნამქერი ერთობლიობა ან ყველა ელემენტების, რომ-

ლებიც ქალის ორგანიზმიდან გადმოდინდება ადამიანის ჩასახვის დროს, ან ყველა ელემენტების, რომლებიც მამაკაცის ორგანიზმიდან გადმოდინდება ქალთან სხვადასხვა შეყრის დროს. ხომ არ შეუძლიათ ამ ელემენტებს, მამაკაცში დამშვიდებულ მდგომარეობაში მყოფთ, აღგზნება, გაღიზიანება და მოძრაობაში მოსვლა ზოგიერთი მხურვალე ტემპერამენტის და მძლავრი წარმოსახვის მქონე ქალში გაფანტვის და ჩარჩენის დროს? ამ ელემენტებს, ქალში დამშვიდებულ მდგომარეობაში მყოფთ, ხომ არ შეუძლიათ ამოძრავება, ან მშრალ და უნაყოფო შეხვედრის და მამაკაცის არაგამანაყოფიერებელ, მაგრამ ვნებიან მოძრაობათა გამო, ანდა ქალის დაუკმაყოფილებელ სურვილთა მძვინვარე გამომჟღავნების გამო თავის ჭურჭლიდან გამოსვლა, საშვილოსნოში მიღწევა, იქ შეჩერება და ერთიმეორესთან შეერთება? ხომ არაა ბუშტნამქერი შედეგი, მხოლოდ ქალის ორგანიზმიდან გადმოდენილ ან მამაკაცის მიერ მიწოდებულ ელემენტთა ცალკეული შეერთებისა? მაგრამ თუ ბუშტნამქერი შედეგია ასეთ ჩემ მიერ ნავარაუდევ შეერთებისა, ამ შეერთებას ექნება თავისი, ისეთივე გარდუვალი კანონები, როგორიც ჩასახვის კანონებია. ბუშტნამქერს ექნება, მაშასადამე, უცვლელი ორგანიზაცია. ავიღოთ სკალპელი, გავაკეთოთ ბუშტნამქერები და ვნახოთ; შეიძლება ჩვენ აღმოვაჩინოთ ბუშტნამქერები, ზოგიერთ ნიშნებით განსხვავებულნი ერთმანეთისაგან, სქესთა სხვადასხვაობასთან დაკავშირებით. აი რას ეწოდება ხელოვნება მოქმედებისა იქედან, რაც სრულებით შეუცნობელია, იმისაკენ, რაც კიდევ უფრო ნაკლებ არის შეცნობილი. ასეთი უაღრესად უგუნური ჩვეულება სჭირთ მათ, ვინც შეიძინა ან ბუნებიდან მიიღო ნიჭი ცდისეული ფიზიკისადმი; ამგვარმა ბოდვამ ხალხს ბევრი აღმოჩენა მისცა. აი, სახელდობრ, ამგვარი წინასწარჭვრეტა უნდა ასწავლო შეგირდებს, თუ, რასაკვირველია, ამის სწავლა შეიძლება.

2. მაგრამ, თუ ოდესმე გამოირკვა, რომ ბუშტნამქერი არასოდეს მამაკაცის დაუხმარებლად არ ჩაისახება ქალში, მაშინ შესაძლე-

ბელი იქნება გამოყენება ამ უცნაური სხეულის შესახებ რამდენიმე ახალი ვარაუდისა, გაცილებით უფრო დასაბუთებულის, ვიდრე წინანდელი. ეს სისხლძარღვოვანი ქსოვილი, რომელსაც პ ლ ა ც ე ნ ტ ა ს უწოდებენ, წარმოადგენს, როგორც ცნობილია, სფერულ ხუფს, სოკოს მსგავსს, მიმაგრებულს თავის ამოზნექილი ნაწილით საშვილოსნოზე ფეხმძიმობის მთელი დროის განმავლობაში; ჭიპი თითქო მისი ღეროა; მშობიარობის ტკივილების დროს ის სწყდება საშვილოსნოს, მისი ზედაპირი სწორია, თუ ქალი ჯანმრთელია, და მშობიარობაც ნორმალურად მიმდინარეობს. ვინაიდან არსებანი არც თავის ჩა-

სახვის, არც თავის ჩამოყალიბების და არც თავის არსებობის დროს არ წარმოადგენენ არაფერს სხვას, გარდა იმისა, რათაც ისინი წინასწარვე არიან დანიშნულნი წინააღმდეგობის, მოძრაობის კანონების და ქვეყნიერების წყობის ძალით, ამიტომ, თუ მომხდარიყო, რომ ეს სფერული ხუფი, რომელიც, როგორც ჩანს, მხოლოდ მიღებულია საშვილოსნოზე, ფეხმძიმობის დასაწყისიდან, თანდათანობით ჩამოშორდებოდა თავისი კიდეებით, ისე რომ მისი ჩამოშორების მიმდინარეობა ზუსტად მიყოლოდა მის მოცულობის ზრდას, მაშინ, მე ვფიქრობ, კიდეები, მოშორებულნი საშვილოსნოს, განუწყვეტლივ მიუახლოვდებოდნენ ერთმანეთს და მიიღებდნენ სფერულ ფორმას; რომ ჭიპლარი, მოზიდული ერთიერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალებით (ერთი– ხუფს ჩამოშორებული და ამოზნექილი კიდეების მხრიდან, რომლებიც შეეცდებოდნენ მის შემოკლებას, და მეორე, ჩანასახის მხრიდან, რომელიც თავის სიმძიმით შეეცდებოდა მის დაგრძელებას) გაცილებით უფრო მოკლე იქნებოდა, ვიდრე ჩვეულებრივად; რომ დადგებოდა მომენტი, როდესაც ეს კიდეები შეეხვდებოდნენ ერთმანეთს, მთლიანად შეერთებოდნენ და შეჰქმნიდნენ კვერცხის მაგვარ რაიმეს, რომლის ცენტრში იქნებოდა ჩანასახი, უცნაური თავის ორგანიზაციით, როგორიც ის იყო ჩასახვის დროსაც, შეზრდილი, შეკუმშული, დახშობილი და რომ ეს კვერცხი კვებას არ შეაჩერებდა მანამდე, სანამ თავისივე სიმძიმის გამო არ მოწყდებოდა ის უმნიშვნელო ნაწილიც ზედაპირისა, რომელიც კიდევ რჩებოდა მიკრული, რომ ის ჩაეცემოდა საშვილოსნოში და გამოგდებული იქნებოდა იქედან, როგორც ქათმის მიერ დადებული კვერცხი, რომელთანაც მას ერთგვარი მსგავსება აქვს, ყოველ შემთხვევაში ფორმის მხრივ ეს ვარაუდები რომ შემოწმებულ იქნან ერთ ბუშტნამქერზე მაინც, და რომ ის მაინც დამტკიცდებოდეს, რომ ეს ბუშტნამქერი ქალში მამაკაციდან დამოუკიდებლივ ჩნდება, მაშინ, აშკარაა, აქედან გამოვიდოდა ის, რომ ჩანასახი წინასწარ ფორმდება ქალში და მამაკაცის მონაწილეობა ხელს უწყობს მხოლოდ მის განვითარებას.

XXXIII

მეორე ვარაუდები

ვვარაუდობთ რა, რომ დედამიწა მინის მყარი ბირთვია, რო-
გორც ამას ერთერთი ჩვენი უუდიდესი ფილოფოსი ამბობს, და რომ
ეს ბირთვი მტვრითაა დაფარული, შეიძლება მტკიცება, რომ იმ
ცენტრიდანული ძალის კანონების გამო, რომელიც ცდილობს მიი-

ზიდოს თავისუფალი სხეულები ექვატორისაკენ და დედამიწას შებრ-
ტყელებული სფეროიდის ფორმა მისცეს, ამ მტვერის ფენები პო-
ლუსებთან ნაკლებ სქელი უნდა იყვნენ, ვიდრე რომელიმე პარალე-
ლის ქვეშ; რომ, შესაძლოა ღერძის ბოლოებში ბირთვი შიშველია
და რომ ამ თავისებურობას უნდა მიეწეროს მაგნიტის ისრის მიმარ-
თულება და ჩრდილოეთის ციალი, რომელიც, ალბათ, ელექტრონის
მატერიის დენია.

მეტისმეტად დასაჯერებელია, რომ მაგნიტობა და ელექტრობა
ამავე მიზეზებზე არიან დამოკიდებულნი. რატომ არ შეიძლება, რომ
ისინი იყვნენ შედეგი მიწის ბურთის ბრუნვითი ძრაობისა და მისი
შემადგენელი მატერიებიდან წარმომდინარე ენერგიისა – მთვარის
მოქმედებასთან დაკავშირებულის? მიქცევა და მოქცევანი მიმდინარე-
ობანი, ქარები, სინათლე, დედამიწის სფეროს თავისუფალი ნაწილაკე-
ბის მოძრაობა, შესაძლოა, მოძრაობა მთელი მისი ბირთვის ქერქის
ირგვლივ და სხვ., დაუსრულებელ ხახუნს აწარმოებენ აუარებელ
სხვადასხვა საშუალებებით; მიზეზთა მუდმივი და ხელსახები მოქმედება
საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან შედეგს ჰქმნის; დედამი-
წის სფეროს ბირთვი მინის მასაა; მისი ზედაპირი დაფარულია მი-
ნის ნატეხებით, სილით, მინაში გარდაქმნილი მატერიებით; ყველა
სხეულებიდან მინა იძლევა ხახუნის დროს ყველაზე უფრო მეტ ელექ-
ტროობას; რატომ არ შეიძლებოდა, რომ მთელი მასა დედამიწის
ელექტრონისა შედეგი ყოფილიყო ყველი იმ ხახუნისა, რომელიც
სწარმოებს მიწის ზედაპირზე ანდა მისი ბირთვის ზედაპირზე? მაგ-
რამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ზოგადი მიზეზიდან გამოიყვანენ
კერძოს, რომელიც აღმოაჩენს ჩრდილოეთის ციალისა და მაგნიტის
ისრის მიმართულების შორის კავშირს, მსგავსს იმისა, რომლის არ-
სებობა მაგნიტსა და ელექტროობას შორის უკვე დაამტკიცეს მით,
რომ უმაგნიტო ისარი დაამაგნიტეს მარტო ელექტროობის საშუალე-
ბით. ეს დებულებები შეიძლება სცნო ან უარყო, რადგან მათი რეა-
ლობა მხოლოდ ჩემს გონებაშია. ცდების ამოცანაა – მისცეს მათ მეტი
საფუძვლიანობა და ფიზიკოსმა უნდა მოაწყოს ცდები, რომლებიც
ან დაადასტურებენ განსხვავებას მოვლენათა შორის ან საბოლოოდ
გააიგივებენ მათ.

მესამე ვარაუდები

იქ, სადაც ელექტრიზებას ახდენენ, ელექტრონის მატერია საგრძნობლად გამოსცემს გოგირდოვან სუნს; და ნუ თუ ქიმიკოსები მართალი არ იქნებოდნენ, რომ ამ თვისებისათვის ყურადღება მიeქ-

ციათ? რატომ არ მოახდინეს მათ, ყველა მათ განკარგულებაში მყოფი საშუალებებით ცდები, რაც შეიძლება მეტი ელექტრომატე-რიით დატვირთულ სითხეებზე? ჯერ ისიც კი არ იციან ელექტრი-ზებულ წყალში უფრო მალე იხსნება შაქარი, თუ უბრალო წყალში. ჩვენი ღუმელების ცეცხლი მნიშვნელოვნად ადიდებს ზოგ მატერია-თა სიმძიმეს, მაგალითად, კალცინირებული ტყვიისა; თუ ელექტრო-ნის ცეცხლი, მუდმივად გამოყენებული ამ ლითონის დასაწვავად, კიდევ უფრო მეტ სიმძიმეს მისცემდა მას, განა ამას შედეგად არ მოყვე-ბოდა მაშინ ახალი ანალოგია ელექტრობასა და ჩვეულებრივ ცეცხლს შორის? სცადეს გაეგოთ, ხომ არ აძლევს წამლებს ეს არაჩვეულებ-რივი ცეცხლი ზოგ სამკურნალო თვისებებს, ხომ არ აძლიერებს ის რომელიმე სუბსტანციას, უფრო მომქმედად ხომ არ ხდის რომელიმე ტოპიკს; მაგრამ ერთობ ადრე ხომ არ მიატოვეს ეს ცდები? რატომ არ შეეძლებოდა ელექტრობას კრისტალების ფორმაცია და მათ თვისებათა გადასხვაფერება? რამდენი ვარაუდი იქმნება წარმოსახვით, და რამდენი მათგანი შეუძლია დაამოწმოს ან უკუაგდოს ცდამ! ი ხ ი ლ ე თ შ ე მ დ ე გ ი თ ა ვ ი.

XXXV

მეოთხე ვარაუდები

თუ არა ელექტრობიდან, სხვა რა მიზეზებიდან წარმოსდგება მეტი ნაწილი მეტეორებისა, მოხეტიალე ცეცხლები, აორთქლებანი, ცთომილი ვარსკვლავები, ბუნებრივი და ხელოვნური ფოსფორი, მა-ნათობელი ფუტუროები? რატომ არ უნდა მოვახდინოთ საჭირო ცდები ამ ფოსფორებზე, რომ მათი ბუნება გავიგოთ? რატომ არ ცდილობენ გაიგონ, რომ ჰაერი, თავისთავად ისეთივე ელექტრონის სხეულია, როგორც მინა, ე. ი. ისეთი სხეული, რომელსაც ესაჭი-როება მხოლოდ ხახუნი და ჯახუნი, რომ დაელექტროვდეს? ვინ იცის, ეგებ ჰაერი, რომელიც გოგირდოვან მატერიას შეიცავს, მეტად ან ნაკლებად იტვირთება ელექტრობით, ვიდრე წმინდა ჰაერი? სწრაფი ბრუნვით მოძრაობაში რომ მოიყვანო ჰაერში ლითონის ჯოხი, შე-იძლება აღმოაჩინო არის თუ არა ჰაერში ელექტრობა და დატვირ-თავს თუ არა ის ჯოხს. ცდის დროს რომ წავა გოგირდი და ნივ-თიერებები, შეიძლება გაიგო, რომელი მათგანი ამცირებს ან ადი-

დებს ჰაერის ელექტრობის თვისებას. შეიძლება პოლუსების ცივი ჰაერი უფრო ამთვისებელია ელექტრობის, ვიდრე ექვატორის ცხელი ჰაერი; და ვინაიდან ყინულში არის ელექტრობა, წყალში კი არა, ვინ იცის, ეგებ მაგნიტის ისრის მიმართულება და ჩრდილოეთის ცია-

ლის გამოჩენა, რომლებიც, როგორც ჩანს, ისევ ელექტრობას უნდა მიეკუთვნონ, როგორც ეს ჩვენ აღვნიშნეთ მეორე ვარაუდებში, მიე-წერებიან განუზომელ ხროვას მუდმივი ყინულებისას, პოლუსებთან დაგროვილთ, და, შეიძლება, მოძრაობაში მყოფთ მინის ბირთვზე, რომელიც პოლუსებთან უფრო შიშველია, ვიდრე სხვა რომელიმე ალაგას? დაკვირვება წააწყდა ერთ ყველაზე უფრო ზოგად და მძლავრ მათგანს ბუნებაში; ცდის საქმეა აღმოაჩინოს მათი მოქმედება.

XXXVI

მეხუთე ვარაუდები

1. თუ ინსტრუმენტის სიმი დაჭიმულია და რაიმე უმნი-შვნელო დაბრკოლება ჰყოფს მას ორ უთანასწორო ნაწილად, ისე, რომ არ სწყდება თრთოლვათა კავშირი ორივე ნაწილს შორის, მა-შინ, როგორც ვიცით, ეს დაბრკოლება იწვევს სიმის უფრო დიდი ნაწილის დაყოფას ისეთ მთრთოლვარე ნაწილაკებად) რომ სიმის ორივე ნაწილი უნისონს ჰქმნის და დიდი ნაწილის თითოეული მთრთოლვარე ნაწილაკებთაგანი ორ უმომრაო წერტილს შუა არის მოთავსებული. ვინაიდან სხეულის რეზონანსი არაა მიზეზი სიმის უფრო დიდი ნაწილის დაყოფისა, და მხოლოდ ორივე ნაწილის უნი-სონია შედეგი ამ დაყოფისა, ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ლითონის ჯოხით რომ შევცვალოთ სიმი და ძლიერი დარტყმა მოვახდინოთ მასზე, კვანძები და ამობურცულობები გაჩნდებოდნენ მთელს მის სიგრძეზე; რომ იგივე დაემართებოდა ყველა დრეკად სხეულს, ბგე-რის გამომცემი იქნებოდა ის თუ უბგერო; რომ ამ მოვლენას, დამა-ხასიათებელს, როგორც ფიქრობენ მთრთოლავი სიმებისათვის ად-გილი აქვს, მეტად ან ნაკლებად, ყოველი დარტყმის დროს; რომ ის ემორჩილება მოძრაობის გავრცელების ზოგად კანონებს; რომ შერ-ყეულ სხეულში არიან მერყევი უუმცირესი ნაწილები და კვანძები, ან უმომრაო წერტილები, განუზომლად დაახლოვებულნი ერთმანეთ-თან; რომ ეს მერყევი ნაწილები კვანძებია და მიზეზი იმ რხევისა, რომელსაც ჩვენ, შეხების გრძნობის მეოხებით განვიცდით სხეულში დარტყმის შემდეგ, დამოუკიდებლივ იმისა, არის თუ არა კიდევ წერ-ტილებს შორის ლოკალური გადაცემა, თუ ის შეწყვეტილია; რომ ეს ვარაუდი შეესაბამება ბუნებას რხევისას, რომელიც მიდის შეხე-ბული მთელი ზედაპირიდან მთელ შემხებ და მგრძნობიარე ზედაპირი-საკენ კი არა, არამედ დაუსრულებელ რაოდენობიდან წერტილებისა,

რომლებიც გაბნეულია შეხებული სხეულის ზედაპირზე და უწესრიგოდ
თრთოლავენ დაუსრულებელი რაოდენობის უმოძრაო წერტილების

შორის; რომ, ალბათ, ერთიან დრეკად სხეულებში ინერციის ძალა,
თანაბრად განაწილებული მთელ მასაზე, ასრულებს რომელიმე წერ-
ტილში მცირეოდენი დაბრკოლების ფუნქციას მეორის მიმართ; რომ
თუ ჩვენ ვივარაუდებთ მთრთოლვარე სიმის დარტყმულ ნაწილს და-
უსრულებლად მცირე ზომისას და, მაშასადამე, ამობურცულ ნაწი-
ლებსაც ასეთივე დაუსრულებლად მცირე ზომისას, კვანძებს კი –
დაუსრულებლად ახლო მდგომთ ერთმანეთთან, ჩვენ გვექნება ერთი
მიმართულებით და, ასე ვთქვათ, ერთ ხაზზე, სურათი იმისა, თუ რა
ხდება ყველა მიმართულებით იმ მაგარ სხეულში, რომელიც მეორე
ასეთივე სხეულს მიერტყა; რომ, რამდენადაც უკვე მოცემულია სიგრძე
მთრთოლვარე სიმის დაჭერილი ნაწილისა, მაშინ არ გვექნებოდა მიზეზი,
რომელიც შესძლებდა უძრავ წერტილთა რაოდენობის გამრავლებას
მეორე ნაწილში; რომ, რამდენადაც ეს რიცხვი უცვლელი რჩება,
დამოუკიდებლივ დარტყმის სიძლიერისა, და რამდენადაც სხეულთა
შეჯახების დროს მხოლოდ რყევის სიჩქარე ვარიირდება, იმდენად
რხევა იქნება მეტი ან ნაკლებ ძლიერი; მაგრამ რიცხვობრივი შე-
ფარდება კი მთრთოლვარე წერტილებისა უძრავ წერტილებთან
ერთიდაიგივე დარჩება და ამ სხეულებში რაოდენობა უმოძ-
რაო მატერიისა უცვლელი იქნება დამოუკიდებლივ შეჯახების სიძლიე-
რისა, სხეულის სიმკვრივისა, ნაწილთა შეჭიდულობისა. მაშასადამე,
გეომეტრს არ რჩება მხოლოდ მთრთოლვარე სიმის გამოანგარიშე-
ბის გადატანა პრიზმაზე, სფეროზე, ცილინდრზე, რათა მონახოს მოძ-
რაობის განაწილების ზოგადი კანონი დანაჯახებ სხეულში, კა-
ნონი, რომლის გამოკვლევიდან ძლიერ შორს იყვნენ დღემდე, რად-
გან არც ფიქრობდნენ თვით მოვლენის არსებობაზე, პირიქით, ეგო-
ნათ მოძრაობის განაწილება ერთნაირი იყო მთელ მასაში; თუმც
ჯახუნის დროს შეხებაზე მოქმედების გზით რხევამ გამოარკვია არსე-
ბობა უმოძრაო წერტილებს შორის გაბნეული მთრთოლვარე წერტი-
ლებისა; მე ვამბობ ჯ ა ხ უ ნ ი ს დ რ ო ს, ვინაიდან დასაჯერებელია,
რომ მოძრაობის გადაცემის შემთხვევაში, როდესაც ჯახუნს ადგილი
არა აქვს, სხეული გაძევებულია, როგორც გაძევებული იქნებოდა
უუმცირესი მოლეკულა, და მოძრაობა მთელ მასაში თანაბრად
ვრცელდება, – ამიტომ რხევა ასეთ შემთხვევებში არ არსებობს,
რითაც ისინი სწორედ განსხვავდებიან იმ შემთხვევიდან, როდესაც
ჯახუნს აქვს ადგილი.

2. ძალთა დაშლის პრინციპით სხეულზე მომქმედი ყველა ძალები
შესაძლებელია ერთ ძალამდე დაიყვანო: თუ მოცემულია სხეულზე მომქ-
მედი ძალის როგორც რაოდენობა, ისე მიმართულება და რომ განვსაზ-
ღვროთ მის მიერ გამოწვეული მოძრაობა, აღმოჩნდება, რომ სხეული

წინისაკენ მიდის, თითქო ძალა სიმძიმის ცენტრში გადიოდეს; და რომ, გარდა ამისა, ის ტრიალებს სიმძიმის ცენტრის ირგვლივ, ისე თითქო ეს ცენტრი უმოძრაო იყოს და ძალა ამ ცენტრის ირგვლივ მოქმედებდეს როგორც დასაყრდენი წერტილის ირგვლივ. მაშასადამე, თუ ორი მოლეკულა ერთმანეთს იზიდავს, ისინი განლაგდებიან ერთიმეორის მიმართ მათი მიზიდვის კანონის მიხედვით, მათი ფიგურების მიხედვით და სხვ. თუ ეს ორი მოლეკულის სისტემა იზიდავს მესამე მოლეკულას, რომელიც თავის მხრივაც იზიდავს მათ, მაშინ ეს სამი მოლეკულა განლაგდება ერთიმეორის მიმართ მათი მიზიდვის კანონისა და ფიგურების მიხედვით და სხვ., და იგივე იქნება სხვა სისტემებისა და მოლეკულების მიმართ. ყველა ისინი შეადგენენ სისტემა A-ს, რომელშიაც ეხებიან ისინი ერთმანეთს თუ არ ეხებიან, მოძრაობენ თუ უმოძრაოდ რჩებიან, წინააღმდეგობას გაუწევენ ძალას, რომელიც მათი კოორდინაციის დარღვევას მოიწადინებს და მუდმივ იმის ცდაში იქნებიან, რომ ან აღადგინონ თავდაპირვანდელი წესრიგი, თუ მრღვევი ძალა შესწყვეტს თავის მოქმედებას, ანდა კოორდინირება მოახდინონ მათი მიზიდვის კანონების, ფიგურების მიხედვით და სხ., და აგრეთვე მრღვევი ძალის მოქმედებასთან, თუ ის ამ მოქმედებას განაგრძობს. ეს სისტემა A – არის ის, რასაც მე დრეკად სხეულს ვუწოდებ. ამ ზოგადი და აბსტრაქტული გაგებით, საპლანეტო სისტემა, სამყარო, მხოლოდ დრეკადი სხეულია: ქაოსი შეუძლებლობა არის; ვინაიდან მატერიის პრიმიტიულ თვისებებსაც არსებითად წესრიგი ახასიათებს.

3. თუ ცალიერ სივრცეში წარმოვიდგენთ სისტემა A-ს, ის იქნება ურღვევი, ურყევი, მარადიული: თუ ვივარაუდებთ, რომ განუსაზღვრელ სივრცეში გაბნეული მისი ნაწილები მსგავსად ამგვარი, თვისებებისა, როგორიცაა მიზიდვა, დაუსრულებლად ვრცელდებიან, როდესაც არაფერი არ შეზღუდავს მათი მოქმედების სფეროს [40]. მაშინ ეს ნაწილები თავიანთი ფიგურების უცვლელად შემნახველნი და იმავე ძალებით ასულდგმულებულნი, ხელახლად დაკოორდინირდებიან ისე, როგორც იყვნენ კოორდინირებული და სივრცის რომელიმე ნაწილში და დროის რომელიმე მომენტში წარმოშობენ დრეკად სხეულს.

4. სულ სხვა იქნება თუ დავუშვებთ, რომ სისტემა A სამყაროშია მოთავსებული; აქაც არა ნაკლებ საჭიროა მოქმედებანი: მაგ., ზუსტად ასეთი რამ მიზეზების მოქმედება აქ ზოგჯერ შეუძლებელი ხდება; და კომბინირებულ მიზეზთა რიცხვი ზოგად სისტემაში ან სამყაროს დრეკად სხეულში ყოველთვის იმდენად დიდია ხოლმე, რომ არ იცი, რას წარმოადგენენ თავდაპირველადი სისტემები, ან

ცალკეული დრეკადი სხეულები და რად გარდიქმნებიან ისინი მომავალში. მაშასადამე, გარეშე იმის მტკიცებისა, რომ ავსებულ სივრ-

ცეში მიზიდვა ჰქმნის სიმაგრეს და დრეკადობას, როგორი ხასია-
თისასაც ჩვენ მათ აქ ვხედავთ, განა აშკარა არაა, რომ მატერიის ეს
ერთი თვისებაც საკმარისია, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ სიცარიე-
ლეში და ადგილი ექნეს გათხელებას, შემჭიდროებას და მათზე და-
მოკიდებულ ყველა სხვა მოვლენებს? რატომ არ შეიძლება იყოს ის
ამ მოვლენათა თავდაპირველ მიზეზად ჩვენს საერთო სისტემაში, სა-
დაც მიზეზთა დაუსრულებელი სიმრავლე, მის მოდიფიცირებასთან
ერთად, ამ მოვლენათა რაოდენობის დაუსრულებელ ვარიაციებს
მოგვცემდა სისტემებში ან ცალკეულ დრეკად სხეულებში? ამრიგად,
გადაღუნული დრეკადი სხეული, გადატყდება მხოლოდ მაშინ, რო-
დესაც სხეულის ნაწილების ერთი მიმართულებით ერთმანეთისაკენ
მიზიდვის მიზეზი, იმდენად დააშორებს მათ მოპირდაპირე მიმართუ-
ლებისაკენ, რომ მათ შორის შეწყდება ურთიერთ მიზიდულობის მოქ-
მედება. დრეკადი სხეული მხოლოდ მაშინ გასკდება დარტყმისაგან,
თუ მრავალი მისი მთრთოლვარე მოლეკულა თავის პირველი შერ-
ყევის დროს გადაზიდული იქნება უძრავ მოლეკულებისაგან, რომ-
ლებშიაც ისინია გაბნეული, ისეთ მანძილზე, რომ მათ შორის შეწყ-
დება ურთიერთ მიზიდულობის საგრძნობი მოქმედება. თუ დარტყმის
ძალა იმდენად დიდი იქნებოდა, რომ ყველა მთრთოლვარე მოლე-
კულები გადააცილებდნენ მიზიდვის საგრძნობ სფეროს, სხეული და-
იშლებოდა თავის ელემენტებად. მაგრამ ამ შეჯახებას, ყველაზე
უფრო ძლიერს იმ შეჯახებათაგან, რომელთა ატანაც სხეულს შეუძ-
ლია და მეორეს შორის, რომელიც მხოლოდ უუმცირეს რხევას გა-
მოიწვევდა, არის კიდევ ერთი, რეალური ან ცრუ გონებრივი, რომ-
ლის გამო, სხეულის ყველა ელემენტები, გამოეყოფოდნენ რა ერთი-
მეორეს, შესწყვეტდნენ ერთმანეთის შეხებას, ისე რომ მაინც არ და-
არღვევდნენ თავიანთ სისტემას და არც თავის კოორდინირებას შე-
წყვეტდნენ. დავუტოვოთ მკითხველს ამავე პრინციპების გამოყენება
გასქელების, გათხელების და სხვათა მიმართ. ჩვენ კი აღვნიშნეთ
კიდევ მხოლოდ განსხვავება ბიძგის საშუალებით გადაცემულ მოძ-
რაობასა და წაუბიძგებლად გადაცემულ მოძრაობას შორის. ვინაი-
დან წაუბიძგებელი სხეულის მოძრაობა თანაბრად სწარმოებს, ყველა
ნაწილებში ერთად, როგორიც არ უნდა იყოს რაოდენობა ამ გზით გამო-
წვეული მოძრაობისა, თუნდ დაუსრულებელიც იყოს ის, სხეული არ
დაიშლება; ის დარჩება მთლიანი, სანამ ბიძგი, რომელიც გამოიწვევს
რხევას მის ზოგიერთ ნაწილებისას, სხვათა უმოძრავ ნაწილებს შო-
რის არ მისცემს პირველ რხევათა ტალღას ისეთ გაქანებას რომ

მერყევი ნაწილები ვეღარ შესძლებენ ვერც თავის ალაგზე დაბრუ-
ნებას, ვერც სისტემატურ კოორდინირებაში შესვლას.

5. ყველა ზემოხსენებული ეხება, საკუთრივ, მხოლოდ მარტივ
დრეკად სხეულებს, ან ერთი და იმავე ნივთიერებიდან შემდგარ სის-
ტემებს ნაწილაკებისას, ერთი და იმავე ფიგურისას, გასულდგმულე-

ბულს ერთი და იმავე რაოდენობით და მოძრავს ერთი და იმავე მიზიდულობის კანონის მიხედვთ. მაგრამ თუ ყველა ეს თვისებები სხვადასხვა არიან, მივიღებთ შერეული სხეულების დაუსრულებელ რაოდენობას. შერეული დრეკადი სხეულის სახით მე ვგულისხმობ სისტემას, შემდგარს ორი ან რამდენიმე სისტემიდან, სხვადასხვა ნივთიერებით, სხვადასხვა ფიგურებით, სხვადასხვა რაოდენობით გასულდგმულებულით და შეიძლება მიზიდვის სხვადასხვა კანონებით მოძრავი სისტემებიდან, რომლის ნაწილაკები კოორდინირებულია ერთმანეთში ყველა მათთვის საერთო კანონის მიხედვით, რომელი კანონიც შეიძლება განხილულ იქნას როგორც შედეგი მათი ურთიერთქმედობისა. თუ რაიმე ოპერაციების წყალობით შევსძლებთ რთული სისტემის გამარტივებას, განვდევნით მისგან ერთსა და იმავე ხარისხის კოორდინირებული მატერიის ნაწილაკებს, ანდა უფრო გავართულებთ მას, შევიტანთ რა ახალ მატერიას, რომლის ნაწილაკები სისტემის ნაწილაკებთან კოორდინირდებიან და ცვლიან ყველა მათთვის საერთო კანონს, სიმაგრე, ელასტიკურობა, კუმშვადობა, გათხევადება და სხვა თვისებები, რთულ სისტემაში ნაწილების სხვადასხვა კოორდინირებაზე დამოკიდებულნი, მატულობენ ან კლებულობენ და სხვ. ტყვია, რომელსაც თითქმის არც სიმაგრე, არც დრეკადობა არა აქვს, უფრო ნაკლებ მაგარი და უფრო მეტად დრეკადი გახდება თუ ის გავალღვეთ, ე. ი. თუ სისტემაში, შემდგარში მოლეკულებიდან, რომელნიც მას ტყვიად ქმნიან, კოორდინირდებიან სხვა სისტემები, შემდგარი ჰაერის, ცეცხლის და სხვ. მოლეკულებიდან, რომელნიც მას გამღვალ ტყვიად აქცევენ.

6. მეტისმეტად ადვილი იქნებოდა ამ იდეების გამოყენება უამრავ სხვა მსგავს მოვლენებისათვის და მათგან ძლიერ ვრცელი ტრაქტატის შედგენა. მთავარი სიძნელე იმაშია, რომ აჩვენო თუ როგორაა, რომ ერთი სისტემის ნაწილები, კოორდინირებული მეორე სისტემის ნაწილებთან, ზოგჯერ ამარტივებენ მას, გამოსდევნიან რა იმისაგან სხვა კოორდინირებული ნაწილების სისტემას, როგორც ეს ზოგიერთ ქიმიურ ოპერაციებში ხდება. მიზიდულობანი, სხვადასხვა კანონების მიხედვით, თითქოს, საკმარისნი არ არიან ამ მოვლენისათვის, და ძნელია განზიდვის თვისებათა დაშვება. აი როგორ შესაძლებელი იქნებოდა ამ სიძნელიდან თავის დაღწევა. ვთქვათ მო-

ცემულია სისტემა A, შემდგარი სისტემიბიდან B და C, რომელთა მოლეკულები კოორდინირებულია ერთმანეთთან რომელიმე, ყველა მათთვის საერთო კანონის მიხედვით. თუ შევიტანთ რთულ სისტემა A-ში, სხვა სისტემა D-ს, მოხდება ორთაგან ერთი: ან სისტემა D-ს ნაწილაკები კოორდინირებაში შევლენ სისტემა A-ს ნაწილებთან, უბიძგოთ; და ასეთ შემთხვევაში სისტემა A შედგენილი იქნება სისტემებიდან B, C, D: ანდა კოორდინირებას სისტემა A-ს ნაწილაკებისა, სისტემა D-ს ნაწილაკებთან დაერთვის ბიძგი. თუ ბიძგი ისეთი

იქნა, რომ შეხებული ნაწილაკები თავიანთ პირველი შერყევის დროს არ გადალახავენ მათი მიზიდულობის დაუსრულებლად მცირე სფეროს, მაშინ პირველ მომენტში მოხდება არეულობა, ან პატარ-პატარა რყევათა დაუსრულებელი სიმრავლე. მაგრამ ეს არეულობა მალე შეწყდება; ნაწილაკები დაკოორდინირდებიან; და ამ შემთხვევაში მათი კოორდინირებიდან წარმოიშვება სისტემა A, შემდგარი სისტემებიდან B, C, D. თუ ნაწილები სისტემა B ან სისტემა C-სი ან ერთნიც და მეორენიც ერთად ბიძგს მიიღებენ კოორდინირების პირველ მომენტში და გაირეკებიან მათი მიზიდულობის სფეროს გარეთ სისტემა D-ს ნაწილების მიერ, ისინი სამუდამოდ გამოიყოფიან სისტემატიკური კოორდინირებიდან, და სისტემა A შეიქმნება B და D-დან ან C და D-დან შემდგარი სისტემით; მაშინ ეს იქნება მარტივი სისტემა, მხოლოდ სისტემა D-ს კოორდინირებული ნაწილაკებიდან შემდგარი: და ყველა ეს მოვლენები ისეთ გარემოებებში ჩატარდებიან, რომლებიც კიდევ უფრო დასაჯერებელს გახდიან იდეებს, ან, შეიძლება, მ თ ლ ი ა ნ ა დ გ ა ა ნ ა დ გ უ რ ე ბ ე ნ მ ა თ. თუმცა მე მივედი ამ დასკვნამდე, გამოსული წ ა ბ ი ძ გ ე ბ უ ლ ი დ რ ე კ ა დ ი ს ხ ე უ ლ ი ს რ ხ ე ვ ი ს ფ ა ქ ტ ი დ ა ნ. იქ, სადაც კ ო ო რ დ ი ნ ა ც ი ა ა, არასოდეს არ იქნება სპონტანური განცალკევება; ის შეიძლება იქნეს იქ, სადაც არის მხოლოდ კ ო მ პ ო ზ ი ც ი ა. კ ო ო რ დ ი ნ ა ც ი ა არის ე რ თ გ ვ ა რ ო ბ ი ს პრინციპი ჰეტეროგენურ მ თ ე ლ შ ი ა ც კ ი.

XXXVII

მეექვსე ვარაუდები

სანამ ადამიანები ამოცანად არ დაისახავენ ბუნებისადმი უფრო ზუსტად მიბაძვას, მათი ხელოვნების ნაყოფი უბრალო, უსრული და სუსტი იქნება. ბუნება თავის ქმედებაში ნელი და შეუპოვარია. თუ შეეხება საქმე მოშორებას, მიახლოვებას, შეერთებას, განყოფას, დარბილებას, შეკუმშვას, გამაგრებას, გათხევადებას,გახსნას, ასიმილირებას, ბუნება მიდის თავის მიზნისაკენ თითქმის შეუმჩნეველი ნაბიჯე-

ბით. ხელოვნება, პირიქით, ჩქარობს, იღლება და დუნდება. ბუნებას საუკუნოები სჭირდება, რომ უხეში სახის ლითონები შეამზადოს; ხელოვნება განიზრახავს მათი ერთ დღეში გასრულადებას. ბუნებას საუკუნოები სჭირდება ძვირფასი ქვების ჩამოსაყალიბებლად, ხელოვნება კი კისრულობს ერთი თვალის დახამხამებაში მის ერთბაშად გაკეთებას. კიდეც რომ დაუფლებული გვქონოდა ნამდვილი საშუალება, ეს საკმარისი მაინც არ იქნებოდა; საჭირო იქნებოდა კიდევ მისი გამოყენების ცოდნა. ადამიანი სცდება, თუ ფიქრობს, რომ შედეგი უცვლელი დარჩება, რაკი მოქმედების ინტენსივობის ნამრავლი გამოყენების დროზე, არ შეცვლილა. მხოლოდ ნელ, თანდათანობით და განუ-

წყვეტელ გამოყენებას შეუძლია მოგვცეს გარდაქმნა. ყველა სხვა გამოყენება მხოლოდ გამანადგურებელია. რომ ჩვენც ბუნების მსგავსად მოვქცეულიყავით, რა არ შეგვეძლო მიგვეღო ზოგიერთი შერეული სუბსტანციებიდან, რომლებიდანაც ჩვენ ახლა ასეთ ნაკლოვან შენაერთებს ვღებულობთ. მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვესწრაფვით სიამოვნებას; გვსურს დაწყებულის დასასრული ვიხილოთ. აქედან წარმოიშვება ესოდენი უნაყოფო ცდები; ესოდენი ხარჯი და დაკარგული შრომები; ესოდენი მუშაობა, რომელზედაც ბუნება მიგვითითებს და რომელსაც ხელოვნება არასოდეს არ მოკიდებს ხელს, რადგან წარმატება მას ძალიან შორეულად ეჩვენება. „არსის“ [41] გამოქვაბულიდან გამოსვლისას ვინ არ იქნება დარწმუნებული, რომ, სტალაქტიტების წარმოშობისა და აღდგენის სიჩქარის გამო, ეს გამოქვაბულები ერთ დღეს ამოივსებიან და ერთი ვეებერთელა მთლიანი მასის სახეს მიიღებენ?

სადაა ის ნატურალისტი, რომელიც ჩაუფიქრდებოდა რა ამ მოვლენას, ვერ ივარაუდებდა იმას, რომ, თუ წყლებს ვაიძულებდით ნელნელა გაეჟონათ კლდესა და მიწაში და იქ ვეებერთელა ღრუებში დაგროვილიყვნენ, იქ გაჩნდებოდნენ ხელოვნური სამტეხლოები მარმალილოსა და სხვა ქვებისა, რომელთა ხარისხიც ნიადაგის, წყლებისა და კლდეების ბუნებაზე იქნებოდა დამოკიდებული? მაგრამ რის მაქნისია ეს მოსაზრებები, თუ არ გვექნება გამბედაობა, მოთმინება, შრომა, სახსარი, დრო, და განსაკუთრებით, ის ანტიკური გემოვნება დიადი საქმეებისადმი, რომლის შესახებაც კიდევ მოწმობენ ესოდენი ძეგლები, ცივ და უნაყოფო განცვიფრების ხარკს რომ ღებულობენ ჩვენგან?

XXXVIII

მეშვიდე ვარაუდები

რამდენჯერ უნაყოფოდ სცადეს ჩვენი რკინა ექციათ ფოლადად, რომელიც ინგლისურ და გერმანულ ფოლადს გაუტოლდებოდა და რომელიც შესაძლებელი იქნებოდა მოხდენილი საგნების გასაკეთებლად გვეხმარა. მე არ ვიცი რა საშუალებას ხმარობდნენ ამისათვის; მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ მნიშვნელოვან აღმოჩენამდე მიღწევა შეიძლებოდა რკინის საგლინავ სახელოსნოებში ძლიერ გავრცელებული საშუალებით. მას დ ა ს ტ ა დ წ რ თ ო ბ ა ს უწოდებენ. დასტად წრთობისათვის საჭიროა აიღო სრულიად უხეში ჭვარტლი, დანაყო იგი, გახსნა შარდში, მიუმატო გაქნილი ნიორი, დაჭრილი ფეხსაცმელი და საჭმელი მარილი, აიღო რკინის ყუთი; დაფარო მისი ფსკერი აღნიშნული ნარევის ფენით; ამ ფენაზე დააწყო ფენად რკინის სხვადასხვა ნაჭრები; ამ უკანასკნელზე ისევ ხსენებული ნა-

რევის ფენა და ასე მანამ, სანამ არ გაივსება; დახურო ყუთი; გა-
რედან ზუსტად წაუსვა ნარევი, მსუქანი და კარგად დაზელილი თიხის,
მატყლისა, და ცხენის განავალის; ჩასდგა ნახშირი სათანადო სი-
დიდის გროვის ცენტრში; წაუკიდო ნახშირს ცეცხლი; გააღვივო და
ხელი შეუწყო მას; მზად უნდა გქონდეს ჭურჭელი ცივი წყლით
სავსე; სამი-ოთხი საათი რომ გაივლის მას შემდეგ, რაც ყუთი
ცეცხლზე დაიდგა, უნდა ამოიღო იგი; გახსნა; რკინის ნაჭრები, მასში
რომ იდვა, ჩაყარო ცივ წყალში, რომელიც ამ დროს უნდა აურიო.
ეს ნაჭერი დასტადაა ნაწრთობი; და რომ რამდენიმე ასეთი ნაჭერი
გასტეხო, აღმოჩნდება, რომ მათი ზედაპირი მცირეოდენ სიღრმეზე
ძლიერ მაგარ წვრილ მარცვლოვან ფოლადად გადაქცეულა. ამ ზედა-
პირს უფრო კრიალა პეწი აქვს, და ის უკეთ ინახავს ქლიბით მი-
ცემულ ფორმას. არ შეიძლება აქედან ის დასკვნა გაგვეკეთებია, რომ
თუ ცეცხლისა და მასალების ქვეშ დავაყენებდით, რომლებიც დას-
ტად წრთობის დროს იხმარება, stratum super stratum რჩეულ,
კარგად გამომუშავებულ და თხელ-თხელ ფურცლებად დაჭრილ
რკინას, მაგალითად ფურცლოვან ან პატარ-პატარა ჩხირებად დაჭრილ
რკინას და საწრთო ღუმელიდან პირდაპირ ჩავყრიდით წყლიან დენში,
საჭიროში ამ ოპერაციისათვის, ის ფოლადად გადაიქცეოდა თუ არა
განსაკუთრებით, მაშინ, თუ პირველ ასეთ ცდებს დააკისრებდნენ ისეთ
ადამიანებს, რომლებსაც დიდი ხანია რკინასთან აქვთ საქმე და იციან
მისი ღირსება-ნაკლოვანებები, – ადამიანებს, რომლებიც არ გაუშვებ-
დნენ მეთოდის გამარტივების შემთხვევას და მონახავდნენ ამ ოპე-
რაციისათვის უფრო გამოსადეგ მასალას?
90

XXXIX

განა საკმარისია ის, რასაც საჯარო ლექციებში გვამცნობენ
ცდისეულ ფიზიკაზე, რომ ხელი შეუწყოს ამგვარ ფილოსოფიურ გა-
ტაცებას? მე ვფიქრობ რომ, არა. ჩვენი ცდების ლექციების კურსე-
ბის ხელოსნები ცოტათი წააგავენ იმ ადამიანს, რომელმაც იფიქრა
დიდებული ქეიფი მოვაწყეო მხოლოდ იმიტომ, რომ მასთან სუფ-
რაზე დიდძალი ხალხი იჯდა. საჭირო იქნებოდა სწრაფვა უმთავრე-
სად იმისაკენ, რომ მადა იქნეს გაღვიძებული, მაშინ ბევრი მისი
დაკმაყოფილების სურვილით გატაცებული, გადავიდოდა მოწაფეო-
ბის მდგომარეობიდან მოყვარულის მდგომარეობაში და ამ უკანასკ-
ნელიდან – ფილოსოფოსთა პროფესიას მიეკუთვნებოდა. საზოგადო
მოღვაწის ცოდნის გაღრმავებას ხელს არ უშლის ასეთი პირო-
ბები. საჭიროა უჩვენოთ როგორც საგნები, ისე საშუალებებიც.
რა დიდი მეჩვენებიან ის ადამიანები, რომელთაც პირველად
აღმოაჩინეს ახალი გამოანგარიშება! და რა მცირენი მეჩვენებიან
ისინი იმით, რომ საიდუმლოდ ინახავდნენ თავიანთ აღმოჩენას. ნიუ-
ტონს რომ არ დაეყოვნებია ლაპარაკი, როგორც ამას მოითხოვდა

მისი სახელისა და ჭეშმარიტების ინტერესები, ლეიბნიცი წილს არ მიიღებდა მასთან ერთად გამომგონის სახელში[42]. გერმანელმა გამოიგონა იარაღი, ინგლისელი კი ასიამოვნებდა თავის თავს იმით, რომ განცვიფრებაში მოყავდა მეცნიერები ამ იარაღის სრულიად მოულოდნელი გამოყენებით. მათემატიკაში, ფიზიკაში, ყველაზე სანდოა პირველყოვლისა მფლობელობა დაიმტკიცო, და საზოგადოებაში შეამოწმო შენი უფლებები. თუმცა, როდესაც მე მოვითხოვ საშუალების ჩვენებას, მე ვგულისხმობ ისეთ საშუალებას, რომლითაც თავის მიზანს მიაღწიეს: იმ საშუალებათა შესახებ, რომელნიც გამოუდეგარნი არიან, რაც შეიძლება ნაკლები ლაპარაკია საჭირო.

XL

მაგრამ საკმარისი არაა აჩვენო; საჭიროა, კიდევ რომ ყოველივე აშკარად და დაუფარავად იყოს ნაჩვენები. არის ერთგვარი ბუნდოვანება, რომელსაც შეიძლება დ ი დ ო ს ტ ა ტ თ ა ა ფ ე ქ ტ ა ც ი ა უწოდოთ. მათ უყვართ ხალხის თვალებიდან ბუნების დაფარვა საბურველით. მე რომ ჯეროვანი პატივისცემით არ ვეპყრობოდე განთქმულ მოღვაწეთ, ვიტყოდი, რომ ამგვარი ბუნდოვანება ჭარბობს სტალის [43] ზოგიერთ შრომებში და ნიუტონის მ ა თ ე მ ა ტ ი კ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ე ბ შ ი. საკმარისი იქნებოდა გაგეგოთ ეს წიგნები, რომ ისინი ღირსეულად შეგეფასებიათ; ხოლო რომ ეს წიგნები გასაგე-

გაეხადათ მათ ავტორებს, მხოლოდ ერთი თვის შრომა დასჭირდებოდათ; ეს ერთი თვე სამი წლის შრომას და გაწვალებას დაუზოგავათ ათას მახვილ გონებას. თითქმის სამი ათასი უნაყოფოდ დაკარგული წელიწადი! დავაჩქაროთ ფილოსოფიის გაპოპულარება. თუ ჩვენ გვინდა რომ ფილოსოფოსებმა წარმატება მოიპოვონ, ავამაღლოთ ხალხი ფილოსოფოსების დონემდე. იტყვიან ისინი, რომ არის ისეთი ნაწარმოებები, რომლებსაც უბრალო გონება ვერასოდეს ვერ მისწვდება. მაგრამ თუ ამას იტყვიან, ისინი მხოლოდ იმას დაამტკიცებენ, რომ არ იციან რის მიღწევა შეუძლია კარგ მეთოდს და ხანგრძლივ წრთვნას.

თუ ვისმე ნება უნდა მიეცეს ბუნდოვანად დარჩენის, ეს მხოლოდ, თუ გინდ ჩემი თავის გამართლებაში გამამტყუნონ, – მეტაფიზიკოსებს ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით. ღრმა აბსტრაქციებში სინათლის მხოლოდ სუსტი გამოკრთომა ბჟუტავს. განსაზოგადოების პროცესი ცდილობს განძარცვოს ცნებები ყოველივე იმისაგან, რაც მათში ხელშესახებია. ამ წნებათა განვითარების კვალობაზე ხორცშესხმული მოჩვენებები განიბნევიან; მცნებები ნელნელა გადადიან წარმოსახვის არედან გონების არეში; და იდეები წმინდა ინტელექტუალურნი ხდებიან. მაშინ თეორიტიკოსი ფილოსოფოსი ემსგავსება ადამიანს, რომელიც ღრუბლებში შთანთქმული მთების

მწვერვალებიდან სჭვრეტს ;დაბლობის საგნები გაჰქრნენ მის წინაშე; მას დარჩა მხოლოდ საკუთარი აზრების ჭვრეტა და შეცნობა სიმაღ-ლისა, რომელზედაც ის ასულა და სადაც იქნებ ყველას არც ძალუძს გაყვეს და ისუნთქოს.

XLI

განა ბუნების საკუთარი საბურველი არ კმარა, რომ კიდევ არ მიუმატოთ საიდუმლოების საბურველი? განა არ ჰყოფნის ხელოვნებას თავისი სიძნელეები? გადაშალეთ ფრანკლინის [44] წიგნი; გადაფურცლეთ ქიმიკოსების წიგნები, და თქვენ დაინახავთ, რამდენ ყურადღებას, წარმოსახვას, შორსმჭვრეტელობასა და სახსრებს თხოულობს ცდის ხელოვნება: ყურადღებით გადაიკითხეთ ისინი, რადგან იმათგან გაი-გებთ, თუ ამის გაგება შეიძლება, რაოდენ მრავალნაირად შეიძლება თითოეული ცდის გაკეთება. თუ ნიჭნაკლებობისა გამო თქვენ მი-თითებას საჭიროებთ ტექნიკური საშუალებების მხრივ, თვალწინ იქონიეთ ცხრილი მატერიის იმ თვისებათა, რომლებიც დღემდე გამო-უცვნიათ; მონახეთ ამ თვისებათა შორის ისეთნი, რომლებიც ეთავ-სებიან თქვენს გამოსაკვლევ ნივთიერებას; დარწმუნდით მათს თანა-

ყოფაში; შემდეგ შეეცადეთ გაიგოთ მათი რაოდენობა. ეს რაოდე-ნობა თითქმის ყოველთვის ხელსაწყოთი იქნება გაზომილი იქ, სადაც ერთნაირი ხმარება ერთი რომელიმე ნაწილის, ანალოგიურის ნივთი-ერებასთან, შეიძლება სწარმოებდეს განუწყვეტლივ და უნარჩოდ, თვისების სრულ ამოწურვამდე. რაც კი შეეხება არსებობას, ის და-დასტურდება სწორედ იმ საშუალებებით, რომელთა წინასწარ გა-მოცნობა არ შეიძლება. კიდეც რომ ვერ შეისწავლო კვლევის წარ-მოება, მარტო ცოდნაც კი იმისა, რას ეძებ, მაინც იძლევა ცოტა რაღაცას. თუმცა ისინი, ვინც იძულებულნი იქნებიან თავის თავს გა-მოუტყდნენ თავიანთ უნაყოფობაში, ან რაიმე აღმოჩენის მიღწევის აშკარა შეუძლებლობის გამო, ან სხვისი აღმოჩენებისადმი ფარული შურისა და ამ აღმოჩენებით გამოწვეული უნებლიე გულნატკენობის გამო, და აგრეთვე იმ ერთგვარი ოინებისა გამო, რომელთაც ისინი სიამოვნებით მიმართავდნენ ამ აღმოჩენის სახელში მონაწილეობის მი-საღებად, უკეთ მოიქცეოდნენ, თუ დასტოვებდნენ მეცნიერებას, რომელსაც ისინი ემსახურებოდნენ თვით მეცნიერებისათვის უსარგებ-ლოდ და თავიანთთვის უსახელოდ.

XLII

როდესაც თავში შემუშავდა ერთი იმ სისტემათაგანი, რომე-ლიც ცდით შემოწმებას მოითხოვს, საჭირო არაა არც დაჟინებითი მასზე დგომა, არც მისი ფუქსავატურად მიტოვება. ზოგჯერ თა-

ვიანთი ვარაუდები მცდარად მიაჩნიათ და არავითარი შესაფერი ზომები კი არ მიუღიათ, რომ ისინი ჭეშმარიტებად აქციონ. დაჟინება ამ შემთხვევაში უფრო ნაკლებ უხერხულობას იწვევს, ვიდრე მოწინააღმდეგე უკიდურესობა. ცდების გამრავლების მეოხებით იპოვი რაიმეს უკეთესს, თუ იმას ვერ იპოვი, რასაც ეძებდი. ბუნების გამოკვლევაზე დახარჯული დრო არასოდეს არ იქნება მთლიანად დაკარგული. ბუნების მუდმივობა უნდა შევუფარდოთ მისი ანალოგიების საფეხურებს. აბსოლუტურად უცნაური აზრებისათვის მარტო ერთი პირველი ცდაც საკმარისია. საჭიროა ცოტა მეტი ყურადღების მიქცევა იმ აზრებზე, რომლებიც უფრო გვანან სიმართლეს და თუ დიდმნიშვნელოვან აღმოჩენებს გვპირდებიან, მათზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა საშუალება ამოწურულია. ვფიქრობ, დარიგება ამაზე საჭირო არაა. ბუნებრივია, რომ კვლევას ხელს ჰკიდებენ იმ ინტერესისა გამო, რომელსაც ის იწვევს.

XLIII

რადგან სისტემები, რომლებზედაც აქ ვლაპარაკობთ, ემყარებიან მხოლოდ გამოურკვეველ იდეებს, შორეულ ვარაუდებს, შეცდომაში შემყვან ანალოგიებს, და ზოგჯერ, რადგან, ესეც უნდა ითქვას, ქიმერებს, რომელთაც ადვილად იღებს ფიცხი გონება დასაბუთებულ დებულებად, ამიტომ არცერთი მათგანი არ უნდა დავსტოვოთ წინასწარ განუხილავად შ ე ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი გ ზ ი თ. წმინდა რაციონალურ ფილოსოფიაში ჭეშმარიტება საკმაოდ ხშირად შეცდომის მოპირდაპირე ბოლოშია ხოლმე; ცდისეულ ფილოსოფიაშიც, აგრეთვე ცდა კი არა, არამედ მისი მოპირდაპირე მოგვცემს მოვლენას, რომელსაც მოველოდებოდით. საჭიროა განვიხილოთ უმთავრესად დიამეტრულად ორი მოპირდაპირე წერტილი. მაგალითად, ჩვენს მსჯელობათა მეორე ჯგუფში ჯერ უნდა დაიფაროს ელექტრიზებული დედამიწის ბურთის ექვატორი და გაშიშვლდეს პოლუსები, შემდეგ კი დაიფაროს პოლუსები და ექვატორი კი ღიად იქნას დატოვებულთ მაგრამ, ვინაიდან მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი მსგავსება იყოს ექსპერიმენტული დედამიწის ბურთსა და ბუნებრივს შორის, რომელსაც ის წარმოადგენს, ამიტომ ამორჩევა მატერიისა, რომლითაც პოლუსები უნდა დავფაროთ, არ იქნება უმნიშვნელო. შეიძლება, იძულებული ვიქნებოდით აგვეღო რაიმე სითხე, რის შესრულება სრულიად შესაძლებელია და რასაც ცდის დროს შეუძლია მოგვცეს რაიმე ახალი, არაჩვეულებრივი მოვლენა, სრულიად განსხვავებული იმისაგან, რის მიმსგავსებასაც ვაპირობდით.

XLIV

ცდები უნდა მეორდებოდნენ სათანადო დეტალების გამოსაკვ-

ლევად და ცდის საზღვრების გასაგებად. ცდები უნდა აწარმოოთ სხვადასხვა საგნებზე, გაართულოთ ისინი, მოახდინოთ მათი კომბინირება ყველა შესაძლებელი საშუალებით. რამდენადაც ცდები რჩებიან დაქუცმაცებული, იზოლირებული, დაუკავშირებელი, უკუუქცევადი, იმდენად დამამტკიცებლად უნდა ჩაითვალოს სწორედ ამ უკუუქცევადობისა გამო, რომ კიდევ რჩება რაღაც გასაკეთებელი. მაშინ საჭიროა სავსებით მიეცე მხოლოდ შენს ობიექტს და, ასე ვთქვათ, სჯიჯგნო ის მანამდე, სანამ იქედან არ გამოვა ისეთი გადაბმულობა მოვლენებისა, რომ ერთ-ერთ მათგანს თან სდევდეს ყველა დანარჩენები: ჯერ შედეგების შემცირებაზე ვიმუშაოთ; შემდეგ კი მიზეზების შემცირებაზე ვიფიქროთ. მაგრამ მხოლოდ შედეგების გამრავლება მიგვიყვანს მათ შემცირებამდე. მთავარი ოსტა-

ტობა გამოიხატება გამოყენებაში იმ ხერხებისა, რომლებსაც მიმართავენ რათა, გამოიტანო მიზეზიდან ყოველივე, რის მოცემაც მას შეუძლია, აგრეთვე იმაში, რომ გაარჩიო ისეთები, რომლებიდანაც ჩვენ უფლება გვაქვს მოველოდეთ ახალი მოვლენების შექმნას ისეთებიდან, რომლებიც მხოლოდ ფარულ მოვლენებს ჰქმნიან. დაუსრულებლად იმუშაო ამ მეტაფორმოზებზე – ეს ნიშნავს ძალიან მოიქანცო და წინ კი არ წაიწიო. ყოველივე ცდას, რომელიც არ ავრცელებს კანონს ამათუიმ ახალ შემთხვევებზე, ან არ განსაზღვრავს მას რომელიმე გამონაკლისით, არა აქვს არავითარი მნიშვნელობა. უადვილესი საშუალება – გაიგო საკუთარი ცდის ღირებულება, ესაა მისი ენთიმემების წინამავალ წევრად დასმა და ნამძღვარის განხილვა.გამოდის ზუსტად ისეთივე შედეგი, როგორც ერთხელ უკვე იყო გამოტანილი სხვა ცდისაგან? არაფერი ახალი არაა აღმოჩენილი; ხოლო სულ უფრო და უფრო ხდება უკეე აღმოჩენილის განმტკიცება. ცოტა მოინახება ცდისეულ ფიზიკაში დიდტომიანი წიგნები, რომელთაც ეს უბრალო წესი მნიშვნელობის მხრივ რამდენიმე გვერდამდე არ ჩამოეყვანოთ; და უამრავი რიცხვია ისეთი პატარა წიგნებისა, რომლებმაც იგი ნულამდე დაიყვანეს.

XLV

როგორც მათემატიკაში მრუდის თვისებების განხილვის დროს რწმუნდები, რომ ეს ერთი და იგივე თვისებაა სხვადასხვა სახეებში მოცემული, ბუნებაშიაც, როდესაც ცდისეული ფიზიკა უფრო წინ იქნება წაწეული, იძულებული გავხდებით ვაღიაროთ, რომ ყველა მოვლენები ან სიმძიმისა ან დრეკადობისა, ან მიზიდულობისა, ან მაგნიტობისა, ან ელექტრობის, მხოლოდ სხვადასხვა სახის ერთი და იგივე თვისებაა. მაგრამ ერთ-ერთ ამ მიზეზიდან გამომდინარე ცნობილ მოვლენებს შორის, რამდენი შუალედი მოვლენაა მოსანახი დაკავშირებისათვის, სიცალიერეთა ამოვსებისათვის და იდენტობის

დასამტკიცებლად? ჯერჯერობით შეუძლებელია ამის განსაზღვრა. შეიძლება, არსებობდეს ცენტრალური მოვლენა, რომელიც სხივებს მოჰფენს არამარტო არსებულს, არამედ ყველა მათაც, რომლებიც დროთა განმავლობაში იქნებიან აღმოჩენილი და რომელნიც შეიძლება შეაკავშირებენ მათ ყველას და შექმნიან სისტემას. მაგრამ ასეთი საყოველთაო გამაერთიანებელი ცენტრის უქონლობისას, ისინი იზოლირებული დარჩებიან; ცდისეული ფიზიკის ყველა აღმოჩენები მხოლოდ ხელს შეუწყობენ მათ დაახლოებას, როგორც მათი შუამავალნი, შეერთებით კი ვერასოდეს ვერ შეაერთებენ მათ; მაგრამ ეს აღმოჩენები კიდეც რომ შესძლებდნენ მათ შეერთებას, მაშინ შე-

იქმნებოდა მოვლენების განუწყვეტელი წრედი, რომელშიაც შეუძლებელი იქნებოდა იმისი გარკვევა, თუ სადაა პირველი მოვლენა და სადაა უკანასკნელი. ასეთი საკვირველი შემთხვევა, როდესაც ცდისეული ფიზიკა, თავისი შრომების მეოხებით, ლაბირინთს შექმნიდა, რომელშიაც რაციონალური ფიზიკა გზააბნეული დაუღალავად იტრიალებდა, შესაძლებელია ბუნებაში, მაგრამ შეუძლებელია მათემატიკაში. სინთეზის ან ანალიზის დახმარებით, მათემატიკაში ყოველთვის შეიძლება მონახვა შუალედ წინადადებებისა, რომლებიც გამოყოფენ მრუდეს ძირითად თვისებას მის ყველაზე უფრო შორეულ თვისებიდან.

XLVI

არიან შეცდომაში შემყვანი მოვლენები, რომლებიც პირველი შეხედვით, თითქო უკუაგდებენ სისტემას, მაგრამ რომლებიც, უკეთ გაცნობილნი, საბოლოოდ ადასტურებენ მას. ეს მოვლენები ნამდვილ უბედურებას წარმოადგენენ ფილოსოფოსისათვის, განსაკუთრებით, როდესაც მას წინაგრძნობა აქვს, რომ ბუნება მას თავზე ახვევს მათ, თვითონ კი გაურბის მის ვარაუდებს რაღაც არაჩვეულებრივი და საიდუმლო საშუალებებით. ასეთ საძნელო შემთხვევას ადგილი ექნება ყოველთვის, როდესაც მოვლენა შედეგი იქნება მრავალი ერთმანეთის დამხმარე ან ხელისშემშლელი მიზეზებისა. თუ ისინი ეხმარებიან, მოვლენის რიცხვობრივი მხარე მეტისმეტად დიდდება ჩამოსაყალიბებელი ჰიპოთეზისათვის; თუ კი ისინი ხელს უშლიან, ეს რიცხობრივი მხარე მეტისმეტად მცირე ხდება, და ზოგჯერ კი სრულებით ნულამდე დადის; და მოვლენა გაქრება, ასე რომ არ იცი რას მიაწერო ბუნების ეს უხიაკი დუმილი. ნუ თუ ამაში ბუნებას დავდოთ ბრალი? მაგრამ ეს ერთი ნაბიჯითაც არ წაგვწევს წინ. საჭიროა მუშაობა მიზეზთა განცალკევებაზე, საჭიროა ჩამოაშორო შედეგი მოქმედებას და ძლიერ რთული მოვლენა მარტივ მოვლენამდე ჩამოიყვანო; ან, უკიდურეს შემთხვევაში,გამოარკვიო რომელიმე ახალი ცდის საშუალებით მიზეზთა სირთულე, მათი დამხმარებლობა ან

ხელისშემშლელობა; ოპერაცია, რომელიც ხშირად საძნელოა, ზოგ-ჯერ კი შეუძლებელი; მაშინ სისტემა რყევას განიცდის; ფილოსო-ფოსები ჯგუფებად იყოფიან; ერთნი მის მომხრეებად რჩებიან; სხვები გატაცებული არიან ცდით, რომელიც თვალსაჩინოდ ეწინააღმდეგება მას; და შეიქნება დავა, რომელიც გრძელდება მანამდე, სანამ გამ-ჭრიახობა ან შემთხვევა, რომელიც არასოდეს არ ისვენებს და უფრო ნაყოფიერია, ვიდრე გამჭრიახობა, არ მოსპობენ წინააღმდეგობას, და არ აღადგენენ იდეების ღირსებას, რომელნიც თითქმის მიტოვე-ბულნი იყვნენ.
96

XLVII

თავისუფლება უნდა მიეცეს ცდას; ცდის ჩვენება იმ მხრიდან, რომელიც ამტკიცებს, და დაფარვა იმ მხრიდან, რომელიც ეწინა-აღმდეგება, ნიშნავს მის ტყვედ ყოლას. უხერხულობა იმაში კი არაა, რომ წარმოდგენები გექნეს, არამედ მასში, რომ თვალები არ აიხვიო ამ წარმოდგენებით როდესაც ცდას აწარმოებ. სასტიკი ხარ ხოლმე საკუთარ გამოკვლევაში მხოლოდ მაშინ, როდესაც შედეგი ეწინააღმ-დეგება სისტემას. მაშინ არაფერი არ გავიწყდება ისეთი, რასაც შეუძ-ლია დაეხმაროს მოვლენას და შეუცვალოს მას თავისი სახე, ან ბუნე-ბას – თავისი ენა. წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვირვებელი ლმობიე-რია; ის ზერელედ ეხება გარემოებებს; ის თითქმის არც ფიქრობს ბუნე-ბას გამოედავოს; ის იჯერებს ბუნების პირველსავე სიტყვას; ეჭვიც არ ებადება მის ორჭოფობაში, და ასეთი მკვლევარისათვის ღირსი იქნე-ბოდა გვეთქვა: „შენი ხელობაა დაკითხო ბუნებას, შენ კი აიძულებ მას სიცრუე თქვას, ან გეშინია აიძულო იგი ახსნა-განმარტება მოგცეს“.

XLVIII

უკუღმართ გზაზე რაც უფრო ჩქარა მიდიხარ, მით უფრო იბ-ნევი და როგორ დაბრუნდები, როდესაც უშველებელი გზა გაიარე? ძალთა სისუსტე არ იძლევა ამის ნებას; პატივმოყვარეობა ეწინა-აღმდეგება ამას შენთვისავე შეუმჩნევლად; გაჯიუტებული ერთგუ-ლება პრინციპებისადმი მიმზიდველობით ფარავს ყოველივეს შენს გარ-შემო და ამახინჯებს საგნებს. შენ უკვე ხედავ მათ ისეთებად, კი არა, როგორიც ისინი სინამდვილეში არიან, არამედ ისეთებად, როგორც შენთვის ხელსაყრელია რომ ისინი იყვნენ. მის მაგიერ, რომ შენ შეს-ცვალო შენი წარმოდგენანი არსებათა მიმართ, თითქოს სცდილობ შესცვალო არსებანი შენი წარმოდგენათა შესაბამისად. ყველა ფი-ლოსოფოსთა შორის ეს ჟინი ყველაზე თვალსაჩინოდ მეთოდისტებში ბატონობს. თუ რომ მეთოდისტმა თავის სისტემაში მოათავსა ადა-მიანი ოთხფეხათა რიგში, ისევე უმზერს მას სინამდვილეშიც მხოლოდ ოთხი ფეხის მქონე ცხოველად. ამაოდ ღაღადებს უმაღლესი გონება,

რომლითაც ადამიანია დაჯილდოებული, ცხოველის წინააღმდეგ, რომ ადამიანის ორგანიზაცია ეწინააღმდეგება ოთხფეხას ორგანიზაციას; ბუნებამ ტყუილუბრალოდ შეაბრუნა მისი მხედველობა ცისაკენ: სისტემისადმი რწმენამ მიწისაკენ დაჰხარა მისი სხეული. გონება სისტემის მიხედვით, მხოლოდ უფრო სრულყოფილი ინსტიქტია; მას სერიოზულად სწამს, რომ თუ ადამიანი მაშინვე ჰკარგავს ფეხებით სარგებლობის უნარს, როგორც კი ხელების ფეხებად გადაქცევას განიზრახავს, ამის მიზეზი მხოლოდ ჩვევის ნაკლებობაა.

97

XLIX

ზოგიერთი მეთოდისტის დიალექტიკა იმდენად უცნაური რამაა, რომ არ შეიძლება მისი ნიმუში არ მოვიყვანოთ. ადამიანი, – ამბობს ლინეუსი [45], – არაა არც ქვა, არც მცენარე. მაშასადამე, ეს ცხოველია. ის ერთფეროვანი არაა; მაშასადამე, ის ჭია არაა. ის არაა მწერი, ვინაიდან მას ულვაშები არა აქვს. მას ფარფლები არა აქვს; მაშასადამე, ის თევზი არაა. არც ფრინველია ის, რადგან მას ბუმბული არა აქვს. მაშ რაღაა ადამიანი? მას პირი ოთხფეხასი აქვს, ოთხი ფეხი აქვს; ორი ზედა შეხებისათვის აქვს, ორი (ქვედა) კი სასიარულოდ. მაშასადამე, ის ოთხფეხაა. „მართლაც,– განაგრძობს მეთოდისტი, – ჩემი საბუნებისმეტყველო პრინციპების მიხედვით, ვერასოდეს ვერ ვარჩევდი ადამიანს მაიმუნიდან; რადგან არიან ზოგიერთი მაიმუნები, რომელთაც ტანზე ბალანი ნაკლები აქვთ, ვიდრე ზოგიერთ ადამიანებს; ეს მაიმუნები ორ ფეხზე დადიან, ფეხებს და ხელებს ისევე ხმარობენ როგორც ადამიანები. მეტყველება ხომ ჩემთვის გადამწყვეტი ნიშანი არ არის; ჩემი მეთოდების თანახმად, მე დასაშვებად მიმაჩნია მხოლოდ ისეთი ნიშნები, რომლებიც გამომდინარეობენ რიცხვიდან, ფიგურიდან, პროპორციიდან და მდგომარეობიდან“. „მაშასადამე, თქვენი მეთოდი ცუდია“, – ამბობს ლოღიკა, „მაშასადამე, ადამიანი ოთხფეხი ცხოველია“, – ამბობს ნატურალისტი.

L

ჰიპოთეზის შერყევისათვის ზოგჯერ საკმარისია გაავრცელო იგი რაც შეიძლება უფრო შორს. მაგალისათვის ავიღოთ ჰიპოთეზი, რომელიც ეკუთვნის დოქტორს ერლანგენიდან [46], რომლის ნაწარმოები, არის რა სავსე ახალი და არაჩვეულებრივი იდეებით, ბევრ ტანჯვას არგუნებს ჩვენს ფილოსოფოსებს. მისი საგანი უდიდესია ყველა იმათგან, რომლებიც კი ადამიანის გონებას შეუძლია წარმოიდგინოს: ის ბუნების უნივერსალური სისტემაა. ავტორი იწყებს თავის წინამორბედთა აზრების ზერელე მიმოხილვიდან და მიუთითებს მათი პრინციპების უკმარისობაზე მოვლენათა ზოგადი განვითარების ასახსნელად. ზოგი სივრცეში და მოძრაობაშიეძებდა

ყოველივეს დასაწყისს. სხვები ფიქრობდნენ, რომ სივრცეს უნდა მიემატოს უ ჟ ვ ე ნ ო ბ ა , ძ ვ რ ა დ ო ბ ა დ ა ი ნ ე რ ც ი ა. ცის სხეულებზე დაკვირვებამ, ან, უფრო ზოგადად, დიდი სხეულების ფიზიკამ, დაამტკიცა აუცილებლობა იმ ძალის არსებობისა, რომლის მეოხებითაც ყველა ნაწილები გარკვეული კანონის მიხედვით მიისწრაფვიან ან მიიზიდვიან ერთიმეორისაკენ; და მ ი ზ ი დ უ ლ ო ბ ა

აქ პირდაპირ პროპორციულია მასასთან და უკუპროპორციული მანძილის კვადრატთან. უმარტივესმა ქიმიურმა ოპერაციებმა ან მცირე სხეულების ელემენტარულმა ფიზიკამ აიძულეს მიემართათ მ ი ზ ი დ უ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს, რომელიც სხვა კანონებს ემორჩილება; და შეუძლებლობამ კი იმისა, რომ მიზიდულობის, ინერციის, ძვრადობის, უჟვენობის, მოძრაობის, მატერიის ან სივრცის შემწეობით აეხსნა მცენარის ან ცხოველის წარმოშობა – მიიყვანა ფილოსოფოსი ბაუმანი[47] კიდევ სხვა თვისებების დაშვებამდე ბუნებაში. იყო რა უკმაყოფილო პ ლ ა ს ტ ი კ უ რ ი ძ ა ლ ე ბ ი თ, რომლებსაც დაკისრებული ჰქონდათ ბუნების ყველა სასწაულების მოხდენა უმატერიოდ და უგონებოდ; დ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ უ ლ ი გ ო ნ ი ე რ ი ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი ე ბ ი თ, რომელთა მატერიაზე მოქმედება გაუგებარია; ისეთ ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი ა თ ა შ ე ქ მ ნ ი ს და გ ა ჩ ე ნ ი ს ე რ თ დ რ ო უ ლ ო ბ ი თ, რომლებიც, შეიცავენ რა ერთიმეორეს, ვითარდებიან დროთა მიმდინარეობაში პირველი სასწაულის განუწყვეტლობით და მათი წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს წ ი ნ ა ს წ ა რ გ ა ნ უ ზ რ ა ხ ვ ე ლ ო ბ ი თ, რაც წარმოადგენს ჯაჭვს დროის თითოეულ მომენტში განმეორებული სასწაულებისას, – ბაუმანი ფიქრობდა, რომ ყველა ამ ნაკლებად ფილოსოფიურ სისტემებს ადგილი არ ექნებოდათ, ჩვენ რომ არ გვაკავებდეს უსაფუძვლო შიში იმისა, რომ კარგად ცნობილი მოდიფიკაციები მივაწეროთ ისეთ არსებას, რომლის არსი ჩვენ არ ვიცით, და რომელიც სწორედ ამიტომ, მიუხედავად ჩვენი ცრურწმენისა, ეგებ სავსებით ეგუებოდეს ამ მოდიფიკაციებს. მაგრამ რა არსებაა ეს? რა მოდიფიკაციებია ეს? შემიძლია მე ამაზე ვუპასუხო? უეჭველადო, – ამბობს დოქტორი ბაუმანი. სხეულოვანი არსება არის ეს არსება; ეს მოდიფიკაციები არიან ს უ რ ვ ი ლ ი , ზ ი ზ ღ ი , მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა და გ ო ნ ე ბ ა და, ერთი სიტყვით, ყველა თვისებები, რომელთაც ჩვენ ვცნობთ ცხოველებში (ამ უკანასკნელს ძველად მ გ რ ძ ნ ო ბ ი ა რ ე ს უ ლ ის სახელწოდებით იცნობდნენ) და რომელნიც დ-რ ბაუმანს დასაშვებად მიაჩნია შესაფერ ფორმებში და ზომებში, როგორც მატერიის უუმცირეს ნაწილაკში, ისე უდიდეს ცხოველშიც. სახიფათო რომ ყოფილიყო, ამბობს ის, მატერიის მოლეკულებში გონიერების რომელიღაც ხარისხის დაშვება, მაშინ ეს ხიფათი ერთნაირად დიდი იქნებოდა. დავუშვებდით გონების არსებობას მაიმუნში ან სპილოში თუ სილის მარცვალშიაც კი.

აქ ფილოსოფოსი-აკადემიკოსი ერლანგენიდან, უკანასკნელ

ძალებს იკრებს, რომ თავიდან აიშოროს ათეისტობის ყოველივე ეჭვები; და, აშკარაა, მხოლოდ იმიტომ იცავს ასეთის გულ-

ლებლად უძნელესი მოვლენების ასახსნელად, მატერიალიზმის მისგან გამომდინარეობის გარეშე. საჭიროა მისი ნაწარმოების წაკითხვა, რომ ისწავლო შეგუება ყველაზე უფრო გაბედული ფილოსოფიური იდეებისა რელიგიისადმი უღრმეს პატივისცემასთან. ღმერთმა შეჰქმნა სამყაროო, ამბობს დოქტორი ბაუმანი: და ჩვენი საქმეა, თუ ეს შესაძლებელია, მოვნახოთ კანონები, რომელთა შემწეობითაც ღვთაება თავისი არ-სებობასაც შეინარჩუნებდა, და იმ საშუალებებსაც, რომელნიც მის მიერვე გამიზნულია ინდივიდთა გასამრავლებლად. ჩვენს წინაშე თა-ვისუფალი ასპარეზია ამ მხრივ; ჩვენ შეგვიძლია საკუთარი იდეები წამოვაყენოთ; და აი დოქტორის მთავარი იდეები.

სათესლე ელემენტს, გამოტანილს სხეულის ნაწილიდან, რო-მელიც მსგავსია ამ ელემენტთა წარმომშობი, აზრით და გრძნობით დაჯილდოებული არსებისა, იგი იქნება ერთგვარი გამოკრთომა თავისი თავდაპირველადი მდგომარეობისა; აქედან, სახეობათა შე-ნახვა და მშობლებთან მსგავსება.

შეიძლება მოხდეს, რომ სათესლე სითხე ჭარბად შეიცავდეს ან მოკლებული იყოს ზოგიერთ ელემენტებს, რომ ამ ელემენტებს არ ძა-ლუძდეთ შეერთება გულმავიწყობის მიზეზით, ან ადგილი ექნეს თავისე-ბურ შეერთებას ზეკომპლექტური ელემენტებისას; აქედან ან ჩასა-ხვის შეუძლებლობა, ან ყოველგვარი შესაძლებელი მახინჯი ჩანასა-ხები.

ზოგი ელემენტი გასაოცარის აუცილებლობით ითვისებს სიადვილით ყოველთვის ერთნაირად შეერთების ნიჭს; აქედან, თუ ისინი სხვადასხვანაირნი არიან, დაუსრულებელია სხვადასხვა მიკროს-კოპულ ცხოველთა წარმოქმნა; აქედან, თუ ისინი ერთმანეთის მსგავ-სნი არიან როგორც პოლიპები, რომლებიც შეიძლება დაუსრულებლად მცირე ფუტკრების მტევანს შევადაროთ, რომელთაც, აქვთ რა ცო-ცხალი მოგონება მხოლოდ ერთი მდგომარეობის შესახებ, – გადაებ-მიან და დარჩებიან გადაბმული იმ ერთ მდგომარეობაში, რომელიც მათ მიერ ყველაზე უკეთაა ათვისებული.

როდესაც აწინდელ მდგომარეობიდან მიღებული შთაბეჭდი-ლება გააწონასწორებს ან ჩააქრობს წარსული მდგომარეობის მოგო-ნებას, ისე რომ იყოს უგრძნობლობა ყოველგვარი მდგომარეობისადმი, მაშინ ადგილი ექნება უნაყოფობას; აქედან, ჯორების უნაყოფობა.

ვინ შეუშლის ხელს ელემენტარულ, გონიერ, და გრძნობიერე-ბით დაჯილდოვებულ ნაწილებს დაუსრულებლად არღვიონ წესი, რომელიც სახეობას ჰქმნის? აქედან, პირველცხოველიდან წარმომდგარ ცხოველთა სახეობის დაუსრულებელი სიმრავლე; პირველი არსებიდან

წარმოშობილი არსებების დაუსრულებელი რაოდენობა; ეს არის ერთადერთი მოქმედება ბუნებაში.

განა აკუმულირებისა და კომბინირების დროს დაჰკარგავს ყოველი ელემენტი თავის მცირეოდენ ხარისხს გრძნობისას და პერცეპციისას? არავითარ შემთხვევაში, ამბობს დოქტორი ბაუმანი. ეს თვისებები მისთვის არსებითია. მაშ რა იქნება? აი რა: შეკრებილი და კომბინირებული ელემენტების ამ პერცეპციებიდან წარმოიშვება ერთი პერცეპცია, პროპორციული მასასა და განლაგებასთან; და პერცეპციათა ეს სისტემა, სადაც თითოეული ელემენტი დაკარგავს თავის მე-ს მახსოვრობას და ხელს შეუწყობს მთელის შეგნების წარმოშობას, იქმნება ცხოველის სული. „როგორც სჩანს, ელემენტთა ყველა პერცეპცია ერთიანდება და ჰქმნის ერთ უფრო ძლიერ და სრულყოფილ პერცეპციას. ეს უკანასკნელი ისეთივე დამოკიდებულებაშია ცალკეულ პერცეპციებთან როგორც ორგანიზებული სხეული ელემენტთან. მას შემდეგ, რაც თითოეული ელემენტთაგანი, შეურთდა რა სხვებს, შეურია თავისი პერცეპცია დანარჩენების პერცეპციებს და დაკარგა თ ვ ი თ შ ე გ ნ ე ბ ა-ხსოვნა ელემენტების პირველყოფილ მდგომარეობაზე ქრება, და ჩვენგან დაფარული რჩება ჩვენივე წარმოშობა“ [48]).

აი სწორედ აქ გვაოცებს ჩვენ ის, რომ ავტორმა, ან ვერ შეამჩნია თავისივე ჰიპოთეზიდან გამომდინარე საშინელი დასკვნები, ანდა შეამჩნია, მაგრამ არ ინება განშორებოდა თავის ჰიპოთეზს. ახლა ჩვენ უნდა შევუდგეთ ჩვენი მეთოდებით მისი პრინციპების განხილვას. ამრიგად, მე შევეკითხები მას, შეადგენს თუ არა სამყარო, ან ყველა მოაზროვნე და მგრძნობიერ მოლეკულათა ერთობლიობა რაიმე მთელს? თუ ის მიპასუხებს, რომ იგი მთელს არ შეადგენს, ის მაშინვე შეარყევს ღვთის არსებობას, შეიტანს რა უწესრიგობას ბუნებაში, და გასწყვეტს რა ჯაჭვს, ყველა არსებათა დამაკავშირებელს და ძირს გამოუთხრის ფილოსოფიას. თუ კი ის დასთანხმდება, რომ სამყარო მთლიანობას წარმოადგენს, სადაც ელემენტთა შორის ბატონობს არა ნაკლები წესრიგი, ვიდრე რეალურად დასანახ, ან გონებით შესაცნობ ნაწილებს შორის, ან ცხოველში მყოფ ელემენტებს შორის, მაშინ აუცილებელი შეიქნება აღიარება, რომ ამ მსოფლიო გადაბმულობის შედეგად უზარმაზარი ცხოველის მსგავს ქვეყანას, აქვს სული; რომ თუ კი ქვეყანა შეიძლება დაუსრულებელი იყოს, ქვეყნის სული, მე არ ვამბობ არის, მაგრამ შეიძლება იყოს პერცეპციათა დაუსრულებელი სისტემა, და რომ ქვეყანა შეიძლება ღმერთი იყოს. დაე, რამდენიც უნდა იმდენი უკმაყოფილობა გამოსთქვას მან ამ დასკვნების გამო, ისინი მაინც თავის სისწორეს არ დაჰკარგავენ,

და როგორი სინათლეც არ უნდა შეიტანონ ამ მაღალმა იდეებმა ბუნების სიღრმეებში, ისინი ამით მაინც არ იქნებიან ნაკლებ შე-

მაძრწუნებელნი. საჭირო იყო მხოლოდ მათი განზოგადოება, რომ ეს შესამჩნევი გამხდარიყო. განზოგადოების აქტს ისეთივე მნიშვნელობა აქვს მეტაფიზიკოსის ჰიპოთეზისათვის, როგორც ცდებს და დაკ-ვირვებათა განმეორებას ფიზიკოსის ვარაუდებისათვის. სწორი არიან ვარაუდები? რამდენადაც მეტი ცდა კეთდება, ვარაუდები მით უფრო დასტურდებიან. სწორი არიან ჰიპოთეზები? რამდენადაც უფრო გა-ფართოვდებიან დასკვნები, იმდენად მეტ ჭეშმარიტებებს შემოსწვ-დებიან ჰიპოთეზები, მით უფრო მეტ ძალას და დამაჯერებლობას იძენენ ისინი. პირიქით, თუ ვარაუდები და ჰიპოთეზები უხეში და ცუდად დასაბუთებულნი არიან, მაშინ ან რაიმე ფაქტი წამოიჭრება, ან კიდევ მოინახება ესა თუ ის ჭეშმარიტებანი, რომელთა წინააღმდეგ ისინი უძლურნი აღმოჩნდებიან. დოქტორ ბაუმანის ჰიპოთეზმა იქნება ახსნას ბუნების ყველაზე უფრო მიუწვდომელი საიდუმლოება, ცხოვე-ლების წარმოშობა, ან უფრო ზოგადად რომ ვთქათ, ყველა ორგა-ნიზებულ სხეულთა წარმოშობა, მოვლენათა საყოველთაობა, ერთო-ბლიობა და ღვთის არსებობა იქნებიან მისი შებრკოლების ლოდები. მაგრამ ალბათ ჩვენ უარვყოფდით იდეებს დ-რისა ერლანგენიდან, და მეტისმეტად ცუდ შეფასებას მივსცემდეთ მოვლენათა მთელ და-ხლართულობას, რომლის ახსნაც მან განიზრახა, და მის მიერ წამოყე-ნებული ჰიპოთეზის ნაყოფიერების მოულოდნელ დასკვნებს, რომლე-ბიც მათგანვე გამომდინარეობენ, ახალი ვარაუდების დამსახურებას ისეთი საგნის მიმართ, რომელზედაც საუკეთესო ადამიანები მუშა-ობდნენ საუკუნოების განმავლობაში და თავისი ჰიპოთეზების წარ-მატებით დაცვის სიძნელეს – ჩვენ რომ მათ არ ვუყურებდეთ, როგორც ღრმა აზროვნების ნაყოფს, როგორც დიდ სიმამაცეს ბუნების უნივერ-სალური სისტემის შექმნის საქმეში და როგორც დიდი ფილოსო-ფოსის ცდას.

LI

შეგნძნობის იმპულსზე

დ-რ ბაუმანს რომ მართებულ ფარგლებში ჩაეყენებია თავისი სისტემა და მისი იდეები მხოლოდ ცხოველების წარმოშობაზე გამოეყენებია, ისე რომ არ გაევრცელებია ისინი სულის ბუნე-ბაზე, საიდანაც, როგორც მე ეს, ჩემის აზრით, შევძელი ზემოთ მეჩ-ვენებია, ისინი შესაძლოა გადატანილი ყოფილიყვნენ ღვთის არსე-ბობის აღიარებამდე, ის არ ჩავარდებოდა ყველაზე უფრო მაცდური სახის მატერიალიზმში ორგანული მოლეკულებისადმი სურვილის, ზიზღის, გრძნობისა და აზრის მიწერით. ის უნდა დაკმაყოფილებულიყო

მათში ათასჯერ უფრო ნაკლები გრძნობიერების დაშვებით, ვიდ-რე ის გრძნობიერებაა, რომლითაც ყოვლისშემძლემ დააჯილდოვა

მკვდარ ბუნებასთან ყველაზე უფრო ახლო მდგარი ცხოველებიც კი. ამ ფარულ გრძნობიერებასა და კონფიგურაციაში განსხვავების მეოხებით ყოველგვარი ორგანული მოლეკულისათვის იარსებებდა მხოლოდ ერთი, ყველაზე უფრო მოხერხებული მდგომარეობა, რომლისკენაც ის განუწყვეტლად ისწრაფებოდა ავტომატური მოუსვენრობით, მსგავსად ცხოველებისა, რომლებიც შფოთავენ ძილში, როდესაც შეჩერებულია მათი თითქმის ყველა უნარის გამოვლინება, სანამ არ მონახავენ მდგომარეობას, ყველაზე უფრო მოხერხებულს დასვენებისათვის. ეს ერთი პრინციპიც საკმარისი იქნებოდა ასახსნელად (უმარტივესი საშუალებით და სახიფათო დასკვნების გარეშე გაუკეთებლად) იმ მოვლენებისა, რომელთა ახსნაც მან განიზრახა, და იმ აურაცხელ სასწაულებისა, რომლებიც ასე აოცებენ მწერებზე ყველა ჩვენს დამკვირვებლებს; და ეს პრინციპი განსაზღვრავდა ცხოველს საზოგადოდ როგორც სისტემას სხვადასხვა ორგანული მოლეკულებისას, რომლებიც შეგრძნობის იმპულსის ზეგავლენით ჩლუნგ და დახშულ შეხებას ემსგავსებიან (ეს თვისება კი მინიჭებულ აქვთ მათ მის მიერ, ვინც საერთოდ შეჰქმნა მატერია; და ეს მოლეკულები კომბინირდებიან მანამდე, სანამ თითოეული მათგანი ჰპოებდეს ალაგს, ყველაზე უფრო შესაფერისს მისი ფიგურისათვის და მისი მყარობისათვის.

LII

ხელსაწყოებსა და საზომებზე

როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რამდენადაც გრძნობები ყოველივე ჩვენი ცოდნის წყაროს წარმოადგენენ, იმდენად მეტად მნიშვნელოვანია გაგება იმისა, თუ რაოდენ შესაძლებელია ჩვენთვის მათზე დაყრდნობა დავუმატოთ აქ, რომ არანაკლებ საჭიროა განხილვაც ჩვენი გრძნობების დამატებების, ან ხელსაწყოებითა ცდის ახალი გამოყენება ახალი წყაროა ხანგრძლივი, მძიმე და საძნელო დაკვირვებებისა. გვექნებოდა, ვგონებ, ერთი საშუალება შრომის შემცირებისა; ესაა რაციონალური ფილოსოფიის სინიდისიანობისათვის ყურის წაყრუება (რადგან რაციონალურ ფილოსოფიას აქვს თავისი სინიდისიანობა) და ნათელი წარმოდგენის ქონა იმაზე, თუ სახელდობრ რომელ ხარისხამდეა საჭირო საზომთა სიზუსტე გაზომვის დროს. რამდენია დაკარგული გაზომვაზე ხერხი, შრომა და დრო, რაც გამოგონებას უნდა მოხმარდებოდა!

LIII

ხელსაწყოების გამოგონებაში ან გაუმჯობესებაში საჭიროა დაჟინებით მოეთხოვოს ფიზიკოსს წინდახედულება; ის უნდა მოერიდოს ანალოგიებს, არასოდეს არ დაასკვნას არც უმეტესიდან უმცირესისაკენ, არც უმცირესიდან უმეტესისაკენ; მან უნდა განიხილოს ყველა ფიზიკური თვისებები მოცემულ ნივთიერებებისა. ფიზიკოსს არასოდეს არ ექნება წარმატება, თუ ეს მან უგულველჰყო; და როდესაც ის მიიღებს ყოველივე ზომას, კიდევ რამდენჯერმე წააწყდება იგი რაიმე-მცირეოდენ დაბრკოლებას, რომელიც მას არ გაუთვალისწინებია, ან უგულველუყვია, მაგრამ რომელიც განთიშავს მას ბუნებისაგაგან, იძულებულს გახდის მას ხელი აიღოს ისეთ მუშაობაზე, რომელიც დამთავრებულად მიაჩნდა.

L1V

საგნების განსხვავებაზე

რადგან გონებას არ შეუძლია ყველაფერი გაიგოს, წარმოსახვას – ყოველივე გაითვალისწინოს, გრძნობას – ყოველივე შეამჩნიოს, და მეხსიერებას – ყველაფერი დაიტიოს, და ვინაიდან დიდებული ადამიანები დიდის ხანგამოშვებით იბადებიან, მეცნიერული ცოდნის პროგრესი კი ისე ხშირად ბრკოლდება გადატრიალებებით, რომ მეცნიერული მოღვაწეობის მთელი საუკუნოები იხარჯებიან მასზე, რომ გავლილი საუკუნოების ცოდნა იქნას აღდგენილი, ამიტომ განურჩევლად დაკვირვების წარმოება ყველაფერზე ეს იქნებოდა საკუთარი მოვალეობის არ შესრულება კაცობრიობის წინაშე. არაჩვეულებრივი ნიჭის ადამიანებმა ისე უნდა დახარჯონ თავიანთი დრო, როგორც ამას მოითხოვს თავისთავისა და შთამომავლობის პატივისცემა. რას იფიქრებდა ჩვენზე შთამომავლობა, ჩვენ რომ არაფერი არ დაგვეტოვებია მისთვის, გარდა სრული ენტომოლოგიისა და მიკროსკოპულ ცხოველთა ვეებერთელა ისტორიისა? დიდ გონებისათვის – დიდი საგნები, მცირეთათვის – მცირე. უკანასკნელებმა უკეთესია ამას მოჰკიდონ ხელი, ვიდრე სრულებით არაფერი გააკეთონ.

LV

დ ა ბ რ კ ო ლ ე ბ ე ბ ზ ე

ვინაიდან საკმარისი არაა მარტო სურვილი რომელიმე საგნისა და საჭიროა აგრეთვე შერიგება ყველაფერთან, რაც სასურველ საგანს თითქმის განუყოფლად უკავშირდება, ამიტომ ადამიანი, რომელიც გადასწყვეტს ფილოსოფიის შესწავლას მიჰყოს ხელი, უნდა მოელოდეს

არამარტო ფიზიკურ დაბრკოლებებს, დამახასიათებლებს მისი საგ-

ნის ბუნებისათვის, არამედ მორალური ხასიათის მრავალ დაბრკოლებებსაც, რომლებიც აუცილებლად შეხვდებიან მას ისე, როგორც მანამდე ხვდებოდნენ ყველა ფილოსოფოსს. ამიტომ როდესაც მას დაბრკოლება შეემთხვევა, ან მას ცუდად გაიგებენ, ცილს დასწამებენ, გალანძღავენ, შეაჩვენებენ, დაე, მან უთხრას თავის თავს: „განა მარტო ჩემს დროს ან მხოლოდ მე მხვდა წილად შეხვედრა უმეცარ და ბოროტ ადამიანებთან, შურით შეპყრობილ სულებთან, ცრუმორწმუნეობით გონებადაბნელებულ არსებებთან? თუ ის ხანდისხან გაიფიქრებს ჩივილს თავის თანამოქალაქეებზე, დაე, მან ასე სთქვას: „მე ვუჩივი ჩემს თანამოქალაქეებს, მაგრამ რომ შესაძლებელი იყოს ერთად ყველა მათთვის შეკითხვის მიცემა და თითოეული მათგანისათვის კითხვის დასმა – რას უფრო ისურვებდა იგი ეკლეზიასტური ახალი ამბების ავტორი იყოს, თუ მონტესკიე იყოს, ამერიკული წერილების ავტორი იყოს თუ ბიუფონი იყოს, განა მოინახებოდა მათში თუნდაც ერთი, ცოტადთუბევრად გონიერი ადამიანი, რომელშიაც ამ არჩევანს ყოყმანი შეეძლო გამოეწვია? მე დარწმუნებული ვარ, რომ დადგება დრო, როდესაც მივიღებ იმ ერთადერთ მოწონებას, რომელსაც ვაფასებ, თუ კი მე იმის ღირსი ვარ“.

თქვენ კი, რომლებსაც მიგითვისებიათ ფილოსოფოსების ან მახვილმოაზროვნეთა სახელი და არც კი გრცხვენიათ ემსგავსოთ იმ აბეზარ მწერებს, რომლებიც თავის უდღეური არსებობის წუთებს ატარებენ მასში, რომ აწუხებენ ადამიანებს მუშაობის და დასვენების დროს, რაა თქვენი მიზანი? რას გამოელით თქვენ თქვენივე გააფთრებიდან, როდესაც წადილს უსპობთ სახელოვან ავტორებს და საუცხოვო ნიჭს, რომლებიც კიდევ რჩებიან ქვეყანას, რას მისცემდით თქვენ მათ სამაგიეროდ? როგორი საკვირველი ნაწარმოებებით აუნაზღაურებდით თქვენ ადამიანთა მოდგმას იმას, რასაც ამ ადამიანებმა მიაღწიეს? თქვენი სურვილის წინააღმდეგ, სახელები დიუკლოსი, დალამბერისა და რუსსოსი, ვოლტერისა, მოპერტუის და მონტესკიესი, ბიუფონისა და დობანტონის პატივცემული იქნებიან ჩვენგან და ჩვენი შვილისშვილებიდან; და თუ კი ვინმეს გაახსენდება ოდესმე თქვენი სახელები, ის იტყვის: „ისინი სდევნიდნენ თავიანთი დროის საუკეთესო ადამიანებს; და თუ ჩვენ გვაქვს ენციკლოპედიაზე დართული წინასიტყვაობა, ლიუდოვიკო XIV საუკუნის ისტორია, კანონთა სული და ბუნების ისტორია, მხოლოდ იმიტომ, რომ, საბედნიეროდ, მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა წაერთმიათ ჩვენთვის ესენი“.

LVI

მიზეზებზე

1. თუ დავეყრდნობოდით მხოლოდ ფილოსოფიის უნაყოფო ვარაუდებს და სუსტ სინათლეს ჩვენის გონებისას, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მიზეზთა ჯაჭვს დასაბამი, და შედეგთა ჯაჭვს დასასრული არ ექნება. წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე მოლეკულა დაიძრა, რომ ის დაიძრა არა თავისით; მისი დაძვრის გამომწვევ მიზეზს, კიდევ სხვა მიზეზი აქვს, ამ უკანასკნელს კიდევ სხვა და ასე შემდეგ, ასე რომ შეუძლებელია მონახვა დროის თითოეულ წინამავალ მომენტში მიზეზებისათვის ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი საზღვრებისა. აიღეთ ამოძრავებული მოლეკულა, ეს ამოძრავება გამოიწვევს განსაზღვრულ შედეგს; ამ უკანასკნელს მოყვება მეორე, და ასე შემდეგ, ასე რომ შეუძლებელია მონახვა დროის თითოეულ შემდგომ მომენტში შედეგებისათვის ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი საზღვრებისა. გონება, დამფრთხალი უუმცირეს მიზეზთა და უმნიშვნელო შედეგთა დაუსრულებელი რიგით, უკუაგდებს ამ ვარაუდს და ზოგიერთ სხვა ასეთივეებს მარტო იმ ცრუაზრისა გამო, რომლის თანახმად ჩვენი გრძნობების ფარგლებს გარეშე არაა არაფერი და ყოველივე ისპობა იქ, სადაც ჩვენ უკვე ვეღარაფერს ვხედავთ; მაგრამ ერთი მთავარი განსხვავებათაგანი ბუნების მეთვალყურესა და მის განმმარტებელთ შორის იმაში მდგომარეობს, რომ უკანასკნელი იწყებს იმ წერტილიდან, სადაც პირველს სტოვებენ გრძნობები და ხელსაწყოები; იმით, რაც არის, ის ვარაუდობს იმას, რაც კიდევ უნდა იყოს; საგნების წყობიდან მას გამოყავს ზოგადი და განყენებული დასკვნები, რომელთაც მის თვალში ხელსახებ და თავისებურ ჭეშმარიტებათა სიაშკარავე აქვთ; ის წესრიგის არსებამდეც კი ადის; ის ხედავს, რომ მისთვის საკმარისი არაა მგრძნობელი და მოაზროვნე არსების უ თ უ მ ც ა ო თანაარსებობა მიზეზთა და შედეგთა რომელიმე ჯაჭვში, რომ აბსოლუტური მსვლელობა გამოიტანოს მათზე; ის ჩერდება აქ; კიდევ ერთი ნაბიჯი და ის გამოვიდოდა ბუნების ფარგლებიდან.

საბოლოო მიზეზებზე

2. ვინ ვართ ჩვენ, რომ ბუნების მიზნები ავხსნათ? განა ჩვენ ვერ ვატყობთ, რომ თითქმის ყოველთვის მის სიბრძნეს ჩვენ მისივე სიძლიერის ხარჯზე ვაქებ-ვადიდებთ; და რომ ჩვენ ვართმევთ მას საშუალებებს მეტს, ვიდრე შეგვიძლიან დავუთმოთ მის განზრახვებს? ბუნების ასეთი განმარტება არადამაკმაყოფილებელია ბუნე-

ბრივ თეოლოგიაშიც კი. ეს ნიშნავს ღვთის ქმნილების შეცვლას ადამიანის ვარაუდით. ეს ნიშნავს უუმნიშვნელოვანესი თეოლოგიური ჭეშმარიტების დაკავშირებას ჰიპოთეზის ბედთან. მაგრამ სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაც კი საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ამ მიზეზთა კვლევა ნამდვილ მეცნიერებას. მე ვფიქრობ, რომ, თუ ფიზიკოსს შეეკითხნენ რძის ბუნების შესახებ, ის უპა-

სუხებს, რომ რძე – საკვები პროდუქტია, რომელიც დედალში იწყებს
გამომუშავებას ჩანასახის გაჩენისთანავე და რომ ის წინასწარაა ბუ-
ნების მიერ დანიშნული მომავალი ცხოველის საკვებად; რას მას-
წავლის მე ასეთი განსაზღვრა რძის წარმოშობის შესახებ? რა შე-
მიძლია მე ვიფიქრო ამ სითხის წინასწარ დანიშნულებაზე, ან სხვა,
ფიზიოლოგიურ წარმოდგენებზე, რომელნიც მას თან ეახლებიან,
როდესაც მე ვიცი, რომ იყვნენ მამაკაცები, რომელთაც ძუძუებიდან
რძე გადმოდიოდათ: რომ ძუძუსა და მუცლის ზედა არტერიების
ანასტომოზი [49] ამტკიცებს, რომ ძუძუს ამობერვას რძე აწარმოებს,
რომელიც ზოგჯერ ქალებსაც კი აწუხებს ხოლმე თვიურის მოახლო-
ვების პერიოდში; რომ თითქმის არაა ისეთი ქალწული, რომელიც
ვერ შესძლებდა მეძუძურად გახდომას, თუ ძუძუს მისცემდა საწოვ-
რად; და რომ მე თვალწინ მყავს ერთი პატარა დედალი, რომლის-
თვისაც შესაფერისი მამალი არ მოინახა, რომელიც ამიტომ არ დაგ-
რილებულა, არ დაორსულებულა და რომელსაც, მიუხედავად ამისა,
ძუძუები ისე ჰქონდა გაჭექილი რძით, რომ საჭირო გახდა ჩვეულებ-
რივი საშუალებებისათვის მიმართვა მის შესამსუბუქებლად? სასა-
ცილო არაა მოსმენა ანატომისტების, ბუნების მორცხვობას რომ
აწერენ საფარს, რომლითაც იგი ერთნაირად ფარავს ჩვენი სხეუ-
ლის ნაწილებს, სადაც არაფერია ისეთი უმართებულო, რის დაფარ-
ვაც საჭირო ყოფილიყო? დანიშნულება, რომელსაც ამ საფარს
აწერენ სხვა ანატომისტები ცოტა უფრო ნაკლებ პატივს დებს ბუ-
ნების მორცხვობას, მაგრამ მეტ პატივს არ დებს ანატომისტების
გამჭრიახობას. ფიზიკოსი, რომლის პროფესია სწავლებაა და არა
შექმნა, უარს იტყვის კითხვაზე: რ ა ტ ო მ? და წაეტანება მხო-
ლოდ კითხვას: რ ო გ ო რ? რ ო გ ო რ გამომდინარეობს არსებათა-
გან, რ ა ტ ო მ – ჩვენი გაგებიდან; ის დაკავშირებულია ჩვენს სის-
ტემებთან. ის დამოკიდებულია ჩვენი ცოდნის წინსვლაზე. რამდენი
აბსურდული წარმოდგენები, მცდარი ვარაუდები, ქიმერული ცნებე-
ბია იმ ჰიმნებში, რომლებსაც გაბედულად სთხზავს გამჩენის საქებ-
სადიდებლად ზოგი უგნური ქომაგი საბოლოო მიზეზებისა! იმის მა-
გიერ, რომ გაეზიარებიათ აღტაცებული განცვიფრება წინასწარმეტ-
ყველისა და წამოეძახებიათ ღამით ცის მანათობელ უთვალავ ვარსკვ-

ლავთა დანახვისას, Coeli enarrant gloriam Dei [50], ისინი გაიტაცა ცრუ-
რწმენამ მათივე ვარაუდებისა. მის მაგიერ, რომ თვით ბუნების არსე-
ბებში გაეღმერთებიათ ყოვლისშემძლე, ისინი განერთხენ თავისივე
წარმოსახვით შექმნილი ფანტომების წინაშე. თუ ვინმე, ცრურწმენათა
დამჯერე, დაეჭვდება ჩემი საყვედურის საფუძვლიანობაში, მე წინა-
ადადებას მივსცემ მას შეადაროს გალენის ტრაქტატი – ადამიანის
სხეულის ნაწილების დანიშნულებაზე – ბურჰავის ფიზიოლოგიას, და
ბურჰავის ფიზიოლოგია კი – ჰალერის ფიზიოლოგიას მე მოვუწოდებ
შთამომავლობას შეადაროს ამ უკანასკნელ ნაწარმოებში მოთავსებული

სისტემატური და გარდამავალი შეხედულებები მას, რადაც ფიზიოლოგია იქცევა მომავალ საუკუნეებში. ადამიანი, თავისი ვიწრო განზრახვებიდან გამომდინარე, ადიდებს მარადმყოფს; მარადმყოფი კი უსმენს მას თავის ტახტის სიმაღლიდან და, იცის რა თავისივე განზრახვები, აღიარებს ადამიანის სულელურ ქებათაქებას და დასცინის მის მედიდურობას.

LVII

ზოგიერთ ცრუაზრებზე

არც ბუნების მოვლენებში, არc ცხოვრების პირობებში, არაა არაფერი ისეთი, რასაც მახედ გახდომა არ შეეძლებოდა ჩვენს წინდაუხედაობათათვის. აქ მე მხედველობაში მაქვს უმეტესი ნაწილი იმ საყოველთაოდ ცნობილი აქსიომებისა, რომელთაც ხალხთა კეთილგონიერებას მიაწერენ ხოლმე. ამბობენ, ა რ ა ა რ ს რ ა ა ხ ა ლ ი ც ი ს ქ ვ ე შ ე თ ზ ე; და ეს სწორია იმისთვის, ვინც უხეშ გარეგნულობას ემყარება. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამ სენტენციას ფილოსოფოსისათვის, რომლის ყოველდღიური სამუშაო წარმოადგენს უუფაქიზეს განსხვავებათა შერჩევას? რა უნდა ეფიქრა ამაზე იმას, რომელიც ამტკიცებდა, რომ მთელ ხეზე, არ შეიძლება მოინახოს შ ე ს ა მ ჩ ნ ე ვ ლ ა დ ერთი და იგივე მწვანე ფერის ორი ფოთოლიც კი? რას იტყოდა ამაზე ის, ვინც, დაუფიქრდებოდა რა უამრავ ცნობილ მიზეზებსაც კი, რომლებიც ხელს უნდა უწყობდნენ ფერის განსაზღვრული იერის წარმოშობას, იტყოდა (ისე რომ არც იფიქრებდა ლეიბნიცის აზრის გადამეტებაზე), რომ დამტკიცებულია – (სივრცის წერტილთა განლაგებაში არსებულ განსხვავებათა გამო, აურიცხავ სხვა მიზეzებთან დაკავშირებით), რომ შეიძლება, არასოდეს არ არსებობდა და, არასოდეს არც იარსებებს ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ ერთდაიმავე მწვანე ფერის ორი პატარა ბალახის ღერო? თუ არსებანი თანმიმდევრობით შეიცვლებიან შეუმჩნეველ საფეხურთა გავლით, მაშინ უწ-

ყვეტ დროს ბოლოსდაბოლოს უნდა დაემყარებია უდიდესი განსხვავება უკვე გარდასულ ფორმებსა, დღეს არსებულ ფორმებსა და იმ ფორმებს შორის, რომლებიც მომავალ საუკუნოებში იარსებებენ. ამრიგად nil sub sole novum [51] ცრუ აზრია, ჩვენი ხელსაწყოების უსრულობაზე და ჩვენი სიცოცხლის ხანმოკლეობაზე დამყარებული. მორალი ამბობს: quot capita, tot sensus [52]; მაგრამ სწორია წინააღმდეგი აზრი: მრავალია თავი, მაგრამ იშვიათი მოვლენაა გონება. ლიტერატურაში ამბობენ: ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა გ ე მ ო ვ ნ ე ბ ა ზ ე დ ა ვ ა, თუ იგულისხმება, რომ არ შეიძლება დავა იმაზე, რომ ამათუიმ ადამიანს ასეთი გემოვნება აქვს, მაშინ ეს სისულელეა. მაგრამ თუ კი იგულისხმება, რომ გემოვნებაში არც კარგი და არც ცუდი არ არსე-

ბობენ, ეს სიცრუეა. ფილოსოფოსი მკაცრად განიხილავს ხალხური სიბრძნის ყველა ამ აქსიომას.

LVIII

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

არის მხოლოდ ერთი საშუალება ჰომოგენური იქნე. არსებობს დაუსრულებელი სიმრავლე ყოველნაირი საშუალებებისა, რომ ჰეტეროგენური იქნე. მე ისეთივე შეუძლებელი მგონია ის, რომ ბუნების ყველა არსება სავსებით ჰომოგენური მასალიდან ყოფილიყო გაკეთებული, როგორც შეუძლებელი იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ ყველა ისინი ერთისა და იმავე ფერის ყოფილიყვნენ. მე კიდეც ვფიქრობ, რომ მოვლენათა სხვადასხვაობა არ შეიძლებოდა შედეგი ყოფილიყო რაიმე ჰეტეროგენობის. ამიტომ მე ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ს ვუწოდებ სხვადასხვა, ბუნების ყველა მოვლენათა საერთო შექმნისათვის აუცილებელ, ჰეტეროგენურ ნივთიერებებს; და ვუწოდებ ბ უ ნ ე ბ ა ს – ზოგად აქტუალურ შედეგს, ან ელემენტთა კომბინაციების ზოგად თანამიმდევრულ შედეგებს. ელემენტებში არსებითი განსხვავება უნდა იყოს; უამისოდ ჰომოგენობიდან შესძლებდა ყოველივე წარმოშობას, რადგან ყოველივე მასშივე დაბრუნებას შესძლებდა. არსებობს, არსებობდა ან იარსებებს ბუნებრივი კომბინაცია ან ხელოვნური კომბინაცია, რომელშიაც ელემენტი იყო, არის და იქნება მიყვანილი დაყოფის უუკიდურეს ხარისხამდე. მოლეკულა ელემენტისა, რომელიც დაყოფის ასეთი უუკიდურეს ხარისხში გამოიხატება, განუყოფელია, აბსოლუტურად განუყოფელი, ვინაიდან მისი შემდგომი გაყოფა ბუნების კანონთა და ხელოვნების ძალთა ფარგლებიდან გამოდის და შეიძლება წარმოდგენილ იქნას მხოლოდ გონებით. რადგან დაყოფის უკიდურეს ხარისხში მყოფობის მდგომა-

რეობა ბუნებაში, ან ცდაში, როგორც ვხედავთ, სხვადასხვანაირია ხოლმე არსებითად ჰეტეროგენურ ნივთიერებათათვის, ამიტომ აქედან გამოდის, რომ არიან მოლეკულები, არსებითად სხვადასხვანაირნი მასის მხრივ და მაინც თავისთავად აბსოლუტურად განუყოფელნი. რამდენია არსებითად ჰეტეროგენური, ან ელემენტური ნივთიერება? ჩვენ ეს არ ვიცით. რა არსებითი განსხვავებაა ნივთიერებებში, რომელთაც ჩვენ აბსოლუტურად ჰეტეროგენურ, ან ელემენტურ ნივთიერებებად ვთვლით? ჩვენ ეს არ ვიცით. რომელ ხარისხამდე შეიძლება დაყვანა ელემენტური ნივთიერებებისა ბუნებრივად და ხელოვნურად? ჩვენ ეს არ ვიცით, და სხვა და სხვა. ხელოვნურსა და ბუნებრივ კომბინაციებს მე ვაკავშირებ ერთმანეთთან, იმიტომ, რომ ჩვენთვის დღეს უცნობი და მომავალშიაც გამოუცნობი ფაქტების დაუსრულებელ სიმრავლეში არის კიდევ ერთი ჩვენ-

თვის დაფარული, სახელდობრ: ხომ არ ნახულა, არ მიდის, ან არ წავა ელემენტარული მატერიის ხელოვნური ოპერაციებით დაყოფა უფრო შორს, ვიდრე ეს იყო, არის ან იქნება ყველა კომბინაციებში თავის ნებაზე მიშვებულ ბუნებაში?პირველი, ქვემოთმოყვანილი კითხვიდან გამოჩნდება, თუ რატომ შევიტანე მე ჩემს პრობლემებში წარსულის, აწმყოს, მომავლის მცნება; და რატომ ჩაურიე მე თანამიმდევრობის იდეა ბუნების ჩემს მიერ მოცემულ განსაზღვრაში.

1.

თუ კი მოვლენებს შორის ურთიერთკავშირი არ არსებობს, ადგილი არა აქვს ფილოსოფიას. აგრეთვე შეიძლება დაშვებულ იქნას, რომ თითოეული ამ მოვლენათაგანის მდგომარეობა, შესაძლებელია, წარმავალი იყოს მათ შორის კავშირის თანაყოფის შემთხვევაშიაც. მაგრამ თუ არსებათა მდგომარეობა განუწყვეტელ რყევაშია; თუ ბუნებას ჯერ არ დაუმთავრებია მუშაობა, მაშინ, მიუხედავად მოვლენების დამაკავშირებელი ჯაჭვისა, ადგილი არა აქვს ფილოსოფიას. მთელი ჩვენი ბუნების მეცნიერება ისეთივე წარმავალი ხდება, როგორც სიტყვები. ის, რაც ჩვენ ბუნების ისტორიად მიგვაჩნია, არის მეტად უსრული ისტორია ერთი მომენტისა. ამიტომ მე ვსვამ კითხვას, ხომ ყოველთვის ისეთივენი იყვნენ და იქნებიან ლითონები, როგორიც ახლა არიან, ხომ ყოველთვის ისეთივე იყვნენ და იქნებიან მცენარეები, როგორიც ახლა არიან; ყოველთვის ისეთივენი იყვნენ და იქნებიან ცხოველები, როგორიც ახლა არიან, და სხვ.? ცნობილ მოვლენებზე ღრმა დაფიქრების შემდეგ ჩვენ გვებადება ეჭვი, რომელიც თქვენ, ოჰ, სკეპტიკოსებო, შეიძლება გეპატიოთ, ეჭვი, არაა

იმისა, რომ ქვეყანა არ გაჩენილა, არამედ იმისა, რომ ის ისეთივე იქნება როგორიც იყო და აწიც ისეთივე იქნება.

2.

ხომ იგივე არ ემართება მთელ სახეობებს, რაც ცხოველთა და მცენარეთა სამეფოებში ცალკეულ ინდივიდს, რომელიც წარმოიშობა, ასე ვთქვათ, იზრდება, არსებობს, იშლება და იღუპება? სარწმუნოებას რომ არ ესწავლებია ჩვენთვის ის, რომ ცხოველები გამოვიდნენ შემომქმედის ხელიდან ისეთი სახით, როგორებადაც ისინი ჩვენ ამჟამად გვევლინებიან; რომ ნებადართული ყოფილიყო ოდნავი დაეჭვება მათი წარმოშობისა და დასასრულის შესახებ, ხომ შეეძლებოდა ფილოსოფოსს საკუთარ მოსაზრობათა საფუძველზე ევარაუდნა, რომ ყოველივე ცოცხალს მარადიულად ჰქონდა განსაკუთრებული, გაბნეული და მატერიის მასაში არეული ელემენტები, რომ ყველა ეს ელემენტები შემთხვევით შეერთდნენ, იმიტომ, რომ შესაძლებელი

იყო ასეთი შეერთება, რომ ამ ელემენტებიდან შემდგარმა ემბრიონმა
განვითარების და ორგანიზაციის დაუსრულებელი საფეხურები გაია-
რა, რომ მას თანმიმდევრობით ჰქონდა მოძრაობა, შეგრძნობა, წარ-
მოდგენები, აზრი, აზროვნება, შეგნება, გრძნობები, ვნებები, ნიშ-
ნები, ჟესტები, დანაწევრებული ბგერები, ენა, კანონები, მეცნიერებანი
და ხელოვნებანი, რომ მილიონმა წლებმა გაიარა თითოეულს განვი-
თარებათა შორის, რომ მას, შეიძლება, მოელის გავლა განვითარე-
ბისა და ზრდის კიდევ სხვა, ჩვენთვის უცნობი საფეხურებისა, რომ მას
ჰქონდა ან ექნება სტაციონური მდგომარეობა, რომ ის შორდება
ან განშორდება ამ მდგომარეობას მუდმივი რღვევის გამო, რომლის
დროს მას მიატოვებენ მისი ნიჭნი როგორც მას ისინი მიუღია, რომ
ის სამუდამოდ გაჰქრება ბუნებიდან, ან, უფრო მოსალოდნელია,
იარსებებს მასში, მაგრამ სულ სხვა ფორმით და სხვ. ნიჭით, შედა-
რებით იმათთან, რომლებიც დროის მოცემულ მომენტში არიან
მასში? რელიგიას რომ არაფერი აეხსნა ჩვენთვის სამყაროს წარმო-
შობის, არსებათა უნივერსალური სისტემის შესახებ, რამდენი სხვადა-
სხვა ჰიპოთეზის მიღება მოგვიხდებოდა ბუნების საიდუმლოებათა ასახ-
სნელად? ეს ჰიპოთეზები, ყველა ერთნაირად მცდარნი, ჩვენს წარმოდ-
გენაში თითქმის ყველა ერთნაირად მიახლოვებული იქნებოდა ჭეშმარი-
ტებასთან. კითხვა, რ ა ტ ო მ ა რ ს ე ბ ო ბ ს რ ა ი მ ე, უუძნელესია
შედარებით ყველა იმ კითხვებთან, რომლებიც ფილოსოფიას შეუძ-
ლია წარმოიდგინოს; და მარტო ზეშთაგონება იძლევა მასზე პასუხს.

3.

თუ თვალს გადავავლებთ ცხოველებს და უხეშ დედამიწას,
რომელსაც ისინი ფეხებით თელავენ, ორგანულ მოლეკულებს და
სითხეს, რომელშიაც ისინი მოძრაობენ, მიკროსკოპულ მწერებს და
ნივთიერებას, რომელიც მათ ჰქმნის და გარსერტყმის, აშკარა გახ-
დება, რომ საზოგადოდ მატერია ცოცხალ და მკვდარ მატერიებად
განიყოფება. მაგრამ როგორ შეიძლება, რომ მატერია ერთიანი არაა:
ან მთლიანად ცოცხალი ან მთლიანად მკვდარი? ცოცხალი მატერია
მუდამ ცოცხალია? და მკვდარი მატერია მუდამ და მართლა მკვდა-
რი? განა ცოცხალი მატერია არ კვდება? განა მკვდარი მატერია
არასოდეს არ იწყებს სიცოცხლეს?

4.

არის თუ არა სხვა რაიმე შესამჩნევი განსხვავება ცოცხალ და
მკვდარ მატერიებს შორის, გარდა ორგანიზაციისა და მოძრაობის
რეალური ან მოჩვენებითი სპონტანურობისა?

5.

ის, რასაც ცოცხალ მატერიას უწოდებენ, მარტო თავისთავად მოძრავი მატერია ხომ არაა? და ის, რასაც მკვდარ მატერიას უწოდებენ, სხვა მატერიის მიერ ამოძრავებული მატერია ხომ არაა?

6.

თუ ცოცხალი მატერია თავისთავად მოძრავი მატერიაა, როგორ შეუძლია მას შესწყვიტოს მოძრაობა ისე, რომ არ მოკვდეს?

7.

თუ არსებობენ თავისთავად ცოცხალი და თავისთავად მკვდარი მატერიები, საკმარისია თუ არა ეს ორი პრინციპი ყველა მოვლენისა და ყველა ფორმის შესაქმნელად?

8.

გეომეტრიაში რეალური სიდიდე, წარმოსახვითი სიდიდეს მიმატებული, წარმოსახვით მთელს იძლევა; ბუნებაში, თუ ცოცხალი მატერიის მოლეკულა შეერთვის მკვდარი მატერიის მოლეკულას, ცოცხალი მთელი იქნება, თუ მკვდარი?

9.

თუ აგრეგატს შეუძლია ან ცოცხალი ან მკვდარი იყოს, როდის და რატომ იქნება ის ცოცხალი? როდის და რატომ იქნება ის მკვდარი?

10.

ცოცხალი, თუ მკვდარი არსებობს რომელიმე ფორმით. რა ფორმითაც არ უნდა არსებობდეს იგი, როგორია მისი პრინციპი?

11.

პირველსახეობანი ფორმების პრინციპები ხომ არ არიან? რა არის პირველსახეობა? არის ეს წინარეარსებული და რეალური არსება? თუ არის ეს მხოლოდ გონებით მისაწვდომი ფარგლები, ცოცხალ ან მკვდარ მატერიასთან შეერთებული ცოცხალი მოლეკულის ენერგიისა; ფარგლები, განსაზღვრულნი ყოველივე მიმართულების ენერგიით ყველა მიმართულების წინააღმდეგობასთან შეფარდებით?

თუ ეს არსება რეალური და წინარეარსებულია, როგორ შეიქმნა იგი?

12.

ცოცხალი მოლეკულის ენერგია ცვალებადობს თავისთავად, თუ ის ცვალებადობს მხოლოდ იმ ცოცხალი, ან მკვდარი მატერიის რაოდენობის, ხარისხისა და ფორმების მიხედვთ, რომელსაც ის უერთდება?

13.

არსებობენ თუ არა ცოცხალი მატერიები, სხვა ცოცხალ მატერიათაგან სპეციფიკურად განსხვავებულნი? თუ ყოველგვარი ცოცხალი მატერია არსებითად ერთია და გამოსადეგი ყოველივეში? იგივე კითხვა მკვდარ მატერიასაც ეხება.

14.

ცოცხალი მატერია კომბინირდება ცოცხალ მატერიასთან? როგორ ხდება ეს კომბინირება? როგორია მისი შედეგი? იგივე კითხვა ეხება მკვდარ მატერიასაც.

15.

შესაძლებელი რომ იყოს დაშვება იმისა, რომ ყოველი მატერია ცოცხალია, ან ყოველი მატერია მკვდარია, მაშინ, იქნებოდა თუ არა ოდესმე რაიმე სხვა, გარდა მკვდარი ან ცოცხალი მატერიისა? ანდა შეეძლებოდათ თუ არა ცოცხალ მოლეკულებს სიცოცხლის დაკარგვის შემდეგ სიცოცხლის ისევ დაბრუნება, რათა შემდეგ კიდევ დაკარგონ იგი; და ასე დაუსრულებლობამდე?

„როდესაც მე ვაკვირდები ადამიანთა მოქმედებას და ყოველგან ვხედავ მათგან დაარსებულ ქალაქებს, მათ მიერ საქმედ ქცეულ ბუნების ელემენტებს, დამკვიდრებულ ენებს, განათლებულ ხალხებს, აშენ-

ნებულ ნავსადგურებს, გადალახულ ზღვებს, გაზომილ ცას და დედამიწას – მე სამყარო დიდად ხნიერი მეჩვენება. როდესაც წავაწყდები ადამიანებს, რომლებიც არ იცნობენ მედიცინისა და აგრიკულტურის პირველ პრინციპებს, უმარტივეს ნივთიერებათა თვისებებს, საკუთარ დაავადებებს, თუ როგორ უნდა გასხლან ხეები, როგორია თავის გარეგნობით გუთანი – ქვეყანა მე გუშინდელი დასახლებული მეჩვენება. და რომ ბრძენნი ყოფილიყვნენ ადამიანები, ისინი შეუდგებოდნენ, ბოლოს და ბოლოს, მათი კეთილდღეობისათვის საჭირო გამოკვლევებს და პასუხს გასცემდნენ ჩემს უქმ კითხვებზე არა უადრეს

ათასი წლისა; ან შეიძლება არასოდეს არ ეკადრათ მათზე პასუხის გაცემა – დროსა და სივრცეში მათ მიერ დაკავებულ ადგილის უმნიშვნელობისა გამო.

114

ლ ო ც ვ ა

მე დავიწყე ბუნებიდან, რომელსაც შენი ქმნილება უწოდეს; და დავამთავრებ შენით, რომლის სახელი ქვეყანაზე – ღმერთია.

ღმერთო! მე არ ვიცი, არსებობ შენ თუ არა; მაგრამ მე ვიაზროვნებ ისე, თითქოს შენ ჩემს სულში იხედებოდე, ვიმოქმედებ ისე, თითქოს მე შენს წინაშე ვიყო.

თუ მე ზოგჯერ ცოდვები ჩამიდენია ჩემი გონებისა ან შენი კანონის წინაშე, მაშინ მე ნაკლებ კმაყოფილი ვიქნები ჩემი წარსული ცხოვრებით; მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულიად დამშვიდებულად მომლოდინე ვარ ჩემი მომავალი სვე-ბედისა, რადგან შენ მაშინვე დაივიწყე ჩემი დანაშაული, როგორც კი მე ვაღიარე იგი.

მე არაფერს არ გთხოვ ამ ქვეყნად, რადგან გარემოებათა მიმდინარეობა აუცილებელია თავისთავად, თუ შენ კიდევაც არ არსებობდე, ანდა აუცინებელია ის შენივენებით, თუ შენ არსებობ.

მე იმედი მაქვს დასაჩუქრებული ვიქნები შენგან იმ ქვეყნად, თუ კი ის არსებობს; თუმცა ყოველივეს, რასაც მე ამ ქვეყნად ვაკეთებ, მხოლოდ ჩემთვისვე ვაკეთებ.

თუ მე სიკეთის გზაზე მივდივარ, მე ამას სრულიად ძალდაუტანებლად ვიქმ; თუ მე ბოროტების გზას ვცილდები, არა იმიტომ, რომ შენზე ვფიქრობ.

მე ვერ დაუშლიდი ჩემს თავს ჭეშმარიტებისა და კეთილსაქმიანობის სიყვარულს, და სიცრუისა და ბიწიერების სიძულვილს კიდეც რომ მცოდნოდა, რომ შენ არ არსებობ, ან კიდეც მჯეროდეს, რომ შენ არსებობ და კოველივე ეს არ მოგწონს.

და აი, მე ვარ ის, რაც ვარ, ვარ აუცილებლად ორგანიზებული ნაწილი მარადიული და აუცილებელი მატერიისა ან, შეიძლება, ვიკო შენი ქმნილება.

მაგრამ, თუ მე კეთილი და სათნო ვარ, რა საქმე აქვთ ჩემ მსგავსებს იმასთან, კეთილი ორგანიზაციიდან წარმომდინარეობს ეს, ჩემი ნებისყოფის თავისუფალი აქტებიდან, ან თუ შენივე წყალობით?

და ყოველთვის, როდესაც გაიმეორებ ამ ჩვენი ფილოსოფიის სიმბოლოს, შენ წაიკითხავ (ახალგაზრდავ) აგრეთვე შემდეგსაც:

მხოლოდ პატიოსანი ადამიანი შეიძლება ათეისტი იყოს.

ცუდი ადამიანი, ღვთის არსებობის მგმობი, მსაჯულია თვის საკუთარ საქმეში: ეს ისეთი ადამიანია, რომელსაც, ეშინია და რომელმაც იცის, რომ უნდა ეშინოდეს მომავალშიაც შურისმძიებლისა თავისი საქციელისა გამო.

პირიქით, კეთილისმქნელი ადამიანი, რომელსაც სასიამოვნოდ დაურჩებოდა ფიქრი, რომ მომავალში მას დააჯილდოებენ თვის სიკეთისათვის, თავის საკუთარ ინტერესების წინააღმდეგ გამოდის,

პირველი თავის სასარგებლოდ იქცევა, მეორე თავის წინააღმდეგ. პირველს არასოდეს არ შეუძლია დარწმუნებული იყოს მისი ფილოსოფიური პოზიციის განსაზღვრულ ჭეშმარიტ მოტივებში. მეორეს არ შეუძლია დაეჭვდეს მასში, რომ აშკარა ფაქტები აიძულებენ მას მიიღოს თავისი უტკბესი და უძვირფასესი იმედების პირდაპირ საწინააღმდეგო შეხედულებები.

რადგან ან ღმერთმა ნება მოგვცა, ან ბედისწერად წოდებულმა უნივერსალურმა მექანიზმმა მოისურვა, რომ ჩვენ ყოველგვარი შემთხვევები გამოგვეცადა ჩვენი ცხოვრების განმავლობაში, ამიტომ, თუ შენ კეთილგონიერი ადამიანი ხარ და ჩემზე უფრო მოყვარული მამა, შენ შეეცდები პატარაობიდანვე დაარწმუნო შენი შვილი, რომ ის ბატონ-პატრონია თავისივე სიცოცხლის, რათა მან ჩივილი არ დამიწყოს შენზე, მისთვის სიცოცხლის მიცემისათვის.

116

ფილოსოფიური პრინციპები

მატერიასა და მოძრაობაზე

მე არ ვიცი რა აზრით ივარაუდეს ფილოსოფოსებმა, რომ მატერია ინდიფერენტულია მოძრაობისა და უძრაობის მიმართ. უეჭველია, რომ სხეულები ყველანი ერთმანეთს იზიდავენ, რომ სხეულის ყველა ნაწილები ერთმანეთს იზიდავენ, რომ ყოველივე ამ სამყაროში იმყოფება გადანაცვლების მდგომარეობაში, ან in nisu-ში, ან გადანაცვლებაში და in nisu-ში ერთდროულად,

ფილოსოფოსების ეს ვარაუდი შეიძლება მივამსგავსოთ გეომეტრების ვარაუდს, რომლებიც უშვებენ ისეთი წერტილების არსებობას, რომელთაც არავითარი განზომილება არა აქვთ, ისეთი ხაზების არსებობას, რომელთაც არც სიგანე და არც სიღრმე არა აქვთ, ისეთი სიბრტყის არსებობას, რომელსაც სისქე არა აქვს; ან, შეიძლება, ისინი ლაპარაკობენ ერთი მასის რელატივურ უძრაობაზე მეორე მასის მიმართ. ყველაფერი რელატივურ უძრაობაში იმყოფება მღელვარე ზღვაში მყოფ გემზე. არაფერი იქ აბსოლუტურ უძრაობაში არ არის, გემისა და მასში მყოფი სხეულების შემადგენელი მოლეკულებიც კი.

თუ გეომეტრები ფიქრობენ, რომ ყოველ სხეულში ერთნაირია ტენდენცია როგორც უძრაობისადმი, ისე მოძრაობისადმი, მაშინ, აშკარაა, რომ ისინი თვლიან მატერიას ჰომოგენურად; ისინი განაყენებენ მატერიისაგან ყველა მის არსებითს თვისებებს, უყურებენ რა მათ როგორც უცვლელს გონებით მათი ჭვრეტის თითქმის განუყოფელ მომენტში; მსჯელობენ რელატივურ უძრაობაზე ერთი აგრეგატისა მეორე აგრეგატის მიმართ, ავიწყდებათ, რომ თავიანთი მსჯელობით სხეულის ინდიფერენტობაზე მოძრაობისა ან უძრაობის მიმართ (მაშინ, როცა მარმარილოს ლოდშიაც კი დაშლის მიდრეკილება არსებობს) სპობენ აზრობრივად საყოველთაო მოძრაობასაც, რომელიც ყველა სხეულსაც ასულდგმულებს და ამ სხეულთა თავისებურ იმ ურთიერთმოქმედებასაც, რომელიც მათ ყველას არღვევს; ეს ინდიფერენტობა, თუმცა თავისთავადი უნამდვილო, მაგრამ წუთიერი, მოძრაობის კანონებს მცდარად არ წარმოქმნის.

117

სხეული, ზოგიერთი ფილოსოფოსის მიხედვით, არაა დაჯილდოვებული თავისთავად არც ძალით და არც მოქმედებით; ეს საშინელი შეცდომაა, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ყოველ სწორ ფიზიკას, ყოველ სწორ ქიმიას: თავისთავად, ბუნებით მინიჭებული არსებითი თვისებების გამო, სხეული სავსეა ძალით და მოქმედებით, სულერთია მოლეკულებში განიხილავ მას თუ მასაში.

რომ წარმოიდგინოთ მოძრაობა, – დასძენენ ისინი, – არსებული მატერიის გარეშე, საჭიროა წარმოისახოთ ძალა, რომელიც ამ მატერიაზე მოქმედობს. ეს ასე არაა: მოლეკულა, დაჯილდოვებული მისი თანაარსი თვისებით, თავისთავადაა აქტიური ძალა. ის ზემოქმედებას ახდენს მეორე მოლეკულაზე, რომელიც თავის მხრივ მოქმედობს პირველზე. ყველა ამ პარალოგიზმებს საფუძვლად უდევთ მცდარი წარმოდგენა ჰომოგენური მატერიის შესახებ. თქვენ, ესოდენ კარგად რომ წარმოგიდგენიათ უძრავი მატერია, შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ უძრავი ცეცხლი? მსგავსად მოლეკულათა იმ ერთობლიობისა, რომელსაც თქვენ ც ე ც ხ ლ ს უწოდებთ, ბუნებაში ყველაფერი სხვადასხვანაირ მოქმედებაშია. ამ ერთობლიობაში, რომელსაც თქვენ ც ე ც ხ ლ ს უწოდებთ, თითოეულ მოლეკულას თავისი ბუნება, თავისი ქმედება აქვს.

აი ჭეშმარიტი განსხვავება მოძრაობასა და უძრაობას შორის; აბსოლუტური უძრაობა – ბუნებაში არ არსებული აბსტრაქტული მცნებაა, და მოძრაობა ისეთივე რეალური თვისებაა, როგორც სიგრძე, სიგანე და სიღრმე. რა მესაქმება იმასთან, რაც თქვენს თავში ხდება? რა მესაქმება მე, განიხილავთ თქვენ მატერიას როგორც ჰომოგენურს, თუ როგორც ჰეტეროგენურს? რა მესაქმება მე, რომ, ახდენთ რა აბსტრაქციას მატერიის თვისებებისაგან და, იღებთ რა მხედველობაში მხოლოდ მის არსებობას, თქვენ მას უძრავად ხედავთ? რა მესაქმე-

ბა მე, რომ ამის გამო თქვენ ეძებთ მიზეზს, რომელიც მას ამოძრავებს? რამდენიც გნებავთ იმდენი ივარჯიშეთ გეომეტრიასა და მეტაფიზიკაში, მაგრამ მე, როგორც ქიმიკოსი და ფიზიკოსი, ვღებულობ რა სხეულებს ისე როგორც ისინი არიან ბუნებაში და არა ჩემს თავში, ვხედავ მათ არსებულად ნაირსახეობაში, დაჯილდოებულად თვისებებით, ქმედუნარიანობით და მოძრაობით, როგორც მთელს სამყაროში, ასევე ლაბორატორიუმში, სადაც ნაპერწკალი, შეერთებული გვარჯილის, ნახშირისა და გოგირდის მოლეკულებთან, აუცილებლად აფეთქებას იწვევს.

სიმძიმე უ ძ რ ა ო ბ ი ს ა დ მ ი ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა არაა; ის ტენდენციაა ლოკალური მოძრაობისადმი.

118

რ ო მ მ ა ტ ე რ ი ა ა მ ო ძ რ ა ვ დ ე ს, დასძენენ კიდევ, ს ა ჭ ი - რ ო ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, ძ ა ლ ა. დიახ, ხოლო ძალა ან გარეშეა მოლეკულის მიმართ, ან მისი თანაარსია, ან არსებითი და ინტიმურია მოლეკულისათვის, რომელიც ჰქმნის ცეცხლის, წყლის, აზოტის, ტუტის, გოგირდის მოლეკულების ბუნებას: როგორიც არ უნდა იყოს მისი ბუნება, მისგან გამომდინარე ძალა მოქმედებს მის გარეშე, აგრეთვე სხვა მოლეკულებიდანაც გამოდიან მასზე მომქმედი ძალები.

მოლეკულაზე მომქმედი ძალა ილევა; მოლეკულის ინტიმური ძალა არ ილევა. ის უცვლელია, მარადიულია. ამ ორ ძალას შეუძლია წარმოშვას ორგვარი nisus-ი: პირველია nisus-ი, რომელიც წყდება; მეორეა nisus-ი, რომელიც არასოდეს არ წყდება. მაშასადამე,უაზრობაა იმის თქმა, რომ მატერია რეალურ წინააღმდეგობაშია მოძრაობასთან.

ბუნებაში ძალთა რაოდენობა მუდმივია; მაგრამ ჯამი nisus-ებისა და ტრანსლაციის ჯამი – ცვალებადია. რამდენადაც ჯამი nisus-ებისა მეტია, იმდენად ნაკლებია ტრანსლაციის ჯამი; და, პირიქით, რამდენადაც მეტია ტრანსლაციის ჯამი, იმდენად ნაკლებია ჯამი nisus-ებისა. ხანძარი, მოდებული მთელს ქალაქს, ანაზდად ზრდის ტრანსლაციის ჯამს საშინელი სიდიდით.

ატომი ამოძრავებს ქვეყანას; არაფერია ამ დებულებაზე უფრო სწორი; ეს ისევე სწორია, როგორც ის, რომ ატომს ქვეყანა ამოძრავებს. რამდენადაც ატომს საკუთარი ძალა აქვს, ამ უკანასკნელს არ შეუძლია უშედეგოდ ყოფნა.

ფიზიკოსმა არასოდეს არ უნდა თქვას: ს ხ ე უ ლ ი – რ ო გ ო რ ც ს ხ ე უ ლ ი, რადგან მაშინ ფიზიკა უგულვებელყოფილია; ეს იქნება აბსტრაქციის ნაყოფი, რომელსაც არაფრამდე არ მივყევართ.

მოქმედება და მასა ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ. შესაძლებელია დიდი მასა და მცირე მოქმედება. შესაძლებელია მცირე მასა და დიდი მოქმედება. ჰაერის მოლეკულა ფოლადის ლოდს გახეთქს. ოთხი გრამი თოფის წამალი საკმარისია კლდის გასახეთქად.

რასაკვირველია, როდესაც ჰომოგენურ აგრეგატს ადარებენ

სხვა, ისეთივე ჰომოგენური მატერიის აგრეგატს, როდესაც ლაპარაკობენ ამ ორი აგრეგატის მოქმედებაზე და უკუქმედებაზე, მაშინ მათი რელატივური ენერგიები პირდაპირ პროპორციულნი არიან მასებთან. მაგრამ თუ საუბარი შეეხება ჰეტეროგენურ აგრეგატებს, ჰეტეროგენურ მოლეკულებს, მაშინ არ იგივე კანონები მოქმედებენ. იმდენი სხვადასხვანაირი კანონი არსებობს, რამდენი სხვადასხვაობაც აქვს სხეულთა თითოეული, ელემენტარული, კონსტიტუირებული მოლეკულის ინტიმურ და თანაარს ძალას.

სხეული ეწინააღმდეგება ჰორიზონტალურ მოძრაობას. რას ნიშნავს ეს? ცნობილია, რომ არსებობს ჩვენი პლანეტის ყველა მოლეკულებისათვის საერთო საყოველთაო ძალა, რომელიც ზედაწოლას ახდენს დედამიწის სფეროს ზედაპირის მიმართ პერპენდიკულარული, ან თითქმის პერპენდიკულარული მიმართულებით; მაგრამ საერთო და საყოველთაო ძალას ეწინააღმდეგება ასიათასი სხვა ძალა. გაცხელებული შუშის მილი აფარფარებს ოქროს პატარა ფურცლებს. გრიგალი მტვერით ავსებს ჰაერს; სიცხე აორთქლებს წყალს; აორთქლებულ წყალს თან მიჰყვება მარილის მოლეკულები; იმ დროს, როდესაც ბრინჯაოს მასა აწვება მიწას, ჰაერი მოქმედობს ბრინჯაოზე და აქცევს მის ზედაპირს ლითონის კირად, რის გამოც იწყება ამ სხეულის დაშლა; ჩემს მიერ მასებზე თქმული, მოლეკულებსაც ეხება.

ყოველი მოლეკულა უნდა განხილულ იქნას, როგორც სამგვარი მოქმედებით ასულდგმულებული: სიმძიმის, ან მიზიდვის მოქმედებით; მისი ინტიმური ძალის მოქმედებით, რომელიც არსებითია მისი ბუნებისათვის, როგორიცაა – წყლის, ცეცხლის, ჰაერის, გოგირდის მოლეკულები, და მასზე ყველა სხვა მოლეკულების მოქმედებით. შესაძლოა მოხდეს, რომ ეს სამი მოქმედება კონვერგირებული ან დივერგირებული იყვნენ. თუ ისინი – კონვერგირებულნი არიან, მაშინ მოლეკულა დაჯილდოებული იქნება უძლიერესი მოქმედებით, როგორიც კი მას შეუძლია ჰქონდეს. რომ შეგედგინათ წარმოდგენა ამ უდიდეს მოქმედებაზე, საჭირო იქნებოდა წარმოსახვა, ასე ვთქვათ, აბსურდული ვარაუდების მთელი გროვისა, ე. ი. საჭირო იქნებოდა მოლეკულის ჩაყენება სავსებით მეტაფიზიკურ მდგომარეობაში.

რა აზრით შეიძლება ითქვას, რომ სხეული იმდენად უფრო ეწინააღმდეგება – მოძრაობას, რამდენადაც მეტია მისი მასა? არა იმ აზრით, რომ რამდენადაც მეტია მისი მასა, იმდენად სუსტია მისი ზემოქმედება წინააღმდეგობაზე; არაა ისეთი ტვირთის მზიდველი მუშა, რომ არ იცოდეს, რომ ეს ასე არაა. ეს ასეა მხოლოდ მისი ზედაწოლის მოწინააღმდეგე მიმართულებისადმი. ამ მიმართულებით ის, რასაკვირველია, იმდენად უფრო ეწინააღმდეგება მოძრაობას, რამდენადაც მეტია მისი მასა. უეჭველია აგრეთვე, რომ იმ მიმართულებით, რომლითაც სიმძიმე აწვება, მისი ზემოქმედება, ძალა, ან ტენდენცია მოძ-

რაობისადმი იზრდება პროპორციულად მისი მასის მიმართ. რა მნიშვნელობა აქვს ყველა ამას? არავითარი.

მე არ მიკვირს, როდესაც ვხედავ, თუ როგორ ეცემა ძირს სხეული, როგორ ადის ზევით ალი, როგორ აწვება წყალი ყოველი მხრით და აწვება, ფუძესა და სიმაღლესთან დაკავშირებით ისეთის

ძლიერებით, რომ მცირეოდენი სითხით მე შემიძლია დავამტვრიო ძლიერ მაგარი ლარნაკები, ისევე როგორ ადნობს გაფართოებული ორთქლი უმაგრეს სხეულებს პაპენის ქვაბში და მაღლა სწევს უმძიმეს სხეულებს ორთქლის მანქანებში. მაგრამ მე ვაჩერებ ჩემს ყურადღებას სხეულთა საერთო გროვაზე; ყოველივეს ვხედავ მოქმედების და უკუქმედების მდგომარეობაში; ყოველივე იღუპება ერთ ფორმაში; ყოველივე აღდგება მეორე ფორმაში; ყოველგან მოიპოვება ყოველგვარი სუბლიმაციები, დისოლუციები, კომბინაციები, მოვლენები, შეუთავსებელნი მატერიის ჰომოგენურობასთან; აქედან მე ის დასკვნა გამომაქვს, რომ მატერია ჰეტეროგენურია; რომ ბუნებაში არსებობს სხვადასხვა ელემენტების დაუსრულებელი რაოდენობა; რომ თითოეულ ამ ელემენტთაგანს, მისი მრავალსახეობისა გამო, აქვს თავისი განსაკუთრებული, შინაგანი, გარკვეული, მარადიული, ურღვევი ძალა და რომ სხეულის ამ ინტიმურ ძალებს აქვთ თავისი მოქმედება სხეულის გარეშე; აქედან წარმოიშობა მოძრაობა, ან საყოველთაო დუღილი სამყაროში.

რას აკეთებენ ფილოსოფოსები, რომელთა შეცდომებსა და პარალოგიზმებს მე აქ ვარღვევ? ისინი ხელს სჭიდებენ ერთადერთ ძალას, შეიძლება მატერიის ყველა მოლეკულებისათვის საერთოს; მე ვამბობ: შ ე ი ძ ლ ე ბ ა, რადგან არ გამიკვირდება, რომ ბუნებაში ყოფილიყო ისეთი მოლეკულა, რომელიც, შეუერთდებოდა რა მეორეს, გაამჩატებდა ამ შეერთების შედეგად მიღებულ ნარევს. ყოველდღიურად აორთქლებენ ლაბორატორიაში ერთ ინერტულ სხეულს მეორე ინერტული სხეულის შემწეობით და როდესაც ისინი, რომლებიც, განიხილობენ რა სამყაროში მხოლოდღა მიზიდულობის მოქმედებას, დაასკვნიან მოძრაობის თუ უძრაობის მდგომარეობაში მყოფი მატერიის ინდიფერენტობაზე, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მატერიის ტენდენციაზე უძრაობისადმი, და ფიქრობენ, რომ მათ ამით გადაჭრეს კითხვა, – ჩვენ კი ვიტყოდით, რომ ნამდვილად ისინი ამ კითხვას არც კი შეხებიან.

როდესაც სხეულს განიხილავენ, როგორც მეტად ან ნაკლებად რეზისტენტულს, და არა როგორც სიმძიმის, ან მიზიდულობის ცენტრისაკენ მისწრაფებულს, ამით მასში უკვე სცნობენ თანაყოფას ძალისა, აგრეთვე მის თანაარს და ინტიმურს მოქმედებას; მაგრამ არის მრავალი სხვა ძალა და მოქმედებები, რომლებიდანაც ერთნი ახდენენ ყოველმხრივ ზემოქმედებას, სხვებს კი განსაკუთრებული მიმართულებები აქვთ.

დაშვება მატერიალური მსოფლიოს გარეშე მყოფი რომელიმე
არსებისა შეუძლებელია. არასოდეს არ უნდა დაუშვა ასეთი ვა-

რაუდები იმიტომ რომ იმათგან ვერასოდეს ვერავითარ დასკვნას'.
ვერ გამოიტან.

ყველაფერი, რასაც ამბობენ მოძრაობის ან სიჩქარის ზრდის შეუ-
ძლებლობაზე, ეწინააღმდეგება ჰიპოთეზს მატერიის ჰომოგენურობის
შესახებ. მაგრამ რა სურთ ამით მათ, რომელთაც მატერიაში მოძრაობა
გამოყავთ მისი ჰეტეროგენურობიდან? ვარაუდი მატერიის ჰომოგე-
ნურობის შესახებ სავსეა მრავალი სხვა შეუსაბამობით.

როდესაც ადამიანები უარს არ იტყვიან საგნების თავისივე თავში
განხილვაზე და შეუდგებიან მათ განხილვას სამყაროში, მაშინ ისინი
მოვლენების სხვადასხვაობის საფუძველზე დარწმუნდებიან ელემენ-
ტარულ ნივთიერებათა ხხვადასხვაობაში, ძალთა სხვადასხვაობაში,
მოქმედებათა და უკუქმედებათა სხვადასხვაობაში, მოძრაობის აუცი-
ლებლობაში: ხოლო, დაუშვებენ რა ყველა ამ ჭეშმარიტებას, ისინი
უკვე აღარ იტყვიან: მე ვხედავ მატერიას არსებულად, მაგრამ მე
ვხედავ მას ჯერ უძრაობაში; მაშინ ისინი იგრძნობენ, რომ ეს ნიშნავს
დაშვებას აბსტრაქციისა, რომლიდანაც არავითარი დასკვნების გაკე-
თება არ შეიძლება. არსებობა არ იწვევს არც უძრაობას, არც მო-
ძრაობას; მაგრამ არსებობა არაა სხეულთა ერთად ერთი თვისება.

ყველა ფიზიკოსს, რომლებიც ვარაუდობენ მატერიის ინდი-
ფერენტობას მოძრაობასა და უძრაობისადმი, არა აქვთ ნათელი წარ-
მოდგენა წინააღმდეგობაზე. იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცე-
მოდათ მათ რაიმე დასკვნა გაეკეთებიათ წინააღმდეგობიდან, საჭი-
რო იქნებოდა, რომ ეს თვისება მჟღავნდებოდეს განურჩევლად ყველა
მიმართულებით და რომ მისი ენერგია თანაბარი რჩებოდეს ყოველ-
გვარი მიმართულებით. მაშინ ეს იქნებოდა სხეულის ინტიმური ძალა,
ისეთი, როგორიც აქვს ყოველ მოლეკულას; მაგრამ ეს წინააღ-
მდეგობა ვარიირდება იმ მიმართულების მიხედვით, რომლებისკე-
ნაც შეუძლიათ სხეულს ბიძგი კრან; ის მეტია ვერტიკალური, ვიდრე
ჰორიზონტალური მიმართულებით.

განსხვავება სიმძიმესა და ინერციის ძალას შორის მასშია, რომ
სიმძიმე არაერთნაირ წინააღმდეგობას წევს ყველა მიმართულებით;
ინერციის ძალა კი ერთნაირ წინააღმდეგობას წევს ყველა მიმარ-
თულებით.

რატომ არ უნდა გამოეწვია ინერციის ძალას სხეულის მოძ-
რაობის ან უძრაობის მდგომარეობაში შეჩერების ეფექტი მარ-
ტო მატერიის რაოდენობის მიმართ პროპორციული წინააღმდეგო-
ბის ცნების მეოხებით? წმინდა წინააღმდეგობის ცნება ერთნაირად
უდგება მოძრაობასაც და უძრაობასაც; უძრაობას, როდესაც სხეული

მოძრაობაშია; მოძრაობას, როდესაც სხეული უძრაობაშია, ასეთი წინააღმდეგობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ბიძგი ამოძრავების წინ და შეჩერება წაბიძგების შემდეგ, ვინაიდან სხეული არარაობა იქნებოდა.

ძაფზე დაკიდებული ბურთის ცდის მიხედვით მტკიცდება, რომ ბურთი სიმძიმეს კარგავს. ბურთი ეწევა ძაფს ისეთივე ძალით, როგორი ძალითაც ძაფი ეწევა ბურთს. მაშასადამე, სხეულის წინააღმდეგობა მხოლოდ ინერციის ძალასთანაა დაკავშირებული.

ძაფს რომ მეტის ძალით ეწია ბურთი, ვოდრე უკანასკნელის სიმძიმეა, ბურთი ზევით ავიდოდა. სიმძიმეს რომ ძაფზე მეტის ძალთ ეწია ბურთი, ის ძირს დაიწევდა და სხვ. და სხვ.

ფილოსოფიური აზრები

Piscis his non est omnium. [53]

მე ღმერთზე ვწერ; ვვარაუდობ მკითხველთა მცირე რაოდენობას და ვეძიებ მხოლოდ მცირეთა ცნობას. თუ ეს ფილოსოფიური აზრები არავის მოეწონება, ისინი ყოფილან მხოლოდ უბადრუკნი; მაგრამ მე ამ აზრებს ბილწად მივიჩნევდი, თუ ისინი ყველას მოეწონებოდა.

I.

მუდმივ ილაშქრებენ ვნებათა წინააღმდეგ; მათ აწერენ ადამიანის ყოველ ტანჯვას და ავიწყდებათ, რომ ისინი აგრეთვე წარმოადგენენ ადამიანის ყოველი განცხრომის წყაროს. ვნება ადამიანის კონსტიტუციის ელემენტია, და ის არ შეიძლება გადაფასებულ იქნას თავისი სიკარგის თუ სიცუდის მხრივ. მაგრამ ჩემში ის იწვევს ჯავრს, რომ მის განხილვას ყოველთვის მხოლოდ სიცუდის მხრივ უდგებიან. თითქო ეშინოდეთ, რომ გონებას შეურაცხყოფა არ მიაყენონ მის მოქიშპეთა სასარგებლოდ დაცდენილი ერთი სიტყვითაც კი; ამავე დროს, მარტო ვნებებს და ისიც დიად ვნებებს ძალუძთ დიად საქმეებამდე აამაღლონ სული. ვნებათა გარეშე ბოლო ეღება ყოველივე დიადს როგორც ზნეჩვეულებაში, ისე შემოქმედებაში; ვნებათა გარეშე ხელოვნება პრიმიტიული ხდება, ხოლო სიკეთე – წვრილმანდება.

II.

ზომიერი ვნებანი ქმნიან უფერულ ადამიანებს. თუ მე მტერს თავდასხმას ვაცლიდი და დროულად არ ვეცდებოდი ჩემი სამშობლო განსაცდელიდან მეხსნა, მაშინ მე მხოლოდღა ჩვეულებრივი მოქალაქე ვიქნებოდი. ასევე ჩემი მეგობრობაც უანგარო არ იქნება, თუ მეგობრის საფრთხე ჩემს საკუთარ საფრთხეს არ დამავიწყებს. თუ მე ჩემი სიცოცხლე უფრო ძვირად მიღირს, ვიდრე ჩემი სატრფო, მე მაშინ მხოლოდღა ჩვეულებრივი მოტრფიალე ვარ.
124

III.

დაცხრომილი ვნებანი ამცირებენ დიდ ადამიანებს. ძალდატანება ანადგურებს ბუნების ძალას და სიდიადეს. შეხედეთ ამ ხეს; მხოლოდ მის ხშირ ფოთლებს უნდა ვუმადლოდეთ გაშლილ ჩრდილს და სიგრილეს: თქვენ ის სიამოვნებას გგვრით მანამ, სანამ ზამთარი არ ჩამოხსნის მას სამოსელს.

და მოისპობოდა ყოველგვარი კაზმულობა პოეზიაში, მხატვრობაში, მუსიკაში თუ რომ ცრუმორწმუნეობა სიბერისამებრ გაანადგურებდა ტემპერამენტს.

IV

მაშ ეს ბედნიერება იქნებოდა, – მეტყვიან მე, – თუ გვექნებოდა ძლიერი ვნებანი? დიახ, უეჭველად, თუ ყველა ვნებანი ერთმანეთთან იქნებოდნენ შეთანხმებული. დაამყარეთ მათს შორის სწორი ჰარმონია და არ გექნებათ უწესოების საშიშროება. თუ იმედი გაწონასწორებული იქნება შიშით, პატივმოყვარეობა – სიცოცხლის სიყვარულით, დატკბობისადმი მიდრეკილება – ჯანმრთელობაზე ზრუნვით, მაშინ არ იქნებიან არც გარყვნილნი, არც მხდალნი, არც გამბედავნი.

V

ვნებათა მოსპობის მიზნად დასახვა უკიდურესი სიგიჟეა. რა იქნებოდა ის ღვთის მლოცველი, რომელიც მთელს თავის ძალღონეს მოანდომებდა ყოველგვარი სურვილის, სიყვარულისა და გრძნობის ჩაკვლას და რომელიც ნამდვილ საფრთხობელად იქცეოდა, რომ თავისი მიზნისათვის მიეღწია?

VI

ის, რასაც მე პატივსა ვსცემ ერთ ადამიანში, შეიძლება მძულდეს მეორეში? რასაკვირველია არა. ჭეშმარიტება, ჩემს სურვილებზე დამოუკიდებელი, ჩემი მსჯელობის კანონიც უნდა იყოს; და ერთს ბოროტმოქმედებად მე არ ჩავუთვლიდი იმას, რაც მეორეს მი-

მართ ჩემს აღფრთოვანებას იწვევს როგორც სათნოება. ნუთუ დავი-
ჯერო, რომ მარტო ზოგიერთებს მიეკუთვნება უპირატესობა შეასრუ-
ლონ ნამდვილად კეთილი საქმეები, რომლებსაც ბუნება და რელიგია
განურჩევლად ყველასაგან მოითხოვენ? არავითარ შემთხვევაში. საიდან
უნდა აღებულიყო მათთვის ეს განსაკუთრებული პრივილეგია? თუ
პაქომი [54] კარგად მოიქცა, როდესაც ის ადამიანებს გაეყარა და გან-

მარტოებაში დაიმარხა, ჩემთვისაც აკრძალული არაა მისი წაბაძვა;
მისი წაბაძვით მე ისეთივე კეთილმომქმედი ვიქნები, როგორც იგი;
და მე არ მესმის რატომ სხვა ასეულ ადამიანებსაც არ ექნებოდა
იგივე უფლება, რაც მე? მაგრამ წარმოიდგინეთ მთელი მხარე,
რომლის მოსახლეობაც, დაშინებული საზოგადოების საფრთხეებით,
ტყეებში გაფანტულიყო: ისინი იქ იცხოვრებდნენ როგორც მხეცები
და ამით მოიწადინებდნენ განწმენდას; ყველა საზოგადრებრივ მიდრე-
კილებათა ნანგრევებზე ათასობით იმართება ბურჯები; სტილიტების [55]
ახალი ტომი, სარწმუნოებრივი ჟინის გამო იხშობს ბუნებრივ გრძნო-
ბებს, კარგავს ადამიანობას და უსიცოცხლო ქანდაკებად იქცევა,
რომ ამით ნამდვილი ქრისტიანი გახდეს!

VII

რა ხმებია! რა აურზაური! რა გოდებაა! ვინ ჩაამწყვდია ამ
საპყრობილეებში ეს მგმინავი ლეშები? რა ბოროტმოქმედება ჩაიდი-
ნეს ამ საცოდავებმა? ერთნი ქვებს იცემენ მკერდში; მეორენი რკინის
ბრჭყალებით იგლეჯენ სხეულს; სინანული, წუხილი და სიკვდილი ჩა-
ბუდებულა ყველას თვალებში. ვინ მიუსაჯა მათ ასეთი ტანჯვა?..
ღ მ ე რ თ მ ა , რ ო მ ე ლ ი ც მ ა თ შ ე უ რ ა ც ხ ჰ ყ ვ ე ს... მაშ, ღმერთი?
ეს – ს ი კ ე თ ი თ ა ღ ს ა ვ ს ე ღ მ ე რ თ ი ა... გამოდის, რომ სიკეთით
აღსავსე ღმერთს ცრემლში ბანაობა ჰყვარებია? საშინელების ეს
გმინვა არ არის შეურაცხყოფა მისი მოწყალებისა? ბოროტმომქმედთ
რომ გააფთრებული ტირანის გულის მოლბობა განეზრახათ, განა
უარესს რას ჩაიდენდნენ ისინი?

VIII

არიან ადამიანები, რომელთა შესახებ კი არ უნდა ითქვას, რომ
მათ ეშინიათ ღმერთის, არამედ, რომ ისინი ლაჩრობენ.

IX

გამგონე იმისა, თუ როგორ სახავენ ზენაარსს, როგორ ახასია-
თებენ მის მიდრეკილებას მრისხანებისაკენ, შურისძიების სისასტიკეს,
გამგონე იმ ცნობილ შედარებებისა, რომლებიც რიცხვობრივ შეფარ-

დებებს იძლევიან ღვთის მიერ დასაღუპად განწირულთა და მისგანვე დახმარების ღირსად მიჩნეულთა შესახებ, თვით უპატიოსნესიც კი მოისურვებდა, რომ ღმერთი არ არსებულიყო. ადამიანები საკმაო სიმშვიდით იცხოვრებდნენ ამ ქვეყანაზე, თუ სრული იმედი ექნებოდათ, რომ იმ ქვეყანაში მათ არავითარი საფრთხე არ მოელით: ჯერ არა-
126

ვინ არ შეუშინებია იმ აზრს, რომ ღმერთი არ არსებობს, მაგრამ რამდენი შეძრწუნებულა იმ წარმოდგენით, რომ არსებობს ისეთი ღმერთი, როგორსაც მე მისახავენ.

X

არ უნდა წარმოიდგინო ღმერთი არც ზედმეტად კეთილ, არც ზედმეტად ბოროტ არსებად. სამართლიანობა იმყოფება ზედმეტ მოწყალებასა და სისასტიკეს შორის, როგორც შეზღუდული სასჯელები იმყოფებიან დაუსჯელობასა და მარადიულ სასჯელს შორის.

XI

მე ვიცი, რომ ცრუმორწმუნეობის ბნელ წარმოდგენებს სიტყვით უფრო ხშირად ცნობენ, ვიდრე საქმით; რომ არსებობს ღვთისმორწმუნე ადამიანები, რომლებიც არ სთვლიან საჭიროდ სასტიკად შეიძულონ თავისი თავი, რომ ჭეშმარიტად შეიყვარონ ღმერთი და სასოწარკვეთილებას მიეცნენ, რომ იყვნენ ღვთისმოსავნი; მათი ღვთისმოყვარეობა მხიარულია, მათი სიბრძნე – ღრმა ადამიანური; მაგრამ, საიდან წარმოიშვება ეს გრძნობათა სხვაობა ადამიანთა შორის, რომელნიც ერთსადაიმავე საკურთხევლის წინ იდრეკენ მუხლებს? ნუ თუ კეთილმსახურეობაც წყეული ტემპერამენტის კანონებს ემორჩილება? ოღონდაც! განა შეიძლება ამაზე დავა? ტემპერამენტის გავლენა ზედმეტი სიაშკარავით მჟღავნდება თითოეულ მორწმუნეში: მისი განწყობილების მიხედვით მას თვალწინ უდგება ხან შურისძიების, ხან მოწყალების ღმერთი, ხან ჯოჯოხეთი, ხან ცახსნილიც; ის ან თრთის შიშისაგან ან იწვის სიყვარულით; ეს ციებცხელებაა, სიცხესიცივის შეტევებით.

XII

დიახ, მე ვამტკიცებ, რომ ცრუმორწმუნეობა უფრო შეურაცხმყოფელია ღვთისათვის, ვიდრე ათეიზმი. „მე მირჩევნია, – ამბობს პლუტარქი, – ეფიქრათ, რომ პლუტარქი სრულიად არ არსებობდა ამ ქვეყანაზე, ვინემ ჩაეთვალათ იგი უსამართლოდ, ადამიანად მრისხანედ, მერყევად, ეჭვიანად, შურისმძიებლად – ერთი სიტყვით, ისეთად, როგორადაც ყოფნა მას საწყენად დაურჩებოდა.

XIII

მხოლოდ დეისტს შეუძლია ათეისტის შემოტევას გაუძლოს, ცრუმორწმუნეს კი არ ძალუძს ასეთი შემოტევის უკუგდება. მისი ღმერთი მარტო მის წარმოდგენაშია. გარდა ამ საგნის სიძნელეთა, იგი

განწყობილია ყველა სიძნელეთა წინაშე, რომელნიც გამომდინარეობენ მისი ცოდნის სიყალბისაგან. რომელიმე C....[56] ან S….[57] ათასჯერ უფრო სახიფათო იქნებოდნენ ვანინისათვის, ვიდრე მთელი მსოფ-ლიოს ყველა ნიკოლი [58] და პასკალი [59].

XIV

პასკალს სამართლიანობა ახასიათებდა; მაგრამ ის მშიშარა და გულუბრყვილო იყო. მოხდენილი მწერალი და ღრმა მოაზროვნე, ის უეჭველად შუქს მოჰფენდა მსოფლიოს, რომ განგებას ისეთი ადამიანე-ბის ხელში არ ჩაეგდო, რომელთაც მისი ნიჭი თავიანთი გაბოროტების მსხვერპლად შეიწირეს. რა კარგი იქნებოდა, რომ ის, მისი თანამედ-როვე თეოლოგთა დავაში არ ჩარეულიყო; რომ ის ჭეშმარიტების ძიების დროს ღმერთისადმი შეურაცხყოფის მიყენებაში ყოფილიყო მოურიდებელი და უშიშარი, მთელი იმ ნიჭის გამოყენებით, რომე-ლიც მან ღვთისგანვე მიიღო, ხოლო უმთავრესად კი არ მიეღო მას-წავლებლობა იმ ხალხისა, რომლებიც მისი მოწაფეობის ღირსნიც კი არ იყვნენ! მასზე ზედგამოჭრილია ის, რაც ენამახვილმა ლამოთმა სთქვა ლაფონტენის შესახებ: რომ ის საკმაოდ სულელი იყო იმისა-თვის, რომ არნო, დე-სასი და ნიკოლი უფრო მნიშვნელოვან ადა-მიანებად ჩაეთვალა, ვიდრე თვითონ იყოო.

XV

„მე გეუბნებით თქვენ, რომ არავითარი ღმერთი არ არსებობს; რომ ქვეყნის გაჩენა – ცარიელი ქიმერაა; რომ მსოფლიოს მარა-დიულობა უფრო ძნელი წარმოსადგენი არ არის აზროვნებისათვის, ვიდრე სულის; იმისათვის, რომ მე არა მაქვს შესაძლებლობა ჩავსწვდე თუ როგორ შეეძლო მოძრაობას წარმოეშვა ეს სამყარო, რომელსაც მოძრაობა ასე მშვენივრად ინახავს, სასაცილო იქნებოდა ამ სიძნე-ლის გადალახვა ისეთი არსების ყოფიერების ვარაუდით, რომელიც ჩემთვის ასეთივე მიუწვდომელი იქნებოდა; რომ, თუ ფიზიკური ქვეყნის სასწაულებში მართლაც მჟღავნდება რაღაც გონიერება, სამაგიეროდ ზნეობრივი ქვეყნის უმსგავსოებანი სრულიად უარყოფენ ყოველგვარ განგებას. მე გეუბნებით თქვენ, რომ თუ ყოველივე ღვთის შექმნი-ლია, მაშინ ყოველივე იმდენად სრულყოფილი უნდა იყოს, რამდენა-

დაც ეს შესაძლებელია; რადგან თუ ყოველივე არ არის სრულყოფილი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ეს ღმერთის უძლურება ან ბოროტი ნება იქნება. ამგვარად უკეთესია, რომ მე ღმერთის არსებობის შესახებ მეტი არა ვიცი-რა; ვადგენთ რა ამას, რაში შემიძლია

გამოვიყენო მე თქვენი განმარტებანი? რომ ეს იმდენად ყოფილიყო დამტკიცებული, რამდენადაც იგი არ არის დამტკიცებული, რომ ყოველივე ბოროტება წარმოადგენს სიკეთის წყაროს; რომ საუკეთესო ხელმწიფის ბრიტანიკუსის დაღუპვა სამართლიანი იყო; რომ ნერონს, ამ უბოროტეს ადამიანს არ ემეფა; როგორ უნდა დამტკიცდეს, რომ არ შეიძლებოდა იმავე მიზნის მიღწევა სხვაგვარი საშუალებებით? მანკიერების დაშვება მარტო იმიტომ, რომ სიკეთეს ბრწყინვალება მოემატოს, ეს ხომ მძიმე უბედურების ფუქსავატური უპირატესობით ანაზღაურებას ნიშნავს". აი ის, რაშიაც მე თქვენ გეწინააღმდეგებით, ამბობს ათეისტი; რა შეგიძლიათ ამაზე მითხრათ? „რომ მე, როგორც ბოროტმოქმედს, ღვთის არ მეშინოდეს, მაშინ მე არ უარვყოფდი მის არსებობას". ასეთი ფრაზა შეჰფერის ოქროპირებს; ეს ფრაზა სიმართლის შეურაცხმყოფელია, თავაზიანობა მას კრძალავს და დიდი სიყვარული არ ამოწმებს. თუ ადამიანი ცდება, როდესაც მას ღმერთი არ სწამს, გვაძლევს ეს ჩვენ მისი შეურაცხყოფის უფლებას? შეურაცხყოფას მიმართავენ ხოლმე, როდესაც დამამტკიცებელ საბუთებს ვერ ნახულობენ. სანაძლეოს დადება შეიძლება იმის შესახებ, რომ ორი მოკამათიდან გული მას მოუვა, ვინც სტყუის. „შენ ქუხილს მიმართავ პასუხის მაგიერ, – უთხრა მენაპმა იუპიტერს, – მაშასადამე, შენ სტყუიხარ?"

XVI

ერთ კაცს როგორღაც ჰკითხეს, არსებობენ თუ არა ნამდვილი ათეისტებიო. თქვენ რას ჰფიქრობთო, უპასუხა მან, არსებობენ ნამდვილი ქრისტიანები?

XVII

მეტაფიზიკის მთელი ჩხირკედალაობა არ ღირს ერთ არგუმენტად ad hominem-ად. რომ დაარწმუნო, ზოგჯერ საკმარისია ან ფიზიკური, ან მორალური განცდის გამოწვევა. ჯოხის საშუალებით დაარწმუნეს ერთი პირონისტი, რომ ის სცდებოდა, როდესაც ჯოხის არსებობას უარყოფდა. კარტუშს, დამბაჩით ხელში შეეძლო ჰობსისათვის მიეცა ამგვარი გაკვეთილი: „ქისა ან სიცოცხლე; ჩვენ აქ მარტონი ვართ, მე შენზე ძლიერი ვარ და ჩვენს შორის არ შეიძლება დავას ჰქონდეს ადგილი რაიმე სამართლიანობის შესახებ".

XVIII

მთავარი დარტყმები ათეიზმს მეტაფიზიკის ხელით არ მიუღია. მალბრანშის და დეკარტის მაღალი აზრები ისე ვერ შეარყევდნენ მატერიალიზმს, როგორც მალპიგის ერთი დაკვირვება. თუ ეს საშიში ჰიპოთეზი მერყეობს ჩვენს დროში, ამისი საპატიო მიზეზია ექსპერიმენტალური ფიზიკა. საბუთები, რომლებიც დამაჯერებლად ამტკიცებენ ყოვლად ბრძენი არსების ყოფნას, მარტო ნიუტონის, მუშენბროკის, ჰარტცეკერის და ნიუვენტიტის ნაწარმოებებში მოიპოვებიან. ამ დიდ ადამიანთა შრომების მეოხებით სამყარო ღმერთი კი აღარ არის, მანქანაა, რომელსაც აქვს თავისი ბორბლები, თოკები, ჭოჭონაქები, ზამბარები და სასწორები.

XIX

ონტოლოგიის დახვეწილობამ უკიდურეს შემთხვევაში წარმოშვა სკეპტიკოსები. ნამდვილი დეისტების შექმნა ბუნებისმცოდნეობას ხვდა წილად. ჩანასახების აღმოჩენა უკვე საკმარისი იყო ათეიზმის ერთერთი უძლიერესი არგუმენტის გასანიავებლად. სულერთია, მოძრაობა შემთხვევითი თვისებაა მატერიის თუ არსებითი, მე ახლა დარწმუნებული ვარ, რომ მისი მოქმედება განშლის პროცესებით განისაზღვრება: ყველა დაკვირვებები ერთხმად მოწმობენ, რომ ლპობას თავისთავად არ შეუძლია რაიმე ორგანიზებული წარმოშვას; მე შემიძლია დავუშვა, რომ უუმცირესი მწერის მექანიზმიც ადამიანის მექანიზმზე არანაკლებ სასწაულებრივია და მე არ უნდა მეშინოდეს იმ დასკვნის, რომ თუ მოლეკულათა შინაგან მოძრაობას პირველი მექანიზმის შექმნა შეუძლია, მას, ალბათ, არც მეორე მექანიზმის შექმნა გაუჭირდებოდა. ორასი წლის წინათ რომ ვინმე ათეისტს გაეცხადებია – ოდესმე შეიძლება ადამიანებმა პირდაპირ მიწის სიღრმიდან იწყონ ამოსვლა დამთავრებულის სახით ისე როგორც მწერთა გუნდები სცვივიან ჩვენს თვალწინ დამპალი ხორციდანო, საინტერესოა თუ რა პასუხს გასცემდა მას ამაზე მეტაფიზიკოსი.

XX

ერთს ათეისტთან კამათის დროს მე ამაოდ ვიშველიებდი სასკოლო ფილოსოფიის ყოველგვარ ხერხებს. ამ მსჯელობის სისუსტიდან მან საკმაო ძლიერი არგუმენტიც გამოიტანა. „ბევრი უსარგებლო ჭეშმარიტება დამიმტკიცდა მე უდავოდ, – მითხრა მან, – მაგრამ ღვთის არსებობა, ზნეობრივი სიკეთისა და სიბოროტის რეალურობა, სულის უკვდავება, ჩემთვის კიდევ პრობლემებს წარმოადგენენ. ნუთუ

ჩემთვის ნაკლებმნიშვნელოვანია ამ საგნებზე ჭეშმარიტების გაგება, ვიდრე იმის ცოდნა, რომ სამკუთხედის სამივე კუთხე ორ სწორ კუთხეს ეთანაბრება?“ და იმის შემდეგ, რაც მარჯვე რიტორის ხერხიანობით მან ბოლომდე შემასვა ამ მოსაზრების სიმძაღე, მე გავანახლე ბრძოლა კითხვით, რომელიც გამარჯვებით დამთვრალ ადამიანს უცნაურად უნდა მოსჩვენებოდა... „თქვენ მოაზროვნე არსება ხართ“? შევეკითხე მე მას...“ ეჭვი გეპარებათ ამაში?“ მიპასუხა მან – თვითკმაყოფილების გამომეტყველებით... რატომაც არა? – რა დავინახე ისეთი რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი ამაში?.. ხმები და მოძრაობანი?.. მაგრამ ფილოსოფოსი ამასვე ამჩნევს ცხოველებში, რომლებშიაც ის აზროვნების ნიჭს უარყოფს; რატომ უნდა ვსცნო მე თქვენში ის, რასაც დეკარტი უარყოფს ჭიანჭველაში? თქვენ აწარმოებთ ისეთ გარეშე მოქმედებებს, რომლებიც აზრიანობის შთაბეჭდილებას იძლევიან; მე უკვე მზად ვიყავი მეთქვა, რომ თქვენ მართლა აზროვნებთ; მაგრამ გონებამ შეაჩერა ჩემი მსჯელობა. „გარეშე მოქმედებებსა და აზრს შორის არ არის არავითარი არსებითი კავშირი, – მეუბნება მე ის; შეიძლება შენი მოწინააღმდეგე ისევე არ აზროვნებს როგორც მისი საათი; ნუ თუ დასაშვებია მოაზროვნე არსებად ჩაითვალოს პირველი შეხვედრილი ცხოველი, რომელსაც ლაპარაკი დაასწავლეს? ვინ გამცნო შენ, რომ ადამიანები შენს გარეშე განსწავლული თუთიყუშები არ არიან?.. ეს შედარება, უკეთეს შემთხვევაში, ჭკუამახვილურია, მიპასუხა ჩემმა მოსაუბრემ; მოძრაობით და ხმებით კი არა, აზრგამბულობით, ფრაზათა ლოღიკური თანამიმდევრობით და მსჯელობათა კავშირგაბმულობით უნდა დავასკვნა, როს ესა თუ ის არსება აზროვნობს. რომ მოიპოვებოდეს ისეთი თუთიყუში, რომელიც ყველაფერზე მიპასუხებდა, ურყევად ვიტყოდი, რომ ის მოაზროვნე არსება არის... მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ამას ღვთის არსებობის საკითხთან? ვთქვათ, თქვენ მე დამიმტკიცეთ, რომ ადამიანი, რომელშიაც მე უუმაღლესი გონიერების ნაპერწკალს ვამჩნევ, უბრალო ავტომატია, – მაიძულებს მე ეს ვსცნო უმაღლესი გონიერება ბუნებაში?“.. ეს უკვე ჩემი საქმეა, – ვუპასუხე მე: მაგრამ დამეთანხმეთ, რომ სიგიჟე იქნებოდა თქვენს მსგავსებში აზროვნების ნიჭის უარყოფა. „უსათუოდ; მაგრამ რა გამოდის აქედან?..“ აქედან გამომდინარეობს, რომ თუ მსოფლიო, რას ვამბობ მსოფლიო!, თუ პეპლის ფრთაც კი გონიერების ათასჯერ უფრო აშკარა ნიშნებს ატარებს, ვიდრე ჩვენს განკარგულებაში მყოფი მოწმობები იმისა, რომ თქვენი მსგავსი აზროვნების ნიჭით არის დაჯილდოებული, მაშინ ხომ ღვთის არსებობის უარყოფა ათასჯერ მეტი უაზრობა იქნებოდა, ვიდრე უარყოფა იმისა, რომ თქვენი მსგავსი აზროვნობს. რომ ეს ასე არ იყოს, მე

თქვენს გონიერებას, შეგნებას მივმართავდი; შეგინიშნავთ თქვენ ოდესმე ამათუიმ ადამიანის მსჯელობაში, მოქმედებაში და ყოფაქცევაში მე-

ტი გონიერება, წესი, შორსმჭვრეტელობა, თანამიმდევრობა, ვიდრე
რომელიმე მწერის მექანიზმში? განა ღვთაება იმდენადვე არ არის აღ-
ბეჭდილი ტკიპის თვალში, რამდენადაც აზროვნების ნიჭი დიდი ნიუ-
ტონის ნაწარმოებებში? როგორ! ნუთუ რეალური ქვეყანა ნაკლებ
გონიერებას იჩენს, ვიდრე ადამიანის მიერ გამოცნობილი ქვეყანა?..
უცნაური მტკიცებაა!.. „მაგრამ– მიპასუხებთ თქვენ მე: ასე ადვი-
ლად მიტომ ვცნობ სხვებში აზროვნების შესაძლებლობას, რომ თვი-
თონ მე ვაზროვნობ...“ აი მე გეთანხმებით, რომ ეს თვითრწმენა მე არა
მაქვს; მაგრამ განა ჩემი მტკივნეულობათა უპირატესობა, თქვენს არგუ-
მენტებთან შედარებით, არ მინაზღაურებს მე ამ თვითრწმენას? განა
პირველარსების გონიერება უფრო დამაჯერებელი არ არის თავის
ნაწარმოებით ბუნებაში, ვიდრე ფოლოსოფოსის ნაწარმოებში აზ-
როვნების შესაძლებლობა? მიაქციეთ ყურადღება, რომ მე თქვენს წი-
ნააღმდეგ მარტო პეპლის ფრთა, მარტო ტკიპის თვალი წამოვაყენე;
მაშინ როდესაც მე შემეძლო სამყაროს სიმძიმით თქვენი გასრესა.
ან მე ძალზე ვცდები, ანდა ამ მტკიცებას უფრო მეტი ფასი აქვს,
ვიდრე სასკოლო ფილოსოფიის ყველაზე უფრო მძლავრ არგუმენტს.
ამ მსჯელობით და ზოგიერთი სხვა ასეთივე სიმარტივის მტკიცე-
ბაზე ემყარება ჩემი რწმენა ღვთის არსებობის შესახებ და არა მშრალი
მეტაფიზიკური აზრების ქსოვილზე, რომელსაც ჭეშმარიტების გახსნა
იმდენად არ ეხერხება, რამდენადაც ამ ჭეშმარიტებისათვის სიცრუის
სახის მიცემა.

XXI

მე ვშლი ერთი ცნობილი პროფესორის [59] რვეულს და ვკითხუ-
ლობ: „ათეისტებო, მე თქვენ გეთანხმებით, რომ მოძრაობა არსებითი
თვისებაა მატერიის; მაგრამ რა დასკვნა გამოგყავთ თქვენ აქედან?
რომ ქვეყანა ატომების შემთხვევითი ტყორცნიდან წარმოიშვა? მე ვამ-
ჯობინებდი, რომ თქვენ ჩემთვის გეთქვათ, რომ ჰომეროსის ი ლ ი ა დ ა
ან ვოლტერის ჰ ე ნ რ ი ა დ ა წარმოადგენენ ასოების შემთხვევითი აჩ-
ხორვის შედეგს“. მე ვერ გავბედავდი ასეთი არგუმენტით გამოს-
ვლას ათეისტის წინააღმდეგ; ეს შედარება ხელსაყრელი მხოლოდ
ათეისტისათვისავე იქნებოდა. თანახმად შესაძლებლობათა თეორიის
ანალიზისა – მიპასუხებდა მე იგი – მე სრულებითაც არ უნდა გამი-
კვირდეს, როდესაც რაიმე მოვლენა წარმოიშობა, თუ კი ის შესა-
ძლებელია და თუ რომ ამ წარმოშობათა სიძნელე კომპენსირებულია
ტყორცნათა რაოდენობითი არსებობს გათამაშებათა ისეთი განსაზღვ-

რული რიცხვი, რომელიც მაძლევს მე საშუალებას წარმატებით დავ-
დო სანაძლეო, რომ ასი ათასი ცალი კამათლის გადაყრით, ასი
ათას შაშს გავაგორებ. როგორიც არ უნდა იყოს საბოლოო რიცხვი
ასოების, რომლის საშუალებით მოეთხოვათ ჩემთვის ილიადას შემთ-

ხვევითი აღდგენა, არსებობს ამ ტყორცნათა ისეთი გარკვეული რა-
ოდენობა, რომლის საშუალებით ჩემდამი წამოყენებული მოთხოვნი-
ლება ხელსაყრელი გახდება; ჩემი სარგებლიანობა დაუბოლოვებელი
იქნებოდა, თუ თქვენ მე მეთანხმებით მასში, იტყოდა ჩემი ათეისტი,
რომ მატერია მუდმივ არსებობდა და მოძრაობა განუყოფელია მის-
გან. რომ ასეთივე თავაზიანობით გიპასუხოთ, მე თქვენთან ერთად
დავუშვებ, რომ სამყარო უსაზღვროა, რომ ატომთა რიცხვი განუ-
საზღვრელია და რომ მსოფლიოში არსებული ის წესრიგი, რომელიც
თქვენში განცვიფრებას იწვევს, არსად არ ირღვევა; ასეთი ურთი-
ერთის მიმართ დაშვებული დათმობებიდან გამომდინარეობს მხოლოდ
ის, რომ შესაძლებლობა სამყაროს შემთხვევითი წარმოშობისა უკი-
დურესად მცირეა. და ტყორცნების რიცხვი – დაუსრულებელია, ესე-
იგი ჩვენს განხილვაში მყოფი მოვლენის წარმოშობის სიძნელე გარდა-
მეტებით კომპენსირებულია ტყორცნის სიმრავლით. ამგვარად თუ
რაიმე ეწინააღმდეგება გონებას, ეს არის ის განზრახვა, რომ მა-
ტერია მარადიულ მოძრაობაშია, და რომ ალბად ამ მოძრაობის
დროს მას შეეძლო მიეღო დაუბოლოვებული ჯამი წარმტაც გან-
ლაგებათა, კომბინაციათა შესაძლებლობის დაუსრულებელ ჯამში,
მაგრამ ის ვერც ერთ ამ წარმტაც განლაგებათაგანს ვერ წააწყდა იმ
დაუსრულებელ მრავალფეროვნებაში, რომელშიაც ის თანამიმდევრო-
ბით იმყოფებოდა. ასე, ამგვარად, გონება კიდევ უფრო მეტად უნდა
იყოს გაკვირვებული ქაოსის ჰიპოთეთიკური ხანგრძლივობით, ვიდრე
სამყაროს რეალური წარმოშობით.

XXII

ათეისტებს მე სამ ჯგუფად ვყოფ. ერთნი პირდაპირ ამბობენ,
რომ ღმერთი არ არსებობს და მართლაც ასე ჰფიქრობენ; ეს ნ ა მ -
დ ვ ი ლ ი ა თ ე ი ს ტ ე ბ ი ა; მეორენი საკმაოდ მრავალრიცხოვანნი,
ვერ გარკვეულან ამ საკითხში, არ იციან რა იფიქრონ მის შესახებ
და სიამოვნებით გადასჭრიდნენ მას წილის ყრით; ესენი ს კ ე პ ტ ი -
კ ი - ა თ ე ი ს ტ ე ბ ი ა; მესამენი – უფრო მრავალნი, რომელთაც სურთ,
რომ ღმერთი არ არსებობდეს და რომლენიც განგებ აჩვენებენ თავს
დარწმუნებულად მის არ არსებობაში და ცხოვრობენ ისე თითქოს
მართლაც იყონ ამაში დარწმუნებული; ესენი ათეიზმის ფ ა ნ ფ ა-

რ ო ნ ე ბ ი ა. მე მძაგს ფანფარონები; ისინი მატყუარებია; ჩემში სიბ-
რალულს იწვევენ ნამდვილი ათეისტები; ვფიქრობ, რომ მათთვის
არავითარი ნუგეში არ არსებობს და მ ე ვ ა ვ ე დ რ ე ბ ღ მ ე რ თ ს
სკეპტიკოსებს; ცოდნის შუქს მათამდი ვერ მიუღწევია.

XXIII

დეისტი ამტკიცებს ღვთის არსებობას, სულის უკვდავებას და ყოველივეს, რაც ამასთან დაკავშირებულია; სკეპტიკოსს არა აქვს მტკიცე აზრი ამ საგნების შესახებ; ათეისტი უარყოფს მათ. მაშასადამე სკეპტიკოსს უფრო მეტი მოტივები აქვს კეთილმყოფელი ცხოვრებისათვის, ვიდრე ათეისტს და უფრო ნაკლები, ვიდრე დეისტს. კანონის წინაშე შიშისა, ტემპერამენტის მიდრეკილებისა და სიკეთის თანამედროვე სარგებლიანობის ცოდნის გარეშე ათეისტის პატიოსნება უსაფუძვლო იქნებოდა, ხოლო სკეპტიკოსისა კი დაემყარებოდა ე გ ე ბ ი ს ო ბ ა ს.

XXIV

სკეპტიციზმი ყველას არ უხდება. ის ღრმა და უანგარო კვლევას გულისხმობს; ვინც მარტო იმიტომ ეჭვობს, რომ არ იცნობს უეჭველობის საფუძვლებს, ის მხოლოდ უვიცია. ნამდვილი სკეპტიკოსი ის არის, ვინც გამოითვალა და ასწონა საფუძვლები. მაგრამ არც ისე ადვილი საქმეა ყველა ამ დასაბუთებათა აწონდაწონა. რომელ ჩვენგანს შეუძლია მათი სრულიად ზუსტად შეფასება?

ასი სხვადასხვა მტკიცება რომ წამოაყენო ერთი და იმავე ჭეშმარიტების შესახებ, თითოეული მათგანი მომხრეს მონახავს. ყოველ გონებას თავისი ტელესკოპი აქვს. ის აზრი, რომელიც თქვენთვის სრულებით უმნიშვნელოა, მე შეიძლება უდიდესად მეჩვენოს. თქვენ მჩატედ თვლით არგუმენტს, რომელიც ჩემთვის უუმძიმესია. თუ ჩვენ ერთსულოვნება არ გვაქვს არსებითს შეფასებაში, როგორ შევძლებთ ჩვენ შევთანხმდეთ შეფარდებითი წონის შესახებ? მითხარით, რამდენი მორალური მტკიცებაა საჭირო იმისათვის, რომ ერთი მეტაფიზიკური დასკვნა გააწონასწორო? ჩემი სათვალეები სტყუიან თუ თქვენი? თუ ასე ძნელია არგუმენტების აწონა, და თუ ყოველი საკითხის შესახებ შეიძლება როგორც დამამტკიცებელი, ისე უარმყოფელი არგუმენტების მოყვანა და თითქმის ყოველთვის თანაბრად, მაშ რატომ ვწყვეტთ ჩვენ საკითხებს ასე ჩქარა? საიდან ავიღეთ ეს გადამწყვეტი ტონი? რამდენ ას შემთხვევაში დავრწმუნებულვართ ჩვენ, რომ დოგმატური თვითკმაყოფილება აღშფოთებას იწვევს? „მე ვიწ-

ყებ სიმართლისმაგვარ უარყოფას, – ამბობს ც დ ე ბ ი ს ავტორი *), – როდესაც მე მათ შემთავაზებენ, როგორც უეჭველს. მე მიყვარს ის სიტყვები,რომელნიც არბილებენ და ზომიერყოფენ მტკიცებას: „შ ე ი ძ ლ ე ბ ა“, „ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ“, „ა მ ბ ო ბ ე ნ“, „ვ ფ ი ქ რ ო ბ“ და სხვა, და რომ მე ბავშვების აღზრდა მომიხდეს, ისე ხშირად ჩავაგონებდი მათ ამგვარი პასუხის გაცემას, შეკითხვის ფორმით და არა კატეგორიულით. რას ნიშნავს ეს? არ მესმის, ალგად, ასეა თუ არა? რომ ისინი სამოცი წლისანიც კი უფრო მოწაფეებს მსგავსებოდნენ, ვინემ ათი წლისანი დოქტორებს, როგორიც ისინი ახლა არიან“.

XXV

რა არის ღმერთი? აი ის კითხვა, რომელსაც ბავშვებს აძლევენ და რომელზედაც პასუხის მიცემა ფილოსოფოსებისათვისაც კი ადვილი არ არის. ყველამ იცის თუ რომელ ასაკში უნდა ასწავლო ბავშვს კითხვა, სიმღერა, ცეკვა, რომელში – გეომეტრია და ლათინური ენა. მარტო რელიგიურ დარგში არ უწევენ ანგარიშს მის განვითარებას; როგორც კი ოდნავ გაგებას დაიწყებს, მას უკვე ეკითხებიან: რა არის ღმერთი? ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე ბაგეთაგან ტყობილობს ის, რომ არსებობენ ჭინკები, ქაჯები, მოჩვენებები და ღმერთი. მას შთააგონებენ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ჭეშმარიტებას ისეთი საშუალებით, რომ ის ერთს მშვენიერ დღეს ადვილად შესძლებს გააყალბოს ეს ჭეშმარიტება საკუთარი გონების სამსჯავროს წინაშე. მართლაც რა გასაკვირველი იქნება, თუ მან ოცი წლისამ, როდესაც ის შეხედავს, რომ ღვთის რწმენა არეულია მის თავში მთელ გროვა უმსგავსო ცრუმორწმუნოებებთან, არ მოისურვა ეს რწმენა და მოეპყრო მას ისე, როგორც ჩვენი დროის მსაჯულები ეპყრობიან პატიოსან კაცს, შემთხვევით გარეულს თაღლითთა ბრბოში.

XXVI

თუ ძლიერ ადრე იწყებენ ჩვენში ღმერთზე ლაპარაკს, ესეც ერთგვარი დეფექტია, ვინაიდან საკმაო სიმტკიცეს ვერ იჩენენ მისი არსებობის ჩაგონებაში. ადამიანებმა გააძევეს ღვთაება თავის წრიდან; ის მათ დაატყვევეს სამლოცველოში; მისი როლი ეკლესიის კედლებითაა შემოფარგლული. ამ კედლების გარეშე ის არ არსებობს. თქვე უგუნურებო! დაანგრიეთ თქვენი აზრის შემავიწროებელი კედლები; გაანთავისუფლეთ ღმერთი; უცქირეთ მას ყველგან, სადაც ის არის, ან პირდაპირ თქვით, რომ ის არ არსებობს. მე რომ ბავშვის

---

*) მონტენი.

აღზრდა მომიხდეს, ღვთაების არსებობას მისთვის ისეთ სინამდვილედ გავხდიდი, რომ უფრო ათეისტობა გამხდარიყო მისთვის შესაძლებელი, ვიდრე ღვთაების დავიწყება. იმის მაგიერ, რომ მიმეთითებია მისთვის სხვა ადამიანის მაგალითზე, რომელიც მისივე დაკვირვებით, ზოგჯერ მასზე უფრო ბოროტია, მე მას გადაჭრით ვეტყოდი: ღ მ ე რ თ ი გ ი ს მ ე ნ ს, შ ე ნ კ ი ს ტ ყ უ ი. ახალგაზრდობაზე გრძნობით უნდა იმოქმედო. ამიტომ მე გავამრავლებდი მის გარშემო ღვთის არსებობის დამადასტურებელ ნიშნებს. მაგალითად, როდესაც ჩემთან სტუმრები შეიკრიბებოდნენ, მე დავტოვებდი განსაკუთ-

რებულ ადგილს ღმერთისთვის და შევაჩვევდი ჩემს მოწაფეს ასეთ ლაპარაკს: ჩვენ ოთხნი ვიყავით – ღმერთი, ჩემი მეგობარი, ჩემი აღმზრდელი და მე.

XXVII

უმეცრება და ცნობისმოყვარეობის უქონლობა – ეს არის ორი ძლიერ რბილი ბალიში; მაგრამ მათი სირბილე რომ იგრძნო, ისეთივე კარგი თავი უნდა გქონდეს, როგორც მონტენს ჰქონდა.

XXVIII

დაუცხრომელი გონება და მახვილი წარმოსახვანი ვერ ეგუებიან სკეპტიკოსის გულცივობას. ყოველივე არჩევანზე უარის თქმას სკეპტიკოსები ალალბედზე არჩევანს ამჯობინებენ; მათ მცდარ აზრზე დადგომა ურჩევნიათ მერყეობაში ყოფნას: ისინი, არ ენდობიან რა თავიანთ მკლავებს, ეშინიათ რა წყალის სიღრმისა, ყოველთვის ეჭიდებიან რომელიმე ტოტს, რომლის სისუსტეს თვითონვეც კარგად გრძნობენ, და ამ ტოტზე დაკიდება ურჩევნიათ ნიაღვრით წალეკვას. ისინი ყველაფერს ამტკიცებენ, თუმც გულდასმით არაფერი გამოუკვლევიათ: არაფერში მათ ეჭვი არ ეპარებათ, რადგან ამისათვის მათ არც მოთმინება ჰყოფნით და არც გამბედაობა. ზეშთაგონებისადმი მიდრეკილების საფუძველზე სწყვეტენ ისინი ყოველივე საკითხს და თუ შემთხვევით წააწყდებიან ჭეშმარიტებას, ეს იქნება არა ხელით შეხებითი, არამედ უეცარი ზეშთაგონებითი ჭეშმარიტება. დოგმატიკოსების წრეში ესენი ის არიან, ვისაც ღვთის მორწმუნენი ილუმინატებს უწოდებენ. მე მინახავს ამ მოუსვენარი ჯიშის წარმომადგენლები, რომლებსაც არ ესმოდათ თუ როგორ შეიძლება სულის სიმშვიდე დაურწმუნებლობას ეუღლებოდეს. „ბედნიერი ცხოვრების შესაძლებლობა გექნება, თუ არ იცი ვინ ხარ, საიდან მოსულხარ, საით მიხვალ, რისთვის არსებობ“. მე ვამაყობ იმით, რომ

არ ვიცი ყოველივე ეს და ამით უფრო უბედური არა ვარ, – გულცივად უპასუხებს სკეპტიკოსი: ჩემი რა ბრალია თუ ჩემი გონება სდუმდა, როდესაც მე მას ჩემის ბედის შესახებ ვეკითხებოდი. მთელი ჩემი სიცოცხლე მე უცოდინარი ვიქნები, უდარდელიც, იმის მიმართ, რისი გამოცნობაც მე არ შემიძლია. ღირს კი ვიდარდო იმ ცოდნის შეუძენლობაზე, რომლის შეძენაც მე არ შემემლო და რომელიც, ალბად, არც ისე აუცილებელია ჩემთვის, თუ მე მას მოკლებული ვარ დღეს? მე მირჩევნია, – სთქვა ჩვენი საუკუნის ერთმა ყველაზე უფრო დიდმა გენიოსმა [60], უფრო საწყენად გავიხადო ის გარემოება, რომ ოთსი თვალი, ოთხი ფეხი და ორი ფრთა არა მაქვს.

XXIX

მე მომეთხოვება ვეძიო ჭეშმარიტება, მაგრამ არ ვარ მოვალე ის მოვნახო. განა არ შეიძლება რომელიმე სოფიზმმა უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოს ჩემზე, ვიდრე სერიოზულმა მტკიცებამ? მაშინ ხომ მე იძულებული ვარ დავიჯერო სიცრუე, რომელიც ჭეშმარიტებად მიმაჩნია, და უარვყო ჭეშმარიტება, რომელიც სიცრუედ მივიჩნიე; მაგრამ რისი უნდა მეშინოდეს თუ ეს შეცდომა უდანაშაულოა? საიქიოს ადამიანს არ აჯილდოებენ იმისათვისრომ ის სააქაოში ბრწყინავდა გონებით; ნუთუ მას უგუნურობისათვის დასჯიდნენ? ცუდი მსჯელობისათვის ადამიანის შეჩვენება ნიშნავს იმის დავიწყებას, რომ ის უჭკუოა და შენ კი ეპყრობი მას როგორც ბოროტს.

XXX

რა არის სკეპტიკოსი? ეს – ფილოსოფოსია, რომელიც დაეჭვდა ყოველივე იმაში, რაც სწამდა და რომელსაც სჯერა ის, რასაც იგი თავისი გრძნობისა და გონების კანონიერი გამოყენებით ჭეშმარიტებად თვლის. თქვენ უფრო ზუსტი განსაზღვრა გნებავთ? გახადეთ პირონისტი გულწრფელი და თქვენ მისგან სკეპტიკოსს მიიღებთ.

XXXI

რაც არასოდეს კითხვის ქვეშ არ ყოფილა, არ შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს. რაც მიუდგომლად არ გამოკვლეულა, ის არასოდეს არ ყოფილა ჯეროვანად გამოკვლეული. მაშასადამე, სკეპტიციზმი პირველი ნაბიჯია ჭეშმარიტებისაკენ. ის ყოველივეზე უნდა გავრცელდეს, რადგანაც ის ჭეშმარიტების საშინჯი ქვაა. თუ ფი-

ლოსოფოსი ღვთის არსებობაში დარწმუნების მიზნით იწყებს მისს არსებობაში დაეჭვებიდან, განა შეიძლება მოიძებნოს თუნდაც ერთი ისეთი დებულება, რომელსაც ეს შემოწმება არ ესაჭიროებოდეს?

XXXII

ურწმუნოება ზოგჯერ უგნურის მანკია, ხოლო სწრაფლდამჯერობა კი – ჭკვიანი ადამიანის ნაკლულოვანება. ჭკვიანი ადამიანი ითვალისწინებს შესაძლებლობის განუზომელ სივრცეს; უგნური კი შესაძლებლად თვლის მხოლოდ იმას, რაც არსებობს. შეიძლება ეს იყოს მიზეზი იმისა, რომ ერთი მხდალია, მეორე კი გამბედავი.

XXXIII

მეტისმეტად დიდი რწმენა ისეთივე სახიფათოა, როგორც მეტისმეტად მცირე. პოლითეისტობა არც მეტი და არც ნაკლები სახიფათოა, ვიდრე ათეისტობა. და მარტო სკეპტიციზმს შეუძლია ყველგან და ყოველთვის ამ ორი მოწინააღმდეგე უკიდურესობიდან თავის დაღწევა.

XXXIV

ნახევრად სკეპტიციზმი სუსტი გონების ნიშანია; ის ააშკარავებს მხდალ მოაზროვნეს, რომელსაც თავისივე დასკვნები აშინებს, ცრუმორწმუნეს, რომელიც გონების დახშობით ლამობს თავის ღმერთს პატივი სცეს, ადამიანს, რომელსაც რწმენის უნარი არა აქვს და აშინებს თავისივე თავის წინაშე ნიღაბის ახდა; მართლაც, თუ ჭეშმარიტება არაფერს დაჰკარგავს გამოკვლევიდან, რაშიაც ნახევრად სკეპტიკოსი დარწმუნებულია, მაშ რას ფიქრობს ის თავისი სულის სიღრმეში იმ პრივილეგირებულ მცნებებზე, რომელთა გარჩევასაც ის გაურბის და რომლებიც მისი ტვინის განსაკუთრებულ კუნჭულში არიან მოთავსებული, როგორც შეუვალ საკურთხეველში?

XXXV

ყოველი მხრიდან მომესმის ყვირილი ურჯულოებაზე. ქრისტიანი უღვთოა – აზიაში, მაჰმადიანი – ევროპაში, პაპისტი – ლონდონში, კალვინისტი – პარიზში, იანსენისტი სენ-ჟაკ-ის ქუჩის მაღლობზე, მოლინისტი სენ-მედარის გარე უბნის ბოლოში. მაშ ვინ არის ურჯულო? ყველა, თუ არავინ?

XXXVI

როდესაც მორწმუნეები ილაშქრებენ სკეპტიციზმის წინააღმდეგ, ისინი, ჩემის აზრით, ან საკუთარ ინტერესებში ვერ გარკვეულან, ანდა თავის თავს ეწინააღმდეგებიან. თუ ის მართალია, რომ ჭეშმარიტ და ცრუ სარწმუნოებათა შესწავლა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ პირველი მიიღო და მეორე კი უკუაგდო, მაშინ ალბად სასურველი უნდა იყოს საერთო დაეჭვების გავრცელება მთელი დედამიწის ზურგზე და ყველა ხალხების მიერ თავთავიანთი რელიგიის მართებულების კითხვის ქვეშ დაყენება; მაშინ ჩვენი მისიონერებისათვის ნახევარი საქმე უკვე მოგვარებული იქნებოდა.

XXXVII

ადამიანი, რომელიც თავის რელიგიას ჩაბღაუჭებია მარტო იმი-

ტომ, რომ ამ რელიგიაზე აღზრდილა, იმდენად არ შეუძლია იამაყოს იმით, რომ ქრისტიანი ან მაჰმადიანია, რამდენათაც იმით, რომ ის ბრმა ან კოჭლი არ არის. ეს კი ბედნიერებაა და არა დამსახურება.

XXXVIII

ადამიანი, რომელიც თავს დასდებდა ისეთი რელიგიისათვის, რომლის სიყალბე მას შეუგნია, გიჟი იქნებოდა.

ადამიანს, რომელიც თავს სდებს ცრუ, მაგრამ მის მიერ ჭეშ-მარიტებად მიჩნეულ რელიგიისათვის, ან ჭეშმარიტ რელიგიისათვის, რომლის ჭეშმარიტება მისთვის დამტკიცებული ar იქნება, მე ფანა-ტიკოსს ვუწოდებ.

ნამდვილი წამებული მხოლოდ ისაა, რომელიც თავს სწირავს ისეთ რელიგიას, რომლის ჭეშმარიტებაც მისთვის დასაბუთებულია.

XXIX

ნამდვილი წამებული სიკვდილს ელის; ფანატიკოსი კი ისწრაფ-ვის მის შესახვედრად.

XL

ის ადამიანი, რომელიც მექაში ყოფნის დროს მაჰომედის საფლავს შეურახყოფდა, მისი საკურთხევლების დაქცევას შეუდგე-ბოდა, მეჩეთებში აღრევას შეიტანდა, უსათუოდ სარზე იქნებოდა წა-

მოცმული და ვეჭვობ, რომ ის წმინდანიანებში ჩაერიცხათ. ასეთი რელიგიური გულმოდგინეობა ახლა მოდაში აღარაა. პოლიევქტი ჩვენს დროში უბრალო გიჟად ჩაითვლებოდა.

XLI

ზეშთაგონებათა, სასწაულთა და არაჩვეულებრივი მოწოდებე-ბის დრო წასულია. ქრისტიანობას უკვე აღარ სჭირდება ასეთი ბიჯგი. ვინმეს რომ დღეს აზრად მოუვიდეს იონას როლის გათამა-შება ჩვენს შორის და ქუჩებში ყვირილი მორთოს: „კიდევ სამი დღე და პარიზი აღარ იქნება; პარიზელებო, ცოდვები მოინანიეთ, დაიფარეთ თავი და სხეული ნაცრით და ძაძით, თორემ სამ დღეში დაიღუპებით-ო“, მას უსათუოდ იქვე დაიჭერდნენ და პასუხისგებაში მისცემდნენ და წა-ათრევდნენ მოსამართლესთან, რომელიც დაუყონებლივ საგიჟეში გაგზავნიდა მას. ამაოდ დაიძახებდა ის: „ხალხნო, ნუთუ ღმერთს თქვენ ნინევიტელებზე ნაკლებ უყვარხართ? განა თქვენ მათზე ნაკ-ლებ ცოდვილნი ხართ?“ არავინ მას ამ კითხვაზე პასუხს არ გას-

ცემდა; მას გიჟად ჩასთვლიდნენ მანამ, სანამ მისი წინასწარმეტყველების ვადა შესრულდებოდა.

ელიას შეუძლია დაბრუნდეს საიქიოდან, როდესაც ის მოისურვებს; ადამიანები კი ისეთნი არიან, რომ ელია დიდ სასწაულებს მოახდენს, თუ სააქაოში კარგად იქნება მიღებული.

XLII

როდესაც ხალხს რაიმე დოგმატს უქადაგებენ, რომელიც გაბატონებულ რელიგიას ეწინააღმდეგება, ან საზოგადოებრივ მყუდროებას არღვევს, თუნდაც ეს მისია გამართლებული იყოს სასწაულებით, მთავრობას უფლება რჩება მიიღოს უკიდურესად სასტიკი ზომები, ხალხს კი ყვირილი ასტეხოს: „ჯ ვ ა რ ს ა ც ვ ი თ ი გ ი". განა სახიფათო არაა გონების მიტოვება მატყუარათა საცდურების ან ჭკუადასულთა ოცნებობის გავლენის ქვეშ? თუ იესო ქრისტეს სისხლი შურისძიებაზე ღაღადებდა ებრაელების წინააღმდეგ, ეს იმიტომ, რომ მისი დანთხევის დროს მათ ყური არ უგდეს მოსეს და წინასწარმეტყველებს, რომელთაც იესო მესიად გამოაცხადეს. ანგელოზიც რომ ჩამოვიდეს და სასწაულით დაასაბუთოს თავისი სიტყვები, ის, პავლე მოციქულის აზრით, განკიცხული უნდა იქნეს, თუ კი იესო ქრისტეს სჯულის წინააღმდეგ იქადაგებს. მაშასადამე, მსჯელობა ადამიანის მოწოდების შესახებ მის მიერ ჩადენილი სასწაულების მიხედვით კი არ

უნდა ვიქონიოთ, არამედ იმის, თუ რამდენად ეთანხმება მისი დოქტრინა იმ ხალხის რწმენას, რომელსაც ის მიმართავს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ხალხის დოქტრინა მიჩნეულია ჭეშმარიტებად.

XLIII

ყოველივე ახალი შიშს ჰგვრის ხელისუფლებას. ქრისტიანობამაც კი, სარწმუნოებათა შორის ყველაზე უფრო წმინდამ და სათნომ, ვერ შესძლო დამკვიდრება ისე, რომ ზოგიერთი მღელვარება არ გამოეწვია. ეკლესიის პირველი შვილები არაერთხელ გამოსულან მათთვის სავალდებულო ზომიერების და მოთმინების ფარგლებიდან. ნება მომეცით მოვიყვანო აქ რამდენიმე ნაწყვეტი იმპერატორ იულიანეს ერთერთი ედიქტიდან; ისინი მშვენივრად დაახასიათებენ ამ ფილოსოფოს ხელმწიფის გენიოსობას და მისი დროის ქრისტიანობისათვის თავგამოდებულთა სულიერ განწყობილებას,

„მე მეგონა, – ამბობს იულიანე, – რომ გალილეველთა მეთაურები შეამჩნევდნენ თუ რამდენად განსხვავდება ჩემი მოპყრობა ჩემი წინამორბედის მოპყრობიდან და ამით ჩემი მადლიერი გახდებოდნენ: ჩემი წინამორბედის მეფობის დროს გალილეველებს სული ხდებოდათ გადასახლებასა და სატუსაღოებში; და მრავალი მათ-

განი, ვისაც ისინი ერთმანეთს შორის მწვალებლებს უწოდებდნენ, სიკვდილით იქნენ დასჯილნი... ჩემს მეფობაში, განდევნილნი დაბრუნდნენ, დატუსაღებულნი განთავისუფლდნენ და გადასახლებულებს აღუდგინეს თავიანთი ქონება. მაგრამ ამგვარი ხალხის გააფთრება და დაუდგრომლობა ისეთია, რომ იმის შემდეგ, რაც მათ მოესპოთ ერთმანეთის შეჭმის შესაძლებლობა, ისინი აწამებენ მორწმუნეთ და აგრეთვე ნებადართული რელიგიის მიმდევართ, ისინი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან და ყოველივე საბაბს იყენებენ არეულობის მოსაწყობად; მათ არ იციან პატივისცემა არც ნამდვილი ღვთის მოშიშობის, არც ჩვენი დაწესებულებების... მიუხედავად ამისა, ჩვენ არ მოვითხოვთ მათს მოთრევას ჩვენს საკურთხევლებში, ან რაიმე ძალდატანების მოხდენას მათზე... რაც შეეხება უბრალო ხალხს, მათში, როგორც ჩანს, მათი უფროსები აღვივებენ აჯანყების სულს, არიან რა გაბოროტებულნი იმით, რომ ჩვენ შევზღუდეთ მათი ძალაუფლება; რადგან გამოვდენეთ ისინი ჩვენი სასამართლოებიდან და მათ ახლა უკვე აღარ აქვთ საშუალება ანდერძებით განკარგულების, კანონიერ მემკვიდრეთა გადაყენების და სხვის მემკვიდრეობათა დაუფლების... ამიტომ ვუკრძალავთ ჩვენ ამ ხალხს თავის მოყრას ალიაქოთით და ხრიკების მოწყობას თავიანთი მეამბოხე სამღვდელოე-

ბასთან... დაე ამ ედიქტმა დაუბრუნოს სიმშვიდე ჩვენს მაგისტრატორებს, რომელთათვისაც არაერთხელ მიუყენებიათ შეურაცხყოფა ამ მეამბოხეთ და რომლებიც არაერთხელ თითქმის ქვებითაც ჩაუქოლიათ... მშვიდობიანად მივიდნენ ისინი თავის უფროსებთან, ილოცონ მათთან, ისწავლონ მათთან, და შეასრულონ თავისი სარწმუნოებრივი მოვალეობანი; ჩვენ ვაძლევთ მათ ამის ნებას; მაგრამ უარი სთქვან მეამბოხურ განზრახვებზე... თუ სხდომები აჯანყების საბაბი გახდება, ისინი ამაზე პასუხს აგებენ; მე ისინი გავაფრთხილე მცირერწმენიანნო, იცხოვრეთ მშვიდობიანად... თქვენ კი ვინც დარჩით თქვენივე ქვეყნის სარწმუნოების და თქვენი წინაპრების ღმერთების ერთგულნი, ნუ სდევნით მეზობლებს, თანამოქალაქეებს, რომელთა უვიცობა უფრო საცოდავია, ვინემ გასაკიცხავი ბოროტება... გონიერებით და არა ძალდატანებით უნდა დავუბრუნოთ ხალხი ჭეშმარიტებას. ამიტომ ჩვენ გიბრძანებთ, თქვენ, ყველას, ჩვენო ერთგულო ქვეშევრდომნო, თავი დაანებოთ გალილეველთ“.

ასეთი იყო შეხედულებანი ამ მეფისა, რომელსაც შეგვიძლია უსაყვედუროთ წარმართობა, მაგრამ არა მოღალატეობა; თავისი ცხოვრების პირველი წლები მან გაატარა სხვადასხვა მასწავლებლებთან და სხვადასხვა სკოლებში; ხანში შესულმა კი მცდარი ნაბიჯი გადადგა: მან, საუბედუროდ, თავისი წინაპრების სარწმუნოება ამოირჩია და თავისი ქვეყნის ღმერთები იწამა.

XLIV

მე მაოცებს მხოლოდ, რომ ამ განსვენებული მეფის ნაწერებმა ჩვენამდე მოაღწია. მათში თუმცა ისეთი არაფერია, ქრისტიანულ ჭეშ-მარიტებას რომ ავნებდეს, მაგრამ არის იქ ზოგიერთი რამ ისეთი, რაც იმდროინდელი ქრისტიანებისათვის არახელსაყრელია და სრუ-ლიად საკმარისი ეკლესიის მამათა იმ განსაკუთრებული ყურადღების გამოსაწვევად, რომლითაც ისინი თავიანთ მოწინააღმდეგეების ნაწე-რებს ანადგურებდნენ. წმინდა გრიგოლ დიდმა თავისი ბარბაროსული გააფთრება ხელოვნებისა და ლიტერატურის წინააღმდეგ, რასაკვირ-ველია, თავისივე წინაპრებისაგან მიიღო მემკვიდრეობად. რომ ამ მღვდელმთავარზე ყოფილიყო დამოკიდებული ყოველივე, ჩვენ ახლა იმავე მდგომარეობაში ვიქნებოდით, როგორშიაც მაჰმადიანები არიან, ყურანის მეტი წიგნი რომ არ დარჩათ საკითხავი. მართლაც და რაღა დარჩებოდა იმ ძველი მწერლობიდან, ისინი რომ ხელში მოხვედ-როდნენ იმ კაცს, რომელიც გრამატიკული შეცდომებით ავსებდა თა-

ვის ნალაპარაკევს, რომელიც ფიქრობდა, რომ გრამატიკული კანო-ნების დაცვა იესო ქრისტეს დონატზე დაქვემდებარებად მიაჩნდა და რომელიც ძველად ნაწარმოები განადგურების დასრულებას თავის ზნეობრივ მოვალეობად თვლიდა.

XLV

ამავე დროს ზეშთაგონება ნაწერისა ხომ ისეთი სიაშკარავით არაა მათზე აღბეჭდილი, რომ წმინდა მოთხრობათა მწერლების ავტო-რიტეტი სრულიად დამოუკიდებელი იყოს საერო ავტორთა მოწმო-ბებზე. სადამდე მივიდოდით ჩვენ, რომ იძულებული გავმხდარიყავით ღვთის ხელი გვეცნო საღვთო წერილის თხრობის ფორმაში! რა სა-ცოდავია მისი ლათინური თარგმანი! მაგრამ არც თვითონ დედნები წარმოუდგენენ ლიტერატურულ შედევრებს. წინასწარმეტყველები, ქრისტეს მოციქულები და მახარობელნი, როგორც ეხერხებოდათ ისე სწერდნენ. ჩვენ რომ ნება მოგვეცეს ებრაელთა ისტორიას შევხედოთ, როგორც ადამიანის უბრალო გონების ქმნილებას, მოსე და მისი გა-მგრძელებლები ვერ გაუძლებდნენ შედარებას ტიტ ლივიუსთან, სალ-უსტისთან, იულიოს კეისართან და იოსებ ფლავიუსთან – ადამიანებთან, რომელთა ნაწერებს, რასაკვირველია, ვერავინ ზეშთაგონებულს ვერ უწოდებს. განა ზოგიერთს იეზუიტი ბერუიე არ ურჩევნია მოსეს? ჩვენს ეკლესიებში ინახება სურათები, როგორც გვარწმუნებენ, ანგე-ლოსების და თვითონ ღვთის მიერ ნახატი; ლესიუერის ან ლებრენის ხელიდან რომ გამოსულიყვნენ ეს ნაწარმოებნი, რა შემეძლო მე მეთქვა ამ უხსოვარი დროიდან გადმოცემის წინააღმდეგ? შეიძლება სრულიად არაფერი. მაგრამ, როდესაც ვრწმუნდები, რომ ამ ციურ ქმნილებებში მხატვრობის წესები ყოველ ნაბიჯზე ირღვევა, რო-

გორც სურათში, ისე მის შესრულებაში, როდესაც ვხედავ რომ აქ – მხატვრული სიმართლე არ არის, მაშინ, ვინაიდან მე არ შემიძლია მხატვარს უვიცობა დავწამო, იძულებული ვხდები გადმოცემა უარ-ვყო, როგორც მოგონილი ამბავი. რა ადვილად შემეძლო საღვთო წერილზედაც გამევრცელებია მე ეს დასკვნა, რომ სავსებით უმნიშვ-ნელო არ იყოს ამ შემთხვევაში საკითხი – კარგად თუ ცუდათაა იქ მოთხრობილი ის, რასაც იგი შეიცავს? წინასწარმეტყველები ამა-ყობდნენ იმით, რომ სიმართლეს ლაპარაკობდნენ, და არა თავის ნა-ლაპარაკევის სილამაზით. რისთვის იღებდნენ სიკვდილს მოციქუ-ლები თუ არა მარტო თავის ნაწერ-ნათქვამის ჭეშმარიტებისათვის? მაგრამ ვუბრუნდები რა ჩემს მიერ აღებულ თემას, მე გეკითხებით: ნუთუ უკიდურესად მნიშვნელოვანია არ იყო საერო მწერალთა წიგ-

ნების დაცვა, რომლებიც, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა არ დამ-თხვევოდა საეკლესიო ავტორებს იმაში მაინც, რაც იესო ქრისტეს ცხოვრებას, პონტიუს პილატეს პიროვნებას და პირველ ქრისტიანეთა ნამდვილ გმირობას შეეხება?

XLVI

თქვენ მეტყვით, მთელმა ხალხმა დაამოწმა ეს ფაქტი და ნუ-თუ თქვენ გაბედავთ მის უარყოფასო? დიახ, გავბედავ, სანამ მას, თქვენი პარტიის გარეშე მდგომი, ავტორიტეტული პიროვნება არ დაადასტურებს და სანამ მე არ მეცოდინება, რომ ეს პიროვნება შეუძლებელია ფანატიკოსი ან მატყუარა ყოფილიყო. კიდევ მეტს ვიტყვი: ვთქვათ მე ვკითხულობ ჩემს მიერ თავის კეთილსინდისია-ნობით ცნობილი ავტორის ასეთ მოთხრობას: ერთი ქალაქის შუაგულ-ში გაჩნდა უზარმაზარი ხრამი და ამ ამბის გამო მიცემულ შეკით-ხვაზე ღმერთებმა უპასუხეს, რომ ეს ხრამი მხოლოდ მაშინ დაიხუ-რება თუ შიგ ისეთი რამ ჩავარდება, რაც ამ ქალაქისათვის ყველაზე უფრო უძვირფასესიაო. მაშინ, ერთი მამაცი პიროვნება გაბედულად გადაიჭრა ხრამში და წინასწარმეტყველება აღსრულდა. ასეთი მოთხ-რობა გაცილებით უფრო ნაკლებ დამაჯერებულია ჩემთვის, ვიდრე ის უბრალო ამბავი, რომ ქალაქში ხრამი გაჩნდა და დიდი შრომა და დრო მოუნდა მის ამოვსებას. რამდენადაც უფრო ნაკლებად ჰგავს სიმართლეს ესათუის ფაქტი, ისტორიის მოწმობა მის შესახებ იმ-დენად მეტს ჰკარგავს თავის წონაში. მე მაშინვე დაუჯერებდი მარ-ტო ერთ პატიოსან კაცსაც კი, რომელიც მე შემატყობინებდა, რომ მ ი ს მ ა უ დ ი დ ე ბ უ ლ ე ს ო ბ ა მ ს რ უ ლ ი გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა მ ი ი ღ ო მ ო კ ა ვ შ ი რ ე ე ბ ზ ე; მაგრამ მთელმა პარიზმაც, რომ დამიწყოს რწმუნება, პასიში მკვდარი გაცოცხლდაო, მე ამას ცოტაოდნავადაც კი ვერ დავიჯერებდი. გვატყუებს ჩვენ რომელიმე ისტორიკოსი, თუ ტყუვდება თვითონ მთელი ხალხი – არაფერი ზესთაბუნებრივი არ

არის არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში.

XLVII

ტარქვინიუსმა განიზრახა ახალი რაზმები მიემატებია რომულის მიერ შექმნილი ცხენოსანი ჯარისათვის. ერთმა ავგურმა მას მტკიცება დაუწყო, რომ ახალი რამის შეტანა ჯარის არსებულ წყობილებაში, ღმერთებიდან წინასწარი თანხმობის მიუღებლად, რელიგიის შებღალვა იქნებოდაო. ღვთის მსახურის ასეთი თავისუფალი მსჯელობით გულმოსულმა ტარქვინიუსმა უბრძანა მას მოედანზე მოსვლა
144

იმ განზრახვით, რომ იგი შეერცხვინა და მისი სახით საჯაროდ გაეშავებია ფრინველმკითხაობის ხელოვნება, უთხრა: „ჯადოქარო, შესაძლოა იმის შესრულება, რაზედაც მე ახლა ვფიქრობ? თუ შენი მეცნიერება ისეთია, როგორც შენ გვიქებ, ის ალბად შეგაძლებინებს ამაზე პასუხი მომცე“. ავგურმა წარბიც არ შეიხარა, ფრინველთ ქცევას დააკვირდა და უთხრა: „დიახ, ხელმწიფევ, რაზედაც შენ ჰფიქრობ, იმის შესრულება შესაძლებელია. მაშინ ტარქვინიუსმა ამოიღო კალთის ქვეშ დამალული სამართებელი, ხელში აიღო ქვა და ავგურს უთხრა: „მოდი აქ, და ეს ქვა ამ სამართებლით გასჭერი: მე სწორედ ამაზე ვფიქრობდი“-ო. ნავიუსმა, – ასე ქვიოდა ავგურს, – ხალხს მიმართა და აუღელვებლად განაცხადა: „მიადევით ქვას ეს სამართებელი და თუ ქვა მაშინვე ორად არ გაიყოს, მე აქვე სიკვდილით ვიქნე დასჯილი“-ო. და სრულიად მოულოდნელად ხალხმა მართლაც დაინახა როგორ გაირღვა სამართებლის პირქვეშ მაგარი ქვა; ისე სწრაფად განიყო მისი ნაწილები, რომ სამართებელი ტარქვინიუსის ხელს შეეხო და სისხლით შეიღება იგი. მთელი მოედანი ახმაურდა გაოცებული ხალხის მხიარული ყიჟინით; ტარქვინიუსმა უარი სთქვა თავის განზრახვაზე და ავგურების მფარველად გამოაცხადა თავისი თავი; სამართებელი და ქვის ნაჭრები სამსხვერპლოს ქვეშ მიწაში ჩამარხეს. ჯადოქარს აუგეს ძეგლი, რომელიც ავგუსტუსის მეფობის დროს კიდევ არსებობდა; ამ ამბის ჭეშმარიტება დაადასტურა როგორც წარმართობამ, ისე ქრისტიანობის ძველმა დრომ ლაქტანციის, დიონისე ჰალიკარნასის და წმინდა ავგუსტინის ნაწერებში.

თქვენ უკვე მოისმინეთ თუ რას ლაპარაკობს ისტორია; ახლა ყური დაუგდეთ ცრუმორწმუნეობის ხმას. „რას უპასუხებ შენ ამაზე? საჭიროა, – ეუბნება ცრუმორწმუნე ქვინტუსი თავის ძმას ციცერონს, – ან თავიანფეხებიანად გადავარდე საშინელ პირონიზმში, იდიოტებად ჩათვალო როგორც ხალხი, ისე ისტორიკოსები და დაწვა მატიანე, ანდა სცნო ეს ფაქტი. ნუ თუ შენ ყოველივეს დაგმობ მარტო იმიტომ, რომ ჩვენს საქმეებში ღმერთების ჩარევის შესაძლებლობა არ დაუშვა?

– „მე ვფიქრობ, არ შეეფერება ფილოსოფოსს დაყრ-
დნობა მოწმეებზე, რომელთაც შეუძლიათ ან შემთხვევით სი-
მართლის თქმა ანდა ბოროტგანზრახვით – სიცრუის. ამათუიმ
დებულების დასამტკიცებლად საჭიროა მოყვანა ჭკვიანური სა-
ფუძვლების და არა ფაქტების, განსაკუთრებით თუ ისინი
ისეთი არიან, რომ მე მათ ვერ დავუჯერებ“. მაშასადამე, დავა-
ნებოთ თავი რომელის კვერთხს, რომელიც, როგორც შენ ამ-

ბობ, თმით უდიდესი ცეცხლის ალშიაც კი არ შეიძლებოდა დამ-
წვარიყო? თავი დავანებოთ აქციუს ნავიუსის სამართებელს? დიახ,
ფილოსოფიაში ადგილი არ უნდა ექნეს უმსგავსო ჭორებს. საქ-
მეზე ფილოსოფიური მიდგომა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ
ჯერ გაიგო თვითონ ბუნება ფრინველმკითხაობის, შემდეგ გა-
მოარკვიო თუ როგორ იყო ის გამოგონებული და, ბოლოს კი
აჩვენო, თუ როგორ შეინარჩუნა მან თავისი სახე დღემდე...
იდუმალ სწავლათა წინაპრად ეტრუსკები ბავშვს სთვლიან, რო-
მელიც ანაზდეულად წარმოიშვა დახნული მიწიდან. ჩვენ კი ვინ
გვყავს? აქციუს ნავიუსი?.. ესე იგი ჩვენ თანახმა ვართ ჩავთვა-
ლოთ ადამიანთა საქმეების არმცოდნე ხალხი საღმრთო ცოდ-
ნათა წინაპრად?“

მაგრამ ყოველივე ეს სჯერა მეფეებს, ხალხებს, მთელს ქვე-
ანას!

„თითქოს იყოს რაიმე უფრო სარწმუნო, ვიდრე ბრბოს
უჭკუობა. და თითქო შენ იზიარებდე ბრბოს აზრს“ [61]. აი ფი-
ლოსოფოსის პასუხი.

დამისახელეთ თქვენ თუნდაც ერთი სასწაული, რომელზედაც
არ შეიძლებოდეს ამ პასუხის გავრცელება! ეკლესიის მამებმა, რომ-
ლებისთვისაც ციცერონის პრინციპებით სარგებლობა არც მაინცა-
დამაინც ხელსაყრელი იყო, ამჯობინეს ტარქვინიუსის ისტორიის და-
ჯერება და ნავიუსის ხელოვნების ეშმაკზე მიწერა. საოცარი გამო-
გონებაა ეს ეშმაკი!

XLVIII

ყველა ხალხს აქვს ისეთი ამბები, რომლებიც მართლაც სას-
წაულებრივი იქნებოდნენ, რომ ჭეშმარიტებას წარმოადგენდნენ; მათი
საშუალებით ყველაფერს ამტკიცებენ, მაშინ როდესაც თვითონ ისინი
დაუმტკიცებელი რჩებიან; უარყოფა მათი არ შეიძლება, ისე თუ
ურჯულობა არ ჩაიდინე, მაგრამ მათი დაჯერებაც შეუძლებელია გა-
მოუტვინებლად.

XLIX

მეხით თუ სენატორების მიერ მოკლულუსი რომულუსი გაჰქრა
რომიდან, ამან ჩოჩქოლი გამოიწვია ხალხში და ჯარში. სახელმწიფოს
სხვადასხვა წოდებები ერთმანეთში აიშალნენ; და ახლახან შექმნილი
რომი, შიგნით გათიშული და გარედან მტრებით გარშემორტყმული,
უფსკრულის პირას იდგა. ამ დროს ვინმე პროკულეიუსი დინჯად წამოი-
წია წინ და განაცხადა: „რომაელებო, ხელმწიფე, რომელზედაც თქვენ

სტირით, არ მომკვდარა; ის ცად აღმაღლდა და იქ იუპიტერის გვერ-
დით ზის. წადიო, მითხრა მან, დააწყნარე შენი თანამოქალაქენი,
განუცხადე მათ, რომ რომულუსი ღმერთთა გუნდშია; დაარწმუნე ისინი,
რომ მე მათ მფარველობას გაუწევ, დაე, იცოდნენ, რომ ვერავითა-
რი მტერი მათ ვერ სძლევს; ბედმა მათ მიუსაჯა მთელ მსოფლიოზე
გაბატონება მომავალში. ოღონდ შთამომავლობიდან შთამომავლობას
გადასცენ მათ ეს წინასწარმეტყველება, შორეულ მემკვიდრეებამდე”.
ხდება ხანდახან გარემოებათა შეხამება, მოტყუებისათვის ხელსაყრე-
ლი; და თუ რომის მაშინდელ მდგომარეობას ჩაუფიქრდები, არ შე-
იძლება არ დამეთანხმო, რომ პროკულეიუსი ჭკვიანი კაცი იყო და
და თავის თანამედროვეებს კარგად იცნობდა. მან ისეთი სიცრუე
ჩაუნერგა ხალხს გონებაში, რომელიც არც თუ უსარგებლო გახდა
მისი სამშობლოს მომავალი სიდიადისათვის...

„საოცარია, როგორი ნდობით მოეპყრნენ ასეთი ცნობის
მომტან კაცს და რარიგ შენელდა მწუხარება ხალხისა რომუ-
ლუსზე, როდესაც იგი მის უკვდავებაში დარწმუნდა. მუხლმოდ-
რეკამ განსვენებული ხელმწიფის წინაშე და არსებულმა დაბ-
ნეულობამ ხელი შეუწყო სწრაფ გავრცელებას იმ ხმისა, რო-
მელიც დასაწყისში მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა და მალე
მთელმა ხალხმა აღიარა რომულუსი ღვთაებად, ღვთისაგან შო-
ბილად“.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ხალხმა ირწმუნა, რომულუსის გამოც-
ხადება; სენატორებმა ვითომ დაიჯერეს ეს, რომულუსმა კი მსხვერპ-
ლის მიღება დაიწყო. მაგრამ საქმე ამაზედაც არ შეჩერებულა. მალე
აღმოჩნდა, რომ რომულუსი მარტო ერთ კაცს არ გამოცხადებია. ის
ათას კაცზე მეტმა ნახა ერთ დღეს. ის სრულიადაც არ მოუკლავს
არც მეხს და არც სენატორებს, არამედ ის აღმაღლდა ცად, მთელი
ხალხის თვალწინ, ელვის ბრწყინვალებაში და ჭექა-ქუხილში. და ეს
ამბავი დროთა სრბოლაში შ ე ი ვ ს ო იმდენი წვრილმანებით, რომ შემ-
დეგ შთამომავლობათა თავისუფალ მოაზროვნეთ მხოლოდ განცვი-
ფრება-ღა შეეძლოთ.

L

ერთადერთი მტკიცება მე უფრო მაჯერებს, ვიდრე ორმოცდა-
ათი ფაქტი. საკუთარ გონებისადმი ჩემი უკიდურესი ნდობის მიზე-

ზით ჩემი რწმენა აღარაა დამოკიდებული რომელიმე ვიგინდარას
თვალთმაქცობაზე. მაჰომედის მღვდელმსახურო, შენ შეგიძლია
კოჭლს სიარულის საშუალება მისცე,მუნჯს ლაპარაკი დააწყებიო და
ბრმას – თვალთახედვა, დავრდომილნი განკურნო, მკვდრები გააცოცხ-

ლო, აღადგინო დანაკლისი ორგანოები დასახიჩრებულთა სხეულზე,
მოახდინო სასწაული, რომელიც ჯერ არავის მოუხდენია, და ამით,
შენდა განსაცვიფრებლად, მაინც ვერ შეარყევ ჩემს რწმენას. შენ
გინდა, რომ მე შენი მიმდევარი ვიყო? დაანებე თავი ყველა ამ თვალთ-
მაქცობას და მოდი ვიმსჯელოთ. მე ჩემს მსჯელობას უფრო ვუჯე-
რებ, ვიდრე საკუთარ თვალებს.

თუ შენ მიერ ნაქადაგები რელიგია ჭეშმარიტია, მისი ჭეშმა-
რიტება შესაძლებელია თვალდასანახი შეიქნეს და დაუმარცხებელი
არგუმენტებით დამტკიცდეს. მონახე ეს არგუმენტები. რატომ მა-
ბეზრებ თავს ამდენი სასწაულებით, როდესაც შეგიძლია გამანადგუ-
რო ერთი სილოგიზმით? ნუ თუ კოჭლის განკურნება უფრო ადვილია
შენთვის, ვიდრე ჩემი გონების განათლება?

LI

აი კაცი, გართხმული მიწაზე, უხმოდ, უგრძნობლად, უსითფოდ,
უმოძრაოდ. მას აქეთ-იქეთ ატრიალებენ, ანჯღრევენ, ცეცხლით სწვა-
ვენ – არაფერი მას არ აღვიძებს; გახურებული რკინაც კი სიცოცხ-
ლის არავითარ ნიშანს არ იწვევს მასში; ყველა დარწმუნებულია,
რომ ის მკვდარია; მაგრამ ასეა კი ეს? არა. ეს კაცი, ემსგავსება
კალმიის ეკლესიის მღვდელს: „ზოგჯერ, როდესაც მოეპრიანებოდა,
ის ვინმეს ტირილის წამბაძავ ხმაზე, იმდენად გადვიდოდა უგრძნობ-
ლობაში და სრულიად მკვდარის მსგავსად იწვა, რომ არამცთუ არა-
ფერს არ განიცდიდა, როდესაც მას პწკენდნენ და ჩხვლეტდნენ, ცეცხ-
ლითაც რომ სწვავდნენ არავითარ ტკივილს არ გრძნობდა, და რჩე-
ბოდა მხოლოდ წყლულები და სხ.“[62] ჩვენს დროს რომ ვინმეს შე-
ხვედროდა ასეთი სუბიექტი, ის კარგად გამოიყენებდა მას. ჩვენ
ჩვენივე თვალით დავინახავდით, თუ როგორ ცოცხლდება ლეში
რომელიმე წმინდანიანის ნაშთზე. იანსენისტების სასამართლოს მოღ-
ვაწის [63] კრებული გამდიდრდებოდა მკვდრეთით აღდგომის ახალი
შემთხვევით და ოფიციალური ეკლესიის წარმომადგენელს, შეიძლება,
დარცხვენილად ეგრძნო თავი.

LVII

უნდა ვსცნოთ, – ამბობს პ ო რ ტ - რ უ ა ჲ ა ლ ი ს ავტორი,[64] – წმ.
ავგუსტინეს სიმართლე, როდესაც ის პლატონთან ერთად ამტკიცებს,
რომ ჭეშმარიტების მსჯელობა გრძნობებში კი არა, გონებაში იმყო-

ფებაო (non est veritatis judicium in sensibus). ის იმასაც ამტკიცებდა, რომ გრძნობების საშუალებით მიღებულ შთაბეჭდილებებზე

დამყარებული რწმენა შორს ვერ მიდის, და რომ ზოგიერთ საგნებში, რომელთაც ჩვენ თითქო ამ შთაბეჭდილებების დახმარებით შევიგნებთ, სავსებით დარწმუნებული არ ვართ. მაშასადამე, როდესაც გრძნობათა ჩვენებანი გონების ავტორიტეტს ეწინააღმდეგება, ან ვერ უწონასწორებს მას, არჩევანს ადგილი აღარ რჩება: ლოღიკა გვიბრძანებს გონების ხმას გავყვეთ.

LIII

აღფრთოვანებულმა ხმაურმა მოიცვა პარიზის ერთერთი განაპირა კუთხე: იქ ერთი წმინდანიანის [65] ნაშთმა ანაზდად სასწაულმოქმედება დაიწყო და იმდენი სასწაული მოახდინა, რამდენიც ქრისტეს მთელ თავის სიცოცხლეში არ მოუხდენია. დიდძალი ხალხი აწყდება იმ კუთხეს და მეც იქით მივრბივარ. მიველ თუ არა, აღფრთოვანებული ჟრიამული მომესმა: სასწაული! სასწაული! მივუახლოვდი, დავუკვირდი და ვხედავ კოჭლს,[66] რომელიც დასეირნობს სამ თუ ოთხ გულშემატკივარ კაცზე დაყრდნობილი; მის გარშემო კი არ სწყდება გაოცებული ხალხის გუგუნი: სასწაული! სასწაული! უგუნურნო, სადაა აქ სასწაული? ვერ ხედავთ, რომ ამ მატყუარას მხოლოდ ყავარჯნები გამოუცვლია? სასწაულების მიმართ მომხდარიყო ამ შემთხვევაშიაც იგივე, რაც ყოველი მოჩვენების მიმართ ხდება ხოლმე. მზად ვარ დავიფიცო, რომ ყველა, ვისაც მოჩვენებები უნახავს, წინასწარვე განუცდია შიში მათ მიმართ და რომ ყველას, ვინც აქაც სასწაული დაინახა, მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა მისი დანახვა.

LIV

ჩვენ გვაქვს ამ ცრუსასწაულების შესახებ სქელტომიანი წიგნი, რომელსაც შეუძლია თვით უმტკიცესი ურწმუნოებაც კი ჩიხში მოამწყვდიოს. მისი ავტორი – სენატის წევრი და პატიოსანი კაცია,[67] რომელიც მატერიალიზმის, თუმცა ცუდად გაგებულის, მომხრე იყო და რწმენას დაუბრუნდა ყოველშემთხვევაში უანგაროდ; მან თვალით ნახა ის ამბები, რომლებზედაც მოგვითხრობს და რომელთა შესახებაც მას შეეძლო საღი და მიუდგომელი მსჯელობა. მისი მოწმობა ათასი სხვა მოწმობებითაც დასტურდება. ყველა მოწმე აცხადებს, რომ იგივე ნახეს და მათ ჩვენებას სრული და ურყევი ძალა აქვს; სათანადო საბუთები სახელმწიფო არქივებში ინახება. რა უნდა უპასუხო ამაზე? მე ვუპასუხებ, რომ ეს სასწაულები სრულიად არაფერს არ ამტკიცებენ, სანამ გადაჭრილი არაა საკითხი ამ თვალითმნახველების აზრთაწყობის შესახებ.

LV

ყოველი მსჯელობა, რომელიც ამტკიცებს სიმართლეს ორივე მოწინააღმდეგე მხარისას, ვერცერთი სიმართლეს ვერ დაამტკიცებს. თუ ფანატიზმს ისეთივე წამებული ყავს, როგორიც ჭეშმარიტ რელიგიას და თუ ჭეშმარიტი რელიგიისათვის წამებულნი ასეთივე ფანატიკოსები იყვნენ, მაშინ ორში ერთი დაგვრჩენია: ან წამებულთა რიცხვი ვიანგარიშოთ, თუ ეს შესაძლებელია და ვიწამოთ, ანდა სხვა საფუძველი ვეძიოთ ჩვენი რწმენისათვის.

LVI

არაფერს არ შეუძლია ისეთი განმტკიცება ურწმუნოებაში, როგორც რჯულზე მოქცევის ცრუ მოტივებს. დღე არ გავა, რომ ურწმუნოებს ასეთი სიტყვით არ მიმართონ: თქვენ ვინა ხართ, რომ ბედავთ გალაშქრებას იმ რელიგიის წინააღმდეგ, რომელსაც ასეთი მამაცად იცავდნენ პავლეები, ტერტულიანები, ათანასეები, ოქროპირები, ავგუსტინები, კიპრიანები და რამდენი კიდევ სხვა სახელოვანი ადამიანები? თქვენ ალბად შენიშნეთ რაიმე სიძნელეები, რომელნიც ამ დიდგონებიან ხალხს გამორჩა; გვიჩვენეთ, რომ თქვენ მეტი გესმით, ვიდრე მათ; ანდა, დაუმორჩილეთ მათ სიტყვას თქვენი ეჭვები, თუ სცნობთ, რომ მათ თქვენზე მეტი ესმოდათო! სუსტი მსჯელობაა. რომელიმე რელიგიის მსახურთა განათლებულობა სრულიადაც არ ამტკიცებს ამ რელიგიის ჭეშმარიტებას. როგორ უმსგავსო იყო ეგვიპტელების რელიგია და როგორი განათლებული იყვნენ მისი მსახურნი!.. არა, მე არ შემიძლია თაყვანი ვსცე ამ ხახვს. რით არის ის მეტი სხვა ბოსტნეულზე? მე გიჟი ვიქნებოდი, რომ თაყვანი მეცა ისეთი საგნებისათვის, რომლებსაც თავის დანიშნულებად ჩემი კვება აქვთ! როგორი ღვთიურობა უნდა ჰქონდეს იმ მცენარეს, რომელსაც მე ვრწყავ და რომელიც ჩემს ბოსტანშივე იზრდება და კვდება!.. „დაჩუმდი, უბედურო, შენი ღვთისშეურაცხმყოფელი სიტყვები მე განუზომელ შიშში მაგდებენ. რა შენი საქმეა მსჯელობა! ნუ თუ შენ მეტი გესმის ამ საქმეში, ვიდრე ფარულ კრებულს? ვინ ხარ, რომ ბედავ შენ ღმერთებზე გალაშქრებას და მათ მსახურთა ჭკუის სწავლებას? ან შენ უფრო განათლებული, ხარ ვიდრე ის ორაკულები, რომელთაც მთელი ქვეყანა ეკითხება? რაც არ უნდა მიპასუხო შენ ამაზე, მე შენში დავინახავ განუზომელი კადნიერების ან უუდიდესი სიგიჟის ნიშნებს...“ ნუ თუ ქრისტიანები არასოდეს არ შეიგნებენ მთელ თავის ძლიერებას და არ მიუგდებენ ამ საცოდავ სოფიზმებს მათ, ვისაც მეტი არავითარი მარაგი არ გააჩნიათ? „0mittamus ista communia

quae ex utraque parte dici possunt, quanquam vere ex utraque partè dici non possint".[68] დავსტოვოთ საერთო ხასიათის მსჯელობა, რომელიც შესაძლებელია გამოითქვას ორივე მხარის მიერ, თუმცა ნამდვილად კი არ შეუძლია გამოსთქვას მხოლოდ ერთმა მხარემ. მაგალითს, სასწაულთ და ავტორიტეტს შეუძლიათ შექმნან სულელები, ან თვალთმაქცები; მარტო გონიერება ჰქმნის ღვთის მორწმუნეებს.

LVII

ყველა თანახმაა მასზე, რომ ამა თუ იმ რელიგიის დაცვის საქმეში უკიდურესად საჭიროა მარტო სერიოზული არგუმენტების ხმარება; ამავე დროს გულდასმით სდევნიან ხალხს, რომელთაც მიზნად დაუსახავთ უვარგისი არგუმენტების გაწბილება. მაშ რა? საკმარისი არაა ქრისტიანე იყვე; ნუ თუ საჭიროა, რომ შენი ქრისტიანობა აუცილებლად უვარგის საფუძვლებს ემყარებოდეს? ფარისეველნო, მე თქვენ პირდაპირ გეუბნებით: მე ქრისტიანი ვარ იმიტომ კი არა, რომ წმინდა ავგუსტინე ქრისტიანი იყო, არამედ იმიტომ, რომ ამას ჩემი გონება მოითხოვს.

LVIII

მე ვიცნობ ამ ფარისევლებს: განგაშის ასატეხად მათთვის ცოტა კმარა. თუ გადაწყვიტეს, რომ ამ ნაწარმოებში ისეთი რამ არის, რაც მათს აზრებს ეწინააღმდეგება, ისინი არავითარ ცილისწამებას არ მოერიდებიან, ისე, როგორც ათას სხვას ჩემზე უფრო ღირსეულს დასწამეს მათ ცილი. თუ მე მხოლოდ დეისტი და ბოროტმომქმედი ვარ, მე იოლად გადავრჩები. უკვე დიდი ხანია, რაც დეკარტი, მონტენი, ლოკი და ბეილი დასწყევლეს; და ვფიქრობ კიდევ ბევრ სხვასაც შეაჩვენებენ. მანამდე კი მე მათ ვუცხადებ, რომ მე არ ვცდილობ უფრო პატიოსანი ადამიანი და ერთგული ქრისტიანი ვიყო, ვიდრე ამ ფილოსოფოსთა უმრავლესობა იყო. მე რომის კათოლიკური სამოციქულო ეკლესიის წიაღში დავიბადე; მთელი სულით და გულით ვემორჩილები მის დადგენილებებს. მსურს ჩემს წანაპართა სარწმუნოებაში მოვკვდე და ჭეშმარიტ სარწმუნოებად ვთვლი მას იმდენად, რამდენადაც ეს შეუძლია განსაჯოს ადამიანმა, რომელიც ღმერთთან არასოდეს უშუალო დამოკიდებულებაში არ ყოფილა და რომელსაც არასოდეს თავისი საკუთარი თვალით არცერთი სასწაული არ უნახავს. ასეთია ჩემი სარწმუნოების სიმბოლო; მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მათ ეს არ დააკმაყოფილებს, თუმცა შეიძლება მათში არ არის არცერთი, რომელსაც უკეთეს სიმბოლოს მოცემა შეეძლოს.

LIX

მე წაკითხული მაქვს ზოგი რამ აბბადის, ჰუეტის და სხვების. მე არცთუ ცუდად ვიცნობ ჩემი სარწმუნოების სასარგებლოდ მოლაპარაკე საბუთებს და სრულიად არ უარვყოფ მათ ძლიერებას; მაგრამ ასჯერ უფრო ძლიერი რომ იყვნენ ისინი, მე მაინც ვერ ჩავთვლიდი ქრისტიანობას დამტკიცებულად. რისთვის გჭირდებათ მომთხოვოთ მე, რომ ისევე მტკიცედ მწამდეს ღვთის სამპიროვნება, როგორც მწამს ის, რომ სამკუთხედის სამივე კუთხე ორ სწორ კუთხეს უდრის? ყოველმა მტკიცებამ უნდა შექმნას ჩემში რწმენა, ტოლფარდი ამ მტკიცების ძლიერებისა; და გავლენა ჩემს გონებაზე სხვადასხვა მტკიცებისა – გეომეტრიულის, მორალურისა თუ ფიზიკურის სხვადასხვა უნდა იყოს, თუარადა ეს განსხვავებანი კარგავენ თავიანთ აზრს.

LX

თქვენ აძლევთ ურწმუნო ადამიანს საღმრთო წერილს, რომლის ღვთაებრივობა თქვენ ფიქრობთ მას დაუმტკიცოთ, მაგრამ სანამ თქვენი საბუთების გარჩევაში შევიდოდეს, ის უსათუოდ რამდენიმე კითხვას დასვამს თქვენს წინაშე ამ კრებულის შესახებ. ასეთი იყო ყოველთვის ეს კრებული? შეგეკითხებათ ის. რატომაა ის ახლა არა იმდენად ვრცელი, როგორც რამდენიმე საუკუნის წინ იყო? რა უფლებით ამოაგდეს იქედან ნაწერები, რომელნიც მეორე სექტას სწამს, და დასტოვეს ის, რაც მის მიერ უარყოფილია? რა საბუთით მიეცით თქვენ უპირატესობა ამ ხელთნაწერს? რით ხელმძღვანელობდით თქვენ ერთი ტექსტის ამორჩევის დროს ამდენ სხვადასხვა გადანაწერებიდან, რომლებიც თვალსაჩინოდ ამტკიცებენ, რომ წმინდანი ავტორები არ მოსულან თქვენამდე თავისი პირველადი და ორიგინალური სიწმინდით? მაგრამ თუ, როგორც ეს იძულებული ხართ სცნოთ, ისინი წარყვნილან გადამწერთა უმეცრებით და მწვალებელთა ბოროტგანზრახვით, მაშინ, აშკარაა, თქვენ მოვალე ხართ აღადგინოთ პირვანდელი სახე, სანამ იმის მტკიცებას შეუდგებოდეთ, რომ ისინი ღვთაებრივი არიან; თქვენი მტკიცება ხომ დასახიჩრებულ ნაწერთა კრებულს ვერ შეეხება, ისე როგორც ჩემი სარწმუნოება ვერ დაემყარება მას. ვის დააკისრებთ თქვენ ასეთ შესწორებაზე შრომის გაწევას? ეკლესიას. მაგრამ მე არ შემიძლია ეკლესიის უცდომელობა მივიღო, სანამ ჩემთვის საღმრთო წერილების ღვთაებრიობა არ დაუმტკიცებიათ. ამრიგად მე ვვარდები იძულებულ სკეპტიციზმში.

ამ სიძნელიდან თავის ხსნის ერთადერთი საშუალებაა ვსცნოთ,

რომ სარწმუნოების პირველ საფუძვლებს წმინდა ადამიანური ხასიათი აქვთ. რომ ხელთნაწერების არჩევა, მათში ზოგიერთი ადგილების გასწორება და, დასასრულ, კანონიერი კრებულის შედგენა მოხდენილია კრიტიკის ყოველივე წესების დაცვით და მე საწინააღმდეგო არაფე-

რი მაქვს საღვთო წიგნების ღვთაებრიობას იმდენადვე ვერწმუნო, რამდენადაც ხსენებული წესები სიმტკიცით იქნა დაცული და შესრულებული.

LXI

სწორედ დასაბუთების ძებნის დროს მე სიძნელეებს გადავეჩეხე. იმ წიგნებში, სადაც ჩემი სარწმუნოების საფუძვლებია მოცემული, მე ვნახულობ მათთან ერთად ურწმუნოების საბუთებსაც. ეს წიგნები – საერთო არსენალია (იარაღთსაცავი). ჩემს თვალწინ დეისტმა აიღო იქედან იარაღი ათეისტის წინააღმდეგ; დეისტი და ათეისტი შეებრძოლნენ ებრაელს; ათეისტი, დეისტი და ებრაელი შეერთდნენ ქრისტიანის წინააღმდეგ; ქრისტიანი, ებრაელი, დეისტი და ათეისტი ეკვეთნენ მაჰმადიანს; ათეისტი, დეისტი, ებრაელი, მაჰმადიანი და აუარებელი ქრისტიანული სექტები თავს დაესხნენ ქრისტიანს; და მხოლოდ სკეპტიკოსი ერთი ილაშქრებდა ყველა მათ წინააღმდეგ. მე ვიყავი მათი შეტაკების მსაჯული; მეკავა სასწორი მებრძოლთა შორის; სასწორი ზევით ან ქვევით იწეოდა იმისდამიხედვით, თუ რა სიმძიმით იტვირთებოდა ის. ხანგრძლივი მერყეობის შემდეგ სასწორი ქრისტიანეს მხარესაკენ გადაიხარა, მაგრამ მხოლოდ დიდი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ, თავისი შედარებით მეტი სიმძიმის გამო. მე შემიძლია აღვნიშნო ჩემი სრული მიუდგომლობა. ხომ ჩემზე არ არის დამოკიდებული, რომ ხსენებული განსხვავება სიმძიმეში მე არ მომეჩვენა მაინცადამაინც დიდად. ღმერთი ხედავს ჩემს გულახდილობას.

LXII

აზრთა ამ აუარებელმა სხვადასხვაობამ აფიქრებინა დეისტებს მიემართათ ერთი არგუმენტაციისათვის, რომელიც შესაძლებელია უფრო თავისებური იყოს, ვინემ საფუძვლიანი. ციცერონმა იმის დასამტკიცებლად, რომ რომაელები მთელს დედამიწის ზურგზე ყველაზე უფრო მეომარი ხალხიაო, მოხერხებულად გამოსტყუა ეს ცნობა რომის მოწინააღმდეგეებს. გალებო, ვის უთმობთ თქვენ პირველობას მხნეობაში, თუკი უთმობთ ვისმე? რომაელებს. პართელებო, ვინ არის თქვენს შემდეგ ყველაზე უფრო მამაცი ხალხი ქვეყანაზე? რომაელები. აფრიკელებო, ვის წინაშე ათრთოლდებოდით თქვენ,

რომ თრთოლა შეგძლებოდათ? რომაელების წინაშე. ციცერონის მაგალითისამებრ, – ამბობენ დეისტები, – შევეკითხოთ სხვა რელიგიურ სისტემათა მიმდევრებს. ჩინელებო, რომელი რელიგია იქნებოდა უმჯობესი, რომ თქვენი რელიგია არ იყოს ასეთი? ბუნებრივი რელიგია. მაჰმადიანებო, რომელ კულტს მიემხრობოდით თქვენ, მო-

ჰამედის რელიგია რომ დაგეტოვებიათ? ბუნებრივს. ქრისტიანებო, რომელი რელიგია იქნებოდა უფრო ჭეშმარიტი, თუ ქრისტიანობა არ არის ასეთი? ებრაელთა რელიგია. თქვენ კი ებრაელებო, რომელ რელიგიას სცნობდით ჭეშმარიტ რელიგიათ თუ იდეალიზმი სიცრუე აღმოჩნდებოდა? ბუნებრივ რელიგიას. მაგრამ მათ, განაგრძობს ციცერონი, ვისაც ყველამ მეორე ადგილი მიაკუთვნა, და თვით კი არავის უთმობს პირველობას, უსათუოდ დამსახურებული აქვთ პირველობა.

ფილოსოფიური აზრების დამატება

ან სხვადასხვა გაბაასება სხვადასხვა ღვთისმეტყველთა ნაწერებთან

I

ეჭვები რელიგიის საკითხებში არამცთუ ბიწიერების გამომჟღავნებას არ მოასწავებენ, პირიქით, უნდა ჩაითვალონ კეთილ საქმედ როდესაც მათ გამოსთქვამს ადამიანი, თავმდაბლურად აღმასრულებელი თავისივე უვიცობისა და როდესაც ისინი წარმოიშობიან იმისი შიშისაგან, რომ ღმერთი არ განარისხონ გონების სიმძლავრის ბოროტად გამოყენებით.

II

რომ ერთგვარი შესაბამისობა დაუშვა ადამიანის გონებასა და მარადიულ გონებას, ე. ი. ღვთის შორის, და ამასთანავე ფიქრობდე, რომ ღმერთი ითხოვს ადამიანის გონების უარყოფას, ეს ნიშნავს – ამტკიცებდე, რომ ღმერთს ერთსა და იმავე დროს კიდეც სურს და არც სურს.

III

თუ ღმერთი, რომლისაგანაც ჩვენ გონება მივიღეთ, მოითხოვს ამ გონების შეწირვას, მაშინ ის თვალთმაქცი ყოფილა და თვითვე ართმევს მას, რაც თვითონვე მისცა.

IV

გონების უარყოფის შემდეგ მე დავკარგავ მეგზურს; მე მაშინ

იძულებული გავხვდები ბრმად მივიღო რომელიმე მეორადი პრინციპი და დამტკიცებულად ჩავთვალო ის, რაც კითხვის ქვეშ იმყოფება.

V

თუ გონება ზეცამ გვიბოძა და თუ იგივე ითქმის რწმენაზედაც, მაშინ ზეცას ჩვენ ერთიმეორესთან შეუთავსებელი და ერთიმეორის მოწინააღმდეგე საჩუქრით დავუჯილდოვებივართ.

VI

ამ სიძნელის თავიდან ასაშორებლად საჭიროა აღიარება, რომ რწმენა ქიმერული პრინციპია, რომელიც ბუნებაში არ არსებობს.

VII

პასკალი, ნიკოლი და სხვები ამტკიცებენ: „ის დებულება, რომ ღმერთი ერთი დამნაშავე მამის ცოდვებისა გამო დაუსრულებელი ტანჯვით სჯის ყველა მის უცოდველ შვილებს, გონებას აღემატება, მაგრამ არ ეწინააღმდეგება“-ო. მაგრამ მოიძებნება კი დებულება, რომ ეწინააღმდეგებოდეს გონებას, თუ მას არ ეწინააღმდეგება ის, რომელიც ღვთის აშკარად შებილწვას შეიცავს?

VIII

მე გზა დამებნა ღამით უღრან ტყეში და სუსტი სანათური, ჩემს ხელთ მყოფი, ჩემი ერთადერთი გზის მაჩვენებელია. ანაზდად მხვდება უცნობი და მეუბნება: „მ ე გ ო ბ ა რ ო , ჩ ა ა ქ რ ე ს ა ნ თ ე ლ ი , რ ო მ გ ზ ი ს გ ა მ ო ნ ა ხ ვ ა გ ა ი ა დ ვ ი ლ ო“. ეს უცნობი ღვთის მეტ-ყველია.

IX

თუ გონება ზენაარსიდან მაქვს ნაბოძები, ალბად მე ზეცა მე-ლაპარაკება მისი საშუალებით; მოვალე ვარ მას ვუსმინო.

X

ღირსეული და უღირსი ცნებანი ერთად არ შეიძლება გამო-ყენებულ იქნას გონების მიერ, რადგან ვერავითარი კეთილი სურ-ვილი ქვეყანაზე ვერ შეეწევა ბრმას ფერების გარჩევაში. მე იძულე-ბული ვარ იქ დავინახო სიაშკარავე, სადაც ის არის და მისი არ-ყოფნა იქ, სადაც ის არ არის, თუ გონების სისუსტე არ მჭირს. მაგ-

რამ გონების სისუსტე ხომ უბედურებაა და არა ბიწიერება.

XI

თუ ბუნების შემქმნელი არ დამაჯილდოებს მე ჩემი ჭკუის გამო, მაშ ის არც უჭკუობისათვის შემაჩვენებს.

XII

ის შენ არც იმისათვის დაგწყევლოს, რომ ბოროტი იყავი. განა შენმა ბოროტებამ საკმაოდ უბედური არ გაგხადა?
156

XIII

ყოველ კეთილ საქმეს თან ახლავს შინაგანი კმაყოფილების გრძნობა; ყოველ დანაშაულს – სინანული; მაგრამ ჭკუა უსირცხვილოდ და უსინანულოდ სცნობს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამათუიმ წინადადებათა მიმართ; მაშასადამე, არ არის არც დანაშაულობა და არც სიკეთე იმაში, სცნობ თუ უარყოფ წინადადებებს.

XIV

თუ სიწმინდისათვის კიდევ მადლია საჭირო, მაშინ იესო ქრისტეს სიკვდილს რა აზრი ჰქონდა?

XV

თუ ერთ ცხონებულზე ასიათასი დაღუპული მოდის, მაშინ ეშმაკი ხომ ყოველთვის მოგებული დარჩენილა ისე, რომ თავისი შვილიც სასიკვდილოდ არ მიუტოვებია.

XVI

ქრისტიანების ღმერთი, ეს – მამაა, რომელიც ძალიან დიდად აფასებს თავის ვაშლებს და ძალიან იაფად თავის შვილებს.

XVII

წაართვით ქრისტიანს ჯოჯოხეთის შიში და თქვენ მას ამით სარწმუნოებას წაართმევთ.

XVIII

ჭეშმარიტი სარწმუნოება, ყველა ადამიანისათვის მნიშვნელოვანი ყველგან და ყოველთვის, უნდა ყოფილიყო მარადიული, საყოველთაო და თვალსაჩინო, მაგრამ არცერთს სარწმუნოებას არ გააჩნია ეს სამი თვისება. ამით უკვე სამჯერ დამტკიცებულია ყველა ამ სარწმუნოებათა სიმტყუვნე.

XIX

მოვლენები, რომელთა დამოწმება მხოლოდ რამდენიმე ადამიანს შეუძლია, საკმაო არაა იმ სარწმუნოების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, რომელიც ყველას ერთნაირად უნდა სწამდეს.

XX

მოვლენები, რომელნიც რელიგიის საფუძველნი არიან, ძველი და სასწაულებრივია, ე. ი. ყველაზე უფრო საეჭვო რამ, რაც კი ქვეყნად შეიძლება იყოს, მოყავთ იმის დასამტკიცებლად, რაც ყველაზე უფრო დაუჯერებელია.

XXI

სასწაულის საშუალებით სახარების დამტკიცება ეს არაბუნებრივი მოვლენის საშუალებით უაზრობის მტკიცებას ნიშნავს.

XXII

მაგრამ, რას უქადის ღმერთი მათ, რომელთაც მისი ძის შესახებ არაფერი სმენიათ? ნუ თუ ის დასჯის ყრუებს, იმიტომ რომ მათ არ სმენიათ?

XXIII

რას უქადის იგი მათ, რომელთაც გაუგონიათ მისი სარწმუნოების შესახებ, მაგრამ ვერ შეიგნეს იგი? ნუ თუ ის დასჯის ქონდრის კაცებს მისთვის, რომ ისინი ბუმბერაზთა ნაბიჯით ვერ დადიან?

XXIV

რატომ უნდა იყოს ისეო ქრისტეს სასწაულები ნამდვილი და ესკულაპის, აპოლონიუს თიანელის და მოჰამედის კი – სიცრუე?

XXV

ყველა ებრაელმა, რომელიც იერუსალიმში იყო და მისი სასწაულები ნახა, განა ირწმუნა ქრისტე? სრულიადაც არა! მათ არამცთუ არ იწამეს იგი, ჯვარსაცვეს. უნდა ვსცნოთ, რომ ეს ებრაელები ისეთი ხალხია, როგორიც არ მოიპოვება; ყველა სხვა ხალხები თავებს კარგავდნენ ერთადერთ და ისიც ცრუ სასწაულით, იესო ქრისტემ კი ვერაფერი ჩააგონა ებრაელებს, მიუხედავად აუარებელი ნამდვილი სასწაულებისა.

XXVI

აი სწორედ ებრაელთა ეს სასწაულისადმი ურწმუნოებაა დასაფიქრებელი და არა იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგენის სასწაული.
158

XXVII

უეჭველია, როგორც ორჯერ ორი – ოთხია, რომ ცეზარი არსებობდა; იესო ქრისტეს არსებობა ისევე უეჭველია, როგორიც ცეზარის. მაშასადამე, იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა იმდენადვე უეჭველია, როგორც ის, რომ ის, ან ცეზარი, არსებობდნენ. რა ლოღიკაა! ცეზარის და იესო ქრისტეს არსებობა ხომ სასწაული არ არის.

XXVIII

მ. დ ე-ტ ი უ რ ე ნ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს აღწერაში ჩვენ ვკითხულობთ, რომ, როდესაც ერთ სახლს ცეცხლი მოედო, ხანძარი შეაჩერა იმ სახლში მყოფმა წმინდა ნაწილებმაო. თანახმა ვარ. მაგრამ ისტორიაში ჩვენ ვკითხულობთ აგრეთვე, რომ როდესაც ერთმა რომელიღაც ბერმა მოსწამლა წმინდა ზიარება, გერმანელი იმპერატორი გარდაიცვალა ამ ზიარების გადაყლაპვისთანავე.

XXIX

აქ უსათუოდ იყო რაღაც უფრო მეტი, ვიდრე პურისა და ღვინოს გამოხატულება, ანდა იძულებული ვიქნებით ვიფიქროთ, რომ საწამლავი იესო ქრისტეს სისხლში და ხორცში იყო გაბჯენილი.

XXX

ამ ხორცს ობი ეკვრის, ეს სისხლი მძაღდება. ამ ღმერთს ტკიპები ანადგურებენ თავისივე საკურთხეველზე. თვალახვეულო ხალხო, ჭკუადასუსტებულო ეგვიპტელო, აახილვ თვალი!

XXXI

იესო ქრისტეს სარწმუნოებამ, უვიცების მიერ ნაქადაგებმა, შექმნა პირველი ქრისტიანები. იგივე სარწმუნოება, რომელსაც მეცნიერები და დოქტორები ქადაგებენ, ჰქმნის ახლა მარტო ურწმუნოებს.

XXXII

დაობენ, რომ საკანონმდებლო ძალაუფლებაზე დაქვემდებარება გვანთავისუფლებს მსჯელობის აუცილებლობიდანო. მაგრამ სადაა მთელ დედამიწის ზურგზე რელიგია ასეთი ძალაუფლების გარეშე?

XXXIII

ბავშვის აღმზრდელობის წესები მონათვლის ნებას არ აძლევენ მაჰმადიანს; ბავშვის აღმზრდელობის წესები უკრძალავენ ქრისტიანებს წინადაცვეთის წესის შესრულებას; მომწიფებული ადამიანის გონება ერთნაირად დასცინის, როგორც ნათვლას, ისე წინადაცვეთასაც.

XXXIV

წმ. ლუკას უწერია, რომ მამა-ღმერთი ძე-ღმერთზე უფრო დიდიაო (pater major me est). ამავე დროს, წინააღმდეგ ასეთი გარკვეული განცხადებისა, ეკლესია ანათემას უცხადებს იმ ზედმეტად პატიოსან ღვთისმორწმუნეს, რომელსაც თავისი პირდაპირი მნიშვნელობით გაუგია ამ ეკლესიის დამაარსებლის მიერ დატოვებულ ანდერძში დაწერილი სიტყვები.

XXXV

თუ საეკლესიო ძალაუფლებამ შესძლო გადაეკეთებია თავის სურვილისამებრ აზრი იმ ადგილისა, რომელიც ყველაზე უფრო აშკარა და გასაგებია მთელს ნაწერში, მაშინ არ ყოფილა საღმრთო წერილში ისეთი ადგილი, რომლის გაგების იმედი დაგრჩენოდეს და რომლის მიმართაც ეკლესიას არ შეეძლებოდა გაეკეთებია ის, რაც მას სურდა.

XXXVI

Tu es Patrus, et super, hanc petram aedificabo ecclesiam meam.
რა არის ეს – ღვთის ენა თუ ოხუნჯობა, რომელიც ბატონ აკორდას შეშვენის?[69]

XXXVII

In dolore paries. წამებით შობდე, უთხრა ღმერთმა ცოდ-
ვის ჩამდენ ქალს. მაგრამ რა დაუშავეს მას დედალმა ცხოველებმა,
რომლებიც ასევე წამებით შობენ?

XXXVIII

თუ პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ წინადადებას pater
major me est, მაშინ იესო ქრისტე ღმერთი არ არის. თუ პირ-
დაპირი მნიშვნელობით გავიგებთ სიტყვებს hos est corpus

meum, გამოდის, რომ ის თავის სხეულს საკუთარი ხელებით აძლევ-
და მოციქულებს. მაგრამ ეს ისეთივე სისულელეა, როგორც მოთხ-
რობა იმის შესახებ, თუ როგორ გადაჰკოცნა წმინდა დიონისემ თავი-
სივე მოკვეთილი თავი.

XXXIX

დაწერილია, რომ ქრისტე ელეონის მთაზე ავიდა და იქ ლო-
ცულობდა. ვისი წინაშე ლოცულობდა? თავისივე თავის წინაშე.

XL

ღმერთი, რ ომელმაც სასიკვდილოდ გაგზავნა
ღმერთი, რომ ამით ღმერთივე მოემადლიერებია –
საუცხოვო გამოთქმაა ბარონ დე-ლაჰონტანისათვის [70]. ქრისტიანობის
საწინააღმდეგოდ, ან მის სასარგებლოდ დაწერილი ასი ფოლიანტი
იმდენ დამაჯერებლობას არ შეიცავს, რამდენსაც სიცილის მომგვ-
რელი ეს ორი სტრიქონი.

XLI

თქმა იმისა, რომ ადამიანი შესდგება ძალისა და უძლურებისა-
გან, შეგნებისა და სიბრმავისაგან, არარაობისა და სიდიადისაგან, ეს
მისი გონების კი არა, მისი არსის განსაზღვრას ნიშნავს.

XLII

ადამიანი ისეთია, როგორიც ის შექმნა ღმერთმა ან ბუნებამ;
ღმერთი ან ბუნება კი არაფერს ცუდს არ ჰქმნიან.

XLIII

რასაც ჩვენ თავდაპირველ ცოდვას ვეძახით, ნინონ დე-ლანკლო ორიგინალურ ცოდვას ეძახდა.

XLIV

უმაგალითო ურცხვობაა სახარებათა შეთანხმებულობაზე მითითება. როგორც ცნობილია, ზოგიერთ სახარებაში მოთხრობილია ძლიერ დიდმნიშვნელოვანი ამბები, რომელთა შესახებ სხვებში ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი.

XLV

პლატონს ღთაება სამი სახით ჰყავდა წარმოდგენილი – სიკეთის, სიბრძნისა და ძლიერების. განგებ უნდა დახუჭო თვალები, რომ ამაში ქრისტიანული სამება არ დაინახო. დაახლოებით სამიათასი წლის წინათ ათენის ფილოსოფოსი ლ ო გ ო ს ს უწოდებდა იმას, რასაც ჩვენ დღეს სიტყვას ვუწოდებთ.

XLVI

ღვთიური სამება, ეს ან სამი აქციდენციაა, ან სამი სუბსტანცია. არავითარი მესამე აქ არ შეიძლება იყოს. თუ ის სამი აქციდენციაა, ჩვენ მაშინ ათეისტები ან დეისტები ვართ; თუ იგი სამი სუბსტანციაა, ჩვენ მაშინ წარმართები ვყოფილვართ.

XLVII

მამა-ღმერთი ადამიანებს დაუსრულებელი სასჯელის ღირსად სთვლის; ძე-ღმერთი ცნობს მათ დაუსრულებელი სიბრალულის ღირსად; სული-წმინდა ნეიტრალური რჩება. როგორ შევათანხმოთ ეს კათოლიკური ცარიელსიტყვაობა ღვთის ნებისყოფის ერთიანობასთან?

XLVIII

დიდიხანია სთხოვენ ღვთისმეტყველებს შეათანხმონ დაუსრულებელი სასჯელის დოგმატი ღვთის დაუსრულებელი სიბრალულთან; ისინი კი ადგილიდან არ იძვრიან.

XLXX

რაღასთვის სჯიან დამნაშავეთ, როდესაც მათი დასჯისაგან უკვე არავითარი სარგებლობის მიღება აღარ შეიძლება?

L

ძლიერ უხეში და ბოროტი უნდა იყვე, რომ მარტო შენი გულისათვის დასაჯო ვინმე.

LI

არცერთი კეთილი მამა არ მოისურვებდა დამსგავსებოდა ჩვენს ზეციერ მამას.
162

LII

არის რაიმე თანაშეზომილება შეურაცყოფილსა და შეურაცხმყოფელს შორის? არის რაიმე თანაშეზომილება შეურაცხყოფასა და დასჯას შორის? ეს სისულელისა და სიმხეცის ნიმუშებია!

LIII

და რაა, რომ ასე ამძვინვარებს ამ ღმერთს? ხომ არ გავს იმას, რომ თითქოს მე შემეძლოს ხელი შეუწყო, ან ხელი შეუშალო მის სახელს, მყუდროებასა და სათნოებას?

LIV

თქვენ ამბობთ, რომ ღმერთი აიძულებს ცოდვილს, სრულიად უძლურს მის წინაშე, მარად იწოდეს დაუქრობელ ცეცხლში; ხოლო არა მგონია ადამიანს ვინმემ ნება მისცეს სიკვდილით დასაჯოს საკუთარი შვილი, რომელმაც შეარცხვინა მისი ღირსება, მისი ქონება, მისი სიცოცხლე!

LV

ო, ქრისტიანებო? მაშ თქვენ ორი სხვადასხვა წარმოდგენა გქონიათ სიკეთესა და სიბოროტეზე, ჭეშმარიტებასა და სიყალბეზე. მაშ თქვენ ან სრულიად უაზრო დოგმატიკოსები ხართ, ანდა ყველაზე უფრო აღვირახსნილი პირონისტები.

LVI

ყველა ბოროტება, რომელთა ჩადენა ჩვენ ძალგვიძს, ვერ ამოსწურავს ყველა შესაძლებელ ბოროტებას; მხოლოდ ის, ვინც მესძლებდა ყველა შესაძლებელი ბოროტების ჩადენას, დაიმსახურებ-

და მარადიულ სასჯელს. იმისათვის, რომ ღმერთი წარმოიდგინოთ უსაზღვრო შურისმძიებელ არსებად, თქვენ წარმოისახავთ მიწის ჭიას უსაზღვრო ძლიერების მქონე არსებად.

LVII

როდესაც ისმენ ღვთისმეტყველს, რომელიც გადაჭარბებით გვისახავს ღვთის მიერ გარყვნილად შექმნილი ადამიანის საქციელს, რომელსაც ღამე გაუტარებია თავის მეზობლის ქალთან, იმავე ღვთის მიერ ალერსიანობით და სილამაზით დაჯილდოვებულთან – გეგონებათ საქმე სულ ცოტა, მთელი მსოფლიოს ხანძრით ამობუგ-

ვას მაინც შეეხებაო! ეჰ! ჩემო კარგო, მოუსმინე მარკ ავრელიუსს და გაიგებ, რომ შენი ღმერთი ასეთნაირად გაუაფთრებია მხოლოd ორი ლორწოვანის ნებადაურთველ და სასიამოვნო ხახუნს ერთიმეორეზე.

LVIII

ის, რაც სასტიკ ქრისტიანებს უთარგმნიათ სიტყვით – ს ა მ უ-
დ ა მ ო, ებრაულად – ხანგრძლივს ნიშნავს. რომელიღაც ჰებრაისტის უვიცობა და ვინმე მთარგმნელის მძვინვარე სისასტიკე – აი საიდან წარმომდინარეობს სამუდამო სასჯელის დოგმატი.

LIX

პასკალმა სთქვა: „თუ თქვენი სარწმუნოება მცდარია, თქვენ არავითარ რისკს არ ეწევით იმით, რომ მას ჭეშმარიტად თვლით; მაგრამ თუ კი ის ჭეშმარიტებაა, თქვენ ყველაფერს რისკ ქვეშ აყენებთ, როდესაც იგი მცდარად მიგაჩნიათ“-ო. რომელიმე იმამს შმეძლო იგივე ეთქვა.

LX

რომ ვითომ ეშმაკი ცდილობდა შეეცდინა ღმერთი იესო ქრისტე, ეს ზღაპარია, რომელიც მარტო ა თ ა ს ე რ თ ღ ა მ ე ს შეეფერება.

LXI

მე დიდი სურვილი მექნებოდა, რომ რომელიმე ქრისტიანს და განსაკუთრებით კი – იანსენისტს აეხსნა ჩემთვის, ხორცშესხმის c u i b o n o. ყოველ შემთხვევაში, საჭირო არ იყო საუკუნოდ დასჯილთა რიცხვის გადიდება, თუ მხედველობაში ჰქონდათ რაიმე სარგებ-

ლობის მიღება ამ დოგმატიდან.

LXII

ერთი ახალგაზრდა ქალწული ძლიერ განმარტოებით ცხოვ-
რობდა; ერთხელ ახალგაზრდა ყმაწვილი ეწვია მას ჩიტით ხელში
და ის დაორსულდა. ვკითხულობთ: ვინაა ბავშვის შემქმნელი? რა სა-
კითხავია! რასაკვირველია, ჩიტი.
164

LIII

მაგრამ, რატომ იწვევენ სიცილს ლედას გედი და კასტორ და
პოლუქსის ცეცხლები, როდესაც სახარების მტრედებს და ცეცხლის
ენებს ჩვენ არ დავსცინით?

LIX

პირველ საუკუნეებში არსებობდა თანასწორად აღიარებული
სამოცი სახარება. ორმოცდათექვსმეტი მათგანი უკუგდებულ იქნა,
როგორც ბავშვური და მოჩმახული. შეიძლება რაიმე ასეთი იმათ-
შიაც დარჩა, რომლებიც დაგვრჩა.

LXV

ღმერთი პირველად აძლევს ადამიანებს კანონს, შემდეგ კი
თვითვე აუქმებს მას. არ მოგაგონებთ ეს ოდნავ მაინც იმ კანონმდებ-
ლის საქციელს, რომელიც შეცდა და დროთა განმავლობაში მიხვდა
თავის შეცდომას? სრულყოფილ არსებას შეუძლია კი გადაფიქრება?

LXVI

ქვეყანაზე რწმენის იმდენივე სახე არსებობს, რამდენიც რელი-
გია არის.

LXII

ყველა სექტანტი მთელს ქვეყანაზე არაფერს სხვას არ წარმო-
ადგენს, გარდა ერეტიკოსი დეისტებისა.

LXVIII

თუ უდანაშაულოდ შობილი ადამიანი უბედურია, განა ის ღირ-
სი არ არის საუკუნო ბედნიერებისა, რომელსაც, მიუხედავად ამისა,

ვერასოდეს ვერ დაიმსახურებს თავისი ბუნებისა გამო?

LXIX

აი მე რას ვფიქრობ ქრისტიანულ დოგმატზე; მხოლოდ ორ სიტყვას ვიტყვი ქრისტიანულ ზნეობაზე. ავიღოთ მამა, კათოლიკე, დარწმუნებული, რომ სიტყვა-სიტყვით უნდა შესრულდეს სახარების დარიგება ეგრეთწოდებული ჯოჯოხეთის თავიდან ასაცილებლად. ვინაიდან უკიდურესად ძნელია და ადამიანის სისუსტესთან შეუთავ-

სებელი უნაკლობის ასეთ ხარისხამდე მიღწევა, მე ვერ ვხედავ ამ მამისათვის სხვა გამოსავალს, გარდა იმისა, რომ მან წაავლოს ხელი თავის შვილს ფეხებში, დაანარცხოს მიწაზე და გაუჭეჭყოს თავი ან დაახრჩოს იგი დაბადებისთანავე. ამით ის გაანთავისუფლებს მას ჯოჯოხეთის წამებიდან და მიანიჭებს საუკუნო ნეტარებას. და მე ვამტკიცებ, რომ ეს მოქმედება ბოროტებად კი არა, დიდ მადლად უნდა ჩაითვალოს, როგორც დამყარებული მამობრივ სიყვარულზე, რომელიც მოითხოვს, რომ ყოველმა კარგმა მამამ მიანიჭოს თავის შვილებს ყოველგვარი შესაძლებელი სიკეთე.

LXX

სარწმუნოების მცნება და საზოგადოების კანონი, რომლითაც უდანაშაულო ადამიანის მოკვლა აკრძალულია, ხომ უაზრონი და უკიდურესად სასტიკი ყოფილან, თუ სიცოცხლის შენარჩუნებით ჩვენ თითქმის უეჭველ სამუდამო ტანჯვას ვუმზადებთ ჩვენთ შვილთ? მოკვ-ლით კი საუკუნო ნეტარებას ვანიჭებთ მათ?

LXXI

როგორ, ბატონო დე ლაკონდამინ! შეიძლება აუცრა საკუთარ შვილს, რომ უზრუნველყო ის ყვავილიდან, და არ შეიძლება მისი მოკვლა, რომ ამით უზრუნველყო იგი ჯოჯოხეთიდან? თქვენ პირდა-პირ გვეცინით.

ჭეშმარიტებისათვის ნამდვილი ტრიუმფია, რო-დესაც მას ცოტანი, მაგრამ ღირსეულნი იზიარებენ; ყველასათვის მოსაწონად გახდომა – მისი ხვედრი არაა.

სკეპტიკოსის გასეირნება ანუ ხეივნები

წინასიტყვაობა

ლიტერატურის ვითარსი მცოდნეები ამაოდ შეეცდებიან ჩემი სახის გამორკვევას. მე არავითარი ადგილი არ მიკავია ცნობილ მწერალთა შორის. შემთხვევით მოვკიდე მე კალამს ხელი და მწერლის მდგომარეობაში იმდენი არამიმზიდველი რამ არის, რომ მომავალში ჩვეულებად არ გავიხდი წერას. აი ამ შემთხვევაში რა გარემოებამ ამაღებინა ხელში კალამი.

წარმოშობით და საზოგადოებრივი მდგომარეობით წინასწარვე დანიშნულმა სამხედრო კარიერისათვის, მე ეს კარიერა ვარჩიე, მიუხედავად ჩემი თანდაყოლილი მიდრეკილებისა კაზმული სიტყვიერებისა და ფილოსოფიისადმი. მე მონაწილეობა მივიღე 1745 წლის ლაშქრობაში და ვამაყობ ამით; ფონტენუასთან მე საშიში ჭრილობა მივიღე, მაგრამ ომი ვნახე; ვნახე თუ როგორ იწვევდა ჩემი მეფე, ომში მონაწილეობისა გამო, თავისი ღენერლების აღტაცებას, თუ რარიგ გადასცემდა ღენერალი ამ აღტაცებას ოფიცერს და როგორ ანმტკიცებდა ოფიცერი ჯარისკაცში მხნეობას, მე ვნახე ჰოლანდიელის შეტევის შეჩერება, ავსტრიელის უკანდახევა, ინგლისელის ლტოლვა და ჩემი ხალხის გამარჯვება.

ფონტენუადან დაბრუნების შემდეგ დანარჩენი შემოდგომა მე გავატარე პროვინციაში, ერთს საკმაოდ განმარტოებულ სოფელში. მტკიცედ გადავწყვიტე არავინ მენახა, იმ რეჟიმის დასაცავად, რომელსაც ჩემი განკურნება საჭიროებდა; მაგრამ ჩემი მსგავსები ისეთი არ არიან, განმარტოებით რომ იცხოვრონ და შეუმჩნეველი დარჩნენ; ამაშია ჩვენი მდგომარეობის უკუღმართობა. როგორც გაიგეს, რომ მე C...ში ვარ, მნახველებმა იწყეს ჩემთან დენა ყოველი მხრიდან. ეს იყო ნამდვილი დევნა და მე არ შემეძლო არასოდეს მარტო დარჩენა.

მხოლოდ თქვენ, ჩემო ძვირფასო კ ლ ე ო ბ უ ლ, ჩემო დიდად პატივცემულო მეგობარო, ერთხელაც არ მეწვიეთ. მგონი მთელი ქვეყანა მეწვია, გარდა იმ ერთი ადამიანისა, რომელიც მე მჭირდებოდა. მე არ შემიძლია ამისათვის საყვედური გითხრათ; განა ბუ-

ნებრივი იქნებოდა უარი გეთქვათ თქვენი სანატრელი განმარტოების სიამოვნებაზე და მოწყენილობის სატანჯველი მიგეღოთ უსაქმურთა ბრბოში, რომელიც მე მდევნიდა?

კლეობული იცნობს ხალხს და ზიზღს იწვევს მასში; ის ადრევე მიიმალა თავის პატარა მამულში, რომელიც მას შერჩა საკმაოდ დიდი ქონების ნარჩენებიდან; ის იქ ცხოვრობს, როგორც ბრძენი და ბედნიერად გრძნობს თავს. „მალე მე ორმოცდაათი წელი შემისრულდება, მითხრა მან ერთხელ; ვნებათა მღელვარება ჩემში

შეწყდა და მე მდიდარი ვარ, თუმცა ასჯერ ნაკლები მაქვს იმ შემოსავალზე, რომელიც არც კი მყოფნიდა ოცდახუთი წლის რომ ვიყავი“.

თუ ბედნიერმა შემთხვევამ ოდესმე მიგიყვანათ კლეობულის მყუდრო სავანეში, თქვენ იქ დაინახავთ სერიოზული, მაგრამ ლაზათიანი გარეგნობის კაცს; ის თქვენ არ შემოგვხდებათ ალერსიანი ფრაზებით, მაგრამ შეგიძლიათ ყოველთვის დარწმუნებული იყოთ მისი ნათქვამის გულწრფელობაში. მისი მუსაიფი გაცხოველებულია, მაგრამ არა ფუქსავატი; ის სიამოვნებით ლაპარაკობს სათნოებაზე; მაგრამ ლაპარაკის კილოზე თქვენ შეიტყობთ, რომ სათნოება მისთვის ცარიელი სიტყვა არაა. მისი ხასიათი სრულიად შეესაბამება ღვთაებრივობის ყველა ნიშანს: ის კეთილსაქმიანობს, ლაპარაკობს სიმართლეს, უყვარს კეთილისმქმნელნი და კმაყოფილია თავისივე თავის.

მისი პატარა თავშესაფარისაკენ მიმავალი გზა შემოქობილია დაბერებული ხეებით, რომელნიც მებაღის მაკრატელსა და მზრუნველობას ჯერ არ იცნობენ. მისი სახლი კარგი გემოვნებითაა ნაგები; ოთახები შიგ არცთუ დიდია, მაგრამ საკმაო ზომისანი არიან, ავეჯი უბრალო, მაგრამ ფაქიზი. მას აქვს მცირეოდენი წიგნები. სოკრატეს, პლატონის, ატიკისა და ციცერონის ბიუსტებით მორთული წინაოთახიდან გამოდიხართ მიწის ნაკვეთზე, რომელსაც არ შეიძლება უწოდოთ არც ტყე, არც მინდორი, არც ბაღი; ის ნარევია ერთის, მეორისა და მესამისაც. ყოველთვის ახალ უწესრიგობას ის უპირატესობას აძლევს ყოველთვის ერთსა და იმავე მტკიცე სიმეტრიულობის მიმართ; მას სურდა ყოველ ნაბიჯზე თავის ბაღში ბუნება დაენახა; და მართლადაც, თუ იქ არაბუნებრივ რაიმეს შეხვდები, ეს უსათუოდ იმავე ბუნების შემთხვევითი კომბინაცია იქნება. ერთადერთი, რაც ამ ბაღში ადამიანის ხელით გაკეთებულად გვეჩვენება, ეს არც ძალიან დიდი და მეტისმეტი მშვენიერი ყვავილნარია, რომელთანაც თავს იყრის რამდენიმე ხეივანი.

სწორედ იქ მრავალჯერ დავმსტკბარვარ მე მომხიბლავი მუსაიფით კლეუბოლთან და რამდენიმე მეგობართან, რომლებიც მასთან იკრიბებიან; მას ჰყავს მეგობრები და არ ეშინია მათი დაკარგვის. აი, მისი საიდუმლოება მეგობრების შენარჩუნებაში; მას არასოდეს ძალდატანებით არ მოუხვევია მათთვის თავისი აზრები, არ შეუზღუდავს ისინი მათს გემოვნება-შეხედულებებში; სწორედ იქ მინახავს თუ როგორ ეხვეოდნენ ერთიმეორეს პირონისტი და სკეპტიკოსი, როგორ უხაროდა სკეპტიკოსს ათეისტის გამარჯვება, როგორ ეხმარებოდა ფულით ათეისტი დეისტს, როგორ სთავაზობდა თავის მომსახურეობას დეისტი სპინოზისტს; ერთი სიტყვით, მეგობრული გაერთიანება ყველა ფილოსოფიური სექტებისა. სწორედ იქ სუფევს თანხმობა, ჭეშმარიტების სიყვარული, ჭეშმარიტება, გულახდილობა და მშვიდო-

ბიანობა. და სწორედ აქ არასოდეს ფეხი არ შეუდგამს არც პედანტს, არც ცრუმორწმუნეს, არც ღვთისმოსავს, არც დოქტორს, არც მღვდელს, ირც ბერს.

აღტაცებული კლეობულის გულწრფელი სიტყვებით და იმ გარკვეული წესრიგით, რომელიც მე მათში შევამჩნიე, მე დავიწყე მისი შესწავლა და მალე დავრწმუნდი, რომ მის საუბართა თემები თითქმის ყოველთვის იმ საგნებს ენათესავებოდნენ, რომელნიც მის თვალწინ იშლებოდნენ.

ერთგვარ ლაბირინთში, შექმნილში რცხილის ახალშენით,მაღალ და ხშირ ტოტიან ნაძვებით გადასერილში, ის ყოველთვის მესაუბრებოდა ადამიანის გონების მცდარობაზე, ჩვენი ცოდნის შეუმოწმებლობაზე, ფიზიკური თეორიების სიმჩატეზე და მეტაფიზიკური მაღალი განსჭვრეტის ამაოებაზე.

როდესაც პატარა მდინარის ნაპირზე მჯდარი შეამჩნევდა თუ როგორ მოსწყდა მახლობელი ხიდან ფოთოლი, რომელიც ნიავმა წყლის აუზისაკენ წაიღო და დაარღვია მისი ბროლისებური გამსჭვირვალობა, ის დამიწყებდა საუბარს ჩვენს გულმიდრეკილებათა ცვალებადობაზე, ჩვენი კეთილსაქმიანობის სისუსტეზე, ვნებათა ძლიერებაზე, სულის მღელვარებაზე, უწინაზრახვო თვითხილვადობაზე და სწორი თვითშეგნების მნიშვნელობასა და სიძნელეზე.

როდესაც ჩვენ ვიდექით გორაკის მწვერვალზე, რომელიც მთელს ახლომახლო სოფლებსა და მიდამოებზე მბრძანებლობდა, ის სიძულვილს მინერგავდა ყოველივე იმის მიმართ, რაც ადამიანს განადიდებს და კი არ ასრულქმნილებს; ის მითითებდა ჩემს ზევით მყოფ სივრცისაკენ, რომელიც ათასჯერ უფრო დიდია, ვიდრე ჩემს ქვემოთ მყოფი, და ჩემს სიამაყეს ამდაბლებდა ჩემს მიერ დაკავებული წერტის უმ-

ნიშვნელობით იმ განუზომელ სივრცესთან შედარებით, რომელიც ჩემს თვალწინ იშლებოდა.

როდესაც ველზე დავეშვებოდით, ის მელაპარაკებოდა ადამიანის მდგომარეობასთან განუყოფელ უბედურებათა შესახებ, და მარწმუნებდა სულიერი წონასწორობა არ დამრღვეოდა მათი მოლოდინში და სისუსტე არ გამომეჩინა მათი განცდის დროს.

გზაზე შეხვედრილი ყვავილი მოაგონებდა მას რაიმე მსუბუქ აზრს ან ფაქიზ გრძნობას. ბებერი მუხის ქვეშ ან გამოქვაბულის სიღრმეში ის მე მიზიარებდა თავის სერიოზულ და მტკიცე ნაფიქრნააზრევს, მაღალ იდეებს, ღრმა შენიშვნებს.

მე მივხვდი, რომ კლეობულმა შეჰქმნა თავისთვის ადგილგარემოს ერთგვარი ფილოსოფია; რომ მთელი გარემო განცოცხლებული მოსაუბრე იყო მისთვის, რომ ყოველი საგანი განსაკუთრებულ აზრებს იწვევდა მასში და რომ ბუნების ნაწარმოებნი მისთვის რაღაც ისეთ ალეგორიულ წიგნს წარმოადგენდნენ, რომლიდანაც ის ათასნაირ, სხვებისათვის მიუწვდომელ ჭეშმარიტებას ამოიკითხავს.

რომ უფრო დავრწმუნებულიყავი ჩემს აღმოჩენაში, მე ერთხელ ის მოვიყვანე ზემოაღნიშნულ ადგილთან, რომელთანაც რამდენიმე ხეივანი ხვდებოდა ერთიმეორეს. მე გამახსენდა, რომ ამ ადგილზე ის როგორღაც შეეხო საკითხს იმ სხვადასხვა გზების შესახებ, რომ-ლების საშუალებითაც ადამიანები უახლოვდებიან თავის უკანასკნელ მიზანს, და მე მინდოდა გამეგო, დაუბრუნდება თუ არა ის ამ ად-გილზე იმავე თემას. როგორი კმაყოფილი დავრჩი ჩემი ცდით! რამდენი ახალი და დიდმნიშვნელოვანი ჭეშმარიტება მოვისმინე მე ორ საათში, რომლის განმავლობაშიაც ჩვენ გავიარეთ ეკლის ხეივ-ნიდან წაბლის ხეივანში, ამ უკანასკნელიდან კი ყვავილნარში, მან ამოწურა რელიგიათა ბოდვები ფილოსოფიურ სისტემათა შეუმოწ-მებლობაზე, და მაღალი საზოგადოების სიამოვნებათა ამაოებაზე! მე მას დავემშვიდობე, განცვიფრებული მისი ცნებათა სისწორით, მსჯე-ლობის მკაფიობით, და ცოდნის განუზომლობით; და როგორც კი შინ დავბრუნდი, მაშინვე შევუდექი მისი სიტყვების ჩაწერას, რაც ჩემთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ სიადვილეს წარმოადგენდა, რადგან კლეობულმა, რომ უფრო გასაგები გაეხადა მისი აზრი ჩემ-თვის, სიამოვნებით ისესხა შედარებები და გამოთქმები ჩემივე პრო-ფესიიდან.

მე სრულიად არ ვეჭვობ, რომ მისმა სიტყვებმა, ჩემს კალამში გავლის დროს დაჰკარგეს მნიშვნელოვანი ნაწილი იმ ენერგიისა და სიცოცხლის, რომელიც მათ, მის ბაგეთაგან აღმოსვლის დროს ჰქონ-დათ; მაგრამ ამ სიტყვების ძირითადი შინაარსის დაცვა, ვფიქრობ,

მე შევძელი. სწორედ ეს სიტყვებია, რომ ვაქვეყნებ მე დღეს სა-თაურით: სკეპტიკოსის გასეირნება ან საუბარი რელი-გიაზე, ფილოსოფიაზე და ქვეყნიერებაზე.

მე უკვე დავარიგე რამდენიმე ასლი ჩემი ხელთნაწერისა; ისინი გამრავლებულ იქნენ და ზოგიერთ მათგანში მე ისეთი დამახინჯებები ვნახე, რომ კლეობულის უკმაყოფილების გამოწვევის შიშით – თუ ის ჩემს კადნიერებას გაიგებდა – მე წავედი მასთან, რომ მეცნობებია ამ შემთხვევის შესახებ, პატიება მეთხოვა და მისი აზრების გამოქვეყ-ნების ნებართვაც მიმეღო. მე ვკრთოდი, ჩემი სტუმრობის მიზანს რომ ვუმჟღავნებდი მას; გამახსენდა წარწერა მის სახლის კარებზე მიკრულ შავ მარმარილოს დაფაზე: beatus qui moriens fefellit[71] და უკვე თითქმის დავკარგე ჩემი განზრახვის სისრულეში მოყვანის იმედი; მაგრამ მან დამაწყნარა, ხელი მომკიდა, გამიყვანა თავის წაბ-ლებ ქვეშ და შემდეგი სიტყვით მომმართა:

„მე სრულიადაც არ გსაყვედურობთ იმისათვის, რომ ხალხის გონების განათლებაზე მუშაობთ; ეს ყველაზე უფრო დიდმნიშვნე-ლოვანი სამსახურია, რომლის გაწევაც კი მისთვის შეიძლებოდა, მაგრამ, როდესაც მას არასოდეს არ გაუწევენ. ერთმა ჩვენმა მეგო-ბარმა, რომელსაც მე ერთხელ ამავე ხეების ჩრდილში ვესაუბრე-

ბოდი, მოსწრებულად თქვა, რომ ჭეშმარიტების გადაცემა ზოგიერთისათვის, ეს იგივე იქნებოდა, რაც სინათლის შეშუქება ჭოტთა ბუდეში; ის მხოლოდ თვალებს მოსჭრის და აახმაურებს მათ. ხალხი რომ მარტო იმისთვის ყოფილიყო უმეცარი, რომ არაფერი არ უსწავლია, მათი განათლება, იქნებ, კიდევ შესაძლებელი ყოფილიყო. მაგრამ მათი სიბრმავე სისტემატურია. არისტ, თქვენ საქმე გაქვთ ისეთ ხალხთან, რომელმაც არამცთუ არაფერი იცის, არც სურს იცოდეს. უნებლიედ შემცდარი შეიძლება გონზე მოიყვანოთ; მაგრამ რომელი მხრიდან გინდათ შეუტიოთ იმ ადამიანს, რომელიც თავს იცავს საღ გონიერებისაგან? ნუ მოელით, რომ თქვენი შრომა სხვა ვინმეს სარგებლობას მოუტანს; გეშინოდეთ მხოლოდ იმის, რომ მან თქვენვე არ მოგაყენოთ დაუსრულებელი ზიანი. რელიგია და მთავრობა – წმინდა საგნებია და მათი შეხება აკრძალულია. იმათ, ვისაც ეკლესიისა და სახელმწიფოს საჭე უკავიათ, ძალიან გაუძნელდებოდათ დამაკმაყოფილებელი პასუხის მოცემა მასზე, თუ რატომ მოითხოვენ ისინი ჩვენგან ასე ღრმა მდუმარებას; მაგრამ კეთილგონიერება მოითხოვს, რომ დავმორჩილდეთ და ხმა გავკმინდოთ, თუ კი, რასაკვირველია, ისეთ მწვერვალზე არ ვიმყოფებით, რომელიც მათი ისრებისათვის მიუწდომელი იქნებოდა და საიდანაც ჩვენ შეგვეძლებოდა მათთვის ჭეშმარიტება გვემცნო“.

171

– მესმის, ვუპასუხე მე, – მთელი სიბრძნე თქვენი დარიგების; მაგრამ მისი ასრულების დაუპირებლად, ნებას ვაძლევ ჩემს თავს, შეგეკითხოთ, თუ რატომ არის აკრძალული მთავრობისა და რელიგიის შესახებ წერა? თუ სამართლიანობა და ჭეშმარიტება მხოლოდ მოიგებდნენ ჩემი კვლევითი მუშაობისაგან, სასაცილო იქნებოდა ჩემთვის ასეთი მუშაობის აკრძალვა. ნუთუ რელიგიის შესახებ თავისუფალი მსჯელობა უფრო სახიფათო ლახვარი იქნებოდა მისთვის, ვიდრე მასზე ლაპარაკის სრული აღკრძალვა? რომ ცნობილ კოშენს [72], როდესაც მან სასამართლოს თავის საბუთები და მოსაზრებები გადასცა, დასასრულ მოეთხოვა მოწინააღმდეგე მხარეს აუკრძალეთ პასუხის გაცემაო, რარიგ უცნაური შთაბეჭდილება შეიქნებოდა მისი ალალმართლობის შესახებ? დაე, მაჰმადიანები ასულდგმულოს რელიგიური მოუთმენლობის ჟინმა; დაე, მათ დაიცვან ცეცხლითა და მახვილით თავისი რელიგია, ისინი ამით არ ღალატობენ ლოღიკურ თანმიმდევრობას; მაგრამ, როდესაც ადამიანები, რომლებიც თავის თავს იმის მიმდევრებად სთვლიან, ვინც ქვეყნად სიყვარულის, სათნოებისა და მშვიდობიანობის კანონი მოიტანა, შეიარაღებული ხელით იცავენ ამ კანონს, ეს სრულიად აუტანელია. მათ ალბად დაივიწყეს თუ როგორი სიმკაცრით გაჰკიცხა ქრისტემ თავის გულფიცხი მოწაფეები, ზეციდან ცეცხლის მოვლინება რომ სთხოვეს მას იმ ქალაქების გადასაბუგავად, რომლების მოქცევაც მათ ვერ მოახერხეს? თუ დამოუკიდებელი გონების მსჯელობა საფუძველია, შეცდომა იქნე-

ბოდა მის წინააღმდეგ ბრძოლა თუ კი ის უვარგისია – სასაცილოა შიში მის წინაშე.

– თქვენს წინააღმდეგ იმის თქმა შეიძლება, – მიპასუხა კლეობულმა, რომ არიან ისეთი ცრურწმენანი, რომლებიც ხალხს ესაჭიროებიან.

– რომელნი? გავაწყვეტინე მე. თუ ადამიანი სცნობს ღვთის არსებობას, ზნეობრივი ავკარგის რეალობას, სულის უკვდაობას, ჯილდოს და სასჯელს იმ ქვეყნად, მაშინ რად სჭირდება მას ცრურწმენები? თუ დამატებით ამისა მას კიდევ აზიარებენ უღრმეს საიდუმლოებას გარდაქმნისას, მოქცევისას, სამებისას, ჰიპოსტაზური ერთარსებობისას, წინასწარ განსაზღვრულობისას, განხორციელებისას და სხ., განა ის ამით უკეთესი მოქალაქე შეიქნება? ასჯერ უკეთესადაც რომ იცოდეს მან, ვიდრე სორბონისტმა [72] დახელოვნებულმა მოკამათემ, სამი სხვადასხვა სუბსტანციაა ღვთიური სამება თუ არა, ყოვლისშემძლეა ძე და სულიწმინდა, თუ ისინი მამაღმერთს არიან დაქვემდებარებულნი, სამების ერთარსებობა გამოიხატება ყველა მათ მიერ თითოეული მათგანის შინაგან აზრთა და სურვილთა ცოდნაში

თუ არა; ანდა შესაძლოა ისიც იყოს, რომ ღმერთი სამპიროვანი არაა; ხომ არ არიან მამა, ძე და სულიწმინდა ღვთის სამი სხვადასხვა ატრიბუტები, მისი მადლიანობა, სიბრძნე და ყოვლისშემძლეობა; ღვთის ნებისყოფის სამ სხვადასხვა გამოვლინებას ხომ არ წარმოადგენენ ისინი; „ხომ არ წარმოადგენენ ისინი ქმნილებას, ცოდვის გამოსყიდვას და პატიებას; ან მამაღმერთის ორ ქმედებას ან ორ ატრიბუტს: მის თვითშეგნებას, რომლიდანაც ძე იბადება, და მის სიყვარულს ძის მიმართ, რომლიდანაც სულიწმინდა გადმოდის; ანდა ერთიდაიმავე სუბსტანციის სამს ურთიერთდამოკიდებულებას ხომ არ წარმოადგენენ. ეს სუბსტანციები, სახელდობრ, ხომ არაა ღმერთი ხელქმნილი, წარმოშობილი და შექმნილი ან, მხოლოდ სამი უბრალო სახელწოდება ხომ არაა აქ? ყველაფერი ეს რომ მან გაიგოს გახდება ის ამით უფრო პატიოსანი ადამიანი? არა, ჩემო ძვირფასო კლეობულ, რომ შეიგნოს კიდეც ყოველივე საიდუმლოება სამ პიროვნების, თანაარსების, ერთარსებობის, ჰიპოსტაზის – ის ამასთან ერთად შეიძლება დარჩეს ჩვეულებრივ ქარაფშუტად. ქრისტემ სთქვა: გიყვარდეთ ღმერთი მთელი თქვენი სულით და გულით და თქვენი მოყვასი, ისე როგორც საკუთარი თავი; აი ნამდვილი ჭეშმარიტება. ის საკმაოდ გონიერი და სამართლიანი იყო იმისათვის, რომ ადამიანთა ხსნა და მადლი უაზრო და უშინაარსო სიტყვებთან არ დაეკავშირებია. კლეობულ, უდიდეს ჭეშმარიტებებს არ შეეძლო სისხლით ავსება ქვეყნისა. ადამიანები ერთმანეთს ჟლეტდნენ მხოლოდ იმისათვის, რაც მათ არ გაეგებოდათ. გადაათვალიერეთ ეკლესიის ისტორია და ის დაგარწმუნებთ, რომ ქრისტიანულ რელიგიას პირველყოფილი სიმარტივე რომ შეენახა მარტო ღვთისცნობა და მოყვასის სიყვარული რომ

მოეთხოვათ ხალხისაგან; ქრისტიანობა რომ არ დაეტვირთათ უთვალავი ცრუმორწმუნეობებით, რომლებმაც შემდეგში ღმერთთან შეუფერებლად გახადეს იგი ყოველი გონიერი ადამიანის თვალში; ერთი სიტყვით, ხალხისათვის რომ მხოლოდ ერთი ღვთისმსახურება ექადაგებიათ, რომელსაც ყოველი ადამიანის სულში შეეძლო მოენახა თავის დასაყრდენი, ის არასოდეს არ უკუაგდებდა მას და არც შეებრძოლებოდა ერთიმეორეს იმის აღიარების შემდეგ. ანგარებამ შვა ხუცები, ხუცებმა – ცრუმორწმუნეები, ცრუმორწმუნეებმა – ომები და ომები იარსებებენ მანამ, სანამ იარსებებენ ცრუმორწმუნოებები, ცრუმორწმუნეები – სანამ ხუცები იქნებიან, და ხუცები კი იქნებიან მანამ, სანამ ხუცობა მათთვის ხელსაყრელი იქნება.

– მე პირდაპირ მეჩვენება, – ჩამომართვა სიტყვა კლეობულმა, რომ თითქო პავლე მოციქულის დროინდელ ეფესში ვარ და ჩემს გარშემო ხუცებს ისეთივე ღმუილი აუტეხიათ, როგორიც პავლე მო-

ციქულს აუტეხეს. „თუ ეს კაცი მართალია, იყვირებენ წმინდა ნაშთებით მოვაჭრენი, მაშინ ჩვენს ვაჭრობას ბოლო ეღება, ჩვენ მხოლოდ ისღა გვრჩება, რომ მივკეტოთ დუქნები და შიმშილით გავწყდეთ“. არისტ, დამიჯერეთ, თავიდან აიშორეთ ეს აფეთქებები გულისწყრომის, ჩაკეტეთ თქვენი ხელთნაწერი და ჩვენი მეგობრების გარდა არავის აჩვენოთ იგი. თუ თქვენ დიდად აფასებთ მწერლის და მოაზროვნის სახელს, ისინი იძულებული იქნებიან მოგანიჭონ თქვენ ეს პატივი. მაგრამ, თუ უფრო ფართო სახელის მოხვეჭა გწყურიათ და არ გაკმაყოფილებთ გულახდილი ქება და პატივისცემა ფილოსოფოსთა მცირე საზოგადოებისა, მაშინ გამოეცით შრომა, რომელსაც თქვენ უშიშრად შესძლებთ იცნოთ საკუთრებად. მოჰკიდეთ ხელი რაიმე სხვა საკითხს, თქვენ მონახავთ ათას და მეტს თემას, რომლებიც მდიდარ მასალას მისცემენ თქვენს მსუბუქ კალამს.

– რაც მე მეხება, კლეობულ, – ვუპასუხე მე, – რამდენიც არ ვუკვირდები ჩემს გარშემო მყოფ საგნებს, მათში მხოლოდ ორს, ჩემი ყურადღების ღირსს ვამჩნევ და ეს სწორედ ისინია, რომლებზედაც თქვენ მე ლაპარაკს მიკრძალავთ. თუ რელიგიაზე და ხელისუფლებაზე გამაჩუმებთ, მე სალაპარაკო არაფერი დამრჩება. მართლა და რა საინტერესოა ის, რომ ვინმე აკადემიკოსმა უმსგავსო რომანი დასწერა; რომ ვინმე ხუცმა ტაძარში აკადემიური სიტყვა წარმოსთქვა; რომ ამათუიმ აზნაურმა აგვავსო თავისი უბადრუკი ბროშურებით; რომ ჰერცოგის ცოლი თავისი პაჟების ყურადღებას მათხოვრობს? თუ ვინაა ჰერცოგის ვაჟის ნამდვილი მამა; ან D თვითონ სწერს თავის რომანებს, თუ სხვები უწერენ? ყოველივე ეს ფუჭი და უმნიშვნელოა. ამ სისულელეებს არ შეუძლიათ რაიმე გავლენა იქონიონ არც თქვენს და არც ჩემს კეთილდღეობაზე. შეუძლებელია, მაგრამ დავუშვათ, რომ ვინმესთან დაკავშირებული საზიზღარი ისტორია ოთხჯერ კიდევ უფრო საზიზღარი აღმოჩენილიყო – სახელმწიფოს მართვაგამგე-

ობა ამით არ გახდებოდა უფრო კარგი ან უფრო ცუდი. ეჰ, ძვირ-
ფასო კლეობულ, მოგვინახეთ უფრო საინტერესო თემები, ან ნება
გვიბოძეთ გულხელდაკრეფილი ვისხდეთ.

– არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს, – მიპასუხა კლეობულმა,
– ისხედით გულხელდაკრეფილი, რამდენიც გსურდეთ. ხოლო ნურა-
სოდეს ნუ დასწერთ ნურაფერს, თუ თქვენ მიერ დაწერილი თქვენვე
დაგღუპავთ; მაგრამ თუ ხალხის ხარჯზე გინდათ თქვენ მაინცადა-
მაინც თავისუფალი დროის გამოყენება, რატომ არ მიჰბაძავთ ახალ
ავტორს, ცრუმორწმუნეებზე რომ დასწერა?

– მე გაგიგეთ, კლეობულ; თქვენ მირჩევთ იმგვარად ვილაპა-
რაკო ხალხის ცრუმორწმუნეობაზე, რომ ყველას ვაფიქრებიო თითქო

მე მათ სავსებით ვიზიარებ. განა ეს გაქვთ მხედველობაში? ამას მი-
სახავთ მისაბაძ მაგალითად?

„როდესაც შემატყობიეს ამ წიგნის გამოსვლა, ვიფიქრე: აი
წიგნი, რომელსაც მე მოველოდი! სად იყიდება? – ვიკითხე ჩურჩუ-
ლით. G-სთან, წმინდა იაკობის ქუჩაზე, მიპასუხეს სრულიად დაუფა-
რავად. როგორ მოხდა, განვაგრძობდი მე ჩემთვის ფიქრს, ნუთუ
მოინახა პატიოსანი ცენზორი, რომელმაც მსხვერპლად შესწირა თა-
ვისი ჯამაგირი ჭეშმარიტებას, ან შეიძლება წიგნი ისე ცუდად იყო
დაწერილი, რომ ცენზორს შეეძლო მისი გაშვება სრულიად უხიფა-
თოდ? მე გადავიკითხე ეს წიგნი და დავრწმუნდი, რომ ცენზორს
არავითარი რისკი არ გაუწევია. ამრიგად თქვენ მირჩევთ, კლეო-
ბულ, ან არაფერი ვწერო, ანდა ცუდი წიგნი დავწერო.

– რასაკვირველია, – მიპასუხა კლეობულმა, – სჯობია ცუდი ავ-
ტორი იქნე და დაზღვეული, ვიდრე კარგი და დევნილი. საერთოდ,
თქვა ერთმა, სხვათა შორის, ფუქსავატმა მწერალმა, რომ მთქნარების
გამომწვევი წიგნი არავის არაფერს არ უშავებსო.

– მე შევეცდები, – ვუთხარი მე, – კარგი წიგნი დავწერო და
დევნა თავიდან ავიშორო.

– გისურვებთ წარმატებას. მაგრამ ერთადერთ სწორ საშუა-
ლებად ვინმეს გაუღიზიანებლად თქვენი მიზნების შესრულებისათვის
მე მიმაჩნია – გრძელი ისტორიული, დოგმატური და კრიტიკული
თხზულების შედგენა, რომელსაც არავინ წაიკითხავს და ცრუმორ-
წმუნეთ შეეძლებათ მისი უპასუხოდ დატოვება. თქვენ პატივი გექ-
ნებოდათ ერთსა და იმავე თაროზე ყოფილიყავით გამოჭიმული იან-
ჰუსთან, სოსენთან, ცვინგლისთან, ლიუთერთან და კალვინთან ერთად
და ერთი წლის შემდეგ არავის ეხსომებოდა კიდეც, რომ თქვენ წიგნი
დასწერეთ. პირიქით, თუ თქვენ ბეილის, მონტენის, ვოლტერის,
ბერკლის, ვულსტონის, სვაიფტისა და მონტესკიეს კილოს შეითვი-
სებთ, რასაკვირველია, თქვენ მეტი ხანგრძლივობის შანსები მოგეცე-
მათ; მაგრამ რა ძვირად დაგიჯდებათ ეს უპირატესობა! ძვირფასო
არისტ, კარგად გყავთ გაცნობილი ისინი, ვისიც დაცინვას თქვენ

აპირებთ? საკმარისია წამოგცდეთ, რომ ერთარსება უაზრო სიტყვაა, უმალვე თქვენ ათეისტად გამოგაცხადებენ; მაგრამ ყოველი ათეისტი ხომ დაწყევლილია, ხოლო ყოველი ასეთი დაწყევლილი კი ცეცხლში დასაწვავია, როგორც საიქიოში, ისე სააქაოში. ამ გულშემატკივარი დასკვნის საფუძველზე დაიწყება თქვენი სჯა და დევნა. სატანა – ღვთის წყრომის მსახურია, ეს ხალხი კი, როგორც ერთი ჩვენი მეგობართაგანი ამბობდა, უარს არ იტყოდა სატანის წყრომის

მომსახურეობაზე. მაღალწოდების ხალხი სიამოვნებით ამოიკითხავს თქვენი წიგნიდან თავის საკუთარი ზნეობის სატირულ აღწერას; ფილოსოფოსები გაიცინებენ იმ მოსწრებულ სიტყვებზე, რომლების საშუალებითაც თქვენ მათ აზრებს ანადგურებთ. მაგრამ ღვთისმსახურებმა ხუმრობა არ იციან, მაგათ უფრთხილდით. ისინი ყოველივეს სერიოზულად ღებულობენ და უფრო ადვილად გაპატიებენ ას წინააღმდეგ თქმულს, ვიდრე ერთ მახვილ სიტყვას.

– მაგრამ, არ შეგიძლიათ ამიხსნათ, ძვირფასო კლეობულ, რატომ ასე სძულთ თეოლოგებს ხუმრობა? ხომ ცნობილია, რომ არაფერი ისე სასარგებლო არაა, როგორც მოსწრებული სიტყვა; რაც შეეხება კი უხეიროს, არაფერი შეიძლება, ვფიქრობ, ისეთი უდანაშაულო იყვეს. ცუდად დასცინო, ეს იგივეა, სარკეს რომ სული უბერო. ორთქლი თავისთავად ჩამოეცილება უმალვე მის ზედაპირს. და ისევ დაუბრუნდება მისი კრისტალური სიწმინდე. არა, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ ზედმეტად სერიოზულ ბატონებს ან თვითონ არ ეხერხებათ ხუმრობა, ან არ ესმით, რომ ჭეშმარიტებას, სიკეთეს და სილამაზეს ვერ დასცინებ, ან, დასასრულ ისინი ზედმეტი გარკვეულობით გრძნობენ, რომ ეს თვისებები მათთვის სავსებით უცნობია.

– მართალია, რასაკვირველია, პირველი, – თქვა კლეობულმა, ვინაიდან რა შეიძლება უფრო აუტანელი იყოს, ვინემ ღვთისმეტყველი, რომელიც ოხუნჯობას ჩემობს, ხოლო თუ ის არ არის ახალგაზრდა სამხედრო პირი, რომელსაც ღვთისმეტყველად წარმოუდგენია თავისი თავი. ძვირფასო არისტ, თქვენ საპატიო მდგომარეობა გაქვთ უმაღლეს საზოგადოებაში; თქვენი სახელი ცნობილია; თქვენ მსახურობდით წარჩინებულად; საქმით დაამტკიცეთ თქვენი უმწიკვლო პატიოსნება; არავის ფიქრადაც არ მოსვლია და ვიმედოვნებ, არც მოუვა, თქვენი ნიჭის და სასიამოვნო გარეგნობის უარყოფა; ეს თქვენი ღირსებები იძულებულია სცნოს ყველამ და თქვენ უნდა გიცნობდეთ ყველა, ვისაც სურს მოდას მისდიოს. ასეთ პირობებში კარგი მწერლის სახელი იმდენად მცირე უპირატესობას შეგმატებთ, რომ თავისუფლად შეიძლებოდა მისი მხედველობაში არ მიღება. მაგრამ თუ გათვალისწინებული გაქვთ რა საშიშროებაში გაგდებთ მდაბიო მწერლის რეპუტაცია? იცით, რომ დაბალსულთა ათასები, თქვენი ღირსებათა მოშურნენი, მოუთმენლად ელიან ერთს თქვენს მცდარ ნაბიჯს, რომ ჩირქი მოსცხონ მთელს თქვენს ბრწყინვალე ხარისხს? ნუ გაახარებთ

შურს ამ საცოდავი ნუგეშით: დაე, თქვენი წარმატება მას აკვირვებ-
დეს, აჭკნობდეს და ადუმებდეს“.

ჩვენ საუბრის გაგრძელებას ვაპირებდით და კლეობული, რო-
მელმაც უკვე შემარყია თავისი პირველი მსჯელობით, ალბად ბო-

ლოსდაბოლოს უსათუოდ ჩაახრჩობდა ჩემში სამწერლო განდიდების
სურვილს და ამრიგად, ჩემი, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მისი
ნაწარმოები სამუდამოდ დამრჩებოდა ჩაკეტილი, რომ ამ დროს უეც-
რად გამოჩნდა ახალგაზრდა სკეპტიკოსი ალციფრონი; მან ჩვენი კა-
მათის არბიტრობა იკისრა და გადასწყვიტა რომ, ვინაიდან კლეო-
ბულის ჩემ მიერ ჩაწერილი აზრები რელიგიაზე, ფილოსოფიაზე და
საზოგადოებაზე ხელთნაწერის სახით უკვე გავრცელებულია და რომ
უფრო მეტი აზრი ექნებოდა ამ ხელთნაწერის დაბეჭდვას. „მაგრამ
ყველა იმ უსიამოვნებათა თავიდან ასაშორებლად, კლეობულს რომ
ასე აშინებენ, – დაუმატა მან, – მე გირჩევთ მიმართოთ ამ საქმის
გამო რომელიმე ქვეშევრდომს იმ პრინც-ფილოსოფოსისა, რომელიც
სეირნობს ხანდისხან დაფნის გვირგვინით შუბლშეკრული ჩვენს ხეივ-
ნებში და ისვენებს თავისი კეთილშობილი შრომიდან ჩვენი წაბლნა-
რის ჩრდილში, რომელმაც ესოდენ მჭერმეტყველურად და ჭკვიანად
შეახურა ამასწინათ მაკიაველი. მის სამფლობელოს შეაფარეთ თავი
თქვენი ხელთნაწერით და დაე, მერმე, რამდენიც უნდათ, იმდენი იყ-
ბედონ ფარისევლებმა.

ეს რჩევა სრულიად ეთანხმებოდა ჩემი სიმშვიდის პირობებს,
ჩემს ინტერესებს და ჩემს ცოდვებს; და მე მივსდიე მას.

Punitis ingeniis, gliscit auctoritas.

Tacit., Ann.[73]

სკეპტიკოსის გასეირნება ან ხეივნები

Velut sylvis, ubi passim
Palantes error certo de tramite pellit;
Ille sinistrorsum, hic dextrorsum abit; unus utrique
Error, sed variis illudit partibus. Hoc te
Credo modo insanum: nihilo ut sapientior ille
Qui te deridet, caudam trahat…

Horat., Sat. Lib. II, sat. III. [74]

ეკლნარის ხეივანი

Quone molo mentem concussa? Timore deorum.
Horat., Sat. Lib. II, sat. III. [75]

1. შური მე ბრალს არ დამდებს მასში, რომ მე მილიონობით გავფლანგე სახელმწიფო საშუალებები პერუში მოგზაურობაზე ოქროსათვის, ან ლაპლანდიაში – სიასამურებზე სანადიროდ. ის პირები, რომელთაც ლუდოვიკომ უბრძანა დიდებული ნიუტონის გამოანგარიშებათა შემოწმება და ტუაზებით*) ჩვენი პლანეტის გაზომვა, უჩემოდ აჰყვნენ მდინარე ტორნოს და მე მათთან ერთად არ დავყოლივარ ამაზონის მდინარეს. ამიტომ მე შენ არ მოგიყვები, ძვირფასო არისტ, იმ ხიფათებზე, რომლებიც მე განვიცადე ჩრდილოეთის ყინულებში, ან სამხრეთის მხურვალე უდაბნოებში: და მით უფრო არ გეტყვი იმ სარგებლობაზე, რომელსაც ოდესმე მიიღებენ, ორი ან სამი ათასი წლის შემდეგ, გეოგრაფია, მეზღვაურობა და ასტრონომია ჩემი კუთხსაზომის სასწაულებიდან და ჩემი იშვიათი დურბინდიდან. მე უფრო კეთილშობილ მიზანს ვისახავ, უფრო ხელმისაწდომ სარგებლობას. მე მინდა გავანაწილო და გავაუმჯობესო ადამიანის გონება უბრალო გასეირნების ამბით. ნუთუ ბრძენს ცივილიზებულ ხალხთა გასანათლებლად ზღვების გადალახვა და ბარბაროსული სახელების ან ველურთა შეუკავებელი ვნებების რეგისტრირება სჭირდება? ყველაფერი, რაც ჩვენს გარ-

*) ტუაზი – სიგრძის საზომი. მთარგმნ.

შემოა, დაკვირვების მასალაა. ყველაზე უფრო ჩვეულებრივი საგნები შეიძლება ჩვენთვის სასწაულები იყვნენ. ჩვენ თვალთახედვაზეა ყოველივე დამოკიდებული. თუ თვალთახედვა გაბნეულია – თვალი გვატყვილებს; თუ ის მახვილი და გამჭრიახია – გვაახლოვებს ჭეშმარიტებას.

2. შენ იცნობ ჩვენს დედამიწას: თითონ მიხვდი, რომელი მერიდიანის ქვეშ არის მოთავსებული პატარა მხარე, რომელსაც მე აგიწერ და რომელიც მე ამასწინათ გამოვიკვლიე როგორც ფილოსოფოსმა, იმის შემდეგ, რაც დრო დავკარგე მის შემოვლაში როგორც გეოგრაფმა. მე შენ განდობ მისცე მის სხვადასხვა მცხოვრებლებს ისეთი სახელწოდებები, როგორიც მათს ხასიათსა და ზნეჩვეულებებს შეეფერება. როგორ განცვიფრდები, როდესაც გაიგებ, რომ შენც მათს შორის ცხოვრობ! მაგრამ, ვინაიდან ეს უცნაური ხალხი სხვადასხვა კლასებიდან შესდგება, შეიძლება არც იცოდე, რომელ მათგანს ეკუთვნი და მე წინასწარ მეცინება შენს მძიმე მდგომარეობაზე თუ ვერ შესძელი შენი ვინაობა მითხრა, ან შენს სირცხვილზე, თუ გამოირკვა, რომ შენ უვიცთა ბრბოში იმყოფები.

3. სამეფოს, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, ისეთი ხელმწიფე

განაგებს, რომლის სახელი თითქმის არავითარ უთანხმოებას არ იწვევს მის ქვეშევრდომთა შორის; მაგრამ არ შეიძლება იგივე ითქვას მისი არსებობის შესახებ. ის არავის არ უნახავს; მასთან დაახლოვებულმა იმ პირებმა კი, რომელთაც თითქო უსაუბრნიათ მასთან, ისეთი ბუნდოვანი წინადადებებით გამოთქვეს თავისი აზრი მის შესახებ, იმდენი უცნაური და ერთიმეორის საწინააღმდეგო თვისებები მიაწერეს მას, რომ იმ დღიდან ხალხის ერთს ნაწილს არ შეუწყვეტია სხვადასხვა სისტემების შემუშავება ამ ამოცანის ამოსახსნელად და ურთიერთშორის ბრძოლა თავთავიანთ შეხედულებათა გასამარჯვებლად; მეორე ნაწილმა კი აირჩია დაეჭვება ყველაფერში, რასაც ხელმწიფეზე ლაპარაკობდნენ, ზოგმა ისიც კი გადასწყვიტა, რომ არაფერს ასეთს სრულიად არ დაუჯეროს.

4. მიუხედავად ამისა, ამ ხელმწიფეს სთვლიან განუზომელი სიბრძნის მქონედ, განათლებულად, აღვსილად ყოველივე სათნოებით თავის ქვეშევრდომთა მიმართ, მაგრამ, რადგანაც მას გადაწყვეტილი აქვს მიუწვდომელი იყოს, დროებით მაინც, და ვინაიდან მას ყოველივე ურთიერთობა ხალხთან, ალბად, დაამცირებდა, ამიტომ, საშუალება, რომელიც მან აირჩია თავისი კანონებისა და ნებისყოფის გამოსაქვეყნებლად, მეტისმეტად ბუნდოვანია. ისინი, რომელნიც, ამბობენ რომ ვითომდა მისგან შთაგონებულნი არიან, ისე ხშირად ფანტაზიორები ან თაღლითები აღმოჩენილან, რომ უნებლიედ გებადებათ აზრი, რომ

ისინი მართლაც ასეთები არიან და მომავალშიაც ყოველთვის ასეთებივე იქნებიან. ორი სქელი ტომი, სასწაულებით და დადგენილებებით გატენილი, ხან ფრიად უცნაურით, ხან კი სრულიად გონიერით, შეიცავენ ხელმწიფის ნებისყოფის გამომჟღავნებას. ეს წიგნები ისე უთავბოლოდ არიან დაწერილნი, რომ გაფიქრებინებთ კიდეც, რომ ხელმწიფე უყურადღებობას იჩენდა გადამწერთა შერჩევის დროს ანდა ეს უკანასკნელნი ხშირად ბოროტად იყენებდნენ მის ნდობას. პირველი ტომი შეიცავს უცნაურ წესდებებს, დასაბუთებულს სასწაულების გრძელი რიგით; მეორე ტომი კი აუქმებს ამ პირველის პრივილეგიებს და შემოაქვს ახალი, დამყარებული ისევ სასწაულებზე; აქედან – შუღლი პრივილეგიურთა შორის. ახალ პრივილეგირებულთ ხელმწიფის ერთად-ერთი წყალობის ღირსად მიაჩნიათ თავი და სძულთ ძველები, როგორც დაბრმავებულნი; უკანასკნელთ კი სძულთ პირველნი როგორც თვალთმაქცნი და ძალით მიმთვისებელნი. მაგრამ შემდეგში მე უფრო დაწერილებით გადმოგცემ ამ ორმაგი კოდექსის შინაარს. ახლა ისევ ხელმწიფეს დავუბრუნდეთ.

5. ამბობენ, რომ ხელმწიფე სცხოვრობს განსხივოსნებულ, წარმტაც და განსაცხრომ ადგილზე, რომელიც სულ სხვადასხვანაირად არის აღწერილი იმისდამიხედვით, თუ რომელ აღმწერს როგორი სიძლიერის ფანტაზია ჰქონდა. ეს ის ადგილია, საითკენაც ყველა ჩვენგანი მიდის. ხელმწიფის დარბაზი – შეხვედრათა საერთო ადგილია,

რომელსაც ჩვენ განუწყვეტლივ ვუახლოვდებით; და ამბობენ, რომ
იქ ჩვენ დაგვაჯილდოებენ ან დაგვსჯიან იმისდამიხედვით, კეთილი
თუ ავი მოქცევა გვქონდა გზაში.

6. ჩვენ ვიბადებით ჯარისკაცებად; მაგრამ ჯარში ჩვენი ჩა-
რიცხვის წესი სწორედ რომ ახირებულია: როდესაც ისეთ ღრმა
ძილში ვართ, რომ არცერთ ჩვენგანს არცკი ამახსოვრდება ძილში
იყო ის იმ დროს, თუ ღვიძავდა, ჩვენ მოგვიყენებენ ორ მოწმეს; შემ-
დეგ, მძინარესვე შეეკითხებიან, უნდა თუ არა მას ჯარში ჩარიცხვა;
მოწმეები მის მაგიერ აძლევენ დადებით პასუხს, ხელს აწერენ ვალ-
დებულებას და ის ჯარისკაცად ხდება.

7. ყოველ სამხედრო სახელმწიფოში დაწესებულია სამხედრო
ნიშნები. რომლებიც შესაძლებლად ჰხდიან სამხედრო პროფესიის
მქონე პირების გამოცნობას და მათზე სასჯელის დადებას, როგორც
დეზერტირებზე, თუ ისინი სამსახურს გაექცევიან ბრძანების ან აუ-
ცილებლობის გარეშე. მაგალითად, რომაელები ახალწვეულებს ადებ-
დნენ დაღს, რომელიც მიაჯაჭვავდა მათ სამხედრო სამსახურს სიკვ-
დილით დასჯის შიშით. ასეთივე ზომა იყო მიღებული ჩვენს სახელ-
მწიფოშიაც; და კოდექსის პირველ ტომში მოთავსებული იყო ბრძა-

ნება – ნიშანი დაედვათ ყველა ჯარისკაცისათვის სხეულის სწორედ
იმ ნაწილზე, რომელიც მამრობით სქესს აღნიშნავს. მაგრამ ან
ჩვენმა ხელმწიფემ გადაიფიქრა, ან იმ სქესმა, რომელსაც ზნედ
აქვს ჩვენს უპირატესობათა წინააღმდეგ ცილობა, ჩათვალა თავი სამ-
ხედრო საქმისათვის არანაკლებ გამოსადეგად და პროტესტი განა-
ცხადა; ყოველ შემთხვევაში, მეორე ტომში ეს ბოროტმოქმედება
შეიცვალა. შარვალი აღარ ანსხვავებდა სამხედროებს. გამოჩნდნენ
კაბებში გამოწყობილი ჯარებიც; და ხელმწიფის ჯარი შესდგებოდა
როგორც გმირი კაცებიდან, ისე ამორძალებიდანაც, რომლებიც ყვე-
ლა ერთ ფორმაში იყო გამოწყობილი. სამხედრო მინისტრი, რო-
მელსაც დავალებული ჰქონდა ამ ფორმის განსაზღვრა, შეჩერდა
თვალსახვევზე და კაბაზე ან თეთრ წამოსასხამზე. ეს სამხედრო ტანსაც-
მელია და ის, უეჭველია, უფრო შეეფერება ორივე სქესს, ვიდრე პირ-
ველი, რაც განსაცვიფრებელი საშუალებაა ჯარისკაცთა რიცხვის გა-
ორკეცებისათვის. უნდა აღინიშნოს სხვათა შორის, ქალთა სქესის
პატივსაცემლად, რომ ძალიან ცოტაა მამაკაცები, რომელთაც ისეთი-
ვე მოხდენილად შეეძლოთ თვალსახვევის ტარება, როგორც ქალებს.

8. ჯარისკაცის მოვალეობას შეადგენს კარგად ატაროს თა-
ვისი თვალსახვევი და ულაქოდ შეინახოს ტანსაცმელი. ხმარებისა-
გან თვალსახვევი ან სქელდება ან თხელდება. ზოგის ხელში ის გადა-
იქცევა სქელი მასალის ნაჭრად; ზოგისაშიც კიდევ – თხელ დოლბან-
დად, რომელიც ყოველწამს მზადაა გასახევად. ლაქდაუსმელი ტან-
საცმელი და ორი ერთიდაიმავე სისქის თვალსახვევი: აი, რაც ჯერ
არავის უნახავს. თქვენ მხდალად ჩაითვლებით თუ თქვენი ტანსაცმელი

ვისმეს გაასვრევინეთ; თუ კი თქვენი თვალსახვევი გაიხა ან ჩამოვარდა, დეზერტირად ჩაითვლებით. ჩემს ტანსაცმელზე, მე ერთ სიტყვასაც არ გეტყვი, ჩემო მეგობარო. ამბობენ, რომ მისი ქება, მისი დალაქვა იქნებოდა, ზიზღით მისს მოხსენებას კი შენში შეიძლება მისი გაჭუჭყიანების ფიქრი გამოეწვია. რაც შეეხება ჩემს თვალსახვევს, მე დიდი ხანია მოვიშორე იგი. თვითონ არ იყო კარგად დამაგრებული თუ ჩემმან მეცადინეობამ ჰქმნა ეს, ყოველ შემთხვევაში, ის ჩამოვარდა.

9. გვარწმუნებენ, რომ ჩვენი ხელმწიფე ყოველმხრივ განათლებულიაო; მაგრამ ჩვენი კოდექსი, თითქო მის მიერ გამოცემული, არაჩვეულებრივ ბნელია. რამდენადაც გონიერია ყოველივე ის, რაც მეომრის ტანსაცმელის შესახებ სწერია, იმდენადვე სასაცილონი არიან თვალსახვევის ნაწილები. ამტკიცებენ, მაგალითად, რომ თუ ეს თვალსახვევი სქელი მატერიიდან გაკეთდა, ის არამცთუ ხელს არ შეუშლის მხედველობას, წინააღმდეგ, ის შესაძლებელსაც კი გახდის,

უამრავი ისეთი სასწაულები დაინახო, რომელთაც უბრალო თვალი ვერ დაინახავსო; ამასთან ერთად, მას აქვს ერთი თვისება, – ის წახნაგოვანი პრიზმაა, რომელსაც ძალუძს ერთი და იგივე საგანი ერთდროულად რამდენიმე ადგილას მოგაჩვენოთ; ამ უაზრობის დასამტკიცებლად იმდენი სხვადასხვა აბდაუბდაა იქ მოყვანილი, რომ ზოგიერთ დეზერტირებს თავში ფიქრმა გაუარა მოკლე ჭკუის პატრონებმა ხომ არ ჩააგონეს ჩვენს კანონმდებელს თავისი აზრები და შეატანინეს ახალ კოდექსში იმდენი ბავშური ჩმახი, რომლის ნატამალიც კი არ გვხვდება ძველ კოდექსშიო. მაგრამ განსაცვიფრებელია მათ მიერ ის დამატება, რომ ამ ბოდვების ცოდნა სრულიად აუცილებელია ჩვენი მონარქის სასახლეში შესასვლელადო. შენ, რასაკვირველია, მკითხავ, თუ რა ბედი ეწვია ყველა მას, ვინც ახალი კოდექსის გამოქვეყნებამდე ცხოვრობდა. უნდა გამოვტყდე, რომ ამის შესახებ არაფერი ვიცი... ის პირები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ ამ საქმეში გარკვეული არიან, ამბობენ ხელმწიფის გასამართლებლად, რომ მან თითქო ყოველივე ეს აცნობა საიდუმლოდ თავის ძველ ღენერლებს; მაგრამ ისინი ვერ ხსნიან იმას თუ, რატომ დაითხოვა მან თავისი ჯარისკაცები, რომლებიც თავისთვის წყნარად ცხოვრობდნენ და, რასაკვირველია, ძლიერ განცვიფრებულნი დარჩნენ, როდესაც სასახლეში გამოცხადებისას ასეთი საძაგელი შეხვედრა მიიღეს იმ საგნების უცოდინარობისა გამო, რომლებიც მათ არც შეიძლებოდა სცოდნოდათ.

10. ჯარები დაბანაკებული არიან ნაკლებად ცნობილ ადგილებზე. ამაოდ ღაღადებენ ისინი თითქოსდა იქ ყველაფერი ჭარბად მოიპოვებოდეს: საფიქრებელია, რომ იქ ცუდი საცხოვრებელი უნდა იყოს, რადგანაც თვით ისინი, ვინც ჯარში ჩვენს ჩარიცხვას აწარმოებენ, გარკვეულს არაფერს გვეუბნებიან, საერთო ფრაზებით მიდიან

იოლად, ეშინიათ მეტი სიტყვის დაცდენისა და ცდილობენ რაც შეიძლება დაგვიანებით უკან გაბრუნებას.

11. სამ გზას მივყევართ ხელმწიფის სასახლისაკენ. ერთი, რომელიც მარცხნივაა, ყველაზე საიმედოთ ითვლება, თუმცა ნამდვილად კი ყველაზე უფრო საწვალებელია. ეს, გრძელი, ვიწრო ღორღოვანი, ქვიანი და ნარეკლით მოშაბნარებული ბილიკია. ის აშინებს მგზავრს; უგუნებოდ მიჰყვება მას მგზავრი და ყოველთვის მზადაა გვერდზე გადაუხვიოს.

12. წინ მეორე გზაა, გაჭიმული, განიერი, მიმზიდველი, სულ ყვავილებით მოფენილი; მას სასიამოვნო დაქანება ემჩნევა; უნებლიედ ამ გზით წასვლის სურვილი იბადება; ის მანძილსაც ამოკლებს, თუმცა ეს არცთუ ღირსებაა მისი, რადგან სასიამოვნოცაა და, არავის

არ ეწყინებოდა, რომ ის გრძელი ყოფილიყო. მაგრამ, თუ მგზავრი ფრთხილია და ყურადღებით ათვალიერებს ამ გზას, ის მალე დარწმუნდება, რომ ეს გზაც უსწორმასწორო, მიხვეულ-მოხვეული და სახიფათოა. ის ამჩნევს, რომ გზა სწრაფად ეშვება თავქვე; ის ხვდება, რომ ყვავილებს ქვეშ ჯურღმულებია; მას ეშინია ფეხი არ დაუცდეს; ის გვერდზე უხვევს, მაგრამ უნდილად სჩადის ამას; ოდნავი თავდავიწყებისას ის უკანვე ბრუნდება; და არაა ისეთი ადამიანი, რომელიც ერთი წუთით მაინც თავდავიწყებას არ მისცემოდეს.

13. მარჯვნივ მიდის პატარა ბნელი ხეივანი, წაბლნარით შემოქობილი და ქვიშით მოფენილი. უფრო მოხერხებული, ვიდრე ეკლნარი ხეივანი, ნაკლებ სასასიამოვნო, ვიდრე ყვავილთა ხეივანი, უფრო საიმედო, ვიდრე პირველი ან მეორე, მაგრამ ძნელია მასზე ბოლომდე გავლა, რადგან მისი ქვიშა სულ უფრო და უფრო მერყევი ხდება.

14. ეკლნარ ხეივანში შეხვდებით შოლტებს, ნიღბებს, ღვთისმოშიშ ფიქრთა კრებულს, მისტიკურ მჟვნებს, დარიგებებს თუ როგორ ასცდე ტანსაცმელის გასვრას ან რა საშუალებები უნდა იხმარო მის გასაწმენდად, და უამრავ სწავლა-დარიგებებს, თუ როგორ უნდა ატარო მტკიცედ თვალსახვევი, რომ ის არ ჩამოგძვრეს, ისეთ რჩევებს, რომლებიც სრულიად ზედმეტია სულელთათვის და რომლებშიაც არ მოინახება არცერთი კარგი, გონიერ ადამიანს რომ რამეში გამოადგეს.

15. ყვავილების ხეივანი მოფენილია ბანქოებით, კამათლით, ფულით, ძვირფასი ქვებით, სამკაულებით, ზღაპრებით და რომანებით; საითკენაც გაიხედავ მწვანე მოლით გაკეთებული საწოლებია და ზედ ფერიები, რომელთა მშვენიერებაც, დასთმობ მათ თუ გამოიყენებ სულ ერთია, არავითარ საფრთხეს არ გიმზადებს.

16. წაბლნარ ხეივანში ნახავ სფეროებს, გლობუსებს, ტელესკოპებს, წიგნებს, ჩრდილს და მდუმარებას.

17. იმ ღრმა ძილიდან გამოსვლის შემდეგ, რომლის დროსაც

ჯარში ჩარიცხვა სდება, ადამიანი ეკლიან ბილიკზე ხედავს თავის
თავს, ჩაცმულს თეთრ მოსასხამში, თვალახვეულს სახვევით. ადვი-
ლი წარმოსადგენია თუ რა უხერხული იქნება მათთვის ეკლიან ბუჩ-
ქებში ძრომა. მიუხედავად ამისა, არიან ისეთი ჯარისკაცები, რომ-
ლებიც ყოველ ნაბიჯზე ადიდებენ განგებას იმისათვის, რომ მან
ისინი ამ გზაზე დააყენა, მათ გულახდილად ახარებთ განუწყვეტელი
ჩხვლეტა, ისინი იშვიათად ემორჩილებიან თავის ტანსაცმელის დასვ-
რის საცთურს და არასოდეს არ ცდილან თვალთსაბურავის ან ახ-
დას ან დაგლეჯას; მათ მტკიცედ სწამთ, რომ რამდენადაც უფრო

ცუდად ხედავ, მით უფრო სისწორით მიდიხარ, რისთვისაც ხელმ-
წიფე მადლობას უძღვნის მათ, როგორც საკუთარი თვალების გამოუ-
ყენებლად დატოვებისთვის, ისე გულმოდგინე ზრუნვისათვის საკუ-
თარ ტანსაცმელზე.

18. და ვინ დაიჯერებს? ეს გააფთრებულნი ბედნიერნი არიან.
ისინი სრულებითაც არ ნანობენ იმ ორგანოს გაუქმებაზე, რომ-
ლის ფასიც არ იციან; თვალსაბურველი მათ ძვირფას სამკაუ-
ლად მიაჩნიათ; უმალ თავის სისხლს დაღვრიან ისინი უკანასკნელ
წვეთამდე, ვიდრე ამ საბურავს დასთმობენ; მათ ახარებთ, რომ თა-
ვიანთი ტანსაცმელი თეთრი ეგულვებათ; ჩვეულება უგრძნობელს ხდის
მათ ეკლების მიმართ, და ისინი მიდიან თავის გზაზე და მღერიან
თავიანთი ხელმწიფის სადიდებლად, ძველისძველს, მაგრამ უაღრესად
წარმტაც სიმღერებს.

19. დაე, დავსტოვოთ ისინი თავიანთი ცრურწმენაში; მეტის-
მეტად სახიფათო იქნებოდა მათი იქედან გამოყვანა; შეიძლება,
მთელი მათი სიკეთე, მათივე სიბრმავიდან წარმომდინარეობდეს.
თეალსაბურავი რომ მოხსნა მათ, მან იცის, იზრუნებენ თუ არა ისინი
ძველებურად თავიანთ ტანსაცმელზე? ზოგიერთი ადამიანი, ეკლნარ
ხეივანში სახელგანთქმული, შეიძლება, მწყობრში ყოფილიყო გატა-
რებული წაბლნარ ან ყვავილნარ ხეივანში; და, პირიქით, შეიძლება
ადამიანს, ორ უკანასკნელ ხეივნებში წარჩინებულს, გამათრახება და-
ემსახურებია პირველში.

20. ამ სევდიანი ბილიკისაკენ მიმავალი გზები დაკავებულია
ისეთი ხალხით, რომელთაც ზედმიწევნით შეუსწავლიათ იგი; მის
მცოდნეებად სთვლიან თავის თავს, აცნობენ მას მიმავალთ, მაგრამ
ისეთი გულუბრყვილონი არ არიან, რომ თვითონაც აჰყვნენ მას.

21. საერთოდ, რამდენადაც ვიცი, ისინი ყველაზე უფრო ბილწი
ჯიშის ადამიანებია. მედიდურნი, ძუნწნი, პირმოთნენი, ცბიერნი,
შურისმაძიებელნი და, რაც მთავარია, უხიაკნი, ჭირვეულნი, მათ მემ-
კვიდრეობად აქვთ მიღებული ნეტარხსენებული ძმის, იან ანტომე-
რელის საიდუმლოება იმისა, თუ როგორ უნდა დახოცო შენი
მტრები დროშის ტარით; არიან მომენტები, როდესაც ერთმანეთს
ამოჟლეტდნენ ისინი თუნდაც ერთი სიტყვისათვის, რომ ამის ნება

ებოძებინათ მათთვის. არ ვიცი, როგორ, მაგრამ მათ შესძლეს ახალ-
წვეულთა დარწმუნება, რომ მარტო მათი პრივილეგიაა ტანსაც-
მელების გაწმენდა, რის გამო ისინი უკიდურესად საჭირო შეიქნენ იმ
ადამიანებისათვის, რომელთაც თვალები კარგად აქვთ აფარებული
და ადვილად იჯერებენ, რომ მათი ტანსაცმელი დასვრილია.
184

22. ეს ფარისეველნი დღისით დასეირნობენ და ქადაგებენ
ეკლნარ ხეივანში, ღამეებს კი მშვიდობიანად ატარებენ ყვავილე-
ბის ხეივანში. ისინი ამტკიცებენ, რომ ხელმწიფის კანონებით,
მათ ვითომ, აკრძალული აქვთ საკუთარი ცოლების ყოლა. მათ დაა-
ვიწყდათ ამოკითხვა იმავე კანონებიდან, რომ ასევე აკრძალულია
მათთვის სხვისი ცოლების ხელხება, ამიტომ დიდი ხალისით ეა-
ლერსებიან ისინი მგზავრთა ცოლებს. ვერ დაიჯერებენ რა ძნელია
მათთვის ასეთი ფათერაკების დაფარვა მათი მსგავსებისაგან, რადგან
ისინი გულმოდგინედ გლეჯენ ნიღბებს ერთიმეორეს. ყოველ იმ ხშირ
შემთხვევაში, როდესაც მათ ასეთის შესაძლებლობა მიეცემათ, მათს
ხეივანში ამის გამო გაისმოს ღვთისმოშიშური სულთქმა-ოხვრა, ყვა-
ვილების ხეივანში – ხმამაღალი ხარხარი, ჩვენსაში კი – დაბალხმიანი
ეშმაკური ხითხითი. თუ მათი ოინების გამო ხელიდან გამოგვგლიჯეს
თითოოროლა ჩვენგანი, ამას ჩვენ გვინაზღაურებს მათი სასაცილო
მდგომარეობა, რადგან, ადამიანის სასირცხოდ, მწვავე ოხუნჯობა,
მეტად სახიფათოა მათთვის, ვიდრე გონიერი მსჯელობა.

23. რომ უფრო ზუსტი წარმოდგენა გვექნეს მათზე, მე ახლა
უნდა აგიხსნა, თუ ამ წინამძღვართა მეტად მრავალრიცხოვან კორ-
პორაციას როგორ აქვს შექმნილი ერთგვარი მთავარი შტაბი, უფ-
როს და უმცროსხარისხოვანი მოხელეებით, მეტ ან ნაკლებ ჯამაგი-
რებით – ხარისხის მიხედვით, სხვადასხვა ფორმა-მუნდირებით. მრა-
ვალფეროვნება აქ დაუსრულებელია.

24. პირველყოვლისა, არსებობს მეფის მოადგილე რომელიც იმის
შიშით, რომ გასათუთებული ფეხისგულები არ დაუხვიწიანდეს, მხოლოდ
ეტლით, ან ტახტრევანით დაბრძანდება, დიდი თავმდაბლობით უწო-
დებს ის თავის თავს მთელი ქვეყნის მორჩილ მოსამსახურეს; მაგრამ
ამასთანავე ერთად იგი ნებას აძლევს თავისივე მხლებლებს განაცხა-
დონ, რომ მთელი მსოფლიო მისი მონა უნდა იქნესო; და ამას ისე
ხშირად იმეორებენ ისინი, რომ სავსებით დაარწმუნეს მასში სუ-
ლელები, და, მაშასადამე, დიდძალი ხალხი. მართალია, ეკლნარ ხე-
ივნის ზოგიერთ კუთხეში გვხვდება ისეთი ჯარისკაცებიც, რომელ-
თაც თვალთსაბურავი დაცრეციათ და მეფის მოადგილის დესპო-
ტიზმის ვითარსიუფლება არა სჯერათ, მის წინააღმდეგ ისინი უთი-
თებენ ძველ საბუთებში, რომლებზედაც გენერალური შტატების
კრებულის დადგენილებაა აღნიშნული; მაგრამ, ყოველივე პასუხის
მაგიერ, ის სწერს მათ, რომ ისინი სცდებიან; შემდეგ ამისა ის
უთანხმდება თავის ფავორიტებს, და თუ აჯანყებულებმა მაინც თა-

ვისი არ დაიშალეს – ჯამაგირებს და პენსიებს უსპობს მათ, ართ-
მევს ყოველივე საჭურველს და ზოგიერთ შემთხვევებში უფრო სას-

ტიკადაც უსწორდება. არიან ისეთი ყოჩაღებიც, რომლებიც მან ბავ-
შვებივით გაწკეპლა. მათ ხარჯზე მან შეჰქმნა საკმაოდ მსხვილი მე-
ურნეობა, რომლის ძირითად პროდუქციას საპონი და ველენის ქა-
ღალდი შეადგენდნენ, ვანაიდან ის მთელს მსოფლიოში პირველი გა-
მომყვანია ლაქების იმ განსაკუთრებული უპირატესობის გამო, რო-
მელსაც ის ყოველთვის დიდის ხალისით იყენებს, როდესაც ფულს
აძლევენ. მისი პირველი წინაპრები ქვეითად დადიოდნენ ეკლნარ
ხეივანში; ზოგიერთი მისი მემკვიდრეები ყვავილების ხეივანში შეხე-
ტიალდა, ზოგს ჩვენს წაბლნარშიაც უსეირნებია.

25. ამ შეფის ხელქვეით (რომელიც შენ სომხების მამა იაფე-
ტად მოგეჩვენებოდა, იმდენად მანჭიაა ის და ისე კოხტაობს თა-
ვისი ქუდებით) გუბერნატორები და მათი თანაწემწეები იმყოფე-
ბიან. მათგან, ერთი წყება – გამხდარიდა გაყვითლებულია; მეორე –
სავსე და გაღაჟღაჟებული, მესამე – ტანადი და მოქნილი. ისინი გან-
საკუთრებულ კეთილშობილ წოდებას ეკუთვნიან, რომლის განმას-
ხვავებელ ნიშნებს შეადგენენ – გრძელი მოკაუჭებული ჯოხი და თავ-
სახურავი, გადმოღებული კიბელის ქურუმებიდან, რომლებსაც ისინი,
სხვა რამეში სრულიადაც არ ემსგავსებიან; ეს მათ საქმით დაამტკი-
ცეს. ისინი მეფის ლეიტენანტის ფუნქციებს ასრულებენ, და მეფის
მოადგილე მათ თავის მოსამსახურეებს უწოდებს. ისინიც იმავე საპ-
ნით ვაჭრობენ, მაგრამ ეს საპონი უფრო მდარე ხარისხისაა და ამი-
ტომ უფრო იაფი, ვიდრე მეფის მოადგილის საპონი, მათ იციან,
ყველაზე უფრო სასწაულთმომქმედი მურის (ბალზამის) გაკეთების
საიდუმლოება.

26. მათ შემდეგ მოდის ოფიცერთა დიდძალი კადრები, გაბ-
ნეულნი სხვადასხვა საგუშაგოებზე, თითოეულ მათგანს ეძლევა,
როგორც სიპაებს ოსმალეთში, ცოტადთუბევრად შემოსავლიანი გა-
რემეურნეობა. ამიტომ მათი უმრავლესობა – ქვეითად დადის, ზო-
გი მათგანი ცხენით დაბრძანდება და სულ ცოტანი – ეტლით. მათი
მოვალეობაა, ახალწვეულთა წვრთნა და დარწმუნება მასში, რომ
საჭიროა ატარო თვალსაბურავი და არამც და არამც არ დაისვარო
ტანსაცმელი, ორი ამოცანა, რომლებსაც ისინი თვითონ უგულოდ
ეკიდებიან. ალბად, იმიტომ, რომ ძლიერ გატაცებული არიან სხვე-
ბის თვალსაკრავების შესწორებით და ტანსაცმელის გაწმენდით, რად-
გან ესეც მათი მოვალეობაა.

27. თითქმის დამავიწყდა მომეხსენებია იმ მცირე განსაკუთ-
რებული რაზმის შესახებ, რომლის წევრები პეონით მორთულ პა-
ტარა ქუდებს ატარებენ და კატის ტყავიდან გაკეთებულ წამოსას-
ხამებს. ისინი ხელმწიფის უფლებების ოფიციალურ დამამტკიცებლად

აცხადებენ თავს, თუმცა მის არსებობას მათი უმრავლესობა არ
სცნობს. ამ რაზმში ამასწინათ ერთი ადგილი განთავისუფლდა. სამი
მაძიებელი გამოვიდა მის დასაკავებლად: ერთი სულელი, ერთი
მხდალი და ერთი დეზერტირი; სხვანაირად რომ მეთქვა, უვიცი,
გარყვნილი და ათეისტი; ადგილი დეზერტირს ერგო. ისინი განუ-
წყვეტლივ დაობენ ბარბაროსული ენით კოდექსის შესახებ, რომელ-
საც წაღმაუკუღმა მარტავენ და აშკარად მასხარად იგდებენ. დაი-
ჯერებ, რომ ერთი მათი უფროსთაგანი ამტკიცებდა, რომ, რო-
დესაც ხელმწიფის შვილი მამის ქვეშევრდომთა გენერალურ დათვა-
ლიერებას აწარმოებს, მას ისეთივე წარმატებით შეუძლია ძროხის
სახის მიღება, როგორც ადამიანის. მოხუცებულები ამ რაზმიდან ისე
ხერხიანად ჩმახავენ ლათაიებს, თითქო მთელი თავისი სიცოცხლე
მეტი არაფერი არ უკეთებიათ. ახალგაზრდობას უკვე ბეზრდება მა-
თი თვალსახვევი; მისგან, მათ მარტო თხელი ირიბანა დარჩენიათ,
ზოგს კი აღარც ის აქვს. ისინი საკმარისად თავისუფლად დასეირ-
ნობენ ყვავილნარში და ჩვენთანაც ურთიერთობა აქვთ წაბლნარებში,
მაგრამ ყოველთვის შეღამებისას და ფარულად.

28. დასასრულ, არიან კიდევ დამხმარე ჯარები, ფრიად მდი-
დარი სარდლების მბრძანებლობის ქვეშ. ესენი ნამდვილი ავაზა-
კები არიან, მგზავრთა ძარცვა-გლეჯით მცხოვრებნი. მათ უმრავ-
ლესობაზე ამბობენ, რომ ისინი მოხერხებულად სძარცვავდენ იმ პირთ,
რომლებიც ბანაკში მიყავდათ, – ერთს სასახლეს წაართმევდნენ, მეო-
რეს – ფერმას, მესამეს – ტყეს, მეოთხეს – გუბურს და ამ გზით შექმნეს
მათ თავისთავისათვის ვრცელი და მყუდრო თავშესაფარი, რომ-
ლებიც ეკლნარისა და ყვავილნარის შუა მდებარეობენ. ზოგი მათ-
განი, მოხუცებული ხელგაშვერილი დაიარება სახლიდან სახლში ან
განაგრძობს მგზავრების ძარცვას. ეს საზიზღარი ჯარები – ლეგი-
ონებად არიან დაყოფილნი, თითოეულ ლეგიონს თავის დროშა
აქვს, უცნაური ფორმა და კიდევ უფრო უცნაური წესდება. ნუ ელი
ჩემგან მათი მრავალფეროვანი შეიარაღების აღწერას. ყველა ისინი,
ჩაჩქნების მაგიერ, სამერცხულის მაგვარ რაიმეს ატარებენ, ან კონუ-
სური ფორმის სარქმელებს, რომლებიც ხან მარტო თავს უფარავს
მათ, ხან კი ბეჭებამდე ეშვება. მათ შეუნარჩუნებიათ სარაცინების
ულვაშები და რომაელების სანდლები. სწორედ ამ ლეგიონიდან არიან
ამოკრებილი ეკლების ხეივნის ზოგიერთ ადგილებში, მსაჯულნი, მსრო-
ლელნი და ჯალათნი ჯარისა. ეს სამხედრო საბჭო მეტისმეტად სას-
ტიკია: ცოცხლად უნდა დასწვან მგზავრები, რომლებიც უარს ამბო-
ბენ თვალსახვევის ტარებაზე, ან არ ატარებენ მას, როგორც წესია,
აგრეთვე დეზერტირები, რომლებიც თვალსახვევს იხსნიან; და ყოვე-

ლივე ეს გულშემატკივრობის საფუძველზე კეთდება. ამავე ჯარიდან,
განსაკუთრებით კი ერთი დიდი შავი რაზმიდან, გამოდიან ბრბოები

შემკრებლების, რომლებიც აცხადებენ თითქო მეფეს დაევალებიოს მათთვის საზღვარგარეთ მუშაობა, უცხო ქვეყნებში ჯარისკაცების შეკრება და სხვა მონარქების ქვეშევრდომთა რწმუნება – თქვენზე მიკუთვნებული ტანსაცმელი, ქუდები, კოკარდები და თვალთსახვევები გადააგდეთ და ისეთი ფორმა ჩაიცვით, როგორიც ეკლების ხეივანშია მიღებული. როდესაც ეს შემკრებნი ხელში ჩაუვარდებიან, ისინი სახრჩობელაზე აყავთ, იმ შემთხვევაში, რასაკვირველია, თუ თითონვე დეზერტირებად არ გახდნენ; და ჩვეულებრივად ისინი დეზერტირობას არჩევენ, ვიდრე სახრჩობელაზე ასვლას.

29. ასეთი ყოჩაღი ყველა არაა, და ხიფათს არ ეძებს შორეულ ბარბაროსულ ქვეყნებში. ბევრი მათგანი, უფრო ვიწრო სფეროში მოქცეული, ირჩევს ხელობას, ნიჭის მიხედვით და იმ უფროსების დავალებათა თანახმად, რომლებმაც იციან მათი ხერხიანად გამოყენება თავისი რაზმების სასარგებლოდ. ის, ვინც ბუნებას ჯეროვანი მეხსიერებით, ლამაზი ხმით და საკმაო თავხედობით დაუჯილდოებია, დაუღალავად უქაქანებს მგზავრთ, რომ ისინი არა სწორი გზით მიდიან, სწორ გზას კი არ უთითებს. ის ფულებს ხვეტავს ამ თავის დარიგებებით, თუმცა მთელი მისი ღვაწლი გამოიხატება მხოლოდ იმის განმეორებაში, რაც მანამდე ათასჯერ უთქვამს სხვებს, ისეთივე უვიცებს, როგორიც ის არის. ის, ვისაც მიხვედრა აქვს და შეუძლია სისულელეების როშვა და ოინბაზობა, ამოირჩევს ბინად ყუთის მსგავს სადგომს, სადაც ნახევარ სიცოცხლეს ისეთ აღსარებათა მოსმენას მოანდომებს, რომლებიც საინტერესო იშვიათად არიან, უმეტეს შემთხვევაში ს– იცრუეს წარმოადგენენ, მაგრამ ყოველთვის სარფიანი არიან. სევდა და ჭმუნვარებაა ამ სადგომებში გამეფებული. თუმცა ყოფილან შემთხვევები, რომ იქ ფარულად შეჭრილა გადაცმული სიყვარული, დაუფლებია უბიწო გულთ და წარუტაცნია მლოცველი ნორჩი ქალები ყვავილნარში, რომელსაც მათ იმ საბაბით აჩვენებდნენ, რომ მისი გაცნობის შემდეგ, ვითომ უფრო იოლი გახდება ეკლნარბილიკებით სიარული. ყუთების მსგავს ამ სადგომებში ყოველივე მჟღავნდება: საიდუმლოება, სიმდიდრეები, ყოველგვარი საქმეები, მიჯნურობანი, ინტრიგები, სიყვარულის მწვავე ეჭვები. ყოველივე ამას იყენებენ და დარიგებას ტყვილა არ იძლევიან. ვისაც არა აქვს არც ნიჭი და არც წარმოსახვის უნარი, რიცხვთა მეცნიერებას დაეწაფება ან სხვათა ნააზროვნების გადაწერას მიყოფს ხელს. ზოგი თვალებს დაიბრმავებს ბრინჯაოს დაჟანგულ ნატეხზე, რომ გამოარკვიოს, თუ როდის დაარსდა ქალაქი, რომლის შესახებაც

ათასი წელიწადია, რაც არაფერი ისმის; – ან ათ წელს იწვალებს, რომ გამოაყეყეჩოს ვინმე დაბადებიდან ნიჭიერი ბავშვი და ბოლოს კიდეც მიაღწევს თავის მიზანს. ზოგიერთს ემარჯვება სამხატვრო ყალამი, ბარი, ქლიბი ან სალაშინი; ბევრ მათგანს უმჯობესად მიაჩნია სრულიად არაფერი არ აკეთოს და მხოლოდ ყურები გამოუყრუოს

ყველას თავის უდიდეს მნიშვნელობაზე ლაპარაკით. ვინც ამ ხალხს იცნობს, უფრთხილდება და გაურბის მათ; ბევრს გონია, რომ იცნობს მათ; მაგრამ იშვიათად თუ იცნობს მათ ვინმე მთლიანად.

30. გასაოცარია თუ როგორი ნდობით და აღფრთოვანებით ეპყრობიან ამ ყუთებში მცხოვრებთ. ისინი ტრაბახით იძახიან, რომ აქვთ ყოველი სნეულების მოსარჩენი წამალი; ეს წამალი კი გამოიხატება იმაში, რომ იჭვიან ქმარს ისინი ეუბნებიან, რომ მისი ცოლი მოკეკ-ლუცე არ არის, ანდა მას ის უნდა უყვარდეს, მიუხედავად კეკლუ-ცობისა; თავისუფალი მოქცევის ქალს ისინი არწმუნებენ, რომ ის ვალდებულია თავისი სამოცი წლის ქმრით დაკმაყოფილდეს; მინისტრს, რომ ის პატიოსანი უნდა იქნეს; ვაჭარს, რომ ის ტყუილად ეწევა მევახშეობას,ურწმუნოს, – რომ საჭიროა რწმენა და სხვ. შ ე ნ გ ი ნ დ ა გ ა ნ ი კ უ რ ნ ო – ეკითხება ექიმბაში ავადმყოფს. დ ი ა ხ , მ ი ნ დ ა – უპასუხებს იგი. მაშ წადი, შენ გ ა ნ კ უ რ ნ ე ბ უ ლ ი ხ ა რ. გულ-უბრყვილონი სრულიად კმაყოფილი მიდიან და თითქოს მართლაც უკეთ გრძნობენ თავს.

31. არცთუ დიდი ხანია მას აქეთ, რაც ხელმძღვანელთა შო-რის შეიქმნა საკმაოდ მრავალრიცხოვანი სექტა უკიდურესად სა-სტიკი ადამიანებისა, რომლებმაც იწყეს მგზავრების დაშინება იმით, რომ მოსთხოვეს მათ ტანსაცმელის სრული სიწმინდე, და რომლებმაც ასტეხეს ყაყანი ტაძრებში, ქუჩაზე, სახლებში, სახურავებიდან, რომ ცოტაოდენი ლაქაც კი – გამოუსწორებელი დანაშაულიაო; რომ მეფის მოადგილის და გუბერნატორების საპონი არაფრად არ ვარგაო; რომ საპონი უშუალოდ მეფის საწყობებიდან უნდა იშოვნოთ და საკუთარ ცრემლებში უნდა გახსნათო; რომ მეფე უფასოდ იძლევა ამ საპონს, მხოლოდ ძლიერ მცირე რაოდენობით და მისი მიღება ყველას არ შეუძლიაო; და თითქო არ კმაროდა ის ეკლები, რომლებითაც გზა იყო მოშაბმული, ამ ცოფიანებმა აავსო ეს გზა კიდევ ბარდებით და ხაფანგებით, ისე, რომ შეუძლებელი გახდა მასზე სიარული. მგზავ-რები სასოწარკეეთილებას მიეცნენ; ყოველი მხრიდან გაისმა კვნესა და ოხვრა. ვინაიდან შეუძლებელი გახდა ასეთ გასაწამებელ გზა-ზე სიარული, ბევრი უკვე მზად იყო ყვავილნარში გადაერბინა, ან ჩვენს წაბლნარში გადმოსულიყო, – მაგრამ შავმა რაზმმა დაიწყო

ღინღლგამოდებული ფეხსაცმელებისა და ხავერდის ხელთათმანების დარიგება. ამ ზომამ შეაჩერა საერთო ოტვა.

32. აქაიქ გვხვდებიან ფრინველთა დიდი გალიები, სადაც მხო-ლოდ დედლებია მოთავსებული. აქ ღვთის მლოცავი დედალი თუ-თიყუშები მრგძნობიარე სიტყვებს ღუღუნებენ, ან გალობენ ისეთ ჟარგონზე, რომელიც თვითონაც არ ესმით; აქვე კვნესიან ნორჩი დე-დალი გვრიტები და გლოვენ დაკარგულ თავისუფლებას; სხვაგან ფრთხიალობენ და განუწყვეტლივ ჭიკჭიკობენ ჭვინტა ჩიტები, რო-მელთაც თვითგართობის მიზნით, წამდაუწუმ აღიზიანებენ წინა-

მძღოლნი მათი გალიის რიკულთან სტვენით. წინამძღოლების ან
მ ო ხ ე ტ ი ა ლ ე ა რ ღ ნ ე ბ ი ს ის ნაწილი, რომელსაც რაიმე ნაცნობობა აქვს ყვავილნარში, უზიდავს მათ აქედან ვარდის და შროშანის თაიგულებს. ამ ტყვეების მთავარი ტანჯვა იმაშია, რომ კარგად ესმით თუ როგორ მიდიან მათ ახლოს მგზავრები, მათ კი საშუალება არა აქვთ გაყვენ უკან და შეუერთდენ მათ. თუმცა, მათი გალიები ფართო, სუფთა და უხვად მომარაგებელი არიან ფეტვით და შაქარ-ყინულითი.

33. შენ ახლა უკვე გაქვს წარმოდგენა ჯარზე და მის უფროსებზე. შეუდგეთ სამხედრო კოდექსს.

34. ეს ერთგვარი მოზაიკაა, ასი სხვადასხვა ოსტატის მიერ გაკეთებული, თითოეულ მათგანს უთავისი კენჭი შეჰქონდა იქ საკუთარი გემოვნების მიხედვით: თუ როგორი იყო ეს გემოვნება, თვით შენ განსაჯე.

35. ჩვენი კოდექსი ორი ტომიდან შესდგება. პირველ მათგანის შედგენა ჩინეთის ერის 45,317 წლის ახლო ხანებში დაიწყო, ერთი მოხუცი მწყემსის მეოხებით, რომელმაც ჩინებულად იცოდა კვერთხის ხმარება, დიდი ჯადოქარის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, რაც მან დაუმტკიცა თავის ბატონს, რომელსაც არ სურდა არც ღალა შეემცირებია მისთვის, არც ბეგარიდან გაენთავისუფლებია ის და მისი ნათესავები. მეისრეების მიერ დევნილმა, მან დასტოვა სამშობლო მხარე და თავი შეაფარა ერთ მემამულეს, რომელთანაც ორმოცი წლის განმავლობაში ცხვარს წყესავდა უდაბნოში და ამავე დროს ჯადოქრობდა. ის არწმუნებს ყველას პატიოსანი სიტყვით, რომ ერთ მზვენიერ დღეს ხელმწიფე ნახა, (სინამდვილეში კი არ უნახავს) და მან იგი დანიშნა თავის მთავარმართებლად და სამარშლო კვერთხი მიაკუთვნა. ასეთი რწმუნებულებებით აღჭურვილი, ის ბრუნდება სამშობლოში, აჯანყებს თავის მეგობარ-ნათესავებს და მოუწოდებს გაყვნენ მას იმ ქვეყანაში, რომელიც მისი სიტყვით, ოდესღაც მათ წინაპრებს ეკუთვნოდათ და სადაც მათ, სწორედ ვთქვათ, ერთ დროს

გაუვლით. მის მოწოდებაზე მსწრაფლ იკრიბებიან აჯანყებულნი და მათი უფროსი მამულის პატრონს ატყობინებს თავის განზრახვას. პატრონი უარს ამბობს გაშვებაზე და ის ექცევა მათ, როგორც აჯანყებულებს. მაშინ მოხუცი მწყემსი წაიბურტყუნებს თავის რამდენიმე სიტყვას და ბ. ბარონის ყველა გუბურები იწამლება. მეორე დღეს ის მას ცხვრის ფარას და ცხენების ჯოგს უნადგურებს, კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ ის მუცელას და შირიმს უსევს მემამულეს და მის შინამყოფელებს. რამდენიმე ასეთი ოინის შემდეგ, ის მომაკვდინებელ ჭირს უჩენს მემამულის უფროს ვაჭარს და იმ სოფლის ყველა მოზრდილ ყმაწვილს. მაშინ მემამულე თანხმდება აჯანყებულების გაშვებაზე; ისინი მიდიან, მაგრამ წინასწარ აოხრებენ მემამულის სასახლეს და სძარცვავენ დანარჩენ მოსახლეობას. ამ უკანასკნელი გარემოებით

აღშფოთებული კეთილშობილი ჯდება ცხენზე და მისდევს მათ უკან მთელი თავისი ამალით. მაგრამ მძარცველებმა უკვე მოასწრეს რომელიღაც მდინარის ფონზე ბედნიერად გასვლა და მათ საბედნიეროდ, როდესაც ყოფილმა მათმა პატრონმა, რომელიც ამ მდინარეს არ იცნობდა, გააპირა მასზე გასვლა, ცოტა ქვევით, თვითონ დაიხრჩო და ყველა მხლებელნიც დაეღუპა.

36. აღთქმულ ქვეყანაში მისვლამდე, მათ დიდხანს იხეტიალეს უდაბნოში, სადაც მათი წინამძღოლი ართობდა მათ თავისი ჯადოქრული ოინბაზობით, სანამ ყველა არ დაწყდა. სწორედ ამ დროს, მოწყენილობისა გამო, მან ხელი მიჰყო თავისი ხალხის ისტორიის შეთხზვას და კოდექსის პირველი ნაწილის შედგენას.

37. მისი დაწერილი ისტორია მთლიანად ემყარება იმ მოთხრობებს, რომელთაც ბუხრის პირას ბაბუები გადასცემდნენ შვილებს და შვილიშვილებს და რომლებიც მათაც ისევ თავიანთი ბაბუებიდან ჰქონდათ გაგონილი და ასე – პირველ წინაპრამდე. აი ყველაზე უფრო სწორი საშუალება თუ როგორ არ უნდა დამახინჯდეს მომხდარ ამბავთა სისწორე!

38. ის მოგვითხრობს, თუ როგორ აიღო ჩვენმა ხელმწიფემ თავის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ცოტაოდენი ტალახი, შთაბერა მას, აასულდგმულა და გააჩინა პირველი ჯარისკაცი; როგორ შეჭამა ამ ჯარისკაცის ცოლმა (რომელიც თვითონვე მისცა მას ხელმწიფემ) საძაგელი საჭმელი და ისეთი შავი ლაქა მოსცხო ამით თავის შვილებს და მათი ყველა ნაშიერს, რომ ისინი საზიზღარნი შეიქნენ ხელმწიფისათვის; როგორ იწყო გამრავლება ჯარმა; როგორ გაცუდდნენ ჯარისკაცები იმდენად, რომ ხელმწიფემ ისინი წყალში ჩაახრჩო ყველა, გარდა ერთი მცირე ჯგუფისა, რომლის უფროსი პატიოსანი კაცი იყო; როგორ მოამრავლეს ისევ ამის შვილებმა ქვეყანა და გავრ-

ცელდნენ მთელს დედამიწის ზურგზე; როგორ – ჩვენმა ხელმწიფემ, ყოველივე მიკერძოების გარეშე მყოფმა, მაინც შეიყვარა კაცობრიობის მარტო ერთი ნაწილი და სცნო ის თავის ხალხად და როგორ, თანახმად მისი სურვილისა, გაჩნდა ეს ხალხი ისეთ ქალისაგან, რომელსაც შვილოსნობის უნარი უკვე დაკარგული ჰქონდა და ისეთი მოხუცი კაციდან, რომელსაც ხანდახან თავის მოსამსახურე ქალთან ეძინა. აი აქ იწყება სწორედ ისტორია იმ პირველრჩეულთა, რომელთა შესახებ მე ზევით უკვე ვილაპარაკე; – და შევდივართ ჩვენ მათი გვარტომობის და თავგადასავლის დეტალებში.

39. ერთ-ერთის შესახებ, მაგალითად, ამბობენ, რომ მეფემ მას უბრძანა საკუთარი შვილის დაკვლა, და როდესაც ის უკვე მზად იყო ეს ბრძანება შეესრულებია, უცბად გამოეცხადა შიკრიკი და ამცნო, რომ უმანკო ბავშვს სიკვდილით დასჯა ეპატივა; მეორეს შესახებ, – რომ მისმა დედამ მშვენიერი საყვარელი უშოვნა მას იმ დროს, როდესაც ცხენს წყალს ასმევდა; მესამეზე – რომ ის ატყუებდა

ჯერ მამას და ძმას, შემდეგ კი – თავის მომავალ სიმამრს; რომ ის ორივე დას და მათ ორ მოსამსახურე ქალს ყვარობდა; მეოთხეზე – რომ ის საკუთარი შვილის ცოლთან ცხოვრობდა; მეხუთეზე – რომ მან დიდი ქონება შეიძინა გამოცანების ახსნით და ჩინებულად მოაწყო თავისი ოჯახი ერთი დიდი მებატონის მამულში, სადაც ის მოურავად იყო; და თითქმის ყველაზე – რომ მათ სასწაულებრივი სიზმრები ევლინებოდათ. ხედავდნენ ვარსკვლავებს შუა-ღამისას, პირისპირ ხვდებოდნენ ხორცშეუსხმელ სულებს და მამაცად ებრძოდნენ ალქაჯთ. ასეთია ის დიდებული ამბები, რომელთა შესახებაც მოხუცმა მწყემსმა ამცნო შთამომავლობას.

40. რაც შეეხება კოდექსს, აი მისი მთავარი მუხლები. მე უკვე ვთქვი იმ შავი ლაქის შესახებ, რომლისათვისაც ხელმწიფემ შეგვიძულა. გამოიცანი, რა ზომები იყო მიღებული მისი, ასე უცნაურად დაკარგული, წყალობის დასაბრუნებლად? უფრო უცნაური რამ, ყველა ბავშვს წინ თითო ნამცეცა ხორცი ჩამოაჭრეს, მე უკვე ვილაპარაკე ამ ოპერაციის შესახებ, და ვალდებულება მიიღეს – ყოველწლივ ეჭამა მთელს ოჯახს პურის ხმიადი უერბოვოდ და უმარილოდ, გამხმარ ბაბუაწვერადან უზეთოდ გაკეთებულ სალათთან ერთად. მეორე ვალდებულება გამოიხატებოდა იმაში, რომ კვირაში ერთი დღე ზურგზე ხელებგაკრული გაეტარებიათ. თითოეულს ნაბრძანები ჰქონდა – ეშოვნა თვალსახვევი და თეთრი ტანსაცმელი და ერეცხა უკანასკნელი – სიკვდილით დასჯის მუქარის ქვეშ – ბატკნების სისხლში და სუფთა წყალში; როგორც ჰხედავ, თვალსახვევებისა და თეთრტანსაცმელების წარმოშობა ძველისძველ დროს ეკუთვნის. ამ მიზნებისა-

თვის ჯარებში შექმნილი იყვნენ ყასაბთა და მეთულუხეთა ასეულები. ხელმწიფის ყველა ბრძანებები ათ პატარა სტრიქონში იყო მოთავსებული; ჩვენმა ლტოლვილთა ხელმძღვანელმა გამოაქვეყნა ისინი და შემდეგ დამალა იაკარანდას ხიდან გაკეთებულ ყუთში, რომელიც წინასწარმეტყველების საქმეში არ ჩამოუვარდებოდა დელფოსის მისნის სამფეხს. დანარჩენი კი წარმოადგენდა დადგენილებების გროვას ლაბადა-წამოსასხამების ფორმაზე, კვების განაწესზე, სხვადასხვა ღირსების ღვინოებზე, ამათუიმ ხარისხის ხორცის მეტ თუ ნაკლებ ადვილ მოსანელებლობაზე, ძილის, სეირნობისა და სხვა ისეთი მოქმედების ჟამზე, რომელსაც ადამიანი ასრულებს მაშინ, როდესაც არ ძინავს.

41. მოხუცმა მწყემსმა, ერთერთი ძმის დახმარებით, რომელიც მან დიდძალი, შემდეგ სამემკვიდრეოდ ქცეული, შემოსავლით უზრუნველჰყო, მოინდომა ძალდატანების საშუალებით დაემორჩილებია თავისი თანამგზავრები ამ დადგენილებებს. მაგრამ აქ ატყდა დრტვინვა, ხალხი ჯგუფად შეგროვდა, შეიქმნა დავა მისი ძალაუფლების წინააღმდეგ და ის უსათუოდ სამუდამოდ დაჰკარგავდა ამ ძალაუფლებას, რომ მეამბოხეები არ გაენადგურებია, ნაღმის გაკეთებით მიწის იმ

ნაკვეთის ქვეშ, რომელზედაც ისინი ცხოვრობდნენ. ხალხმა ეს გაიგო, როგორც ცის წყრომა და ჩვენ სასწაულთმომქმედსაც არვინ არ გადაურწმუნებია ამაში.

42. მთელ რიგ თავგადასავალთა შემდეგ, მიუახლოვდნენ იმ მხარეს, რომელიც უნდა დაეპყროთ. ხელმძღვანელი, რომელსაც არ სურდა ამ საქმეზე პასუხისმგებლობა ეკისრა და ომი მხოლოდ შორი მანძილიდან უყვარდა, განშორდა თავის ქვეშევრდომთ, შეიხიზნა გამოქვაბულში და იქ შიმშილით მოკვდა. მხოლოდ წინასწარ მტკიცედ უანდერძა მათ ულმობლობა მტრების მიმართ და განუზომელი მევახშეობა – ორი დავალება, რომელნიც მათ განსაკუთრებით ბრწყინვალედ შეასრულეს.

43. მე არ შევჩერდები არც მათ გამარჯვებებზე, არც იმაზე თუ როგორ შეჰქმნეს მათ ახალი სახელმწიფო, არც სხვადასხვა გადატრიალებებზე. ყოველივე ეს შენ უნდა წაიკითხო თვითონ წიგნში, რომელშიაც, თუ შესძელ, გაეცნობი ისტორიკოსებს, პოეტებს, მუსიკოსებს, რომანისტებს და მქადაგებლებს, რომელნიც წინასწარმეტყველებდნენ მეფის შვილის მოვლინებას მომავალში და კანონმდებლობის რეფორმას.

44. ბოლოს ის მართლა გამოცხადდა – მაგრამ არა დიდებული ეტლით და გარემოცულობით, რომელიც მის მაღალ წარმოშობას შეეფერებოდა, არამედ როგორც ფათერაკთა ისეთი მაძიებელთაგანი,

რომლებიც ერთმუჭა გამბედავი და თავდადებული თანამოსანგრეებით ახერხებდნენ ზოგჯერ სახელმწიფოების შექმნას ან დაპყრობას. ასეთი იყო მაშინ მოდა. მის თანამემამულეებს ის დიდხანს მიაჩნდათ ჩვეულებრივ ადამიანად; მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მათ გაოცებით გაიგონეს, რომ ის ხელმწიფის ძის წოდებას იკუთვნებს და აგრეთვე უფლებას სრულიად გააუქმოს ძველი კოდექსი, გარდა მასში მოთავსებული ათი სტრიქონისა და ახალი კოდექსით შესცვალოს იგი. ის მარტივი იყო თავის ზნეჩვეულებებსა და წარმოთქმულ სიტყვებში. მან ხელახლად დააკანონა, სიკვდილით დასჯის შიშქვეშ, თვალსახვევის და თეთრი ტანსაცმელის ხმარება. უკანასკნელის შესახებ მან ჩინებული განკარგულება გასცა, გაცილებით უფრო ძნელი ასასრულებელი; მაგრამ თვალსახვევის შესახებ კი უცნაური აზრები გამოთქვა. ზოგი მათგანი მე უკვე გაცნობე; ახლა მოისმინე სხვები. ის ამტკიცებდა, მაგალითად, რომ ამ თვალსახვევის საშუალებით შეიძლება ცხადად დანახვა იმისა, თუ როგორ შერთულან ერთ განუყოფელ მთლიანობად მისი მამა-ხელმწიფე, თვით ის და კიდევ მესამე პიროვნება, რომელიც ერთსა და იმავე დროს მისი ძმაც არის და შვილიც. შენ აქ, რასაკვირველია, გერიონის შესახებ ძველთაგან თქმული ამბავი გაგახსენდება. მაგრამ მე გაპატივებ შენ, იგავის საშუალებით, სასწაულის ახსნის ცდას. უბედურო, შენ არ იცი წრიული ბრუნვის საიდუმლოება. შენ არაფერი არ გსმენია იმ ღვთაებრივ ცეკვაზე, სა-

დაც სამი ხელმწიფე მარადიულ შაბაშს მართავს ერთიმეორის გარ-
შემო. ძე იმასაც კი ამბობდა, რომ ის ოდესმე ფრიად საპატიო
დიდი კაცი გახდებოდა და რომ მისი რწმუნებულები ლხინ-ნადიმებს
გამართავენ. ეს წინასწარმეტყველება გამართლდა. პირველი მათ-
განნი, რომლებმაც ეს საპატიო წოდება მიიღეს, ჩინებულ სადილებს
მართავდნენ და ლაზათიანად სვამდნენ მის სადღეგრძელოს, მაგრამ
მათი მემკვიდრეები უფრო ხელმოჭერილი შეიქმნენ. არ ვიცი როგორ,
მაგრამ მათ აღმოაჩინეს, რომ მათ ბატონს პურის პატარა ნამცეცში
ჩატევის ნიჭი აქვს, და რომ მაშინ ის შეუძლიათ ერთდროულად
მთლიანად ჩაყლაპონ ერთმა მილიონმა მისმა მეგობრებმა ისე, რომ
არცერთს არ მოეშლება კუჭი, თუნდაც მათ 5 ფუტისა და 6 დიუმის
სიმაღლე ჰქონდეთ, და ამასთან დაკავშირებით გადაწყდა, რომ სა-
დილების მაგიერ უბრალო საუზმეები ყოფილიყო უღვინოდ. ზოგი
სმის მოყვარული ჯარისკაცი აბუზღუნდა. საქმე ერთმანეთის შეუ-
რაცხყოფამდე, შემდეგ კი – ჩხუბამდე მივიდა: დიდძალი სისხლი
დაიღვარა; და ამ შუღლმა, რომელმაც ორი კიდე სხვა გამოიწვია,
გაანახევრა ეკლნარი ხეივნის მოსახლეობა და სრულ მოსპობას უქა-
დის მას. ეს გარემოება მე მოვიყვანე იმ მშვიდობიანობის ნიმუშად,

რომელიც ახალმა კანონმდებელმა მოიტანა მამა მისის სამეფოში, და
დანარჩენი მისი აზრების შესახებ ვიტყვი მხოლოდ რამდენიმე სიტყვას;
ისინი ნაჩქარევად ჩასწერეს მისმა მიმდევრებმა, რომლებიდანაც უმ-
თავრესნი იყვნენ ერთი ზღვის ახალი თევზის გამყიდველი, და მეორე
მეწაღე, ყოფილი აზნაური.

45. ამ უკანასკნელმა, ბუნებით ყბედმა, გაუგონარი რამ მოჩ-
მახა იმ რაღაც უხილავი საბიჯგი ჯოხის სასწაულქმედ თვისებებზე,
რომელსაც, მისი სიტყვით, ხელმწიფე ურიგებს ყველა თავის მეგო-
ბარს. ტომები შეიქმნებოდა საჭირო იმისათვისაც კი, რომ მოკლედ
გადმომეცა შენთვის ყველა ის, რაც გამოიგონეს, დასწერეს და ილა-
პარაკეს ამ საბიჯგი ჯოხის ბუნების, მოქმედი ძალისა და თვისებე-
ბის შესახებ წინამძღოლებმა და როგორ ერთმანეთს მუშტიკრივით
უსწორებდნენ ანგირიშს. ზოგი ამბობდა, რომ უამისოდ ნაბიჯის
გადადგმა არ შეიძლებაო; სხვები კი ამტკიცებდნენ, რომ ის სრუ-
ლიად უსარგებლოა, თუ ადამიანს კარგი ფეხები და სიარულის დიდი
სურვილი აქვს; ზოგი აცხადებდა, რომ ხსენებული ჯოხი უდრეკი და
მოქნილია, ძლიერია ან სუსტია, მოკლე ან გრძელია იმისდა მიხედ-
ვით თუ რა ზომისაა ხელები და რამდენად საძნელოა გზა და, რომ
ის ადამიანი, ვისაც ეს ჯოხი არა აქვს, თვითონვეა ამაში დამნა-
შავეო; სხვები კი არწმუნებდენ, რომ ხელმწიფე მოვალე არაა ის
ყველას მისცეს, რომ ბევრს უარს ეუბნება მის მიცემაზე, ზოგჯერ კი
ართმევს კიდეც, ვისაც წინათ მისცაო. ყველა ეს შეხედულებანი
ემყარებოდა საბიჯგი ჯოხების შესახებ რიტორიკის ერთი ყოფილი მა-
სწავლებლის მიერ შედგენილ ვრცელ ტრაქტატს, რომელიც განმარ-

ტებას წარმოადგენს იმისა, რაც ახალი თევზით მოვაჭრემ დასწერა ყავარჯნების მნიშვნელობის შესახებ.

46. მეორე არანაკლები აზრთა სხვადასხვაობის გამომწვევი საკითხია ამბავი ჩვენი მეფის დაუსრულებელი სიკეთის შესახებ, რომელიც ხსენებულმა რიტორმა თითქო შეარიგა მეფის მიერ წინასწარ მიღებულ შეუდრეკელ გადაწყვეტილებასთან მით, რომ სამუდამოდ გააძევეს სასახლიდან და უიმედოდ ჩააგდეს ბნელ საპყრობილეში ყველა ისინი, ვინც მის ჯარში არ ჩაწერილა, ე. ი. აურაცხელი ხალხები, რომელთაც არასოდეს არაფერი არ გაუგონიათ და არც შეეძლოთ გაეგონათ მის შესახებ და აგრეთვე ბევრი ცალკე პირები, რომელნიც მან თავის მწყალობელი შეხედვის ღირსი არ გახადა ან ბაბუა მათის ურჩობისათვის შერისხა; იმ დროს, როდესაც სხვებს, არანაკლებ დამნაშავეებს, მიუალერსა ისე, ვითომც, იგი, ადამიანების ბედით როგორც კამათლით თამაშობდეს, ჩვენმა წინამძღოლმა თვითონვე იგრძნო თავისი აზრების სისულელე და მხოლოდ ღმერთმა იცის,

თუ როგორ აღწევს იგი თავს, მის მიერ შექმნილ, საშინელ სიძნელეებს. როდესაც ის სავსებით იბნევა და აღარ იცის სადამდე მივიდა, უცბათ წამოიძახებს: ჰ ე ი, ფ რ თ ხ ი ლ ა დ ი ყ ა ვ ი თ და ყველანი, ვინც მასზე ადევნებული, ჩვენს მეფეს ამგვარ თვითნება ბარბაროსად ხატავს, ერთხმად იმეორებს: ჰ ე ი, ფ რ თ ხ ი ლ ა დ ი ყ ა ვ ი თ! ყველა ეს უხიაკობა და მრავალი კიდევ სხვა ასეთივე ღირსებები დიდად პატივდებულია ეკლნარის ხეივანში. ამ ხეივნით მიმავალი მგზავრები ჭეშმარიტებად სთვლიან და დარწმუნებულნიც არიან, რომ თუ ერთი მათგანი სიცრუეა, ყველა სიცრუე იქნება.

47. მაგრამ ძველი კოდექსის დამცველები აღშფოდნენ ხელმწიფის ძის წინააღმდეგ და მოსთხოვეს მას საგვარტომო ნუსხა და სათანადო დამამტკიცებელი საბუთები. „ ჩ ე მ მ ა ს ა ქ მ ე ე ბ მ ა – ამაყად მიუგო მან – უ ნ დ ა დ ა ა მ ტ კ ი ც ო ნ ჩ ე მ ი წ ა რ მ ო შ ო ბ ა“. საუცხოვო პასუხია, მხოლოდ ბევრ კეთილშობილს არ დააკმაყოფილებს. ამასობაში დაიწყეს მითქმა-მოთქმა, რომ ის შეურაცხყოფას აყენებს მოხუცი მწყემსის ხსოვნას და ამ საბაბით, ყასბების და მეთულუხეების ასეულებმა, რომელთაც ის გაუქმებით და მაუდის მთელავთა და ლაქას გამომყვანთა რაზმებით შეცვლით ემუქრებოდა, მოაწყვეს შეთქმულება მის წინააღმდეგ. შეთქმულებმა მოისყიდეს მისი ხაზინადარი; თვით ის შეიპყრეს, სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და, რაც უარესია, მართლაც სიკვდილით დასაჯეს. მისმა მეგობრებმა გამოაცხადეს, რომ ის მოკვდა და არც მოკვდა, რომ მისი გარდაცვალებიდან სამი დღის შემდეგ ის ხელახლა გამოცხადდა; მაგრამ განცდილის მოგონებამ შეაკავა იგი მამა მისის სასახლეში, ასე რომ მის შემდეგ ის აღარავის უნახავს. წასვლისას მან დაავალა თავის მეგობრებს შეეკრიბათ და გამოექვეყნებიათ მისი კანონები და მოეთხოვათ მათი დაუყოვნებლივი შესრულება.

48. შენ, რასაკვირველია, იცი, რომ მუნჯ კანონებს როგორც
გინდა ისე განმარტავ; ასე დაემართა მის კანონებსაც. ზოგმა იქ
ზედმეტი ლმობიერება დაინახა; ზოგმა – მეტისმეტი სიმკაცრე; ზოგმა –
კი სისულელეებიც შაემჩნია. ახალი კორპორაცია, შექმნასა და ზრდა-
სთან ერთად, შინაგან განხეთქილებებს და გარეშე დაბრკოლებებს
წააწყდა. მეამბოხეები არავითარ სიბრალულს არ იჩენდნენ თავიანთ
თანამგზავრთა მიმართ, საერთო მათი მტრები კი ულმობელნი იყვენ
ორივეს მიმართ. მიუხედავად ამისა, დრო, ცრუმორწმუნეობა, აღზრდა
და აკრძალული სიახლის მტკიცე მიმდევრობა თანდათანობით ზრდი-
დნენ ამ აღფრთოვანებულთა რიცხვს. მალე მათ დაიწყეს ბრბოებად
დაგროვება და თავიანთ ბატონების შეურაცხყოფა. დასაწყისში მათ
სჯიდნენ, როგორც სულთამხილავებს, შემდეგ კი – როგორც მეამბო-

ხეებს. მაგრამ მათი უმრავლესობა, იმ ღრმა რწმენით, რომ ხელმწი-
ფეს ყველაზე უფრო ასიამოვნებ თუ თავს გასწირავ იმისათვის, რაც
შენ ვერ გაგიგია, უშიშრად ხვდებოდა ყოვლად სამარცხვინო და
ფრიად მძიმე წამებას და მალე ამ მეამბოხეებმა და სულელებმა გმი-
რობის სახელი გაითქვეს. აი, წინამძღოლთა მჭერმეტყველობის გასაო-
ცარი შედეგი! აი ამგვარად იწყო თანდათანობით დასახლება ეკლნა-
რის ხეივანმა. დასაწყისში აქ დიდი სიცალიერე იყო და მხოლოდ
ხელმწიფის ძის სიკვდილიდან, მრავალი წლის შემდეგ ხეივანს ჯარი
გაუჩნდა და მასზე ლაპარაკი იწყეს.

49. ჩემი ნათქვამიდან შენ უკეე შეგიძლია იმ დასკვნის გამო-
ტანა, რომ მსოფლიოში არავის არ შეუსრულებია უფრო დიდი საქ-
მეები. მაგრამ, იცოდე ისიც, რომ არავის მთელს მსოფლიოში უფრო
შეუმჩნევლად არ უცხოვრია და არ მომკვდარა. მე შემეძლო ახლავე
ამეხსნა შენთვის თუ რაშია აქ საქმე; მაგრამ ვარჩევ გადმოგცე
წაბლნარის ხეივნის ერთი ძველი მცხოვრებთაგანის ბაასი ზოგიერთ
იმ პირებთან, რომელთაც ეკლის ხეივანი დარგეს. მე ეს ვიცი ერთი
მწერლისგან, რომელიც იმ დროის ამბებთან კარგად გაცნობილად
მომეჩვენა. ის მოგვითხრობს, რომ წაბლის ხეივნელმა ჯერ მიმართა
ჩვენი ხელმწიფის ცრუ ძის თანამემამულეებს და რომ მათ უპასუხეს
მას, რომ შეიქმნა სულთამხილავთა სექტა, რომელთაც უკვდავი და
დიდებული სულის ძედ და მოციქულად აღიარეს ვიღაც მატყუარა და
მეამბოხე, ჯვარცმული ადგილობრივ მოსამართლეთა დადგენილების
თანახმად. მაშინ მენიპმა – ასე ეწოდებოდა ჩვენი წაბლნარის ხეივ-
ნელს – დაუწყო გამოკითხვა იმათ, რომელნიც ეკლნარის ხეივანს რგავ-
დნენ. დიახ – უპასუხეს მათ – ჩვენი წინამძღოლი ჯვარს აცვეს, რო-
გორც მეამბოხე; მაგრამ ის ღვთაება იყო, რომლის ყოველივე ნა-
მოქმედარი სასწაულებრივია. ის კურნავდა დავრდომილთ, განუდევ-
ნიდა ეშმაკს; მხედველობას უბრუნებდა ბრმებს; აღადგენდა მიცვა-
ლებულთ; მკვდრეთით აღდგა თვით; აღმაღლდა ზეცად. ბევრმა
ჩვენგანმა იხილა იგი და მთელი მხარე მოწმე იყო მისი ცხოვრებისა

და სასწაულებრივი ღვაწლის“.

50. – ეს მართლაც საუცხოოა, – შეესიტყვა მენიპი: ყველა, ამდენ სასწაულთა მნახველი, რასაკვირველია, მის სამსახურში გადავიდოდა; იმ ქვეყნის ყველა მცხოვრებმა ხომ დაჩქარებით შეიძინა თეთრი ლაბადა და თვალსახვევი?.. სამწუხაროდ, არა! – უპასუხეს მათ, – რიცხვი, მათი, ვინც მას გაყვა, უმნიშვნელო იყო დანარჩენთან შედარებით. მათ ჰქონდათ თვალები, მაგრამ ვერ ხედვიდნენ, ჰქონდათ ყურები, მაგრამ არ ესმოდათ... – აჰა! – სთქვა პირველი შეკრთომის შემდეგ მენიპმა, – ახლა მესმის, რაშია საქმე; აქ ალბათ ადგილი ჰქონდა

გრძნეულობას, რომელიც ასე ჩვეულებრივია თქვენს ხალხში. მაგრამ გულახდილად მითხარით: ყოველივე მართლაც ისე იყო, როგორც თქვენ ამბობთ? ნამდვილად მთელმა მოსახლეობამ იცოდა თქვენი უფროსის დიადი ღვაწლი?.. ოღონდაც! – უპასუხეს მათ, – ის მთელი ხალხის თვალწინ სწარმოებდა. ყველა, რა სენითაც არ უნდა ყოფილიყო ის შეპყრობილი, მაშინვე ინკურნეობდა, თუ კი შესძლებდა შეხებოდა მისი ტანსაცმლის კალთას. მან რამდენიმეჯერ გააძღო ხუთი თუ ექვსი ათასი მოხალისე იმ საჭმელით, რომელიც ხუთ თუ ექვს კაცს ძლივს ყოფნიდა. რომ სხვა სასწაულთა განუსაზღვრელი სიმრავლე არ ვახსენოთ, ვთქვათ მარტო ის, რომ ერთხელ მან მკვდარი გააცოცხლა, რომელიც დასასაფლავებად მიჰქონდათ. მეორე შემთხვევაში მან გააცოცხლა ოთხი დღის დასაფლავებული.

51. ამ უკანასკნელი სასწაულსას – სთქვა მენიპმა – მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მისმა მნახველმა მუხლმოდრეკით თაყვანი სცა მას, როგორც ღმერთს... დიახ, ზოგიერთმა ირწმუნა და გადვიდა მასთან, მაგრამ ყველამ არა. უმრავლესობა მაშინვე გაეშურა, რომ ეამბო ნახული მისი დაუძინებელი მტრების, ყასბებისა, და მეთულუხეებისათვის, რომ ამით გაეაფთრებინა ისინი მის წინააღმდეგ. მუდმივ ასეთს შედეგს იძლეოდნენ დანარჩენი მისი საქმეებიც. თუ მცირე რაოდენობა დამსწრეთაგან მიჰყვებოდა მას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან საუკუნეების წინ დანიშნა ისინი ამ გზისათვის. აქ მის მოქცევას თან ახლდა ერთგვარი უცნაურობაც; მას განსაკუთრებულად უყვარდა დაფ-ნაღარის კვრა სწორედ იმ ადგილებში, სადაც, მისივე განჭვრეტით, არავითარი სურვილი მასთან სამსახურში გადასვლისა არ მჟღავნებოდა.

52. სიმართლე რომ ვთქვათ, – უპასუხა მენიპმა, – ან თქვენ თითონ ძლიერ გულუბრიყვილონი ხართ, ან თქვენი მოწინააღმდეგებია სრულიად გამოსულელებულნი. მე ადვილად დავიჯერებ (და თქვენი მაგალითი კიდევ უფრო მარწმუნებს ამ აზრის სისწორეში), რომ შეიძლება საკმარისად სულელი ხალხი მოიძებნოს, რომ წარმოიდგინოს თავი მის მიერ არნახული სასწაულების მნახველად; მაგრამ შეუძლებელია წარმოდგენა ისეთი ჩლუნგგონებიანი ხალხისა, რომელსაც უარი ეთქვას იმ გასაოცარი სასწაულების დაჯერებაზე, თქვენ რომ გვიამ-

ბეთ. საჭიროა ვსცნოთ, რომ თქვენს ქვეყანაში წარმოშობილი ხალხი არაფრად არ ემსგავსება სხვა ქვეყნების ხალხს. თქვენთან ხდება ის, რაც არსად მთელს დედამიწის ზურგზე არ ხდება.

53. მენიპს აოცებდა ადვილმორწმუნეობა ამ მოსულელო ადამიანებისა, რომლებიც მას პირველხარისხის ფანატიკოსებად ეჩვენებოდა. მაგრამ თავის ცნობისმოყვარეობა რომ სავსებით დაეკმაყო-

ფილებია, მან დაუმატა ისეთი კილოთი თითქო თავის უკანასკნელი სიტყვების უკანვე დაბრუნება სურდა; „ის რაც თქვენგან გავიგონე, იმდენად სასწაულებრივი, უცნაური და ახალია, რომ ძლიერ ვისურვებდი უფრო დაწვრილებით გამეგო ყველაფერი, რაც თქვენს ბელადს შეეხება. დიდად დამავალებდით რომ გაგეზიარებიათ ჩემთვის ის, რაც თქვენ მის შესახებ იცით. ასეთი ღვთიური ადამიანი, რასაკვირველია, ღირსია, რომ მისი ცხოვრების უმცირესი ამბებიც კი მთელმა ქვეყანამ გაიგოს“...

54. მაშინათვე მარკოზმა, ეკლნარი ხეივნის ერთერთმა პირველ მოსახლეთაგანმა, შეიძლება იმ იმედით, რომ მენიპი თავისი ჯარისკაცად გაეხადა, დაიწყო დაწვრილებით მოთხრობა თავისი უფროსის ყოველივე ოინებზე, თუ როგორ დაიბადა იგი ქალწულიდან, თუ როგორ სცნეს მოგვებმა და მწყემსებმა მისი ღვთიურობა მაშინ, როდესაც ის ჯერ კიდევ ჩვრებში იყო გახვეული, მის მიერ ჯერ ბავშვობის დროს, შემდეგ კი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მოხდენილ სასწაულებზე, მის ცხოვრებაზე, სიკვდილზე და მკვდრეთით აღდგომაზე ისე, რომ არაფერი არ იქნა დავიწყებული. ამავე დროს მარკოზი არ დაკმაყოფილდა ადამიანის შვილის (ასე უწოდებდა მისი უფროსი თავის თავს ხანდისხან, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახიფათო იყო უფრო ამპარტავნული ტიტულით თავის განდიდება) მარტო საქმეებით, მან აგრეთვე აღადგინა მის მიერ წარმოთქმული სიტყვები, ქადაგებები და მცნებები; ერთი სიტყვით, ეს იყო ამომწურავი გადმოცემა, როგორც ისტორიაზე, ისე კანონებზე.

55. როდესაც მარკოზმა გაათავა, მენიპმა, რომელიც ყურადღებით უსმენდა მას და ერთხელაც არ გაუწყვეტინებია ლაპარაკი, აიღო სიტყვა და დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ისეთი კილოთი, რომლიდანაც გარკვეულად სჩანდა, რომ მას არცთუ ისე დიდი განზრახვა აქვს მარკოზის ჯარში გადავიდეს... „თქვენი ბელადის წესები – სთქვა მან – მე მომწონს. ისინი, როგორც მე ვხედავ, სავსებით ემთხვევიან იმ კანონებს, რომლებსაც ჭკვიანი ხალხი ქადაგობდა არანაკლებ ოთხასი წლით ადრე. თქვენ ისინი ახლად მიგაჩნიათ და შეიძლება მართლაც ახალი იყვნენ უხეში და განუვითარებელი ხალხისათვის; დანარჩენებისათვის კი ისინი ძველნი არიან. მაგრამ, აი მაინც რა აზრმა გამიარა მე თავში მათ შესახებ: გასაოცარია, რომ ადამიანი, რომელიც ამ კანონებს ქადაგობდა, ასეთი ულოღიკო და არაბუნებრივი იყო თავის მოქმედებაში. მე არ მესმის, თუ როგორ შე-

ეძლო თქვენს უფროსს, ზნეობრივ კითხვებზე აგრე ჩინებულად მო-
აზროვნეს, ამდენი სასწაულების ჩადენა.

56. „მაგრამ თუ მისი მორალი ჩემთვის ახალი არაა, – განაგრ-
მობდა მენიპი, – უნდა გამოგიტყდეთ, რომ იგივე არ შემიძლია ვთქვა
მის სასწაულებზე; ისინი ჩემთვის ყველა ახალია და ეს იმ დროს,
როდესაც მათში არაფერი ახალი არ უნდა ყოფილიყო არც ჩემთვის
და არც სხვა ვინმესათვის. თქვენი უფროსი რომ ცხოვრობდა, მას
შემდეგ სულ ცოტა ხანმა გაიარა; ყველა მოხუცი – მისი თანამედ-
როვე იყო. ნუთუ თქვენ მართლა შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ
იმპერიის ასეთ ხშირ წვეულ პროვინციაში, როგორც ურიასტანია,
სამი ოთხი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ხდებოდეს ამგვარი
არაჩვეულებრივი ამბავი და არავის მის შესახებ არაფერი არ გაე-
გონოს? იერუსალიმში ჩვენ გყვავს გუბერნატორი და დიდძალი გარ-
ნიზონი; ჩვენი ქვეყანა სავსეა რომაელებით; რომსა და იოფას შორის
მუდმივ ვაჭრობა სწარმოებს, – ჩვენ კი თქვენი ბელადის არსებობის
შესახებაც კი არაფერი ვიცოდით. მის თანამეტომეთ შეეძლოთ დაე-
ნახათ ან არ დაენახათ, სასწაულები ისე, როგორც მათ სურდათ;
მაგრამ დანარჩენი ხალხი ხედავს ჩვეულებრივ იმას, რაც მის თვალ-
თა წინაშე ხდება და მხოლოდ მას ჰხედავს. თქვენ მე მეუბნებით,
რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა დაამოწმეს მისი სიკვდილის და მკვდრე-
თით აღდგომის დროს მომხდარი სასწაულები, მიწის ძვრა, მზის და-
ბნელება სამი საათის განმავლობაში და სხვ. მაგრამ, როდესაც
თქვენ მომითხრობთ, რომ ისინი თავზარდაცემულმა შიშმა შეიპყრო,
მიწაზე განერთხენ და მისი საფლავის ქვის გადასაბრუნებლად ზეციდან
ხილვადი ნების ჩამოსვლისთანავე გაიქცნენ; როდესაც შემდეგ მარწ-
მუნებთ, რომ იმავე ჯარისკაცებმა, ანგარების მიზნით, უარყვეს ისეთი
სასწაულები, რომლებმაც ისეთი განცვიფრება გამოიწვია მათში, რომ
ისინი კიღამ შიშით დაიხოცნენ, – თქვენ გავიწყდებათ, რომ ეს
ჯარისკაცები ადამიანები იყვნენ, ანდა იუდეველებად ხდით მათ, თით-
ქოდა თქვენი სამშობლოს ჰაერს თვისებად ჰქონდეს თვალებზე ბანდის
გადაკვრა და ტვინის შერყევა ყველა უცხოელისათვის, რომელიც
ამ ჰაერს ისუნთქავს. მერწმუნეთ, რომ უუმცირესი ნაწილიც რომ
ჩაედინა თქვენს ბელადს იმისა, რასაც თქვენს მას აწერთ, ამას გაი-
გებდნენ: იმპერატორი, რომი, სენატი და მთელი ქვეყანა. ეს ღვთი-
ური ადამიანი გახდებოდა ჩვენი საუბრების თემად და საყოველთაო
გაოცების საგნად, მის შესახებ კი ჯერაც არაფერი გაუგონიათ.
მთელი ეს მხარე, ერთი მუჭა ხალხის გამოკლებით, მატყუარად
სთვლის მას. ეს მაინც გაიგეთ, მარკოზ, რომ საჭირო შეიქნა თქვენი
ბელადის ყველა სასწაულებზე უფრო დიდი სასწაული, რომ წყვდია-
დში ჩაფლულიყო ასეთი აშკარა, ასეთი ბრწყინვალე, ასეთი არა-
ჩვეულებრივი სიცოცხლე, როგორიც მას წილად ხვდა. სცანით თქვე-

ნი შეცდომა და მიატოვეთ თქვენი ქიმერული აზრები, ვინაიდან აშკა-
რაა, რომ ყოველი სასწაულებრივი თვისებები, რომლებითაც თქვენ
მის ისტორიას ალამაზებთ, მხოლოდ თქვენი წარმოსახვის ნაყოფია“.

57. მარკოზი რამდენიმე წუთით დაჩუმებულიყო მენიპის სიტყვე-
ბით შემკრთალი, მაგრამ შემდეგ ისევ წამოიძახა აღფრთოვანების
კილოთი: „ჩვენი ბელადი – ძეა ყოვლისშემძლისა; ის ჩვენი მესიაა,
ჩვენი მხსნელი, ჩვენი მეფე. ჩვენ ვიცით, რომ ის მოკვდა და აღსდგა.
ნეტარნი არიან, ვინც ის ნახა და ირწმუნა; მაგრამ, უფრო ნეტარნი
იქნებიან ისინი, ვინც მას უნახავად ირწმუნებს. რომო, უარყავ შენი
ურწმუნოება, მედიდურო ბაბილონო, ფერფლით და ძაძით დაიფა-
რე თავი; მოინანიე, იჩქარე, დრო ცოტა გაქვს, შენი დაცემა მოახ-
ლოებულია, შენი ბატონობა დასასრულისაკენ მიილტვის. მაგრამ
რაღა შენს ბატონობაზე ვლაპარაკობ? მთელი მსოფლიო შეიცვლის
თავის სახეს, ადამიანის ძე გამოჩნდება ღრუბლებში და გაასამართ-
ლებს ცოცხალთა და მკვდართ. ის მოდის; ის უკვე კარებს უახლოვ-
დება. ბევრი დღევანდელი მცხოვრებთაგანი თვალით იხილავს ამ
ამბებს“.

58. მენიპი, რომელსაც ასეთი პასუხი არ ეპიტნავა, გამოემ-
შვიდობა აღფრთოვანებულთა ჯგუფს, დასტოვა ეკლნარის ხეივანი
და საშუალება მისცა მარკოზს – ემჭერმეტყველებია რამდენიც სურდა
და ეკრიბა ახალი მიმდევრები.

59. მაშ, როგორ, არისტ, შენ რას ჰფიქრობ ამ საუბრის შე-
სახებ? მე წინასწარ ვგრძნობ შენს პასუხს. „გეთანხმები– იტყვი
შენ, – რომ ეს იუდეველნი მართლაც დიდი სულელები იყვნენ ალბათ;
მაგრამ შეუძლებელია, რომ მთელს ხალხში რამდენიმე თავიანი კაცი
მაინც არ გამოჩენილიყო. თებელებს, ამ ყველაზე უფრო ჩლუნგგონებიან
ტომს ბერძნებისას, თავის ეპამინონდი, პელოპიდი და პინდარი ჰყავ-
დათ; და მე უფრო ვირჩევდი მომესმინა მენიპის ბაასი იოსებ ის
ტორიკოსთან ან ფილონ ფილოსოფოსთან, ვიდრე იოანე მოცი-
ქულთან ან მარკოზ მახარობელთან. სულელთა ბრბოს ყოველთვის
ნება ჰქონდა დაეჯერებია ის, რის მიღება გონიერი ხალხის მცირე
რიცხვსაც კი არ შერცხვებოდა; და პირველთა უტვინო მინდობი-
ლობას სრულებითაც არ შეუძლია გააბათილოს მეორეთა განათლე-
ბული დამოწმება; მაშ მაუწყე: რას ამბობდა ფილონი ეკალთა ხეივ-
ნის უფროსზე? ა რ ა ფ ე რ ს. რას ფიქრობდა მასზე იოსები? არა-
ფერს. რას მოგვითხრობს მასზე იუსტუს ტიბერიადელი? ა რ ა-
ფ ე რ ს“. და როგორღა გინდა შენ, რომ ამ ადამიანის ცხოვრებაზე
და საქმეზე ესაუბროს მენიპი ისეთ პირთ, რომელნიც, თუმცა დი-
დად განათლებულნი იყვნენ, მაგრამ მის შესახებ არაფერი გაუგო-

ნიათ? მათ არაფერი არ დავიწყებიათ არც იუდა გალილეველზე, არც
ფანატიკოს იონაფანზე, არც მეამბოხე თევდაზე; მაგრამ – არაფერს

ამბობენ, შენი ხელმწიფის ძეზე. როგორ მოხდა ეს? ნუთუ მათ ვერ გამოიცნეს იგი იმ მატყუარათა ბრბოში, რომელთაც თანამიმდევ-რობით წამოყვეს თავი და გამოჩენისთანავე უკვალოდ იკარგე-ბოდნენ?

60. ეკლნარის ხეივნის მოსახლეობა ნაწყენი იყო იმდროინ-დელი ისტორიკოსების დამამცირებელი დუმილით მათ ბელადზე და კიდევ უფრო იმ სიძულვილით, რომელსაც წაბლნარის ხეივნის ძვე-ლი მოსახლეობა განიცდიდა მათ მიმართ. რა მოიფიქრეს მათ ამ მძიმე მდგომარეობაში? მათ გადასწყვიტეს მოესპოთ შედეგი მიზეზის მოსპობით. „როგორ თუ! – წამოიყვირებ შენ, – მიზეზის მოსპობით! მე შენი არ მესმის. ნუთუ სიკვდილის შემდეგ ალაპარაკეს იოსები! წარმოიდგინე, რომ შენ მიხვდი: მის ისტორიაში თავისი უფრო-სის ქება შეიტანეს; მაგრამ, დახე მათ ხელუმარჯვობას; ვინაიდან ვერ შესძლეს სიმართლისათვის დაემსგავსებიათ მათივე შეთხზული ნაწყვეტი ან შესაფერი ადგილი მოენახათ მისთვის, სიყალბე აშკარა გახდა, ებრაელ ისტორიკოსს, იოსებს, სასულიერო წოდების კაცს, ერთგულ მომხრეს თავისი ხალხის რელიგიური კანონებისა, მათ ჩა-უდევს პირში თავიანთივე წინამძღოლთა სიტყვები. და როგორ გგონიათ, სად ჩაურთეს ეს სიტყვები? ისეთ ადგილას, სადაც ისინი სავსებით არღვევენ ავტორის სიტყვების მთელ აზრს. „მაგრამ თაღ-ლითმატყუარებს ყოველთვის არ ესმით თავისი საკუთარი ინტე-რესები, – ამბობს ავტორი, რომლიდანაც მე ვისესხე მენიპის გაბაა-სება მარკოზთან, – მეტისმეტად ბევრს გამოდევნებულნი, ისინი ხში-რად ხელცარიელნი რჩებიან. მეტ სარგებლობას მოუტანდა მათ ორი სტრიქონი, ჭკვიანურად ჩართული სხვა ალაგზე. იროდის ბოროტ-მოქმედებისათვის, რომელიც ასე დაწვრილებით აქვს აღწერილი მის მაძულარ ებრაელ ისტორიკოსს, მათ უნდა მიემატებიათ ბეთლემის ბავშვთა გაჟლეტა, რომლის შესახებ ის ერთ სიტყვასაც არ ამ-ბობს“.

61. შენ თითონ მოიფიქრებ ყოველივე ამას; ჯერ კი ერთხელ კიდევ დაბრუნდი ჩემთან ერთად ეკლნარის ხეივანში.

62. იმათ რიცხვში, რომლებიც დღეს იქ დაბობღავენ, არიან ზოგიერთები, რომელთაც ორივე ხელით უჭირავთ თვალსახვევი, თითქო ეს უკანასკნელი მთელი თავისი ძალღონით სცდილობდეს გასხლტომას. ამ ნიშნით შენ მაშინვე გამოარჩევ კარგი თავების მქონე ხალხს; რადგან ძველთაგანვე ცნობილია, რომ თვალსახვევი მით უკეთ ადგება ამათუიმ შუბლს, რამდენადაც ეს შუბლი უფრო

ვიწრო და მახინჯია. მაგრამ რა შედეგი მოაქვს თვალსახვევისათვის წინააღმდეგობის გაწევას? ორიდან ერთი: ან მისი დამჭერი ხელები იღლება და ის ძირს ვარდება; ანდა ადამიანი ჯიუტობს საბურვე-ლის თვალებზე შეკავების ცდაში და ბოლოს მიზანს აღწევს. ისინი, ვისაც ხელები ეღლება, იმ მდგომარეობაში ვარდება, რომელშიაც

ბრმად დაბადებული ჩავარდებოდა უცებ თვალები რომ ახელოდა. ყოველი გარეშე საგანი მას სულ სხვა სახით წარმოუდგებოდა, ვიდრე ისინი მას წარმოსახული ჰქონდა. ეს თვალახელილნი ჩვენს ხეივანში გადმოდიან. როგორის ნეტარებით ისვენებენ ისინი ჩვენს წაბლნარის ქვეშ და სუნთქავენ ჩვენს წმინდა ჰაერს! რა სიხარულით ადევნებენ ისინი თვალყურს თუ როგორ ყოველდღე უფრო და უფრო უშუშდებათ მათ საკუთრივ ხელით მიყენებული საშინელი ჭრილობები! როგორი თანაგრძნობით ამოიოხრობენ ხოლმე ისინი ეკლნარის ხეივანში დატოვებულ უბედურთა ვედრებაზე. მაგრამ ხელის გაწევას მათთვის ისინი ვერ ბედავენ. მათ ეშინიათ, რომ იმოდენა ძალას თავის საკუთარ არსებაში ისინი ვერ მონახავენ და კიდევ უფრო გაუვალ ტევრში გაიზიდავს მათ ხელახლა საკუთარი სიმძიმე ან წინამძღოლთა ძალდატანება. არასოდეს არ მომხდარა, რომ ამ გადმომრბენთ ჩვენ დავეტოვებიოთ. სიბერემდე ისინი ჩვენი ხეების ჩრდილქვეშ რჩებიან; მაგრამ, როდესაც დგება დრო საერთო პაიმანზე მათი გამგზავრებისა, ისინი ხედავენ თავს მრავალ წინამძღვრებით გარსშემორტყმულს; და ვინაიდან ზოგჯერ ისინი სულელნი არიან, წინამძღვრები სარგებლობენ ამ მდგომარეობით ანდა საღათა ძილის ჟამით, რომ თვალსახვევი გაუსწორონ მათ შუბლზე ან ოდნავ გაუწმინდონ ტანსაცმელი; ამით, ვითომ ისინი დიდ სამსახურს უწევენ მათ. ყველა ჩვენგანი, ვისი გონებაც მთელს თავის ძალას ინარჩუნებს, ცდილობს არ შეუშალოს ხელი წინამძღოლებს ამ საქმეში, რადგან მათ დაარწმუნეს მთელი ქვეყანა, რომ უზრდელობაა ხელმწიფესთან გამოცხადება უთვალსახვევოდ და გ ა უ რ ე ც ხ ა ვ და გ ა უ უ თ ო ვ ე ბ ე ლ ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ შ ი. ზრდილობიან ადამიანებში ამას მოგზაურობის ზრდილობიანად დასრულება ეწოდება; ჩვენს საუკუნეს კი ზრდილობა უყვარს.

63. მე გადავედი ეკლნარის ხეივნიდან ყვავილნარის ხეივანში, სადაც დიდხანს არ დავრჩენილვარ და იქედან წაბლნარის ჩრდილში გადავედი. მაგრამ მე არ ვატყუებ ჩემს თავს იმ რწმენით, თითქოსდა უკანასსნელ წუთებამდე არ დავრჩები. არაფერზე არ შეიძლება თავდებობა. სავსებით შესაძლებელია, რომ მე ჩემი გზა ხელისცეცებით დავამთავრო, როგორც ბევრმა სხვამ. მაგრამ როგორადაც არ უნდა იყოს ეს, მე ახლა მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი

ხელმწიფე უსაზღვროდ კეთილია და ის მეტ ყურადღებას მიაქცევს ჩემს ტანსაცმელს, ვიდრე ჩემს თვალსახვევს. მან იცის. რომ ჩვენ, როგორც წესი, უფრო სუსტნი ვართ, ვიდრე ბოროტნი. ამასთან ერთად, სიბრძნე მის მიერ დადგენილი კანონებისა იმდენად დიდია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დაუსჯელად მათი განრიდება. თუ მართალია ის, რაშიაც ეკლნარის ხეივანში ერთს დროს ცდილობდნენ დავერწმუნებიეთ (იქაური გამგენი კი თუმცა საძაგლად ცხოვრობენ, მაგრამ ზოგჯერ საუცხოვო რამეებს ლაპარაკობენ), მაშინ მე ვამ-

ბობ, რომ ჩვენი კეთილმოქმედების ხარისხი ჩვენი დღევანდელი ბედნიერების ზუსტი საზომია, მაშინ ჩვენს ხელმწიფეს შეეძლებოდა მოვესპეთ ჩვენ ყველანი და ამით არცერთი ჩვენთაგანის მიმართ უსამართლობა არ ჩაედინა. მაგრამ, უნდა გამოვტყდე, რომ მე პირადად სულ სხვა რამეს ვისურვებდი; მე უხალისოდ მივდივარ მოსპობის შესახვედრად; მე მოვისურვებდი განმეგრძო არსებობა იმ რწმენით, რომ მე შემიძლიან მხოლოდ კარგად ყოფნა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ხელმწიფე, რომელიც არა ნაკლებ ბრძენია, ვიდრე კეთილი, არაფერს მოუფიქრებლად არ აკეთებს; ჰოდა, რა შეეძლო მას მხედველობაში ჰქონოდა ცუდი ჯარისკაცის დასჯის დროს? თ ა ვ ი ს ი ვ ე ს ა კ უ თ ა რ ი დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა? არა მგონია; მე უხეშ შეურაცხყოფას მივაყენებდი მას, რომ ჩემზე უფრო ბოროტად იგი მეგულვებია. კ ე თ ი ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ს დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა? ეს იქნებოდა დაშვება მათში შურისძიების გრძნობისა, რომელიც მათს სიკეთესთან შეუთავსებელია და რომელსაც ჩვენი ხელმწიფე, სხვების ახირებულ სურვილებს არამყოლი, არასოდეს ანგარიშს არ გაუწევდა. ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ა გ რ ე თ ვ ე თ ქ მ ა, რ ო მ ი ს მ ა გ ა ლ ი თ ი ს ა თ ვ ი ს დ ა ს ჯ ი დ ა; ვინაიდან მაშინ ხომ აღარ დარჩებოდა ხალხი, რომელიც შესძლებდა დამნაშავის დასჯას დაეშინებია. თუ ბატონები სჯიან ვისმეს დანაშაულისათვის, მარტო იმ იმედით, რომ სხვები დაშინდნენ და დამნაშავეებს არ წაბაძონ.

64. მაგრამ, სანამ ეკლნარის ხეივანს დასტოვებდე, შენ უნდა გაიგო კიდევ, რომ ამ ხეივნის მგზავრები ყველანი ერთ უცნაურ მოჩვენებას ხედავენ. მათ ჰგონიათ, რომ შეპყრობილნი არიან რომელიღაც ცბიერი მაცდურისაგან და ეს ძველი, როგორც სამყარო, მაცდური, მოსისხარი მტერი ხელმწიფისა და მისი ქვეშევრდომების, უხილავად დაფარფაშობს მათ ახლო, ცდილობს გზა აუბნიოს და განუწყვეტლივ ჩასჩურჩულებს მათ ყურში, რომ ჯოხები დაყარონ, ტანსაცმელი დაისვარონ, დაჰფხრიწონ თვალსახვევი და გადაინაცვლონ ან ყვავილთა ხეივანში, ანდა ჩვენს წაბლნარში. როცა ისინი გრძნობენ, რომ მეტისმეტი სურვილი აქვთ მის რჩევაზე გავლის,

მაშინვე მარჯვენა ხელით სიმბოლურ ჟესტს აკეთებენ, რომელიც უკუაქცევს მაცდურს, განსაკუთრებით მაშინ, თუ თითის წვერს ჩაუშვებენ განსაკუთრებულ წყალში, რომლის მომზადების უფლება მარტო წინამძღვრებს ეკუთვნის.

65. მე ვერასოდეს ვერ გავათავებდი, დაწვრილებით რომ მომეთხრო ამ წყლის თვისებებზე და ამ ნიშნის არაჩვეულებრივ მოქმედებაზე. თითონ მაცდურზე დაწერილია ათასი ტომები, რომლებიც ერთხმად ადასტურებენ, რომ ჩვენი ხელმწიფე სულელია მასთან შედარებით, რომ მისთვის მას გაუკეთებია ათასი ოინი, და რომ ის ათასჯერ უფრო დახელოვნებულია მეფის ქვეშევრდომთა მოტაცებაში, ვიდრე თვითონ ამ ქვეშევრდომთა შენარჩუნებაში. მაგრამ საყვედური

რომ არ გამოვიწვიო მილტონის მსგავსად და რომ ეს წყეული მაცდური ჩემი თხზულების გმირად არ გადაიქცეს, რომლის ავტორობა უეჭველად მას მიეკუთვნება, აღვნიშნავ კიდევ მხოლოდ, რომ მას დაახლოებით ისეთივე საზიზღარი სახით ხატავენ, როგორიც მომაჯადოებელ ფრესტონს მიაკუთვნეს მედოკის ჰერცოგთან, სერვანტესის საუცხოო რომანის ფრიად მოსაწყენ გაგრძელებაში; და ეკლნარის ხეივანში ფიქრობენ, რომ ვინც გზაში მას დაუჯერებს, მასვე გადაეცემა ხელში ბანაკის ჭიშკართან და მასთან ერთად გაინაწილებს საუკუნოების დასასრულამდე ცეცხლის მორევში მისთვის გამზადებულ საშინელ ხვედრს. თუ ეს მართალია, ეს ისეთი ფრიად აჭრელებული ყრილობა იქნება პატიოსან ხალხისა და არამზადების, როგორიც ჯერ არასოდეს ნახულა, და მასთან ერთად ძლიერ ცუდ ადგილზე შეკრებილის.

წაბლნარის ხეივანი

Dum doceo insanire, omnes,
vos ordine adite
Horat., Sat. Lib. II, Sat. III[75]

1. წაბლნარის ხეივანი მყუდრო თავშესაფარს წარმოადგენს და ძველ აკადემიას წააგავს. მე უკვე ვთქვი, რომ მის გასწვრივ გაბნეულია ჩრდილოვანი ჭალები და მყუდრო კუნჭულები, სადაც სიწყნარე და მშვიდობიანობა სუფევს. მისი მოსახლეობა დარბაისელი და სერიოზულია, მაგრამ არც მდუმარება და არც სიმკაცრე მათ არ ახასიათებთ. მოწოდებით რეზონერებს მათ უფრო უყვართ საუბარი და კამათიც, მაგრამ არა იმ სიფიცხით და სიჯიუტით, როგორადაც წკავწკავობენ თავიანთ სისულელეებზე მათ მეზობლად. შეხედულებათა სხვადასხვაობა არ არღვევს აქ მეგობრულ ურთიერთობას და ხელს არ უშლის კეთილსაქმიანობის გამოჩენას. მოწინააღმდეგეებს შეუტევენ უმძულვარებოდ და თუმცა სრულის ულმობელობით აყენებენ მათ გამოუვალ მდგომარეობაში, მაგრამ მედიდურობას არ იჩენენ მათზე გამარჯვების დროს. იქ ქვიშაზე დახაზულია სამკუთხედები, წრეები და სხვა მათემათიკური ფიგურები. იქ მუშაობენ სისტემების შექმნაზე, მაგრამ ლექსებს ცოტას სწერენ. მ ი მ ა რ თ ვ ა უ რ ა ნ ი ი ს ა დ მ ი აღმოცენდა, მე ვფიქრობ, ყვავილნარში შამპანურისა და ტოკაიურის აზარფეშასთან.

2. უმრავლესობა ამ გზით მიმავალ ჯარისკაცებისა ქვეითია. ისინი ფარულად დადიან; და მათი მგზავრობა საკმაოდ მშვიდობიანი იქნებოდა, რომ დროგამოშვებით, მათ არ აწუხებდნენ ეკლნა-

რის ხეივნის წინამძღოლები, რომლებიც მათ თავის ყველაზე უფრო სახიფათო მტრებად სთვლიან. უნდა გითხრათ, რომ ეს ხეივანი, საზოგადოდ, ხალხმრავალი არაა და ის კიდევ უფრო ნაკლებ ხალხმრავალი იქნებოდა, რომ იქ მარტო ისინი გვხდებოდნენ, ვისაც უწერია ამ ხეივნით ბოლომდე სიარული. ეტლებისათვის ის არც ისე მოხერხებულია, როგორც ყვავილნარი; მათთვის კი, ვისაც უჯოხოდ არ შეუძლია სიარული, ის სრულიად გამოუსადეგარია.
206

3 დიდმნიშვნელოვანი იქნებოდა საკითხის გადაწყვეტა იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა ჯარის ეს ნაწილი ერთ მთლიან რაზმს და შეუძლია თუ არა მას საზოგადოების შედგენა? რადგან აქ არ არის არც ტაძარი, არც საკურთხეველი, არც მსხვერპლის შეწირვა, არც წინამძღოლი, არ არის საერთო დროშა, რომელსაც ყველა მიყვებოდეს; არ არსებობენ ყველასათვის სავალდებულო დადგენილებები, – ხახლი დაყოფილია მეტ ან ნაკლებ მრავალრიცხოვან ჯგუფებად, რომლებიდანაც თითოეული გულმოდგინეთ იცავს თავის დამოკიდებულებას. ცხოვრება ისეა მოწყობილი, როგორც ძველ სახელმწიფოებში, სადაც თითოეული ოლქი თავის საკუთარ წარმომადგენლებს აგზავნიდა ცენტრალურ საბჭოში თანაბარი რწმუნებულობით. შენ გადაწყვეტ ამ პრობლემას, როდესაც მე დაგისურათებ მეომართა ხასიათს.

4. პირველი რაზმი, რომლის წარმოშობა ძველისძველ დროს ეკუთვნის, შესდგება ხალხისაგან, რომელიც პირდაპირ აცხადებს, რომ არ არსებობს არც ხეივანი, არც ხეები, არც მოგზაურნი; რომ ყოველივე, რასაც ჩვენ ვხედავთ, თანაბარი წარმატებით შეიძლება წარმოადგენდეს რაიმეს და შეიძლება აგრეთვე არაფერს წარმოადგენდეს. მათ, როგორც ამბობენ, განსაცვიფრებელი უპირატესობა აქვთ ომში; თავდაცვაზე ყოველგვარი ზრუნვის უარმყოფელნი, ისინი მარტო თავდასხმაზე ფიქრობენ. მათ არა აქვთ არც მუზარადი, არც ფარი, არც ჯავშანი; აქვთ მხოლოდ მოკლე, ორივე მხრივ მჭრელი ხმალი, რომელსაც მეტისმეტი ოსტატობით ხმარობენ. ისინი თავსესხმიან ყველას, საკუთარ ამხანაგებსაც კი. და თქვენთვის ღრმა ჭრილობების მიყენების დროს ან როდესაც თვითონ არიან ღრმა ჭრილობებით დაფარული, საშინელი გულცივობით აცხადებენ, რომ ყოველივე ეს უბრალო თამაში იყო, რომ მათ არც უფიქრნიათ თქვენთვის ჭრილობების მოყენება, ვინაიდან მათ ხმალი არა აქვთ, თქვენ კი – სხეული; რომ ბოლოს და ბოლოს მათ შეეძლოთ შეცდომაში შესულიყვნენ; რომ ამიტომ საჭიროა, როგორც მათთვის, ისე თქვენთვისც პირველყოვლისა იმის გამორკვევა – მართლა შეიარაღებული არიან ისინი თუ არადა თვით ეს შეტაკება, რომელმაც თქვენ ასე გაგამწარათ, მათი თქვენდამი მეგობრული განწყობილების გამომჟღავნება ხომ არ არის?

მათ პირველ მეთაურზე მოგვითხრობენ, რომ ხეივანში ის და-

სეირნობდა ყოველგვარი მიმართულებით, ხან თავდაყირა, ხშირად პირუკუღმა; რომ ის ეხეთქებოდა ხან მგზავრთ, ხან ხეებს, ვარდებოდა ორმოებში, იღრძობდა სახსრებს, მაგრამ სიარულში დახმარების ყოველივე წინადადებაზე უპასუხებდა, რომ მას არც კი უფიქ-

რია ადგილიდან დაძვრა და რომ ის მშვენიერად გრძნობს თავს. საუბრის დროს ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზრებიდან ის რომელიც გინდოდა იმას დაიცავდა, გამოთქვამდა რომელიმე შეხედულებას და იქვე უარყოფდა მას, ერთი ხელით მოგეფერებოდათ მეორე ხელით კი სილებს გაგაწნევდათ და ყოველივე ასეთს ხუმრობას დაასრულებდა შეკითხვით: ნ უ თ უ მ ე თ ქ ვ ე ნ დ ა გ ა რ ტ ყ ი თ? ამ რაზმს თავისი საკუთარი დროშა დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონია, მაგრამ ასი წლის წინათ ერთმა მისმა მეომარმა გამოიგონა მისთვის დროშა. ესაა ოქროს, ვერცხლის, მატყლისა და აბრეშუმის ძაფებით მოქარგული სასწორი, შემდეგი სიტყვებით დევიზად: ა ბ ა მ ე რ ა ვ ი ც ი? მისმა ფანტასტიკურმა და ფრიად აბდაუბდა ნაწერებმა, თავისი მიმდევრები ჰპოვეს. ყველა ეს ჯარისკაცები კარგნი არიან ჩასაფრებისათვის და სტრატეგიული ოპერაციებისათვის.

5. მეორე რაზმი, არა ნაკლებ ძველი, თუმცა ნაკლებ მრავალრიცხოვანი, შესდგება პირველი რაზმის აჯანყებულ ჯარისკაცებისაგან. ესენი სცნობენ, როგორც თავის თავის, ისე ხეივნის და ხეების არსებობას; მაგრამ ჰგონიათ, რომ ჯარზე და ბანაკზე ფიქრი სასაცილოა და თვით ხელმწიფეც კი – ცარიელი ქიმერაა; რომ თვალსახვევი ბრიყვთა სამკაულია და დასჯის შიში – ერთადერთი გონიერი მოტივია ტანსაცმელის სუფთად შენახვისათვის. ისინი უშიშრად მიიწევენ ხეივნის დასასრულისაკენ, სადაც, მათი ფიქრით, ქვიშა განიბნევა მათ ფერხთა ქვეშ და ისინი უფსკრულში შთაინთქმებიან.

6. ისინი, ვინც უკან მისდევენ, სულ სხვანაირად აზროვნებენ. ბანაკის არსებობაში დარწმუნებულნი, ისინი ჰფიქრობენ, რომ მეფის განუსაზღვრელ სიბრძნეს უსინათლოდ ისინი არ დაუტოვებია, რომ გონება, მისგან ნაბოძები, საკმარისია გზის გასაგებად; რომ საჭიროა თაყვანისცემა მეფისადმი და ის ცუდად ან კარგად მიგიღებთ იმისდა მიხედვით, კარგად თუ ცუდად ემსახურებოდით თქვენ მას გზაზე; რომ ის, მაინც, მეტისმეტი სასტიკი არ იქნება და დაუსრულებელი სასჯელით არავის დასჯის; და რომ პაემანზე, ერთელ მისული უკვე არასოდეს არ დასტოვებს მას. ისინი ემორჩილებიან საზოგადოების კანონებს, სცნობენ და ჰქმნიან სიკეთეს, სძულთ დანაშაული და ზომიერი ვნებანი ბედნიერებისათვის აუცილებელ პირობად მიაჩნიათ. მიუხედავად მათი მშვიდობიანობისა, ისინი სძაგთ ეკლების ხეივანში. რატომ? მკითხავ შენ. მიტომ, რომ ისინი თვალთსახვევს არ ატარებენ; მიტომ, რომ ისინი ამტკიცებენ, რომ კარგი ყოფაქცევისათვის ორი კარგი თვალი საკმარისიაო. და უსაბუთოდ არ იჯერებენ, რომ სამხედრო კოდექსი მართლა ხელმწიფესაგან წარმომდინა-

მის სიბრძნესა და მადიანობასთან. „ჩვენი ხელმწიფე, – ამბობენ ისინი, – იმდენად სამართლიანია, რომ ცნობისმოყვარეობისათვის არ დაგვსჯის: რას ვეძიებთ ჩვენ თუ არა მისი ნებისყოფის შეგნებად წარმოგვიდგენენ მის მიერ დაწერილ წერილს იმ დროს, როდესაც ჩვენ თვალწინ მისი ნამუშევარი გვაქვს. ჩვენ ვადარებთ ერთს მეორესთან და არ ძალგვიძს გავიგოთ, თუ როგორ შეეძლო ესოდენ დიად ოსტატს ასეთი ცუდი მწერალი ყოფილიყო. ნუ თუ ეს წინააღმდეგობა საკმაოდ თვალსაჩინო არაა, რომ ჩვენი გაკვირვება გვეპატიოს?“

7. მეოთხე ბანდა გეტყვის, რომ ხეივანი ჩვენი მეფის ზურგზეა გადაჭიმულიო, რაც ფანტაზიაა და ისიც უფრო უაზრო, ვიდრე ძველი პოეტების ატლანტი. უკანასკნელს მხრებზე ედგა ცის თაღი, და სიჩქარი ამკობდა შეცდომას. აქ კი გონებას დასცინიან და რამდენიმე ორაზროვანი წინადადების შემწეობით სურთ გაათრიონ ის აზრი, რომ ხელმწიფე ხილული ქვეყნის ნაწილს წარმოადგენს, რომ მსოფლიო და ის ერთი და იგივეა და რომ ჩვენ თითონ მისი უზარმაზარი სხეულის ნაწილი ვართ. ამ გიჟების ბელადი ერთგვარი მოთარეშე იყო, რომელიც ხშირად აფორიაქებდა თავისი თავდასხმებით ეკლების ხეივანს.

8. ამ მეომრებთან სრულიად უწესრიგოდ მხარდამხარ მიდიან უფრო უცნაური მეომრებო. ეს ის ხალხია, თითოეული რომელთაგანაც ამტკიცებს, რომ ქვეყანაზე მის მეტი არავინ არსებობს. ისინი მხოლოდ ერთი არსების ყოფნას სცნობენ; მაგრამ ეს მოაზროვნე არსება თვით ისინი არიან: ვინაიდან, ყოველივე, რაც ჩვენში ხდება, მხოლოდ შთაბეჭდილებაა, ვინაიდან, ისინი აქედან ასკვნიან, რომ არაფერი არ არსებობს მათსა და ამ შთაბეჭდილებებს გარდა. ამიტომ თითოეული მათგანი ერთსა და იმავე დროს ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ც ა ა დ ა შ ე ყ ვ ა რ ე ბ უ ლ ი ც, მამაც და შვილიც, ყვავილების კვალიც და ისინიც, ვინც მას ფეხით თელავს. რამდენიმე დღის წინათ მე შევხვდი ერთ მათგანს, რომელიც მარწმუნებდა, რომ ის ვირგილიუსია. „რა ბედნიერი ხართ, – ვუპასუხე მე მას, – რომ უკვდავება მოიპოვეთ თქვენი ღვთიური ენეიდათი! – ვინ? მე! – გაკვირვებით შემომძახა მან – მე ამ მხრივ თქვენზე ბედნიერი არა ვარ. – რას ლაპარაკობთ! – მიუგე მე – თუ თქვენ ნამდვილად ლათინთა პოეტი ხართ (და ისევ სჯობს რომ თქვენ იყოთ ის, ვიდრე სხვა), მაშინ, დამეთანხმეთ, რომ ღირსი ხართ უმაღლესი ქებადიდებისა თქვენი უკვდავი ქმნილების გამო. როგორი ცეცხლი! როგორი ჰარმორია! როგორი ენა! როგორი აღწერა! როგორი სიმწყობრე! – თქვენ რა სიმწყრობრეზე ლაპარაკობთ! – გამაწყვეტია მან, – მისი კვალიც კი არაა ამ ნაწარმოებში: ეს უმ-

სგავს წარმოდგენათა გროვაა, და მე რომ თავის ქება შემეძლოს
იმ თერთმეტი წლის შრომისათვის, რომელიც ათი ათას სალექ-
სო სტრიქონის შეთხზვაზე დაიხარჯა, ეს მხოლოდ იმ ჩინებული
ქათინაურებისათვის, რომლებიც მე ამ ლექსებში, გზა და გზა, ჩემს
თავს ვუძღვენი, ჩემივე თანამოქალაქეების ხერხიანად დამორჩილე-
ბისათვის პროსკრიპციების საშუალებით და სამშობლოს საპატიო
სახელწოდების მიღებისათვის, მაშინ როდესაც მე მისი ტირანი ვი-
ყავი“. – მე თვალები დავაჭყიტე ამ სისულელეების გაგონებაზე და
ვცილობდი მთლიანობა მომენახა ამ აბდაუბდაში. ჩემმა ვირგილიუსმა
შენიშნა ჩემი შეკრთომა. „თქვენთვის ძნელია ჩემი გაგება, – განა-
გრძნო მან; – საქმე აი რაშია: მე ვიყავი ერთსა და იმავე დროს ვირ-
გილიუსიც და ავგუსტუსიც, ავგუსტუსიც და ცინაც. მაგრამ ეს
ყველაფერი არაა, ახლა მე ის ვარ, ვინც მე მინდა ვიყო, და მე ახ-
ლავ დაგიმტკიცებ, რომ შესაძლებელია მე ვარ ის, რაც ხართ თქვენ,
თქვენ კი – არარაობა ხართ; ავშორდები მე ღრუბლებს, თუ
ჩავიკარგები უფსკრულში, მე არასოდეს არ გამოვალ
ჩემი საკუთარი არსებიდან და ყოველივე, რასაც მე
ვამჩნევ, ჩემივე საკუთარი აზრია“. ამ სიტყვებზე, რომლე-
ბიც მან განსაკუთრებული მახვილდასმით წარმოსთქვა, მისი საუბარი
შესწყვიტა ახმაურებულმა ბრბომ, რომელიც ერთადერთი მიზეზია
ყველა უწესრიგობისა, ჩვენს ხეივანში რომ ხდება.

9. ესენი იყვნენ ახალგაზრდა ქარაფშუტები, რომლებიც დიდ-
ხანს ყვავილნარ ხეივანში ყოფნის შემდეგ სულ კიდევ ცეკვით ჩვენს
ხეივანში გადმოვიდნენ. ისინი ისეთ გაშმაგებულ ბორგვაში იყვნენ,
ისე იქცეოდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ მთვრალები გეგონებო-
დათ. ყვიროდნენ, რომ არც ხელმწიფე და არც ბანაკი არ არსე-
ბობენ და ხეივნის დასასრულში ყველანი სვეტედნიერად მოისპობიანო,
მაგრამ ამ ბოდვის დასამტკიცებლად – არცერთი საქმიანი სიტყვა,
არცერთი დალაგებული აზრი. იმ ხალხის მსგავსად, ღამით ქუჩაში
რომ იმღერიან და ამით სცდილობენ სხვები, ან, შეიძლება თავის
თავიც დაარწმუნონ, რომ ვითომ მათ არ ეშინიათ, ისინი კმაყოფილ-
დებოდნენ თავისივე ხმაურობით და თუ ამ ხმაურს სწყვეტდნენ რამ-
დენიმე წუთით, მარტო იმიტომ, რომ სხვების ლაპარაკისათვის
მიეგდოთ ყური, ცალკე ნაწყვეტები დაემახსოვრებიათ იქედან და
შემდეგ ემეორებიათ, როგორც ვითომ საკუთარი ქონება, მათზე რაიმე
სისულელის დართვით.

10. ჩვენთ ბრძენთ სძაგთ ეს ბაქიები და მართალნიც არიან.
მათ არა აქვთ გარკვეული გზა და წამდაუწუმ გადადიან ერთი ხეივ-
ნიდან მეორეში. როდესაც ნიკრისის ქარები ემართებათ, ისინი ეკლ-

ნარის ხეივანში გადააყვანინებენ თავს. ქარების გავლისთანავე ყვა-
ვილნარ ხეივანს მიაშურებენ, საიდანაც რომელიმე სხვა ავადმყოფობა
ისევ გვიბრუნებს მათ, მაგრამ არა დიდი ხნით. მალე მოძღვართა

ნიშანზე დამხობილნი, ისინი გმობას დაუწყებენ ყოველივეს, რაც ჩვენს შორის უთქვამთ, მაგრამ მაშინვე დასტოვებენ მათ, თუ მიღებულმა წამლებმა ახალი სიმთვრალე მოჰგვარათ. ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ო ბ ი ს კ ა რ გ ი ა ნ ც უ დ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა შ ე ა დ გ ე ნ ს მ თ ე ლ ს მ ა თ ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა ს.

11. სანამ მე ამ ცრუ მამაცებს ვათვალიერებდი, ჩემი გიჟი გაჰქრა და დაუწყე თვალყურის დევნება მის ამხანაგებს, რომელნიც დასცინიან ყველა მგზავრს, თვითონ არა აქვთ რა არავითარი გარკვეული აზრი, და ჰგონიათ რა, რომ ჭკვიანური აზრების არსებობა საზოგადოდ შეუძლებელია. მათ არ იციან, საიდან მოვიდნენ, რისთვის მოვიდნენ, საითკენ უძევთ გზა და ძლიერ ნაკლებად აინტერესებთ ყოველივე ეს; მათი საომარი ძახილია: ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი - ა მ ა - ო ე ბ ა ა!

12. ამ მეომრებიდან ზოგიერთები ერთიანდებიან ხოლმე სათარეშო სამხედრო მოქმედებისათვის და თუ შესძლეს, მოჰყავთ ტყვეები ან გადარბენილნი. მათი თავდასხმების ადგილი – ეკლნარის ხეივანია; ისინი აქ ფართოდ შეძვრებიან ტყე-ღრეების, ნისლის ან სხვა რაიმე სტრატეგიის შემწეობით, რომელიც ხელს უწყობს მათი საიდუმლო გამოსვლას, დაატყდებიან თავს გზაზე შეხვედრილ ბრმებს, აოტებენ მათ წინამძღოლთ, მიმოაბნევენ მოწოდებებს ხელმწიფისა ან სატირებს ხელმწიფის მოადგილის წინააღმდეგ, ართმევენ კვერთხებს, აგლეჯენ თვალსახვევებს და დაჰქრებიან. ვერ წარმოიდგენ რა სასაცილონი არიან უჯოხოდ დარჩენილი ბრმები; არმცოდნენი იმისა, თუ საითკენ წავიდნენ და რა გზას დაადგნენ, ისინი ხელის ცეცებით ბოდიალობენ, ყვირიან, სასოწარკვეთილებას ეძლევიან, წამდაუწუმ ყველას ეკითხებიან გზას და ყოველი ნაბიჯით შორდებიან მას; უნდო ნაბიჯები ყოველწუთს აშორებენ მათ იმ დიდი გზიდან, რომლისკენაც ჩვეულება ეზიდებათ.

13. როდესაც ამ არეულობის მომწყობთ დაიჭერენ, სამხედრო საბჭო მათ ეპყრობა ისე, როგორც უსახლკარო და უუფლებო ავაზაკებს. მოპყრობა, რომელიც სრულიად არა ჰგავს ჩვენსას. ჩვენს წაბლებს ქვეშ დამშვიდებულად მოუსმენენ ეკლნარის ხეივნის მოძღვრებს, – პასუხს აძლევენ დარტყმულზე, მიიმწყვდევენ კედელზე, ასწორებენ მიწასთან, ანათლებენ მათ გონებას, თუ ეს შესაძლებელია; ან, უკიდურეს შემთხვევაში, დასტირიან მათ სიბრმავეს. თავმდაბლობით და მშვიდობის მოყვარულობითაა აღსავსე ჩვენი ფანდები; მათნი კი –

გააფთრებით არიან შთაგონებულნი. ჩვენ არგუმენტებს ვხმარობთ; ისინი კი წკეპლებს იმარაგებენ. ისინი სიყვარულს ქადაგობენ, მაგრამ სისხლის წყურვილს განიცდიან. მათი მეტყველება ადამიანურია, მაგრამ გული – ბოროტი. თუ ჩვენი ხელმწიფე შეუბრალებელ ტირანად ჰყავთ მათ წარმოდგენილი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთი ულმობელობა გაამართლონ.

14. ამასწინათ მე მოწამე ვიყავი ეკლნარის ხეივნის ერთერთი მო-
ბინადრის საუბარისა ერთს ჩვენს ამხანაგთან. თვალებახვეული იგი
მიუახლოვდა პირველ მწვანე ტალავერს, რომელშიაც მეორე ოცნე-
ბობდა. მათ ანცალკევებდა ერთმანეთისაგან მხოლოდ ცოცხალი
ღობე, რომელიც ხელს უშლიდა მარტო მათს შეერთებას და არა
ერთმანეთის მოსმენას. ჩვენმა ამხანაგმა, მთელი რიგი აზრების შედე-
გად ხმამაღლა წამოიძახა როგორც ეს მოსდით ადამიანებს, რომელ-
თაც არ ჰგონიათ რომ ვინმე უსმენს: „არა, არავითარი ხელმწიფე არ
არსებობს; არაფერი არ ამტკიცებს თვალსაჩინოდ მის არსებობას“. –
ბრმას ეს სიტყვები ბუნდოვანად ჩასწვდა ყურში, ერთერთ თავის ამხა-
ნაგად მიიღო იგი და სუნთქვადახშობილი ხმით დაუწყო მას გამოკით-
ხვა: „ძმაო, გზა ხომ არ ამრევია? ხომ სწორად მივდივარ და შორს
თუა კიდევ, შენი აზრით, ჩვენი გზის დასასრული“?

15. აფსუს, საცოდავო შეშლილო, – უპასუხა მან, ტყუილად
ითმენ და იტანჯები: სხვისი ბოდვების უბედურო მსხვერპლო, შენ
შეგიძლია იარო, რამდენიც გინდა და, სულერთია, ვერასოდეს ვერ
მიაღწევ იმ ადგილს, რომელსაც ისინი გპირდებიან, და მაგ ჩვარში
რომ არ იყოს შენი თავი გახვეული, შენ ჩვენსავით დაინახავდი, რომ
არ არსებობს ოცნებანი, უფრო სულელურნი, ვიდრე ის უცნაური
ცბიერხლართულობანი, რომლებითაც შენ გაბრუებენ. მართლაც
და, მითხარი: რატომ გწამს შენ ხელმწიფის არსებობა? შენი რწმენა,
შენი საკუთარი გონებისა და აზროვნების ნაყოფია, თუ შენს წინა-
მძღოლთა ცრუმორწმუნეობით და დარიგებით წარმოშობილი? შენ
მათ ეთანხმები მასში, რომ ვერაფერს ვერ ხედავ და ამავე დროს კი
ძლიერ თამამად მსჯელობ ყოველივეზე. სცადე ჯერ გაერკვე საკით-
ხში, ასწონდასწონე საბუთები, რომ უფრო სწორი აზრი შეადგინო.
როგორი სიამოვნებით გამოგათრევდი იმ ლაბირინთიდან, რომელ-
შიაც შენ დაეხეტები! მოიწი ჩემკენ, რომ მოგაცილო ეგ თვალსა-
ხვევი. – ვიფიცებ ხელმწიფეს, ეს არ მოხდება – მიუგო ყურადღება
გამახვილებულმა ბრმამ და სამი ნაბიჯით უკან დაიხია. რას მეტყვის
ის და რა დამემართება მე, რომ უთვალსახვეოდ და ღია თვალებით
წარვსდგე მის წინაშე? მაგრამ, თუ გნებავს მოდი ვისაუბროთ. შეიძ-
ლება შენ გამომიყვანო ცდომილებიდან; მე კი, თავის მხრივ, შენი

ჭეშმარიტ გზაზე დაყენების იმედს არ ვკარგავ. თუ მე ეს მოვახერხე,
ჩვენ შემდეგ ერთად განვარგძობთ გზას; და როგორც მოგზაურობის
ყოველივე სიძნელეები, ისე, ,პაემანის სიამოვნებანიც ერთმა-
ნეთს გაუზიაროთ. დაიწყე: მე გისმენ შენ.

16. უკვე ოცდაათი წელიწადია, დაიწყო თავის სიტყვა წაბლ-
ნარის ხეივნის მობინადრემ, რაც შენ შიშით და სევდით დაეხეტები
მაგ წყეულ გზაზე; განა უფრო ახლოს ხარ მიზანთან ახლა, ვიდრე
პირველ დღეს იყავი? ჰხედავ თუ არა ახლა უფრო აშკარად, ვიდრე
მანამდე, შესავლელს ან რომელიმე დარბაზს თუ პავილიონს შენი

მბრძანებლის სასახლისას? არჩევ თუ არა აქედან მისი ტახტის ერთს საფეხურს მაინც? ყოველთვის ერთნაირად დაშორებული მასზე, შენ ვერასოდეს მას ვერ მიუახლოვდები. დამეთანხმე, რომ შენ საფუძ-ვლების გაუსინჯავად გაჰყევი ამ გზას მარტო იმიტომ, რომ ამ გზით მიდიოდნენ, და ასევე უსაფუძვლოდ, შენი წინაპრები, შენი მეგობრები, შენი მსგავსები, რომლებიდანაც არცერთს არ მოუტა-ნია შენთვის ცნობები იმ სანეტარო ქვეყნიდან, სადაც შენ იმედი გაქვს ოდესმე იცხოვრო. ნუთუ საგიჟეთის ღირსად არ ჩათვ-ლიდი შენ იმ ვაჭარს, რომელიც დასტოვებდა თავის სახლს და გა-დალახავდა, რომელიმე მატყუარაზე ან უვიცზე მინდობილი, ათას-გვარ ხიფათს, უცნობ და მღელვარე ზღვებს, სიცხით გადამწვარ უდაბნოებს განძის მოსანახავად ისეთ ქვეყანაში, რომელსაც ის იც-ნობს მეორე ისეთივე უვიცი და გაიძვერა მოგზაურის ვარაუდიდან, როგორიც თვითონ არის? შენ ხარ ეს ვაჭარი. შენ უცნობ გზაზე დაეხეტები და აწყდები ეკლიან ბუჩქებს. თითქმის არავითარი წარ-მოდგენა არ გაქვს შენ მასზე, რასაც ეძებ; და მის მაგიერ, რომ შენი გზა გამოიკვლიო, კანონად მიიჩნიე ბრმად იარო, თვალებ-ახვეული. მაგრამ მითხარი, თუ შენი მეფე გონიერი, ბრძენი და კე-თილია, შეუძლია მას კმაყოფილი იყოს იმ სიბნელით, რომელშიაც შენ ცხოვრობ? რომ ეს ხელმწიფე ოდესმე შენს წინაშე გამოცხადე-ბულიყო, როგორ შესძლებდი შენ მის ცნობას იმ სიბნელეში, რომე-ლიც შენ შემოგიკრავს შენს გარშემო? რა შეგიშლის შენ ხელს, რომ ვინმე მატყუარაში არ აურიო? რა გრძნობა უნდა გამოიწვიოს მასში შენმა დაოგნებულმა შეხედულებამ? ზიზღი ან შეცოდება? მაგ-რამ თუ კი ის სრულებით არ არსებობს, რა აზრი აქვს მაშინ შენს მიერ შენივე თავისადმი მიყენებულ დაკაწვრებს და ეკლებს? თუ სიკვდილის შემდეგ ადამიანს შეგრძნობის უნარი რჩება, შენ ხომ სა-მუდამო ქენჯნა და სინანული მოგელის იმის მოფიქრებაზე, რომ შენ თითონ ანადგურებდი საკუთარ თავს იმ მცირე დროის განმავლო-ბაში, რომელიც მოცემული გქონდა შენ ყოფით დატკბობისათვის

და რომ საკუთარი ხელმწიფე შენ საკმარისად მკაცრად გყავდა წარ-მოდგენილი როგორც სისხლის, ოხვრა-გმინვისა და ყოველგვარ სა-შინელებათა მოსურნე,

17. საშინელებათა! – გააწყვეტინა მას ბრმამ, – შენი ბაგენია სწორედ საშინელებით აღვსილნი, ბიწიერო! როგორ ჰბედავ შენ ხელ-მწიფის არსებობის ეჭვქვეშ დაყენებას და უარყოფასაც კი? ნუთუ ყოველივე ის, რაც შენში, ან შენს გარეშე ხდება, არ გარწმუნებს მის არსებობაში? ქვეყანა უთითებს მასზე შენს თვალებს, გონება შენს ჭკუას, დანაშაული – შენს გულს. დიახ, მე ვეძიებ განძს, რომელიც არასოდეს არ მინახავს; მაგრამ შენ კი საითკენ მიდიხარ? მოსპობი-საკენ; რა საუცხოვო მიზანია! შენ უიმედო ხარ; შენი ხვედრი – სა-შინელებაა და საშინელებას შენ მიჰყევხარ სასოწარკვეთილებამდე.

რა დიდი რამაა, თუ მე ორმოცდაათი წლის განმავლობაში ნარ-
ეკლით ვიკაწრავდი ჩემს თავს, სანამ შენ შენდა სასიამოვნოდ სცხოვ-
რობდი? მე ხომ ვიცი, რომ, როდესაც შენ წარსდგები მეფის წინაშე
უთვალსახვევოდ? უტანისამოსოდ და უკვერთხოდ, დაისჯები დაუს-
რულებლად უფრო მძიმე და აუტანელი ტანჯვით, ვიდრე ჩემს მიერ
ჩემივე თავისთვის მიყენებული წარმავალი უსიამოვნებანი? მე მცირე
რისკს ვწევ, რომ ბევრი მოვიგო, შენ კი არ გინდა რისკზე წახვიდე
და იმავე დროს შეიძლება ყოველივე დაჰკარგო.

18. მოითმინეთ მეგობარო, – მიუგო წაბლნარის ხეივნის მო-
ბინადრემ, – თქვენ დამტკიცებულად მიგაჩნიათ სწორედ ის, რაც
კითხვის ქვეშ დგას: ხელმწიფის და მისი სასახლის არსებობა, გარ-
კვეული ფორმის ტარების აუცილებლობა, მოვალეობა იმისა, რომ
საკუთარი თვალსახვევი გექნეთ და ერთი ლაქაც არ ეცხოს თქვენს
ტანსაცმელს. მაგრამ იცოდეთ, რომ მე ყოველივე ამას უარვყოფ; თუ
ყოველივე ეს სიცრუეა, მაშინ ყოველივე დასკვნები, რომელიც თქვენ
იმათგან გამოგყავთ, ხომ თავისთავად იმსხვრევიან. თუ მატერია
მარადიულია, თუ მოძრაობამ დაალაგა ის და დასაბამიდან მიანიჭა
ყველა ის ფორმირებანი, რომლებსაც იგივე მოძრაობა, როგორც
ჩვენ ვხედავთ, დღემდე უნარჩუნებს მას, მაშინ რაში მესაჭიროება
თქვენი ხელმწიფე?

არ არსებობს არავითარი პაემანი, თუ ის, რასაც თქვენ სულს
უწოდებთ, ორგანიზაციის მხოლოდ შედეგია. სანამ შინაგანი კავშირი
არსებობს ჩვენს ორგანოებს შორის, ჩვენ ვაზროვნობთ; და გონებას
ვკარგავთ როდესაც ეს კავშირი იშლება. რა ემართება სულს ამ კავშირის
მოსპობის შემდეგ? გარდა ამისა ვინ გითხრათ თქვენ, რომ სული, სხეულს
განშორებული, შესძლებს აზროვნებას, წარმოსახვას, გრძნობას? მაგ-
რამ გადავიდეთ თქვენს წესებზე; თვითნებურ დადგენილებებზე დამ-

ყარებულნი, ისინი თქვენი პირველი წინამძღვრების და არა გონების
მიერ არიან შექმნილნი, გონებისა, რომელიც, საერთოა რა ყველა
ადამიანისათვის, უჩვენებდა მათ, რა დროსა და რომელ ალაგსაც გინ-
დათ, ერთსა და იმავე გზას, უკრძალავდა ერთ და იმავე ვალდებუ-
ლებებსა და მოქმედებებს. მართლაც და, რატომ უნდა ვიფიქროთ,
რომ ის უფრო მოწყალებით მოექცა ხალხს ზოგიერთი, გონების გან-
საჭვრეტი ჭეშმარიტების მიმართ, ვიდრე – მორალურის? მაგრამ ყვე-
ლა უგამონაკლისოდ სცნობს პირველის უეჭველობას; რაც შეეხება
მეორეს, გადადით მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე, შემოუარეთ
მთას, გადაუხვიეთ მიჯნის სვეტთან, გაემართეთ მათემატიკურად სწორი
ხაზით და თქვენ შეხედავთ, რომ თეთრი შავად გადაქცეულა. თავდაპი-
რველად განაბნიეთ ეს ნისლი, თუ გინდათ, რომ მე რაიმე დავინახო.

19. დიდი სიამოვნებით, უპასუხა ბრმამ; მაგრამ მე მოვისურ-
ვებდი დროგამოშვებით ჩვენი კოდექსის ავტორიტეტისათვის მიმე-
მართა. იცით თქვენ იგი? ის ღვთიური ქმნილებაა, მასში არ არის

ისეთი მტკიცება, რომელიც არ ემყარებოდეს ზესთაბუნებრივ ფაქ-
ტებს და, მაშასადამე, გაცილებით უფრო დამაჯერებელს, შედარე-
ბით იმ ფაქტებთან, რომელნიც გონებას ძალუძს წარმოიდგინოს.

20. – ეჰ, თავი დაანებეთ თქვენს კოდექსს, – უთხრა ფილო-
სოფოსმა. მოდით თანასწორი იარაღით ვიბრძოლოთ. მე უაბჯროდ
და კეთილი ნებით გამოვდივარ თქვენს წინაშე, თქვენ კი შეიმო-
სეთ ჯავშნით, რომელსაც ადამიანის დასუსტება და გასრესა უმალ
შეუძლია, ვიდრე მისი დაცვა. მე კი შემრცხვებოდა ასეთი უპირა-
ტესობა მიმეღო თქვენზე. იფიქრეთ თქვენ ამაზე? და საიდან აი-
ღეთ თქვენ, რომ თქვენი კოდექსი ღვთიურია? მართლა ასე სერიო-
ზულად სჯერათ ეს თქვენს ხეივანშიაც კი? ერთი თქვენი ხელმძღვა-
ნელთაგანი არ იყო, რომ ვითომ ჰორაციუსის და ვირგილიუსის სამ-
ხელად... მაგრამ მეტს არაფერს ვიტყვი. თქვენ ისედაც გამიგეთ. მე
მეტისმეტად მძაგს თქვენი წინამძღვრები. რომ მათი ავტორიტეტი
გამოვიყენო თქვენს წინააღმდეგ. რა სარგებლობის მიღება შეგიძ-
ლიათ თქვენ იმ საარაკო მოთხრობებიდან, რომლებითაც ეს წიგნია
გატენილი? როგორ? თქვენ გწამთ და გინდათ სხვა დაარწმუნოთ იმ
დაუჯერებელ ფაქტებში, რომლებიც ორი ათასი წლის წინათ დახო-
ცილ მწერლებს მოუხსენებიათ, თუმცა კარგად იცით, რომ თქვენივე
მოთანამედროვენი ყოველდღე გატყუილებენ თქვენ იმ ამბების გად-
მოცემისას, რომლებიც თქვენს ცხვირწინ ხდება და რომელთა შე-
მოწმებაც თქვენ თვითვეც შეგიძლიათ! თქვენ თვითონ, როდესაც
მრავალჯერ უამბობთ სხვებს თქვენთვის ცნობილ საინტერესო ფაქტს,
უმატებთ, აკლებთ, დაუსრულებლად ცვლით წვრიმალებს; ასე რომ

თქვენი ნათქვამი თქვენივე ნათქვამის წინააღმდეგ მოყავთ და ძლივ-
ძლივობით ერკვევიან თქვენს ერთიმეორის საწინააღმდეგო მტკი-
ცებებში; და ამის შემდეგ თქვენ იკვეხნით, რომ შეგიძლიათ ზუს-
სტად ამოიკითხოთ წარსულ საუკუნეთა წყვდიადში და გაუჭირ-
ვებლად შეათანხმოთ თქვენ პირველ წინამძღოლთა საეჭვო ცნობები!
ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ თქვენ მათ მეტის პატივისცემით ეპყრო-
ბით, ვიდრე თქვენ თქვენივე მიმართ შეგეძლოთ მოგეთხოვათ, და
სრულებით არ უწევთ ანგარიშს თქვენს თავმოყვარეობას.

21. ოჰ, რა საშინელება ახსენე შენ მანდ? – წამოიყვირა ბრმამ;
ის მთავარი მიზეზია იმ ლაქებისა, რომელსაც შენ ჩვენს ტანსაცმელზე
ხედავ; შენშია ეს განდიდების შხამიანი თესლი, რომელიც გიშლის
ხელს შენი გონების ალაგმვაში. ოჰ, შენ რომ მისი მოთოკვა შეგე-
ძლოს, ისე როგორც ჩვენ! ხედავ ამ შოლტსა და გრეხილს? ხომ არ
გინდა გასინჯო იგი? ეს შოლტი მეფის ერთი დიდებული მსახურისაა;
ნება მომეცი გადავკრა იგი შენივე სულის სიკეთისათვის, შენ რომ ამ
წამებათა სიტკბოება იცოდე! როგორი სასარგებლო არიან ისინი
ჯარისკაცებისათვის! განწმენდის საშუალებით მათ ისინი მიყავთ გა-
ცნობიერებისაკენ, აქედან კი – გაერთიანებისაკენ. მაგრამ განა გიჟი

არა ვარ გმირების ენით რომ გელაპარაკები; და რომ ამ უვიცობისათვის დავსაჯო ჩემი თავი და შეგნების ნაპერწკალი გავაღვიძო შენში...»

22. აქ ჰაერში გაიშხუილა შოლტმა, და ღვარებად წამოვიდა სისხლი. – «უბედურო! წამოიყვირა მოწინააღმდეგემ, – რა სიგიჟემ შეგიპყრო შენ? მე რომ ნაკლებ შემბრალე ვიყო გადავიხარხარებდი ამგვარ სანახაობაზე. შენ მე შემოგხედავდი როგორც ბრმას, რომელიც აწვალებს თავის სხეულს, რომ დაუბრუნოს ჟანდრონის პაციენტს მხედველობა, ან როგორც სანჩოს, რომელიც თავის თავს შოლტავდა, რომ ამით დულცინეას მომჯადოებლობა დაერღვია მაგრამ შენ ადამიანი ხარ და აგრეთვე მეც. შეჩერდი, მეგობარო; შენი თავმოყვარეობა, რომლის დაცხრობას შენ ფიქრობ ამ ბარბაროსული ეგზეკუციით, დაკმაყოფილებას პოულობს მასში და იდრიკება შენს შოლტ ქვეშ. შეაჩერე ხელი და მომისმინე. როგორ გგონია, დიდი პატივისცემა გვექნებოდა მეფის მოადგილის მიმართ, შენ რომ მისი სურათები დაგემახინჯებია? და რომ ამ საქმისათვის მოგეკიდებია შენ ხელი, ხომ მაშინვე დაგაპატიმრებდნენ სამხედრო საბჭოს ქეშიკები და საპყრობილეში ჩაგაგდებდნენ შენი სიცოცხლის დასასრულამდე? ხომ ხედავ, რომ მე შენი პრინციპებიდან გამოვდივარ და ისე ვმსჯელობ. გვირგვინოსნების პატივისცემის გარეგან ნიშნებს თავის ერთადერთ საფუძვლად ამ გვირგვინოსანთა სიამაყე აქვთ, რომელსაც უნდა ეპირ-

ფერო, თუმც იგი შეიძლება წარმოადგენდეს მათი მდგომარეობის ჭეშმარიტ სიბეჩავეს, რომლიდანაც საჭიროა მათი ხსნა. მაგრამ შენი ხელმწიფე ხომ აბსოლუტური ნეტარებით სტკბება. თუ ის თავის თავს აკმაყოფილებს, როგორც შენ ამტკიცებ, მაშინ რის მაქნისია შენი აღთქმები, შენი ლოცვები და შენი კლაკვნა? ან წინასწარვე იცის მან შენი სურვილები, ანდა სავსებით უცნობია ისინი მისთვის; და თუ მან ისინი იცის, მას გადაწყვეტილი აქვს ერთხელ და სამუდამოდ, ან დააკმაყოფილოს ისინი ან უარყოს. შენი მომაბეზრებელი ხვეწნა-მუდარა მას ხელებიდან ვერ გამოსტაცებს საბოძვარს, და შენი ოხვრა-გმინვა ვერ დააჩქარებს მის ზეგარდმოვლენას.

23. მე უკვე ვხვდები ვინა ხარ შენ! – წამოიძახა ბრმამ. – შენი სისტემა ცდილობს გაანგრიოს მილიონი დიდებული შენობა, ჩვენი საქათმეების კარები შეამტვრიოს, გადააქციოს ჩვენი წინამძღვრები მიწის მუშად ან ჯარისკაცებად, გაამათხოვროს რომი, ანკონა და კომპოსტელა: აქედან კი მე ის დასკვნა გამომყავს, რომ იგი ყოველი საზოგადოების გამანადგურებელია.

24. შენი დასკვნა არაა სწორი – უპასუხა ჩვენმა მეგობარმა; – ის მხოლოდ ბოროტმომქმედთ სპობს. გვინახავს დიდი საზოგადოებანი, რომელნიც არსებობდნენ ყოველგვარ ამ ბრწყინვალებათა გარეშე, ახლაც კი მოინახება არაერთი კეთილმოწყობილი საზოგადოება, რომელმაც მათი სახელწოდებებიც კი არ იცის. შეადარებ

ყველა ამ ხალხს მათ, რომლებიც, მათივე რწმუნებით, იცნობენ შენს ხელმწიფეს, და თუ გაერკვევი შეცდომებსა და წინააღმდეგობაში ყოველი იმისა, რასაც უკანასკნელნი მასზე ლაპარაკობენ, შენ უფრო სწორ დასკვნას გამოიტან, სახელდობრ, იმას, რომ არავითარი ხელმწიფე არ არსებობს. მართლაცდა, გეცოდინებოდა შენ შენი მამა, მას რომ ყოველთვის კუსკოში ეცხოვრა, შენ კი მადრიდში, და რომ მას შენთვის მარტო ყოვლად საეჭვო ცნობები მოეცა თავისი არსებობის შესახებ?

25. მაგრამ რას ვიფიქრებდი მე მასზე – უპასუხა ბრმამ – მას რომ ჩემს სარგებლობაში გადმოეცა რომელიმე ნაწილი თავის ქონების? შენ კი დამეთანხმები, რომ მე საჩუქრად მივიღე უდიდეს სულისაგან აზროვნებისა და მსჯელობის ნიჭი! მე ვაზროვნობ, მაშასადამე, ვარსებობ. მე თვით არ მიმიცია ჩემი თავისათვის ჩემივე ყოფიერება. მაშასადამე, მე ის სხვისაგან მივიღე და ეს სხვა არის სწორედ ხელმწიფე.

26. სწორედ ამ თვალსაზრისით – სთქვა ფილოსოფოსმა გაცინებით, – ეტყობა შენმა მამამ უწილოდ დაგტოვა. მაგრამ გონება, რომლითაც შენ ასე თავს იქებ, – რა მოსახმარია შენთვის? შენს

ხელთ ის სრულიად უსარგებლო იარაღია. შენ წინამძღოლთა მუდმივი მეურვეობის ქვეშ მყოფი, ის გამოსადეგია მარტო იმისათვის, რომ სასოწირკვეთილებამდე მიგიყვანოს. მათი სიტყვებიდან, რომელნიც ჯადოქრობად მიგიჩნევთ, შენი გონება ტყობილობს რომელიღაც ფანტასტიკურ მბრძანებელზე, რომელსაც შენ ამაოდ სცდილობ გული მოელბო შეუდრეკელი ბრძოლით ამ ეკლებთან, კლდეებთან და ჭანჭრობთან. რადგან, ვინ იცის – ეგებ წინასწარ განსაზღვრა მან, რომ ბილიკის ბოლოში შენ დაკარგავ მოთმინებას, ცნობისმოყვარეობით ასწევ შენი თვალსახვევის ერთ კუთხეს და მეტად თუ ნაკლებად დაისვრი ტანსაცმელს? თუ ასეთია მისი წინასწარდასახულობა, შენ აუცილებლად დაეცემი და მაშინ სამუდამოდ დაღუპული ხარ.

27. არა, უპასუხა მეორემ, საუცხოვო საჩუქრების მოლოდინი გამამაგრებს. – მაგრამ რაში გამოიხატებიან ეს საუცხოვო საჩუქრები? – რაში? ხელმწიფის ხილვაში; კიდევ ხილვაში; დაუსრულებელ ხილვაში, სადაც ყოველთვის განიცდი ისეთ აღფრთოვანებას, თითქოს მას პირველად ხედავდე. – როგორ მოხდება ეს? – როგორ? – მალული ფარნის საშუალებით, რომელსაც პინეალურ ჯირკვალეზე ან კორძიან სხეულზე, არ ვიცი კარგად რომელზე, მიგვამაგრებენ, რაც საშუალებას მოგვცემს ვიხილოთ ყოველივე ისეთის სიაშკარავით, რომ...

28. გიხაროდეთ, – სთქვა ჩვენმა ამხანაგმა, – მაგრამ ჯერჯერობით კი შენი ფარანი საშინლად დაჭვარტლული მეჩვენება. შენი სიტყვებიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ შენ მხოლოდ შიშის გამო ემსახურები შენს ბატონს და შენი ერთგულება ანგარებაზეა დამყარებული, დაბალ გრძნობაზე, რომელიც მარტო მონებს შეშვე-

ნის. ამრიგად, თავმოყვარეობა, რომელსაც რამდენიმე წუთის წინათ ქოქოლას აყრიდი, ერთად-ერთი მოტივი ყოფილა შენი მოქმედების; და შენ გინდა ახლა, რომ შენმა ხელმწიფემ იგი საჩუქრით დააგვირგვინოს. არა, შენ მხოლოდ მოიგებდი ჩვენს ბანაკში რომ გადმოსულიყავი: შიშიდან და ყოველივე ანგარებიდან თავისუფალი, შენ წყნარად მაინც იცხოვრებდი და უუდიდესი ხიფათი, რომელიც შენ შეიძლება შეგმთხვეოდა – ეს შენი ყოფნის შეწყვეტა იქნებოდა გზის დასასრულს.

29. სატანას მოციქულო, აყვირდა ბრა, vade retro. მე ვხედავ, რომ უძლიერესი საბუთებიც კი არ მოქმედებენ შენზე, მომითმინე, მე მივმართავ ახლა უფრო ძლიერ იარაღს.

30. და ის მოყვა ყვირილს: ღვთის მგმობი! დეზერტირი! ამ ყვირილზე ყოველი მხრიდან დაიწყო დენა გააფთრებულმა წინამძღვრებმა, ერთი კონა ფიჩხით იღლიის ქვეშ და ჩირაღდანით ხელში. ჩვენი მეგობარი ჩუმად განშორდა იმ ალაგს შემოსავლელი ბილიკე-

ბით, ბრამ კი ამ დროს უკვე აიღო კვერთხი, განაგრძო თავისი გზა და უამბობდა ამ განსაცდელს თავის ამხანაგებს, რომელნიც ულოცავდნენ გამარჯვებას. ქება-დიდების სიტყვათა გრძელი რიგის შემდეგ გადაწყვიდეს დაებეჭდათ მისი არგუმენტაცია შემდეგი სათაურით: ს ი ნ ა თ ლ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ა დ ა თ ვ ი ს ე ბ ა თ ა ფ ი ზ ი კ უ რ ი დ ა მ ო რ ა ლ უ რ ი თ ე ო რ ი ა. ე რ თ ი ე ს პ ა ნ ე ლ ი ბ რ მ ი ს თ ხ ზ უ ლ ე ბ ა; თ ა რ გ მ ნ ი ლ ი ა კ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი ს დ ა ს ქ ო ლ ი ო ე ბ ი ს თ ა ნ დ ა რ თ ვ ი თ ბ რ მ ა თ ა ს ა ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ს მ ნ ა თ ე ს მ ი ე რ. ამ წიგნის შესწავლას ურჩევენ ყველას, ვინც ორმოცი და მეტი წლის განმავლობაში, თავის თავს თვლის ნათელი მხედველობის მქონეთ, არავინ უწყის – რატომ. იმ პირთა სანუგეშოდ, რომლებიც მის შოვნას ვერ შესძლებენ, აღვნიშნავ, რომ მასში არაფერი არაა გარდა ზემოხსენებული ბაასისა, რომელიც გაბერილია და გადაკეთებული, რომ მოგვცეს გამომცემლის ფურცლების იმდენი რაოდენობა, რამდენიც სათანადო სიდიდის ტომის შესადგენად იყო საჭირო.

31. მიაღწია რა ამ სცენით გამოწვეულმა ხმაურმა ჩვენი ხეივნის უუშორეს კუნჭულებამდე, გადაწყდა უფრო დაახლოებით გაცნობა ამ ამბავისა და საერთო კრების მოწყობა ბრმის და ათეოსის (ასე ეწოდებოდა ჩვენს მეგობარს) არგუმენტების გასარჩევად. დაადგინეს, რომ ამ დისპუტის რომელიმე დამსწრეს აეღო ბრმის როლი და გადმოეცა მის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ისე, რომ არც მათ შესუსტებას და არც სასაცილო სახით წარმოდგენას, ადგილი არ ჰქონოდა. ზოგიერთებს შეემჩნიათ, რომ მე იმ დროს ახლო ვიყავი შეტაკების ადგილთან და თუმცა მაინცდამაინც არ მინდოდა ასეთი სუსტი მხარის დამცველად გამოვსულიყავი, ჩემს ვალდებულებად მივიჩნიე ჩამედინა ეს ჭეშმარიტების გულისათვის. ჩვენმა მებრძოლმა გაიმეორა თავისი მოსაზრებები, მე კი უუდიდესი სიზუსტით აღვად-

გინე ბრმის შეპასუხება; მსმენელთა აზრი, როგორც ეს ყოველთვის ხდება ჩვენში, გაიყო. ერთნი ამბობდნენ, რომ ორივე მხრივ სუსტი მოსაზრებანი ყოფილა წამოყენებულიო; მეორენი კი – რომ ამ პირველ პაექრობას შეუძლია ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო გ ა რ კ ვ ე ვ ა ნ ი მ ო გ ვ ც ე ს საერთო საქმისათვის. ათეოსის მეგობრები ზეიმობდნენ და ყველა დანარჩენი რაზმების თანდათან მათ მხარეზე გადასვლას ვარაუდობ-დნენ. მე და ჩემი ამხანაგები ვამტკიცებდით, რომ მათი ზეიმი ნა-ადრევია და მათ ყოვლად უვარგისი მსჯელობის დამარცხება შესძ-ლეს და ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ შესძლებენ ისეთი მოწინააღმდეგის განადგურებას, რომელიც უფრო საფუძვლიანი არგუმენტებით არის აღჭურვილი. ვინაიდან აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი, ერთმა ჩვენგანმა წინადადება შემოიტანა შექმნილიყო რაზმი ორ-ორი კაცი-

საგან თითოეულ მხარეთაგან, გაეშვათ ეს რაზმი წინ ხეივანში და შემდგომ, მიღებული ცნობების საფუძველზე, გადაეწყვიტათ რომელი მხარე უნდა იყოს მოწინავე და რომელ დროშას უნდა გაყოლოდნენ. ეს წინადადება გონივრული მოეჩვენათ და მიღებულ იქნა. პირველმა რაზმმა ზენოკლესი და დამისი ამოირჩია; მეორემ – ათეოსი, ბრმასთან შეტაკების გმირი, ქსანთუსით; ფილოქსენი და მე ჩვენი რაზმის წარმო-მადგენელი ვიყავით, მეოთხემ ამოირჩია ორიტაზი და ალკმეონი; მეხუთემ – დიფილი და ნერესტორი; მეექვსეშიდაც დაიწყეს არჩევნები და ყველა მისი წევრები თანაბრად სთვლიან თავს ამორჩევის ღირ-სად, მაგრამ ჩვენ განვაცხადეთ, რომ არ დავუშვებთ მზვერავ პიკეტებში ხალხს, ცნობილს თავისი ცუდზნიანობით, პირუმტკიცობით, უვიცობით და ფრიად საეჭვო კეთილსაიმედობით... ისინი ბურტყუნით დამორ-ჩილდნენ. პაროლად ავირჩიეთ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა და გავუდექით გზას. მთავარი ძალები დაბანაკდა ისე, რომ ჩვენთვის წინ წასვლის საშუა-ლება მოეცა და თავისი სვლა ჩვენი მოძრაობისათვის შეეფარდებია.

32. ჩვენ გამოვედით ერთ ისეთ საუცხოვო ღამეში, რომელსაც რომანების მწერალი მჭერმეტყველურად ასწერდა. მაგრამ მე უბრალო ისტორიკოსი ვარ და ვიტყვი მხოლოდ, რომ მთვარე ზენიტზე იყო, ცას ერთი ღრუბელიც არ ეკრა, და ვარსკვლავები კაშკაშებდნენ. შემთხვევით მე ათეოსის გვერდით მოვხვდი და ჯერ მდუმარედ მივ-დიოდი, მაგრამ შეიძლება ერთად დიდხანს მოგზაურობა ხმის ამოუ-ლებლივ? მე პირველმა დავილაპარაკე და ჩემს თანამგზავრს ვუთხარი: „თქვენ ხედავთ ამ მნათობთა ბრწყინვალებას; უცვლელ მოძრაობას – ერთთა, მუდმივ უძრაობას – მეორეთა, ერთმანეთისადმი მათს დახმა-რებას, მათს მარგებლობას ჩვენი პლანეტისათვის? რა დაგვემართე-ბოდა რომ, ეს ლამპარები არ ყოფილიყო? ვისმა კეთილმოქმედმა ხელმა აანთო ისინი და ეხმარება, რომ მათი სინათლე არ შესუსტ-დეს? ჩვენ ვსარგებლობთ ამ სინათლით; ნუთუ ჩვენ ისეთი უმადურნი ვიქნებით, რომ შემთხვევას მივაწეროთ მათი გაჩენა? ნუთუ მათი არსებობა და განსაცვიფრებელი წესრიგი არ მიგვიყვანს მათი შემ-

ქმნელის აღმოჩენამდე?

33. – არაფრამდე ეს არ მიგვიყვანს, ჩემო ძვირფასო, მიპასუხა მან, – თქვენ უყურებთ ამ ილუმინაციას, არ ვიცი, როგორი ენთუზიასტის თვალებით. თქვენი დაძაბული წარმოსახვა აქცევს მას ხელოვნების საუცხოვო ქმნილებად, რომლისთვისაც ქება-დიდებას უძღვნით თქვენს არსებას, რომელსაც არცკი უფიქრია ყოველივე ამაზე. ესაა გულუბრყვილობა ახლადჩამოსული პროვინციელისა, რომელსაც გონია, რომ სერვანდონიმ მხოლოდ მისთვის დახატა არმიდის ბაღები ან ააშენა მზის სასახლე. ჩვენს წინაშეა – უცნობი მანქანა, რომლის შე-

სახებ ნაწარმოებია დაკვირვებანი; ეს უკანასკნელნი ამტკიცებენ, ზოგის აზრით, მის მოძრაობათა კანონზომიერებას, სხვების რწმუნებით კი – ამ მოძრაობათა უწესრიგობას. უვიცნი, რომელთაც მისი მხოლოდ ერთი ბორბალი ნახეს და ისიც მის რამდენიმე კბილს გაეცნენ, თავიანთი ჭკუით ვარაუდობენ, თუ როგორ უკავშირდება იგი ასი-ათას სხვა, მათთვის სრულებით უცნობ, ბორბლებს, და დასასრულ როგორც ხელოსნები, წარმოების ავტორის სახელს აღნიშნავენ. განვაგრძოთ შედარება, ვუპასუხე მე; ნუთუ თანაზომიერი ქანქარა ან საათი თავისი ბრუნვით არ ამჟღავნებს იმ მესაათის ჭკუას, რომელმაც ის გააკეთა და ნუთუ თქვენ გაბედავთ მტკიცებას, რომ ეს შემთხვევის შედეგია?

34. – ფრთხილად იყავი, – თქვა ჩემმა თანამაგზავრმა, – ეს სრულიად არაა ერთიდაიგივე. თქვენ ადარებთ დასრულებულ ნივთს, რომლის შესახებაც თქვენ იცით, ვინ და როგორ გააკეთა იგი, დაუსრულებელ კომპოზიციასთან, რომლის წარმოშობა, ახლანდელი მდგომარეობა და დასასრული თქვენ არ იცით და რომლის ავტორზე თქვენ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგიძლიათ.

35. – რა მნიშვნელობა აქვს – მიუგე მე – როდის წარმოიშვა იგი და ვინ ააშენა? ნუთუ მე ვერ ვხედავ როგორია ის? და განა თავისი აღნაგობით არ გვაუწყებს ის ავტორს?

36. – არა! მ– იპასუხა ათეოსმა, – თქვენ სრულებით ვერ ხედავთ, როგორია იგი. ვინ გითხრათ, რომ ის წესრიგი, რომელსაც თქვენ ასეთ აღტაცებაში მოჰყავხართ აქ, რომელიმე სხვა ადგილას არ ირღვევა? რა უფლება გაქვთ სივრცის ერთი წერტილის მიხედვით, მთელი დაუსრულებელი სივრცის შესახებ დაასკვნათ? აი უწესრიგოდ დაყრილი ქვიშის და ძუძგის გროვა, მაგრამ ჭიები და ჭიანჭველები პოულობენ ამ გროვაში მათთვის მეტად ხელსაყრელ ბინებს. რას იფიქრებდით თქვენ ამ მწერებზე, რომ მათ თქვენი მსჯელობისმაგვარად, აღფრთოვანება გამოეთქვათ იმ მებაღის ჭკუის შესახებ, რომელმაც დაალაგა მათთვის ეს მასალები?

37. – თქვენ არაფერი არ გაგეგებათ ბატონებო, – უცებ გაგვაწყვეტია სიტყვა და გვითხრა ალკმეონმა; ჩემი კოლეგა ორიბაზი დაგიმტკიცებთ თქვენ, რომ დიდსხივოსანი მნათობი, რომელიც არ

დაიგვიანებს გამოჩენას, თვალია ჩვენი ხელმწიფისა; აი ის მოციმ-
ციმე წერტილები კი – მისი გვირგვინის ალმასებია ან ღილები მისი
ტანსაცმელის, რომელიც დღეს მუქი ლურჯი ფერისაა. თქვენ კამა-
თობთ მის სამოსელზე; მაგრამ ხვალ შეიძლება მან გამოიცვალოს
იგი, მისი თვალი შეიძლება ლულით აივსოს; მისი სამოსელი კი, დღეს
ასეთი ბრწყინვალე, ჭუჭყიანი და უსუფთაო გახდეს; მაშინ რა ნიშ-

ნით იცნობთ თქვენ მას? ჰო, სჯობია, ეძიეთ იგი თქვენშივე. თქვენ
მისი არსებობის ნაწილი ხართ; ის – თქვენშია და თქვენ მასში. მისი
სუბსტანცია ერთადერთია, უსაზომოა, საყოველთაოა; იგი ერთი არსე-
ბობს; დანარჩენი ყოველივე მისი მოდუსებია.

38 თუ ეს აგრეა – თქვა ფილოქსენმა, – თქვენი ხელმწიფე უცნა-
ურადაა ნაგები; ის ტირის და იცინის, ძინავს და ღვიძავს, დადის
და ისვენებს, ბედნიერია და უბედური, დარდიანია და მხიარული,
გულგრილია და ტანჯვას განიცდის; ის განიცდის ერთსადაიმავე
დროს ყოვლად შეუთავსებელ გრძნობასა და მდგომარეობას. ერთსადა-
იმავე პიროვნებაში ის პატიოსანიცაა და გაიძვერაც. ბრძენიც და
გიჟიც, თავშეკავებულიცაა და თავაშვებულიც, გულკეთილიცაა და
სასტიკიც, ის აერთიანებს ყოველივე ბიწიერებას ყოველგვარ სიკე-
თესთან; მე ვერ გამიგია როგორ შეარიგებთ ყველა ამ წინააღმდეგო-
ბას. დამისი და ნერესტორი ფილოქსენის მხარეზე დადგნენ ალკმე-
ონის წინააღმდეგ და, ცვლიდნენ რა ერთმანეთს, მოიყვანეს ათასი
მოსაზრება, ჯერ ალკმეონის წინააღმდეგ, შემდეგ თავს დაატყდენ
ფილოქსენს, დასასრულ დაუბრუნდენ იმ საუბარს, მე რომ ათეოსთან
დავიწყე, ბოლოს კი დაფიქრებული სახით გვიპასუხეს: Vedremo.

39. ამასობაში გათენდა, და ამომავალი მზის სხივებში ჩვენ
დავინახეთ ფართო მდინარე, რომელიც თითქოს გზას გვიჭრიდა
თავისი ხვეულებით. მისი წყალი გამსჭვირვალე იყო, მაგრამ ჩქარი,
ღრმა და ვერცერთი ჩვენგანი ვერ ბედავდა მასზე გადასვლას.
ფილოქსენი და დიფილი გავაგზავნეთ ფონის მოსანახად, ჩვენ კი
განვლაგდით წყლის პირას მწვანე მინდორზე ტირიფების და ალვის
ხეების ჩრდილთ ქვეშ. ჩვენს წინ გაჭიმულიყო ჯაჭვი ნაძვის ხეებით
შემოსილი ფრიალო მთებისა. „გულში მადლობას არ სწირავთ თქვენს
ხელმწიფეს, – ირონიულად მკითხა ათეოსმა – იმისათვის, რომ მან
შექმნა თქვენდა სასიამოვნოდ ორი საგანი, რომელიც განუზომლად
აბრაზებს ახლა ამდენ პატიოსან ადამიანს, – მდინარე, რომელზედაც
შეუძლებელია გადასვლა ისე, რომ დახრჩობის საშიშროების წინაშე
არ დადგე და მის უკან ციცაბო კლდეები, რომელთა შუა უფრო
ადრე დავწყდებით შიმშილ დაღლილობით, ვინემ მათ გადავლახავთ?
გონიერი ადამიანი ბაღს თუ ააშენებდა თავისთვის და თავის მეგობ-
რებისათვის, ვეჭვობ, რომ მას ასეთი სახიფათო სასეირნოები მოე-
წყო მათთვის. სამყარო, ამბობთ თქვენ, ქმნილებაა თქვენი მეფისა;
ამაში მაინც დამეთანხმებით, რომ ეს ორი მოვლენა, არცთუ კარგად

ახასიათებს მის გემოვნებას. რის მაქნისია აქ ამდენი წყალი? რამ-
დენიმე ღელე საკმარისი იქნებოდა ამ ადგილების გასამწვანებლად
და გასანოყიერებლად და ეს ვეებერთელა გროვა შემოუთლელი

ქვებისა – თქვენ, ალბათ გირჩევნიათ ლამაზ დაბლობს? არა, კიდევ
ერთხელ ვიმეორებ, ყველა ეს გიჟის ხუსტურს უფრო წააგავს, ვიდრე
ბრძენი გონების რჩევას.

40. მაგრამ, რას იფიქრებდით თქვენ, ვუპასუხე მე მას, სოფ-
ლელ პოლიტიკოსზე, რომელიც არასოდეს მეფის საბჭოში არ ყო-
ფილა, არავითარი წარმოდგენა არა აქვს მის მიზეზებზე და რიხიანად
გამოდის გადასახადების, ჯარის მოძრაობის ან უმოქმედობის, ფლო-
ტის ოპერაციების წინააღმდეგ და უბრალო შემთხვევით ხსნის რო-
მელიმე ბრძოლის მოგებას, რაიმე დიპლომატიური მოლაპარაკების
კეთილად დამთავრებას, ანდა საზღვაო ლაშქრობის ამათუიმ გა-
მარჯვებას? თქვენ, ცხადია, გაწითლდებოდით მის მაგიერ, თუმცა
მასზე ნაკლებ არ სცდებით. თქვენ ამ მდინარის და მთების მდება-
რეობის წინააღმდეგი ხართ, ვინაიდან ახლა ისინი ხელს გიშლიან;
მაგრამ თქვენ ხომ ერთი არა ხართ მთელს ამ ქვეყანაზე? ასწონ-
დასწონეთ თქვენ იმ ორი საგნის დამოკიდებულება მთელი მსოფლიო
სისტემის კეთილდღეობასთან? რა იცით თქვენ, ეგებ დიდი რაოდე-
ნობა წყლისა ამ მდინარეში საჭიროა სხვა ადგილების გასანაყოფიე-
რებლად, რომელთაც ის რწყავს თავისი შორეული მიმდინარეობის
დროს; ეგებ ის სავაჭრო კავშირს აბამს მის ნაპირებზე გაშლილ დიდ
ქალაქებს შორის? რა სარგებლობას მოიტანდა აქ თქვენი ღელეები,
რომელნიც მზეს შეეძლო თვალისდახამხამებაში ამოეშრო? ეს კლდეები,
თქვენ თვალს რომ გჭრიან, დაცვარულია, თავის სარგებლიანო-
ბით ყველასაგან ცნობილი მცენარეებითა და ხეებით. ამ კლდეთა
წიაღიდან ამოაქვთ ლითონი და მინერალები. მათ მწვერვალებზე
უზარმაზარი წყალთსაცავებია, რომლებიც ივსებიან წვიმების, ნის-
ლის, თოვლის და ცვრის საშუალებით და რომლებიდანაც შემდეგ
სისწორით ნაწილდება წყალი შორეულ ღელეებს, წყაროებს, პატარა
და დიდ მდინარეებს შორის. ასეთია, ჩემო ძვირფასო, მეფის მიზ-
ნები. გონებას თქვენ მიჰყევხართ მის კაბინეტში შესასვლელ კარებ-
თან; და თქვენ ძლიერ ბევრი გსმენიათ მის შესახებ, რომ კიდევ
ეჭვი დაგრჩენოდათ მასში, რომ სწორედ უკვდავმა ხელმა შეჰქმნა
ეს წყალთსაცავები და არხები.

41. ზენოკლესმა შეატყო რომ დავა თანდათან ღვივდებოდა
და ხელით გვანიშნა. ის თითქო საომარი მოქმედების შეჩერებისაკენ
მოგვიწოდებდა. „მე ვფიქრობ, რომ თქვენ ორივე მეტისმეტად ჩქა-
რობთ. ხომ მდინარე და კლდეებია, თქვენის აზრით, ჩვენს წინაშე?
მე კი ვამტკიცებ, რომ ის, რასაც თქვენ მდინარეს უწოდებთ, – მა-
გარი კრისტალია, რომელზედაც სრულიად უშიშრად შეიძლება სია-
რული და რომ თქვენი ვითომდა კლდეები მხოლოდ სქელ, მაგრამ

ადვილად გასასვლელ ნისლს წარმოადგენენ. დახეთ, დაუმატა მან, მართალი ვარ მე თუ არა“. ამ სიტყვებისათანავე ის ხტება მდინარეში და იძირება ექვსი ფუტით წყალ ქვეშ. ჩვენ ყველანი მისი დაღუპვის შიშმა შეგვიპყრო; მაგრამ, საბედნიეროდ, ორიბაზი, კარგი მცურავი, უკან გადაყვა მას, კალთაში ჩაავლო და ნაპირზე გამოათრია. ჩვენი შიში შეიცვალა ხარხარით, რომელიც არ შეიძლებოდა მის გარეგნობას არ გამოეწვია. მან კი დაიბერტყა ტანსაცმელი, რომელსაც წყალი წურწურით გასდიოდა, ფართოდ დააჭყიტა თვალები და შეგვეკითხა, რამ გაგვამხიარულა ასე და რა მოხდა ახალიო.

42. ამასობაში დაბრუნდნენ ჩვენი მზვერავები და ჩქარის ნაბიჯით გვიახლოვდებოდნენ. მათ გვაცნობეს, რომ მდინარის ქვემოთ, ჩვენს ახლო, მათ მონახეს თვით ბუნების მიერ გაკეთებული ხიდი. ეს საკმაოდ დიდი კლდე იყო, რომლის ქვეშაც წყალს გაერღვია თავისთვის გასავალი. ჩვენ გადავედით მეორე ნაპირზე, და დაახლოზით სამი მილი გავიარეთ მთების გასწვრივ ისე, რომ მდინარე მარცხენა მხრიდან გვქონდა. ხანგამოშვებით ზენოკლესს სურვილი მოსდიოდა პირდაპირ ჰკვეთებოდა სიმაღლეებს, რომელნიც გვიღობავდნენ მარჯვნივ გზას და ასე, მისი თქმით, ნისლი გაერღვია.

43. ბოლოს მივაღწიეთ მშვენიერ ვაკეს, რომელიც სჭრიდა მთებს და ფართო, ხეხილით სავსე დაბლობში გადადიოდა. ხეხილი უმთავრესად თუთის ხეებიდან შესდგებოდა, რომლის ფოთლები აბრეშუმის ჭიით იყვნენ დატვირთულნი. ბებერი მუხების ფუღუროებიდან ფუტკრების გუგუნი ისმოდა. დაუღალავად შრომობდნენ ეს მწერები და ჩვენ ყურადღებით უთვალთალებდით მათ; ფილოქსენი შეეკითხა ათეოსს, – თვლით თუ არა თქვენ ამ შრომისმოყვარე ცხოველებს ავტომატებათო.

44. „მე რომ მტკიცება დავიწყო, – უპასუხა ათეოსმა, – რომ ესენი პატარა ჯადოქრებია, ზოგი მუხლუხის რგოლში, სხვა კი ბუზის სხეულში მოთავსებულნი, როგორც ამასწინათ ერთი ჩვენი მეგობარი ამტკიცებდა, თქვენ, ალბათ მომისმენდით, თუ სიამოვნებით არა, ყოველ შემთხვევაში, აუშფოთებლად და მომექცეოდით მეტის მოწყალებით, ვიდრე ჩვენს მეგობარს ეკლების ხეივანში მოექცნენ.

45. – თქვენ სწორედ გამიგეთ, – თავმდაბლად უთხრა ფილოქსენმა, – მე სრულიად არ ვგრძნობ მიდრეკილებას რაიმე საშინელება დავინახო მსუბუქ და უმანკო მასლაათში. შორსაა ჩვენგან დევნის სული; ერთნაირად როგორც კეთილსათნოებისა, ისე გონიერებისაც; მაგრამ თუ უბრალო მანქანებად ჩავთვალეთ ეს მწერები, მაშინ ხომ მათი ასეთის დიდი ხელოვნებით გამკეთებელი ოსტატი... – მივხვდი,

სად უმიზნებთ – შეაწყვეტია მას ათეოსმა; – ეს თქვენი ხელმწიფეა?

კაი საქმე კია ასეთი დიდებული მეფისათვის – ხელოვნების გამოჩენა მუხლუხის ფეხის ან ბუზის ფრთის მოკაზმვაში.

46. – ათვალწუნებას უკელით, – მიუგო ფილოქსენმა, – რაც ადამიანში აღფრთოვანებას იწვევს, მას სავსებით შეეძლო შემომქმედის ყურადღება მიექცია. ქვეყანაზე არაფერია უმიზნოდ განლაგებული და შექმნილი... – ოჰ! ისევ მიზანი! – წამოიყვირა ათეოსმა, – ეს აუტანელია. – ეს ვაჟბატონები დიდებული მშენებლის საიდუმლოებას არიან ნაზიარები, – შენიშნა დამისმა, – ისე როგორც მეცნიერები განზრახვას მათ მიერ კომენტირებული ავტორისას, რომელსაც ისინი აიძულებენ თქვას ის, რაზედაც არასოდეს არ უფიქრია.

47. არც მთლად ასეა – ჩამოართვა სიტყვა ფილოქსენმა. – მას შემდეგ, რაც აბრეშუმის ჭიაში მიკროსკოპმა აღმოაჩინა ტვინი, გული, ნაწლავები, ფილტვები, შესწავლილ იქნა ამ ნაწილების მექანიზმი და მოქმედება, მოძრაობა და ფილტრაცია მათში მიმომქცევი სითხეებისა და როცა უკვე შესწავლილია ამ მწერების მუშაობა, განა შეიძლება კიდევ, თქვენის აზრით, ლაპარაკი შემთხვევაზე? მაგრამ, ფუტკრების ხელოვნებაც რომ მხედველობაში არ მივიღოთ, ვფიქრობ, მარტო მათი ხორთუმისა და ისრის მოწყობილობაში დაინახავს სასწაულებს მოაზროვნე ადამიანი, რომელიც არასოდეს არ დაუწყებს მათ ახსნას მატერიის შემთხვევითი მოძრაობით. – ამ ვაჟბატონებს, – გააწყვეტია მას ორიბაზმა, – არასოდეს არ წაუკითხავთ ვირგილიუსი, ერთი ჩვენი პატრიარქთაგანი, რომელიც ამტკიცებს, რომ ფუტკრებმა ღვთაების ერთი შუქი მიიღეს ხვედრად და ისინი დიადი სულის ნაწილს წარმოადგენენო. – თქვენ და თქვენს პოეტს, – შევნიშნე მე, – არ მიგიღიათ მხედველობაში, რომ თქვენ აღმერთებთ არა მარტო ბუზებს, არამედ წყლის ყოველივე წვეთს და ზღვის ქვიშის თითოეულ მარცვალს, რაც აშკარა აბსურდული პრეტენზიაა. მაგრამ დავუბრუნდეთ ფილოქსენის პრეტენზიას. თუ თავისი დაკვირვებებიდან ზოგიერთ მწერებზე მას ჩვენი მეფის არსებობის შესახებ გამოაქვს დასკვნა, რის გამოტანა არ შეეძლო მას ადამიანის სხეულის ანატომიიდან და ბუნების სხვა მოვლენების გაცნობიდან! – „მეტის არაფრის, – მტკიცედ განაცხადა ათეოსმა, – გარდა იმ ფაქტისა, რომ მატერია ორგანიზებულია“. სხვა ჩვენმა ამხანაგებმა, რომ შეამჩნიეს მისი ცუდი მდგომარეობა, ანუგეშეს იგი მით, რომ „შეიძლება, ის მართალია, მაგრამ სიმართლის მსგავსობა ჩემს მხარეზეა“.

48. – თუ ფილოქსენის მხარემ გადაწონა, დამნაშავეა ამაში თვითონ ათეოსი, მკვირცხლად მიუგო ორიბაზმა; – მას სჭირდებოდა კიდევ მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმა და გამარჯვების შანსები უკი-

დურეს შემთხვევაში, გათანაბრდებოდნენ. ფილოქსენის სიტყვებიდან გამომდინარეობს მხოლოდ ის, – წარმოსთქვა მან, – რომ მატერია ორგანიზებულია; მაგრამ თუ შეიძლება დამტკიცდეს, რომ მატერია, და შეიძლება მისი წყობილებაც, მარადიულია, მაშინ რაღა დარჩებოდა

ფილოქსენის მჭერმეტყველობიდანო? შეეძლო მას დაემატებია.

49. – არსი რომ არასოდეს არ ყოფილიყო, ის არასოდეს არ იქნებოდა, – მედიდურად განაგრძო ორიბაზმა, რადგან იმისათვის, რომ შენს თავს არსებობა მისცე, საჭიროა იმოქმედო და რომ იმოქმედო, ამისათვის საჭიროა არსებობდე.

50. მარტო მატერიალური არსებები რომ ყოფილიყვნენ, არასოდეს მოაზროვნე არსებები არ იქნებოდნენ; მართლაცდა: მოაზროვნე არსებებს შეეძლოთ ან თვითონვე მიეცათ ყოფიერება თავის თავისათვის, ან მიეღოთ იგი მატერიალური არსთაგან; თუ მათ თავიანთი თავისთვის მიუციათ არსებობა, მაშინ მათ უნდა ემოქმედათ მანამ, სანამ არსებობას დაიწყებდნენ; თუ მათ ის მიიღეს მატერიისაგან, ისინი მატერიის შედეგი იქნებოდნენ, მაგრამ ამითვე ისინი დაყვანილი იქნებოდნენ მოდუსების ხარისხამდე, რაც ფილოქსენის ანგარიშში სრულიად არ შედის.

51. მარტო მოაზროვნე არსებები რომ ყოფილიყვნენ, არასოდეს მატერიალური არსებები არ იქნებოდნენ, რადგან სულის ყოველივე ნიჭიერება მხოლოდ აზროვნებასა და სურვილშია. მაგრამ, ვინაიდან მე სრულებით ვერ გამიგია, თუ რანაირად შეუძლიათ აზრს, და ნებისყოფას იმოქმედონ შექმნილ არსებებზე, და მით უმეტეს არარაობაზე, ამიტომ მე შემიძლია ვივარაუდო, რომ ეს შეუძლებელია ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ ფილოქსენი წინააღმდეგს არ დაამტკიცებს.

52. მას ჰგონია, რომ მოაზროვნე არსება არამცდაარამც მოდუსი არაა სხეულოვანი არსებისა. ჩემის აზრით, არავითარი საფუძველი არაა სხეულოვანი არსება მოაზროვნე არსების შედეგად მივიჩნიოთ. ამგვარად მისი შეხედულებიდან და ჩემი მოსაზრებიდან გამოდის, რომ მოაზროვნე არსება და სხეულოვანი არსება მარადიული არიან, რომ ამ ორი სუბსტანციიდან შესდგება სამყარო და რომ სამყარო ღმერთია.

53. დაე, თავი გაანებოს ფილოქსენმა აბუჩად ამგდებ კილოს, რომელიც არავის უხდება და კიდევ უფრო ნაკლებ ფილოსოფოსებს და მან იძახოს რამდენიც უნდა: „თქვენ აღმერთებთ პეპლებს, მწერებს, ბუზებს, წყლის წვეთებს და მატერიის ყველა მოლეკულებს“. მე არაფერს არ ვაღმერთებ – ვუპასუხებ მე მას, – თუ თქვენ ოდნავ მაინც გამიგებთ, დაინახავთ, რომ, პირიქით, მე ვცდილობ განვდევნო ქვეყნიდან წინაზრახვა, სიცრუე და ღმერთები.

54. ფილოქსენი, რომელიც არ მოელოდა ასეთ ენერგიულ თავდასხმას ისეთი მტრიდან, რომელსაც ის ნაკლებ ანგარიშს უწევდა, აშკარად შედრკა. სანამ ის გამბედაობას იკრებდა და პასუხს ამზადებდა, ყველასი სახეზე გამოხატული იყო ცოტაოდენი ნიშნისგება, გამოწვეული, ცხადია, ფარული იჭვიანობით, რომლიდან თვით ბრძენნიც კი არ არიან ყოველთვის დაზღვეულნი. ამ წუთამდე ფილოქსენი გამარჯვებას ზეიმობდა და სასიამოვნო იყო ყურება, რომ ის გაჭირ-

ვებულ მდგომარეობაში მოხვდა და ისიც ისეთი მოწინააღმდეგის მეოხებით, რომელსაც თავხედურად ეპყრობოდა. ფილოქსენის პასუხზე არაფერს არ გეტყვი. როგორც კი დაიწყო მან ლაპარაკი, ცა მოიღუშა და ჩამობნელდა; უზარმაზარმა ღრუბლებმა დაჰფარა ყველაფერი ჩვენს გარშემო და ღრმა წყვდიადში ამოვყავით თავი, რამაც გვაიძულა შეგვეწყვიტა ჩვენი დავა და მიგვენდო მისი გადაჭრა მათთვის, ვინც ჩვენ დასაზვერავად გამოგვგზავნა.

55. ასე დავბრუნდით ჩვენს საკუთარ ხეივანში. იქ მოისმინეს ამბავი ჩვენი მოგზაურობისა და საუბრების შესახებ. ამჟამად იქ ასწონდასწონავენ ჩვენს არგუმენტებს; და თუ ოდესმე საბოლოო გადაწყვეტილება გამოვიდა, მე შენ გაცნობებ ამის შესახებ.

56. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ დაბრუნებულმა ათეოსმა შეიტყო, რომ მისი ცოლი მოეტაცათ, ბავშვები ამოეჟლიტათ და სახლი გაეძარცვათ. ეჭვი აიღეს ბრმაზე, რომელთანაც ათეოსს კამათი ჰქონდა და რომელსაც ის არწმუნებდა ანგარიში არ გაეწია სინიდისის ხმისა და საზოგადოების კანონებისათვის, ვინაიდან უხიფათოდ შესაძლებელია მათი არად მიჩნევა; გადასწყვიტეს, რომ სახელდობრ, ის გადაძვრა ფარულად ეკლნარის ხეივნიდან და ჩაიდინა ეს ბოროტმოქმედება იმ იმედით, რომ ათეოსის სხვაგან ყოფნა და მოწმეების დაუსწრებლობა დაუსჯელობის გარანტიას აძლევდა მას. საბრალო ათეოსისათვის ამ ისტორიაში ყველაზე უფრო გულსატკენი ის იყო, რომ მას ხმამაღალი ჩივილის გაბედვაც კი არ შეეძლო, რადგან ბრმამ ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ლოღიკური თანამიმდევრობა გამოიჩინა.

ყვავილნარი

Qui species alias veris, scelerisque tumultu
Permixtas capiet, commotus habebitur…
Horat., Sat. Lib. II, sat. III. [76]

1. თუმცა ყვავილნარის ხშირი და ხანგრძლივი სტუმარი მე არ ვყოფილვარ, მე მას მაინც საკმარისად ვიცნობ, რომ შენ წარმოდგენა მოგცე მის მდებარეობაზე და მკვიდრთა ნიჭზე. ეს იმდენად ხეივანი არაა, რამდენადაც უზარმაზარი ბაღია, რომელშიაც შეიძლება მონახო ყოველივე, რაც გრძნობებს ანებივრებს. თვალწარმტაც ყვავილნარს სცვლიან აქ ხავსის ფართო ნოხები და მწვანე მოლები, რომელთაც ნაკადულთა ასეულები რწყავენ. აქ დაბურული ტყეებია, სადაც ბილიკთა ათასეულები ერთმანეთზეა გადაჯვარედინებული, აქ ლაბირინთებია, რომლებშიდაც სასიამოვნოა ხეტიალი, აქ

ჭალებია, სადაც შეიძლება თავი შეაფარო, აქ ხშირფოთლიანი ხეებიდან გაკეთებული ტალავრებია, რომლებშიდაც შეიძლება განმარტოებას მიეცე.

2. აქ აგებულია კაბინეტები სხვადასხვა მიზნებისათვის განკუთვნილნი. ერთში შენ ნახავ საუცხოვო საჭმელებით დატვირთულ სუფრებს და რჩეული ღვინოებითა და ლიქიორებით სავსე განჯინებს, მეორეში – ბანქოს სათამაშო მაგიდებს, მარკებს, ჟეტონებს, რულეტებს და სხვა ისეთ მოწყობილებებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან გართობა-მხიარულებაში გაგაკოტრონ.

3. აქ იკრიბებიან ადამიანები, ჩაფიქრებული გულმავიწყური სახის მიღება რომ უყვართ, იშვიათად რომ ამბობენ იმას, რასაც ჰფიქრობენ და ქათინაურებით რომ უმასპინძლდებიან ერთიმეორეს, მაშინაც კი, როდესაც ერთმანეთი სძულთ, ან არ იცნობენ. აქ ეწყობა ხოლმე მომაჯადოვებელი საღამოები, რომლებიც თავდება კიდე უფრო მომაჯადოვებელი ვახშმებით, სადაც ქირდაობენ რომელიმე ქალის შესახებ, აქებ-ადიდებენ რომელიმე კერძს, მოუთხრობენ გამოგონილ შემთხვევებს და დასცინიან ერთიმეორეს.

4. უფრო დაშორებით დაინახავ ნათელ და ბრწყინვალე უშველებელ დარბაზებს. ერთში იცინიან და სტირიან; მეორეში – ცეკვა-

ვენ და მღერიან. ყველგან მსჯელობენ, კამათობენ, ჟრიამულობენ, აკრიტიკებენ, – და უმეტეს შემთხვევაში თვითონაც არ იციან – რატომ.

5. აქ არშიყობამ დაიმკვიდრა თავისი სამეფო. აქ ჟინიანი სიყვარული და პრანჭია კეკლუცობაა. ყველგან ტკბობა სუფევს, მაგრამ ყველგანვე ამ ტკბობას სასტიკი მოწყენილობა ამოჰფარებია უკან. რა ხშირი არიან აქ საყვარლები! რა იშვიათია შეყვარებულთა ერთგულება! გრძნობაზე აქ ყოველდღე ლაპარაკობენ; მაგრამ გული ერთი წუთითაც კი არ იღებს ლაპარაკში მონაწილეობას.

6. მე შენ არაფერს გეტყვი უფრო ბნელ ოთახებზე, სადაც ფართო სავარძლები და რბილი ტახტებია მოწყობილი, – მათი დანიშნულება შენც კარგად გესმის. ამ ავეჯს ისე ხშირად იცვლიან, თითქო მათი გაცვეთის მეტს არაფერს არ აკეთებენ.

7. საზოგადო სამკითხველო შესდგება ყოველივე იმისაგან, რაც სიყვარულზე და მის საიდუმლოებაზე დაწერილა ანაკრეონიდან მარივომდე. ეს – კიპრიდას არქივებია. მათ შემნახველად ტ ა ნ ზ ა ი ს ავტორი ითვლება. იქ მოინახება დაფნის გვირგვინებით მორთული ქანდაკებები ნავარიელი დედოფლის, მერსიუსის, ბოკაჩიოსი და ლაფონტენისა. მკითხველები სულს ლევენ მ ა რ ი ა ნ ა ზ ე , წ ი თ ე ლ ხ ე ზ ე და სხვა ამგვარ უმნიშვნელო რამეზე, ვაჟები კითხულობენ, ქალიშვილები კი ყლაპავენ მამა სატურნინის მიჯნურულ თავგადასავალთა ისტორიას, რადგან აქ საერთო წესადაა შემოღებული, რომ რაც უფრო ადრე გაანათლებ შენს გონებას, მით უკე-

თესია.

8. თუმცა პრაქტიკას უფრო ეწაფვიან აქ, ვიდრე თეორიას, მაინც ჰფიქრობენ, რომ არც თეორიის განაპირება ვარგა. იმდენად ხშირად საჭირო ხდება ცხოვრებაში დედის სიფრთხილე რომ მიაყუჩო, ქმრის ეჭვიანობა მოატყუილო, საყვარლის უნდობლობა მიაძინო, რომ ამისათვის საჭიროა წინასწარ შესწავლა მთელი ამ მეცნიერებისა. დაყვავილთა ხეივანში ბევრმა დიდი სახელი მოიხვეჭა ამ სარბიელზე. საერთოდ კი იქ ბევრს იცინიან, – იმდენად მეტს, რამდენადაც ნაკლებს ჰფიქრობენ. ეს რაღაც ქარიშხალია, რომელიც წარმოუდგენელის სისწრაფით მიჰქრის. ყველა მარტო იმაზე ზრუნავს, რომ ისიამოვნოს, ან სხვის სიამოვნებას ხელი შეუშალოს.

9. ამ ხეივანში მგზავრები ყველანი უკან-უკან იხევენ. უკვე გავლილ გზაზე ნაკლებად მზრუნავნი, ისინი მარტო იმას ჰფიქრობენ, რომ უდიდესი რაიმე სიამოვნებით დაასრულონ იგი. ზოგნი უკვე ზედმიდგომით მისულან ბანაკის ჭიშკართან, მაგრამ მაინც მზად არი-

ან დაგარწმუნონ, რომ ერთი წუთიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ისინი გზას შეუდგნენ.

10. ამ ქარაფშუტა ხალხში ტონს იძლევიან მთელი რიგი ქალები, მოწონების სურვილითა და ცოდნით მომხიბლავნი. ერთი ამაყობს თავისი მოტრფიალეთა დიდი სიმრავლით და უნდა, რომ ყველამ იცოდეს ამის შესახებ; მეორეს ძლიერ უყვარს ბევრის გაბედნიერება; მაგრამ ისე, კი, რომ მათი გაბედნიერება საიდუმლოდ დარჩეს. ზოგი წყალობას ჰპირდება ათას მოტრფიალეს, მაგრამ ნამდვილად მხოლოდ ერთის მწყალობელი შეიქნება; ზოგი კი მარტო ერთს დააიმედებს, მაგრამ სხვებსაც არ აწყენინებს; – და ყოველივე ეს ფრიად საიდუმლოდ, რომელსაც არავიან არ ინახავს, რადგან სასაცილოდ ითვლება არცოდნა ლამაზი ქალის თავგადასავლების და, პირიქით, მიღებულია ამ თავგადასავალთა რიცხვის გადამეტებაც საჭიროების მიხედვით.

11. ბუდუარისათვის შეიძლებოდა შეხვედრების საერთო ადგილი გვეწოდებია, რომ ქმარი არ ყოფილიყო იქედან გამორიცხული. იქ იკრიბებიან თავქარიანი და ზოგჯერ გამბედავი ახალგაზრდები, რომლებიც ყველაფერზე საუბრობენ და არაფერი არ იციან, სახეზე ღრმააზროვნების გამომეტყველებით სისულელეს როშავენ, დახელოვნებული არიან ლამაზი ქალის გადაცდენაში, რაყიფთა გაკილვის საშუალებით, მსწრაფლ გადადიან მათ მიერ დაწყებული სერიოზული მსჯელობიდან სატრფიალო შემთხვევის რაიმე ამბავზე, შემდეგ, უცებ რაიმე სიმღერას წამოიწყებენ და მაშინვე შესწყვეტენ, რათა ორიოდე სიტყვით შეეხონ პოლიტიკას და დასასრულ ღრმა აზრები გამოსთქვან სხვადასხვა ვარცხნილობებზე; ტანსაცმელებზე, ჩინეთის კერძზე, კლინშტედის რომელიმე ტიტველ ფიგურაზე, ფაიფურის ფინჯანზე, დედოფალაზე, ბუშეს სურათზე, ებერის წვრილმან

რამეზე და ჟულეტის ან მარტენის კოლოფზე.

12. ასეთია დაახლოვებით ეს ბრბო, ყვავილნარში რომ დაცელქობს. ვინაიდან თავის დროზე ეს ხალხი ეკლნარის ხეივნიდან გამოიქცა, მათ შეუძრწუნებლად არ შეუძლიათ წინამძღოლთა ხმის გაგონებაც კი, და ამიტომ მომაჯადოებელი ბაღი წელიწადის განსაზღვრულ დროს თითქმის ცალიერდება. მისი მკვიდრნი ცოდვების მოსანანიებლად მიდიან ეკლნარის ხეივანში, საიდანაც მალე უკანვე ბრუნდებიან, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ წავიდნენ კიდევ ცოდვების მოსანანიებლად.

13. თვალსახვევი ძლიერ აწუხებთ მათ. თავის სიცოცხლის ერთ ნაწილს ისინი ამ თვალსახვევის უვნებელსაყოფ საშუალების გამოძებნაში ატარებენ. ეს თავისებური ვარჯიშობა ეხმარება მათ სინათლის

ცოტაოდენი გამონაშუქი დაინახონ, მაგრამ იგი მალე ქრება. მათი მხედველობა იმდენად განვითარებული არაა, რომ დიდი სინათლე აიტანოს; ამიტომ ისინი მხოლოდ ხანდახან თითქო მალულად შეხედავენ მას. არავითარი სერიოზული და თანამიმდევრული აზრი არ შედის მათს თავში: მარტო სიტყვა – „სისტემა“-ს ხსენებაც კი შიშსა ჰგვრის მათ. თუ კი ისინი მეფის არსებობას უშვებენ, აქედან ყოველშემთხვევაში არავითარ ისეთ დასკვნას არ აკეთებენ, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუშალოს მათ დატკბობას. ფილოსოფოსი, რომელიც მსჯელობს და ჰსურს საკითხის სიღრმეს ჩასწვდეს, მათს თვალში მძიმე და აბეზარი ცხოველია. ერთხელ მე განვიზრახე თემირი გამერთო ღვთიურ აზრებზე მუსაიფით; ის მაშინვე შეწუხდა და, მომაპყრო რა მე თავისი მიბნედილი თვალები, მითხრა: ინუ მაწამებ, სჯობია შეეცადო, რომ მეც ბედნიერი გამხადო და შენც ბედნიერი გახდე“-ო. მე დავემორჩელე და ვნახე, რომ ის იმდენად კმაყოფილი დარჩა მამაკაცის, რამდენადაც უკმაყოფილო იყო ფილოსოფოსისა.

14. მათი ტანსაცმელი სრულიად ბეჩავ მდგომარეობაშია; დროგამოშვებით მას მრეცხავს აძლევენ; მაგრამ ამ რეცხვას ძლიერ ცოტა სარგებლობა მოაქვს; ეს მარტო პირსაფეროდ ხდება. იტყოდი თითქო მათი მთავარი მიზანია – იმდენად დალაქონ თავიანთი ტანსაცმელი, რომ მისი პირველადი ფერი გამოუცნობი შეიქნეს. ასეთი საქციელი არ შეიძლება ხელმწიფის მოსაწონი იყოს, და, მიუხედავად თავბრუდამხვევ ტკბობისა, ბევრი უკვე ხვდება ამას ყვავილნარში; ვინაიდან ეს ხეივანი ყველაზე მეტადაა დასახლებული და ყველაზე უფრო მეტი ხალხი უნდა მიდიოდეს მის გზა-ბილიკებზე, მაინც უკანასკნელი თავის მესამედში თანდათანობით იწყებს დაცალირებას, სულ ბოლოში კი შენ უკვე ვეღარავის ვერ ნახავ, გარდა ორი-სამი წესიერი ადამიანისა, ისიც ჩვენებიდან, რომლებიც ერთი წუთით მოსულან აქ დასასვენებლად და მართლაც ძლიერ სასიამოვნოა ეს ხეივანი; მაგრამ მასში დიდხანს დარჩენა არ ვარგა, თავბრუ დამხვევია იქ ყოველივე, და ადამიანები, რომლებიც იქ იხო-

ცებიან, უგუნურად იხოცებიან.

15. ნუ გიკვირს, რომ მათთვის დრო ასეთის სიჩქარით მიჰქრის და ასე ენანებათ მათ თავიანთ ხეივანს დაემშვიდობონ; მე უკვე გითხარი, რომ შესახედავად ის საუცხოვოა; ყოველივეს იქ მომაჯადოებელი ხასიათი აქვს; ეს სამეფოა ალერსიანობისა, სიმსუბუქისა და თავაზიანობისა. თითქმის ყველა მისი მცხოვრები შეიძლება პატიოსან და ზნეობრივად უმწკივლო ადამიანად გეჩვენოს. მაგრამ მხოლოდ გამოცდილება აქარწყლებს ამ ილუზიას; გამოცდილება კი ხანდახან მეტისმეტად გვიან მოდის. გამოგიტყდე, მეგო-

ბარო? ასჯერ მოვტყუვდი მე ამ ხალხში, სანამ არ გამოვიცანი იგი და სიფხიზლე არ გამოვიჩინე; მხოლოდ მას შემდეგ, რაც გავეცან აურიცხავ მაგალითებს თაღლითობისას, სიმდაბლისას, უმადურობისას და გამცემლობისას, მე თავიდან მოვიშორე სულელური ჩვეულება, ყველა წესიერი ადამიანის თვისებას რომ შეადგენს, ე. ი. თავისი თავის მიხედვით სხვების განსჯა. ვინაიდან მე შენ პატიოსან ადამიანად გთვლი და ვფიქრობ, რომ შეიძლება სადმე შენც შეგემთხვეს ისეთივე გასულელება, როგორც მე განვიცადე, მე შენ გიამბობ რამდენიმე ეპიზოდს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ჭკუას გასწავლიან და იქნებ კიდეც გაგართონ. მომისმინე და შემდეგ ამის მიხედვით იმსჯელე შენს სატრფოზე, მეგობრებზე და ნაცნობებზე.

16. რამდენიმე ხნის წინ მე ვნახე ორი პიროვნება, რომელნიც ყვავილნარის ერთ განცალკევებულ ჭალაში სახლობდნენ; ესენი იყვნენ კარისკაცი აჟენორი და ახალგაზრდა ქალი ფედიმა. აჟენორს, მეფის კარზე გულგატეხილს და იმედგაცრუებულს, უარი ეთქვა, – ამბობს ის, – პატივმოყვარულ ოცნებებზე; ხელმწიფის თვითნებობას და მინისტრების უსამართლობას აეძულებია იგი გაქცეოდა იმ ორომტრიალს, რომელშიდაც ის ტყვილად ცდილობდა წინ წაწევას; ერთი სიტყვით მან დაინახა დიდების ამაოება. თავისი მხრივ, ფადიმასაც უარეყო არშიყობა და მარტო აჟენორის მიმართ შეენარჩუნებია ერთგულება. ორივე განშორებოდა ქვეყანას და გადაეწყვიტათ განმარტოებით დამტკბარიყვნენ საუკუნო სიყვარულით. მე მოვისმინე მათი აღფრთოვანებული სიტყვები: „რა ბედნიერი ვართ! რომელი ბედნიერება შეედრება ჩვენსას. აქ ყოველივე განცხრომით და სილაღით სუნთქვას. სანეტარო კუნჭულო, რა რიგ წყნარი და უმანკო სიხარულით გვასაჩუქრებ! ჩვენს მიერ დატოვებული მდიდრული დარბაზები უდრიან შენი ხეების ჩრდილს? ო, ოქროს ჯაჭვებო, რომლებშიაც ჩვენ ამდენი ხანია ილაჯს ვიწყვეტდით მთელ თქვენ სიმძიმეს მხოლოდ ის გრძნობს, ვინც თქვენ თავი დაგაღწიათ! ო, ბრწყინვალე კირთებო, რომელთაც ასეთის მედიდურობით ატარებენ, რა შვებაა თქვენი გადაგდება კისრიდან! მღელვარება-წუხილს განშორებულნი ჩვენ დავცურავთ განცხრომის ოკეანეში. ჩვენი სიამოვნებანი, ასე ადვილად ხელმისაწდომნი მაინც, არანაკლებ მიმზი-

დველნი არიან. სიამენი სცვლიან სიამეთ და მოწყენილობას ერთხე-
ლაც კი არ მოუწამლავს ისინი თავისი შხამით. წარსული არ დაბ-
რუნდება. აუცილებელი მოვალეობები, ნაძალადევი დარბაზობანი,
თითილბაზური ყურადღება – ვერასოდეს ვეღარ დაგვეუფლება ჩვენ.
გონებამ მოგვიყვანა ჩვენ ამ ადგილებში და მარტო ერთმა სიყვა-
რულმა გამოგვზდია უკან... როგორ არ ჰგვანან ჩვენი სიცოცხლის წუ-

თები იმ დღეებს, რომლებიც სასაცილო ჩვეულებებს და უაზრო გე-
მოვნებებს ვამსხვერპლეთ! რატომ უფრო ადრე არ დაგვეწყო ეს ახა-
ლი დღეები, რატომ არ შეიძლება იყონ ისინი მარადიულნი! მაგრამ
ღირს კი ფიქრი იმ წუთზე, რომელიც მათ შესწყვეტს? დავაჩქაროთ
დატკმობა ამ დღეებით.

17. ჩემი ბედნიერება, – ეუბნებოდა აჟენორი ფედიმას, – შენს
თვალებში წერია: არასოდეს არ გავეყრები მე ჩემს ძვირფას ფედიმას,
არა, არასოდეს, ვფიცავ მაგ თვალებს. მომჯადოებელია ეს განმარ-
ტოება; შენში ჩაიკეტებიან ყველა ჩემი სურვილები აყვავებულო სა-
რეცელო, რომელსაც მე და ფედიმა ვინაწილებთ, შენ – სიყვარულის
ტახტი ხარ და მეფის ტახტზე უფრო სანეტარო.

18. – ძეირფასო აჟერონ, – უპასუხებდა ფედიმა, – არაფერი არაა,
ჩემთვის ისე საამო, როგორც შენი გულის დაუფლება. ყველა კარის-
კაცებიდან მარტო შენ შესძელ ჩემი აღელვება და დასძლიე განმარ-
ტოებულ ცხოვრებისადმი ჩემი სიძულვილი. მე დავინახე შენი გაოგ-
ნებული ვნება, შენი ერთგულება, შენი სიმტკიცე, მე დავტოვე ყო-
ველივე და მაშინ დავრწმუნდი თუ რა ცოტა რამ დამიტოვებია.
ნაზო აჟენორ, ძვირფასო და ღირსეულო მეგობარო, შენს მეტი მე
არავინ მინდა, მე მსურს შენთან ვიცოცხლო და შენთანვე მოვკ-
ვდე. ეს განმარტოება რომ იმდენადვე საშინელი იყოს რამდენა-
დაც ის დღეს წარმტაცია, ეს ჯადოქრული ბაღები რომ უდაბნოე-
ბად იქცნენ, – ფედიმა მათში შენ დაგინახავდა, და შენი ფედიმა
ბედნიერი იქნებოდა. ო, რომ შეეძლოს ჩემს ალერსს, ჩემს ერთ-
გულებას, ჩემს გულს და ერთმანეთის სიყვარულს, სიამოვნებას ანა-
ზღაურება შენთვის ყოველივე იმისა, რაც შენ ჩემი გულისათვის დაჰ-
კარგე! მაგრამ, ვაი, რომ ამ სიხარულს ბოლო მიეცემა, – და საბე-
დისწერო წუთში მე ნუგეშად ის ტკბილი შეგნება მაინც დამრჩება,
რომ შენი ხელი დამიხუჭავს თვალებს და შენს ხელში აღმომხდება
სული“.

19. როგორ ჰფიქრობ, მეგობარო, რით დამთავრდა ყოველივე
ეს? აჟენორმა, მას შემდეგ, რაც ფედიმას გულმკერდში ჩაკრულმა გან-
საკუთრებულად თავბრუდამხვევი აღტაცება განიცადა, დასტოვა იგი.
ის განშორდა მხოლოდ ერთი წუთით. ის იმ წუთშივე უკან უნდა
დაბრუნებულიყო. მაგრამ დილიჟანსმა, რომელიც მას უცდიდა, ელ-
ვასავით გააქროლა ის სასახლისაკენ. ის იქ დიდიხნიდანვე სცდილობდა
მიეღო ერთი ფრიად თვალსაჩინო ადგილი. მისი გავლენა, ინტრი-

გები, მისი ოჯახის მიერ გადადგმული ნაბიჯები, მინისტრების ან
მათი საყვარლებისათვის მიძღვნილი ძვირფასი საჩუქრები, ოინები
რამდენიმე ქალის, რომელთაც სურვილი დაებადათ წაერთმიათ იგი

ფედიმასათვის, ყოველივე ამან შეჰქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ მან
მიიღო სასურველი ადგილი და წერილობით ეუწყა ამ მიღწევის შე-
სახებ ერთი წუთით ადრე იმ ტკბილ ალერსიან საუბრისა, – რომე-
ლიც ჩვენ ზემოთ მოვისმინეთ.

20. აჟენორი შორდებოდა; და ამ დროს ერთი მისი მეტოქე,
რომელიც მხოლოდ მის წასვლას უცდიდა, გამოჩნდა ხეებიდან, რო-
მელთაც ის ამოფარებოდა და ფედიმას გულმკერდზე მისი ადგილი
დაიკავა. ეს ახალი მისული ლაღობდა როგორც ყოველი სხვა; ალერ-
სით ქანცმილეული ის სხვა საყვარლებმა შესცვალეს.

21. შენ ხედავ ახლა, როგორია ჭეშმარიტი სიყვარული. ახლა
მოისმინე და განსაჯე, თუ რას წარმოადგენს მეგობრული გულახდი-
ლობა.

22. ბელიზა უახლოესი მაგობარი იყო კალისტოსი; ორივენი
ახალგაზრდანი იყვნენ და გაუთხოვარნი, გაღმერთებული ათასი მო-
ტრფიალეთა მიერ და სიამოვნებით მცხოვრებნი. მათ ერთად ხედავდნენ
მეჯლისებზე, საღამოებზე, სეირნობაზე, ოპერაში. ისინი განუყრელნი
იყვნენ. თავიანთ უმნიშვნელოვანეს საქმეებზედაც კი ისინი რჩევა-და-
რიგებას კითხავდნენ ერთიმეორეს. ბელიზა არავითარ შემთხვევაში
არ იყიდდა სატანსაცმელო მატერიის ერთ ნაჭერსაც კი, თუ ის კა-
ლისტას არ მოეწონებოდა; კალისტო არაფრის გზით არ წავიდოდა
თავის ოქრომჭედელთან უბელიზოდ. რაღა გითხრა მეტი? თამაში,
გასართობები, ვახშმები – ყოველივე მათ საერთო ჰქონდათ.

23. სწორედ ასევე მეგობარი იყო კრიტონი ალსიპისა, ძველის
ძველი მეგობარი; ერთნაირი გემოვნება, ერთნაირი ნიჭი, ერთნაირი
მიდრეკილება; ერთმანეთის მუდმივი პატივისცემა, საერთო ქისა, –
ყველა ამან, როგორც სჩანს, მოამზადა და უაღრესად განამტკიცა
მათი გულითადი კავშირი. ალსიპი ცოლიანი იყო; კრიტონი უცოლო
რჩებოდა.

24. ბელიზა და კრიტონი იცნობდნენ ერთიმეორეს. ერთხელ
როდესაც კრიტონი მასთან სტუმრად იყო, მათ შორის სერიოზული
საუბარი გაიბა მეგობრობის შესახებ. მჭერმეტყველურად აღწერდნენ
ისინი ამ გრძნობას, არჩევდნენ მას, აგებინებდნენ ერთიმეორეს, რომ
დიდად განსხვავდებიან სხვებისაგან თავიანთი გრძნობებით და არა-
ჩვეულებრივი სიფაქიზით. „რა დიდი სიამოვნებაა, – ამბობდა ბელიზა, –
როდესაც შესაძლებლობა გაქვს შენს თავს უთხრა, რომ შენ მეგო-
ბრები გყავს და რომ შენ დაიმსახურე მათი მეგობრობა ცოცხალი
და ნაზი ყურადღებით ყოველივე იმისადმი, რაც მათ შეეხებათ, მა-
გრამ ეს სიამოვნება ზოგჯერ ძვირი ჯდება. პირადად მე, – დაუმატა
მან, – ძლიერ ხშირად ვრწმუნდები, თუ რა ძნელია ასეთი გული

გქონდეს, როგორც მე მაქვს. რამდენ შიშს, რამდენ მღელვარებას და სიმწარეს განიცდი სხვაზე! შეუძლებელია ეს სულიერი მდგომარეობა დასძლიო.

25. ოჰ, ქალბატონო, – უპასუხა კრიტონმა, – ნუთუ კიდევ უკმაყოფილო ხართ იმით, რომ თქვენ ასეთი მშვენიერი სული გაქვთ? მე რომ საკუთრივ ჩემზე ლაპარაკის ნება მომეცეს, ვიტყოდი, რომ მე, ისევე, როგორც თქვენ, არ შემიძლია, არაფრისგზით არ შემიძლია, დავთრგუნო ჩემში უუცხოველესი თანაგრძნობა მეგობრისადმი. მაგრამ უნდა გამოვტყდე, – და ეს, შეიძლება, თქვენ უცნაურობად მოგეჩვენოთ, – მე სიამოვნებას განვიცდი, როდესაც ჩემს სულს გლეჯს და სწეწავს ყოველივე, რაც მეგობრის ინტერესებს შეეხება. ჩვენს შორის იყოს და, განა დარღვევა არ იქნებოდა მეგობრული მოვალეობისა, რომ ზოგიერთ ცნობილ წუთებში დაგვეგვიანებია ჩვენი სულიერი თანაგრძნობით?..

26. – ერთი რამ ყოველთვის გაუგებარი იყო ჩემთვის, – გააწყვეტინა მას ბელიზამ, – როგორ არსებობს ქვეყნად ამდენი შავბნელი სული, რომელიც ზნეობის, პატიოსნებისა და მეგობრობის მომჯადოებელ ხილვადობით ფარავს მოღალატეობას, სიბოროტეს, ანგარებას, გამცემლობას და სხვა უამრავ მანკს. მე ცუდ განწყობილებაში ვვარდები ხოლმე, როდესაც ვხედავ, თუ რა ხდება ჩემს გარშემო, და მაშინ თითქმის ჩემს მეგობარზედაც ეჭვი მებადება.

27. მე დაშორებული ვარ, – სთქვა კრიტონმა – მაგგვარ უკიდურესობებს; მე უფრო სიამოვნებით ვინმე გაიძვერას მოვატყუებინებ თავს, ვიდრე ჩემს მეგობარს შეურაცხვყოფ. მაგრამ ორივე ამ უსიამოვნების თავიდან ასაშორებლად, მე შევისწავლი ხოლმე, ღრმად შევისწავლი ადამიანებს, სანამ მათ ჩემს სულს მივანდობდე, და მე განსაკუთრებით ვუფრთხი ყველა იმ ზედმეტად ალერსიან ფრანტებს, რომლებიც ერთბაშად ჩაგეკერებიან ხოლმე გულში, რომლებმაც გაამანკიანეს მეგობრის გრძნობა მისი მუდმივ ბოროტად გამოყენებით, რომელთაც სურთ აუცილებლად თქვენი მეგობარი გახდნენ და ამავე დროს თქვენს შესახებ იციან მხოლოდ ის, რომ თქვენ მდიდარი და ხელგაშლილი ხართ, ან რომ თქვენ კარგი მზარეული გყავთ, სასიამოვნო საყვარელი, ლამაზი და ახალგაზრდა ცოლი ან ქალიშვილი... შეძრომა ადამიანის ოჯახში, რომ მისი ცოლი გადააცდინა, ეს სრულებით ჩვეულებრივი მოვლენაა; – შესაძლებელია კი ამაზე უფრო საშინელი რამ? მე არ ვამბობ, რომ თითქო არ შეიძლებოდეს დაშვება საგულითადო რამე საქმეების, ვთქვათ, ვინმეზე ადევნება; მაღალ საზოგადოებაში არც შეიძლება ჯეროვანის სიამტკბილობით ცხოვრება ასეთი გართობების დაუშვებლად; მაგრამ შენი მეგობარის ცო-

ლი ამოიღო ნიშანში, ეს – სიმდაბლეა, ეს – სრულყოფილი სისაძაგლეა.

პირველი – სისუსტეა, რომელსაც აპატიებენ; მეორე კი – ბოროტმოქ-
მედება, უმსგავსო რამ საშინელება.

28. ბოდიშს ვიხდი, – შეაწყვეტინა ბელიზამ, – მე შემიძლია,
მგონი, შევადარო ეს ზოგიერთ რასმეს. არის ბოროტება, რომელიც
მე არა ნაკლებ მძაგს და რომელიც პატიოსნებისა და ზნეობრივ ღირ-
სების სრულიად დაკარგვას ამოწმებს: ეს ისაა, როდესაც ქალი წა-
ართმევს თავის მეგობარს საყვარელს და თვითონ გახდება მის სა-
ყვარლად. რაღაც ჯოჯოხეთურია ამაში; გულიდან უნდა ამოიგლი-
ჯო ყოველივე გრძნობა. უარი უნდა სთქვა ყოველგვარ სირცხვილზე,
ამავე დროს კი ჩვენ ვხედავთ მაგალითებს...

29. მაგრამ, ქალბატონო, – მიუგო კრიტონმა, – თქვენ ხომ იცით,
თუ როგორ ეპყრობიან ამ დაბალ ქმნილებებს.

30. მათ მშვენივრად ეპყრობიან, – უთხრა ბელიზამ, – ხვდებიან,
იღებენ, ესალმებიან და იმაზე, რაც მათ ჩაიდინეს, არც კი ფიქრობენ.

31. ჩემი დაკვირვებით კი, ქალბატონო, – უპასუხა კრიტონმა, –
მაღალ საზოგადოებას არც ისე მოკლე მეხსიერება აქვს, როგორც
თქვენ ამტკიცებთ და ასეთი საშინელი ადამიანები იდევნებიან ყო-
ველივე საზოგადოებიდან, რომელსაც სიკეთე უდევს საფუძველად და
რომელშიდაც გულის სიწმინდე და პირდაპირობაა გამეფებული. ასეთი
საზოგადოებები კი არსებობენ.

32. გეთანხმებით, – თქვა ბელიზამ, – მე არ ვფიქრობ, მაგალი-
თად, რომ შესაძლებელია აქ ასეთი ქალების შეხვედრა. ო, ჩვენ ყვე-
ლა არაჩვეულებრივად ვგევართ ერთმანეთს.

33. მას შემდეგ, რაც თქვენ მოწყალება მოიღეთ და მიმიღეთ
თქვენს წრეში – სთქვა კრიტონმა, – მე ვცდილობდი გამემართლებია
ჩემს მიმართ აქ შექმნილი კეთილი დამოკიდებულება განსაკუთრებით
კი, თქვენი, ქალბატონო, ზნეობრივი წესების ურყევი დაცვით. ჩემს
გრძნობებს ყოველთვის ჩემი გონება სინჯავს. მე პრინციპების მიხე-
დვით ვმოქმედებ. დიახ, პრინციპები, აი რას ვცემ მე პატივს, ისინი
აუცილებლად საჭირო არიან ყოველი პირობის გარეშე და ადამიანს,
რომელსაც პრინციპები არა აქვს, არ შეუძლია მეგობრობა და არცაა
იმის ღირსი.

34. აი ამას ვუწოდებ მე აზროვნებას! – წამოიძახა ბელიზამ, –
რა იშვიათია თქვენისთანა მეგობრები, და რა რიგ საჭიროა ზრუნვა
მათს შესანარჩუნებლად, თუ ოდესმე ბედნიერება მოგეცა მათი პოვ-
ნის! თუმცა, უნდა გითხრათ, რომ თქვენი გრძნობები მე არ მა-
კვირვებს; მე მხოლოდ აღტაცებული ვარ იმით, რომ ისინი ასეთ-
ნაირად ემთხვევიან ჩემსას. მე ოდნავ ეჭვებიც კი აღმეძრებოდა,

რომ არ მცოდნოდა, რომ სიკეთენი არაფერს არ ჰკარგავენ იმით,
რომ მრავალთა კუთვნილებად ხდებიან. მე, შეიძლება, ოდნავ ეჭვიც
მიმეტანა, რომ არ ვიცოდე, რომ სიკეთენი არაფერს არ ჰკარგავენ,
როდესაც მრავალთა კუთვნილებაში გადადიან, – ისინი მოგებაშიც კი

რჩებიან, როდესაც მათ გაუზიარებ სხვას ისეთი საუბრისას, როგორიც ჩვენია.

35. ეს წრფელი და ძალდაუტანებელი მუსაიფი, რომელშიაც უფაქიზესი სულები გულის კარს უღებენ ერთიმეორე – სთქვა კრიტონმა, შეიცავს იმ უდიდეს სიმშვენიერეს მეგობრობისას, რომელსაც მხოლოდღა მეგობრები გრძნობენ.

36. მე ვისურვებდი გამეგო, რას ჰფიქრობ, შენ, ამ ადამიანების შესახებ. მაგრამ მე ვხედავ, რომ შენ ფედიმასი და აჟენორის ისტორია გაიძულებს სიფრთხილე გამოიჩინო. შენ აღარ გწამს საზეიმო ფრაზები და მართალიცა ხარ. მოთმინება, მეგობარო; ჩემი მოთხრობა, შენ, როგორც ვხედავ, თუ არ გართობს, სარგებლობას მაინც გაძლევს.

37. დაემშვიდობა თუ არა კრიტონი ბელიზას, უკანასკნელთან შემოვიდა დამისი, ეს სასიამოვნო გარეგნობის მდიდარი ახალგაზრდა იყო, რომელსაც კალისტოს ხელი და გული ჰქონდა დაპირებული. „თქვენ იცით, – უთხრა მან ბელიზას, – რომ წარმტაცი კალისტო ორი დღის შემდეგ გამაბედნიერებს? ყველაფერი მზადაა გარდა საჩუქრებისა, რომელიც მე მას მინდა მივართვა. თქვენ კარგად გესმით ეს საქმე; შემიძლია გთხოვოთ, რომ წამომყვეთ ლაფრენეისთან? ჩემი ეტლი ეზოში გელისთ.

38. „სიამოვნებით“– უპასუხებს ბელიზა, – და ისინი სხდებიან ეტლში. გზაში ბელიზა ჯერ ყოველგვარად აქებს კალისტოს, ოოჰ, თქვენ რომ იმას იცნობდეთ ისე, როგორც, მე. ეს ყველაზე უკეთესი არსებაა მთელს ქვეყანაზე; ის სრულქმნილება იქნებოდა, რომ... რომ ნაკლები სიანცე ჰქონდეს, – გააწყვეტია დამისმა. ოჰ, გაცილებით მეტია უბრალო ზედმეტ სიანცეზე, – შეუბრუნა სიტყვა ბელიზამ, – მაგრამ ვინაა უნაკლო? ვიმეორებ, ის მშვენირებაა და მისი ხასიათის უსწორმასწორობას, მუდმივ გვემულობას, ყოველ უბრალო რაიმე შემთხვევის გამო, ხელი არ შეუშლიათ ჩვენი ათი წლის მეგობრობისათვის. მე უთმობ მას ამ წვრილმანებში; მაგრამ მსურველი ვიქნებოდი გამენთავისუფლებია ის ზოგი ქარაფშუტობისაგან, რომელმაც მას ზიანი მიაყენა, რადგან მე ის გულწრფელად მიყვარს.

39. რომელმაც მას ზიანი მიაყენა! – წამოიყვირა დამისმა, და ესე იგი, როგორ ეს?.. – ისე, – თქვა ბელიზამ, – რომ ამ ქარაფშუტობამ, რომელიც უნიჭოა ვისმე ღრმა პატივისცემა ჩააგონოს თქვენდამი, დაასაჩუქრა რამდენიმე არამზადა არამარტო იმედებით...

40. – რა მესმის ეს? – ჩაილაპარაკა დამისმა, უკვე მოღრუბლულმა მწვავე ეჭვით. – არამარტო იმედებით! მაშ, კალისტო მხოლოდ თვალთმაქცობს, როდესაც უბიწოდ მოაქვს თავი.

41. – მე ამას არ ვამბობ, – უპასუხა ბელიზამ, – მაგრამ ჩემს სიტყვას ნუ დაუჯერებთ; თქვენ თითონ შეხედეთ, დაუკვირდით. სხვა ადამიანთან სამუდამოდ დაკავშირება, – ეს ისეთი ნაბიჯია, რომ დაფიქრებად ღირდეს!

42. – ქალბატონო, – სთქვა დამისმა; – თუ მე რაიმეთი დავიმსახურე თქვენი კეთილი დამოკიდებულება, გემუდარებით, ნუ დამტოვებთ უმეცრებაში შესახებ იმისა, რაც ასე დიდმნიშვნელოვანია ჩემი ბედნიერებისათვის. ნუთუ კალისტოს შეეძლო ასეთ თავდავიწყებამდე მისვლა?

43. – მე ამას არ ვამბობ, – უპასუხა ბელიზამ, – მაგრამ ხმები იყო, და მე გაკვირვებული ვარ, რომ თქვენ არაფერი არ იცით... საშინელება ამ პირველ დაკავშირებებში, – დაუმატა მან უგულისყურობის გამომეტყველებით სახეზე, – მაგრამ დაქორწინება ზოგჯერ კურნავს იმ ნაკლულოვანებიდან, რომლებიდან არ ძალუძს ხსნა არავითარ გონიერებას და არავითარ ჭკუას; კალისტოს კი აქვს ერთიც და მეორეც; და ნამეტნავადაც აქვს“.

44. ამასობაში ისინი უკვე მივიდნენ ლაფრენეისთან. ბელიზამ ამოირჩია ძვირფასეულობა და დამისმა ისე გადაიხადა მათი ფასი, რომ არ უვაჭრია. სულ სხვა ფიქრებით იყო იგი შეპყრობილი. მის გულს ეჭვები დაეუფლნენ და კალისტოს ხატება მისდა შეუმჩნევლად ირყვნებოდა მის სახეში. „აქ, უეჭველია რაღაცა არის, – ამბობდა ის თავის გულში, – თუ კი მის საუკეთესო მეგობარსაც არ შეუძლია დუმილი“. კეთილგონიერება მოითხოვდა, რასაკვირველია, რომ ის ყურადღებით გარკვეულიყო ყოველიფერში; მაგრამ იჭვიანობას განა ოდესმე ყური მიუგდია კეთილგონიერებისათვის? როგორც კი ეტლში ჩაჯდნენ, ბელიზამ უკვე დაიწყო მასთან კეკლუცობა, აამოქმედა მთელი თავისი რესურსები, უკვე დაუზოგავად მიჰყო ხელი კალისტოს ძაგებას, უსირცხვილოდ კეკლუცობდა, თავბრუ დაახვია დამისს, გამოტაცა მას დაპირებები, რომლებიც პირველად პირფერულად უარყო, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, მიიღო მისგან წინასწარ კალისტოსათვის დანიშნული საჩუქრები და მისივე სატრფოს მეუღლე გახდა.

45. ამავე დროს, კრიტონს, ჩვენს პატიოსან კრიტონს გაეგო თუ არა სოფელს ალსიპის წასვლა, მისულიყო თავის მეგობრის ოჯახში, გაეტარებია იქ ორი-სამი ღამე მის ცოლთან ჩახუტებული და დილას მასთან ერთად გამგზავრებულიყო ალსიპის შესახვედრად.

რასაკვირველია, ორივეს ყელთამდი აევსოთ ის ალერსით. ასეთი არიან ჩვენი კეთილი მეგობრები.

46. მე დაგპირდი შენ, გიჩვენო, რის ღირსნი არიან ჩვენი ნაცნობები და ამ დაპირებას ავასრულებ.

47. მე ერთხელ ეროსთან ვიყავი. ის – ნაცნობია შენი. შენ იცი, რამდენი შრომა, მეცადინეობა, ჭაპანწყვეტა და ფული დაუჯდა მას კამერგერის ადგილი, რომელიც მან მაინც ვერ მიიღო; რომელ კარებს არ მიადგა ის, რა პროტექციებს არ მიმართა, რა არ სცადა, რომ თავის მიზნისათვის მიეღწია! მაგრამ, ეგებ შენ არ იცი, თუ როგორ გამოაცალეს მას ხელიდან ეს ადგილი. მაშ მომისმინე და განსაჯე ყვავილნარის მცხოვრებნი.

48. ჩვენ ვსეირნობდით ეროსთან ერთად, და ის მე მიამბობდა თავის ურნაზე, როდესაც ნარსესი შემოგვიერთდა. იმ ალერსიანი სიტყვებისა და თავაზიანობის მიხედვით, რომლებითაც ისინი უხვად გაუმასპინძლდნენ ერთმანეთს, მე გადავწყვიტე, რომ ისინი უახლოესი მეგობრები იყვნენ ერთიმეორის. – კი მაგრამ, – უთხრა ნარსესმა, – პირველი მისალმების შემდეგ, – რა მდგომარეობაშია თქვენი საქმე? – ის არსებითად უკვე გაკეთებულია, – უპასუხა ეროსმა, – მე ყოველი-ფერი მოვაწყე და ვვარაუდობ სიგელის ხვალვე მიღებას. – მე სრუ-ლიად აღტაცებული ვარ, – უპასუხა ნარსესმა, – საკვირველია, როგორ უხმაუროდ იცით ხოლმე საკუთარი საქმეების მოწყობა. მე თუმცა გავიგონე, რომ თქვენ მინისტრიდან მიიღეთ დაპირება და რომ თქვენზე დაულაპარაკია ჰერცოგის მეუღლეს ვიქტორიას; მაგრამ სა-ბოლოო გამარჯვება, ვერ დაგიფარავთ. არ მჯეროდა. მე უამრავ დაბრკოლებებს ვხედავდი წინ. მაგრამ მითხარით, როგორ შესძელით ამ ლაბირინთიდან გამოსვლა?

49. აი როგორ, – გულუბრყვილოდ უთხრა ეროსმა, – მე უფლება-მოსილად ვთვლი თავს მეზრუნა იმ ადგილის მოსაპოებლად, რომე-ლიც ასე დიდხანს ეჭირა მამაჩემს და რომელიც ჩვენმა ოჯახმა და-კარგა მარტო იმიტომ, რომ მამის გარდაცვალების მომენტში მე ძლიერ პატარა ვიყავი ამ თანამდებობის შესასრულებლად. მე უდა-რაჯებდი, მომარჯვებულ შემთხვევებს ვეძებდი და რამდენიმე ისეთი შემთხვევა მომეცა, რომ მოვახერხე მინისტრის ფარეშის დაინტერესება და ამით მივაღწიე იმას, რომ მინისტრმა იწყო ჩემი მოსმენა. მე გაჯიუტებით გამყავდა ჩემი ხაზი და უკვე ვფიქრობდი, რომ ბევრს მივაღწიე, თუმცა ჯერ არაფერი არ მქონია. ასეთნაირი იყო მდგო-მარეობა, როდესაც მოულოდნელად მეოსტრისი კვდება. მე ვიგებ, რომ განთავისუფლებული ადგილის გარშემო ინტრიგები შეიქმნა, მეტოქეთა რიცხვში მივდი-მოვდივარ აქეთ-იქით და ვხვდები ერთ

პროვინციელს, პრინცის ძიძის მსახურის ბიძაშვილს; ვაწყდები იქით, ვაღწევ ძიძამდე, ის მპირდება, რომ ჩემს შესახებ დაილაპარაკებს, მაგრამ ირკვევა, რომ მას უკვე სხვის შესახებ უთხოვია. მაშინ მე პა-ტარა ჟოკონდას ვებღაუჭები: გაგონილი მქონდა, რომ ის მინისტრთან სცხოვრობდა. მივრბივარ მასთან და ვიგებ, რომ იქ ყოველიფერი დამთავრებულია და რომ მას უკვე მონაცვლე ყავს – მოცეკვავე ქალი ასტერია. აი ის კარები, ვეუბნები მე ჩემს თავს, რომელსაც უნდა მიადგე. ეს სავსებით ახალი კაეშანია და მინისტრი, ალბათ, მოინ-დომებს თავისი საყვარლის პირველი თხოვნის ასრულებას. მაშასა-დამე, საჭიროა ამ ქალის დაინტერესება.

50. – ეს ჭკვიანურად იყო მოფიქრებული, – სთქვა ნარსესმა, – და გამოვიდა თუ არა რამე?

51. – ყველაფერი, რასაც მოველოდეთ, – უპასუხა ეროსმა. – ერ-თი ჩემი მეგობართაგანი მიდის ასტერიასთან და შეაძლევს მას ორას

ლუიდორს; ის მოითხოვს ოთხასს, ეს ეთანხმება და ასტერია ჰპირ-
დება, რომ სთხოვს ჩემს შესახებ. აი, როგორაა, ჩემო ძვირფასო
საქმეები.

52. აჰა! – წამოიძახა ნარსესმა, – ადგილი თქვენია! გილოცავთ,
ბატონო კამერგერო. თქვენ უსათუოდ კამერგერი იქნებით, თუ ვინმე
სხვამ არ მოგასწროთ მეტის მიცემა.

53. – ეს შეუძლებელია მოხდეს, – სთქვა ეროსმა, – თქვენ ერ-
თად-ერთი ადამიანი ხართ, რომელსაც მე ვენდე და მე ვიცი თქვენი
თავდაჭერილობა... თქვენ შეგიძლიათ ამაში იმედი იქონიოთ, – ჩა-
მოართვა სიტყვა ნარსესმა, – მაგრამ თქვენ თავდაჭერილობა გმარ-
თებთ. ძალიან გირჩევთ, რომ უფრო კარგად იქონიოთ საკინძი შეკ-
რული. ჩვენ ხომ უფრო ხშირად არ ვიცით ვის ვენდეთ, და ყველა
ის ხალხი, ჩვენ რომ მეგობრებად მიგვაჩნია... თქვენ გესმით ჩემი
ნათქვამი... ნახვამდის, მე დავპირდი თქვენთვის ცნობილ ტურფა
მარკიზას კავალიონზე ვიქნებითქო და უნდა გავიქცე“.

54. ნარსესი დაგვემშვიდობა და გაჰქრა. მისი რჩევა საუცხოვო
იყო, მაგრამ რა სამწუხაროა, რომ ეროსმა იგი რომელიმე პატიო-
სანი კაციდან არ მოისმინა და არ შეასრულა იგი თვით ნარსესთან
დამოკიდებულებაში. ეს მოღალატე გაემგზავრა პირდაპირ ასტე-
რიასთან, შეაძლია მას ექვსასი ლუიდორი და ამრიგად წაართვა ად-
გილი ეროსს.

55. შენ ახლა იცი ყვავილნარის სასაცილო მხარეები და მან-
კები; იცი აგრეთვე მისი მიმზიდველი მხარეებიც. იქ შესვლა
არაა ჩვენთვის აკრძალული. ეს გასეირნება ჩვენ გვიცავს იმ ზედმე-

ტად ცივი ჰაერის გავლენისაგან, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ ჩვენი
ხეების ჩრდილში.

56. ერთს საღამოს, როდესაც მე იქ დასვენებას და გართობას
ვლამობდი, გადავეყარე რამდენიმე ქალს, რომლებიც ირიბულად მი-
ყურებდნენ სახეზე აფარებული თხელი პირბადიდან; მე ისინი თუმცა
ლამაზებად, მაგრამ არც ისე ძალიან მიმზიდველებად მეჩვენა. მი-
ვუახლოვდი ერთს შავგვრემან ქალს, რომელიც მალვით ხვდებოდა
ჩემს თვალებს თავისი შავი, დიდრონი თვალებით. ამ სიყვარულით
განცხრომის სამეფოში, ასეთი სახით, როგორიც თქვენ გაქვთ, ალ-
ბათ, თქვენ გამარჯვებას გამარჯვებაზე პოულობთ, – ვუთხარი მე
მას... – ოჰ, გამეცალეთ აქედან, – წამოიყვირა მან, – მე არ შემიძლია
წყნარად მოვისმინო თქვენი ფუქსავატური სიტყვები... ხელმწიფე
მიყურებს, მეთვალყურე უთვალთვალებს ყოველს ჩემს ნაბიჯს; მე
უნდა ვიფიქრო ჩემს სახელზე, ჩემს მომავალზე, ჩემი ტანსაცმელის
სიწმინდეზე. გამშორდით, გემუდარებით, ან შესცვალეთ საუბრის
საგანი.

57. – მაგრამ რა უცნაურობაა, – ვუპასუხე მე, – რომ ასეთი
მგრძნობიარე სინიდისით თქვენ ეკლნარის ხეივნიდან წამოსულხართ.

ნება მიბოძეთ, ქალბატონო, შეგეკითხოთ, რის კეთება გაქვთ აქ განზრახული? – კეთილ გზაზე დაყენება, შეძლებისდაგვარად, – მითხრა მან გაღიმებით, – ისეთი არამზადების, როგორიც თქვენა ხართ. იმ წუთშივე მან შეამჩნია, რომ ვიღაცა გვიახლოვდება; მან სწრაფლ მიიღო პირვანდელი სერიოზულობის და კდემამოსილების გამომეტყველება; დადუმდა, თვალები დაჰხარა, ღრმა რევერანსი გამიკეთა და გაჰქრა; დავრჩი ახალგაზრდა ტურფა ქალებს შორის, რომლებიც კისკისებდნენ გამვლელებთან და თვალს ჩაუკრავდნენ გზაში შეხვედრილ ყველა მამაკაცს.

58. ისინი შეჯიბრებით ცდილობდნენ ჩემს დაპატრონებას, – ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ჩემს მოტყუებას. მე გავყევი მათ და მაშინვე დამიწყეს იმედების მოცემა. „ხედავთ ამ ხეს? – მითხრა მე ერთმა მათგანმა, – აი, იმას რომ მიუახლოვდებით...“ ამავე დროს მან მეორე ადგილზე მიუთითა ერთს ახალგაზრდა კაცს, რომელიც შორიდან მოჰყავდა. როდესაც მივედით დაპირებულ ხესთან, მან მეორესკენ წამიყვანა, მეორიდან მესამესკენ, აქედან ჭალისაკენ, რომელიც მისი სიტყვით, ძლიერ მოხერხებული ადგილი უნდა ყოფილიყო. ამ ჭალიდან მეორე, უფრო მოხერხებულ ჭალაში გადავედით. „მაგრამ, ასეთი სიარულით, – გავიფიქრე მე – ერთი ხიდან მეორემდე, ერთი ჭალიდან მეორე ჭალამდე ხომ შეიძლება ამ ქარაფშუტებთან ერთად ხეივნის ბოლოში ამოვყო თავი ისე, რომ ვერავი-

თარი გასამრჯელო ვერ მივიღო ჩემს მიერ გაწეულ შრომაში“. ეს რომ გავიფიქრე, უცებ მივატოვე ისინი და მივედი ერთს ახალგაზრდა ტურფა ქალთან, რომელიც მომხიბლავი იყო ნაკვთთა სისწორით კი არა, არამედ მათი სიტურფით. ეს ქერა ქალი იყო, მაგრამ ერთი ისეთთაგანი, რომლებსაც ფილოსოფოსი უნდა გაექცეს. მსუბუქ და წვრილ წელთან ერთად მას სასიამოვნო სისრულეც ახასიათებდა. მე ჩემს ცხოვრებაში არასოდეს არ მინახავს ასეთი ცოცხალი ფერები, ასეთი ნორჩი კანი, ასეთი ლამაზი სხეული.

უბრალოდ გადავარცხნილ თვალზე მას ჩალის კოპწია, ვარდისფერ სარჩულიანი ქუდი ეხურა. ქუდქვეშიდან ელვარებდნენ დამატკბობელი ვნებით გაბრწყინვებული თვალები. მის საუბარში ლაზათიანი გონება სჩანდა. მას უყვარდა მსჯელობა; ის ლოღიკურიც კი იყო თავის აზრებში. ჯერ არ დაწყებულიყო ჩვენს შორის საუბარი, რომ უკვე ტკბობაზე ვლაპარაკობდით: ეს, საყოველთაო და ამოუწურავი საგანია აქაური საუბრისა.

59. მე მედიდურად ვამტკიცებდი, რომ ხელმწიფემ ჩვენ აღგვიკრძალა ტკბობა და თვით ბუნებამაც დაგვიდო საზღვარი. მე არაფერი არ ვიცი შენს ხელმწიფეზე, – მითხრა მან საპასუხოდ. – მაგრამ თუ ყოველი არსების შემქმნელი და მამოძრავებელი კეთილი და ბრძენია, როგორც ამას ამტკიცებენ, ნუთუ მან ჩვენ მარტო იმიტომ ჩაგვინერგა ამდენი სასიამოვნო განცდები, რომ გვაწამოს? ამ-

ბობენ, რომ მიზანდაუსახავად ის არაფერს არ შვრება; რაში უნდა გამოიხატოს მოთხოვნილებათა და მათთან დაკავშირებულ სურვილთა მიზანი და დანიშნულება, თუ არა მათს დაკმაყოფილებაში?

60. მე ვუპასუხე, თუმცა არცთუ ძალიან მტკიცედ, რომ ხელმწიფეს შეეძლო გარსშემოერტყა ჩვენთვის ეს ცდუნებანი, მისთვის, რომ ჩვენ დაგვეძლია ისინი და ამით ჯილდო დაგვემსახურებია. – „დასდევი სასწორის ერთ მხარეზე, – მიპასუხა მან, – სინამდვილე, რომლითაც მე ვტკბები, მეორეზე კი საეჭვო მომავალი, რომელსაც შენ მპირდები, და თვითონვე გადაწყვიტე, რომელი გადასწონის“. – მე ვმერყეობდი და მან ეს შემატყო. – „როგორ?– განაგრძობდა ის, – შენ მირჩევ უბედური ვიყო იმ ბედნიერების მოლოდინში, რომელიც, შეიძლება არასოდეს არ ასრულდეს? გონიერების ნაკარნახევი მაინც იყოს კანონები, რომელთაც, შენის აზრით, მე მსხვერპლად უნდა შევეწირო! მაგრამ არა, ეს უცნაური ნარევია სისულელეების, რომელთა ერთადერთი მიზანი, როგორც ჩანს, ის უნდა იყოს, რომ ყველა ჩემს სურვილებს გადააბიჯოს და ჩემი გამჩენი წინააღმდეგობაში ჩააყენოს თავისივე თავთან... მე მაერთებენ, მე სამუდამოდ მაკავშირებენ ერთადერთ კაცთან, – განაგრძობდა ის ცოტა შესვენების შემდეგ, –

მე ყველაფერს ჩავდივარ, რათა ის სასოწარკვეთილებამდე მივიყვანო, მაგრამ რა აზრი აქვს ამას? ის სცნობს თავის უმწეობას, მაგრამ უარს მაინც არ ამბობს ჩემზე. ის არ უარყოფს თავის დამარცხებას, მაგრამ გაგონებაც კი არ სურს იმ დახმარების შესახებ, რომელსაც შეეძლო მისთვის გამარჯვება მოეპოვებია. რას შვრება ის როდესაც ძალღონე ელევა? ცრუმორწმუნეობას მიმართავს ჩემს წინააღმდეგ, მაშინ, როცა მე სულ სხვა მოწინააღმდეგე მესაჭიროება...“ – აქ ის შეჩერდა და ვნებიანი თვალები მომაპყრო. მე ხელი მივეც მას, შევიყვანე მწვანე ტალავერში და იქ იძულებული გავხადე დარწმუნებულიყო, რომ მისი არგუმენტები გაცილებით უკეთესია, ვიდრე ეს თვითონ მას წარმოედგინა.

61. ჩვენ სავსებით დაფარულად ვთვლიდით თავს გარეშე თვალთაგან, რომ უცებ შევამჩნიეთ ფოთლებს შორის რამდენიმე მანჭია ქალი ორ-სამ მეთვალყურესთან ერთად, რომლებიც გულდასმით გვათვალიერებდნენ. ჩემი ტურფა გაწითლდა. – „რის გეშინიათ?“ წავსჩურსულე მე მას.

– „ეს წმინდანიანი ქალები თავიანთ ცრურწმენას თავისივე სურვილებს უქვემდებარებენ, ისე როგორც თქვენ, და თქვენი ბედნიერების მაცქერალნი, ისინი განიცდიან გულის სიღრმეში იმდენად აღშფოთებას კი არა, რამდენადაც შურს. ვერ დაგპირდებით, მაინც, რომ ისინი არ შეეცდებიან ვნება მიაყენონ იმ ხალხს, რომელიც არც მათზე უფრო სულელია. მაგრამ ჩვენ დამემუქრებით, რომ ნიღაბს ჩამოვხდით მათ თანამგზავრთ და მაშინ, მერწმუნეთ, ისინი დადუმდებიან“. – სეფიზამ დაადასტურა ჩემი აზრი და გაიღიმა; მე

ვაკოცე მას ხელზე, და გავშორდით ერთმანეთს. ის გაფრინდა ახალ სიამოვნებათა შესახვედრად, მე კი წაველი ჩვენი ხეების ჩრდილში საოცნებოდ.

243

წერილები ბრმებზე

თვალხილულთა ჭკუის სასწავლებლად

Possunt, nec posse videntur.
Virg. Aeneid. Lib. v. vers. 231.[77]

მე ვეჭვობდი, ქალბატონო, რომ ბრმათშობილი, რომელსაც ბ. დე-რეომიურმა ამასწინათ კატარაქტი მოაცილა, არ გვამცნობდა ჩვენ იმას, რაც თქვენ გსურდათ გაგეგოთ; მაგრამ მე აზრად არ მომსვლია რომ ეს ან მისი და ან თქვენი ბრალი იქნებოდა. მე მივმართე მის კეთილმყოფელს პირადად, ჩემი საუკეთესო მეგობრების საშუალებით, ვსცადე ისეთი ღონისძიება, როგორიც ქათინაურია, მაგრამ ვერაფერს გავხდით, და პირველი არტახი ჩამოიხსნება უთქვენოდ. ყველაზე დიდად ცნობილ პირებს ჰქონდათ პატივი მიეღოთ იგივე უარი, როგორიც ფილოსოფოსებმა მიიღეს; ერთი სიტყვით, მან მოისურვა ფარდა აეხსნა მხოლოდ რამდენიმე უვიცი პირებისათვის. თუ თქვენ მოისურვებთ გაიგოთ, თუ რატომ აწარმოებს ეს დახელოვნებული აკადემიკოსი ასე საიდუმლოდ თავის ცდებს, რომელთათვისაც, თქვენის აზრით, განათლებული დამსწრენი არასოდეს არ შეიძლება ზედმეტად მრავალრიცხოვანნი იქნენ, მე გიპასუხებთ, რომ ასეთი ცნობილი ადამიანის დაკვირვებები საჭიროებენ იმდენად მაყურებლებს კი არა, როდესაც ეს დაკვირვებები სწარმოებენ, რამდენადაც მსმენელებს, – მას შემდეგ, რაც ისინი დამთავრდებიან. ამიტომ მე დავუბრუნდი ქალბატონო, ჩემს პირვანდელ განზრახვას და, იძულებული, უარი მეთქვა ცდაზე, რომელსაც არ შეეძლო არც ჩემი, არც თქვენი განსწავლა, მაგრამ რომლისაგანაც, უეჭველია, ბ. დე-რეომიური გამოიტანს გაცილებით უფრო ძვირფას დასკვნებს, მე დავიწყე ჩემს მეგობრებთან ერთად ფილოსოფოსობა საკითხზე, რომელიც ამ ცდის ობიექტს წარმოადგენს. რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ამბავს ერთ-ერთი რომელიმე ჩვენი საუბრის შესახებ, შესძლებოდა იმ სანახაობის მაგიერობა გაეწია თქვენს თვალში, რომელიც მე თქვენ ძლიერ მოუფიქრებლად დაგპირდით!

იმავე დღეს, როდესაც პრუსიელი[78] კატარაქტს აცილებდა სიმონოს ქალიშვილს, ჩვენ გავემგზავრეთ პუიზოელი [79] ბრმათშო-

ბილის მოსანახულებლად; ის უჭკუო კაცი არაა; მას ბევრნი იც-
ნობენ; ის ქიმიასთან ცოტაოდნად გაცნობილია და ბოტანიკის
კურსიც მოუსმენია ერთგვარის წარმატებით სამეფო ბაღში. მამა-
მისი ფილოსოფოსია, რომელიც დიდის წარმატებით ასწავლიდა
პარიზის უნივერსიტეტში. ის პატრონი იყო კარგა მოზრდილი ქონე-
ბისა, რომლის საშუალებითაც თავისუფლად შეეძლო ჯერ კიდევ
გრძნობათა დაუზიანებელ ორგანოებში შენარჩუნებული მოთხოვნი-
ლებების დაკმაყოფილება; მაგრამ ახალგაზრდობაში ის გაიტაცა
ტკბობის წყურვილმა; ახლობლებმა ბოროტად გამოიყენეს მისი
მიდრეკილებანი; შინაური საქმეები მას აეწეწა და ის იძულებული
შეიქნა გადასულიყო საცხოვრებლად ერთს პატარა პროვინციულ
ქალაქში, საიდანაც ყოველწლივ ჩამოდის ხოლმე პარიზში. მას
ჩამოაქვს მის მიერ გამოხდილი ლიქიორები, რომლებითაც აქ ძლიერ
კმაყოფილნი არიან. ყოველივე ეს, ქალბატონო, გარემოებანია რო-
მელნიც ფილოსოფიისაგან საკმაოდ დაშორებულნი არიან; მაგრამ
სწორედ ამიტომ, თქვენ მათ უნდა ჩაგაგონონ ი ს ა ზ რ ი, რომ
პიროვნება, რომლის შესახებაც მე გესაუბრებით, მოგონილი არაა.

ჩვენ მივედით ჩვენს ბრმასთან საღამოს ხუთ საათზე, იმ დროს,
როდესაც ის თავის ვაჟს ამობურცული ასოების კითხვას ასწავლიდა;
ის ერთი საათის წინ ამდგარი იყო; ალბათ თქვენც გეცოდინებათ, რომ
დღე მისთვის იწყება მაშინ, როდესაც ის ჩვენთვის თავდება. ჩვეულები-
სამებრ, ოჯახურ საქმიანობასა და ყოველგვარ მუშაობას ის აწარმოებს
მაშინ, როდესაც სხვები ისვენებენ. შუაღამისას არაფერი მას ხელს არ
უშლის და არც ის უშლის ვისმეს ხელს. პირველყოვლისა მას წესრიგში
მოჰყავს ის, რაც დღის განმავლობაში დადგმულ-გადმოდგმული იქნა;
და როდესაც ცოლი გამოიღვიძებს, ის რწმუნდება, რომ სახლში ყვე-
ლაფერი წესრიგშია. ვინაიდან ბრმებისათვის საძნელოა დაკარგული
საგნების მონახვა, ისინი დიდი მეგობრები არიან წესრიგისა; და მე
შევამჩნიე, რომ მათ ახლობლებსაც იგივე თვისება აქვთ მათი კარგი
მაგალითის ზეგავლენით, ანდა შეიძლება იმ თანაგრძნობისა გამო,
რომელსაც ისინი მათ მიმართ განიცდიან. რა უბედურები იქნებოდ-
ნენ ბრმები, რომ ახლობლები ყურადღებას არ იჩენდნენ მათ მიმართ
სხვადასხვა წვრილმანებში! რა უბედური ვიქნებოდით ამ შემთხვე-
ვებში ჩვენც! დიდი სამსახური – ეს თითქო ოქროს ან ვერცხლის
მსხვილი ფულია, რომელსაც იშვიათად ვხმარობთ; მაგრამ წვრილმან
საქმეებში ყურადღების გამოჩენა – ეს მუდმივ ხმარებაში მყოფი ხურდა
ფულია.

ჩვენი ბრმა საუცხოოდ ერკვევა სიმეტრიის საკითხებში. სიმეტ-
რია, რომელსაც შეიძლება ჩვენთვის წმინდა პირობითი მნიშვნელობა

ჰქონდეს, უსათოოდ ასეთივეა ბევრი მხრით ბრმისა და თვალხილუ-
ლისათვისაც. ბრმა, რომელიც შეხების საშუალებით სწავლობს ნაწი-

ლების განლაგებას იმ მთელისას, რომელსაც ჩვენ ლამაზს ვუწოდებთ, თანდათან ეჩვევა ამ ტერმინის სწორ შეფარდებას მაგრამ, როდესაც ის ამბობს: ე ს ლ ა მ ა ზ ი ა ო, ამით ის თვით კი არ მსჯელობს, არამედ მხოლოდ თვალხილულთა მსჯელობას გადმოგვცემს... მაგრამ, განა ასევე არ იქცევა სამი მეოთხედი იმათგანი, რომლებიც თავიანთ შეხედულებას გამოთქვამენ ამათუიმ, მათ მიერ ნახულ, თეატრალურ პიესაზე, ან წაკითხულ წიგნზე? ბრმისათვის, სილამაზე, თუ ის განყენებულია სარგებლობიდან, ცარიელი სიტყვაა; და ვინაიდან მას გრძნობათა ორგანოების რიცხვი ერთით ნაკლები აქვს, რამდენი საგნის სარგებლობაა მისთვის მიუწდომელი! ნუთუ შებრალების ღირსი არ არიან ბრმები, რომ ისინი ლამაზად თვლიან მხოლოდ იმას, რაც მხოლოდ კარგია? რამდენი საუცხოო საგანია მათთვის სრულებით დაკარგული! მხოლოდ ერთს საკითხს შეუძლია აუნაზღაუროს მათ დანაკარგი, სახელდობრ, იმას, რომ, თუ ისე სრულიად არა აქვთ განვითარებული მათ სილამაზის იდეები, სამაგიეროდ ამ იდეებში ისინი უფრო გარკვეულნი არიან, ვიდრე თვალხილული ფილოსოფოსები, ძალიან ვრცლად რომ განმარტავენ მას.

ჩვენი ბრმა ყოველ წუთს ლაპარაკობს სარკის შესახებ. თქვენ, რასაკვირველია, გესმით, რომ მან არ იცის, საკუთრივ, რას ნიშნავს სიტყვა – სარკე; მიუხედავად ამისა, ის არასოდეს სარკეს სინათლის პირდაპირ არ დადგამს. ის მსჯელობს ისევე გონივრულად, როგორც ჩვენ, იმ ორგანოს ღირსება-ნაკლოვანებაზე, რომელიც მას არა აქვს: თუ ნახმარ სიტყვებს ის არავითარ წარმოდგენას არ უკავშირებს, სამაგიეროდ მას ადამიანთა უმრავლესობასთან შედარებით ის უპირატესობა მაინც აქვს, რომ არასოდეს სიტყვებს უალაგოდ არ ამბობს. ის იმდენად სწორად და საღად მსჯელობს უამრავ, მისთვის სრულებით უცნობ საგნებზე, რომ მასთან ურთიერთობა დიდად უკარგავს ძალას იმ დასკვნას, რომელსაც ჩვენ ყველანი, არ ვიცით რატომ, ვაკეთებთ იქედან, რაც ჩვენში ხდება, იმისაკენ, რაც სხვებში ხდება.

მე შევეკითხე, თუ რა გაგებას აძლევს ის სიტყვა – სარკეს. „ხელსაწყო,– მიპასუხა მან, – რომელიც რელიეფს აძლევს საგნებს, მათგან დაშორებულს, თუ ისინი ამ ხელსაწყოს მიმართ სათანადოდ განლაგებულნი არიან. ეს ისეა როგორც ჩემი ხელი, რომლის დადება არაა საჭირო რომელიმე საგნის გვერდით, რომ მე ის საგანი ვიგრძნო“. თუ დეკარტი, ბრმათშობილი ყოფილიყო, მე მგონია, უნდა აღტაცებულიყო ასეთი განსაზღვრით. მართლაც და დაუკვირდით, გეთაყვა, თუ როგორი სიმახვილით უნდა შეეკოწიწებია მას ზოგიერთი იდეები,

რომ ასეთი განსაზღვრა მიეღო. ჩვენი ბრმა იცნობს საგნებს მარტო შეხების საშუალებით. სხვების სიტყვებიდან იცის მან, რომ მხედველობის შემწეობით შეიძლება იცოდე საგნები ისე, როგორც მან იცის ისინი შეხების შემწეობით; ყოველ შემთხვევაში მხედველობაზე მარტო ასეთი წარმოდგენის შედგენა შეუძლია მას. მან იცის, აგრეთვე, რომ

საკუთარი სახის დანახვა შეუძლებელია, თუმცა მისი შეხება შეიძლება. აქედან მან უნდა დაასკვნას, რომ მხედველობა ეს შეხების განსაკუთრებული სახეა, რომელიც ვრცელდება ჩვენი სახიდან განსხვავებულ და ჩვენზე დაშორებულ საგნებზე. ამასთანავე, შეხება მას აძლევს წარმოდგენას მხოლოდ რელიეფზე. მაშასადამეო, გვეტყვის ის, სარკე – ისეთი ხელსაწყოა, რომელიც ჩვენ რელიეფურად გვხდის თვით ჩვენს გარეშე. რამდენი სახელოვანი ფილოსოფოსია, რომელთაც უფრო ნაკლები აზრის სიმახვილე გამოუჩენიათ და ასეთივე მცდარ გაგებამდე მისულან! მაგრამ რა განსაკუთრებული რამ უნდა იყოს სარკე ჩვენი ბრმისათვის! რა რიგ უნდა ემატა მის გაოცებას, როდესაც ჩვენ მას ვაცნობეთ, რომ არსებობენ იმგვარი ხელსაწყოები, რომლებიც ადიდებენ საგნებს; რომ არსებობენ სხვა ხელსაწყოებიც, რომლებსაც საგნების გაუორებლად ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვთ ისინი, აახლოებენ, აშორებენ, დასანახს ხდიან მათ, ხსნიან ნატურალისტების თვალთ წინაშე ამ საგნების სულ მცირეოდენ შემადგენელ ნაწილებს; რომ არიან ისეთი ხელსაწყოებიც, რომლებიც ათასჯერ ადიდებენ საგნებს, რომ, დასასრულ არიან ისეთიც, რომლებიც თითქო ამახინჯებენ კიდეც მათ. ასეული უცნაური კითხვა მოგვცა მან ჩვენ ამ მოვლენაზე. მან გვკითხა, მაგალითად, თუ მარტო იმათ, ვისაც ნატურალისტებს უწოდებენ შეუძლიათ მიკროსკოპით დანახვა და თუ მარტო ასტრონომებს შეუძლიათ შეხედვა ტელესკოპის საშუალებით; ხელსაწყო, რომელიც ადიდებს საგნებს, უფრო დიდია თუ ის, რომელიც მათ ამცირებს, თუ ის, რომელიც მათ აახლოებს უფრო მოკლეა, ვიდრე ის, რომელიც მათ აშორებსო; და ვერ გაიგო რა, რატომ არ ხერხდება შეხება იმ მეორე მე-სი რომელსაც, მისი აზრით, სარკე რელიეფით იმეორებს, მან თქვა: „აი ორი გრძნობა, რომელთაც პატარა ხელსაწყო აიძულებს ერთმანეთს ეწინააღმდეგონ. უფრო სრულყოფილი ხელსაწყო, შეიძლება, შეათანხმებდა მათ თუმცა საგნები ამით უფრო რეალური არ გახდებოდნენ; მაგრამ შეიძლება მესამე კიდე უფრო სრულყოფილ და ნაკლებ მუხანათ ხელსაწყოს აეძულებია ისინი სრულიად გამქრალიყვნენ და წინასწარ ემცნო ჩვენთვის ჩვენივე შეცდომა“.

რას წარმოადგენენ, თქვენის აზრით, თვალები? შეეკითხა მას ბატონი დე... „ეს, უპასუხა მას ბრმამ, ისეთი ორგანოა, რომელზე-

დაც ჰაერი იმგვარადვე მოქმედობს, როგორც ჩემი ჯოხი ჩემს ხელზე“. ამ პასუხმა ჩვენ გაგვანცვიფრა, და იმ დროს, როდესაც ჩვენ გაოცებით ერთმანეთს უყურებდით, ის განაგრძობდა: „ეს იმდენად სწორია, რომ, თუ მე ჩემი ხელი თქვენს თვალებსა და რომელიმე საგნის შუა მოვათავსე, ჩემი ხელი იარსებებს თქვენთვის, მაგრამ საგანი არ იარსებებს. იგივე მემართება მე, როდესაც ვეძებ ჩემი ჯოხით რაიმე საგანს და მის მაგიერ სხვა საგანს წავაწყდები".

ქალბატონო, გადაშალეთ დეკარტის დიოპტრიკა და თქვენ დაი-

ნახავთ, რომ იქ მხედველობის მოვლენები შეხების მოვლენებამდეა
დაყვანილი, და თქვენ იქ შეხვდებით ოპტიკურ ცხრილებს, რომლებ-
ზედაც დახატულია ადამიანები, რომელნიც ჯოხებით სცდილობენ
შეხედვას. დეკარტმა და მისმა ყველა მომდევნოებმა ვერ მოგვცეს
უფრო ნათელი წარმოდგენა მხედველობაზე) და ჩვენი ბრმის წინაშე
ამ დიდ ფილოსოფოსს მეტი უპირატესობა არ ჰქონია, ვიდრე თვალ-
ხილულ ხალხს.

არცერთ ჩვენგანს არ მოუვიდა აზად ეკითხა მისთვის მხატვრო-
ბაზე და წერაზე. მაგრამ, ცხადია, არ არის ისეთი კითხვა, რომელ-
ზედაც მას დამაკმაყოფილებელი შედარების მოცემა არ შესძლე-
ბოდა; უეჭველია, ჩვენ ის გვიპასუხებდა, რომ უთვალოდ შეხედვის
ან წაკითხვის ცდა იგივეა, რაც მსხვილი ჯოხის საშუალებით ქინძის-
თავის ძებნა. ჩვენ ვუამბეთ მას მხოლოდ ისეთი სახის პერსპექტივაზე,
რომელიც რელიეფობას აძლევს საგნებს და რომელსაც ერთსადაიმავე
დროს ამდენი მსგავსება და განსხვავება აქვს სარკესთან; და ჩვენ შევ-
ნიშნეთ, რომ ეს იმდენადვე ეხმარებოდა, რამდენადაც ხელს უშლიდა
მის მიერ შექმნილ წარმოდგენას სარკეზე და რომ ის მზად იყო ეფი-
ქრა, რომ, ვინაიდან სარკე ხატავს, ასევე მხატვარიც საგნების და-
ხატვის მიზნით შეიძლება სარკეს ხატავს.

ჩვენ ვნახეთ, რომ მას შეეძლო ძაფის გაყრა ძლიერ წვრილ
ნემსში. არ შეიძლება გთხოვოთ, ქალბატონო, დროებით შესწყვი-
ტოთ აქ წერილის კითხვა და შეეცადოთ იმის მოფიქრებას, თუ რო-
გორ მოიქცეოდით თქვენ მის ადგილზე? ყოველ შემთხვევისათვის,
თუ თქვენ ვერ მონახავთ ვერავითარ შესაფერ საშუალებას, მე აგიხ-
სნით თუ რა საშუალებას მიმართავს აქ ჩვენი ბრმა. ის აიღებს ნემსს
და ჩაიდებს ტუჩებს შუა, გარდი-გარდმო, მაგრამ ისე, რომ ნემ-
სის ყუნწი პირში იქნეს მოთავსებული; შემდეგ ენის და შეწოვის
საშუალებით ის მიიზიდავს ძაფს, რომელიც მის სუნთქვას გაყვება
თუ ზედმეტად მსხვილი არაა ნემსის ყურწისთვის; მაგრამ ამ შემთხვე-
ვაში არც თვალხილულია ბრმასთან შედარებით უკეთეს მდგომა-
რეობაში.

გასაოცრად განვითარებული აქვს ამ ბრმას მეხსიერება ხმებზე;
ჩვენთვის სახეები იმდენ მრავალფეროვნობას არ წარმოადგენენ რო-
გორც მისთვის ხმები. ის არჩევს ხმებში დაუსრულებელ სიმრავლეს
უმცირესი ნიუანსებისას, რომლებიც ჩვენთვის შეუმჩნეველნი რჩებიან,
რადგან მათი გათვალისწინება ჩვენთვის ისეთ საჭიროებას არ წარმო-
ადგენს, როგორც მისთვის. ჩვენთვის ხმის ამ ელფერების მნიშვნელობის
შესახებ შეიძლება იგივე ითქვას, რაც ჩვენი საკუთარი სახის შესახებ.
ყველა ჩვენს მიერ ნახული ადამიანებიდან, ყველაზე უფრო ცუდად
ჩვენი საკუთარი თავი გვახსოვს. ჩვენ შევისწავლით სახეებს მხოლოდ
იმიტომ, რომ ხალხი ვიცნოთ; და თუ ჩვენი საკუთარი სახე არ რჩება
ჩვენს მეხსიერებაში, ეს მარტო იმ მიზეზით, რომ არასოდეს ჩვენ არ

შეგვმთხვევია საშიშროება ჩვენი თავი სხვა ვინმედ მიგვეღო, ან სხვა ვინმე ჩვენს საკუთარ თავად. გარდა ამისა, დახმარება, რომელსაც ჩვენი გრძნობები უწევენ ერთიმეორეს, ხელს უშლიან ამავე გრძნობების განვითარების დასრულებას. ამას მე კიდევ არაერთხელ გავიმეორებ.

ჩვენმა ბრმამ გვითხრა ამის შესახებ, რომ, ჩვენს უპირატესობებს მოკლებული, ის ჩავარდებოდა ცდუნებაში და მზად იქნებოდა ვეცვნეთ ჩვენ უმაღლეს ქმნილებად, რომ ასჯერ არ დარწმუნებულიყო იმაში, თუ სხვა მხრივ რამდენად ჩამოვრჩებით ჩვენ მას. ამ შენიშვნამ ჩვენ მეორე აზრამდე მიგვიყვანა. ეს ბრმა, ვთქვით ჩვენ, იმავე დონეზე და შეიძლება უფრო მაღლაც აყენებს თავის თავს, ვიდრე ჩვენ, თვალხილულნი. მაშ რატომ არ შეუძლიან ცხოველს, – თუ მას მსჯელობის უნარი აქვს, რაც უდავოა, – აწონდაწონოს თავისი ის უპირატესობანი ადამიანების მიმართ, რომლებიც მან უკეთ იცის, ვიდრე ადამიანის უპარატესობანი მის მიმართ და ასეთსავე მსჯელობას დაადგეს? ადამიანს აქვს ხელები იტყვის, შესაძლებელია, ბუზი; მაგრამ მე მაქვს ფრთები. თუ მას იარაღი აქვს, – იტყვის ლომი, – განა ჩვენ ბრჭყალები არა გვაქვს? სპილოს ჩვენ ვეჩვენებით მწერებად; და ყველა ცხოველები, სიამოვნებით დაგვითმობენ რა გონიერებას, რომლის ქონა ჩვენ არ გვანთავისუფლებს მათი ინსტიქტის საჭიროებისაგან, დაიწყებდნენ ქებას თავიანთი ინსტინქტებისას, რომლებიც მშვენიერ საშუალებას აძლევენ მათ ჩვენი გონიერების დაუხმარებლადაც იოლად წავიდნენ. ჩვენ ისეთი ძლიერი მიდრეკილება გვაქვს საკუთარი ნაკლულოვანებების შეუფასებლობისა და ღირსების გადაფასებისა, რომ იფიქრებთ, – ტრაქტატები ძლიერებაზე ადამიანმა უნდა წეროს, ხოლო გონიერებაზე კი – ცხოველებმა.

რომელიღაც ჩვენგანმა კითხა ჩვენს ბრმას, კმაყოფილი იქნებოდა ის თუ არა, თვალები რომ ჰქონოდა. „მე რომ ცნობისმოყვარეობა არ მძლევდეს, ვამჯობინებდი გრძელი ხელები მქონოდა; მე მგონია,

რომ ჩემი ხელები უკეთ მიამბობდენ მე იმას, რაც მთვარეზე ხდება, ვიდრე თქვენი თვალები ან თქვენი ტელესკოპები; გარდა ამისა, თვალებს უფრო ადრე ეკარგება მხედველობა, ვიდრე ხელებს შეხების უნარი. ამიტომ, უკეთესი იქნებოდა, ჩემი დანაკლისი ორგანოების მაგიერ გაეუმჯობესებიათ ის ორგანო, რომელიც უქვე მაქვს“.

ადამიანის ხმა და საზოგადოდ ყოველი ხმაურობა ისეთ სწორ გამოძახილს პოულობს ჩვენს ბრმაში, რომ ვარჯიშს ამ მიმართულებით, უეჭველია, შეეძლო მეტად დაეხელოვნებია და სახიფათო ადამიანებად გაეხადა ბრმები. მე თქვენ გიამბობთ ამის შესახებ ერთს შემთხვევას ჩვენი ბრმის ცხოვრებედან, რომელიც თქვენ დაგარწმუნებთ, რომ საკმაო უგუნურება იქნებოდა მათ მიერ ნასროლი ქვის მშვიდი მოლოდინი, ან მათი დამბაჩისათვის მკერდის მიშვერა, თუ მათ ამ იარაღის ხმარება ეცოდინებოდათ. ერთხელ ახალგაზრდობაში მას ჩხუბი მოუვიდა ერთერთ თავის ძმასთან და ეს ჩხუბი სა-

ვალალოდ დამთავრდა უკანასკნელისათვის. გულმოსულმა, რაღაც არასასიამოვნო შენიშვნების გამო, მან წამოავლო ხელი პირველსავე საგანს, ესროლა იგი ძმას, მოარტყა შუბლში და წააქცია.

ამ ისტორიისა და რამდენიმე ასეთივე შემთხვევათა შემდეგ, ის პოლიციის სასამართლოში გაიწვიეს. ძალაუფლების გარეგანი ნიშნები, ასეთნაირად რომ მოქმედობენ ჩვენზე, არავითარ გავლენას არ ახდენენ ბრმებზე. ჩვენი ბრმა გამოცხადდა პოლიციის მოხელესთან, როგორც ვინმე თავის ტოლთან. მუქარამ ვერ შეაშინა იგი. „რა შეგიძლიათ თქვენ რომ მიქნათ“? უთხრა მან ბატონ ჰეროს.[80] – „მე თქვენ ციხის ბნელ ორმოში ჩაგაგდეთ, უპასუხა მას მოხელემ. – „ეჰ ბატონო, – შეესიტყვა მას ბრმა, – ოცდახუთი წელიწადია, რაც მე იქ ვზივარ“. როგორი პასუხია, ქალბატონო! და რა ტექსტია იმ ადამიანისათვის, რომელსაც ჩემსავით მორალზე საუბარი უყვარს! ჩვენ ვემშვიდობებით სიცოცხლეს, როგორც მომაჯადოებელ სანახაობას; ბრმა კი სტოვებს მას როგორც ბნელ საკანს. თუ ჩვენ ცხოვრება მეტს გვსიამოვნებს, ვიდრე მას, სამაგიეროდ, დამეთანხმეთ, სიკვდილის დროს მას გაცილებით ნაკლებ წყდება გული.

ბრმა პუიზოდან მსჯელობს ცეცხლის სიახლოვეზე სითბოს ძლიერების მიხედვით; ჭურჭლების სისავსეზე, – იმ ხმაურის შემწეობით, რომელსაც გამოსცემენ დაცემის დროს მის მიერ გადასხმული სითხეები, და სხეულთა სიახლოეზე – მის სახეზე ჰაერის მოქმედების მიხედვეთ. ის ისეთი მგრძნობიარეა ჰაერის სულ ცოტაოდენი ცვლილებების მიმართ, რომ შეუძლია ქუჩა გაარჩიოს ჩიხიდან. ის გასაკვირველი სიზუსტით განსაზღვრავს სხეულთა წონას და ჭურჭლის ტევადობას; და თავის ხელებიდან მან ისეთი უტყუარი სასწორი

გაიკეთა და თავის თითებიდან კი – ისეთი მოხდენილი კომპასი, რომ ყველგან, სადაც ამგვარი სტატია გამოიყენება, მე მზად ვარ ჩვენი ბრმის მხარეზე დავსდო სანაძლეო ოცი თვალხილულის წინააღმდეგ. მისთვის სხეულთა ზედაპირი ელფერთა არანაკლებ რაოდენობას შეიცავს, ვიდრე ხმის ბგერა, და, თქვენ ნუ შიშობთ,რომ მან სხვა ქალი თავის ცოლად მიიჩნიოს, თუ, რასაკვირველია, ამ შეცდომით მოგეზაში ის არ დარჩა. ადვილი დასაშვებია ისიც, რომ ბრმებიდან შემდგარი საზოგადოებას ცოლები საერთო მფლობელობაში ეყოლოს, მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ მათი კანონები მრუშობის წინააღმდეგ ძლიერ სასტიკი იქნენ. ქალებს იქ ისე ადვილად შეეძლებოდათ ქმრების მოტყუება, საყვარელთან შეთანხმებული რაიმე ნიშნების წყალობით!

სილამაზეზე ჩვენი ბრმა შეხების მეშვეობით მსჯელობს. ეს გასაგებია. მაგრამ არც ისე ადვილი გასაგებია ის, რომ სილამაზეზე მსჯელობაში მას გამოთქმა და ხმის ბგერა შეაქვს. ანატომების საქმეა აგვიხსნან, არის თუ არა რაიმე კავშირი ტუჩების და სახის ნაწილებსა და სასის გარეგან ფორმას შორის. ის აკეთებს წვრილმან

სახარატო და სამკერვალო სამუშაოებს; ის ანიველირებს კუთხვარის შემწეობით; ის შლის და კრებს ჩვეულებრივ მექანიზმებს; მან იცის მუსიკა იმდენად, რომ შეუძლია შეასრულოს რომელიმე ნაწყვეტი თუ სათანადო ნოტებს და მათ ხანგრძლივობას შეატყობინებთ. ის ჩვენზე გაცილებით უფრო ზუსტად საზღვრავს დროის ხანგრძლივობას, აზრთა და მოქმედებათა ცვლას – მიმდინარეობის მიხედვითა ის ძლიერ აფასებს სხვა ადამიანებში კანის სილამაზეს, სხეულის სიმკვრივესა და სისრულეს, ტანის კარგ მოყვანილობას, სუნთქვის სინაზეს, ხმისა და გამოთქმის მომხიბლაობას.

მან ცოლი შეირთო, რომ საკუთარი თვალები ჰქონოდა. წინათ მას აზრად ჰქონდა ერთ ყრუს დაკავშირებოდა, რომ თავისი ყურების საბადლოდ ყრუს თვალები მიეღო. არაფერს მე ისე არ გაუკვირვებივარ, როგორც მის გასაოცარ დახელოვნებას უამრავ სხვადასხვა საგნების კეთებაში; და როდესაც ჩვენ გამოვთქვით მასთან ჩვენი გაოცება, მან სთქვა: „მე ვატყობ, ბატონებო რომ თქვენ ბრმები არა ხართ. თქვენ გაკვირვებთ ის, რასაც მე ვაკეთებ; მაგრამ რატომ არ გაკვირვებთ აგრეთვე ისიც, რასაც მე ვლაპარაკობ? „ამ პასუხში, ჩემის აზრით, მეტი ფილოსოფიაა, ვიდრე ის თვითონ გულისხმობდა. საოცარია ის სიადვილე, რომლითაც ჩვენ ლაპარაკს ვსწავლობთ. ჩვენ ვეჩვევით ცნობილი იდეების დაკავშირებას უამრავ ისეთ სიტყვებთან, რომლებიც არ შეიძლება წარმოდგენილი იქნან საგრძნობო საგნებით და, ასე ვთქვათ, უსხეულო არიან; ეს ხდება მხოლოდ იმ

ანალოგიათა ღრმა და ფაქიზი კომბინაციების წყალობით, რომელთაც ჩვენ ვამჩნევთ ამ უგრძნობ საგნებსა და მათ მიერ გამოწვეულ იდეებს შორის; აქედან მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ბრმად დაბადებულისათვის უფრო ძნელია ლაპარაკის შესწავლა, ვიდრე სხვისთვის, რადგან უგრძნობი ობიექტების რიცხვი მას მეტი აქვს, ვიდრე ჩვენ, შედარებების და კომბინირების არე კი მას ნაკლები აქვს. მაგალითად, როგორ უნდა ჩაიბეჭდოს მის მეხსიერებაში სიტყვა ფიზიონომია. ეს ერთგვარი გარეგანი მიმზიდველობა ბრისათვის ისე ნაკლებად მგრძნობიარე ობიექტებიდან შესდგება, რომ, ვინაიდან ჩვენთვისაც კი – თვალხილულებისათვის – საკმარისად გაუგებარია, ჩვენ ლიერ გაგვიკვირდებოდა ზუსტად თქმა, თუ რას ნიშნავს, მართლა ფიზიონომიის ქონა. თუ ფიზიონომია უმთავრესად თვალებში გამოიხატება, შეხება აქ არაფერს უშველის; რას ნიშნავს ბრმისათვის მკვდარი თვალები, ცოცხალი თვალები, ჭკვიანი თვალები და სხვა?

აქედან მე გამომყავს ის დასკვნა, რომ ჩვენ, უეჭველია, განუზომელ მომსახურეობას ვღებულობთ ჩვენი გრძნობებისა და ორგანოების თანამშრომლობიდან. მაგრამ სულ სხვა იქნებოდა, ჩვენ რომ თითოეული მათგანით ცალკე გვესარგებლა და არასოდეს არ მოგვეხმარა ორი ორგანო იმ შემთხვევებში, სადაც ერთის მოხმარება საკმარისი იქნებოდა. მხედველობისათვის შეხების მიმატება, როდესაც

სამყოფია თვალებით სარგებლობა, ეს იგივეა, რომ ორი, ისედაც
გიჟი ცხენის წინ შეაბათ მესამე, რომელიც ერთი მხრისაკენ გასწევს,
იმდროს როდესაც დანარჩენი ორი, – მეორე მხარისაკენ ეწევა.

რადგან არასოდეს ეჭვი არ შემპარვია, რომ ჩვენი ორგანოე-
ბისა და გრძნობების მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენს ჩვენს მეტა-
ფიზიკაზე და ზნეობაზე და რომ ჩვენი უაღრესად ინტელექტუალური,
თუ მე ასეთ გამოთქმაც მაპატიებთ, იდეები მტკიცედ არიან დაკავ-
შირებული ჩვენი სხეულის აგებულებასთან, – მე დაუწყე ჩვენს ბრმას
კითხვების მიცემა ბ ი წ ი ე რ ე ბ ა თ ა და ს ა თ ნ ო ე ბ ა თ ა შესახებ;
მე ჯერ შევნიშნე, რომ საშინლად ეზიზღება მას ქურდობა; ეს ზიზღი
ორი მიზეზით იყო გამოწვეული. სიადვილე, რომლითაც მისი გაქურდვა,
მის შეუმჩნევლად შესაძლებელი იყო და, ალბათ, უფრო მეტად, იმ
სიადვილისაგან, რომლითაც თვით მისი ქურდობა, ემჩნეოდა. ეს არ
ნიშნავს, რომ მას არ შეეძლოს მშვენივრად დაიფაროს თავი იმ გრძნო-
ბიდან, რომელიც ჩვენთვის უფრო ცნობილია, ვინემ მისთვის და რომ
მან არ იცოდეს, როგორ დაფაროს ქურდობის გზა-კვალი. ის დიდ
ყურადღებას არ აქცევს მორცხვობას. თუ არა ამინდის გავლენები,
რომლებიდანაც მას ტანსაცმელი იცავს, მისთვის გაუგებარი იქნე-
ბოდა ამ უკანასკნელის დანიშნულება, და ის აშკარად აღიარებს,

რომ არ ესმის, რატომ სხეულის ერთ ნაწილს უფრო იფარავენ,
ვიდრე მეორეს და კიდევ უფრო ნაკლებ ესმის უცნაური უპირატე-
სობა, მიკუთვნებული სხეულის ზოგიერთ ისეთ ნაწილებისადმი, რომ-
ლებსაც სწორედ განსაკუთრებულად ესაჭიროებათ დაუფარაობა მათი
ფუნქციების თავისებურების გამო და იმ ავადმყოფობის მიზეზით,
რომელიც მათ ხშირად ემართებათ. ჩვენ თუმცა ისეთ საუკუნეში
ვცხოვრობთ, როდესაც ფილოსოფიურმა სულმა ბევრ ცრუმორწმუ-
ნეობიდან გაგვანთავისუფლა, მე მაინც მეეჭვება, რომ ოდესმე ისე
სრულად, როგორც ჩვენმა ბრმამ, უარყოფილ იქნას სირცხვილის
უპირატესობანი. მისთვის დიოგენიც კი ფილოსოფოსი არ იქნებოდა.

ვინაიდან, გრძნობათა ყოველგვარ გარეგან გამომჟღავნებათაგან,
რომელნიც თანაგრძნობასა და ტკივილის წარმოდგენას იწვევენ
ჩვენში, ბრმაზე მხოლო ჩივილი მოქმედობს, მე ეჭვი მეპარება, რომ
საზოგადოდ ისინი ადამიანობას მოკლებულნი არიან. რა განსხვავებაა
ბრმისათვის იმ ორ კაცს შორის, რომლიდანაც ერთი შარდავს, მეო-
რე კი სისხლს ღვრის უხმოდ და უჩივლელად? განა ჩვენში კი არ
ისპობა თანაგრძნობის განცდა, როდესაც მანძილი ან საგნების სიპა-
ტარავე ისეთივე გავლენას ახდენს ჩვენზე, როგორც ბრმებზე მხედვე-
ლობის უქონლობა? აი, რამდენად ჩვენი სიკეთენი დამოკიდებულნი
არიან იმაზე, თუ როგორ შევიგრძნობთ და თუ როგორის ძლიერებით
მოქმედობენ ჩვენზე გარეშე საგნები! ამიტომ, დასჯის შიში რომ არ
ქონებოდა მე ეჭვი არ მეპარება, რომ მრავალი ადამიანი შესძლებდა
კაცის მოკვლას იმ მანძილზე, რომელზედაც მას იგი მერცხლის ტოლა

მოეჩვენებოდა, როგორც საკუთარი ხელით ხარის დაკვლა. განა იმავე პრინციპით არ ვხელმძღვანელობთ ჩვენ, როდესაც თანაგრძნობას განვიცდით მომაკვდავი ცხენისადმი და სინდისის სრულებით უქენ-ჯნელად ვჭყლეტთ ჭიანჭველას? ოჰ, ქალბატონო, რამდენად განსხვავ-დება ბრმების ზნეობა ჩვენი ზნეობისაგან! რამდენად უნდა განსხვავ-დებოდეს ყრუს მორალი ბრმის მორალიდან და რა რიგ უსრული, – რომ რაიმე უფრო ცუდი არა ვთქვა, – მოეჩვენებოდა ჩვენი ზნეო-ბა იმ არსებას, რომელსაც ჩვენთან შედარებით ზედმეტი გრძნობა ექნებოდა?

არც ჩვენი მეტაფიზიკაა უკეთ შეთანხმებული ბრმის მეტაფიზი-კასთან. რამდენი ასეთი პრინციპი აქვთ მათ, რომელნიც, ჩვენის აზრით, სისულელეა და პირიქით (ე. ი. რამდენი ისეთი პრინციპი გვაქვს ჩვენ, რომელიც ბრმას სისულელედ მიაჩნია!). მე შემეძლო აქ მომეყვანა ზოგი წვრილმანი ფაქტი, რომლებიც თქვენ, უეჭველია, გაგარ-თობდათ, მაგრამ ამავე დროს საშუალებას მისცემდა ზოგიერთ ისეთ ადამიანებს, ყველგან რომ დანაშაულობას ეძებენ, ურწმუნოება

დაებრალებიათ ჩემთვის; თითქო ჩემზე იყოს დამოკიდებული, ვაი-ძულო ბრმებს – ისე არ უმზირონ საგნებს, როგორც უმზერენ. მე დავ-კმაყოფილდები ერთი დაკვირვებით, რომელსაც, ვფიქრობ ყველა დაეთანხმება; სახელდობრ, რომ დიადი მტკიცება, აღებული ბუნების სასწაულებიდან, ძლიერ სუსტია ბრმებისათვის. ის სიადვილე, რომ-ლითაც, ასე ვთქვათ, ჩვენ ახალ საგნებს ვქმნით პატარა სარკის დახმარებით, გაცილებით უფრო მიუწვდომელად მიაჩნიათ მათ, ვიდრე ცის მნათობები, რომელთაც ისინი ვერასოდეს ვერ შე-ხედავდნენ. ეს ცეცხლოვანი ბურთი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიგორავს, ნაკლებ აოცებს მათ, ვიდრე პატარა ცეცხლი, რომელიც მათ შეუძლიათ შეამცირონ ან გააძლიერონ; ვი-ნაიდან ისინი მატერიას უფრო განყენებულად უყურებენ, ვიდრე ჩვენ, მათთვის უფრო ადვილია იმის დაშვება, რომ მატერია აზროვნობს.

რომელიმე ისეთი ადამიანი, რომელსაც უსარგებლნია მხედვე-ლობით მხოლოდ ერთი-ორი დღის განმავლობაში, რომ მოხვედრი-ლიყო ბრმების საზოგადოებაში, ის იძულებული იქნებოდა გაჩუმე-ბულიყო, თორემ შეშლილად ჩათვლიდნენ. ის ყოველდღე გამოუცხა-დებდა მათ ახალახალ სასწაულს, რომელიც მარტო მათთვის იქნე-ბოდა სასწაული და რომელსაც არ დაიჯერებდნენ მათივე თავისუფ-ლად მოაზროვნენი. არ შეეძლოთ რელიგიის დამცველებს თავის სა-სარგებლო საბუთები ამოეღოთ ასეთ გაჯიუტებულ, ზოგ მხრივ სა-მართლიან და მაინც მცირედ დასაბუთებულ, ურწმუნოებიდან? თუ ერთი წუთით მიიღებთ ამ აზრს, თქვენ მან უნდა მოგაგონოთ სხვა სახით ი ს ტ ო რ ი ა ი მ ა დ ა მ ი ა ნ თ ა რ ბ ე ვ ი ს ა, რომელთაც საუ-ბედუროდ მათდა, ჭეშმარიტებას მიაგნეს შავბნელი უვიცობის საუ-კუნოებში და გაუფრთხილებლად ამცნეს ეს ჭეშმარიტება თავიანთ

ბრმა თანამედროვეებს, რომელთა შორის ყველაზე უფრო გააფთრე-
ბულ მტრებად მათ მოევლინენ ისინი, ვინც თვისი მდგომარეობით
და აღზრდით ყველაზე ახლოს უნდა მდგარიყო მათს შეხედულე-
ბებთან.

მე ახლა გვერდზე გადავდებ ბრმების მორალსა და მეტაფიზი-
კას და გადავალ კითხვებზე, რომელთაც ნაკლები მნიშვნელობა აქვთ,
მაგრამ უფრო ახლო დგანან იმ ცდადაკვირვებების ამოცანასთან, რო-
მელთაც განუწყვეტლივ და ყოველმხრივ აწარმოებენ აქ პრუსიელის
ჩამოსვლის შემდეგ. პირველი კითხვა: რანაირად ჰქმნის ბრმად
დაბადებული თავის წარმოდგენას ფიგურებზე? მე ვფიქრობ, რომ
მიმართულებაზე წარმოდგენას მას აძლევს მისი სხეულის მოძრაობანი,
მისი ხელის თანამიმდევრობით ყოფნა სხვადასხვა ადგილზე, განუ-
წყეტელი შეგრძნობა სხეულის, რომელსაც ის თითებით არჩევს. რო-

დესაც ის თითს უსობს კარგად გაჭიმულ ძაფზე, ის სწორი ხაზის
წარმოდგენას ღებულობს; თუ ის მიჰყვება სუსტად გაჭიმული ძაფის
ხვეულებს, წარმოდგენას ღებულობს მრუდ ხაზზე. საზოგადოდ კი,
შეხების განმეორებითი ცდების წყალობით, მას რჩება მოგონება იმ
შეგრძნებებზე, რომელიც მან განიცადა სხვადასხვა წერტილებში.
მასზეა დამოკიდებული ამ შეგრძნობების ან წერტილების კომბინი-
რება და იმათგან ფიგურების შექმნა სწორი ხაზი იმ ბრმისათვის,
რომელიც გეომეტრი არ არის, სხვა არაფერია, თუ არა მოგონება
შეხების შეგრძნებათა თანამიმდევრობისა დაჭიმული ძაფის მიმართუ-
ლებით; მრუდი ხაია, – მოგონებაა შეხების იმ შეგრძნებათა თანა-
მიმდევრობისა, რომელიც გადატანილია რომელიმე ამოზნექილ ან
ჩაზნექილ მკვრივ სხეულზე. შესწავლა ასწორებს გეომეტრიის წარმო-
დგენას ამ ხაზების შესახებ, მათი თვისებების აღმოჩენით. მაგრამ
ბრმადშობილს, გეომეტრიის მცოდნე იქნება იგი თუ არა, ყვე-
ლაფერი თავისი თითების ბოლოებზე გადააქვს. ჩვენ ვაკომბინი-
რებთ შეღებილ წერტილებს; ის კი აკომბინირებს მხოლოდ შეხების
წერტილებს, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მის მეხსიერებაში შე-
ნახული შეხების შეგრძნობებს. მის თავში არაფერი ხდება მსგავსი
იმისა, რაც ჩვენს თავში ხდება. ის არ წარმოიდგენს, რადგან წარმო-
დგენისთვის საჭიროა გააფერადო ფონი და გამოჰყო ამ ფონზე უკა-
ნასკნელიდან გ ა ნ მ ა ს ხ ვ ა ვ ე ბ ე ლ ი ფერის წერტილები. მიეცით
ისეთივე ფერი ამ წერტილებს, როგორიც ფონს აქვს; მაშინვე
ისინი შეერევიან მას და ფიგურა გაჰქრება; ყოველ შემთხვევაში ჩემს
წარმოდგენაში ეს ასე ხდება; და მე ვვარაუდობ, რომ ალბათ ამ-
გვარადვე წარმოიდგენენ სხვებიც. ამიტომ, როდესაც მე მსურს და-
ვინახო ჩემს თავში სწორი ხაზი, მის თვისებათა დამოუკიდებლივ, მე
ვიწყებ მის უკან თეთრი ცილის დაფენით და გამოვყოფ ზედ შავი
წერტილების წყებას, ერთ და იმავე მიმართულებით დალაგებულს.
რამდენადაც მეტია ფერების კონტრასტი ფონსა და წერტილებს

შორის, იმდენად უფრო გამოკვეთილად და მკაფიოდ ვამჩნევ მე
წერტილებს, და ჩემთვის არანაკლებ დამღალავია ყურება ჩემივე
წარმოდგენაში მყოფი ისეთი ფიგურისა, რომლის ფერი ძლიერ უახ-
ლოვდება ფონის ფერს, ვიდრე ჩემს გარეშე ტილოზე მოთავსებულ
ასეთივე ფიგურის ყურება.

ამრიგად, თქვენ ხედავთ, ქალბატონო, რომ შეიძლებოდა კა-
ნონების ჩვენება, რათა გაადვილებული ყოფილიყო რამდენიმე სხვა-
დასხვანაირად გაფერადებული საგნის ერთდროული წარმოდგენა;
მაგრამ ეს კანონები, უეჭველია არ ივარგებენ ბრმადშობილისათვის,
ვინაიდან ბრმადშობილს არ შეუძლია გაფერადება და, მაშა-

სადამე, არ ძალუძს ფიგურის შედგენა ამ სიტყვის ჩვენებური გა-
გებით. მას აქვს მხოლოდ მოგონება შეხების საშუალებით მიღებულ
შეგრძნობებზე, რომელნიც მას გადააქვს სხვადასხვა წერტილებზე,
ადგილებზე ან მანძილებზე და რომლებიდანაც ის ფიგურებს ადგენს.
ფიგურების ასახვა წარმოდგენაში, მათი გაფერადების გარეშე, იმ-
დენად ურყევია, რომ ჩვენ ხელით შევეხებოდით სიბნელეში
პატარა ბურთულებს, რომელთა ნივთიერება და ფერი ჩვენ არ
გვეცოდინებოდა, ჩვენ დაუყონებლივ წარმოვიდგენდით მათ თეთრე-
ბად და შავებად, ან რომელიმე სხვა ფერად; ან თუ ვერავითარ
ფერს ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით, მაშინ, ბრმადშობილის მსგავსად,
ჩვენ გვექნებოდა მხოლოდ მოგონება თითების ბოლოებში აღძრული
უმნიშვნელო შეგრძნობაზე და ისეთი სახის შეგრძნებებზე, როგორი
სახის შეგრძნობებსაც მხოლოდ პატარა და რგვალი სხეულები იწვე-
ვენ. თუ ეს მოგონება სწრაფწარმავალია ჩვენში, თუ ჩვენ არა-
ვითარი წარმოდგენა არა გვაქვს თუ როგორ ხდება, რომ ბრმად-
შობილნი იმახსოვრებენ, იგონებენ და აკომბინირებენ შეხებითი
შეგრძნობებს, ეს ხდება მარტო იმ მიზეზით, რომ ჩვენში განმტკი-
ცებულია მხედველობითი ჩვეულება ყოველივე წარმოდგენის მხო-
ლოდ ფერების საშუალებით შექმნისა, მაგრამ მე პირადად, მაინც,
შემთხვევები მქონია ძლიერი ვნებისაგან გამოწვეული მღელვარების
დროს აღმძროდა თრთოლვა მთელს ხელში, მეგრძნო შთაბეჭდილება
სხეულთაგან, რომელთაც დიდი ხნის წინათ შევხებივარ და განმე-
ცადა ეს ისეთის სიცხადით, თითქო მათ იმ წუთს შევეხე; და ამავე
დროს მე გარკვეულად შემინიშნავს, რომ შეგრძნობათა საზღვრები
აქ ზუსტად ემთხვეოდნენ არმყოფ სხეულთა საზღვრებს. თუმცა შეგ-
რძნობა თავისთავად განუყოფელია, ის იჭერს თუ შეიძლება ასე
ვთქვათ, გარკვეულ სივრცეს, რომელიც ბრმადშობილს შეუძლია
წარმოსახვით კიდეც შეამციროს ან გაადიდოს – თუ შეამცირებს ან
გაადიდებს შეხებულ ნაწილს. ამ საშუალებით ის ადგენს წერტი-
ლებს, ზედაპირებს, მოცულობებს; მას შეუძლიან ამ გზით მთელი
დედამიწის ბურთის მოცულობა მიიღოს, თუ წარმოიდგენს, რომ
მისი თითის წვერი დედამიწის ოდენაა და აწარმოებს შეგრძნობას

სიგრძის, სიგანის და სიღრმის მიხედვით.

მე არ ვიცი არაფერი ისეთი, რაც უკეთ ამტკიცებდეს შინაგანი გრძნობის რეალობას, ვიდრე ეს – ჩვენში სუსტი, მაგრამ ბრმადშობილებში ძლიერი ნიჭი – განიცადო ან გაიხსენო საგნებიდან მიღებული შეგრძნობები მაშინაც კი, როდესაც ეს საგნები აღარ არიან და, მაშასადამე, აღარც მოქმედობენ თქვენზე. ჩვენ არ შეგვიძლია გავაგებინოთ ბრმადშობილებს, თუ როგორ გვიხატავს ჩვენ წარმოდგენა

აწმყო საგნებს, ისე თითქო ისინი იმყოფებოდნენ; მაგრამ ჩვენ შეგვიძლია სავსებით დავრწმუნდეთ მასში, რომ ჩვენ გვაქვს ბრმადშობილთა ნიჭი – თითის წვერზე ვიგრძნოთ უკვე არარსებული სხეული. რომ მიაღწიოთ ამას, მიაჭირეთ თქვენი ცერი სალოკ თითს; დახუჭეთ თვალები; მოაშორეთ თითები ერთმანეთს; დაუყოვნებლივ განიხილეთ ამის შემდეგ ის, რაც თქვენში ხდება, და მითხარით გრძელდება თუ არა შეგრძნობა კიდევ დიდხანს იმის შემდეგ, რაც თითების მოჭერა შეწყდა; არ გეჩვენებათ თქვენ, რომ მოჭერის დროს თქვენი სული უფრო თავშია, ვიდრე თითების წვერებში და გაძლევთ თუ არა თქვენ ეს მოჭერა წარმოდგენას ზედაპირზე, იმ სივრცის მეოხებით, რომელიც შეგრძნობას უკავია? ჩვენ ვარჩევთ არსებათა ყოფნას ჩვენს გარეშე, და მით გამოსახულებას ჩვენს წარმოდგენაში მხოლოდ შთაბეჭდილების სიძლიერისა და სისუსტის მეოხებით; ბრმადშობილი ამგვარადვე არჩევს შეგრძნობას რომელიმე საგნის რეალური ყოფნისაგან მის თითის წვერზე მხოლოდ თვით ამ შეგრძნობის სიძლიერის ან სისუსტის მეოხებით.

თუ ოდესმე რომელიმე დაბადებიდან ბრმა და ყრუ ფილოსოფოსი შექმნიდა ადამიანს, დეკარტის ადამიანის მიბაძვით, ვბედავ დაგარწმუნო, ქალბატონო, რომ ის მოათავსებდა სულს თითების წვერებში, რადგან იქედან წარმოსდგებიან ყველა მისი ძირითადი შეგრძნობანი და მთელი მისი ცოდნა. მართლაც და ვის შეეძლო ემცნო მისთვის, რომ მის ფიქრთა სავანე მისივე თავია? თუ გონებრივი მუშაობა ღლის ჩვენს თავს, ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენს მიერ ნაწარმოები დაძაბვა ძლიერ წააგავს იმ დაძაბვას, რომელსაც ჩვენ ვსწევთ მეტად მცირე ან ახლომდებარე საგნების ცქერის დროს. მაგრამ დაბადებით ყრუ ან ბრმა ადამიანზე ამის თქმა არ შეიძლება; მისთვის ხომ შეხების საშუალებით მიღებული შეგრძნობანი ფორმაა ყველა მის მიერ შექმნილი წარმოდგენებისთვის; და მე სრულიად არ გამაკვირვებდა, რომ ღრმა აზროვნების შემდეგ მას ისეთივე დაღლილობა არ ეგრძნო თითებში, როგორსაც ჩვენ თავში ვგრძნობთ. მე არ მაშინებენ მოსაზრებები, რომელთაც ფილოსოფოსი წამოაყენებდა ამის საწინააღმდეგოდ და რომელთა თანახმად ჩვენი შეგრძნობათა მიზეზი ნერვებია; ხოლო ეს უკანასკნელნი კი ყველანი ტვინიდან გამოდიან. საბოლოოდ დამტკიცებულიც რომ იყოს ეს ორივე დებულება, – რის თქმაც არ შეიძლება განსაკუთრებით პირველზე, – მისთვის

საკმარისი იქნებოდა, თავისი შეხედულების დასაცავად მოეთხოვათ განემარტათ ყოველივე ის, რაც ფიზიკოსებს უფიქრიათ ამ საკითხებზე.

მაგრამ თუ ბრმის წარმოდგენა მხოლოდ ნიჭია შეხების წერტილებიდან მიღებულ შეგრძნობათა განსხვავება-კომბინირებისა,

თვალხილული ადამიანის წარმოდგენა კი იგივე ნიჭია ხილულ და გაფერადებულ წერტილთა წარმოდგენისა და კომბინირებისა. აქედან გამომდინარეობს, რომ ბრმადშობილი ამჩნევს საგნებს უფრო განყენებული სახით, ვიდრე ჩვენ; და რომ წმინდა სპეკულაციურ კითხვებში ის შეიძლება ჩვენზე ნაკლებ სცდებოდეს, რადგან აბსტრაქცია გამოიხატება იმაში, რომ გამოყო აზროვნებაში სხეულთა მგრძნობადი თვისებები ან ერთმანეთისაგან ან თვით იმ სხეულიდან, რომელიც მათ ფუძეს შეადგენს; შეცდომა წარმოიშობა მაშინ, თუ ეს გამოყოფა ცუდად, ან უდროოდ არის გაკეთებული: ცუდად – მეტაფიზიკურ საკითხებში და უდროოდ – ფიზიკო-მათემატიკურ საკითხებში. უცდომელი საშუალებაა, რომ მეტაფიზიკაში შეცდომაში შეხვიდეთ, არის არასაკმაო გამარტივება იმ საგნებისა, რომელთაც ხელს ჰკიდებ; ასეთივე უცდომელია შემდეგი საიდუმლოება იმისა, თუ როგორ უნდა მიიღოთ არადამაკმაყოფილებელი შედეგი ფიზიკო-მათემატიკურ საკითხებში. ესაა – იგულეთ საგნები ნაკლებ რთულებად, ვიდრე ისინი სინამდვილეში არიან.

არსებობს აბსტრაქციის განსაკუთრებული სახე, რომლის უნარი ადამიანთა ისეთ მცირე რაოდენობას აქვს, რომ გეგონებათ თითქო ის მარტო წმინდა ინტელექტის ხვედრი იყოს; ეს ის სახეა, რომელშიაც ყოველივე უნდა იქნას დაყვანილი რიცხვობრივ ერთეულებამდე. უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი გეომეტრიის შედეგები ძალიან ზუსტი იქნებოდა და მისი ფორმულები კი ზოგადი; რადგან არც ბუნებაში, არც შესაძლებლობათა სამყაროში არ არიან ისეთი საგნები, – წერტილები, ხაზები, სივრცეები, აზრები, წარმოდგენები, შეგრძნობები და სხვა, რომელთა წარმოდგენაც ამ უბრალო ერთეულებს არ შესძლებოდათ და სხვ. რომ შემთხვევით ამაში მდგომარეობდეს პითაგორის დოქტრინის საფუძველი, მაშინ შესაძლო იქნებოდა თქმა, რომ ის დამარცხდა თავის განზრახვაში, რადგან ფილოსოფოსობის ეს საშუალება მეტისმეტად მაღლა სდგას ჩვენთვის, და მეტისმეტად უახლოვდება აზროვნების საშუალებას უზენაესი არსებისას, რომელიც, ერთი ინგლისელი გეომეტრის [81] ჭკუამახვილური თქმით, მუდმივ გ ე ო მ ე ტ - რ ო ბ ს სამყაროში.

წმინდა და მარტივი ერთიანობა ჩვენთვის მეტად ბუნდოვანი და ზოგადი სიმბოლოა. ჩვენი გრძნობები საჭიროებენ ნიშნებს, უფრო შეხამებულს ჩვენი ორგანოების აგებულებასა და ინტელექტის მოცულობასთან. ჩვენ შევთანხმდით იმაში, რომ ეს ნიშნები შეიძლებოდა საერთო ყოფილიყო ჩვენთვის და რომ ისინი, ასე ვთქვათ, მარაგი გამხდარიყო ურთიერთშორის აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის.

ბისათვის – დანაწევრებული ხმები; მაგრამ ჩვენ არ შეგვიქმნია არა-
ვითარი ნიშნები შეხებისათვის, თუმცა არსებობს განსაკუთრებული
საშუალება ამ გრძნობისადმი მიმართვისა და მისგან პასუხის მიღე-
ბის. ამგვარი ენის უქონლობის მიზეზით სრულებით დარღვეულია
ყოველგვარი ურთიერთობა ჩვენსა და იმათს შორის, ვინც ბრმად,
მუნჯად და ყრუდ შობილა. ისინი იზრდებიან, მაგრამ გონებრივად ჩა-
მორჩენილი რჩებიან. შეიძლება მათ შეეძინათ გარკვეული წარმოდგე-
ნები, რომ დაწყებული ბავშვობიდან, შესაძლებელი გამხდარიყო მათ-
თან ურთიერთობის დაჭერა უცვლელი, გარკვეული, მუდმივი და ერთ-
ნაირი საშუალებით, რომ, მათ ხელზე მოეხაზათ იგივე ასოები, რო-
მელთაც ჩვენ ქაღალდზე ვხაზავთ და რომ ამ ასოების მნიშვნელობა
მუდმივ უცვლელი დარჩენილიყო.

არ გეჩვენებათ თქვენ, ქალბატონო, ეს ენა ისეთივე მომარჯვე-
ბულად როგორც ყველა სხვა? არ არსებობს კი იგი უკვე გამზადე-
ბული სახით? გაბედავდით თქვენ მტკიცებას, რომ არასოდეს თქვენ-
თან ამ ენით არ ულაპარაკნიათ? ამიტომ რჩება მხოლოდ ამ ენის და-
წესება და შედგენა მისი გრამატიკისა და სიტყვარის, თუ ჩვენს
მიერ მიღებული ანბანი შეხების გრძნობის გამოთქმის საშუალებად
არ ვარგა.

ცოდნა სამი კარიდან შედის ჩვენს სულში და ერთი მათგანი
დახშულია ნიშნების უქონლობის მიზეზით. დანარჩენი ორიც რომ
უყურადღებოდ დაგვეტოვებია, ჩვენ ცხოველების მდგომარეობაში
ჩავვარდებოდით. მსგავსად იმისა, ჩვენ რომ მხოლოდ ხელის მოჭერა
გვაქვს შეხების გრძნობის მისამართავად, ჩვენ ამ შემთხვევაში მხო-
ლოდ ყვირილი გვექნებოდა როგორც ყურთან ლაპარაკის საშუა-
ლება. საჭირო იყო, ქალბატონო, არ გქონოდათ გრძნობის ესა თუ
ის ორგანო, რომ მიხვედრილიყავით დანარჩენი ორგანოებისათვის და-
ნიშნული სიმბოლოების უპირატესობას; და ხალხი, რომელთაც უბე-
დურება ექნებოდათ დაბადებულიყვნენ ყრუებად, ბრმებად და მუნ-
ჯებად ან რაიმე შემთხვევით დაჰკარგოდა ეს სამი გრძნობა, აღ-
ტაცებულნი იქნებოდნენ, რომ შეხებისათვის ნათელი და ზუსტი
ენა არსებობდეს.

გაცილებით ადვილია უკვე გამზადებული სიმბოლოებით სარ-
გებლობა, ვიდრე მათი გამოგონება, როგორც ეს საჭირო ხდება იმ
შემთხვევებში, თუ ამ მხრივ ჯერ არაფერი არა გაქვთ ხელთ. რა
კარგი იქნებოდა საუნდერსონისათვის, რომ დაბადებიდან ხუთი წლი-
სას მას დახვედროდა უკვე გამზადებული სახით შეხების არითმეტიკა,
იმის მაგიერ, რომ ოცდახუთი წლისას მას „თვითონ გამოეგონებია
იგი! ეს საუნდერსონიც, ქალბატონო, კიდევ ერთი ბრმაა, რომლის

შესახებაც ზოგი რამ თქვენთვის საყურადღებო იქნებოდა მოსასმენად. ყოველგვარ სასწაულებს მოგვითხრობენ მის შესახებ; და, მართლაც, მისი წარმატებანი სიტყვაკაზმულ მწერლობაში და დახელოვნება მათემატიკურ მეცნიერებაში, დამაჯერებლად ხდიან ყველა ამ სასწაულებს.

ის ერთი და იმავე ხელსაწყოთი სარგებლობდა როგორც ალგებრული გამოანგარიშებისათვის, ისე სწორხაზოვანი ფიგურების მოსახაზავადაც. თქვენ, რასაკვირველია, უკმაყოფილო არ იქნებით ამ ხელსაწყოს მოქმედება რომ აგიხსნათ, ოღონდ კი თქვენ შესძელით მისი გაგება; თქვენ დაინახავთ, რომ ეს ხელსაწყო არ საჭიროებს არავითარ განსაკუთრებულ ცოდნას და რომ ის თქვენთვის ძლიერ სასარგებლო გამოდგებოდა, თუ ოდესმე მოისურვებდით გრძელ გამოანგარიშებათა წარმოებას ხელის ცეცებით.

წარმოიდგინეთ, რომ კვადრატი, ისე როგორც ის დახატულია სურათ II-ზე Iდა II ფიგურებზე – ოთხ თანაბარ ნაწილებადაა გაყოფილი მხარეების მიმართ პერპენდიკულარული ხაზებით, ისე რომ გამოდის ცხრა წერტილი: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9. დაუშვათ, რომ ეს კვადრატი დართულია ცხრა ხვრელით, რომლებშიაც შეიძლება ჩასობა ორგვარი ქინძისთავის, სიგრძე-სიგანით თანაბარის, მაგრამ თავების სიმსხოთი ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებულის.

მსხვილთავიანი ქინძისთავები ყოველთვის მოთავსებული იყო მხოლოდ კვადრატის ცენტრში, წვრილთავიანი ქინძისთავები კი – ყოველთვის მხოლოდ კვადრატის გვერდებზე, გარდა ერთი შემთხვევისა – ნულის მიმართ. ნული ინიშნებოდა მსხვილთავიანი ქინძისთავით, რომელიც მოთავსებული იყო პატარა კვადრატის ცენტრში და ამ კვადრატის გვერდებზე სრულებით არ იყო სხვა ქინძისთავები. ციფრი 1 აღნიშნული იყო წვრილთავიანი ქინძისთავით, მოთავსებულით კვადრატის ცენტრში, რომლის გვერდებზე არავითარი ქინძისთავი არ იყო. ციფრი 2 – აღნიშნული იყო მსხვილთავიანი ქინძისთავით, ისევ კვადრატის ცენტრში მოთავსებულით, და აგრეთვე წვრილთავიანი ქინძისთავით, რომელიც იმავ კვადრატის ერთ მხარეზე იყო მოთავსებული, წერტილში – 1. ციფრი 3 – კვადრატის ცენტრში მოთავსებული მსხვილთავიანი ქინძისთავით და კვადრატის ერთ მხარეზე წერტილ 2-ში მოთავსებული წვრილთავიანი ქინძისთავით. ციფრი 4 – კვადრატის ცენტრში მოთავსებული მსხვილთავიანი ქინძისთავით და კვადრატის ერთ მხარეზე, წერტილ 3-ში, მოთავსებული წვრილთავიანი ქინძისთავით. ციფრი 5 – კვადრატის ცენტრში მოთავსებული მსხვილთავიანი ქინძისთავით და კვადრატის ერთ მხარეზე წერტილ 4-ში მოთავსებული წვრილთავიანი ქინძისთავით. ციფ-

რი 6 – კვადრატის ცენტრში მოთავსებული მსხვილთავიანი ქინძისთავით და კვადრატის ერთ მხარეზე, წერტილ 5-ში, მოთავსებული წვრილთავიანი ქინძისთავით. ციფრი 7 – კვადრატის ცენტრში მო-

თავსებული მსხვილთავიანი ქინძისთავით და კვადრატის ერთ მხარეზე წერტილ 6-ში მოთავსებული წვრილთავიანი ქინძისთავით. ციფრი 8 – კვადრატის ცენტრში მოთავსებული მსხვილთავიანი ქინძისთავით და კვადრატის ერთ მხარეზე, წერტილ 7-ში მოთავსებული წვრილთავინი ქინძისთავით. ციფრი 9 – კვადრატის ცენტრში მოთავსებული მსხვილთავიანი ქინძისთავით და კვადრატის ერთ მხარეზე, წერტილ 8-ში მოთავსებული წვრილთავიანი ქინძისთავით.

აი, ათი სხვადასხვა გამოვლენა შეხების გრძნობისათვის, რომელთაგანაც თითოეული შეესაბამება ერთ რომელიმე ჩვენს ათ არითმეტიკულ ციფრს. ახლა წარმოიდგინეთ, რა ზომისაც გინდათ, დაფა, დაყოფილი პატარ პატარა, ჰორიზონტალურად განლაგებულ და ერთნაირ მანძილით ერთმანეთისაგან დაშორებულ კვადრატებად, – როგორც ეს III ფიგურაზეა ნაჩვენები, – და თქვენ მიიღებთ საუნდერსონის ხელსაწყოს.

თქვენ ადვილად მიხვდებით, რომ არაა ისეთი რიცხვი, რომლის დაწერაც არ შეიძლებოდეს ამ დაფაზე, და მაშასადამე, არაა არც ერთი ისეთი არითმეტიკული მოქმედება, რომლის გაკეთებაც მასზე არ შეიძლებოდეს.

ვთქვათ, მაგალითად, რომ საჭიროა შემდეგი ცხრა რიცხვის მიმატება ან ჯამის მონახვა:

1	2	3	4	5
2	3	4	5	6
3	4	5	6	7
4	5	6	7	8
5	6	7	8	9
6	7	8	9	0
7	8	9	0	1
8	9	0	1	2
9	0	1	2	3

მე ეწერ დაფაზე ამ რიცხვებს იმისდა მიხედვით, თუ როგორ მისახელებენ მე მათ; პირველ ციფრს პირველივე რიცხვის მარცხნივ მე აღვნიშნავ პირველ კვადრატზე პირველი სტრიქონის მარცხნივ; მეორე ციფრს მეორე რიცხვის მარცხნივ, მეორე კვადრატზე იმავე სტრიქონის მარცხნივ და სხვ.

მე ვათავსებ მეორე რიცხვს კვადრატების მეორე სტრიქონზე; ერთეულებს ერთეულების ქვეშ; ათეულებს ათეულების ქვეშ და სსვ.

მე ვათავსებ მესამე რიცხვს კვადრატების მესამე სტრიქონზე და სხვ., როგორც ეს III ფიგურაზეა მოცემული. შემდეგ, გადვუსობ რა თითებს ყოველ ვერტიკალურ სვეტს, ქვევიდან ზევით დაწყებული ყველაზე მარცხნივ მოთავსებულიდან მე ვაჯამებ აქ

მოთავსებულ რიცხვებს; და სვეტის ქვემოთ ვწერ ათეულების ნამატს. გადავდივარ შემდეგ მეორე სვეტზე მარცხნივ, და ვამოწმებ მასთან იმავე ოპერაციას; აქედან გადავდივარ მესამე სვეტზე და სხვ., სანამ მიმატებას არ დავამთავრებ.

აი როგორ სარგებლობდა ის ამავე დაფით, რომ სწორხაზიანი ფიგურების თვისებები დაემტკიცებია. ვთქვათ, რომ მას უნდოდა დაემტკიცებია რომ პარალელოგრამებს, რომელთა საფუძვლები და მხარეები თანაბრულია, ფართობიც თანაბარი აქვთ. ამისათვის ის გაანაწილებდა თავის ქინძისთავებს იმ სახით, როგორც ეს IV ფიგურაზეა მოცემული. ის განსაკუთრებულ სახელწოდებას აძლევდა კუთხეების წერტილებს და ამთავრებდა მტკიცებას თავის თითების დახმარებით.

საუნდერსონს რომ მარტო მსხვილთავიანი ქინძისთავები ეხმარა თავისი ფიგურების შემოსაფარგლავად, მას შეეძლო წვრილთავიანი ქინძისთავების განწყობა მათ გარშემო ცხრა სხვადასხვა საშუალებით, რომელთაც ის ყველას ჩვეული იყო. სიძნელეები იწყებოდა მისთვის იქ, სადაც მეტისმეტად დიდი რიცხვია კუნთების წერტილთა, რომლებისათვისაც სახელწოდება უნდა მიეცა მტკიცების დროს, აიძულებდნენ მას ანბანის ასოებისათვის მიემართა. ჩვენთვის უცნობია, თუ როგორ სარგებლობდა ის ამ ასოებით.

ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ის თავის დაფაზე განსაცვიფრებელი სიჩქარით ავლებდა თითებს; რომ ის წარმატებით აკეთებდა უგრძელეს გამოანგარიშებებს; რომ მას შეეძლო შეეწყვიტა იგი და გაეგო სად რა შეცდომა დაუშვა; რომ ის თავისუფლად ახერხებდა გამოანგარიშებათა შედეგების შემოწმებას და რომ ეს მუშაობა არ თხოულობდა მისგან, დაფის მოხერხებული დამზადების გამო, იმდენ დროს, რამდენიც შესაძლებელი იყო გვევარაუდნა.

დაფის დამზადება გამოიხატებოდა მასში, რომ მსხვილთავიანი ქინძისთავები მოთავსებული ყოფილიყო ყველა კვადრატების ცენტრში. ამის შემდეგ მას რჩებოდა რომელიმე კვადრატთან შეფარდებული მნიშვნელობის გამორკვევა, წვრილთავიანი ქინძისთავების საშუალებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთეულთან ქონდა საქმე. ამ შემთხვევაში ის კვადრატის ცენტრში ათავსებდა წვრილ-

თავიან ქინძისთავს, იქ მოთავსებული მსხვილთავიანი ქინძისთავის მაგიერ.

ზოგჯერ იმის მაგიერ, რომ თავის ქინძისთავებიდან შეედგინა მთელი ხაზი, ის კმაყოფილდებოდა იმით, რომ მოათავსებდა ქინძისთავებს ყველა კუთხეების ან გადაკვეთის წერტილებში, მათ გარშემო კი დაამაგრებდა აბრეშუმის ძაფებს, რომლებიც იძლეოდნენ ფიგურის საზღვრებს. იხილე ფიგ. V.

მან სხვა რამდენიმე ხელსაწყოც დატოვა, რომელიც უადვილებდა მას გეომეტრიაში მეცადინეობას. გამოურკვეველია, როგორ იყენებდა

ის ამ ხელსაწყოებს; და, შეიძლება, მეტი ჭკუამახვილობა იყოს საჭირო ამ გამოყენების საშუალებათა აღმოსაჩენად, ვიდრე ინტეგრალური აღრიცხვის რომელიმე პრობლემის გადასაჭრელად. და, სცადოს რომელიმე გეომეტრმა ჩვენთვის იმის ახსნა, თუ რა დანიშნულებას აძლევდა ის ხის ოთხ ნაჭერს, სწორკუთხოვან პარალელოპიპედების სახით გამოკვეთილს, სიგრძით თერთმეტი დუიმი თითოეული, სიგანით – ხუთ ნახევარი დიუმი, სისქით კი ნახევარდიუმზე ცოტა მეტი, – რომელსაც ორივე დიდი და მოპირდაპირე ზედაპირი დაყოფილი ჰქოდა პატარპატარა კვადრატებად, ზემოაღნიშნული საანგარიშო დაფის კვადრატების მსგავსად და მარტო იმ განსხვავებით, რომ რამდენიმე ნახვრეტები მათ მხოლოდ რამდენიმე ადგილზე ჰქონდა და შიგ ყელამდე იყვენ ჩარჭობილი ქინძისთავები. თითოეული ზედაპირი წარმოადგენდა ცხრა პატარა არითმეტიკულ ცხრილს, თითოეული ცხრილი შეიცავდა ათ რიცხვს თითოეული რიცხვი კი – ათ ციფრს. VI ფიგურაზე მოცემულია ერთი ასეთი ცხრილი; და აი რიცხვები, რომლებსაც ის შეიცავდა:

9	4	0	8	4
2	4	1	8	6
4	1	7	9	2
5	4	2	8	4
6	3	9	6	8
7	1	8	8	0
7	8	5	6	8
8	4	3	5	8
8	9	4	6	4
9	4	0	3	0

ის შესანიშნავი ავტორია ნაწარმოების თავისებური დარგისა. ესაა – ა ლ გ ე ბ რ ი ს ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი,[82] სადაც ავტორის სიბრმავეს, შეიძლება მიხვდეთ მხოლოდ ზოგიერთი მტკიცებათა თავისებუ-

რობიდან, რომელთაც თვალხილული ადამიანი, ალბათ, ვერ მიაგნებდა. მას ეკუთვნის კუბის დაყოფა ექვს თანაბარ პირამიდად, რომელთა მწვერვალი მოთავსებულია კუბის ცენტრში და ფუძედ თითოეულს კუბის ერთი რომელიმე გვერდი აქვს. ამ დაყოფის შემწეობით ძალიან ადვილად შეიძლება დამტკიცება, რომ ყოველი პირამიდი იმავე საფუძვლის და სიმაღლის მქონე პრიზმის მესამედს უდრის.

მათემატიკის სიყვარულმა იძულებული გახადა ამ საგნისათვის ხელი მოეკიდა, უსახსრობამ და მეგობრების რჩევამ კი აიძულეს ის საჯაროდ ესწავლებია ხსენებული საგანი. მათ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ის დიდი წარმატებით შეასრულებდა ამ საქმეს,

რადგან გადაცემის განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოვებული. მართლაც, საუნდერსონი ესაუბრებოდა თავის მოწაფეებს ისე, თითქოს ისინი მხედველობას მოკლებულნი იყვენ; მაგრამ ბრმა, რომელიც ბრმისითვის გასაგებად ლაპარაკობს, მით უმეტეს გასგები იქნება თვალხილულებისათვის; მათ აქვთ ზედმეტი ერთი ტელესკოპი.

მისი ცხოვრების ამწერნი მოგვითხრობენ, რომ ის დახელოვნებული იყო მარჯვე გამოთქმებში და ეს ძალიან ჰგავს სიმართლეს. მაგრამ, შეიძლება მკითხოთ თქვენ, რას გულისხმობთ მარჯვე გამოთქმად? მოგახსენებთ, ქალბატონო, რომ ეს ისეთი გამოთქმაა, რომელიც თვისებითია ერთი რომელიმე გრძნობისათვის, მაგალითად, შეხებისათვის და იმავე დროს მეტაფორულია მეორესათვის, მაგალითად, თვალებისათვის; აქედან წარმოსდგება ორმაგი მნიშვნელობა იმისათვის, ვისაც მიმართავენ. გამოთქმის პირდაპირი და ჭეშმარიტი მნიშვნელობა და მეტაფორის ანარეკლი მნიშვნელობა. აშკარაა, რომ საუნდერსონს ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად მთელი მისი ჭკუისა, ნახევრად ესმოდა თავისივე ნათქვამი, რადგან მისთვის მხოლოდ ნახევრად მისაწვდომი იყო მის მიერვე ნახმარ ტერმინებთან დაკავშირებული იდეები. მაგრამ რომელი ჩვენგანი არ ვარდება დროგამოშვებით ასეთსავე მდგომარეობაში? ეს ემართება როგორც იდიოტებს, რომლებიც ხანდიხან შესანიშნავად გაიხუმრებენ, ისე ფრიად გონებამახვილ ადამიანებსაც, რომელთაც ზოგჯერ სისულელე წამოცდებათ, და ამასთანავე ვერც ერთნი და ვერც მეორენი თავიანთ ნათქვამს ვერ ამჩნევენ.

მე შემინიშნავს, რომ ასეთივე მოვლენას იწვევს სიტყვების მარაგის სიმცირე უცხოელებისათვის, რომელთაც ჯერ მთლიანად ვერ შეუთვისებიათ მათთვის ახალი ენა. ისინი იძულებულნი ხდებიან ილაპარაკონ ყველაფერზე ტერმინების ფრიად უმნიშველო რაოდენობის შემწეობით და ამიტომ ზოგიერთ მათგანს ძლიერ მომარჯვე-

ბულად ხმარობენ ხოლმე, მაგრამ, ვანაიდან საზოგადოდ ყოველი ენა ღარიბია ცოცხალი წარმოსახვის ნიჭით დაჯილდოებული მწერლებისათვის, უკანასკნელნი ისეთივე მდგომარეობაში არიან, როგორშიდაც დიდი მახვილგონიერების მქონე უცხოელები; მათგან მოფიქრებული მდგომარეობები, ადამიანთა თვისებებში მათ მიერ შემჩნეული გლუვი ელფერები, გულუბრყვილობა სურათებისა, რომლებიც უნდა დახატონ, აუძელებენ მათ ყოველ ცალკე შემთხვევებში დაშორდნენ გამოთქმის ჩვეულებრივ საშუალებებს და გამოიგონონ სიტყვების ახალი საქცევები, რომელთაც ყოველთვის განცვიფრებაში მოვყევართ, თუ ისინი ნატიფნი და ბუნდოვანნი არ არიან; მაგრამ ეს ისეთი დეფექტებია, რომელნიც მათ მაინც ეპატიება ხოლმე, საკუთარი ჭკუისა და ენის ცოდნის მიხედვით. აი რატომაა, რომ ყველა ფრანგი ავტორებიდან ინგლისელებს ბ-ი დე-მ...[83] უფრო მოსწონთ, ყველა ლათინელ ავტორებიდან კი მ ო ა ზ რ ო ვ -

ნ ე ე ბ ი ყველაზე მაღლა ტაციტს აყენებენ. აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ენის თავისუფალი გადამახინჯება, მხოლოდ ტერმინების განსაცვიფრებელი ჭეშმარიტება.

საუნდერსონი გასაოცარი წარმატებით ასწავლიდა მათემატიკას კემბრიჯის უნივერსიტეტში. ის ლექციებს კითხულობდა ოპტიკაზე; ის ლექციებს კითხულობდა სინათლისა და ფერების ბუნების შესახებ; ის უხსნიდა მსმენელთ მხედველობის თეორიას; ის მსჯელობდა მინების მოქმედებაზე, ცისარტყელას მოვლენებზე და მრავალ სხვა საკითხებზე, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ მხედველობასა და მის ორგანოსთან.

ეს ფაქტები, ქალბატონო, არც ისე გასაოცარია თუ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ფიზიკისა და გეომეტრიის საკითხში საჭიროა განხილულ იქნას სამი მხარე: განსამარტავი მოვლენა, გეომეტრის ვარაუდები და ვარაუდებიდან გამომდინარე გამოანგარიშებანი. აშკარაა, რომ, რა განუზომელი სიღრმისაც არ უნდა იყოს ბრმის აზროვნება, ფერებისა და სინათლის მოვლენები მისთვის მაინც უცნობია. ის გაიგებს ვარაუდებს, რადგან მათ ყველას აქვს დამოკიდებულება შეხებით მიზეზებთან, მაგრამ ის ვერასოდეს ვერ გაიგებს თუ რატომ ირჩია გეომეტრმა ესა თუ ის ვარაუდი. რადგან ამისათვის მას საშუალება უნდა ქონოდა, შეედარებია თვით ვარაუდები მოვლენებთან. ამრიგად ბრმა იღებს ვარაუდებს იმათ, როგორადაც მას აწვდიან; სინათლის შუქს – მოქნილ წვრილ ძაფად ან რიგზე გაწყობილ პატარ-პატარა სხეულებად, რომლებიც დაუჯერებელი სისწრაფით მოქმედებენ ჩვენს თვალებზე; და ის, ამასთან შეფარდებით, აწარმოებს თავის გამოანგარიშებას.

ასე გადადის ფიზიკა გეომეტრიაში და საკითხი წმინდა მათემატიკურ ხასიათს ღებულობს.

მაგრამ რა უნდა ვიფიქროთ ჩვენ გამოანგარიშებათა შედეგებზე? 1. რომ ზოგჯერ ისინი უკიდურესად ძნელი მისაღწევი არიან და რომ ამაოდ ცდილობს ფიზიკოსი ბუნებასთან სავსებით შეფარდებული ჰიპოთეზების მოფიქრებას, თუ მას არ ძალუძს გეომეტრიულად დაამტკიცოს ისინი. და მართლაც უდიდესი ფიზიკოსები გალილეი, დეკარტი, ნიუტონი უუდიდესი გეომეტრები იყვნენ. 2. რომ ეს შედეგები მეტად თუ ნაკლებად უტყუარნი არიან დასაბამითი ჰიპოთეზის მეტ ან ნაკლებ სირთულესთან დაკავშირებით. როდესაც გამოანგარიშება მარტივი ჰიპოთეზის საფუძველზე ხდება, მაშინ დასკვნები გეომეტრიული მტკიცების ძალას იღებენ. როდესაც მრავალრიცხოვანი ვარაუდია, მაშინ, ერთი მხრით – სიმართლის მსგავსობა თითოეული ჰიპოთეზისა მცირდება პროპორციულად მათ რაოდენობასთან, მაგრამ მეორე მხრით, ეს სიმართლის მსგავსობა მატულობს, ვინაიდან ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ამდენ ყალბ ჰიპოთეზს შეეძლოს ერთიმეორის ზუსტი შესწორება და რომ მათგან

შესაძლებელი იქნეს ისეთი შედეგების მიღება, რომელთაც მოვლენები დაადასტურებენ. ეს დაემსგავსებოდა იმ შეერთებას, რომლის საბოლოო ჯამი სწორი იქნებოდა, თუმცა ცალკე რიცხვების კერძო ჯამები – მცდარია. არ შეიძლება უარყოთ ასეთი გამოანგარიშების შესაძლებლობა; მაგრამ ამავე დროს თქვენ ხედავთ, რომ ის მეტის მეტად იშვიათი უნდა იყოს. რამდენადაც უფრო მეტი რიცხვების შეჯამება მოგვიწევს, იმდენად მოიმატებს შეცდომის შესაძლებლობა თითოელი რიცხვის შეჯამებისას; მაგრამ, იმდენადვე მოიკლებს ეს შესაძლებლობა თუ მთელი მოქმედების შედეგი სწორია. არსებობს, ამრიგად, ჰიპოთეზათა ისეთი რაოდენობა, რომლისგან გამომდინარე ჭეშმარიტება უმცირესი უნდა იყოს. თუ ვამბობ, რომ A -!- B -!- C = 50, მაქვს თუ არა მე უფლება, მარტო იმ საფუძვლით, რომ 50 ნამდვილად აღნიშნავს მოვლენის რაოდენობის მხარეს, დავასკვნა, რომ ვარაუდები, მოცემული A, B, C-ში სწორი არიან? არავითარ შემთხვევაში; რადგან არსებობს აურიცხავი რაოდენობა საშუალებისა – შევამციროთ რომელიმე ამ ასოს მნიშვნელობა და გავადიდოთ მნიშვნელობა დანარჩენი ორისა. ისე რომ ჯამი მაინც ყოველთვის 50 უდრიდეს; მაგრამ სამი კომბინირებული ჰიპოთეზის შემთხვევაში შესაძლებელია ერთერთი ყველაზე მეტად არახელსაყრელი იყოს.

გამოანგარიშების ერთი უპირატესობა, რომელიც მე არ უნდა დავივიწყო, არის შესაძლებლობა მცდარი ჰიპოთეზების გამორიცხვისა იმ შემთხვევაში, თუ შედეგი მოვლენას ეწინააღმდეგება. თუ ფიზი-

კოსს მოესურვა სინათლის სხივის მრუდის გამოსახვა ატმოსფეროში გავლისას, ის იძულებული იქნება რაიმე ვარაუდები გააკეთოს ჰაერის ფენების სიმკვრივეზე, შუქტეხის კანონზე, სინათლის სხეულაკების ბუნებასა და მოხაზულობაზე და, შეიძლება ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან ელემენტებზე, რომელნიც მას არ შეაქვს თავის გამოანგარიშებებში, ან იმიტომ, რომ შეგნებულად უხვევს მათ გვერდს ანდა იმიტომ, რომ ისინი მისთვის უცნობნი არიან. შემდეგ ის სხივის მრუდეს არკვევს. თუ ის განსხვავდება ბუნებაში მის მიერ მიღებული შედეგისაგან, მაშინ მისი ვარაუდები ან სრული არაა, ან მცდარია. შუქი მიიმართება გარკვეული მრუდით? მაშინ ორში ერთია: ან ვარაუდები შესწორდნენ, ანდა ისინი სწორი არიან; მაგრამ თუ რომელია ამ ორში, ეს ფიზიკოსმა არ იცის; ასეთია მთელი უცილობლობა, რომლის მიღწევაც მას შეუძლია.

მე გადავათვალიერე საუნდერსონის ალგებრის ელემენტები იმ იმედით, რომ მომენახა იქ ის, რისი გაგებაც მე მინდოდა მის ახლობელთაგან, რომელთაც ზოგი რამ წვრილმანი გვაცნობეს მისი ცხოვრებიდან; მაგრამ იმედები გამიცრუვდა: და მე მივწვდი იმას, რომ მისი წესით დაწერილი გეომეტრიის ელემენტები უფრო თავისებური და ჩვენთვის სასარგებლო იქნებოდა. ჩვენ იქ ვნახავდით განსაზღვრებს, – წერტილის, ხაზის, ზედაპირის, მოცულობის, კუთხის, გადა-

კვეთილი ხაზებისა და სიბრტყეების შესახებ, რომლებშიდაც, უეჭველია, ის ისარგებლებდა მეტად განყენებული, იდეალისტებთან ახლო მდგარი, მეტაფიზიკის პრინციპებით. ი დ ე ა ლ ი ს ტ ე ბ ი ისეთ ფილოსოფოსებს ეწოდებათ, რომლებიც არაფერს სხვას, გარდა საკუთარი არსებობის შეგნებისა და თვით მათშივე მოთავსებული ცვალებადი შეგრძნობებისა, არ სცნობენ: ეს უცნაური სისტემაა, რომელიც, ჩემის აზრით, მარტო ბრმებს შეეძლოთ შეექმნათ; მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა ყველა სისტემაზე უფრო აფსურდულია, მასთან ბრძოლა, ადამიანის გონებისა და ფილოსოფიის სამარცხვინოდ, განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს; ის სრული სიაშკარავით და გულახდილობითაა მოცემული დოქტორ ბერკლის, კლოინის ეფისკოპოზის, სამ დიალოგში. საჭირო იქნებოდა გვეთხოვა მოგვეწვია ავტორი ჩვენი შეგნების ც დ ი ს ა ამ ნაწარმოების გასარჩევად; მასში ის იპოვიდა მასალას და საბაბს სასარგებლო, სასიამოვნო, გონებამახვილურ დაკვირვებათასათვის, ერთი სიტყვით, იმ დაკვირვებათათვის, რომლებშიაც ის ასე დახელოვნებულია. იდეალიზმი ღირსია იმისა, რომ მის მხილებაზე მიუთითოთ ხსენებულ ავტორს; ამ ჰიპოთეზმა ის უნდა დაინტერესოს იმდენად არა თავისი უცნაურობით, რამდენადაც მისივე პრინციპების უკუგდების სიძნელით, რადგან მას არსებითად იგივე

პრინციპები აქვს საფუძვლად, რაც ბერკლის. ერთისა და მეორის თანახმად, – და საღი გონების თანახმადაც, – ტერმინები არსი, მატერია, სუბსტანცია, შემწე და სხვანი თავისთავად ნათელი არ არიან ჩვენი გონებისათვის; გარდა ამისა, როგორც მართებულად შენიშნავს ავტორი – „ ც დ ი ს ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს ც ო დ ნ ა თ ა წ ა რ მ ო შ ო ბ ა ზ ე“ – ავმაღლებით ჩვენ ცდამდე თუ უფსკრულს ჩავსწვდებით, ჩვენ ვერასოდეს ვერ ვტოვებთ ჩვენს საკუთარ თავს და მხოლოდ ჩვენს საკუთარ აზრს ვამჩნევთ; მაგრამ სწორედ ასეთია საბოლოო დასკვნა ბერკლის პირველი დიალოგისა და საფუძველი მთელი მისი სისტემისა. სასეირო არ იქნებოდა ყურება, თუ, როგორ შეეჯახებოდა ერთმანეთს ორი, თანაბარი იარაღის მქონე, მიწინააღმდეგე? თუ ერთერთ მათგანს დარჩებოდა გამარჯვება, ალბად, იმას, ვინც უკეთ იხმარდა ამ იარაღს: მაგრამ ავტორმა შრომისა – „ ც დ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს ც ო დ ნ ა თ ა წ ა რ მ ო შ ო ბ ა ზ ე“, ამასწინად მოგვცა თავის ტ რ ა ქ ტ ა ტ შ ი ს ი ს ტ ე მ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ახალი საბუთი იმ ოსტატობისა, რომლითაც ის თავის იარაღს ხმარობს და გვიჩვენა თუ რამდენად საშიშია იგი სისტემების შემქნელთათვის.

თქვენ მეტყვით, რომ ჩვენ საკმაოდ დავშორდით ჩვენს ბრმებს; მაგრამ მე თქვენ გთხოვთ, ქალბატონო, მაპატივოთ ყველა ასეთი გადახრა. მე საუბარს დაგპირდით და მე ვერ შევასრულებ ჩემს დაპირებას თუ ასეთი მოწყალეობა არ მექნა თვენგან.

მე გადავიკითხე მთელის ჩემის ყურადღებით ის, რაც საუნდერსონს უთქვამს უსასრულობაზე; მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მას

ამ საკითხზე მეტად სწორი და ნათელი შეხედულებანი ჰქონდა, და რომ ჩვენი უ ს ა ს რ უ ლ ო ე ბ ი ს ავტორთა უმრავლესობა მას ბრმე-ბად უნდა მოჩვენებოდა. თქვენ თვითონ შეგიძლიათ ამის განსჯა; თუმცა ეს საკმაოდ ძნელი საკითხია და აღემატება რამდენადმე თქვენს მათემატიკურ ცოდნას, მაგრამ მე არ ვეჭვობ, რომ საკმაო მომზადების შემდეგ. მე შევსძლებდი მისაწდომი გამეხადა იგი თქვენ-თვის და შემეყვანეთ ამ უსასრულოდ მცირე ლოღიკაში.

ეს სახელგანთქმული ბრმა თავის მაგალითით ამტკიცებს, რომ შეხება შეიძლება უფრო ფაქიზ გრძნობად გადაიქცეს, ვიდრე მხე-დველობა, თუ მას თანდათან გაუმჯობესებთ ვარჯიშობით; თითების შემწეობით ის არჩევდა ნამდვილ მედალთ ყალბებიდან,[84] თუმცა უკა-ნასკნელნი ისე ოსტატურად იყვნენ გაკეთებული, რომ შეეძლოთ მოეტყუებიათ ამ საქმის კარგი თვალხილული სპეციალისტიც; მის-თვის საკმარისი იყო თითები გადაესვა მათემათიკური ხელსაწყოს ჭდეებზე, რომ მის სიზუსტეზე ჰქონოდა წარმოდგენა. ეს, უეჭველია, უფრო ძნელია, ვიდრე შეხების საშუალებით გამორკვევა იმისა, თუ

რამდენად ჰგავს ქანდაკება მასზე გამოსახულ ადამიანს; აქედან გა-მოდის, რომ ბრმების საზოგადოებას შეიძლება თავის მოქანდაკეები ეყოლოს და ძეგლებიდან იგივე უპირატესობანი მიიღოს როგორიც ჩვენ, ესე იგი – ულამაზესი მოქმედების და ძვირფას ადამიანთა ხსოვ-ნის გასამარადისებლად. მე ისიც კი არ მეეჭვება, რომ ამ ძეგლებ-თან შეხებით მათში გამოწვეული შეგრძნობები გაცილებით უფრო ცოცხალი იქნებოდნენ, ვინემ ჩვენი მხედველობითი შეგრძნებები. რა ბედნიერებაა სატრფოსათვის, რომელსაც ნაზად უყვარდა ხელის გადასობა მშვენიერებებზე, რომლებსაც ის იცნობს, ილუზიების (უფ-რო ძლიერის ბრმებში, ვინემ თვალხილულებში) გაცოცხლებისას! მაგ-რამ შესაძლებელია ისიც, რომ რამდენადაც მოგონება მეტ სიამოვ-ნებას მისცემდა, იმდენად ნაკლებ სინანულს განიცდიდა იგი.

საუნდენსონი, ისე როგორც ბრმა პუიზოდან, გრძნობდა სულ მცირე ატმოსფერულ ცვლილებასაც კი, ამჩნევდა – განსაკუთრებით წყნარ ამინდში – ისეთ საგნებს, რომლებიდანაც ის რამდენიმე ნაბი-ჯით იყო დაშორებული. ამბობენ, როდესაც ერთხელ ის ასტრონო-მიულ დაკვირვებებს ესწრებოდა ბაღში, ღრუბლები, რომლებიც ხანგამოშვებით დაფარავდნენ ხოლმე დამკვირებლიდან მზის დისკოს, საკმაოდ შესამჩნევ ცვლილებებს იწვევდენ შუქის მოქმედებაში მის სახეზე. ასე, რომ, ის კარგად არჩევდა დაკვირვებისათვის ხელსაყ-რელ, ან არახელსაყრელ მომენტებს. თქვენ, შეიძლება, იფიქროთ, რომ მის თვალებში რაიმე ცვლილებები ხდებოდა, რომელთაც შეეძ-ლოთ შეეტყობინებიათ მისთვის სინათლის და არა საგნების თანა-ყოფიერება. მე მზად ვიქნებოდი, დაგთანხმებოდით ამაში, რომ სარ-წმუნოდ არ მცოდნოდა, რომ საუნდერსონი მოკლებული იყო არა-მარტო მხედველობას, არამედ შესატყვის ორგანოსაც.

ამრიგად, საუნდენსონი ხედავდა კანის შემწეობით. მის ამ გარსს ისეთი განსაკუთრებული გრძნობიერება ჰქონდა, რომ გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ ცოტა გავარჯიშების შემდეგ ის შეძლებდა შეჩვეოდა იმ მეგობრების გამოცნობას, რომელთა პორტრეტს მხატვარი მის ხელზე დახატავდა, და რომ ფანქრით გამოწვეულ შეგრძნობათა თანამიმდევრობის საფუძველზე ის შესძლებდა ეთქვა: ე ს – ე ს ა დ ა ე ს პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ა, მაშასადამე, არსებობს ფერწერის განსაკუთრებული სახე ბრმებისათვის, სადაც ტილოს მაგიერობა მათ საკუთარ კანს შეუძლია შეასრულოს. ეს აზრები არ არიან ქიმერული, და თქვენ ხელზე რომ ვინმეს მ . . . ს პატარა ტუჩები დაეხატა, მე ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ მათ დაუყოვნებლივ გამოიცნობდით. მაგრამ, დამეთანხმეთ, რომ ეს გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა ბრმადშობილთათვის, ვინემ თქვენთვის, მიუხედავად

იმისა, რომ თქვენ მათ ხშირად ჰხედავთ და უმშვენიერესად სთვლით. თქვენს მსჯელობაში ხომ ორი ან სამი საგანი შედის; თქვენს ხელზე დახატული სურათის შედარება იმ სურათთან, რომელიც თქვენი თვალების სიღრმეშია აღბეჭდილი; მახსოვრობა იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედობენ თქვენზე საგნები, რომელთაც ეხებით, და როგორ მოქმედობენ საგნები, რომელთაც მხოლოდ ხედავთ და რომლებითაც აღტაცებული ხართ; ბოლოს კი შეფარდება ამ ამოცანებისა მხატვარის მიერ დასმულ კითხვასთან, იმ მხატვარისა, რომელმაც დახატა თუ არა ტუჩები ფანქრის წვერით თქვენი ხელის კანზე, მაშინვე შეგეკითხათ: ვ ი ს ე კ უ თ ვ ნ ი ა ნ ჩ ე მ მ ი ე რ დ ა ხ ა ტ უ ლ ი ტ უ ჩ ე ბ ი? ამავე დროს ტუჩების მიერ გამოწვეულ შეგრძნობათა ჯამი ხელზე იგივეა, რაც მხატვარის ფანქრით გამოწვეული თანამიმდევრობითი შეგრძნობების ჯამი.

საუნდერსონის და პუიზოელი ბრმის ისტორიისათვის მე შემეძლო მიმემატებია ისტორია დიდიმ ალექსანდრიელის, ევსევი აზიელის, ნიკეზ მექლანელისა და რამდენიმე სხვა პირთა, რომლებიც, ერთ-ერთ გრძნობას მოკლებულნი, მაინც იმდენად აღემატებოდნენ დანარჩენ კაცობრიობას, რომ პოეტებს გადაუმეტებლად შეეძლოთ ეთქვათ, რომ შურიანმა ღმერთებმა ერთ-ერთი გრძნობა მიტომ წაართვა მათ, რომ ეშინოდათ მოკვდავთა შორის თავიანთი ტოლი ჰყოლოდათო. აბა ვინ იყო ტირეზიასი, ღმერთების საიდუმლოება რომ იცოდა და წინასწარმეტყველების ნიჭით რომ იყო დაჯილდოვებული, თუ არა ბრმა ფილოსოფოსი, რომლის ხსენება ჩვენ ლეგენდამ შეგვინახა? მაგრამ ნუღარ მოვშორდებით საუნდერსონს და საფლავის კარებამდე მივყვეთ ამ შესანიშნავ ადამიანს.

როდესაც ის კვდებოდა, მასთან მიიწვიეს ძალზე ჭკვიანი მღვდელმსახური, ბ. ჟერვეზი ჰოლმსი; მათ შორის გაიბა საუბარი ღმერთის არსებობის შესახებ; ამ საუბრიდან დარჩა რამდენიმე ნაწყვეტი, რომელთაც მე თქვენ შეძლებისდაგვარად გადმოგითარგმნით, რადგან

ისინი ამის ღირსია. მღვდელმა დაიწყო იქედან, რომ მიუთითა მას ბუნების სასწაულზე: „ეჰ, ბატონო! შეესიტყვა მას ბრმა ფილოსოფოსი, თავი დაანებეთ ამ მშვენიერ სანახაობას, რომელიც არასოდეს ჩემთვის არ იყო შექმნილი! მე მისჯილი მქონდა მთელი ჩემი სიცოცხლის სიბნელეში გატარება, თქვენ კი მიმითითებთ სასწაულებზე, რომლების მე არაფერი გამეგება და რომელთაც დამაჯერებელი ძალა აქვთ მხოლოდ თქვენთვის და მათთვის, ვინც ხედავს. თუ გინდათ, რომ ღმერთისა მჯეროდეს, მომეცით მისი შეხების შესაძლებლობა“.
270

ბატონო, მოხერხებულად უპასუხა მღვდელმა, ხელი დაიდევით საკუთარ სხეულზე და თქვენ მონახავთ ღვთაებას თქვენივე ორგანოების განსაცვიფრებელ აღნაგობაში.

„ბატონო ჰოლმს, უპასუხა საუნდერსონმა, – ყოველივე ეს, გიმეორებთ ისეთი მშვენიერი არაა ჩემთვის, როგორიც თქვენთვისაა. მაგრამ დავუშვათ, რომ ცხოველური მექანიზმი ისე სრულყოფილია, როგორც თქვენ ამტკიცებთ, – მე მზად ვარ ეს დაგიჯეროთ, ვინაიდან პატიოსანი კაცი ხართ და ვიცი ჩემს მოტყუებას არ ინდომებთ, – რა დამოკიდებულება აქვს ამას უმაღლეს გონიერ არსებასთან? თუ თქვენ გაკვირვებთ ეს მექანიზმი, შეიძლება, იმიტომ, რომ მიჩვეული ხართ სასწაულად ჩათვალოთ ყოველივე, რაც თქვენს ძალას აღემატება. მე ისე ხშირად ვყოფილვარ თქვენი გაკვირვების საგანი, რომ ცუდი აზრი შევადგინე მასზე, რაც თქვენ გაკვირვებთ. მე მოვიზიდე ხალხი ინგლისის მიყრუებული კუთხეებიდან. მათ ვერ გაეგოთ თუ როგორ ვასწავლიდი მე გეომეტრიას. დამეთანხმეთ, რომ ამ ხალხს არ ჰქონდა სავსებით ზუსტი წარმოდგენა შესაძლებლობის შესახებ. თუ რომელიმე მოვლენა აღემატება, ჩვენი აზრით, ადამიანის ძალას, ჩვენ მაშინვე ვამბობთ: აქ ღ ვ თ ი ს ხე ლ ი ა. ჩვენი პატივმოყვარეობა არ კმაყოფილდება ნაკლებით. უკეთესი არ იქნებოდა რომ ჩვენს მსჯელობაში ცოტად ნაკლები თავმოყვარეობა და ცოტათი მეტი ფილოსოფია შეგვეტანა? თუ ბუნება რაიმე, ძნელად გასახსნელ კვანძს წარმოგვიდგენს, დავტოვოთ ის ჩვენ ისე, როგორც არის, და ნუ შევეცდებით გავსჭრათ იგი იმ არსების ხელით, რომელიც შემდეგ ჩვენთვის ახალ კიდევ უფრო ძნელად გასახსნელ კვანძად გადაიქცევა. ჰკითხეთ ინდოელს, თუ როგორაა რომ დედამიწა ჰაერშია დაკიდებული. ის თქვენ გისასუხებთ, რომ დედამიწა სპილოს ზურგზეა დაყრდნობილი. მაგრამ თვითონ სპილო რაზე დგას? კუზე; და კუ რაზეა დაყრდნობილი?.. ეს ინდოელი თქვენში სიბრალულს იწვევს; მაგრამ შეიძლებოდა თქვენთვის იგივე მეთქვა, რაც იმ ინდოელისათვის: „ბატონო ჰოლმს, ჩემო მეგობარო, სცანით ჯერ თქვენი უმეცრება და გამანთავისუფლეთ სპილოსა და კუსაგან“.

საუნდერსონი ერთი წუთით შეჩერდა. ის უცდიდა, ალბათ, პასუხს მღვდელმსახურისაგან; მაგრამ საიდან უნდა მიიტანო იერიში ბრმაზე?

ბ-ნმა ჰოლმასმა ისარგებლა საუნდერსონის კარგი შეხედულებით მის პატიოსნებაზე და ნიუტონის, ლაიბნიცის, კლარკის და ზოგიერთი სხვა თავის თანამემამულის – მთელი ქვეყნის უდიდესი გენიოსების – შემეცნებაზე და რომლებმაც ყველამ, გაოცებულებმა ბუნების სასწაულებით, სცნეს მის შემქმნელად ვინმე გონიერი არსება. უეჭველია, ეს ყველაზე

უფრო ძლიერი საბუთი იყო, რომელიც ამ მღვდელმსახურს საუნდერსონის წინააღმდეგ შეეძლო წამოეყენებია. და, მართლაც, ჩვენი კეთილი ბრმა დასთანხმდა, რომ თავხედობა იქნებოდა უარყოფა იმისა, რაც ვერ მიიჩნია არარაობად ისეთმა კაცმა, როგორიც ნიუტონია. მაგრამ მან მაინც მიაქცია მღვდელმსახურის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ნიუტონის მოწმობა არ შეიძლებოდა ისე დამაჯერებელი ყოფილიყო მისთვის, როგორც თვით ნიუტონისათვის იყო დამაჯერებელი მთელი ბუნების მოწმობა; და რომ ნიუტონი ემყარებოდა ღმერთის სიტყვას, ის კი იძულებული იყო ნიუტონის სიტყვას დამყარებოდა.

„მიიღეთ მხედველობაში, ბატონო ჰოლმს, დაუმატა მან, რა დიდი ნდობა უნდა მქონდეს მე თქვენი და ნიუტონის სიტყვებისადმი. მე ვერაფერს ვერ ვხედავ და მაინც დასაშვებად მიმაჩნია განსაცვიფრებელი წესრიგის არსებობა ყოველივეში; მაგრამ, იმედი მაქვს, მეტს არ მოითხოვთ ჩემგან. მე მზად ვარ დაგითმოთ შეხედულება მსოფლიოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ სამაგიეროდ მე მოვითხოვ თქვენგან თავისუფლებას ვიფიქრო ის, რაც მე მინდა, მის თავდაპირველი და ძველი მდგომარეობის შესახებ, რომლის მიმართ თქვენც ისეთივე ბრმა ხართ როგორიც მე. აქ თქვენ არავითარი მოწმე არ შეგიძლიათ ჩემს წინააღმდეგ წამოაყენოთ; და არც თქვენი თვალები მოგეხმარებათ რასმე. ამიტომ, იფიქრეთ, თუ გნებავთ, რომ ასეთი თქვენთვის გასაოცარი წესრიგი ყოველთვის არსებობდა; მაგრამ, ნება მომეცით ვიგულვო, რომ ასე არ არის და ჩვენ რომ დაგვეწყო აღსვლა დროისა და საგნების წარმოშობისაკენ, დაგვეწყო განხილვა იმისა, თუ როგორ ამოძრავდა მატერია და განიბნა ქაოსი, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე კარგად ორგანიზებულ არსებას წავაწყდებოდით უამრავ უფორმოთა შორის. თუ მე არაფერი შემიძლია თქვენს წინააღმდეგ წამოვაყენო საგნების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, მათ წარსულ მდგომარეობაზე ხომ მაინც შემიძლია კითხვა მოგცეთ. მე შემიძლია, მაგალითად, შეგეკითხოთ თქვენ, შევეკითხო ლაიბნიცს, კლარკს, ნიუტონს – საიდან იცით, რომ ცხოველები თავის პირველ გაჩენისას არ იყვნენ ზოგი უთავო და ზოგი უფეხო? მე შემიძლია ვამტკიცო, რომ ზოგ მათგანს კუჭი არ ქონდა, სხვებს კი ნაწლავები; რომ ისეთებს, რომელთაც კუჭის, სასისა და კბილების ქონა თითქო ხანგრძლივ არსებობას უქადდა, დაიღუპნენ, ფილტვებში ან გულში რაიმე ნაკლულოვანების მიზეზით; რომ თანდათან მოისპნენ ურჩხულები; რომ მატერიის ყველა უხეირო კომბინაცია გაქრა და რომ დარჩა მხოლოდ ისეთნი, რომელთა აღნაგობანიც სერიოზულ წინა-

აღმდეგობებს არ შეიცავდნენ და რომელთაც შეეძლოთ თავისთავად
არსებობა და თავისი მდგომარეობის გაგრძელება.

„დავუშვათ, რომ თუ პირველ ადამიანს ხორხი დახურული ექ-
ნებოდა, თუ ის მოკლებული იქნებოდა სათანადო საკვებს, რაიმე ნაკ-
ლი აღმოაჩნდებოდა სქესობრივ ორგანოებში, ვერ მონახავდა მეუღ-
ლეს თავის მსგავს არსებათა შორის ან რომელიმე სხვა სახის ცხო-
ველს დაუკავშირებოდა, მაშინ, ბატონო ჰოლმს, რა უნდა დამარ-
თოდა ადამიანთა მოდგმას? იგი მოხვდებოდა სამყაროს საერთო განწ-
მენდის პროცესში; და ის ამაყი არსება, რომელსაც ადამიანი ეწო-
დება, მატერიის მოლეკულებში გახსნილი და გაბნეული, შეიძლება
სამუდამოდ დარჩენილიყო შესაძლებლობათა რიცხვში.

„რომ არასოდეს არ ყოფილიყვნენ უფორმო არსებანი, თქვენ,
რასაკვირველია, შეგეძლოთ გემტკიცებიათ, რომ ისინი არც არასოდეს
იქნებიან და რომ მე ფანტასტიკურ ჰიპოთეზებში ვვარდები; მაგრამ, –
განაგრძობდა საუნდერსონი, – წესრიგი ჯერ არც ისეთი დასრულე-
ბულია, რომ ხანგამოშვებით მახინჯი ქმნილებები არ გამოჩნდნენ“.
შემდეგ ამისა, შეაბრუნა რა სახე მღვდელმსახურისაკენ, მან დაუ-
მატა: „შემომხედეთ კარგად, ბატონო ჰოლმს, მე თვალები არა
მაქვს. რა დავუშავეთ ღმერთს ისეთი ან თქვენ ან მე, რომ თქვენ გქო-
ნოდათ ეს ორგანო, მე კი მას მოკლებული ვყოფილიყავი?“

როდესაც საუნდერსონი ამ სიტყვებს ამბობდა, მას ისეთი გულ-
ახდილობა და რწმენა ეწერა სახეზე, რომ მღვდელს და ყველა სხვა
იქ დამსწრეებს არ შეეძლოთ არ გაენაწილებიათ მისი ჭმუნვა-ნაღვე-
ლი, და ცხარე ცრემლებით დაიტირეს მათ მისი ბედი. ბრმამ შენიშნა
ეს. ,,ბატონო ჰოლმს, უთხრა მან მღვდელმსახურს, თქვენი გულკე-
თილობა მე კარგად ვიცოდი და ძლიერადაც ვგრძნობ მის დამამ-
ტკიცებელ საბუთს, რომელსაც თქვენ მე მაძლევთ ამ უკანასკნელ
წუთებში. მაგრამ, თუ მე თქვენთვის ძვირფასი ვარ, სასიკვდილოდ
გამზადებულს, მე ნუ მომისპობთ იმ სანუგეშო რწმენას, რომ მე არა-
სოდეს არავისათვის არ მიწყენინებია“.

შემდეგ ამისა მან უფრო მტკიცე ხმით დაუმატა: „ამრიგად,
მე ვვარაუდობ, რომ თავდაპირველად, როდესაც დუღილში მყოფმა
მატერიამ წარმოშვა მსოფლიო, ჩემი მსგავსები უხეშნი იყვნენ, მაგ-
რამ ნუთუ მე უფლება არა მაქვს იგივე ვთქვა სამყაროებზე, რასაც
ცალკეულ ცხოველებზე ვფიქრობ? რამდენი ულაზათო და მახინჯი
სამყარო მოისპო, გარდაიქმნება და, შეიძლება ისპობა კიდეც ყო-
ველ წუთს შორეულ სივრცეებში, რომელსაც მე ვერ ვაღწევ ჩემი
შეხებით, თქვენ კი ვერ ჰხედავთ, მაგრამ, სადაც მოძრაობა განაგრ-
ძობს და არასოდეს არ შესწყვეტს მატერიის გროვათა კომბინირებას,
სანამ ერთგვარად ჩამოყალიბებულ განლაგებას არ მიიღებს, რომ-
ლის, საშუალებითაც შესძლებდა ის არსებობის განგრძობას? ოჰ, ფი-

ლოსოფოსებო! გადაქროლდით ჩემთან ერთად ქვეყნიერების საზ-
ღვარისაკენ; გადასცილდით ჩემი შეხების საზღვარს, სადაც თქვენ
სჭვრეტთ ორგანიზებულ არსებებს; თვალით გასწვდით ამ ახალ ოკეა-
ნეს და სცადეთ მონახოთ მის უსწორ-მასწორო მღელვარებაში იმ
გონიერი არსების ნატამალი, ვის სიბრძნესაც აქ თქვენ განცვიფრე-
ბაში მოჰყავხართ!

„მაგრამ გჭირდებათ კი თქვენი მშობლიური სტიქიის მიტოვება?
რას წარმოადგენს ეს ქვეყანა, ბატონო ჰოლმს? ეს ცვლილებისაკენ
მიდრეკილი შენაერთია, რომელსაც მუდმივ განადგურების ტენდენცია
ახასიათებს; ეს იმ არსებათა დაჩქარებული ცვლაა, რომლებიც ერთმა-
ნეთს მისდევენ, ერთიმეორეს ეხეთქებიან და ჰქრებიან; ეს – წარმავა-
ლი სიმეტრიაა; ხანმოკლე წესრიგია. მე წეღან გისაყვედურებდით, რომ
საგნების სრულმყოფელობაზე თქვენ თქვენივე საკუთარი ნიჭის მიხედ-
ვით მსჯელობთ; მაგრამ მე ასევე შემეძლო გამემტყუნებიეთ ამაში,
რომ თქვენ მათ ხანგრძლივობას თქვენივე საკუთარი სიცოცხლის ხან-
გძლივობით ზომავთ, ქვეყნიერების განუწყვეტლივ არსებობაზე თქვენ
ისე მსჯელობთ როგორც ბუზი-მედღეურა თქვენს არსებობაზე.
ქვეყნიერება მარადიულია თქვენთვის ისე, როგორც თქვენ მარა-
დიული ხართ იმ არსებისათვის, რომელიც მხოლოდ ერთს წამს ცო-
ცხლობს; და შეიძლება, მწერი თქვენზე უფრო გონიერიც იყოს. ეფე-
მერთა თაობის როგორი უზარმაზარი რიგი მოწმობს თქვენს მა-
რადიულობას! როგორი განუზომელი გადაცემაა! მიუხედავად ამისა,
ჩვენ ყველანი გარდავალთ და ვერავინ ვერ შესძლებს მონახოს ვერც
ის რეალური სივრცე, რომელიც ჩვენ გვეკავა, ვერც ის ზუსტი დრო,
რომლის განმავლობაში ჩვენ ვიარსებებდით. დრო, მატერია და სივ-
რცე, შეიძლება მარტო ერთ წერტილს წარმოადგენდნენ“.

ამ საუბრის დროს საუნდერესონი უფრო მეტად ღელავდა,
ვიდრე მდგომარეობა აძლევდა ამის ნებას; შემდეგ მან ბოდვა დაი-
წყო, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, რის შემდეგაც საუნ-
დერსონი ისევ გონზე მოვიდა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ წა-
მოეძახა: „ო, ნიუტონისა და კლარკის ღმერთო, შემიწყალე მე!“ და
მაშინვე დალია სული.

ასე გათავდა საუნდერსონი. თქვენ ხედავთ, ქალბატონო, რომ
ყველა იმ არგუმენტებისა გამო, რომელნიც მან მღვდელმსახურის წი-
ნაადმდეგ წამოაყენა, ამ უკანასკნელმა ვერც კი შესძლო გაემხნევებია
ბრმა. როგორი თავის მოჭრაა იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ამ
ბრმაზე უკეთესი საბუთები არა აქვთ, რომელნიც ხედავენ და რომელ-
თაც ბუნების განსაცვიფრებელი სანახაობა უმცნიათ – მზის ამოსვლი-
დან უმცირეს ვარსკვლავის ჩასვლამდე – მისი გამჩენის არსებობაზე და

დიდებაზე! მათ აქვთ თვალები, რომელთაც საუნდერსონი მოკლებული
იყო; მაგრამ საუნდერსონს ჰქონდა წმინდა ზნეობა და კეთილმომ-

ქმედი ხასიათი, რასაც ესენი მოკლებული არიან. ამიტომ ისინი ცხოვრობენ, როგორც ბრმები; საუნდერსონი კი მოკვდა ისე თითქო თვალხილული ყოფილიყო. ბუნების ხმა მას საკმაოდ სწვდებოდა დანარჩენი ორგანოების შემწეობით და მით უფრო ძლიერი უნდა იქნეს მისი მაგალითი იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ჯიუ-ტურად იყრუებენ და იბრმავებენ თავს. მე მზადა ვარ შეგეკითხოთ, ჭეშმარიტი ღმერთი ნუთუ უფრო მეტად იყო დაფარული სოკრატე-სათვის წარმართობის წყვდიადით, ვიდრე საუნდერსონისათვის – მხედ-ველობისა და ბუნების შესახებ წარმოდგენას მოკლებულობისა გამო?

ძალიან მწყინს, ქალბატონო, რომ ჩვენდა სამწუხაროდ არ გად-მოუციათ კიდევ სხვა რაიმე საყურადღებო წვრილმანები ამ სახელო-ვანი ბრმის შესახებ. მისი პასუხებიდან იქნებ მეტი განათლება მიგ-ვეღო, ვიდრე სხვადასხვა განზრახული ცდებიდან. რა სამწუხაროა, რომ ისინი, ვინც მასთან ცხოვრობდნენ, ასე ნაკლებად ფილოსოფო-სები იყვნენ! გამონაკლისს წარმოადგენს მისი მოწაფე ბ. ვილიამ ინჩლიფი, რომელმაც საუნდერსონი მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ნახა და შეაგროვა მისი უკანასკნელი სიტყვები, რომელთაც მე ვურჩევდი ყველას ინგლისური ენის ცოტათ თუ ბევრად მცოდნეს, წაეკითხა დედანში; შრომა დაბეჭდილია 1747 წ. დუბლინში შემ-დეგი სათაურით: „ცხოვრება და ხასიათი განსვენებულ დ-რ ნიკოლოზ საუნდერსონის, კემბრიჯის უნივესტიტეტის მათემატიკის პროფესო-რის, ლუკასის მიერ დაფუძნებულ კათედრაზე, შედგენილია მისი მო-წაფის და მეგობრის ვილიამ ინჩლიფის მიერ“.

ისინი ნახავენ ამ თხუზულებაში ისეთ სიამოვნებას, სიძლიერეს, სიმართლესა და ლმობიერებას, სასიამოვნო მოთხრობას, როგორიც არცერთ სხვა ნაწერში არ მოიპოვება და რომლის მთელი სილა-მაზის გადმოცემა მე ვერ შევსძელ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ღონე ვიხმარე შემენახა იგი ჩემს თარგმანში.

1713 წ. მან შეირთო კემბრინჯის ოლქის ბოკსუორზის რექ-ტორის ბ-ონ დიკონსის ქალი, რომლიდანაც ერთი ქალ-ვაჟი შეეძინა, რომელნიც ახლაც ცოცხლები არიან. მისი უკანასკნელი გამომშვიდო-ბება ოჯახთან მეტად მგრძნობიარე იყო. „მე მივდივარ, – უთხრა მან ცოლშვილს, – იქ, სადაც ჩვენ ყველანი წავალთ; ამაშორეთ თქვენი ვაება-ჩივილი, რომელიც მე მაუძლურებს. თქვენი მწუხარება აძლიერებს ჩემს გრძნობიერებას საკუთარი ტანჯვისადმი. მე გულუტკენლად ვემშვიდობები სიცოცხლეს, რომელიც ჩემთვის მხოლოდ ხანგრძლივი სურვილი და განუწყვეტელი გაჭირვება იყო. იცოცხლეთ და იყავით

ჩემსავით კეთილმქმედნი, მაგრამ ჩემზე უფრო ბედნიერნი, და ისწავ-ლეთ ასევე წყნარად სიკვდილი“. ამის შემდეგ მან ცოლის ხელი აიღო და თავის ორივე ხელში მოიმწყვდია; სახე შემოაბრუნა და ცოლს მიაპყრო, თითქო მისი დანახვა უნდოდა, შემდეგ დალოცა თავისი ბავშვები, გადაჰკოცნა და სთხოვა წასულიყვნენ, რადგან ისინი უფ-

რო ღრმა ტკივილს იწვევენ მის გულში, ვიდრე სიკვდილის მოახლოვება.

ინგლისი ფილოსოფოსების, ცნობისმოყვარეებისა და სხვადასხვა სისტემების შემქნელი ხალხის ქყეყანაა; მიუხედავად ამისა, ბატონი ინჩლიფი რომ არ ყოფილიყო, საუნდერსონზე ჩვენ გვეცოდინებოდა მხოლოდ ის, რაც ჩვეულებრივ ადამიანებს შეეძლო ემცნოთ ჩვენთვის მის შესახებ; მაგალითად, რომ ის სცნობდა იმ ადგილებს, სადაც ერთხელ იყო ნამყოფი, კედლებისა და ქვაფენილის ხმაურობის მიხედვით, თუ ამ ხმაურობას გამოსცემდნენ, – და ასი სხვა ამგვარი რამ, რაც თითქმის ყველა ბრმისთვის ჩვეულებრივია. ნუთუ ასე ხშირია ინგლისში საუნდერსონის ყალიბის ბრმები; და განა ყოველდღე ხვდებიან ხალხს, რომელთაც სინათლე არასოდეს არ უხილავთ, და ამავე დროს ლექციები წაუკითხვათ ოპტიკაზე?

ცდილობენ მხედველობა დაუბრუნონ ბრმადშობილებს; მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, დავინახავთ, მე მგონია, რომ ფილოსოფიისათვის უმჯობესია გამოჰკითხო გონიერ ბრმას. მისგან შეიძლებოდა გაგება თუ როგორ ანარეკლს პოულობენ საგნები მის თავში. ეს შეიძლებოდა შეგვედარებია იმისათვის, თუ როგორია ამავე საგნების ანარეკლი ჩვენს თავში და ამ შედარების გზით, იქნებ გადაგველახა ის სიძნელენი, რომლებიც ასე ართულებენ და უიმედოდ ხდიან მხედველობისა და გრძნობათა ორგანოების თეორიას; მაგრამ, უნდა გამოვტყდე, რომ ვერ გამიგია რა შედეგის მიღებას ვარაუდობენ ადამიანიდან, რომელსაც მტკივნეული ოპერაცია გაუკეთეს მის მეტისმეტად ნაზ ორგანოზე, რომელსაც სულ მცირე რამ შემთხვევა აავადებს და რომელიც ხშირად ატყუებს იმ ადამიანებსაც კი, რომელთაც ეს ორგანო საღი აქვთ და რომელნიც დიდი ხანია სარგებლობენ მისი უპირატესობით. მე პირადად უფრო სიამოვნებით მოუსმენდი გრძნობათა თეორიის შესახებ რომელიმე მეტაფიზიკოსს, რომელიც გაცნობილი იქნებოდა მეტაფიზიკის პრინციპებთან, მათემატიკის ელემენტებთან და ნაწილების აღნაგობასთან, ვიდრე უსწავლელ და უვიც ადამიანს, რომელსაც კატარაქტის ოპერაციით მხედველობა აღუდგინეს. მე ნაკლებ ვენდობოდი ახლადთვალახელილი ადამიანის პასუხებს, ვიდრე იმ ფილოსოფოსის აღმოჩენებს, რომელიც კარგად დაუფიქრდებოდა სიბნელეში ამ საკითხს; ან, პოეტურად რომ ვთქვათ,

თვალებს ამოითხრიდა, რომ უკეთ გაეგო თუ როგორ სწარმოებს მხედველობა.

თუ გსურთ, რომ ცდებს რაიმე ღირებულება ჰქონდეთ, დიდი ხნიდან მაინც უნდა შეამზადოთ ცდის პირი, აღზარდოთ იგი და შეიძლება ფილოსოფოსადაც გახადოთ; მაგრამ ერთი წუთის საქმე არაა ადამიანი ფილოსოფოსად აქციო, მაშინაც კი, რომ ის ასეთად თუნდაც ითვლებოდეს და რაღა უნდა იყოს მაშინ, როცა ადამიანი ფილოსოფოსი არ არის? ან კიდევ უფრო ბევრად უარესი, როდესაც ადა-

მიანი თავის თავს ფილოსოფოსად სთვლის. ძალიან სასარგებლო იქნებოდა დაკვირვებების დაწყება ოპერაციის გაკეთების დიდი ხნის შემდეგ. ამისათვის საჭირო იქნებოდა ავადმყოფის სიბნელეში მოვლა და კარგად დარწმუნება მასში, რომ მისი ჭრილობა მორჩა და მისი თვალები საღია. მე წინაამღდეგი ვიქნებოდი იმის, რომ იგი ჯერ სინათლეზე გამოიყვანონ; ძლიერი სინათლე ჩვენ ცქერას გვიშლის; მაშ რა რიგ უნდა იმოქმედოს ასეთმა სინათლემ ორგანოზე, რომელიც უკიდურესად მგრძნობიერი უნდა იყოს, მით უმეტეს, თუ მას აქნობამდე არ მიუღია არცერთი ისეთი შთაბეჭდილება, რომელიც დამაბრმავებლად იმოქმედებდა მასზე!

მაგრამ საქმე ამით არ თავდება; მაინც საძნელო იქნებოდა მიღება ასეთნაირად მომზადებული სუბიექტიდანაც კი ყოველივესი, რაც საჭიროა და ისე ხერხიანად დასმა კითხვების, რომ მას ზუსტად ეამბნა მხოლოდ ის, რაც მასში ხდება. ეს დაკითხვა მთელი აკადემიის თანდასწრებით უნდა მოხდეს: ან უკეთესია, ზედმეტი მაყურებლების თავიდან ასაშორებლად, მხოლოდ ისეთი ხალხის მოწვევა, რომელნიც თავიანთი ფილოსოფიური, ანატომიური და სხ. ცოდნით ამისი ღირსნი იქნებოდნენ. ამისათვის დიდად გამოცდილი ხალხი და საუკეთესო ტვინები იქნებოდნენ საჭირო. ბრმადშობილის მომზადება და დაკითხვა სათაკილო არ იქნებოდა ნიუტონის, დეკარტის, ლოკისა და ლაიბნიცის შეერთებული ტალანტებისათვისაც კი.

მე დავამთავრებ ამ უამისოდაც უკვე გაჭიანურებულ წერილს ერთი კითხვით, რომელიც დიდი ხანია, რაც მოცემულია. საუნდერსონის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე დაფიქრებამ დამარწმუნა, რომ ეს საკითხი არასოდეს არ ყოფილა მთლიანად გადაჭრილი. დავუშვათ, რომ ჩვენს წინაშე ასაკოვანი ბრმადშობილია. და მისთვის უკვე უსწავლებიათ გამოცნობა შეხების საშუალებით კუბისა სფეროსაგან, რომელიც იმავე ლითონისაგან შესდგება და ისეთივე ზომისაა; ასე რომ ორივე ამ საგნებთან შეხების დროს მას შეუძლია სთქვას, თუ რომელი მათგანია კუბი და რომელი – სფერო. დავუშვათ, რომ ეს კუბი და სფერო მაგიდაზეა და ჩვენს ბრმას თვალები აეხი-

ლა; ისმის კითხვა: შესძლებდა ის მარტო მხედველობის საშუალებით და ამ საგნების ხელშეუხებლად გაერჩია ისინი ერთმანეთისაგან და ეთქვა, რომელი მათგანია კუბი და რომელი – სფერო?

ბატონმა მოლინემ, პირველმა დასვა ეს კითხვა, და სცადა პასუხის გაცემა ამაზე. ის ამტკიცებდა, რომ ბრმა ვერ შესძლებს სფეროს გამოცნობას კუბისაგან, „რადგან,– ამბობდა ის, – გამოცდილებით თუმცა მან გაიგო რა სახის ზეგავლენას ახდენს მის შეხებაზე სფერო და კუბი, მაგრამ მან არ იცის, რომ ის, რაც ამნაირი გარკვეულობით ახდენს ზეგავლენას მის შეხებაზე, უნდა სხვა რაღაცნაირ-გარკვეულობით ახდენდეს ზეგავლენას მის თვალებზე; და ასევე არ იცის მან, რომ კუბის წამოწეული კუთხე, რომელიც ასე უთანაბროდ აწვება

მის ხელს, ისეთად უნდა ეჩვენებოდეს მის თვალებს, როგორადაც ეჩვენება“.

ლოკმა, რონელსაც ამის შესახებ შეკითხეს, სთქვა: „მე სრულებით ვეთანხმები მოლინეს. მე ვფიქრობ, რომ ბრმა, მხედველობის მიღებისთანავე ვერ შესძლებდა გარკვეულის უეჭველობით ეთქვა რომელია კუბი და რომელი სფერო, თუ ის მარტო მხედველობას დაუჯერებდა, თუმცა შეხებისთანავე ის შესძლებდა, ალბათ, გაერჩია და დაესახელებია ისინი შეხების გრძნობის მიერ ფიგურებს შორის აღმოჩენილი განსხვავების მიხედვით“.

ბატონი აბატი კონდილაკი, რომლის – ც დ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს ც ო დ ნ ა თ ა წ ა რ მ ო შ ო ბ ა ზ ე – თქვენ ასეთის სიამოვნებით და სარგებლობით წაიკითხეთ და რომლის საუცხოვო ტ რ ა ქ ტ ა ტ ს ს ი ს ტ ე მ ე ბ ზ ე მე გიგზავნით ამ წერილთან ერთად, განსაკუთრერებული აზრისაა ამის შესახებ. უსარგებლო იქნებოდა მოყვანა აქ ყველა იმ მოსაზრებათა, რომლებსაც ის ეყრდნობა; ამით მე მხოლოდ წაგართმევდით სიამოვნებას – თვითონვე წაგეკითხათ თხზულება, სადაც ისინი ასე წარმტაცად და ფილოსოფიურად არიან დალაგებული და ჩემი გადმოცემით, შეიძლება, სრულებით წაგიხდენდით შთაბეჭდილებას. ამიტომ მე აღვნიშნავ აქ მხოლოდ იმას, რომ ყველა ეს მოსაზრება რომელიც სცდილობს დაამტკიცოს, რომ ბრმადშობილი ან ვერაფერს ხედავს ან ხედავს განსხვავებას კუბსა და სფეროს შორის; და რომ ამ ამოცანაში რატომღაც ჩართულია პირობა, რომ ორივე ხსენებული საგანი თითქმის ერთი ზომის, ერთი ლითონიდან გაკეთებული უნდა ყოფილიყო, სრულებით ზედმეტია, და ეს მართალიცაა; რადგან – შეეძლო მას ეთქვა, – თუ არსებითი კავშირი არაა მხედველობისა და შეხების შეგრძნობათა შორის, როგორც ამას ბ.ბ. ლოკი და მოლინე ამტკიცებენ, მაშინ მათ უნდა სცნონ, რომ შესაძლებელია ერთი ხელისდადებით დაფარული სხეული ორი

ფუტის დიამეტრის სხეულად დავინახოთ. მაგრამ ბ. დე-კონდილაკი დასძენს, რომ თუ ბრმადშობილი უყურებს საგნებს, მათს ფიგურებში განსხვავებას ამჩნევს და მერყეობს თავისი აზრი გამოთქვას მათ შესახებ, ეს მხოლოდ იმ ძლიერ ჭკუამახვილურ მეტაფიზიკურ მოსაზრებათა გამო, რომელთაც მე ახლავე აგიხსნით.

აი ორი სხვადასხვა შეხედულება ერთსა და იმავე საკითხზე, პირველხარისხოვანი ფილოსოფოსების მიერ გამოთქმული. თითქოს, მას შემდეგ, რაც ეს საკითხი ისეთმა ხალხმა გაარჩია როგორც ბ. ბ. მოლინე, ლოკი და აბატი დე-კონდილაკია, არაფერი არ უნდა დარჩენილიყო სათქმელი; მაგრამ ერთი და იგივე საგნის განხილვა იმდენი თვალსაზრისით შეიძლება, რომ გასაკვირველი არაა, თუ ის მათ ვერ ამოწურეს.

იმათ, ვინც აცხადებდა, რომ ბრმათშობილთ შეუძლიათ კუბი სფეროსაგან გაარჩიონ გამოდიოდნენ იმ ფაქტიდან, რომელიც, შეი-

ძლება საჭირო იყო გამოკვლეულიყო. სახელდობრ, საჭიროა გამორ-
კვევა შეუძლია თუ არა ბრმათშობილს, რომელსაც კატარაქტს ჩა-
მოაშორებენ, ოპერაციის შემდეგ, პირველსავე მომენტებში ისარ-
გებლოს თავისი თვალებით. მათ თქვეს მხოლოდ შემდეგი: „ბრმათ-
შობილმა, შეადარებს რა სფეროსა და კუბის შეხების საშუალებით
მიღებულ წარმოდგენას მხედველობის საშუალებით მიღებულ წარ-
მოდგენასთან, უსათუოდ უნდა გაიგოს, რომ მას ერთსა და იმავე
წარმოდგენასთან აქვს საქმე; და მისი მხრივ უცნაურობა იქნებოდა
მტკიცება, რომ კუბი ვითომ სფეროს წარმოდგენას აძლევს მის
მხედველობას, სფერო კი კუბის წარმოდგენას. ამიტომ, მხედველობით
სარგებლობის დროს ის კუბად და სფეროდ შეიცნობს მას, რასაც
კუბად და სფეროდ ცნობდა შეხებით სარგებლობის დროს“.

მაგრამ, როგორი იყო პასუხი და მსჯელობა მათი მოწინააღმ-
დეგებისა? ისინიც ასევე ფიქრობდნენ, რომ ბრმადშობილი თვა-
ლის გაჯანსაღებისთანავე დაინახავდა; მათ წარმოადგინეს, რომ
თვალს, რომელსაც კატარაქტი ჩამოაცალეს, იგივე დაემართება, რაც
ხელს, რომელსაც დამბლამ გაუარა; ისე, როგორც ხელს ვარჯიში არ
სჭირდება იმისათვის, რომ იგრძნოს, თვალიც არ საჭიროებს ვარ-
ჯიშს, იმისათვის, რომ დაინახოს; და ამას მათ დაუმატეს: დავუ-
შვათ, რომ ბრმათშობილი რამდენადმე უფრო ფილოსოფოსია,
ვიდრე თქვენ ამას სცნობთ; თქვენივე მსჯელობიდან გამომდინარე,
ის განაგრძობს: რა ვიცი ეგებ ახლოს რომ მივიდე ამ საგნებთან და
ჩემი ხელები დავადო, იმედები არ გამართლდეს და კუბმა სფეროს
შთაბეჭდილება მომცეს, სფერომ კი – კუბისა? მარტო გამოცდილებას
შეუძლია მიჩვენოს, არის თუ არა შესატყვისობა მხედველობასა და

შეხებას შორის; ეს ორი გრძნობა, შეიძლება, ეწინააღმდეგებიან
ერთმანეთს, და მე კი ამისი არაფერი ვიცი. შეიძლება უბრალო მოჩ-
ვენებად ჩავთვლიდი იმას, რაც ახლა ჩემს თვალწინ დგას, რომ ჩემთვის
არ შეეტყობინებიათ, რომ ეს იგივე სხეულია, მე რომ მანამდი თი-
თებით ვეხებოდი. სიმართლე გითხრათ, ეს სხეული მე მეჩვენება
იმად, რასაც მე კუბს ვუწოდებდი; და ის კიდევ, რასაც მე სფეროს
ვუწოდებდი, – კუბად. მაგრამ მე ხომ იმას არ მეკითხებიან თუ რა
მეჩვენება მე, არამედ იმას თუ რაა სინამდვილეში; და ამ კითხვაზე
კი მე არ შემიძლია პასუხის გაცემა“.

ამ მსჯელობასო, ამბობს ავტორი „ ც დ ი ს ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს
ც ო დ ნ ა თ ა წ ა რ მ ო შ ო ბ ა ზ ე“ შეუძლია დააბნიოს ბრმათშობილი;
და მხოლოდ ცდას ძალუძს, ჩემის აზრით, მასზე პასუხის გაცემა.
უეჭველია, რომ აქ აბატ დე-კონდილაკს მხედველობაში აქვს თვით
ბრმათშობილის ის განმეორებითი ცდა, რომელიც გამოსაცადი სხეულე-
ბის მეორედ ხელის შეხებაში გამოიხატება. თქვენ ახლავე მიხვდებით,
თუ რატომ ვაკეთებ მე ამ შენიშვნას. ამ ნიჭიერ მეტაფიზიკოსს
შეეძლო დაემატებია თავის ნათქვამზე, რომ ბრმადშობილთათვის

არავითარი უაზრობა არაა ორ ამ გრძნობათა შორის წინააღმდეგობის დაშვება, მით უმეტეს, რომ ისინი ფიქრობენ, როგორც ეს მე ზემოთ აღვნიშნე, ვითომ მართლაც სარკე აგდებდეს მათ ასეთ წინააღმდეგობაში.

ბ. დე-კონდილაკი აღნიშნავს, რომ ბ. მოლინემ გაართულა საკითხი სხვადასხვა პირობებით, რომელთაც არ შეუძლიათ არც გააადვილონ, არც მოსპონ ის სიძნელენი, რომელთაც მეტაფიზიკა შეიძლება ჰქმნიდეს ბრმადშობილისათვის. ეს შენიშვნა მით უფრო სწორია, რომ ბრმადშობილში მეტაფიზიკის დაშვება უადგილო არაა; რადგან ასეთ ფილოსოფიურ კითხვებში ცდები ყოველთვის ფილოსოფოსზე უნდა აწარმოონ, ე. ი. ისეთ პირზე, რომელიც გაიგებს დასმულ შეკითხვებში ყველაფერს, რასაც მისი მსჯელობა და მისი ორგანოების მდგომარეობა ნებას მისცემს შეამჩნიოს.

აი, ქალბატონო, მოკლედ ყველა მოსაზრება, დამადასტურებელიც და საწინააღმდეგოც, – ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული; მე გავარჩევ ამ მოსაზრებათ და თქვენ დაინახავთ, თუ რამდენად არ ესმოდათ თავისი მოსაზრების სისწორე იმ პირებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ბრმათშობილს შეუძლია სხეულების დანახვა, ფიგურების ერთმანეთისაგან გარჩევა; და რამდენადაც ისინი, ვინც ამას უარყოფდნენ, მართალნი იყვნენ, როდესაც ფიქრობდნენ, რომ ისინი არ სცდებოდნენ.

280

საკითხში ბრმათშობილის შესახებ, თუ მას უფრო ფართო თვალსაზრისით მიუდგებით, ვიდრე ეს ბ-ნმა მოლინემ ქნა, ორი სხვა საკითხია მოთავსებული და ჩვენ თითოეულს მათგანს ცალკ-ცალკე განვიხილავთ. შეიძლება ვიკითხოთ: 1. ბრმადშობილი მაშინვე დაინახავს როგორც კი კატარაქტის ოპერაცია დამთავრდება თუ არა?
2. იმ შემთხვევაში კი თუ დაინახა, საკმარისია თუ არა, რომ ფიგურები გაარჩიოს; შესძლებს თუ არა ის, მათი დანახვის დროს, როგორც შეხების დროს, სრულიად დარწმუნებით უწოდოს მათ იგივე სახელები, როგორსაც შეხების დროს უწოდებდა; და შეიძლებს თუ არა ის დაამტკიცოს, რომ ეს სახელები სწორედ მათ შეეფერება.

დაუყოვნებლივ თვალების განკურნებისთანავე დაინახავს თუ არა ბრმადშობილი? ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ ის ვერ დაინახავს, ამბობენ: „როგორც კი ბრმადშობილს თვალებით სარგებლობის საშუალება მიეცემა, მაშინვე მისი პერსპექტივაში მოქცეული მთელი სანახაობა აღიბეჭდება მისი თვალის ფსკერზე. ეს გამოსახულება, პაწაწკინტელა სივრცეზე შექუჩული საგნების დაუსრულებელი სიმრავლიდან შემდგარი, წარმოადგენს ფიგურების ბუნდოვან ხროვას, რომელთაც ის ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევს, თითქმის ყველა აღიარებს, რომ მხოლოდ გამოცდილებას შეუძლია ასწავლოს მას მსჯელობა საგნებს შორის მანძილების შესახებ და რომ ის იძულებულია მიუახლოვდეს და ისევ შეეხოს, რათა სავსებით დარწმუნდეს,

რომ ისინი მისი საკუთარი სხეულის ნაწილები არ არიან, რომ ისინი
მის გარეშე დგანან და რომ ის ხან უახლოვდება ხან კი შორ-
დება მათ. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ გამოცდილება არაა მის-
თვის საჭირო ამ საგნების შესამჩნევლად? გამოცდილების გარეშე,
მას, ვინც პირველად ხედავს საგნებს, უნდა ეფიქრა, (თუ კი ეს
საგნები შორდებიან მას, ან თვით ის შორდება მათ), როცა ისინი
მისი მხედველობის გარეშე რჩებიან, ისინი სწყვეტენ არსებობას,
რადგან მხოლოდ ჩვენი გამოცდილება მუდმივი საგნების მიმართ,
რომელთაც იმავე ალაგზე ვპოულობთ, სადაც დავტოვეთ, გვარ-
წმუნებს ჩვენ მასში, რომ ისინი განაგრძობენ არსებობას მაში-
ნაც, როდესაც ჩვენ მათ ვშორდებით. შეიძლება ამიტომაა, რომ ბავ-
შვები ასე სწრაფად პოულობენ ნუგეშს, როდესაც მათ სათამაშოებს
მოაცილებენ. ვერ ითქმის რომ ისინი სწრაფად ივიწყებენ მათ. თუ
მხედველობაში იქნება მიღებული ის, რომ არიან ორწლინახევრის
ბავშვები, რომლებმაც სიტყვების მნიშვნელოვანი ნაწილი იციან და
რომ სიტყვების გამოთქმა მათთვის უფრო ძნელია, ვიდრე დამახსოვ-
რება, ადვილი იქნება დათანხმება მასზე, რომ ბავშვობის დრო, ეს
მახსოვრობის დროა. ამიტომ განა უფრო ბუნებრივი არ იქნებოდა

გვეფიქრა, რომ ამ შემთხვევაში ბავშვები წარმოიდგენენ ვითომ საგ-
ნებმა, რომელთაც ისინი ვეღარ ხედავენ, არსებობა შესწყვიტეს,
მით უმეტეს, რომ მათი სიხარული თითქოს აღტაცებასთანაა შე-
რეული, როდესაც ხელახლა გამოჩნდებიან მათ მხედველობიდან გამ-
ქრალი საგნები? მათი აღმზრდელები ეხმარებიან მათ არმყოფ არსე-
ბებზე წარმოდგენის შექმნაში, როდესაც ეთამაშებიან, რაც გამოიხა-
ტება იმაში, რომ ფარავენ სახეს და უცბად აიხდიან ხოლმე მას. ამის
მეოხებით ბავშვები ასჯერ რწმუნდებიან ხუთმეტი წუთის განმავლობა-
ში, რომ ის, რაც უჩინარი ხდება, ამით არსებობას არ სწყვეტს. აქედან
გამოდის, რომ მხოლოდ გამოცდილება გვაძლევს ჩვენ წარმოდგენას
საგნების განუწყვეტელ არსებობაზე; რომ შეხების საშუალებით ჩვენ
წარმოდგენას ვიძენთ მათი მანძილის შესახებ; რომ, შეიძლება, თვალმა
ისე უნდა ისწავლოს ხილვა, როგორც ენამ ლაპარაკი, რომ გასაკვირვე-
ლი არაფერი იქნებოდა, რომ აუცილებელი გამხდარიყო ერთი ამ
გრძნობათაგანის დახმარება მეორეზე და, რომ, შესაძლებელია, შე-
ხების გრძნობა, რომელიც გვარწმუნებს საგნების ჩვენს გარეშე არ-
სებობაში იმ დროს, როდესაც ისინი ჩვენს თვალწინ არიან, აგრეთვე
იმ გრძნობასაც წარმოადგენდეს, რომელიც მოვალეა, მე არ ვამბობ
დაგვიმოწმოს მათი მოხაზულობა და სხვა თვისებები, არამედ დაგ-
ვიდასტუროს მათი თანაყოფიერებაც“.

ამ მსჯელობათ ავსებენ ჩისლდენის სახელგანთქმული ცდებით.
ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ამ დახელოვნებულმა დოსტაქარმა კა-
ტარაქტი ამოაცალა, დიდხანს ვერ არჩევდა ვერც სიდიდეს, ვერც
მანძილებს, ვერც მდებარეობას და ვერც საგნების მოხაზულობას.

როდესაც მის თვალწინ დგამდნენ ერთი დიუმის ოდენა საგანს, რომელიც ფარავდა მისგან სახლს, ის მას სახლის ოდენა ეჩვენებოდა. ყველა საგნები მას თითქოს თვალებზე ედო; და ასე ეგონა, რომ ისინი მიდებული არიან ამ ორგანოზე როგორც შეხების საგნები მოედებიან კანს. მას არ შეეძლო გაერჩია ის საგანი, რომელიც ხელების საშუალებით მრგვალად მიაჩნდა, იმისგან, რომელიც კუთხოვანად მიაჩნდა; ან თვალით გაერჩია,ზევით თუ ქვევითაა ნამდვილად ის, რაც შეხებით ათვისებული იყო, როგორც ზევით ან ქვევით მყოფი. დიდის გაჭირვების შემდეგ დარწმუნდა ის, რომ მისი სახლი მის ოთახზე დიდია, მაგრამ სრულებით ვერ გაიგო თუ რანაირად შეეძლო თვალს მიეცა ამის შესახებ წარმოდგენა. მრავალი განმეორებითი ცდების ჩატარება შეიქნა საჭირო რათა ის დარწმუნებულიყო, რომ ფერწერა მკვრივ საგნებს გამოხატავს; და როდესაც სურათების მრავალჯერ დათვალიერების შემდეგ დარწმუნდა, რომ თვალწინ ხედავს არა მარტო ზედაპირებს, დაადო ხელი და გაკვირვებული დარჩა, რომ

სრულიად გლუვ სიბრტყესთან ჰქონდა საქმე; მაშინ მან იკითხა, თუ რომელი ატყუებდა მას, შეხების გრძნობა, თუ მხვედველობის გრძნობა. ასეთივე შთაბეჭდილება მოახდინა ფერწერამ იმ ველურებზედაც, რომელთაც პირველად ნახეს სურათები. მათ ცოცხალ ადამიანებად მიიჩნიეს დახატული ფიგურები, გამოკითხვა დაუწყეს მათ და ძლიერ გაკვირდნენ, როცა ვერავითარი პასუხი ვერ მიიღეს მათგან. რასაკვირველია, მათი შეცდომა არ წარმომდინარეობდა იმიდან, რომ ისინი ნაკლებად შეჩვეული იყვნენ ხედვას.

მაგრამ რა პასუხი უნდა მიეცეს სხვა სიძნელეებს? მართლაც, გამოცდილი თვალი ასაკოვან ადამიანს შესაძლებლობას აძლევს უკეთ უყუროს საგნებს, ვიდრე გამოუცდელი, და უჭკუო თვალი ბავშვისა და ბრმადშობილისა, რომელსაც კატარაქტი ჩამოაცალეს. იხილეთ, ქალბატონო, აბატ დე-კონდილაკის ყველა მოსაზრებანი, რომლებიც მოყვანილია მისი შრომის „ ც დ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს ც ო დ ნ ა თ ა წ ა რ მ ო შ ო ბ ა ზ ე“ – ბოლოში, სადაც ის, ბ-ნ დე-ვოლტერის მიერ გადმოცემულ ჩისლდენის ცდებს არჩევს. აქ გარკვეულობით და დამაჯერებლობით მოთხრობილია თუ როგორ მოქმედობს სინათლე თვალებზე, რომლებიც მას პირველად განიცდიან და რა პირობებს უქმნიან მას ამ ორგანოში მოთავსებული სითხეები, რქოვანა გარსი, ბროლი. და ყოველივე ეს ეჭვს აღარ ტოვებს იმაში, რომ მხედველობა ძლიერ უსრული და ნაკლოვანია ხოლმე ბავშვში, რომელმაც პირველად გაახილა თვალი, ან ბრმაში, რომელსაც ახლახან ოპერაცია გაუკეთეს.

ამ სახით უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ბევრს ისეთ რამეებს ვამჩნევთ საგნებში, რასაც ვერც ბავშვი და ვერც ბრმათშობილი ვერ ამჩნევენ, თუმცა მათ თვალთა სიღრმეში ეს საგნები სისრულით აღიბეჭდებიან; რომ საკმარისი არაა საგნების მარტო მოხვედრა ჩვენს მხედ-

ველობაში; რომ აუცილებლად საჭიროა კიდევ ყურადღების მიქცევა
მათგან მიღებულ შთაბეჭდილებებზე; რომ, მაშასადამე, ვერაფერს
ვერ ვხედავთ, როდესაც პირველად მოვიხმართ თვალებს; რომ პირ-
ველ მომენტებში მხედველობა იწვევს მარტო ბუნდოვან შეგრძნო-
ბებს, რომელთაც მხოლოდ დროთა განმავლობაში ეძლევათ გარკვე-
ულობა და მას შემდეგ, რაც მივეჩვიეთ დაფიქრებას იმაზე, რაც ჩვენს
შიგნით ხდება; რომ მხოლოდ გამოცდილება გვასწავლის ჩვენ შეგრძნო-
ბების შედარებას მათ გამომწვევ მოვლენებთან; რომ, ვინაიდან შეგრ-
ძნობებს არსებითად არაფერი აქვთ რა საერთო საგნებთან, მხოლოდ
გამოცდილებას მივყევართ იმ ანალოგიებამდე, რომლებიც, ალბათ,
პირობითი ხასიათის არიან. ერთი სიტყვით, უეჭველია, რომ შეხება
ძლიერ ეხმარება თვალს საგანსა და მისგან წარმოშობილ წარმოდ-

გენას შორის გაარკვიოს ზუსტი შესაბამისობა; და მე ვფიქრობ, რომ
თუ ბუნებაში ყოველივე დაუსრულებელ ზოგად კანონებთან შეუ-
თანხმებლად წარმოებდეს; თუ, მაგალითად, მკვრივი სხეულით დაჩ-
ხვლეტა მტკივნეული ყოფილიყო და სხვა რომელიმე საგნებით კი –
სასიამოვნო, ჩვენ ისე დავიხოცებოდით, რომ ას მემილიონედამდე
ნაწილსაც კი ვერ მივიღებდით იმ გამოცდილებისას, რომელიც ჩვენ
სხეულის დასაცავად და საკეთილდღეოდ გვჭირდება.

მაგრამ მე სრულებით არ ვფიქრობ, რომ თვალს თვითონ არ
შეეძლოს შესწავლა, ან თუ შეიძლება ასე ვთქვათ, გამოცდილების
მიღება, თავისივე თავიდან. რომ დარწმუნდე შეხების საშუალებით
საგნების არსებობაში და მათ მოხაზულობაში, სრულიად არაა საჭი-
რო დანახვა იმისა, თუ რატომაა აუცილებელი შეხება, რომ იმასშივე
დარწმუნდე მხედველობის საშუალებით:, მე ვიცი შეხების ყველა უპი-
რატესობანი, და არც დამიფარავს ისინი, როდესაც ლაპარაკი გვქონ-
და საუნდერსონზე და ბრმაზე პუიზოდან; მაგრამ ახლა მათს ამ
უპირატესობებს მე არ ვცნობ. ადვილად გასაგებია, რომ შესა-
ძლებელია გაუმჯობესდეს და დაჩქარდეს ერთერთი გრძნობის ორ-
განოთი სარგებლობა, რომელიმე მეორე გრძნობის ორგანოს შემ-
წეობით; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიმე არსებითი დამო-
კიდებულებაა მათ ფუნქციებს შორის. თავისთავად ცხადია, სხეულ-
ში არის ისეთი თვისებები, რომელთაც ჩვენ ხელშეუხებლად ვერას-
ოდეს ვერ შევამჩნევდით; ასე, მხოლოდ შეხება მიგვითითებს ჩვენ
ზოგიერთ ისეთ თავისებურობათა თანაყოფიერებაზე, რომელთაც
თვალები მხოლოდ მაშინ შეამჩნევენ, როდესაც შეხება გააფრთხი-
ლებს მათ ამის შესახებ; მაგრამ ეს დახმარება ურთიერთულია;
და იმათში, რომელთაც მხედველობა უფრო გამახვილებული აქვთ,
ვიდრე შეხება, სწორედ პირველი ამ გრძნობათაგანი მიუთითებს
მეორეს ისეთ საგანთა და თავისებურობათა არსებობაზე, რომლე-
ბიც თავის სიმცირის გამო ადვილად გამოეპარებოდნენ მას. თქვენ-
და შეუმჩნევლად რომ ჩაედოთ თქვენს ცერთა და სალოკ თითს

შუა ქაღალდი ან რაიმე სხვა გლუვი, თხელი და მოქნილი ნივთიე-
რება, მარტო თქვენ თვალს შეეძლო ეცნობებია თქვენთვის, რომ
ხსენებული თითები უშუალოდ არ ეხებიან ერთიმეორეს. გაკვრით
აღვნიშნავ, რომ ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო ძნელი იქნებო-
და ბრმის მოტყუება, ვიდრე თვალხილულისა.

ცოცხალსა და სულდგმულ თვალს, უეჭველია, ძლიერ გაუჭირ-
დებოდა დაჯერება იმისა, რომ გარეშე საგნები მის საკუთარ ნაწი-
ლებს არ წარმოადგენენ, რომ ის ხან უახლოვდება და ხან კი შორ-
დება მათ; რომ მათ- არკვეული მოხაზულობა აქვთ, რომ ისინი

მეტ-ნაკლები არიან ერთმანეთთან შედარებით, რომ მათ სიღრმე აქვთ
და სხვ., მაგრამ მე არავითარი ეჭვი არ მეპარება, რომ დროთა გან-
მავლობაში ის დაინახავდა მათ და დაინახავდა საკმარისად გარკვეუ-
ლად რომ უხეშად მაინც გაერჩია თუ სად თავდება ერთი და სად იწყე-
ბა მეორე. უარყოფა ამისა მოვლენათა დავიწყება იქნებოდა, ეს მხედ-
ველობის მთავარი ორგანოების დანიშნულებათა უგულვებელყოფა იქ-
ნებოდა; ეს იქნებოდა ვერ დანახვა იმისა, რომ არ არსებობს ისეთი
დახელოვნებული მხატვარი, რომელსაც შეეძლოს აღდგენა ჩვენს თვალ-
თა სიღრმეში აღბეჭდილ მინიატურათა სიზუსტისა და სილამაზისა,
რომ არაა არაფერი ისეთი ზუსტი, როგორც ამ ნახატის მსგავსება
წარმოდგენილ საგნებთან; რომ ამ ნახატის ტილო არც ისე მცირეა
რომ არავითარი არევ-დარევა არაა ფიგურებს შორის; რომ მათ დაახ-
ლოვებით ნახევარი დიუმის ოთხკუთხი უკავიათ: და რომ საზოგადოდ
ზედმიწევნით ძნელია ახსნა იმისა, თუ როგორ შეიძლებოდა შეხებას
შეესწავლებია თვალისათვის ხედვა თუ კი ამ უკანასკნელი ორგანოს
მოხმარება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა პირველის დაუხმარებ-
ლად.

მაგრამ მე არ დავკმაყოფილდები უბრალო ვარაუდებით და
ვიკითხავ თუ ეს შეხება ასწავლის თვალს ფერების გამოცნობას. მე
არ ვფიქრობ, რომ ასეთი არაჩვეულებრივი უპირატესობა მიაწეროს
ვინმემ შეხებას. ეს რომ დავუშვათ, მაშინ საკმარისი იქნებოდა გვე-
ჩვენებია ბრმისათვის, რომელსაც მხედველობა დაუბრუნეს, შავი კუბი
და წითელი სფერო დიდ თეთრ ფონზე, რომ მას არ დაეყოვნებია
ამ ფიგურათა საზღვრების გამოცნობა.

შეუძლიათ მიპასუხონ, რომ ის დააყოვნებს სწორეთ იმდენ
ხანს, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ თვალის სითხეებმა სათა-
ნადო მდგომარეობა აითვისონ; რქოვანა გარსმა მხედველობისათვის
საჭირო სიმრუდე მიიღოს; გუგა სათანადო გაფართოებასა და შევიწ-
როვებას, რომელნიც მას ახასიათებენ, მიეჩვიოს; ბადურის ბოჭკოების
მგრძნობიარობა სინათლის მიმართ მეტისმეტად დიდი ან მცირე არ
იყოს; ბროლმა ჯეროვნად აწარმოვოს ის წინა და უკან მოძრაობა,
რომელსაც მას მიაწერენ; ან კუნთებმა წესიერად შეასრულონ თა-
ვიანთი ფუნქციები; მხედველობის ნერვები მიეჩვიონ შეგრძნობათა

გადაცემას; თვალის მთელი კაკალი შეეგუოს სხვადასხვა აუცილებელ მდგომარეობათ და ყველა მისმა შემადგენელმა ნაწილებმა შეთანხმებულად ითანამშრომლონ იმ მინიატურის მიღებაში, რომელიც ასე სასარგებლოა იმის დასამტკიცებლად, რომ თვალი თვითონ თავის თავს ავარჯიშებს.

285

მე ვაღიარებ, რომ, რაც უნდა მარტივი იყოს სურათი, რომელსაც მე ბრმადშობილს ვაჩვენებ, ის მხოლოდ მაშინ შესძლებს გაარჩიოს მისი ნაწილები, როდესაც მხედველობის ორგანო ყველა აღნიშნულ პირობებს შეასრულებს; მაგრამ, შეიძლება, ერთი წამი იყოს საჭირო მათ შესასრულებლად; და ძნელი არ იქნებოდა, თუ რომელიმე რთულ მანქანას, მაგალითად, საათს შეუფარდებდით ზემოთმოყვანილ მსჯელობას, დაგვემტკიცებია, ყველა იმ მოძრაობათა ანალიზის საშუალებით, რომელიც ზამბარის შემცველ ყუთში, შპინდელში, ბორბლებში, ფირფიტებში, ქანქარაში და სხვ. სწარმოებს, რომ თხუთმეტი დღე დასჭირდება ისარს ერთი წამის მანძილის გასავლელად. თუ მეტყვიან, რომ ეს მოძრაობანი ერთდროული არიან, მე ამაზე ვუპასუხებ, რომ შეიძლება, იგივე სწარმოებდეს თვალშიდაც, როდესაც ის პირველად აიხილება, და მსჯელობათა უმრავლესობისათვისაც, რომელნიც ამას შედეგად მოსდევენ. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, გარკვეული პირობების დროს, რომელნიც თვალს მხედველობისათვის მოეთხოვება, უნდა ვსცნოთ, რომ ის იღებს მათ, არა შეხებიდან, არამედ თვითონ ითვისებს მათ და რომ, მაშასადამე, თვალი მიაღწევს ფიგურების გარჩევას, რომელნიც მასში აღიბეჭდებიან, მეორე გრძნობის დაუხმარებლად.

მაგრამ, იტყვიან, როდის მიაღწევს ის ამას? შეიძლება გაცილებით უფრო ადრე, ვინემ ამას ფიქრობენ. გახსოვთ თქვენ, ქალბატონო, ცდა ჩაზნექილ სარკეზე, როდესაც თქვენთან ერთად მეფის ბაღის კაბინეტს ვეწვიეთ, და რა შიში ნახეთ როდესაც დაინახეთ, რომ ისეთივე სისწრაფით გიახლოვდებოდათ თქვენ დაშნის წვერი, როგორითაც სარკის ზედაპირს უახლოვდებოდა იგივე წვერი, რომელიც თქვენ ხელში გეკავათ? მაგრამ თქვენ ხომ უკვე მიჩვეული იყავით – სარკეში გამოხატული საგნების გადატანას მის გარეშე. ამრიგად, საგნები ან მათი გამოსახულება რომ შენიშნო იქ, სადაც ისინი სინამდვილეში არსებობენ, ცდა არც ისე აუცილებელი და უტყუარია, როგორც ამას ფიქრობენ. თქვენმა თუთიყუშმაც კი მომცა ამისი საბუთი. პირველად რომ თავის თავი სარკეში დაინახა, ნისკარტი მიადო მას და, ვერ შეეხო რა თავის თავს, რომელიც მან სხვა თუთიყუშად მიიღო, სარკეს უკნიდან მოუარა. მე არ მსურს იმაზე მეტი ძალა მივაკუთვნო თუთიყუშის მოწმობას, რამდენიც მას სინამდვილეში ენიჭება; მაგრამ მაინც ეს ცდა ცხოველზეა ნაწარმოები, სადაც წინასწარ აზრს მონაწილეობა არ მიუღია.

მაგრამ, მე რომ მითხრან, ესა და ეს ბრმადშობილი ორი

თვის განმავლობაში მერ ამჩნევდა ვერაფერსო, მე ეს სრულებითაც
არ გამიკვირდებოდა. მე მხოლოდ იმ დასკვნას გამოვიტანდი, რომ

აუცილებელია ორგანოს ვარჯიშობა, მაგრამ მისი გავარჯიშებისათვის
სრულიად არაა აუცილებელი შეხება. მე კიდე უფრო დავრწმუნდე-
ბოდი მასში, რომ საჭიროა ერთ ხანს ბნელ ოთახში მოთავსება ბრმად-
შობილისა თუ სურთ მასზე დაკვირვებანი აწარმოონ; რომ საჭიროა თა-
ვისუფალი ვარჯიშობის შესაძლებლობა მისცენ მის თვალებს, როგორც
ის უფრო მოხერხებულად მოიქცეოდა სიბნელეში, ვიდრე დღის სინათ-
ლეზე; და ამ ცდების დროს დასტოვეთ იგი ერთგვარ ბინდში ან, ყოველ
შემთხვევაში თქვენს ნებაზე იქონიეთ სინათლის მომატების ან მოკლე-
ბის შესაძლებლობა იმ ადგილას, სადაც ცდები იწარმოებს. კიდევ მომხრე
ვიქნები, რომ ამგვარი ცდები ყოველთვის დიდად საძნელო და ფრიად
არასაიმედო იქნებიან; და რომ ფაქტიურად ყველაზე უფრო მოკლე
თუმცა პირველი შეხედვით ყველაზე უფრო გრძელი გზა, ეს არის
ცდის პირს ის ფილოსოფიური ცოდნა მისცეთ, რომელიც საშუა-
ლებას აღმოუჩენდა მას შეედარებია ერთმანეთისათვის მის მიერ განც-
დილი ორივე პირობა და ეამბნა ჩვენთვის თუ რა განსხვავებაა ბრმისა
და თვალხილული ადამიანის მდგომარეობათა შორის. კიდე ერთხელ,
რას უნდა მოელოდე ადამიანიდან, რომელიც დაფიქრებასა და საკუ-
თარ განცდათა ანალიზს ჩვეული არაა და რომელსაც, ჩისლდენის ბრმის
მსგავსად, არაფერი არ გაეგება მხედველობის უპირატესობათა შესახებ
და ამიტომ არც თავის უბედურებას გრძნობს და არც ის ესმის თუ
რამდენ სიამოვნებასაა მოკლებული მხედველობის უქონლობის მიზე-
ზით? საუნდერსონს, რომელსაც, ვერ ეტყვიან უარს ფილოსოფოსის
წოდებაზე, რასაკვირველია, არ გამოუჩენია ასეთი გულგრილობა
და ვეჭვობ, რომ ის იგივე აზრისა ყოფილიყო, რაც მშვენიერი
ტ რ ა ქ ტ ა ტ ი ს ს ი ს ტ ე მ ე ბ ზ ე – ავტორი. ვფიქრობ, რომ ეს უკა-
ნასკნელი ფილოსოფოსი თვითონ გახდა რომელიმე პატარა სისტემის
მსხვერპლი, როდესაც ამბობდა – „რომ, თუ ადამიანის ცხოვრება
მხოლოდ სიამოვნებათა ან ტანჯვათა განუწყვეტელი შეგრძნობა ყო-
ფილიყო, ბედნიერი პირველ შემთხვევაში უბედურების წარმოუდგენ-
ლად, უბედური მეორე შემთხვევაში – ბედნიერების წარმოუდგენლად,
განცხრომაში ან ტანჯვაში იქნებოდა; და თითქოს თუ მისი ბუნება
ამგვარი ყოფილიყო, არ დაიწყებდა აქეთ-იქეთ ცქერას იმისი გამო-
სარკვევად, ზრუნავს თუ არა რომელიმე არსება მისს კეთილდღეობაზე
ან დაზარალებაზე: და რომ მხოლოდ შენაცვლებითმა გარდასვლამ
ერთ ამ მდგომარეობიდან მეორეში ასწავლა მას აზროვნება და სხვ.“

ნუთუ თქვენ ჰფიქრობთ, ქალბატონო, რომ ერთი ნათელი
პერცეპციიდან მეორე ნათელ პერცეპციაზე გადასვლით (რადგან ასეთია
ჩვენი ავტორის ფილოსოფოსობის მეთოდი, რომელიც კარგია) ის
ოდესმე მივიდოდა ასეთ დასკვნამდე? ბედნიერება და უბედურება

ისეთივე დამოკიდებულებაში არ არიან ერთმანეთთან, როგორშიც – სიბნელე და სინათლეა: ერთი არაა მეორის უბრალოდ მოკლება. შეიძლება ჩვენ დავრწმუნებულიყავით, რომ ბედნიერება ისევე აუცილებელია ჩვენთვის, როგორც აზრი და არსებობა, რომ დაუბრკოლებლივ შეგვძლებოდა ბედნიერებით დატკბობა; მაგრამ ამას ვერ ვიტყვი მე უბედურობის შესახებ. ფრიად ბუნებრივი იქნებოდა, ჩაგვეთვალა ის როგორც იძულებითი მდგომარეობა – უდანაშაულოდ გვეგრძნო თავი, მაგრამ მაინც დანაშაულად ჩაგვეთვალა და ბუნებისათვის დაგვედო ბრალი ან გვიპატიებია, ისე როგორც ყველა იქცევა.

ნუთუ ბატონ დე-კონდილაკს ჰგონია თითქოს ბავშვი მიტომ ჩიოდეს ტანჯვის დროს, რომ დაბადების დღიდან განუწყვეტლივი ტანჯვა არ განუცდია? თუ ის მიპასუხებს; „რომ ყოველთვის ტანჯვაში მყოფი ადამიანისათვის არსებობა და ტანჯვა ეთრიდაიგივე იქნებოდა და ის ვერ წარმოიდგენდა, რომ შესაძლებელია მისი ტანჯვის შეწყვეტა მისი არსებობის შეუწყვეტლად“-ო, შეიძლება-თქო, მივუგებდი მე მას. განუწყვეტლივ ტანჯული ადამიანი არ იტყვის; – რა ვქენი ისეთი, რომ ვიტანჯები? – მაგრამ ვინ დაუშლის სთქვას – რა ვქენი ისეთი, რომ ვარსებობ? მაგრამ მე ვერ ვხედავ მიზეზს თუ რატომ არ შეეძლებოდა მას ორივე სინონიმური ზმნის ხმარება – მ ე ვ ა რ ს ე ბ ო ბ და მ ე ვ ი ტ ა ნ ჯ ე ბ ი, ერთი მათგანისა – პროზისათვის, მეორე კი პოეზიისათვის, ისე როგორც ჩვენ ვხმარობთ ორ გამოთქმას მ ე ვ ც ხ ო ვ რ ო ბ და მ ე ვ ს უ ნ თ ქ ა ვ. თუმცა თქვენ თვით დარწმუნდებით, ქალბატონო, და ჩემზე უკეთესადაც, რომ ეს სიტყვები, ბატონ აბატ დე-კონდილაკის წიგნიდან ამოღებული, საუცხოვოთაა დაწერილი, და ვშიშობ, რომ, შეადარებთ რა ჩემს კრიტიკას მის მსჯელობას, თქვენ არ სთქვათ, რომ გირჩევნიათ მონტენის მიერ დაშვებული შეცდომა, შარონის ჭეშმარიტებას.

კიდევ განზე გადაუხვიეთო, მეტყვით თქვენ. დიახ, ქალბატონო, მაგრამ ხომ ასეთია ჩვენი შეთანხმება? აი, ახლა ჩემი აზრი ზემოთდასმულ ორ კითხვაზე. მე ვფიქრობ, რომ თვალების პირველ ახელვის თანავე ბრმადშობილები ვერაფერს ვერ დაინახავენ; რომ მათს თვალებს რამდენიმე ხანი დასჭირდება გამოცდილების მისაღებად; მაგრამ ამ გამოცდილებას ის თავისთავადვე მიიღებს შეხების გრძნობის დაუხმარებლათ და რომ ის ისწავლის არამარტო ფერების გარჩევას, არამედ საგნების ტლანქი საზღვრების გარჩევასაც. ახლა ვნახოთ, (შესძლებს თუ არა ის ამას იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ მან ეს ჩვეულება ძლიერ ჩქარა მიიღო ანდა მიიღო იგი თავის თვალების ვარჯიშობით სიბნელეში, რომელშიდაც ის მოათავსეს იმ

პირობებით, რომ ევარჯიშებია იქ რამდენიმე ხნის განმავლობაში ოპერაციის შემდეგ, სანამ მასზე ცდებს შეუდგებოდნენ; ვნახოთ,

ვამბობ მე, შესძლებს თუ არა ის იცნოს მხედველობის საშუალებით საგნები, რომელსაც ის შეეხებოდა, და უწოდოს მათ, შესაფერი სახელები. მე მრჩება გადასაჭრელად ეს უკანასკნელი კითხვა,

მაქვს რა სურვილი ისე განვმარტო იგი, როგორც თქვენ მოგეწონებათ, – რადგან თქვენ მეთოდიურობა გიყვართ, – მე გავარჩევ რამდენიმე ტიპს ადამიანებისას, რომლებზედაც ცდების გაკეთება შეიძლება. მე ვფიქრობ, რომ, თუ ჩვენ უხეშ, უვიც, გაუნათლებელ და მოუმზადებელ პირებთან გვექნება საქმე, როდესაც კატარაქტის ოპერაცია მოსპობს ორგანოს ნაკლს, და თვალი საღი შეიქნება, საგნები მასში სავსებით მკაფიოდ აღიბეჭდებიან, მაგრამ, ეს პირნი სრულიად არ არიან შეჩვეულნი მსჯელობას, არ იციან რა მათ რა არის შეგრძნობა, წარმოდგენა, არ ძალუძთ რა შეადარონ შეხების საშუალებით მიღებული წარმოდგენები, მხედველობის საშუალებით მიღებულ წარმოდგენებს, ისინი იტყვიან: აი წრე, აი კვადრატი, და სრულებით შეუძლებელი იქნება მათ მსჯელობაზე დაყრდნობა; ან კიდევ ისინი გულუბრყვილოდ აღიარებენ, რომ ვერავითარ მსგავსებას ვერ ამჩნევენ დანახულ საგნებსა და იმ საგნებს შორის, რომელთაც ისინი წინათ ეხებოდნენ.

არიან სხვა პირნიც, რომლებიც, შეადარებენ რა მხედველობის საშუალებით შემჩნეული საგნების მოხაზულობას, ამავე საგნებიდან ხელის საშუალებით მიღებულ მოხაზულობას, და შეეხებიან რა აზრობრივად მათგან დაშორებულ ამ სხეულებს, იტყვიან ერთის შესახებ, რომ – ეს კვადრატია, მეორის შესახებ, რომ ეს წრეა, მაგრამ გარკვეულად არ ეცოდინებათ რატომ; რადგან შედარება შეხების გზით მიღებულ წარმოდგენისა, მხედველობის გზით მიღებულ წარმოდგენებთან, არ ხდება მათში იმდენად მკაფიოდ, რომ მათ შეეძლოთ თავიანთი მსჯელობის ჭეშმარიტებაში დარწმუნება.

მე გადავალ, ქალბატონო, პირდაპირ მეტაფიზიკოსზე, რომელზედაც ვთქვათ, ეს ცდები აწარმოეს. მე არავითარი ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ საგნების შემჩნევისთანავე ის დაიწყებდა მსჯელობას მათ შესახებ ისე, თითქო მთელი სიცოცხლე ხედავდა მათ; და რომ, შეადარებდა რა მხედველობის შემწეობით მიღებულ წარმოდგენებს შეხების გზით მიღებულ წარმოდგენებს, ის ისეთივე დარწმუნებით იტყოდა, როგორც თქვენ და მე: „მე სარწმუნოდ ვფიქრობ, რომ აი ეს ის სხეულია, რომელსაც მე ყოველთვის წრეს ვუწოდებდი, აი ის კი – სხეულია, რომელსაც მე ყოველთვის კვადრატს ვუწოდებდი; მაგრამ სიფრთხილის გამო მე მაინც ვერ ვიტყვი, რომ ეს ასეა.

საიდან ვიცი, რომ, თუ მე მათ მივუახლოვდი, ისინი ანაზდად არ გაჰქრებიან ჩემს ხელქვეშ? საიდან ვიცი, რომ ჩემი მხედველობის საგნები ჩემივე შეხების საგნებიც უნდა იქნენ? რა ვიცი, თუ ის, რაც ჩემთვის ხილვადია, აგრეთვე შეხებადია; მაგრამ ეს დაურწმუნებლობა კიდევ რომ არ მქონოდა, და რომ დამეჯერებია მე ახლობლების

სიტყვა, რომ, ის, რასაც მე ვხედავ, მართლაც ისაა, რასაც მე ვე-
ხებოდი, ამით მე არ ვიქნებოდი მეტად წინ წასული. ამ საგნებს
ძალიან კარგად შეეძლებოდათ გადასხვაფერებულიყვნენ ჩემს ხელქვეშ
და შეხების მეშვეობით მოეცათ ჩემთვის მხედველობით მიღებუ-
ლი, სრულიად საწინააღმდეგო შეგრძნობანი. ბატონებო, დაუმა-
ტებდა ის, ეს სხეული მე წრედ მეჩვენება, ის კი – კვადრატად, მაგ-
რამ მე არაფერი ვიცი, თუ ისინი ისეთივე არიან შეხებისათვის,
როგორც – მხედველობისათვის“.

თუ ჩვენ მეტაფიზიკოსს გეომეტრით შევცვლით, ლოკს – საუნ-
დერსონით, უკანასკნელის მსგავსად ის იტყვის, რომ თუ თავისი
თვალებისა სჯერა, მაშინ ორ ხილულ ფიგურიდან ამას უწოდებდა
კვადრატს, იმას კიდევ წრეს: „რადგან, მე ვამჩნევ, დაუმატებდა იგი,
რომ მხოლოდ პირველში შემიძლია მე ძაფების გაჭიმვა და მსხვილ-
თავიანი ქინძისთავის მოთავსება, რომელნიც აღნიშნავდნენ კვადრატის
კუთხეების წერტილებს; და რომ მხოლოდ მეორეში შემიძლია მე
ძაფების ჩახაზვა ან მის გარშემო შემოხაზვა, რომლებიც საჭირონი
იყვნენ ჩემთვის წრის თვისებათა დასამტკიცებლად. აი, მაშასადამე,
წრე, აი, მაშასადამე, კვადრატი! მაგრამ, შეეძლო დაემატებია მას
ლოკთან ერთად, შეიძლება, რომ, როდესაც მე ხელებს შევახებ ამ ფი-
გურებს, ისინი გარდაიქმნებიან ერთიმეორედ, ისე რომ ერთიდაიგივე
ფიგურა შეიძლება გამომადგეს რომ ბრმებს წრის თვისებანი დავუმ-
ტკიცო, თვალხილულებს კი – კვადრატის თვისებანი. შეიძლება მე
კვადრატი დავინახო და იმავე დროს ვიგრძნო წრე. არა, – გაუსწო-
რებდა ის თავისთავს, – მე ვცდები. იმ პირებს, რომელთაც მე წრის
და კვადრატის თვისებებს ვუმტკიცებდი, ჩემს საანგარიშო დაფაზე
ხელები არ ეწყოთ და არ ეხებოდნენ ძაფებს, რომლებიც მე გავ-
ჭიმე და რომლებიც ჩემი ფიგურებს საზღვრავდნენ; მიუხედავად
ამისა, ისინი მე მიგებდნენ. მაშასადამე, ისინი კვადრატს არ ხე-
დავდნენ იმ შემთხვავაში როდესაც მე წრეს შევიგრძნობდი, უამი-
სოდ ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს ვერ შევუთანხმდებოდით;
მე მათ ამ შემთხვევაში ერთს ფიგურას დავუხაზავდი და მეო-
რის თვისებებს კი დავუმტკიცებდი; მე მათ სწორ ხაზს წრე-
ხაზის რკალად წარვუდგენდი, წრე ხაზის რკალს კი – სწორ ხაზად.
მაგრამ, ვინაიდან ისინი ყველა მე მიგებდნენ, აქედან სჩანს, რომ ადა-
მიანები ყველანი ერთნაირად ხედავენ, მაშასადამე, მე ვხედავ კვად-

რატს იქ, სადაც ისინი კვადრატს ხედავენ, და სიმრგვალეს იქ, სა-
დაც ისინი სიმრგვალეს ხედავენ. ამრიგად, აი ის, რასაც მე ყო-
ველთვის კვადრატს ვუწოდებდი, და აი ის, რასაც მე ყოველთვის
წრეს ვუწოდებდი“.

მე წრეხაზი შევცვალე სფეროთი და კვადრატი კუბით, რადგან
მანძილის შესახებ, როგორც სჩანს, ჩვენ ვმსჯელობთ მხოლოდ გა-
მოცდილებით; და, მაშასადამე, ის ვინც თავის თვალებს პირველად

მოიხმარს, ხედავს მხოლოდ ზედაპირებს და არ იცის თუ რას წარ-
მოადგენენ – გამონაშვერები; მხედველობისათვის ამათუიმ სხეულის
გამონაშვერი მდგომარეობს იმაში, რომ ამ სხეულის ზოგი წერტილი
ჩვენ უფრო ახლო გვეჩვენება, ვიდრე დანარჩენები.

მაგრამ თვალის ახილვის პირველივე მომენტიდან რომ შეძლე-
ბოდა ბრმადშობილს მსჯელობა გამონაშვერებზე და სხეულის სამზო-
მიანობაზე და მას რომ მიცემოდა შესაძლებლობა ერთმანეთიდან
გაერჩია არამარტო წრე და კვადრატი, არამედ სფერო და კუბი,
მე მაინც არ ვფიქრობ, რომ ის შესძლებდა ასე გარკვეულიყო სხვა
რომელიმე უფრო რთულ საგნებში. ბატონ დე-რეომიურის ბრმათ-
შობილი ქალი, როგორც სჩანს, არჩევდა ფერებს, მაგრამ შეიძლება
ოცდაათი სანამლეოს დადება ერთის წინააღმდეგ, რომ ის სფეროსა
და კუბის სახელწოდებებს ალალბედზე იტყოდა; მე დარწმუნე-
ბული ვარ, თუ, კი ზეშთაგონება არ იყო, ის ვერ შესძლებდა თა-
ვისი საკუთარი ხელთათმანის, წამოსასხამის და ფეხსაცმელის გამო-
ცნობასაც კი. ამ საგნებში იმდენი დეტალებია, მათი მთლიანი
ფორმასა და სხეულის იმ ნაწილების ფორმას შორის, რომელთაც
ისინი ამკობენ ან ფარავენ, იმდენად ცოტაა საერთო, რომ საუნდერ-
სონისათვის ასჯერ უფრო ძნელი იქნებოდა საკუთარი ოთხკუთხი
არახჩინის დანიშნულების გამორკვევა, ვიდრე დალამბერისათვის ან
კლეროსთვის მისი დაფების მნიშვნელობის გაგება.

საუნდერსონი მაშინვე ივარაუდებდა, რომ არსებობს ერთგვარი
გეომეტრიული შეფარდება საგნებსა და მათს მოხმარებას შორის;
ამიტომ, ორი ან სამი ანალოგიის საფუძველზე, ის დაასკვნიდა, რომ
მისი არახჩინი გაკეთებულია მისი თავისათვის. აქ არაა არავითარი
თვითნებური ფორმები, რომელთაც შესძლებოდათ მისი შეცდომაში
შეყვანა. მაგრამ რა უნდა ეფიქრა მას თავისი ოთხკუთხი არახჩინის
ფოჩისა და კუთხეების შესახებ? რისთვისაა ეს კონა საჭირო? რატო-
მაა ოთხი კუთხე და არა ექვსი? შეეძლო მას შეკითხოდა თავის თავს;
და ეს ორი ცვლილება, რომელიც ჩვენთვის მშვენების საქმეა, მის-
თვის შეიქნებოდნენ უამრავ შეუსაბამო მსჯელობათა წყაროდ, ან,

უფრო სწორად, საბაბად საუცხოვო სატირისათვის მასზე, რასაც ჩვენ
კ ა რ გ ს გ ე მ ო ვ ნ ე ბ ა ს ვუწოდებთ.

თუ კითხვას ღრმად ჩაუკვირდებით, საჭიროდ დაინახავთ
სცნოთ, რომ განსხვავება იმ ორ ადამიანს შორის, რომლიდანაც
პირველი ყოველთვის ხედავდა ამათუიმ საგანს, მაგრამ მისი დანიშ-
ნულება არ იცოდა, მეორე კი თუმცა ვერ ხედავდა ხსენებულ სა-
განს, მაგრამ მისი დანიშნულება კი იცოდა – უკანასკნელისათვის სა-
სარგებლო არაა მანც. თქვენ როგორ ჰფიქრობთ, ქალბატონო,
თქვენთვის რომ დღეს პირველად ეჩვენებიათ რომელიმე სამკაული?
მიხვდებოდით თქვენ, რომ ეს – სამკაულია და ისიც თავის სამკაული
მაგრამ თუ ბრმადშობილისათვის, რომელმაც პირველად გაახილა

თვალი, მით უფრო ძნელია სწორი მსჯელობა საგნებზე, რამდენადაც მეტი ფორმებია ამ საგნებში; მაშ, რა შეუშლიდა მას ხელს უბრალო ავეჯად ან მანქანად მიეღო ჩაცმული და მის წინ სავარძელში უმოძრაოდ მჯდარი მეთვალყურე, და ხე კი, რომლის ფოთლები და შტოები ქარით ამოძრავებული იქნებოდა – სულიერ, მოაზროვნე და მოძრავ არსებად? ქალბატონო, რამდენ რამეს გვაცნობებენ ჩვენ ჩვენი გრძნობები და რა ძნელი იქნებოდა ჩვენთვის უთვალოდ გამორკვევა იმისა, რომ მარმარილოს ლოდი არც აზროვნობს და არც არაფერს განიცდის!

ამრიგად, შეიძლება დამტკიცებულად ჩავთვალოთ, რომ საუნდერსონი, ალბად, არ შეცდებოდა მარტო თავის მსჯელობაში წრის და კვადრატის შესახებ; და რომ არიან ისეთი შემთხვევებიც, სადაც სხვა ადამიანების მსჯელობას და გამოცდილებას შეუძლიათ დაეხმარონ მხედველობას მასში, რომ ის შეხების საშუალებით მიღებულ ჩვენებებში გაერკვეს და აგრეთვე აცნობონ მას, რომ, ის, რაც ასეთია თვალისათვის ასეთივეა შეხებისათვისაც.

მაინც დიდმნიშვნელოვანი იქნებოდა იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ეგრეთწოდებული მარადიული ჭეშმარიტების დამტკიცება სურთ, ამ მტკიცების შემოწმება გრძნობათა ჩვენებების უარყოფის გამო; რადგან თქვენ კარგად იცით, ქალბატონო, რომ თუ ვინმე მოისურვებდა დაემტკიცებია თქვენთვის, რომ დაფაზე პროექცია ორი პარალელური სწორი ხაზისა გადაიქცევა ორ შემხვედრ სწორ ხაზად, იმიტომ, რომ ასეთად გვეჩვენება ჩვენ ორი ხეივანი, ის ალბათ დაივიწყებდა,რომ ასეთი წინადადება იმდენადვე ჭეშმარიტულია ბრმისათვის, რამდენადაც მისთვის.

მაგრამ წინამავალი ვარაუდი ბრმადშობილზე იწვევს ორ სხვა ვარაუდს, ერთი ადამიანზე, რომელიც დაბადებიდანვე დაინახავდა მხოლოდ შეხების გრძნობას მოკლებული ყოლილიყო, და

მეორე ისეთ ადამიანზე, რომლის მხედველობა და შეხების გრძნობა მუდმივ წინააღმდეგობაში ყოფილიყვნენ ერთმანეთთან. პირველის შესახებ შესაძლებელი იქნებოდა კითხვის დასმა, გაარჩევდა თუ არა იგი სხეულებს შეხების საშუალებით თუ კი მას აღუდგენდნენ ამ გრძნობას და ამავე დროს აუხვევდნენ თვალებს. აშკარაა, რომ, თუ მას გეომეტრია ეცოდინებოდა, იგი მას უტყუარ საშუალებას მისცემდა იმის შესამოწმებლად, იძლევა თუ არა ერთიმეორის საწინააღმდეგო ჩვენებებს ეს გრძნობა. მისთვის სრულიად საკმარისი იქნებოდა ამ შემოწმების ჩასატარებლად კუბისა ან სფეროს ხელში აღება, მისი თვისებების დამტკიცება ვისთვისმე და თქმა იმ ვარაუდით, რომ მისი მტკიცება მსმენელებს ესმით, რომ სხვები კუბად უნდა ხედავდნენ მას, რასაც ის, შეხების საშუალებით, კუბად გრძნობს და რომ, მაშასადამე, მას ხელში კუბი უკავია. რაც შეეხება იმ ადამიანს, რომელმაც გეომეტრია არ იცის, მე ვფიქრობ, რომ

მისთვის უფრო ადვილი არ იქნებოდა შეხების საშუალებით კუბისა და სფეროს ერთმანეთიდან გარკვევა, ვიდრე ბატონ მოლინეს ბრმისათვის მხედველობის გზით კუბისა და სფეროს ერთმანეთისაგან გარჩევა.

რაც შეეხება ადამიანს, რომლის მხედველობა და შეხება მუდმივ წინააღმდეგობაში იქნებოდნენ, მე არ ვიცი რა წარმოდგენა ექნება მას ფორმებზე, წესრიგზე, სიმეტრიაზე, სილამაზეზე, სიმახინჯეზე და სხვ... როგორც სჩანს, ის იმავე მდგომარეობაში იქნებოდა ამ საგნების მიმართ, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით არსებათა რეალური ხანგრძლივობისა და განფენილობის მიმართ. ის იტყოდა საერთოდ, რომ ამა და ამ სხეულს ფორმა აქვს; მაგრამ იძულებული იქნებოდა გადახრილიყო იმ აზრისაკენ, რომ ეს არაა არც ის ფორმა, რომელსაც ხედავს და არც ის, რომელსაც შეხებით გრძნობს. ასეთი ადამიანი შეიძლება უკმაყოფილო დარჩებოდა თავისი გრძნობებით, მაგრამ მისი გრძნობები კი არ იქნებოდნენ არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილო თვით საგნებით. თუ ის მოისურვებდა ერთი მათგანისათვის ბრალი დაედო მატყუარობაში, მე ვფიქრობ ის თავს დაესხმოდა შეხების გრძნობას. ასი საბაბი ექნებოდა მას ეფიქრა, რომ საგნების ფიგურა იცვლება მისი ხელების მათზე მოქმედების ზეგავლენით, მაგრამ სწორედ ამ წინაზრახვის მიზეზით, განსხვავება სირბილესა, და სიმკრივეში, რომელსაც ის სხვადასხვა სხეულში შენიშნავდა, ძალიან საძნელო იქნებოდა მისთვის.

მაგრამ რაკი ჩვენი გრძნობები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან ფორმების საკითხში, განა ამიტომ ეს ფორმები ჩვენ უკეთ ვიცით? ვინ გვითხრა, რომ ჩვენ ცრუმოწმეებთან არ გვაქვს საქმე? მიუხედავად ამისა, ჩვენ ვმსჯელობთ. ეჰ, ქალბატონო, როდესაც

მონტენის სასწორზე აწყობ ადამიანის ცოდნას, ძლიერ ახლო დგები მისივე დევიზის შეთვისებასთან; რადგან, განა ვიცით ჩვენ, რა არის მატერია? სრულებითაც არა; რას წარმოადგენენ სული და აზრი? კიდევ უფრო ნაკლებ ვიცით; რა არის მოძრაობა, სივრცე და დრო? – სავსებით არაფერი არ ვიცით; გეომეტრიული ჭეშმარიტებანი? გამოკითხეთ კეთილსინდისიერ მათემატიკოსებს და ისინი თქვენ გამოგიტყდებიან, რომ ყველა მათი თეორიები იგივეობას წარმოადგენენ და რომ ტომების აურაცხელი რაოდენობა, მაგალითად, წრის შესახებ, დაუსრულებელი განმეორებაა სხვადასხვა ჰანგზე იმისა, რომ ეს – ფიგურაა, რომელშიაც ცენტრიდან წრეხაზამდე გაყვანილი ხაზები თანაბარნი არიან. ამრიგად, ჩვენ თითქმის არაფერი არ ვიცით; მაგრამ დახეთ რამდენი თხზულებაა დაწერილი, რომელთა ავტორები ამტკიცებენ, რომ მათ ვითომ რაღაც იციან. მე არ მესმის როგორ არ მოზეზრდება ხალხს კითხვა და არავითარი ცოდნის გამოტანა თუ ის არ დავუშვით, რომ აქ საფუძვლად იგივე მოსაზრება სძევს, რომლის ძალითაც მე პატივი მომეცა დღეს მთელი ორი საათი მესაუბრნა თქვენთან ისე, რომ, არც მე მომწყენია და არც თქვენთვის მითქვამს რაიმე.

*

* *

ღრმა პატივისცემით ვრჩები, ქალბატონო, თქვენს უუმორჩილეს
და უუმდაბლეს მსახურად.

294

დამატება წინა წერილის

მე განზრახვა მაქვს ქაღალდზე უწესრიგოდ გადავიტანო წინათ ჩემთვის უცნობი მოვლენები, რომლებიც დაადასტურებენ ან გააბათილებენ ზოგიერთ მუხლებს ჩემი წ ე რ ი ლ ი ს ა ს ბ რ მ ე ბ ზ ე. ოცდაცამეტი თუ ოცდათოთხმეტი წელია რაც მე იგი დავწერე; მიუდგომლად გადავიკითხე მე ის და არცთუ დიდად უკმაყოფილო დავრჩი. თუმცა მე მისი პირველი ნაწილი უფრო საინტერესოდ მეჩვენა, ვიდრე მეორე და ისიც კი ვიგრძენი, რომ შეიძლებოდა პირველის ოდნავ გაფართოვება, მეორის კი – საგრძნობლად შემცირება. მე მაინც უცვლელად დავტოვე ორივე იმისი შიშით, რომ ახალგაზრდას მიერ დაწერილ ფურცლებს ვერ გააუმჯობესებს მოხუცის შესწორება. მე მგონია, რომ დღეს ამაოდ დავიწყებდი ძებნას იმისა, რაც ზომიერია აზრებში და გამოსახვაში და ვშიშობ უძლური ვიყო შევასწორო ის, რაც გაკიცხვის ღირსია. ერთი სახელგანთქმული ჩვენი თანამედროვე მხატვარი ხარჯავს თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებს მასზე, რომ გააფუჭოს ახალგაზრდობაში შექმნილი შედევრები. მე არ ვიცი ნამდვილია თუ არა ის ნაკლულოვანებანი, რომელიც მას შეუნიშნავს მათში; მაგრამ ან მას არასოდეს არ ქონია ნიჭი, რომელიც საჭიროა ამ ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად, თუ მან ბუნების მიძაბვაში ხელოვნების უკანასკნელ საზღვარს მიაღწია, ანდა, თუ ეს ნიჭი მას ჰქონდა, დაუკარგავს, ვინაიდან ყოველივე ადამიანური ადამიანთან ერთად იღუპება. დგება ადამიანისათვის ისეთი მომენტი, როდესაც გემოვნება უკარნახებს მას რჩევას, რომლის სისწორეც მას შეგნებული აქვს, მაგრამ რომელსაც უკვე ძალა აღარა აქვს გაყვეს.

სიჯაბანე, წარმოშობილი სისუსტის შეგნებიდან, ან სიზარმაცე, რომელიც სისუსტისა და სიჯაბანის ერთი შედეგთაგანია, იწვევენ ჩემში სიძულვილს ხელი მოვკიდო იმ მუშაობას, რომელსაც შეუძლია უფრო გააუარესოს, ვიდრე გააუმჯობესოს ჩემი ნაწარმოები.

Solve senescentem mature sanus equum, ne
Peccet ad extremum ridendus, et ilia ducat.

მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი

I. ერთი მხატვარი, რომელმაც საფუძვლიანად იცოდა თავისი ხელოვნების თეორია, და არავის არ უთბობდა მას გამოყენების საქმეში, მარწმუნებდა, რომ ჯალღუზის სიმრგვალის შესახებ ის მსჯელობს არა მხედველობის, არამედ შეხების საშუალებით; ის ნელნელა ასორსალებს მას ცერსა ღა სალოკ თითშუა და შეგრძნობათა თანამიმდევრობის გზით არჩევს ერთმანეთისაგან იმ მცირე უსწორმასწორებებს, რომლებიც მის თვალებს შეუმჩნეველნი დარჩებოდა.

II. მე მიამბეს ერთი ბრმის შესახებ, რომელიც ქსოვილის ფერს შეხების საშუალებით არჩევდა.

III. მე შემეძლო, მაგალითად, მომეყვანა ერთი ბრმა, რომელიც თაიგულებს არჩევდა ერთმანეთისაგან ისეთივე სიმლივით, რომლითაც ჟან-ჟაკ-რუსსო იქებდა თავს, როდესაც ის, – ხუმრობით თუ სერიოზულად, – ეუბნებოდა ხოლმე თავის მეგობრებს, – რომ განზრახვა აქვს სკოლის გახსნა პარიზელი მეყვავილეების განსასწავლად.

IV. ქალაქ ამიენში ერთი ბრმა ხელოსანი ისე ჭკვიანად ხელმძღვანელობდა ხალხმრავალ სახელოსნოს, თითქო თვალხილული ყოფილიყო.

V. ერთ თვალხილულს მხედველობა აბრკოლებდა თავის ხელი ჯეროვანი სისწორით ემოქმედებია; თავი რომ მოეპარსა, ის სარკეს ჩამოიღებდა ხოლმე და ცარიელი კედლის წინ დადგებოდა. ვინაიდან ბრმა საფრთხეს ვერ უმზერს, ის ამიტომ უშიშარი ხდება, და მე არ ვეჭვობ, რომ ბრმა შესძლებდა გაბედული ნაბიჯით სიარულს უფსკრულზე ხიდად გაღებულ ვიწრო და მერყევ ფიცარზე. ცოტაა ისეთი ხალხი, დიდ სიმაღლეზე რომ თავბრუ არ ეხვეოდეს.

VI. ვინ არ იცნობს ან ვის არ გაუგონია სახელგანთქმული დავიელი? მე რამდენიმეჯერ დავესწარი მის ოპერაციებს. მ ა ნ კ ა ტ ა რ ა ქ ტ ი ჩ ა მ ო ა შ ო რ ა ე რ თ მ ჭ ე დ ე ლ ს, რ ო მ ე ლ ს ა ც ი გ ი მიეღო სამჭედლოს ცეცხლთან მუდმივი მუშაობის შედეგად; და ოცდახუთი წლის ბრმობაში ეს მჭედელი ისე მიჩვეოდა შეხებით მსჯელობას, რომ ძალდატანება შეიქმნა საჭირო იმისათვის, რომ აეძულებიათ იგი აღდგენილი მხედველობის ორგანოთი ესარგებლა; დავიელი ხელს ურტყამდა მას და ეუბნებოდა: უყურე შე სისხლისმსმელო... ყოფილი ბრმა კი მიდიმოდიოდა, მოქმედობდა; აკეთებდა თვალდახუჭული ყოველივე იმას, რასაც ჩვენ თვალებახელილი ვაკეთებთ.

აქედან შეიძლებოდა დასკვნა, რომ თვალები არც ისე საჭირონი არიან ჩვენი მოთხოვნილებებისათვის და აუცილებელნი ჩვენი ბედნიერებისათვის, როგორც ჩვენ ვფიქრობთ. არის კი ქვეყანაზე

ისეთი რამ, რომლის დაკარგვას ჩვენ ვერ შეურიგდებოდით სრულიად მტანჯველი და ხანგრძლივი აღკვეთის წყალობით, თუ ბუნების სანა-

ხაობა უკვე არავითარ მიმზიდველობას აღარ წარმოადგენდა დავი-
ელის ბრმისათვის? ჩვენთვის საყვარელი ქალის მზერა? მე ეს სრუ-
ლებით არა მჯერა, რა დასკვნებიც არ უნდა გამოიტანონ იმ ფაქ-
ტიდან, რომელსაც მე ახლა გიამბობთ, ჰგონიათ, რომ თუ ვინმემ
დიდი ხანი გაატარა უმხედველობით, უკანასკნელის აღდგენისთანავე
ის მზერით აღარ დაიღლება; – მაგრამ ეს არაა მართალი. რა დიდი
განსხვავებაა ხანმოკლე სიბრმავესა და ჩვეულებად გადაქცეულ სი-
ბრმავეს შორის!

VII. დანიელს მისი გულკეთილობისა გამო, საფრანგეთის ყველა
პროვინციებიდან მოაწყდა ღარიბი ავადმყოფები, რომლებიც მას შვე-
ლას ემუდარებოდნენ. მისი სახელი თავს უყრიდა მის სამუშაო ოთა-
ხში ცნობისმოყვარე, განათლებულსა და მრავალრიცხოვან საზოგა-
დოებას. მახსენდება, რომ ერთხელ მე მის ოპერაციას დავესწარი
ბატონ მარმონტელთან ერთად. ავადმყოფი იჯდა. აი მას უკვე ჩა-
მოაცალეს კატარაქტი; დავიელმა დაადო მას ხელი თვალებზე, რომ-
ლებიც ეს ესაა რაც ახილულა სინათლისათვის. ავადმყოფის გვერ-
დით, ვიღაც ღრმად მოხუცებული ქალი ცოცხალ ინტერესს ამჟღავ-
ნებდა ოპერაციისადმი; ოპერატორის თითოეულ მოძრაობაზე მთელი
მისი სხეული კანკალებდა. ქირურგმა ანიშნა მას, რომ მიახლოვე-
ბოდა და ნაოპერაციებ ავადმყოფის წინაშე დააჩოქა; მოაშორა თუ
არა მან ხელები ავადმყოფს, უკანასკნელმა თვალები გააღო, შეხედა
და იყვირა: აჰ, ეს დედაჩემია!.. მე არასოდეს არ გამიგონია უფრო
პათეტიური შეკივლება; თითქო იგი ახლაც მესმოდეს. მოხუც ქალს
გრძნობა დაეკარგა, დამსწრეთ ცრემლები წასკდათ და მათი ქისები
გულუხვად გაიხსნა მოწყალებისათვის.

VIII. იმ პირთ შორის, რომლებიც თითქმის დაბადებიდან
ბრმა იყვნენ, ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი იყო, – და იქნება –
ქალწული მელანია დე-სალინიაკი, ნათესავი სამეფო ჯარის ღენერალ-
ლეიტენანტის ბატონ დე-ლაფარგის, ჭრილობებით და პატივით შე-
მოსილი მოხუცის, რომელიც 91 წლის იყო, რომ გარდაიცვალა; ის
ასულია ქალბატონ დე-ბლასის, რომელიც ახლაც ცოცხალია და ერთ
დღეს არ ატარებს ისე, რომ მწვავე დარდით არ გაიხსენოს ბავ-
შვი, რომელიც მისი სოცოცხლის მთელ სიტკბოებას და ყველა მის
ნაცნობ-მეგობრების განცვიფრების საგანს წარმოადგენდა. ქალბა-
ტონი დე-ბლასი – თავისი მაღალი ზნეობით ცნობილი ქალია, და
შეგიძლიათ გამოჰკითხოთ მას – მართალია თუ არა ჩემი ნაამბობი.
მე მისივე კარნახით დავწერე ქალწულ დე-სალინიაკის ცხოვრების

დეტალები, რომლებიც მე, შეიძლებოდა, გამომრჩემოდა, მასთან და
მის ოჯახთან ახლო ნაცნობობის პერიოდში, – 1760 წლიდან, ვიდრე
1763 წლამდე, როდესაც ის გარდაიცვალა. ის მეტისმეტად ჭკვიანი
იყო და საუცხოვო სათნო ხასიათი, გულუბრიყვილობა და აზროვნე-
ბის იშვიათი სიმახვილე ახასიათებდა. ერთხელ მისმა ერთმა მამიდამ

სთხოვა დედამისს დახმარებოდა სადილზე მიპატიჟებული ცხრამეტი ვანდალის კარგად მიღებაში. და, აი ძმისწულმა რა განუცხადა: „მე სრულებით ვერ გამიგია, ჩემო ძვირფასო მამიდა, რა საჭიროა ვიღაც 19 ვანდალის კარგად მიღება. რაც შემეხება მე, მე მსურს კარგად მივიღო მხოლოდ ის, ვინც მიყვარს“.

ხმის ბგერა ისეთივე აღფრთოვანებას ან ზიზღს იწვევდა მასში, როგორც სახის გამომეტყველება თვალხილულთათვის. ერთი იმის ნათესავთაგანი, გადასახადების მთავარი ამკრები მოულოდნელად ცუდად მოექცა მის ოჯახს და ის გაკვირვებული ამბობდა: „ვინ იფიქრებდა ამას ასეთი ტკბილი ხმის პატრონზე?“ გალობის მოსმენის დროს ის არჩევდა შაგვრემან ხმებს და ქერა-ხმებს.

როდესაც მას ესაუბრებოდნენ, ის მსჯელობდა მოსაუბრის სიმაღლეზე ხმის მიმართულებით, რომელიც ხვდებოდა მას ზევიდან ქვეით, თუ მოსაუბრე მაღალი იყო, ან ქვემოდან ზევით, თუ ის დაბალი იყო.

მას სრულებითაც არ უნდოდა მხედველობის მიღება; როდესაც მას ერთხელ ამის მიზეზი ვკითხე, მან მიპასუხა: „საქმე იმაშია, რომ მე მაშინ მხოლოდ ჩემი თვალები მექნებოდა, ახლა კი მე ყველას თვალებით ვსარგებლობ; ჩემი ნაკლულოვანების მეოხებით მე დღეს გარემომცველთა მუდმივი ინტერესის და თანაგრძნობის საგანი ვარ; ყოველ წუთში მე დახმარებას მიწევენ და ყოველთვის მადლობელი ვარ; ეჰ! მე რომ მხედველობა მქონდეს, აღარავინ ყურადღებას არ მომაქცევდა“.

მხედველობის შეცდომები მის ფასს სცემდა მის თვალებში. „მე ვიმყოფები, – ამბობდა ის, გრძელი ხეივნის შესავალში; მის ბოლოში რომელიღაც საგანია. ერთი თქვენგანი მას მოძრავად ხედავს; მეორე კი – უძრავად. ერთი ამტკიცებს, რომ ეს ცხოველია, მეორე – რომ ეს ადამიანია. მიახლოვების შემდეგ კი ირკვევა, რომ ეს ჯირკვი ყოფილა. არავინ არ იცის მრგვალია თუ კვადრატული კოშკი, რომელიც შორიდან სჩანს. მე არ მეშინია მტვრის გრიგალის, ჩემი ახლოს მყოფნი კი თვალებს ხუჭავენ და ხშირად მთელი დღით უბედური ხდებიან იმიტომ, რომ თავის დროზე ვერ დახუჭეს. უმნიშვნე-

ლო ატომიც საკმარისია, რომ მათ ასეთი სასტიკი ტანჯვა განაცდევინოს...“ ღამის მოახლოვებისას ის ამბობდა ხოლმე, რომ ჩვენი სამეფო თავდება და მისი სამეფო იწყება. სიბნელეში მცხოვრები, შეჩვეული ფიქრს და მოქმედებას მუდმივ ღამის სრბოლაში, ის, რასაკვირველია, ტანჯვას არ განიცდიდა ჩვენთვის ასე მომაბეზრებელი უძილობისაგან. მან ვერ მაპატია იმის დაწერა, რომ ულმობელი ბრმები, მოკლებული ტანჯვის ნიშნებს, სასტიკნი უნდა იყვენ. თქვენ თუ გგონიათ, მეუბნებოდა ის, რომ ისე გესმით ჩივი-

ლი როგორც მე? – არიან უბედურნი, რომლებიც უხმოდ იტანჯებიან. მე ვფიქრობ, დასძინა მან, რომ მე უცბად მივხვდებოდი ამას და მეტ სიბრალულს ვიგრძნობი მათ მიმართ.

მას გატაცებით უყვარდა წიგნების კითხვა და გაგიჟებით – მუსიკა. „მე მგონია, ამბობდა ის, არასოდეს არ დამღალავს სიმღერა ან რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრის მოსმენა, და თუ ცაში მარტო ამ ერთი ბედნიერებით სტკბებიან, მე ძლიერ ვისურვებდი იქ ყოფნას. თქვენ მართალი იყავით, როდესაც ამტკიცებდით, რომ მუსიკა – ყველაზე უფრო წარმტაცია კაზმულ ხელოვნებებში, პოეზიისა და მჭერმეტყველების გამოუკლებლივ; რომ რასინიც კი ვერ მეტყველებდა ისეთის სინაზით, როგორც ქნარი; რომ მისი მელოდია მძიმე და ერთფეროვანი იყო, რომელიმე ინსტრუმენტის მელოდიასთან შედარებით, და რომ თქვენ ხშირად მოგინდომებიათ მიგეცათ თქვენი სტილისათვის ბახის მუსიკა, სიმსუბუქე და ძლიერება. მე ვთვლი მუსიკას ულამაზეს ენად ყველა ჩემ მიერ ცნობილ ენებიდან. მეტყველ ენებში, რამდენადაც უკეთესია გამოთქმა, მით უფრო საჭირო ხდება მარცვლების დანაწილება; მუსიკურ ენაში კი ყველა ბგერა, დაწყებული უმდაბლესიდან და გათავებული უმაღლესით, წყებად არიან განლაგებული და შეუმჩნევლად მისდევს ერთიმეორეს; ეს, ასე ვთქვათ, ერთი გრძელი და განუწყვეტელი მარცვალია, რომელიც ყოველ წუთში იცვლება ინტონაციისა და გამოთქმის მხრივ. იმ დროს, როდესაც მელოდიას ჩემს ყურთან მოაქვს ეს მარცვალი, ჰარმონია ასრულებს აურევლად უამრავ სხვადასხვა ინსტრუმენტებზე ორ, სამ, ოთხ ან ხუთ მარცვალს, რომლებიც ეხმარებიან პირველი მარცვლის გამომეტყველების გაძლიერებას, აკომპანიმენტის პარტია წარმოადგენს განმარტებას, ურომლისოდაც მე მშვენივრად შემიძლია იოლად წასვლა, თუ კომპოზიტორი – ტალანტით დაჯილდოვებული ადამიანია და შეუძლია დამახასიათებელი გამომეტყველება მისცეს თავის მელოდიას.

„მუსიკა განსაკუთრებულად გამომეტყველი და წარმტაცია ღამის დუმილში.

„მე ვრწმუნდები, რომ თვალხილულებს, რომელთა ყურადღებაც მხედველობაზეა გადატანილი, არ შეუძლიათ არც მოსმენა, არც გაგება მუსიკის ისე, როგორც მე ვუსმენ და ვიგებ მას. რატომაა, რომ ყოველი მისი ქება, რომელიც კი მესმის, მე მკრთალად და სუსტად მეჩვენება? რატომაა, რომ მე არასოდეს არ შემიძლია გამოვთქვა მასზე ის, რასაც ვგრძნობ? რატომაა, რომ მე მასზე ლაპარაკის დროს ამაოდ ვეძებ სიტყვებს, რომელთაც შეეძლებოდათ ჩემი განცდების ჯეროვანი გამოხატვა? ნუთუ ასეთი სიტყვები ჯერ მონახული არ არიან? მუსიკის მოქმედება მე შემიძლია შევადარო მხოლოდ იმ სიმთვრალეს, რომელსაც მე განვიცდი დიდი ხნის უნახავ დედას რომ ჩავეხუტები და როდესაც ხმა მეკარგება, მთელი სხეული მითრ-

თის, ცრემლები ჩამომდის, მუხლები მეკეცება; და ისე ვგრძნობ თავს, თითქო ესაა მოვკვდები სიხარულისაგან“.

მას ძლიერ და სათუთად განვითარებული ჰქონდა სირცხვილის გრძნობა; და როდესაც მე შევეკითხე მიზეზების შესახებ, მან მიპასუხა: „ეს დედაჩემთან საუბრების შედეგია; ისე ხშირად მიმეორებდა მე ის სხეულის ზოგიერთი ნაწილების დანახვა ბიწიერებას იწვევსო, რომ გამბედაობა მქონდეს მე თქვენ გამოგიტყდებოდით, რომ მხოლოდ ახლახან გავიგე მე ეს და რომ, შესაძლებელია, ამისათვის საჭირო იყო უბიწობა დამკარგოდა“.

ის გარდაიცვალა შიგნითა სასქესო ორგანოების სიმსივნით, რომლის შესახებაც მან დაიმორცხვა რაიმეს თქმა.

ტანსაცმელში, თეთრეულში, მთელს თავის პირადობაში ის მით უფრო სიფაქიზეს იცავდა, რომ, მხედველობას მოკლებული, ის არასოდეს არ იყო სრული დარწმუნებული მასში, რომ რაც საჭიროა ყველაფერი გააკეთა, რომ თვალხილულებში ზიზღი არ გამოეწვია სიბინძურის გამომჟღავნებით.

როდესაც მას რაიმე სასმელს უსხამდნენ, სითხით გამოწვეული ხმაურობის მიხედვით ის ცნობდა სავსეა მისი ჭიქა თუ არა. საჭმელს ის გასაოცარი სიფრთხილით და ხელმარჯვობით იღებდა.

ის ხანდიხან, სახუმაროდ, სარკის წინ გაჩერდებოდა მოსაკაზმავად და ისე მოხდენილად დაუწყებდა ბაძვას ოინების სამზადისში მყოფი მოკეკლუცის ყველა მანევრებისა, რომ შეუძლებელი იყო სიცილის შეკავება.

მშობლები შეეცადნენ ნორჩობიდანვე განევითარებიათ მასში დარჩენილი გრძნობები და დაუჯერებელ წარმატებას მიაღწიეს ამ მიმართულებით. შეხების საშუალებით ის იგებდა ისეთ დეტალებს სხეულთა ფორმებზე, რომლებიც ხშირად უცნობი რჩებოდათ ყველაზე უფრო თვალგამჭრიახ ადამიანებს.

მას საოცარი სიფაქიზის სმენა და ყნოსვა ჰქონდა; ჰაერიდან მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით ის ამინდის მდგომარეობის შესახებ სჯიდა, მოწმენდილია ცა თუ მოღრუბლული, ქუჩაზე მიდის ის თუ მოედანზე, ქუჩაზე თუ ჩიხში, დახურულ თუ ღია ადგილზე, დიდ ბინაშია ის, თუ პატარა ოთახში.

რომელიმე შეზღუდული სივრცის სიდიდეს ის თავისი ფეხის ხმის ან თავისივე ხმაურობის გამოძახილის მიხედვით არკვევდა. ერთი გავლით რომელიმე სახლში, ის იხსომებდა ამ სახლის მთელ ტოპოგრაფიას. ისე რომ ის აფრთხილებდა კიდეც სხვებს, იმ პატარა საფრთხეების შესახებ, რომელთაც ისინი, შეიძლება, გადაყროდნენ: გაუფრთხილდით, – ამბობდა ის, – აქ მეტისმეტად დაბალი კარია, იქ კი საფეხურს წააწყდებით.

ხმებში ის ჩვენთვის უცნობ სხვადასხვაობას პოულობდა და როდესაც რამდენჯერმე ვისიმე ხმას გაიგონებდა, ის მას სამუდამოდ

ამახსოვრდებოდა.

მას ნაკლებ იზიდავდა ახალგაზრდობის მშვენიერება და ნაკ-ლებ აძრწუნებდა სიბერის ნაოჭები. ის ამბობდა, რომ მისთვის სა-ხიფათოა მხოლოდ გონების და გულის ღირსებები. ეს სიბრმავის კიდევ ერთი უპირატესობათაგანია, განსაკუთრებით ქალებისათვის. ვერასოდეს, – ამბობდა ის, – ლამაზი მამაკაცი მე თავ-ბრუს ვერ დამახვევს.

ის მეამიტი იყო. მეტისმეტად ადვილი იყო და მეტისმეტი დაცემულობა იქნებოდა მისი მოტყუება! შეუწყნარებელი ვერაგობა იქნებოდა იძულებული გაგვხადა იგი ეფიქრა, რომ მარტოა ოთახში.

მას არასოდეს არ განუცდია პანიკური შიში; მას იშვიათად აწუხებდა მოწყენილობა; მარტოობამ ასწავლა მას თავისივე თავით დაკმაყოფილება. მან შეამჩნია, რომ გზაში, დილიჟანსებში, შეღამე-ბისას ხალხი ჩუმდება. რაც შემეხება მე, – ამბობდა ის, – მე არ მჭირდება იმათი დანახვა, ვისთანაც საუბარი მე მა-სიამოვნებს.

ყველა ღირსებებიდან, ის განსაკუთრებით აფასებდა საღ მსჯე-ლობას, და სათნოებას, და ხასიათის სიმხიარულეს.

ის ცოტას ლაპარაკობდა და ბევრს უსმენდა: მე ჩიტებს ვგევარ, ამბობდა ის, მესიბნელეში ვსწავლობ გალო-ბას.

ადარებდა რა ერთმანეთს სხვადასხვა დროს გაგონილს, ის აღშფოთებული იყო წინააღმდეგობებით ჩვენს მსჯელობაში. მისთვის თითქმის სულერთი იყო, ქებას თუ გინებას მოისმენდა ასეთ უთა-ნამიმდევრო არსებათაგან.

მას კითხვა ასწავლეს ამოჭრილი ასოების შემწეობით. მას სა-სიამოვნო ხმა ჰქონდა; ის ლამაზად მღეროდა; ის დიდის სიამოვნე-ბით გაატარებდა მთელ თავის სიცოცხლეს საკონცერტო დარბაზში, ან ოპერაში; არ სიამოვნებდა მას მხოლოდ ხმაურიანი მუსიკა. ის წარმტაცად ცეკვავდა; ის საუცხოვოდ უკრავდა ალტ-ვიოლიონზე, და ამიტომ მის საზოგადოებაში მოხვედრას სცდილობდა მისი ტოლი ახალგაზრდობა, რომ ესწავლათ მისგან მოდაში შემოსული ცეკვები და კადრილი.

ის გამორჩევით უყვარდათ დებსა და ძმებს: „აი, ამბობდა ის, რა კარგ საქმეს მიშვება მე ჩემი დანაკლისი: მე მეთვისებიან იმ სამსახურის მიზეზით, რომელსაც თვითონვე მიწევენ და იმ კრძალვის გამო, რომელსაც მე ვეწევი რომ ეს სამსახური ვიცნო და დავიმსა-ხურო მათი სიყვარული. მიუმატეთ ამას ის, რომ ჩემი ძმები და დები ამისი მოშურნენი არ არიან. მე რომ მხედველობა მქონოდა, ეს ზიანს მოუტანდა ჩემს გონებასა და ჩემს გულს. მე ამდენი საფუძ-ველი მაქვს გულკეთილი ვიყო! რაღა ვიქნებოდი მე, რომ ყურად-ღება, რომელსაც მე ახლა ვიწვევ, შეწყვეტილიყო?

როდესაც მისი მშობლები გაღარიბდნენ, ის ნანობდა მხოლოდ იმას, რომ მასწავლებლებს კარგავდა; მაგრამ ისინი ისე შეთვისებული იყვნენ მასთან და იმდენი პატივისცემა ჰქონდათ მისი, რომ გეომეტრი და მუსიკოსი დაჟინებით სთხოვდნენ მას უფასოდ მიეღო მათგან გაკვეთილები, და ის ეუბნებოდა დედამისს: დ ე დ ა, რ ო-გ ორ მ ო ვ ი ქ ც ე? ი ს ი ნ ი ხ ო მ მ დ ი დ რ ე ბ ი ა რ ა რ ი ა ნ, დ ა თ ვ ი თ ო ნ ვ ე ს ჭ ი რ დ ე ბ ა თ მ თ ე ლ ი თ ა ვ ი ა ნ თ ი დ რ ო.

მას ასწავლეს მუსიკა ამობურცული ნოტების შემწეობით, რომლებიც განლაგებული იყვნენ დიდი მაგიდის ზედაპირზე ამაღლებულ ნახაზებზე. ის ხელით კითხულობდა ამ ნოტებს; ასრულებდა მათ თავის ინსტრუმენტებზე და სწავლის მცირე ხანში ისწავლა ვრცელი და ურთულესი მუსიკალური ნაწარმოების დაკვრა.

მან იცოდა ასტრონომიის, ალგებრისა და გეომეტრიის საწყისი. დედამისი, რომელიც მას აბატ დე-ლაკაილის წიგნს უკითხავდა, ხანდისხან შეეკითხებოდა ხოლმე მას, ესმოდა თუ არა წაკითხული. მ შ ვ ე ნ ი ვ რ ა დ ო, უპასუხებდა ის.

ის ირწმუნებოდა, რომ გეომეტრია ნამდვილი ბრმების მეცნიერებაა, რადგან ის დიდ ყურაღებას მოითხოვს და მასთან ერთად შესაძლებლობას იძლევა მასში სხვისი დაუხმარებლად წარმატებისათვის. გ ე ო მ ე ტ რ ი – დაუმატებდა ის, თ ი თ ქ მ ი ს მ თ ე ლ თ ა ვ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს თ ვ ა ლ დ ა ხ უ ჭ უ ლ ი ა ტ ა რ ე ბ ს.

302

მე ვნახე რუკები, რომლების საშუალებითაც ის გეოგრაფიას სწავლობდა. პარალელები და მერიდიანები იქ თითბერის მავთულებით იყო გამოხატული, სახელმწიფოების და პროვინციის საზღვრები აღნიშნული იყვნენ ქაღალდის, აბრეშუმის და მატყლის სხვადასხვა სიმსხვილის ძაფებით; მდინარეები, ღელეები და მთები, მეტ ან ნაკლებ მსხვილთავიანი ქინძისთავებით; ცოტად თუ ბევრად დიდი ქალაქები კი – სანთლის სხვადასხვა სიდიდის წვეთებით.

ერთხელ მე მას ვუთხარი: ქალიშვილო, წარმოიდგინეთ კუბი.
– მე უმზერ მას – წარმოიდგინეთ წერტილი კუბის ცენტრში. – მზათაა. გაიყვანეთ ამ წერტილიდან კუბის კუთხეებამდე სწორი ხაზები; ამით თქვენ გაყოფთ კუბს – ექვს თანასწორ პირამიდად, დაუმატა მან თვითონ, რომელთაც გვერდები თანაბარი აქვთ, საფუძვლად კუბის გვერდი და სიმაღლით – მისი ნახევარი. – ეს მართალია, მაგრამ სად ხედავთ თქვენ ამას? ჩემს თავში, ისევე, როგორც თქვენ.

უნდა ვაღიარო, რომ მე ვერასოდეს ვერ გავიგე ხეირიანად, თუ როგორ წარმოიდგენდა ის ფიგურებს თავში, მათ გაუფერადებლად. ეგებ ეს კუბი შეიქმნა შეხების შეგრძნობათა მოგონებებიდან. ეგებ მისი ტვინი გარდაიქმნა თავისებურ ხელად, რომელიც თითქო შეხებით სინჯავს საგნებს? ეგებ, დროთა განმავლობაში, რაღაც შესაბამობა დამყარდა ორ სხვადასხვა გრძნობის შორის? რატომ ჩვენში არ არსებობს ეს კავშირი და რატომ მე ვერ ვხედავ ჩემს თავში

ვერაფერს გაუფერადებლად? რა არის ბრმა ადამიანის წარმოდგენა? ეს მოვლენა არც ისე ადვილი ასახსნელია როგორც ამას ფიქრობენ.

ის წერდა ქინძისთავის საშუალებით, რომლითაც ის ჩხვლეტდა ქაღალდის ფურცელს, გადაჭიმულს ორ მოძრავ, პარალელურ ფირფიტიდან ისე, რომ ფირფიტებს შორის შუალედი რჩებოდა ერთი სტრიქონისათვის. ამავე ხერხით სარგებლობდა ის საპასუხო წერილებისათვის, რომლითაც ის კითხულობდა თითის წვერის გადავლებით იმ მცირე უსწორობაზე შექმნილი ქინძისთავით, ან ნემსით ქაღალდის მეორე მხარეზე.

ის კითხულობდა მხოლოდ ცალ გვერდზე დაბეჭდილ წიგნს. რომ ასეთნაირად დაბეჭდა მისთვის წიგნი. იმდროინდელ ჟურნალ „მერკიურში“ მოთავსებულ იქნა ერთი მისი წერილი.

მას ეყო მოთმინება ნემსის საშუალებით გადაეწერა მ ო კ ლ ე ი ს ტ ო რ ი ა პრეზიდენტ ენოსი, და მე მივიღე ქალბატონ დე-ბლასიდან, მისი დედიდან, ეს საყურადღებო ხელთნაწერი.

აი, ფაქტი, რომელსაც ძნელად თუ ვინმე დაიჯერებს, მიუხედავად იმისა,რომ ამას მთელი მისი ოჯახი, თვითონ მე და ოცამდე კიდევ სხვა ცოცხალი პიროვნება დაადასტურებენ; თუ კი მას თორ-

მეტ-თოთხმეტ სტროფიან ლექსიდან, პირველ ასოს ეტყოდნენ და აგრეთვე ასოების რაოდენობას, რომლიდანაც თითოეული სიტყვა შესდგებოდა, ის გამოიცნობდა მთელ მოცემულ ლექსს, როგორი უცნაურიც არ ყოფილიყო იგი. მე მასთან ცდა ვაწარმოვე კოლეს პაროდიებზე. ის წააწყდებოდა ხანდახან უფრო მოხდენილ გამოთქმებს, ვიდრე თვითონ პოეტს ჰქონდა.

ის ძლიერ სწრაფად უყრიდა ძაფს უუწვრილეს ნემსშიაც კი, გადაჭიმავდა რა ძაფს მარცხენა ხელის სალოკ თითზე და შემდეგ ამისა გააძვრენდა მას მეტისმეტად წვრილი წვეტის შემწეობით, პერპენდიკულარულად დადებული ნემსის ყურწში.

ის დიდად დახელოვნებული იყო ყოველგვარ პატარა ხელსაქმეში; აკეთებდა ნაწიბურებს, მთლიან ან სიმეტრიზებულ ქისებს, აჟურებს სხვადასხვა სახეებისა და ფერებისა, წვივსაკრავებს, სამაჯურებს, ყელსაკრავებს, მძივებიდან, წვრილებს, როგორც სტამბის ასოებს. მე ვფიქრობ, რომ ის საუცხოვო ასოთამწყობი იქნებოდა; ვინაიდან ვისაც მეტის უნარი აქვს მას ნაკლების უნარიც ექნება.

ის შესანიშნავად თამაშობდა რევერსს, მედიატორს და კადრილს; ის თვითონვე აწყობდა თავის ბანტოებს, რომელთაც ის არჩევდა ერთიმეორისაგან მცირე ნიშნებით, რომელთაც ის შეხებით სცნობდა და რომელთაც სხვები ვერც თვალით, ვერც შეხებით ვერ არჩევდნენ. რევერსის თამაშის დროს ის ნიშნებს უცვლიდა ტუზებს, განსაკუთრებით წკენტის ტუზს და კვინოლს. ერთადერთი დათმობა, რომელსაც მას აძლევდნენ, იყო ის, რომ თამაშის დროს კარტებს ასახელებდნენ. თუ მოხდებოდა ისე, რომ კვინოლს ხიფათი მოე-

ლოდა, მის ტუჩებზე ღიმილი ჩნდებოდა, რომელსაც ის ვერ იკავებდა, თუმცა იცოდა, რომ ეს მოურიდებლობა იყო.

ის ფატალისტი იყო; ის ჰფიქრობდა, რომ ყოველივე ჩვენ ცდას ბედისწერის ასაშორებლად მხოლოდ მივყევართ ამ ბედისწერისაკენ. მე არ ვიცი როგორი იყო მისი რელიგიური შეხედულებანი; ის იმას საიდუმლოდ ინახავდა თავის ღვთისნიერი დედის პატივისცემით.

მე მრჩება მხოლოდ გაგაცნოთ მის შეხედულებებს წერისა, ხატვისა, გრაფიკული ხელოვნებისა და ფერწერის შესახებ; ჩემის აზრით, ძნელია უფრო ახლო ყოფნა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე ის იყო; ყოველ შემხვევაში ასეთია დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ქვემომოყვანილ საუბრიდან, რომლის ერთერთი მონაწილე მეც ვიყავი. საუბარი დაიწყო მან.

„თქვენ რომ დანის წვერით დაგეხატათ ჩემს ხელზე ცხვირი, პირი, მამაკაცი, დედაკაცი, ხე, რასაკვირველია, მე მათში არ შევც-

დებოდი; არ ვეჭვობ, რომ მე შევძლებდი, თუ სურათი ზუსტი იქნებოდა, გამოცნობას იმისას, ვისაც თქვენ დამიხატავდით. ჩემი ხელი გარდაიქმნებოდა ჩემთვის გრძნობიერ სარკედ. მაგრამ განსხვავება მგრძნობელობაში ამ ტილოსა და მხედველობის ორგანოს შორის დიდია.

„ამრიგად, მე ვვარაუდობ, რომ თვალი ცოცხალი ტილოა, დაუსრულებადი სინაზისა; ჰაერი განმეხავს რაიმე საგანს, უკანასკნელიდან იგი აირეკლება თვალისაკენ, რომელიც მიიღებს ამისგან დაუსრულებელ სიმრავლეს შთაბეჭდილებებისას, რომლებიც სხვადასხვაა იმისდამიხედვით, თუ რა ბუნების, ფორმის და ფერისაა საგანი, ან შეიძლება იმის მიხედვითაც, თუ რა თვისებისაა ჰაერი, უცნობი როგორც ჩემთვის, ისე თქვენთვისაც; და სწორედ ამ ზეგრძნებათა მრავალფეროვნებით ღებულობთ თქვენ საგნის გამოსახულებას.

ჩემი ხელის კანი რომ ისეთივე მგრძნობიარე ყოფილიყო, როგორც თქვენი თვალები, მე ისევე დავინახავდი ჩემი ხელით როგორც თქვენ თქვენი თვალებით ხედავთ, და მე ხანდახან წარმოვიდგენ ხოლმე, რომ არსებობენ ბრმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნათელმჭვრეტი ცხოველები.

– რას იტყვით თქვენ სარკეზე?

„თუ ყველა სხეულები სარკეები არ არიან, ალბათ რაიმე ნაკლულოვანების გამო თავიანთ აგებულობაში, რაც ხელს უშლის ჰაერის არეკლვას. მე მით უფრო მტკიცედ ვდგევარ იმ აზრზე, რომ გაკრიალებულ ოქროს, ვერცხლს, რკინას, სპილენძს ჰაერის არეკლვის უნარი ეძლევა, მღვრიე წყალს და დაფხაჭნილ მინას კი ეს უნარი ეკარგება.

„ნაწერი განსხვავდება ნახატისაგან, ნახატი – ტვიფარიდან,

ტვიფარი კი – სურათიდან. შეგრძნობის სხვადასხვაობით და, მაშასადამე, თქვენს მიერ ნახმარი მასალების, ჰაერის არეკლვის სხვადასხვა უნარიანობით.

„ნაწერი, ნახატი, ტვიფარი, ერთფეროვანი სურათი – თითქო გრავიურებია სხვადასხვა ხარისხების“.

– მაგრამ თუ მხოლოდ ერთი ფერია, მაშინ გამორჩეული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ეს ფერი.

„აშკარაა, ტილოს ფონს, საღებავის სისქეს და მისი ხმარების ხერხს შეაქვთ ჰაერის არეკლვაში რაღაც განსხვავება, შესაფერი ფორმების სხვადასხვაობასთან. თუმცა ნურაფერს მეტს ნუ შემეკითხებით, მე მხოლოდ ესღა ვიცი.

305

– მე კი ამაოდ შევეცდებოდი თქვენთვის მეტი მესწავლებია.

მე თქვენ ვერ გიამბეთ ამ ახალგაზრდა ბრმაზე ის, რაც მე შემეძლო შემემჩნია უფრო ხშირად რომ მენახულებია იგი და ჯეროვანის მოხერხებულობით გამომეკითხა ყოველივე. მაგრამ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ყველაფერი, რაც დავწერე, ჩემს პირად ცდაზეა დამყარებული.

ის გარდაიცვალა დაბადებიდან 22 წლის. თავისი უდიდესი მეხსიერებისა და ასეთივე ვეებერთელა ნიჭის მეოხებით, რარიგ ბრწყინვალე მეცნიერულ გზას გაივლიდა იგი ასე ნაადრევად რომ არ შეწყვეტილიყო მისი სიცოცხლე! დედამისი ისტორიას უკითხავდა მას, და ეს მეცადინეობა ერთნაირად სასარგებლო და სასიამოვნო იყო ორივესათვის.

306

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

(თავი ენციკლოპედიიდან)

ადამიანები შექმნილია საზოგადოებაში საცხოვრებლად; თუ ღმერთს განზრახვა ჰქონოდა, რომ თითოეულ ადამიანს მხოლოდ თავისთავისათვის და სხვებისგან განმარტოებით ეცხოვრა, მაშინ ის ყოველ მათგანს მიანიჭებდა ასეთი განმარტოებული ცხოვრებისათვის დამახასიათებელ და საჭირო თვისებებს. თუ შემოქმედი არ გაყვა ამ გზას, ეს, ცხადია, იმიტომ, რომ მას სურდა სისხლითა და დაბადებით შეკრული კავშირით დაწყებულიყო ადამიანებს შორის ის უფრო ფართო კავშირი, რომელიც მას სურდა დაემყარებია ადამიანთა შორის; უმეტესი ნაწილი ადამიანის თვისებებისა, მისი ბუნებრივი მიდრეკილებანი, მისი უმწეობა, მისი მოთხოვნილებანი ესოდენ ცხადლივ დამამტკიცებელია შემოქმედის ასეთი განზრახვისა. მართლადაც ადამიანის ბუნება და კონსტიტუცია ისეთია, რომ საზოგადოების

გარეშე ის ვერც სიცოცხლეს შეინარჩუნებდა, ვერც გაშლიდა თავის უნარსა და ნიჭს, ვერც მოიპოვებდა ჭეშმარიტ და მტკიცე ბედნიერებას. აბა, გვითხარით, რა მოუვიდოდა ბავშვს, რომ მოწყალე და მფარველი ხელი არ ზრუნავდეს მის მოთხოვნილებებზე? ის დაიღუპებოდა რომ არავის ეზრუნა მასზე; და სწორედ მისი ასეთი უმწეო და უბადრუკი მდგომარეობა მოითხოვს ერთობ ხანგძლივ მფარველობას; სამაგიეროდ დაუკვირდით მის კადნიერებას, უვიცობას, ურცხვ აზრებს სიჭაბუკის ჟამს; და თუ ის თავის ანაბარად იქნებოდა მიტოვებული, თქვენ მასში სხვას არას დაინახავდით თუ არა ნადირს, და შესაძლოა იმასაც მძვინვარეს. უგულვებელმყოფელი წესიერად მოწყობილი ცხოვრებისა ის ჩაეფლობოდა უსაქმურთ და ფუჭ ცხოვრებაში, გახდებოდა რა მსხვერპლი სევდისა და გაუმაძღარი მოუსვენრობის. ხოლო მოხუცებულობის ჟამს კი თავს იჩენს უძლურებანი, რომელნიც გვხდიან ჩვენ სხვებზე დამოკიდებულს თითქმის იმდენადვე, რამდენადაც ამას ადგილი ჰქონდა უგუნური ბავშვობისას; სხვებზე ასეთი დამოკიდებულება უფრო საგრძნობი ხდება უბედურ შემთხვევებისას და ავადმყოფობის ჟამს; ეს საუცხოვოდ გამოხატა ს ე ნ ე კ ა მ შემდეგ სიტყვებში:

„რაზეა დამოკიდებული ჩვენი უზრუნველყოფილობა, თუ არა ურთიერთმომსახურეობაზე? მხოლოდ ასეთ კეთილქმედებას უნდა ვუმადლოდეთ კეთილ ცხოვრებას და იმ მდგომარეობას, რომელიც გვიცავს უსამართლო შეურაცყოფისა და დევნისაგან; რა ბედი ეწეოდა ადამიანის მოდგმას, რომ ყველას ცალკცალკე ეცხოვრა? რამდენიც ადამიანია, იმდენი ნადავლი და მსხვერპლი იქნებოდა სხვა ცხოველთათვის, ადვილად დასაღვრელი გახდებოდა ადამიანის სისხლი. ერთი სიტყვით, ნამდვილი უმწეობა გამეფდებოდა; ამავე დროს სხვა ცხოველნი საკმაოდ ძლიერნი არიან თავდასაცავად; ყველა მაწანწალა ცხოველი, რომელსაც თავისი მძვინვარე ხასიათისა გამო არ ძალუძს ჯოგური ცხოვრება, ასე ვთქვათ, იბადება შეიარაღებული, მაშინ როცა ადამიანი ყოველმხრივ უმწეოა და იარაღად არ გააჩნია არც კბილები, არც კლანჭები; მაგრამ ძალნი, რომელნიც მარტოხელ ადამიანს არ გააჩნია, უმალ ვლინდებიან მასში, როცა ის თავისივე მსგავსთ უერთდება. ბუნებამ დააჯილდოვა ადამიანი ორი საგნით, რამაც მას მიანიჭა უპირატესობა ცხოველებზე: მე მხედველობაში მაქვს გონება და საზოგადოებრივობა, რომელთა მეოხებითაც ის, ვინც მარტოხელად ვერავის წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, ყველაფერი გახდა; ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა მ გააბატონა ადამიანი ცხოველთა სამეფოზე. ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ა, რომ არ აკმარებს ადამიანს იმ ელემენტზე ცხოვრებას, რომელზედაც ის იშვა და ავრცელებს მის ბატონობას ზღვაზედაც; სწორედ ასეთი კავშირია წამლებს რომ აწვდის მას ავადმყოფობისას, რომ მფარველობს მას მოხუცებულობის ჟამს, რომ უამებს მას ტკივილებსა და სევდას; სწორედ ისაა, რომ

საშუალებას აძლევს მას, ასე ვთქვათ, მხნედ შეებრძოლოს ბედს. დაჰგმეთ საზოგადოებრივობა და თქვენ ამით მოსპობთ ადამიანთა შორის იმ კავშირს, რომელზედაც დამოკიდებულია სიცოცხლისა და ყოველგვარი ბედნიერების შენარჩუნება" (Senc. De Benef., lib. IV, cap. XVIII).

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს, რომელიც ესოდენ აუცილებელია ადამიანისათვის, ღმერთმა მიანიჭა აგრეთვე ისეთი კონსტიტუცია, უნარ-თვისებები და ნიჭი, რომელნიც ესოდენ შეესატყვისებიან მის მდგომარეობას; ასეთია, მაგალითად, მეტყველების ნიჭი, რომელიც ჩვენ საშუალებას გვაძლევს ესოდენ ადვილად და სწრაფად გავუზიაროთ ჩვენი აზრები სხვებს, და რომელსაც ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს გარეშე არავითარი გამოყენება არ ექნებოდა. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა მიბაძვისადმი მიდრეკილებისა და იმ საუცხოვო მექანიზმის შესახებ, რომელიც ესოდენ მოხდენილად გადასცემს ადამიანის სულის აგზნებასა და შთაბეჭდილებას ერთი ადამიანიდან მეორეს; საკმარისია,

რომ ადამიანი ჩნდეს გულაჩვილებული, რომ ჩვენც აგვაჩვილოს და გული მოგვილბოს: homo sum, humani a the nihil a!ienum puto.[89] თუ რომ ჩვენ ვინმე გვიახლოვდება სახეზე აღტაცების გამომეტყველებით, ის ჩვენშიაც აღძრავს აღტაცების გრძნობას; უცნობის ცრემლი გულს გვიჩვილებს ჩვენ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ჩვენ მისი სევდის მიზეზს შევიტყობდეთ, და კივილი ადამიანისა, რომელიც ჩვენთან მხოლოდ ადამიანურობითაა დაკავშირებული, გვაიძულებს ჩვენ ანგარიშმიუცემლად და უნებლიედ გავექანოთ მის საშველად. კიდევ მეტიც; ჩვენ ვხედავთ, რომ ბუნებამ ინება სხვადასხვანაირად გაენაწილებია და განერიგებია ნიჭი ადამიანთა შორის, მისცა რა ერთს შესაძლებლობა უკეთ შეესრულებია ზოგი რამ, რაც მეორესათვის შეუძლებელია; ამავე დროს ამ უკანასკნელსაც გააჩნია რაიმე ისეთი უნარი, რომელზედაც პირველს ბუნებამ უარი უთხრა; ამრიგად, თუ რომ ბუნებრივი მოთხოვნილებანი ადამიანებს ურთიერთთაგან დამოკიდებულს ხდიან, უნარისა და ნიჭის მრავალფეროვნება ხელს უწყობს მათი ურთიერთშეკავშირებას, მათ გაერთიანებას. ყველაფერი ეს საკმაო თვალნათლივობით ამტკიცებს იმას, რომ ადამიანი განკუთვნილია ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს.

მაგრამ, თუ ჩვენ შევეცდებით დავსძლიოთ საზოგადოებრივობისაკენ ჩვენი ბუნებრივი მიდრეკილება, დავინახავთ, რომ ჩვენდა უნებლიეთ ჩვენი გული ბუნებრივად მიისწრაფვის ჩვენივე მსგავსთა საზოგადოებისაკენ, უფრთხის რა სრულ მარტოობას როგორც მიტოვებულობისა და სევდის მდგომარეობას. თუ ჩვენ მოვისურვებდით იმის შეტყობას, თუ საიდან გაჩნდა ჩვენი მისწრაფება შეკავშირებისა და საზოგადოებრივობისაკენ, დავრწმუნდებოდით, რომ ჩვენ ის მინიჭებული გვაქვს სწორედ ჩვენი შემოქმედის მიერ, ვინაიდან სწორედ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი ჰპოვებს ადამიანი წამალს თავისი მოთხოვნილებათა უმე-

ტესი ნაწილისათვის და საკუთარ უნართა უმეტესი ნაწილის გამოვ-
ლინებისათვის. უმთავრესად სწორედ აქ შეუძლია ადამიანს განიცა-
დოს და გამოავლინოს თავისი გრძნობები, რომლებიც ბუნებამ და-
აჯილდოვა კეთილმსურველობისა, მეგობრობისა, თანაგრძნობისა და
სულგრძელობისადმი ბუნებრივი სწრაფვით; საზოგადოებრივობისადმი
სწრაფვის მომხიბლაობა ესოდენ ძლიერია, რომ მისგან წარმოიშობა
ჩვენი უსათუთესი სურვილები; არაფერი არ იწვევს ჩვენში ისეთ კმა-
ყოფილებას და ისე არ გვხიბლავს როგორც აზრი იმაზე, რომ და-
ვიმსახურეთ სხვებისაგან პატივისცემა და მეგობრობა; მეცნიერებასაც
მხოლოდ მაშინ აქვს უფრო მეტი ღირებულება, როცა ის საზოგა-
დოებას ემსახურება; სიხარულიც უფრო წარმტაცია მაშინ, როცა
მას გამოხატავ სხვის წინაშე ან მეგობრულ საზოგადოებაში; სხვე-

ბისადმი გაზიარებული სიხარული ორმაგად მეტი ღირებულების მქო-
ნეა, ვინაიდან ჩვენს საკუთარ კმაყოფილებას ემატება სასიამოვნო
სიხარული იმის შესახებ, რომ ჩვენ სიხარულსავე ვგვრით აგრეთვე
სხვებსაც და ამით კიდევ უფრო ვიზიდავთ მათ ჩვენდამი; ჭმუნვა
კი, პირიქით, მცირდება და სუსტდება სხვისადმი მისი გაზიარებით,
მსგავსად ტვირთისა, რომლის ზიდვაშიც თავაზიანად გვშველიან.
ამრიგად, ყველაფერი გვიზიდავს ჩვენ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა კ ე ნ;
საჭიროება ხდის მას აუცილებელს, მისდამი სწრაფვა აქცევს მას
სიხარულად, და განწყობილებანი, რომელნიც მასში შეგვაქვს, ბუ-
ნებრივად მიგვითითებენ ჩვენ იმაზე, რომ ეს ჩვენი შემოქმედის
ჭეშმარიტი განზრახვაა. თუ რომ ქრისტიანობა აკანონებს განდეგი-
ლობას, ის ამით მოწყალეობისა და სამართლიანობის უდიდეს უფლე-
ბას გვანიჭებს და ამითვე გულისხმობს უდიდეს ურთიერთობას მო-
ყვასთან, მაგრამ, არ შევჩერდებით რა ისეთ მდგომარეობაზე, როცა
ადამიანები შეიძლება ამაღლდნენ ზებუნებრივი შემეცნების საშუა-
ლებით, ჩვენ მათ განვიხილავთ იმ სახით, რა სახითაც ისინი საწვდომი
იქნებიან ჩვეულებრივი გონებისათვის.

ადამიანთა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს მთელი ეკონომია ემყარება
შემდგომ მარტივ და ზოგად პრინციპს: მ ე მ ი ნ დ ა ბ ე დ ნ ი ე რ ი
ვ ი ყ ო; მ ა გ რ ა მ მ ე ვ ს ც ხ ო ვ რ ო ბ ა დ ა მ ი ა ნ ე ბ თ ა ნ, თ ი თ ო-
ე უ ლ რ ო მ ე ლ თ ა გ ა ნ ს ა ც ი ს ე ვ ე რ ო გ რ ც მ ე ც, ა გ რ ე თ ვ ე
ს უ რ ს თ ა ვ ი ს ი მ ხ რ ი თ ი ყ ო ს ბ ე დ ნ ი ე რ ი; ვ ე ძ ე ბ ო თ ხ ერ-
ხ ი ჩ ვ ე ნ ი ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს მ ო ს ა პ ო ვ ე ბ ლ ა დ, მ ა გ რ ა მ ი ს ე,
რ ო მ ს ხ ვ ე ბ ს ა ც მ ო ვ უ პ ო ვ ო თ ა ს ე თ ი, თ უ ა რ ა დ ა ყ ო ვ ე ლ
შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ვ ნ ე ბ ა მ ა ი ნ ც ა რ მ ი ვ ა ყ ე ნ ო თ მ ა თ. ეს
პრინციპი თითქოს ჩვენს გულშია გამონაკვთული; თუ რომ ერთი
მხრით შემოქმედმა შთანერგა ჩვენში ჩვენივე თავისადმი სიყვარული,
მეორე მხრით მანვე ჩაგვაქსოვა გულში ნდომა კეთილსურვილებისა
ჩვენისავე მსგავსთა მიმართ; ამავე დროს ამ ორ მიდრეკილებას,
მიუხედავად ერთმანეთისაგან მათი განსხვავებისა, არაფერი ურთი-

ერთ საწინააღმდეგო არა აქვთ; და ღმერთმა, რომელმაც ჩვენ ისინი გულს შთაგვინერგა, განგვიკუთვნა მათი შეთანხმებული ქმედება, და არა მათ მიერ ურთიერთგანადგურება: ამიტომაც კეთილი და სულგრძელი გული უზენაეს კმაყოფილებას პოულობს მაშინ, როცა სიკეთეს უშვრება სხვა ადამიანებს, ვინაიდან ის ამას სჩადის ბუნების მიერ მისდამი მინიჭებული სწრაფვისადმი გულისხმიერი მოპყრობით. კეთილმომსახურეობის ამ თესლს, რომელიც ვითარდება ადამიანებში, მორალისტებმა უწოდეს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ო ბ ა. წყაროს მსგავსად საზოგადოებრივობის პრინციპიდან გამომდინარეობს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ყველა

კანონი და ყველა ჩვენი მოვალეობა სხვა ადამიანების მიმართ – როგორც კერძო, ისე საზოგადო ხასიათისა. სწორედ ესაა საფუძველი ადამიანის მთელი სიბრძნისა, წყარო ყველა წმინდა ბუნებრივი სათნოებისა, სწორედ ესაა ზოგადი პრინციპი მთელი მორალისა და მთელი სამოქალაქო საზოგადოებისა.

1. საერთო კეთილმდგომარეობა უნდა იყოს ჩვენი საქციელის უზენაესი წესი, და არასოდეს არ უნდა ვეძიოთ ჩვენი საკუთარი სარგებლობა საზოგადო სარგებლობის საზიანოდ; სწორედ ამას მოითხოვს ადამიანთა შორის ღვთის მიერ დამყარებული კავშირი.

2. საზოგადოებრივი სული უნივერსალური უნდა იყოს; ადამიანთა საზოგადოება მოიცავს ყველა ადამიანს, რომლებთანაც შეიძლება გვქონდეს ურთიერთობა, ვინაიდან ეს უკანასკნელი დამყარებულია იმ ურთიერთდამოკიდებულებაზე, რომელიც გააჩნია ყოველ ადამიანს მისი ბუნებისა და მდგომარეობის გამო. იხილეთ ჰ უ მ ა ნ ი უ რ ო ბ ა, ერთი გერმანელი თავადი, სახელდობრ, მფლობელი ვირტენბერგისა, თითქოს დარწმუნებული იყო ამაში, როცა შემდეგი სიტყვებით მიმართავდა ერთერთ თავის ქვეშევრდომს, რომელიც მას მადლობას უხდიდა მდევნელთაგან მისი მფარველობისათვის: „ჩემო შვილო, – უთხრა მას თავადმა, – ამასვე მოვიმოქმედებდი მე თურქისათვისაც; როგორ არ ჩავიდენდი ამას მე ჩემი ქვეშევრდომისათვის?“

3. ადამიანთა თანასწორბუნებოვანება წარმოადგენს პრინციპს, რომელიც ჩვენ არასოდეს არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი ეს პრინციპი დაფუძნებულია ფილოსოფიითა და რელიგიით: ის ერთგვარი უთანასწორობაც, რომელიც თითქოს დამყარდა ადამიანებს შორის მათი მდგომარეობის განსხვავებულობისა გამო, სინამდვილეში მოწოდებულია საუკეთესო მიღწევებისათვის, მათი ახლანდელი მდგომარეობის შესაბამისად ყველასათვის საერთო ბოლოს დასამკვიდრებლად, რომ ბედნიერი ვიყოთ იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლევა მოკვდავი სიცოცხლე და ეს განსხვავებულობაც, რომელიც ფილოსოფოსის თვალში ერთობ მცირედად სჩანს, არაა ხანგძლივი; სიცოცხლიდან სიკვდილამდე მხოლოდღა ნაბიჯია, და სიკვდილი ერთნაირი ბოლოა ყველაზე

უმაღლესი და ყველაზე უბრწყინვალესი, ყველაზე დაბალი და ყველაზე ბნელი ადამიანისათვის. ამრიგად, სხვადასხვა მდგომარეობაში, უთანასწორობაც კი მეტი არაა, რა, ვინემ როლები ერთიდაიმავე კომედიის სხვადასხვა გმირებს შორის. პიესის დამთავრება კომედიანტებს აყენებს მათი საერთო მდგომარეობის დონემდე, ასე რომ მათი როლის მცირეხნოვანობა პიესაში ვერავის დაარწმუნებს

იმაში, რომ ისინი სხვებთან შედარებით მართლა მაღლა დგანან თუ დაბლა.

არაფერია იმაზე მშვენიერი დიდ ადამიანებში, როგორც ხსოვნა იმისა, რომ ისინი სხვისი თანასწორნი არიან ადამიანის თანასწორბუნებოვანობის შესაბამისად. კარლოს XII ხასიათის ერთერთი გამოვლინება მოგვცემდა გაცილებით მაღალ აზრს მისი გრძნობების შესახებ, ვინემ რომელიმე ყველაზე ბრწყინვალე მისი ლაშქრობათაგანი. საფრანგეთის ელჩის ერთერთ მსახურს (რომელიც შვეციის სასახლის მინისტრს ელოდებოდა) უბრალო ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი უცნობი შეეკითხა თუ ვის ელოდება ის; მსახურმა ზედმეტად სცნო ამ უცნობის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება; ცოტა ხნის შემდეგ, სასახლის დიდებულნი, მიუახლოვდნენ რა სწორედ ამ უბრალოდ ჩაცმულ პირს, მიმართეს მას სიტყვებით – „თქვენო უდიდესებულებავ“, ვინაიდან ის მართლაც მეფე იყო. სასოწარკვეთილი მსახური, სთვლის რა თავს დაღუპულად, ფეხქვეშ უვარდება მეფეს, ევედრება მას პატიებას თავისი წინდაუხედაობისათვის და ეუბნება, რომ მას ის მეფე კი არა, ადამიანი ეგონა. თქვენ სრულიადაც არ მოტყვილებულხართ, მიუგო მას მეფემ დაყვავებით, არავინ ისე არ ჰგავს ადამიანს როგორც მეფე. ყოველმა ადამიანმა, ემორჩილება რა ის ადამიანთა შორის არსებული თანასწორობის ამ პრინციპს, უნდა შეუფარდოს მას თავისი ქცევა ისე, რომ შეძლებისდაგვარად გაუწიოს მოყვასს მფარველობა; ის ვინც ყველაზე ძლიერია, ყველაზე მდიდარია და ყველაზე პატივცემული, მუდამ მზად უნდა იყოს გამოიყენოს თავისი ძლიერება, თავისი სიმდიდრე და თავისი ავტორიტეტი იმათ სასარგებლოთ, ვისაც ის სჭირდება, და ეს უნდა ხდებოდეს პროპორციულად იმ მოთხოვნილებებისა, რომელნიც აქვთ ერთთ, და დახმარების აღმოჩენის იმ შესაძლებლობისა, რომელნიც გააჩნიათ სხვებს.

4. საზოგადოებრივობა წარმოადგენს ადამიანთა შორის ურთიერთვალდებულებას, და ყველა იმათ, რომელნიც თავიანთი სიბოროტით, ან თავიანთი უსამართლობით არღვევენ საზოგადოებრივ შემაკავშირებელ ძაფებს, უფლება არა აქვთ უჩიოდნენ თავიანთ ბედს, თუ მათგან შეურაცყოფილნი მათ მეგობრად აღარ მიიჩნევენ ანდა ძალადობასაც კი მიმართავენ მათ მიმართ; მაგრამ, თუ შეიძლება უფლება გვქონდეს შევსწყვიტოთ მტრის მიმართ კეთილმოსურნეობა, სამაგიეროდ არასოდეს არ უნდა ჩავახშოთ კეთილქმედების პრინ-

ციპი. ვინაიდან მხოლოდ აუცილებლობა გვაიძულებს ჩვენ მივმართოთ ძალას უსამართლო თავდამსხმელის მიმართ, იგივე აუცილებლობა უნდა იქცეს კანონად და ზომად იმ ზიანისა, რომელიც ჩვენ

შეგვიძლია მას მივაყენოთ და რომელიც გვავალებს ყოველთვის მზად ვიყოთ ხელახლად გავუწოდოთ მას მეგობრობის ხელი უმალვე, – რა ჟამს ის ჩვენს მიმართ სამართლიანი იქნება და მისი მხრით არავითარი შიში არ გვექნება. ამრიგად, კარგად უნდა განვასხვავოთ სამართლიანი თავდაცვა შურისძიებისაგან; პირველი მხოლოდ აუცილებლობითაა გამოწვეული და დროებით სწყვეტს კეთილქმედებას და არც არაფრით არ ეწინაღმდეგება საზოგადოებრივობას; მეორე კი, ახშობს რა კეთილქმედების პრინციპს, სცვლის მას ზიზღისა და გაბოროტების იმ გრძნობით, რომელიც თავისთავადვე მანკიერებაა და საზოგადოებისათვისაც მიუღებელია და რომელიც სწორედ დაგმობილია ბუნებრივი კანონით.

ეს ზოგადი კანონები მდიდარია შედეგებით. უნდა ვეკრძალოთ სხვისადმი რაიმე ზიანის მიყენებას, როგორც სიტყვით, ისე მოქმედებით და უნდა ვეცადოთ მიყენებული ზიანის ყოველგვარად გამოსწორებას; და ეს მიტომ, რომ საზოგადოება ვერ იარსებებდა თუ თავს ნებას მივსცემდით დაგვეშვა უსამართლობანი.

გულახდილი უნდა ვიყოთ საუბრის დროს და ვასრულებდეთ ჩვენს ვალდებულებებს; მართლაც, რა ნდობა შეიძლებოდა ყოფილიყო ადამიანთა შორის და რა იმედი უნდა გვქონოდა ურთიერთდამოკიდებულებებში, თუ რომ დავუშვებდით მოტყვილებასა და სიტყვის გატეხვას!

ყველას უნდა მივუზღოთ არამარტო ის სიკეთე, რომელიც მას ეკუთვნის, არამედ პატივისცემისა და ღირსების ის ხარისხიც, რომელიც მას ეკუთვნის თავისი მდგომარეობისა და რანგის მიხედვით; და ეს იმიტომ, რომ დაქვემდებარება შემაკავშირებელია ს ა ზ ო გ ა - დ ო ე ბ ი ს ა და ამისი გარეშე არავითარი წესრიგი არ იქნებოდა არც ოჯახებში და არც სამოქალაქო მმართველობაში.

მაგრამ, თუ საზოგადო სიკეთე მოითხოვს უმდაბლესთა მორჩილებას, იგივე საზოგადო სიკეთე მოითხოვს, რომ უმაღლესებმა დაიცვან იმათი უფლებები, რომელნიც მათ ექვემდებარებიან და რომელთაც ისინი მმართველობენ მხოლოდ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტი ბედნიერება დაუმკვიდრონ მათ. ყოველი უფროსი არსებობს არა თავისთავისათვის, არამედ მხოლოდდამხოლოდ სხვებისათვის; უფროსი არსებობს არა საკუთარი თავის კმაყოფილებისათვის და თავისი პირადი დიდებისათვის. და მართლაც ბუნების განრიგში უფროსი ხომ არ წარმოადგენს, ადამიანურობის თვალსიზრისით, უფრო მეტს, ვინემ სხვები? ხომ არ ანსხვავებს მას სხვებისაგან რაიმე უზენაესი სული ან გონება? და თუ კიდევაც რომ ასეთი რამ მას გააჩნდეს, აქვს თუ არა მას სხვებზე მეტი სურვილი და მოთხოვ-

ნილება იცხოვროს კმაყოფილებითა და შეჯერებულად? თუ საგნებს ამ თვალთახედვით განვსჭრეტდით, ხომ მართლაც უცნაურობა იქნებოდა, რომ ყველანი ყოფილიყვნენ მხოლოდ ერთისათვის, და არა, პირიქით, ერთი ყველასათვის. საიდან უნდა მისცემოდა მას ასეთი უფლება? თავისი ადამიანური ღირსებით? მაგრამ ეს ხომ მას სხვებთან საერთო აქვს? მათზე გაბატონების გემოვნებით? მაგრამ სხვებიც ხომ არ ჩამორჩებოდნენ მას ამ მხრივ? ანდა იქნებ იმ ძალაუფლებისა გამო, რომელიც მან მოიხვეჭა? თუ ასეა, დაე, მან გაიხსენოს თუ ვისგან მიიღო ეს ძალაუფლება, რა მიზნით და რა პირობით უტოვებენ მას ამ ძალაუფლებას; ვინაიდან ყველამ ხელი უნდა შეუწყოს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს სიკეთეს, მან მით მეტი არსებითი სამსახური უნდა გაუწიოს საზოგადოებას, ვინაიდან ის უმაღლესია მხოლოდ მოვალეობითი წესით და საზოგადო ბედნიერებისათვისაც უნდა იღწვოდეს სხვებზე უფრო მაღლა დგომის შესაბამისად, ე. ი. საკუთარი წოდების შესაბამისად. ვიღაცამ სირიის მეფეს, ანტიგონს მოახსენა, რომ მეფეთ, როგორც მფლობელთ, ყველაფრის ნება აქვთო. „დ ი ა ხ, უპასუხა მან, მ ა გ რ ა მ მ ხ ო ლ ო დ ბ ა რ ბ ა რ ო ს თ ა შ ო რ ი ს; ჩ ვ ე ნ ი ს ა ზ რ ი თ კ ი, დაუმატა მან, ჩ ვ ე ნ მ ფ ლ ო ბ ე ლ ნ ი ვ ა რ თ ი მ ი ს ა, რ ა ს ა ც გ ვ ი კ ა რ ნ ა ხ ე ბ ს გ ო ნ ე ბ ა და ა დ ა მ ი ნ ო ბ ა და ჩ ვ ე ნ ც მ ხ ო ლ ო დ ი მ ი ს ი ნ ე ბ ა გ ვ ა ქ ვ ს, რ ა ც მ ა რ თ ლ მ ს ა ჯ უ ლ ე ბ ი ს ა და მ ო ვ ა ლ ე ო ბ ი ს შ ე ს ა ტ ვ ი ს ი ა“.

ასეთია ნორმალური ანუ ნაგულისხმევი პირობა, დადებული ყველა ადამიანთა შორის; რაც შეეხება მდგომარეობის მიხედვით სხვაობას, ამ მხრივ ზოგი მაღლა დგას, ზოგიც დაბლა, და ეს იმიტომ, რომ ამით ადამიანთა საზოგადოება იმდენად ბედნიერი გახდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია; თუ რომ ყველა მეფე ყოფილიყო, ყველა მოისურვებდა უფროსობას და მორჩილიც არავინ იქნებოდა; თუ რომ ყველა ქვეშევრდომი ყოფილიყო, ყველა დამორჩილებული იქნებოდა და არავინაც ან ინდომებდა სხვაზე მეტი მორჩილი ყოფილიყო; ყოველივე ამისა გამო კი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს მოიცავდა უწესოება, შფოთი, ქიშპობა, და ეს ნაცვლად იმ აუცილებელი წესრიგისა და შეთანხმებულობისა, რომელნიც გვანიჭებენ შველას, სიმშვიდესა და სიტკბოებას. უფროსი ვალდებულია უმცროსის მიმართ, ისევე როგორც ეს უკანასკნელიც ვალდებულია პირველის მიმართ; საერთო ბედნიერება ზოგმა უნდა მოიხვეჭოს უფლების მეოხებით, ზოგმა კი მორჩილებით; უფლება კი კანონიერია იმდენად, რამდენადაც ის ემსახურება მიზანს, რომლისთვისაც შეიქმნა თვით ეს უფ-
314

ლება; უფლების თვითნებურად გამოყენება კაცობრიობისა და ს ა ზ ო -

გ ა დ ო ე ბ ი ს მოსპობის მანიშნობელი იქნებოდა.

ჩვენ ყველამ უნდა ვიმუშაოთ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს საბედნიეროდ, ე. ი. უნდა გავხდეთ ჩვენი თავისავე პატრონნი; ს ა ზ ო გ ა - დ ო ე ბ ი ს ბედნიერება დამოკიდებულია იმაზე, რომ არ ზრუნავდე მარტო საკუთარ კმაყოფილებაზე სხვათა ბედნიერების საზიანოდ; ამავე დროს ადამიანთა სწრაფვანი, მოთხოვნილებანი და გემოვნება მუდამ ერთიმეორეს უპირისპირდებიან. თუ რომ ჩვენ განმიზრახავდით ყველაფერში გავყოლოდით მარტო საკუთარ გულისთხრობას, გემოვნებასა და მიდრეკილებებს, გარდა იმისა, რომ ჩვენთვის ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, კიდევ უფრო მოსალოდნელი იქნებოდა, რომ ამით უკმაყოფილებას გამოვიწვევდით სხვებში და რომ ადრე თუ გვიან სათანადო უკუგდებასაც მივიღებდით. ვინაიდან შეუძლებელია ყველას მოვახვიოთ ჩვენი გემოვნება, საჭიროა ჩვენშივე გამოვიმუშაოთ ისეთი გემოვნება, რომელიც უნივერსალურადაა გაბატონებული და რომელსაც გონება წარმოადგენს. მაშასადამე, სწორედ გონებას უნდა მივსდიოთ ყველაფერში, და, ვინაიდან ჩვენი სწრაფვანი თუ ვნებანი ხშირად მას ეწინააღმდეგებიან, საჭიროა და აუცილებელიც ასეთებს წინააღმდეგობა გავუწიოთ. სწორედ ამაზე უნდა ვიზრუნოთ ჩვენ, რათა ამით შევქმნათ მაშველი და სანეტარო ჩვევები. გონება წარმოადგენს საფუძველს ყოველი სათნოებისა, და პირველ პრინციპს ცხოვრებისმცოდნეობისას, როგორც ეს აღნიშნა ჩვენი დროის ერთმა სწავლულმა, რომლის მიხედვითაც ცხოვრებისმცოდნეობა გამოიხატება იმაში, რომ შეგეძლოს უმალ ა ი ძ უ ლ ო შ ე ნ ი ვ ე თ ა ვ ი, ვ ი ნ ე მ ს ხ ვ ა ს ი ძ უ ლ ე ბ ა მ ი ა ყ ე ნ ო. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ბუნებრივი სწრაფვანი, რომელნიც უფრო მეტად ეთავსებიან გონების საერთო კანონს, ვინემ სხვები, მაინც არ მოიპოვება ისეთი პიროვნება, რომელსაც არ სჭირდებოდეს ამ მხრივ თავისთავისავე ძალდატანება და თავშეკავება თუნდაც იმ თავისებურობისა გამო, რომელიც, ზოგ ნაკლთან ერთად, ყველაზე ბედნიერ ტემპერამენტებსაც კი ახასიათებს.

დაბოლოს, ადამიანები იგებენ ერთმანეთს გულითა და სათნოებით და არაფერია ისე მისაღები ადამიანურობისათვის, არაფერია ისე სასარგებლო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, როგორც თანაგრძნობა, გულჩვილობა, ქველმოქმედება, სულგრძელობა. ამან აიძულა ც ი ც ე რ ო ნ ი ეთქვა: „და ვინაიდან არ არს რა უფრო მართებული, ვინემ პ ლ ა ტ ო ნ ი ს ის საუცხოვო თქმა, რომ ჩვენ მარტო ჩვენთვის არა ვართ გაჩენილი, არამედ სამშობლოსათვისაც, ჩვენი მეგობრებისთვისაც და, რომ, როგორც სტოიკები ამბობენ, თუ მიწის

ნაყოფი შექმნილია ადამიანებისათვის, იგივე ადამიანები შექმნილია ურთიერთთათვის, ე. ი. ურთიერთდახმარებისათვის და ურთიერთკეთილქმედებისათვის; ჩვენ ყველამ მონაწილეობა უნდა მივიღოთ ბუნების ზრახვებში, რათა ვამართლებდეთ ჩვენს დანიშნულებას, თი-

თოეულმა ჩვენგანმა შეძლებისამებრ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადო სარგებლობას, მარადის მზად უნდა ვიყოთ ურთიერთსამსახურისა და ერთმანეთს შორის კარგ დამოკიდებულებისათვის, მეტ გულმოდგინეობას ვიჩენდეთ გაცემისას, ვინემ მიღებისას, და გამოვიყენოთ არა-მარტო ჩვენი მხრუნველობა და დახელოვნება, არამედ მთელი ჩვენი სიკეთეც ადამიანთა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს რაც შეიძლება უკეთ შე-საკივშირებლად". შემდეგ, ვინაიდან სამართლიანობა და სიკეთის ყველა გრძნობა წარმოადგენს ერთადერთ და ისეთ ყველაზე საიმედო შე-მაკავშირებელ ძაფებს, რომელნიც ურთიერთაკავშირებენ ადამიანებს და რომელთაც შეუძლიათ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს მიანიჭონ სიმტკიცე, მშვიდობიანობა და აყვავება, ამ სათნოებებს უნდა ვიხილავდეთ რო-გორც ვალდებულებებს, რომელნიც უფალმა დაგვაკისრა ჩვენ, გან-საჯა რა, რომ ყველაფერი, რაც აუცილებელია, გამიზნულიცაა და სწორედ ამიტომ შეესატყვისება უფლის ნებას.

მიუხედავად ზნეობის წესების მთელი მართებულობისა, და მიუხედავად იმ სარგებლობისა, რომელნიც ასეთმა წესებმა შეიძლება მოუტანონ ადამიანთა საზოგადოების კეთილსათნოიანობის საქმეს, ისინი მუდმივნი და მტკიცედ მიმზიდველნი არ იქნებოდნენ რელიგიის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ გონება გვაძლევს ჩვენ სა-შუალებას საერთოდ პრინციპულად განვიცადოთ ზნეობანი, რო-მელნიც ხელს უწყობენ იმ სათნოებასა და სიმშვიდეს, რომლებითაც ჩვენ უნდა ვსტკბებოდით და სხვებსაც ვატკბობდეთ საზოგადოებაში, ისიც მართალია, რომ ზოგ შემთხვევაში გონება საკმარისი არაა შეგვა-გონოს ის აზრი, რომ ჩვენი სარგებლობა ყოველთვის ემთხვევა ს ა ზ ო-გ ა დ ო ე ბ ი ს სარგებლობას. ზოგჯერ საჭიროა (და ეს აუცილებელია ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს) მოვიკლოთ არსებული კეთილდღეობა ანდა ნამდვილი ბოროტებაც კი ავიტანოთ, რათა და-ვიცვათ მომავალი სიკეთე და თავიდან ავიშოროთ მოსალოდნელი უბე-დურება. მაგრამ როგორ ვაიძულოთ სული, რომელსაც ძალუძს მხოლო-დღა საგნების შეგრძნობა ანდა ნამდვილი განცდა მათი, უარი ვათქმე-ვინოთ არსებულ და განსაზღვრულ სიკეთეზე მომავალი და განუსაზ-ღვრელი სიკეთისათვის; ე. ი. სიკეთე, რომელიც ამჟამად ერთობ მკვეთ-რად მოქმედობს ადამიანის სიხარბეზე, დავათმობინოთ იმ სიკეთი-სათვის, რომელიც სუსტად მოქმედობს მის შეგნებაზე. შეაკავებს თუ არა მას სინდისის ქენჯნა თუ ასეთი რამ რელიგიით არ მიუღია?

ანდა სასჯელის შიში მაშინ, როცა ის ძალაუფლებამოსილია? ან სირცხვილისა და აღშფოთების გრძნობა, თუკი მას შეუძლია დაჰ-ფაროს სხვებისაგან თავისი ბოროტმოქმედება? ან ადამიანურობის კანონი თუ კი ის სხვებს დაუზოგავად ეპყრობა საკუთარი თავისავე დასაკმაყოფილებლად? ან სიფრთხილის პრინციპები, თუ კი მისი ფან-ტაზია და განწყობა საამისო მამოძრავებელ მიზეზებს წარმოადგენენ? ან გასჯა გონიერი და კეთილმოაზროვნე პირებისა, როცა ქედმაღ-

ლობა აიძულებს მას თავისი განსჯა დააყენოს სხვებისაზე მაღლა? ასეთი ზვიადი ხასიათისანი ცოტანი არიან, მაგრამ ისინი მაინც შეიძლება მოიპოვებოდნენ. ზოგჯერ მათ დიდი რაოდენობით პოულობენ იქ, სადაც ბუნებრივი რელიგიის ფეხქვეშ გათელვას შესდგომიან.

და მართლაც, თუ რომ მორალის პრინციპები და ტრაქტატები კიდევაც ათასჯერ უფრო მეტად კეთილგონიერნი და უფრო დამაჯერებელნი ყოფილიყვნენ, ვინემ ისინი სინამდვილემი არიან, ვინ შესძლებდა გარყვნილად მოაზროვნენი მათთვის დაემორჩილებია? თუ რომ დანარჩენ ადამიანებს მაინც წესად მიეღოთ ეს პრინციპები და ტრაქტატები, განა ისინი ამით ნაკლებად განწყობილნი იქნებოდნენ უკუეგდოთ ისინი წინააღმდეგ ადამიანურობისა და დაექვემდებარებიათ მათდამი თავიანთი უცნაურობები და სიამაყე? ამრიგად, გამოდის, რომ გარეშე რელიგიისა, არ არის საკმაოდ ძლიერი ამლაგმველი ძალა არც სულიერი აფორიაქებისათვის, არც ქედმაღლობისათვის, არც ვნებათა წყაროსათვის, არც გულის მანკიერებისათვის, არც ფარისევლობისათვის. ერთი მხრით ჭეშმარიტება, სამართლიანობა, სიბრძნე, შურისძიების ღვთაების ყოვლისმძლეობა და სამართლიან მოქმედობათა მიმზიდველობა წარმოადგენენ იდეებს, რომელნიც ისეთი ბუნებრივობითა და ისეთი აუცილებლობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ ზოგი ამ იდეათაგანი ვერ იარსებებდა იქ, სადაც სხვები მოსპობილია. ამას თვალნათლივ ამტკიცებს მორალის ერთიანობა ს ა ზ ო გ ი დ ო ე ბ ი ს კეთილდღეობის განსამტკიცებლად.

მაგრამ:

1. იმისათვის, რომ ეს ჭეშმარიტება მთელი სიცხადით დასანახი გახდეს, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე პიროვნებათა ბიწიერებანი, როგორიც არ უნდა იყვნენ ისინი, ზიანს აყენებენ არა მარტო ცალკე პიროვნებებს, არამედ მთლიანად ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს კეთილდღეობასაც; და, მართლაც, ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ მაგალითად, ისეთი ბიწიერებანი, როგორიცაა ცილისწამება ან უსამართლობა, ზიანს აყენებენ მთლიანად ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს. მე კი-

დევ მეტად დავრწმუნდი, და ვიტყოდი, რომ ის ბიწიერებანიც კი, რომელნიც თითქოსდა ზიანს აყენებენ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც ისინი გააჩნიათ, მაინც დამღუპველნი არიან ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი - ს ა თ ვ ი ს ა ც. ხშირად გვესმის, მაგალითად, რომ ადამიანი, რომელიც ლოთობს, მხოლოდ საკუთარ თავსა ვნებს; მაგრამ მცირეოდენი დაკვირვებაც კი საკმარისია, რომ შევამჩნიოთ, რომ ასეთი შეხედულება სრულიადაც არაა სწორი. ამისათვის საკმარისია მოვუსმინოთ იმ პირთ, რომელნიც იძულებულნი არიან იცხოვრონ ერთ ოჯახში ლოთებთან ერთად. ის, რასაც ჩვენ მოვითხოვთ ჩვენთან მცხოვრებთაგან, ესღაა უპირველეს ყოვლისა კეთილგონიერება, და კიდევ

მეტიც, ჩვენ ყოველთვის საკმარისი უფლება გვაქვს მოვითხოვოთ მათგან ასეთი კეთილგონიერება. რაოდენ არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ სხვა ბიწიერებანი გონებას, ისინი ერთგვარად მაინც სტოვებენ რამდენიმედ ნათელ, რამდენიმედ გამოსაყენებლობის, ერთგვარი კანონიერების შთაბეჭდილებას; ლოთობა კი ყოველგვარ ელვარებას ართმევს გონებას; ადამიანში ლოთობა ახშობს ღვთაებრიობის იმ ნაწილაკს, იმ ნაპერწკალს, რომელიც ჩვენ ცხოველთაგან გვანსხვავებს. ის ამით სპობს მთელ იმ კმაყოფილებასა და მთელ იმ სიტკბოებას, რომელნიც ყველამ უნდა გაიღოს და ყველამვე უნდა მიიღოს ადამიანთა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი. დაე, შეადარონ გონების დაბნელება სიმთვრალისას გონების დაბნელებას ძილის დროს. ასეთი შედარება არასოდეს არ იქნებოდა მართებული; ერთი მათგანი გამოწვეულია აუცილებლობით იმ ძალთა აღდგენისათვის, რომელნიც ყოველთვის იფიტებიან და რომელნიც სწორედ აუცილებელნი არიან გონების მუშაობისათვის; მეორე კი უცებ აქრობს ამ მუშაობას და საბოლოოდ ანადგურებს, ასე ვთქვათ, გონების მამოძრავებელ ძალებს. ამიტომაც, ბუნების შემოქმედმა, რომელმაც მოგვანიჭა თვისება ძილისა, გაანთავისუფლა ეს უკანასკნელი სიმთვრალის საარაკო უღირსობასთან დაკავშირებული უხერხულობისაგან. მიუხედავად იმისა, რომ სიმთვრალეს ზოგჯერ თან სდევს მოჩვენებითი მხიარულება, კმაყოფილება, რომელიც თითქოსდა მას შეუძლია მოგვცეს, ის მაინც, ყოველთვის წარმოადგენს შეშლილის კმაყოფილებას, რაც სრულიადაც არ რიცხავს იდუმალ შიშს, რომელსაც ჩვენ განვიცდით ყველაფერი იმის წინააღმდეგ, რაც ანადგურებს იმ გონებას, რომელიც ყოველთვის მოწოდებულია ხელი შეუწყოს იმათ ბედნიერებას, ვისთანაც ჩვენ ვცხოვრობთ.

თავშეუკავებლობის ბიწიერება, რომელიც თითქოს ნაკლებად ეწინააღმდეგება ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ბედნიერებას, სინამდვილეში კიდევ მეტად ეწინააღმდეგება მას. პირველყოვლისა უნდა შევთანხმდეთ

იმაში, რომ, როცა, მაგალითად, თავშეუკავებლობა სცემს ცოლქმრობის უფლებებს, ის ღრმა ჭრილობებს აყენებს შეურაცხყოფილის გულს; რომაული კანონები კი, რომელნიც თითქოსდა პრინციპული ფუძეა სხვა კანონებისათვის, ჰგულისხმობენ, რომ თითქოს ადამიანს ზოგჯერ არ ძალუძდეს თავშეკავება, და, ამრიგად, კანონები აპატივებენ ადამიანს იმ აფეთქებას, რომლითაც მას შეუძლია სიცოცხლეს გამოასალმოს თავისი შეურაცხმყოფელი. ამრიგად, მკვლელობა, რომელიც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგება ადამიანურობას, თითქოსდა დაყენებული უნდა იყოს მრუშობასთან პარალელურად. ისტორიის ყველაზე უფრო ტრაღიკული ამბები და მითების მიერ შექმნილი ყველაზე პათეთიკური სახეებიც კი თვალწინ გვიშლიან თავშეუკავებლობის უსაზიზღრეს შედეგებს, გამოწვეულს უდიდესი დანაშაულით, მრუშობით. ამ ბიწიერებას არანაკლები დამღუპველი შე-

დეგები მოყვება მაშინ, როცა მას ადგილი აქვს თავისუფალ პირთა შორის; შურიანობა ამ შემთხვევაში ხშირად იწვევს ასეთსავე გაფთრებას, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ამ ვნებით შეპყრობილი ადამიანი უკვე აღარ ეკუთვნის თავის თავს. მას იპყრობს ერთგვარად გულჩათხრობილი და უხეში გუნებგანწყობა, რაც იწვევს მასში თავისი მოვალეობისადმი გულაცრუებას; მეგობრობა, სათნოება, ნათესაური კავშირი, სახელმწიფო – ყველაფერი ეს იქცევა ცარიელ სიტყვად, როცა ისინი წინ ეღობებიან ავხორცობით შეპყრობილ ადამიანს. ვინც შურითაა შეპყრობილი და ვინც იკვეხნის, რომ არ დაივიწყებს თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობებს, თავიანთი საქციელის შესახებ მსჯელობენ ისე, როგორც ეს მათ გაეგებათ; მაგრამ ყოველგვარი ვნება ჩვენ გვაბრმავებს. და ყველა ვნებათაგან არაა ისეთი, რომელიც მრუშობაზე მეტად აბრმავებდეს ადამიანს. დამახასიათებელი ისაა, რომ ნამდვილი ამბავი თუ არაკი ასეთ სიბრმავეს სიყვარულად ასაღებს. სასწაული იქნებოდა, რომ გარყვნილებაში ჩაფლულ ადამიანს შესძლებოდა სისხლით კავშირის, სამშობლოსა და მეგობრობის უფლებით მოთხოვნილი კმაყოფილება და სიკეთე მიეცა თავისი ოჯახის, თავისი მეგობრებისა და თანამოქალაქეთათვის. დაბოლოს, უდარდელობა, ზიზღი, სიძაბუნე წარმოადგენენ ყველაზე ნაკლებ და ყველაზე ჩვეულებრივ უხერხულობას ამ ბიწიერებისა. ცხოვრების ცოდნა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე სასიამოვნო, ყველაზე ჩვეულებრივ სათნოებას, გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვ ა ვ ი წ რ ო ვ ე ბ თ ს ა კ უ თ ა რ თ ა ვ ს დ ა ა რ ა ს ხ ვ ე ბ ს. რამდენად უპირატესი იქნებოდა შეგვევიწროებია თავისი თავი, შეგვეკავებია თავი იმისათვის, რომ შეგვესრულებია ყველაზე მნიშვნე-

ლოვანი ვალდებულებანი, რომელთაც მოითხოვს ჩვენგან პირდაპირობა, სამართლიანობა, სათნოება და რომელნიც წარმოადგენენ ყოველგვარი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ბაზასა და საფუძველს? იძულების რა უნარი შესწევს მოდუნებულ და განებივრებულ ადამიანს? მართალია ისიც, რომ, მიუხედავად ამ მანკიერებისა, მას მაინც შენარჩუნებული აქვს ზოგი კარგი თვისება; მაგრამ, ისიც უეჭველია, რომ მანკიერებით ისინი არაჩვეულებრივად დასუსტებულნი არიან; ამრიგად, სარწმუნოა, რომ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ზ ე ყოველთვის ცუდ გავლენას ახდენს ის უწესოებანი, რომელნიც თავდაპირველად, მისი აზრით, თითქმის მას არც კი ეხებიან. მაგრამ, ვინაიდან რელიგია წარმოადგენს აუცილებელ ლაგამს მათი აღკვეთისათვის, ცხადია, რომ რელიგია უნდა დაუკავშირდეს მორალს, რათა ამით განმტკიცდეს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს კეთილდღეობა.

2. ცხადია, რომ ვალდებულებანი, რომელნიც ჩვენვე განგვსაზღვრავენ ჩვენსავე მიმართ, არანაკლებ დახმარებას გვიწევენ სხვა ადამიანებთან ჩვენი დამოკიდებულების გასაზღვრის საქმეში. აგრეთვე

ცხადია, რომ ეს ორგვარი ვალდებულება ერთობ მტკიცდება ღვთის მიმართ ჩვენი ვალდებულებათა ზუსტი შესრულებით. ღვთის მოკრძალეობა, ღვთის ნებისადმი სრული მორჩილებასთან ერთად, ძალუმი მოტივია ადამიანთა იძულებისათვის იმის შესასრულებლად, რაც უშუალოდ მათვე შეეხებათ, და ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ყველაფერი იმის გასაკეთებლად, რასაც გვიკარნახებს ბუნებრივი კანონი. უკუაგდეთ რელიგია და ამით თქვენ შეარყევთ ზნეობრივ სათნოებათა მთელს შენობას, ვინაიდან ეს შენობა ვერაფერს დაემყარება. დავასკვნათ, რომ ჩვენი ვალდებულებათა სამი პრინციპი წარმოადგენს იმ სამ სხვადასხვანაირ ბერკეტს, რომელნიც კაცობრიობის სისტემას მოძრაობასა და მოქმედებას აძლევენ და რომელნიც ერთდროულად მოქმედებენ შემოქმედის განზრახვათა შესასრულებლად.

3. ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიარაღებულია კანონებით, შესწევს მხოლოდ საიმისო ძალა, რომ ხელი შეუშალოს ადამიანებს მართლმსაჯულების აშკარად დარღვევაში, მაშინ როცა ამ მხრივ ჩადენილი იდუმალი დანაშაულებრივი ხელყოფანი, რომელნიც არანაკლებ დასაგმობი არიან სახალხო ანუ საზოგადოებრივი კეთილდღეობის თვალსაზრისით, მაინც ყურადღების გარეშე რჩებიან. საზოგადოებათა გაჩენის დროიდანვე, აშკარა გზით ჩადენილ ბოროტებათა აკრძალვისა გამო, ადამიანი გაცილებით უფრო დახელოვნდა მალული გზების გამოძებნაში, ვინაიდან ეს ერთადერთი საშუალებაა, რომელიც მას დარჩა თავისი გადაჭარბებული სურვილების დასაკმაყოფილებლად, იმ სურვილებისა, რომელნიც

უფრო მეტად ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს პირობებში არსებობენ, ვინემ ბუნების პირობებში. ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა თვითონვე თავისებურად აქეზებს იმ შავბნელ და დანაშაულებრივ ქმედებას, რომლის გათვალისწინებაც კანონს არ ძალუძს, იმიტომ, რომ მისი მზრუნველობა საერთო უშიშროებისათვის, მიზანი მისი არსებობისა, კეთილქმედ ხალხს უდუნებს ყურადღებას, ასხამს რა ფრთებს ამავე დროს ბოროტებაში დახელოვნებულთ. ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს მიერ შექმნილი გამაფრთხილებელი ზომები საზოგადოებისავე საწინააღმდეგოდ შემობრუნდა; ასეთმა ზომებმა წარმოვშეს გაბატონებული ბიწიერებანი, მათვე გააფაქიზეს დანაშაულის ჩადენის ოსტატობა, ამიტომაცა ხდება, რომ განათლებულ ერებში ხშირად შეხვდებით ისეთ ბოროტებას, რომელთა მსგავი მაგალითებს სრულიადაც ადგილი არა აქვთ ველურთა შორის. ბერძნებმა, მიუხედავად მთელი მათი თავაზიანობისა, მთელი მათი ერუდიციისა და მთელი მათი კანონმდებლობისა, ვერასოდეს ვერ მოიპოვეს ისეთი პატიოსნება, როგორიც ესოდენ ბრწყინვალედ დამკვიდრდა ბუნებრივი წესით სკვითებს შორის.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია; სამოქალაქო კანონებს არ ძალუძთ თავიდან აიცილონ აშკარა და საქვეყნო უბედურებანი, რომელნიც აზიანებენ მართლებსა და მართლმსაჯულებს; მათ არა აქვთ

ასეთი შესაძლებლობა; კიდევ მეტიც, ერთობ მკაცრი აკრძალვა კიდევაც გააძლიერებდა ზოგიერთ კიდევ მეტ უსამართლობათა ჩადენის საფრთხეს, რაც მოსალოდნელია იმ შემთხვევებში, როცა უსამართლობა წარმოადგენს ბუნებრივ ვნებათა შეუკავლობის შედეგს. საერთოდ აღიარებულია, რომ არ არსებობს ისეთი დიდი და აყვავებული სახელმწიფო, სადაც თავშეუკავებლობა ისეთნაირად ყოფილიყოს დასჯილი, როგორიც დაიმსახურა ამ ბიწიერების დამღუპველმა ზეგავლენებმა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს მიმართ. თუ ამ ბიწიერებას შევზღუდავდით გადაჭარბებული სიმკაცრით, ამით კიდევ უფრო მეტ უწესობებს გამოვიწვევდით.

ეს არ წარმოადგენს კანონის ერთადერთ სისუსტეს; ვაღრმავებთ რა ურთიერთვალდებულებებს, რომელნიც გამომდინარეობენ მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობიდან, ვპოულობთ, რომ ეს ვალდებულებანი ორგვარია: პირველნი, რომელთაც უწოდებენ ს რ უ ლ ქ მ ნ ი ლ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ს, იმიტომ რომ სამოქალაქო კანონს თავისუფლად შეუძლია და კიდევაც აუცილებლად უნდა გვიკარნახოს მისი ზუსტი შესრულება; მეორენი, რომელთაც უწოდებენ ა რ ა ს რ უ ლ ქ მ ნ ი ლ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ს, არა იმიტომ, რომ მორალის პრინციპები არ მოითხოვენ მათს მკაცრს შესრულებას, არამედ იმიტომ, რომ კანონისათვის მეტ სიძნელეს წარმოადგენს მათი გათ-

ვალისწინება და აგრეთვე იმიტომაც, რომ ნაგულისხმევია, რომ ისინი უშუალოდ არ ეხებიან ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს კეთილდღეობას. ეს უკანასკნელი ვალდებულებებია ვალდებულებანი მადლობისა, სტუმართმოყვარეობისა, მოწყალეობისა და ა. შ.; ესაა ვალდებულებანი, რომელთა შესახებაც კანონები საზოგადოდ სდუმან, მაგრამ მათი დარღვევაც მაინც ფატალურია, თუმცა შედეგების მხრივ ის ნაკლები სისწრაფით იჩენს თავს, ვინემ შესრულებული ვალდებულებები. სენეკას, რომლის აზრები ამ შემთხვევაში წარმოადგენს ანტიკური დროის აზრებს, არ უძნელდება თქვას, რომ ა რ ა ფ ე რ ი ი ს ე ა რ ა რ ღ ვ ე ვ ს ა დ ა მ ი ა ნ თ ა მ ო დ გ მ ი ს შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ო ბ ა ს რ ო გ ო რ ც უ მ ა დ უ რ ო ბ ა.

თვით საზოგადოებამ შეჰქმნა ახალი გვარის ისეთი ვალდებულებანი, რომელნიც სრულიადაც არ არსებობდნენ პირველყოფილობაში და ეს მიუხედავად იმისა, რომ ისინი იმ დროშივე გაჩნდნენ, მაგრამ შესრულებას ვერ პოულობდნენ სათანადო უფლების უქონლობისა გამო; ასეთია, მაგალითად, ის მოძველებული და მასთან თითქმის ახალმოდის სათნოება, რომელსაც სამშობლოსადმი სიყვარული ეწოდება. დაბოლოს, ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა მ არამარტო შეჰქმნა ახალი ვალდებულებანი, არამედ ამასთანავე მას შესაძლებლობა ჰქონდა დაედგინა მათი ზუსტი და მკაცრი შესრულება; ამასთანავე საზოგადოებას აქვს კიდევ ის ნაკლი, რომ მან კიდევ უფრო გააზვიადა და აღანთო ის უწესო სურვილები, რომელნიც მას უნდა მიეჩქმალა და

გაესწორებია, მსგავსთა სხეულის იმ ნაწილებისა, რომელნიც მათი
განკურნების პერიოდში უფრო ამძაფრებენ ავადმყოფობის ავთვისე-
ბიანობის ხარისხს. პირველყოფილობაში ცოტა იყო სურვილი, ცოტა
იყო ისეთი სანატრელი ცდუნებანი, რომელთა წინააღმდეგაც ბრძო-
ლა ყოფილიყოს საჭირო. ამ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა თ ა გაჩენიდანვე
ჩვენი მოთხოვნილებანი დიდდებოდნენ ცხოვრების წესჩვეულებათა
გართულებისა და გაუმჯობესების კვალობაზე; ჩვენი მოთხოვნილებათა
ზრდის კვალობაზე თანდათანობით იზრდებოდა ჩვენი ცდები კანონთა
ზღუდის გადასალახავად; აი ახალ ხელოვნებათა, ახალ მოთხოვნილე-
ბათა, ახალ სურვილთა ამ ზრდამ თვისთავად მოადუნა სტუმართ-
მოყვარეობისა და კეთილშობილების გრძნობები და შესცვალა ისინი
ანგართმოყვარეობის, გამყიდველობისა და სიძუნწის გრძნობებით.

ბუნება იმ ვალდებულებათა, რომელთა შესრულებაც აუცილე-
ბელია სამოქალაქო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ჰარმონიის შესანარჩუნებ-
ლად, მათი დასარღვევად მართული ძალუმი და ხშირი ცდუნე-
ბანი, შავბნელი და მალული საშუალებანი; სუსტი ზღუდე, რომელთაც
უპირისპირდება კანონით განსაზღვრული და დადგენილი სასჯელი,

რომლითაც ებრძვიან მრავალი ამ ვალდებულთაგანის დარღვევას;
უკმარობა წაქეზებისა მათი დასაცავად, იმის გამო, რომ ს ა ზ ო გ ა -
დ ო ე ბ ა ს არ ძალუძს სისწორით გაანაწილოს ჯილდოები; ყველა ეს
ნაკლი, ყველა ეს არასრულქმნილება, რომელნიც არ შეიძლება და-
ვაცილოთ თვით ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა ვ ე ბუნებას, ამტკიცებენ აუ-
ცილებლობას დაუმატოთ მას ზოგი სხვა მაიძულებელი ძალა, რო-
მელსაც უნარი შესწევდეს საკმაო გავლენა იქონიოს ადამიანთა აზ-
როვნებაზე, რათა დაიცვას ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა და აარიდოს მას
დაბნეულობა და უწესოება. ვინაიდან ბოროტებისადმი შიში და სი-
კეთის იმედი, რომელნიც ბუნების ორ დიდ საჭეს წარმოადგენენ,
რომელთაც ძალუძთ შეაკავონ ადამიანები, ოდნავადაც საკმარისი
არ არიან კანონების დასაცავად, ვინაიდან სამოქალაქო ს ა ზ ო გ ა -
დ ო ე ბ ა ს ძალუძს მხოლოდ პირველის გამოყენება და ისიც არა-
სრულქმნილად და სრულიადაც არ ძალუძს უკანასკნელის გამოყე-
ნება; დაბოლოს, ვინაიდან მხოლოდ რელიგიას ძალუძს შეაერთოს
და მოძრაობაში მოიყვანოს ეს ორი ბერკეტი, ვინაიდან მხოლოდ
რელიგიას ძალუძს დასდოს ყოველთვის სწორი და ყოველთვის მარ-
თალი მსჯავრი, იქნება ეს აშკარად და მალულად ჩადენილი დარ-
ღვევა და დარღვეული ვალდებულებანი იქნებიან შესრულებელი თუ
შეუსრულებელი მოვალეობანი, ვინაიდან მხოლოდ რელიგიას ძალ-
უძს შეაფასოს ძალაუფლების დამსახურება, გაიგოს ჩვენი მოქმედე-
ბათა მოტივები და მიუძღვნას სათნოებანი და ჯილდო, რომლის ბო-
ძებაც სამოქალაქო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს არ შეეძლებოდა, ნათელია,
რომ რელიგიის ძალა აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენს
არამარტო იმისათვის, რომ საზოგადოებას მიენიჭოს ათასობით სი-

კეთე და ათასობით სიტკბოება, არამედ აგრეთვე იმისათვისაც, რომ უზრუნველყოფილ იქნას ვალდებულებათა დაცვა და დახმარების გაწევა სამოქალაქო მმართველობისადმი.

ვამტკიცებთ რა რელიგიის აუცილებლობას სამოქალაქო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს დასაცავად, აუცილებლობას არ წარმოადგენს ვამტკიცოთ, რომ მისი დახმარება უნდა გამოყენებული იყოს საზოგადოებისათვის ყველაზე ხელსაყრელი წესით, ვინაიდან ყველა საუკუნისა და ყველა ქვეყნის გამოცდილება გვასწავლის, რომ მათი გაერთიანებული ძალა საკმარისი როდია ბიწიერებათა ასალაგმავად და ადამიანთა დასაცავად ძალადობისა და არეულობისაგან. პოლიტიკა და რელიგია, სახელმწიფო და ეკლესია, სამოქალაქო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა და რელიგიური ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა, თუ კი ყველა მათ მოხერხებულად აერთიანებენ და აკავშირებენ, ჰარმონიულობას ანი-

ჯებენ და ამტკიცებენ ერთმანეთს, მაგრამ მათი ბუნების წინასწარი გაღრმავების გარეშე ასეთი კავშირი არ მოეწყობა.

იმისათვის, რომ გავერკვეთ მათს ბუნებაში, ნამდვილი საშუალება იქნებოდა მათი დანიშნულებისა და მიზნის აღმოჩენა-განსაზღვრა. ულტრამონტენელთ სურდათ სახელმწიფო დაექვემდებარებიათ ეკლესიისადმი; ერასტელებს, ამ მოჯანყეებს კი, რომელნიც აჯანყდნენ ინგლისში ეგრეთწოდებული რეფორმაციის დროს და მათი მეთაურის თომას ერასტის სახელთან დაკავშირებით ეწოდათ ერასტელები, სურდათ ეკლესია დაექვემდებარებიათ სახელმწიფოსადმი. ამ მიზნით მათ მოსპეს ყველა ეკლეზიასტური მეცნიერება, და ჩამოაცილეს ეკლესიას ყველა უფლება, ამტკიცებდნენ რა, რომ მას არ ძალუძს არც ეკლესიიდან გარიცხვა, არც ცოდვების მიტევება, არც დეკრეტების გამოცმა და, ამრიგად, ამ საკითხში როგორც ერთნი, ისე მეორენიც ჩავარდნენ ყოვლად უცნაურ და ყოვლად დამღუპველ შეცდომაში, მიტომ რომ არ შეისწავლეს ამ ორი სხვადასხვანაირი საზოგადოების ბუნება.

ადამიანებმა, ჰქმნიდნენ რა სამოქალაქო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს, უარი სთქვეს თავიანთ ბუნებრივ თავისუფლებაზე და დაემორჩილნენ სამოქალაქო მმართველის ძალაუფლებას; მაგრამ ადამიანებს ეს არ ჩაუდენიათ იმისათვის, რომ მიეღოთ ის სიკეთენი, რომლებითაც მათ შეეძლოთ უამისოდაც დამტკბარიყვნენ; ეს ჩადენილ იქნა რამდენიმე განსაზღვრულ და მუდმივ სიკეთეთა მიღების მიზნით, რომელთაც უნდა მოველოდეთ მხოლოდ სამოქალაქო საწყისის შექმნით; და მხოლოდ იმისათვის, რომ მიეღოთ ეს ობიექტი, მათ აღჭურვეს მმართველი საზიგადოების შემადგენელ ყველა წევრთა ძლიერებით იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო ყველა დეკრეტთა შესრულება, რომელთაც კი გამოსცემდა სახელმწიფო ამ მიზნით. მაგრამ არის განსზღვრული და მუდმივი სიკეთე, რომელიც ადამიანებს ჰქონდათ მხედველობაში, როცა ისინი ერთიანდებოდნენ, იძლეოდ-

ნენ რა ამით ურთიერთგარანტიას იმ შეურაცხყოფათაგან, რომელ-
ნიც მათ შეიძლებოდა განეცადათ სხვა იმ ადამიანებისაგან, რომელ-
თა ძალადობისადმი დასაპირისპირებლადაც მათ შეეძლოთ გამოეყე-
ნებიათ კიდევ მეტი ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლებოდა თავდასხ-
მისათვის სასჯელი მიეზღო. აი სწორედ ამას გვპირდება ბუნება ძა-
ლაუფელებისა, რომლითაც მოსილია სამოქალაქო საზოგადოება
კანონთა დასაცავად; ის ძალაუფლება, რომელიც მდგომარეობს მარ-
ტო ძალასა და დასჯაში და რომელიც მას შეუძლია კანონიერი გზით
გამოიყენოს, მოქმედობს რა მხოლოდ იმ მიზნის შესაბამისად, რომ-
ლისათვისაც ის იყო დაწყებული, ბოროტად იყენებს მას, როცა ის

გამოყენებულია სხვა განზრახვით; და ეს იმდენად ცხადია, რომ მა-
შინ ძალაუფლება გაბათილებული რჩება, მის ძალას, რომელიც ესო-
დენ ძლევამოსილი იყო სამოქალაქო და ხორციელი ინტერესებისთ-
ვის, არძალუძს ზემოქმედება მოახდინოს ინტელექტუალურსა და
სულიერ საწყისებზე. ემყარებოდა რა ამ უდაო პრინციპს, მ. ლოკმა
დაამტკიცა მართებულობა რელიგიის შეწყნარებისა და უსამართ-
ლობა მისი დევნისა.

ამრიგად, ჩვენ, ამ დიდ ფილოსოფოსთან ერთად, ვაღიარებთ,
რომ სულის ხსნა არ წარმოადგენს არც მიზეზსა და არც მიზანს
სამოქალაქო საზოგადოებათა დაწესებისათვის. ვამყარებთ რა ამ
პრინციპს, დავასკვნით, რომ დოქტრინა და მორალი, რომელნიც
წარმოადგენენ საშუალებას ხსნისათვის და რომელნიც შეადგენენ
იმას, რასაც ხალხი საზოგადოდ გულისხმობს სიტყვა რ ე ლ ი გ ი ი ს
სახით, სრულიადაც არ შედიან მმართებლის გამგებლობაში. ეს ცხა-
დია დოქტრინის მიმართ, ვინაიდან მმართებლის უფლებას არ ძალუძს
ზემოქმედება იქონიოს შეხედულებებზე; მორალის მიმართ ამ დებუ-
ლების გარჩევა მოითხოვს ახსნა-განმარტებას. ზნეობათა ინსტიტუტი
და მათი გარდაქმნა ეხებიან სხეულსაც და სულსაც და სამოქალაქო
და რელიგიურ წყობასაც; რამდენადაც ისინი ეხებიან რელიგიას, სა-
მოქალაქო მმართველობა გამორიცხულია; მაგრამ რამდენადაც ისინი
ეხებიან სახელმწიფოს, მმართებელი ფხიზლად უნდა იყოს, როცა
შემთხვევა მას ეხება, და გამოიყენოს თვისი უფლებრივი ძალა. თუ
რომ თვალს გადავავლებთ ყველა კოდექსსა და დიგესტს, იქ ყოველ
დანაშაულებრივ მოქმედებაზე მითითებულია შესატყვისი სასჯელიც;
არა იმიტომ რომ მანკიერებაა ის ანდა დაცილებულია სამართლია-
ნობისა და უსამართლობის მარადიულ წესებს, არა იმიტომ, რომ
ის ცოდვას წარმოადგენს ანდა დაცილებულია ის ღვთაებრივი ნების
უჩვეულო ზეშთაგონებათა მიერ დადგენილ წესებს, არამედ იმიტომ,
რომ ის წარმოადგენს დანაშაულს, ე. ი. მისი გავლენა პროპორციუ-
ლია იმ ზიანისა, რომელსაც ის აყენებს სამოქალაქო საზოგადოების
კეთილდღეობას. თუ ვიკითხავთ, თუ რატომ ხდება ეს, ვუპასუხებთ,
რომ საზოგადოებას მიზნად აქვს არა კერძო პირთა კეთილდღეობა.

არამედ საზოგადო კეთილდღეობა, რომელიც მოითხოვს კანონები გამოყენებულ იქნან მთელი თავისი სისასტიკით და სიმკაცრით იმ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, რომელთა მიმართაც ადამიანებს ყველაზე მეტი იერიში მიაქვთ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს საფუძვლების დასაცავად. სხვადასხვაგვარმა მიზეზებმა და სხვადასხვაგვარმა გარემოებებმა გვაიძულა დაგვეშვა, რომ მმართებლის მზრუნველობანი ბუნებრივად უნდა ვრცელდებოდნენ რელიგიაზე რამდენადაც ის ეხე-

ბა სულის ხსნას. ის თვითვე, აქეზებდა ამ მომხიბვლელ ილუზიას, როგორც ისეთს, რომელსაც ძალუძს გაადიდოს მისი ძალაუფლება და ხალხთა სასოება მისი პიროვნების მიმართ. მტუტე ნარევმა სამოქალაქო და რელიგიური ინტერესებისა შესაძლებლობა მისცა მას მიეღწია ამისათვის საკმაოდ ადვილად.

სამოქალაქო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს სიყრმისას, ოჯახის მამებმა, რომელნიც ყოველთვის ასრულებდნენ მოძღვრის ფუნქციებს, და მიაღწიეს ან იყვენ რა მოწოდებული სახალხო საქმეთა მმართველებად, გადაიტანეს მოძღვრის ფუნქციები მმართველშიც და პირადად ასრულებდნენ ამ ორმაგ ფუნქციებ. ის, რაც შემთხეევითი იყო მის დასაბამში, უფრო მოგვიანებით უმთავრესი შეიქნა. ანტიკურ კანონმდებელთა უმრავლესობა, თავისი პროექტების აუცილებლობისათვის იჩემებდა ერთგვარ ზეშთაგონებასა და ღმერთების უჩვეულო დახმარებას და ბუნებრივია, რომ ისინი ამით ურევდნენ სამოქალაქო და რელიგიურ ობიექტებს და სახელმწიფოს წინაშე დანაშაულს იმ ღმერთების წინაშე დანაშაულთან, რომელთა მიერაც თითქოს დაარსდა და შენარჩუნებულია სახელმწიფო. მით უმეტეს კერპთთაყვანისმცემლობისას, გარდა კერძო პირთა რელიგიისა, არსებობდა კულტი და სახალხო ცერემონიები, რომელნიც დაწესებული იყო და სრულდებოდა სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოსათვის, როგორც აგეთისათვის. რელიგია ერეოდა ხელისუფალთა საქმეებში: არაფერს არ წამოიწყებდნენ და არაფერი არ სრულდებოდა მისანის აზრის გარეშე. შემდგომში, როცა რომის იმპერატორები მოიქცნენ ქრისტიანებად და მიიკრეს ჯვარი გვირგვინზე, გულმოდგინეობამ, რომელსაც ჩვეულებრივად იჩენს ყოველი ახლადმოქცეული, გამოიწვია სამოქალაქო დაწესებულებებში ცოდვის საწინააღმდეგო კანონების შემოღება. პოლიტიკურ მმართველობაში მათ შემოიღეს საღვთო წერილის მაგალითები და მცნებები, რაც ძალუმად უწყობდა ხელს მოსპობას იმ განსხვასვებისა, რომელიც არსებობს სამოქალაქო საზოგადოებასა და რელიგიურ ს ა ზ ო გ ა დ ოე ბ ა ს შორის. ეს მცდარი მსჯელობა არ უნდა იქნას მიკუთვნებული ქრისტიანული რელიგიისადმი, სადაც ამ ორი ს ა ზ გ ა დ ო ე ბ ი ს შორის განსხვავება იმდენად ნათელი და ზუსტია, რომ ასე ადვილად აქ შეცდომაში არ ჩავარდები. ამ შეცდომის წარმოშობა უფრო გვიანდელია და ის უნდა მივაწეროთ იუდეველთა რელიგიას, სადაც ეს ორი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა თითქოსდა

ერთმანეთში იყო ჩაქსოვილი.

ებრაელთა შორის დამყარებული სამოქალაქო წესრიგი, რომელიც უშუალოდ თვით ღვთის მიერ იყო თითქოს დაწესებული, ქრისტიანმა მმართველებმაც გადმოიღეს როგორც გეგმა და მოდელი

ყველაზე სრულქმნილი და ღირსი მიბაძვისათვის. მაგრამ გამოშვებულ იქნა მხედველობიდან ის, ჩომ ეს კანონმდებელობა, რომელსაც ემორჩილებოდნენ დანაშაულიც და ცოდვებიც, წარმოადგენდა აუცილებელ შედეგს თეოკრატიული მმართველობისა, სადაც ღმერთი მართავდა განსაკუთრებული წესით, და რომლის ფორმა და იერი სავსებით განსხვავდებოდნენ ადამიანის მიერ დაწესებული მმართველობის ყველა ფორმისა და იერისაგან. ამავე მიზეზს უნდა მივაწეროთ პროტესტანტების შეცდომებიც სახელმწიფოს რეფორმაციის მიმართ, ვინიდან მათი პირველი მეთაურის თავი გამოტენილი იყო იუდეველური ყაიდის იდეებით. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ქვეყნებში, სადაც მმართველობამ ახალი ფორმა მიიღო და ერთდროულად ხალხებმა მიიღეს ახალი რელიგიაც, უპირატესობა მიანიჭეს სასაცილო იმიტაციას იუდეველთა მმართველობისა, რის გამოც მსაჯული მეტ გულმოდგინეობას იჩენდა ცოდვების დასათრგუნავად, ვინემ დანაშაულთა დასათრგუნავად. მაჩვენებითად რეფორმირებულმა მინისტრებმა, ქედმაღალმა ხალხმა, რომელნიც მოწადინებულნი იყვნენ გამოეცხოთ სახელმწიფო თავიანთი თელეოლოგიური შეხედულებების ყაიდაზე, თვით უკეთილგონიერესი პროტესტანტობის აღიარებითაც კი დაამტკიცეს, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ცუდი პოლიტიკოსები, როგორადაც ცუდივე თეოლოგები. სამოქალაქო და რელიგიურ საგანთა აღრევის ამ მიზეზებს შეიძლება დავუმატოთ კიდევ მრავალი სხვა. არ ყოფილა ისეთი ძველი ან თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება, სადაც არ ყოფილიყოს კანონით დაწესებული კანონისავე მფარველობაში მყოფი ფავორიტული რელიგია, ე. ი. ისეთი დაწესებულება, რომელიც დაფუძნებულია ნებაყოფლობითსა და თავისუფალ შეკავშირებაზე, რომელიც ხორციელდება ეკლეზიასტური ძლევამოსილებისა და სამოქალაქო ხელისუფალთა შორის ერთისა და მეორესათვისაც ურთიერთსარგებლიანობის მიზნით. ერთმანეთთან კავშირისა გამო, ორივე საზოგადოება განსაზღვრულ შემთხვევებში თავიანთი ძალაუფლების მეტ ნაწილს თმობს და ზოგჯერ ისედაც ხდება, რომ ისინი ორივე თავიანთი მხრივ ბოროტადაც კი იყენებენ ამას. ადამიანებმა, თუ განვსჯით მათი მოქმედების მიხედვით, რომ არ შევეხოთ მათს მიზეზსა და მათს წარმოშობას, ირწმუნეს, რომ სამოქალაქო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს საკუთარივე არსის მიხედვით გააჩნია ის ძალაუფლება, რომელიც მას მინიჭებული აქვს მხოლოდ ნაბოძები სახით. კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ ბოროტმოქმედების ზიანი უდრის ცოდვით გამოწვეულ ზიანს და რომ ამ შემთხვევებში ადამიანები არც კი აქცევდნენ ყურადღებას მსაჯულმა სასჯელის და-

წესებისას ესათუის მოქმედება დანაშაულად მიიღო თუ ცოდვად.

ასეთია, მაგალითად, შემთხვევა მუხთლობისა და ღვთის სახელის შებილწვისა, რომელთაც ყველა სახელმწიფოს კანონი სასტიკად სჯის. დანაშაულის კომპლექსური იდეა და ცოდვის კომპლექსური იდეა, არიან რა განყენებული ბუნებისანი და შესდგებიან რა უბრალო იდეებიდან, რომელნიც საერთოა როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვისაც, ერთნაირად შეცნობილი არ ყოფილან ყველას მიერ; ხშირად მათ ურევდნენ როგორც ერთსა და იმავე იდეას, რაც საკმაოდ უწყობდა ხელს იმათი შეცდომისადმი მხარის დაჭერას, რომელნიც ურევენ სამოქალაქო და რელიგიურ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა თ ა შესატყვის უფლებებს. ეს განხილვა საკმარისია, რომ ვუჩვენოთ, თუ როგორია ნამდვილი მისანი სამოქალაქო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა და როგორია ამის გამო დაშვებული შეცდომების მიზეზები.

რელიგიური ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს საბოლოო მ ზანს წარმოადგენს თითოეულისადმი მინიჭება ღვთისწყალობისა, იმ წყალობისა, რომლის მოხვეჭაც შესაძლებელია მხოლოდ სულისა და გულის სიწმინდით; ამრიგად, რელიგიის შუალედ მიზანს წარმოადგენს ჩვენი სულიერი ნიჭის გაუმჯობესება. რელიგიურ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს აგრეთვე აქვს სამოქალაქო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი დ ა ნ განსხვავებული დამოუკიდებელი მიზანი; აქედან აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ ის არაა მასზე დამოკიდებული და რომ, მაშასადამე ის სრული უფლებამოსილია თავის დარგში. ვინაიდან ერთი საზოგადოების დამოკიდებულება მეორეზე შეიძლება ხდებოდეს მხოლოდ ორი პრინციპის მიხედვით, სახელდობრ ან ბუნებრივი მიზეზით, ან სამოქალაქო პრინციპებით. ბუნების კანონებზე დაფუძნებული დამოკიდებულებანიც, ამ დამოკიდებულების ან არსიდან ან გენერაციიდან უნდა გამომდინარეობდნენ. ამ შემთხვევაში დამოკიდებულება არ შეიძლება იყოს მისივე არსიდან; და ეს მიტომ, რომ ასეთი გვარის დამოკიდებულება აუცილებლობით ჰგულისხმობს ამ ორ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს შორის კავშირს ან ბუნებრივ შერევას, რამდენადაც ორი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა დაკავშირებულია თავისი დამოკიდებულებით საერთო ობიექტზე. ამავე დროს მათი ობიექტი სრულიადაც არაა საერთო და სავსებით განსხვავდება ურთიერთთაგან, სახელდობრ ერთის საბოლოო მიზანს წარმოადგენს სულზე ზრუნვა, მეორესას კი ზრუნვა საზოგადოებასა და მის ინტერესებზე. ერთს შესაძლებლობა გააჩნია იმოქმედოს მხოლოდ შინაგანი გზებით, მეორეს კი, პირიქით, მხოლოდ გარეგნული გზებით. იმისათვის, რომ არსებობდეს დამოკიდებულება ამ ორ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს შორის, მათი გენერაციის ძალით, საჭირო იქნებოდა, ერთი თავისი არსებობით ვალდებული ყოფილიყო მეორეს მიმართ, როგორადაც, მაგალითად, კორპორა-

ციები, კომუნები და ტრიბუნალები თავიანთ არსებობას უნდა უმადლოდნენ იმ ქალაქებსა და სახელმწიფოებს, რომელთაც ისინი შექმნეს. ეს სხვადასხვა საზოგადოებანი თავიანთი მიზნებისა და თავიანთი საშუალებების მსგავსებით, ისევე როგორც თავიანთი ქარტებით ანდა შექმნა-დაარსების სიგელებით თვითვე ამჟღავნებენ თავიანთ წარმოშობასა და თავიანთ დამოკიდებულებებს. მაგრამ რელიგიური საზოგადოება, სრულიადაც არ გააჩნია რა მას არც მიზანი და არც საშუალებები, რომელნიც მსგავსნი ყოფილიყვნენ სახელმწიფოს მიზნისა და საშუალებებისა, ამით იძლევა თავის დამოუკიდებლობის შინაგან მტკიცებებს; და ის მათ ადასტურებს გარეგნული მტკიცებულობებით, უჩვენებს რა, რომ ისინი არ წარმოადგენენ სახელმწიფოს მიერ შექმნილს, ვინაიდან ის უკვე არსებობდა სამოქალაქო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს დაარსებამდე. რაც შეეხება სამოქალაქო მიზნებზე დაფუძნებულ დამოკიდებულებას, მას არ ძალუძს არსებობა. ვინაიდან რელიგიური და სამოქალაქო ს ა ზ ო გ ა დ ო ე - ბ ა ნ ი მთლიანად განსხვავებულნი არიან როგორც თავიანთი მიზნებით და თავიანთი საშუალებებით და ერთის სფერო იმდენად დაშორებულია მმართველობას მეორესას, რომ ისინი ვერასოდეს ვერ შესძლებენ წინააღმდეგობაში იყვნენ ურთიერთთან; ასევე, არ შეიძლება არსებობდეს სახელმწიფოებრივი აუცილებლობა, რომელიც მოითხოვდეს, რათა ნაციათა კანონები ერთიმეორეზე დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ; თუ რომ სამოქალაქო მმართველის ვალდებულებანი გავრცელებულიყო სულზე ზრუნვაზე, მაშინ ეკლესია მის ხელში მხოლოდ იარაღი იქნებოდა ამ მიზნის მისაღწევად, ჰობსი და მისი მიმდევრები დაჟინებით იცავდნენ ამ თეზისს. თუ რომ მეორე მხრით რელიგიურ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა თ ა ვალდებულება გავრცელდებოდა სამოქალაქო საზოგადოების კანონებზე და მის ინტერესებზე, სახელმწიფო დიდ საფრთხეში იქნებოდა ეკლესიისადმი დაქვემდებარების მხრივ. და ეს მიტომ, რომ რელიგიურ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ე ბ ს, რა თქმა უნდა, აქვთ უფრო კეთილშობილი დარგი, რომლის საზრუნავსაც წარმოადგენს სულზე ზრუნვა, აქვთ, ანდა პრეტენზიას აცხადებენ, რომ აქვთ ღვთაებრივი წარმოშობა, და ეს იმ დროს, როცა სახელმწიფოთა ფორმა წარმოადგენს მხოლოდ ადამიანის მიერ დაწესებულს. თუ რომ რელიგიური საზოგადოებანი თავიანთი კანონიერ უფლებებს მიუმატებდნენ საზოგადოებაზე და მის ინტერესებზე ზრუნვას და ისინი მაშინ უფლებრივად მოითხოვდნენ უპირატესობას სახელმწიფოს მიმართ (ცოდვათა შენანიების შემთხვევებში), უნდა ვიგულვოთ, რომ მათ საკმარისი ძალაუფლებაც ექნებოდათ ამ თავიანთი უფლებების შესანარჩუნებლად; და მართლაც, აუცილებელ საშუალებას წარმო-

ადგენს ის, რომ ყოველი საზოგადოება, რომლის ზრუნვაც ვრცელდება სახელმწიფოებრივ ინტერესებზე, უნდა მოსილი იყოს მაიძულებელი ძალაუფლებით. ამ დებულებლებს ერთს დროს ერთობ

დიდი სახელი ჰქონდა; ულტრამონტენტელები, რომელთაც იცოდნენ მარჯვე გარემოებათა შერჩევა, შეეცადნენ გამოეყენებიათ სახელმწიფოთა შინაგანი შფოთი; შფოთის გამომწვევი მიწიერი მმართველის ტანკზე უფრო მაღლა სამოციქულო ტახტის ამაღლების მიზნით, ისინი სახელმწიფოებს აიძულებდნენ და ზოგჯერ კიდევაც იმორჩილებდნენ მათ და ცდილობდნენ ყოველგან გაუტარებიათ ეს. მაგრამ ისინი უძლეველ ზღუდეს წააწყდნენ კეთილშობილი და ღირსეული წინააღმდეგობების სახით ანგლიკანური ეკლესიის მხრივ, რომელიც ერთნაირად ერთგული იყო თავისი ღმერთისაც და თავისი მეფისაც.

ამრიგად, ჩვენ ვაყენებთ როგორც ძირითად დებულებას და როგორც ნათელ შედეგს იმ პრინციპს, რომ რელიგიურ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს არ გააჩნია არავითარი მაიძულებელი უფლება მსგავსი იმისა, როგორიც ხელთ უპყრია სამოქალაქო საზოგადოებას. ობიექტები, რომელნიც სავსებით ნაირნაირია თავისი ბუნების მიხედვით, არ შეიძლება შეძენილ იქნან ერთიდაიმავე საშუალებით. ერთიდაიგივე რელაციები იძლევიან ერთსადაიმავე შედეგებს და სხვადასხვა შედეგები არ წარმოსდგებიან ერთსადაიმავე რელაციიდან. მაგალითად, ძალასა და იძულებას, რომელნიც მოქმედობენ მხოლოდ გარედან, შეუძლიათ შექმნან მსოლოდ გარეგნული სიკეთე, ე. ი. სამოქალაქო დაწესებულებათა ობიექტები. მათ არ ძალუძთ შეჰქმნან შინაგანი სიკეთე, ე. ი. რელიგიურ დაწესებულებათა ობიექტები. მთელი მაიძულებელი უფლება, რომელიც შესატყვისია რელიგიური ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა, ამოიწურება ეკლესიიდან შერისხვის უფლებით, და ეს უფლება სასარგებლო და აუცილებელია ერთნაირი რწმენის შესანარჩუნებლად; რა გაკეთდებოდა მარტო საზოგადოებიდან ყველა იმათი განდევნით, რომელნიც უარს ამბობენ შეეგუონ სახალხო რელიგიას; ამრიგად უფრო მართებული და სასარგებლო იქნებოდა, რომ რელიგიურ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს გააჩნდეს შერისხვის ეს უფლება. ყოველგვარ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს, როგორი საშუალებები და მიზნებიც არ უნდა გააჩნდეს მას, როგორც ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს, გარდუვალად უნდა გააჩნდეს ეს უფლება, უფლება განუთვისებელი მათი არსისაგან; უამისოდ ისინი თავისთავად გადნებოდნენ, და ისევ დაუბრუნდებოდნენ არარაობას, სწორედ ისევე, როგორც ბუნებრივ სხეულს, თუ რომ ბუნებას, რომელსაც ამ ფუნქციაში ბაძავენ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ნ ი, არ ჰქონოდა ძალა განავალის სახით გამოეყო

მავნე და გაფუჭებული სითხეები; მაგრამ ეს სასარგებლო და აუცილებელი უფლება წარმოადგენს მთელსა და ერთადერთს, რომელადაც გვევლინება რელიგიური ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა; ვინაიდან ამ ძალაუფლების შესრულება შენარჩუნებულია, ამით რელიგიის თავისებურებაც, მისი არსი და მისი მიზანიც უზრუნველყოფილია, და საზოგადოების კეთილდღეობაც ხომ მეტს არაფერს მოითხოვს. მეტი

უფლება რომ რელიგიურ საზოგადოებას ჰქონოდა, ეს უადგილოც იქნებოდა და უსამართლობაც.

331

წერილი ვოლტერს

11 ივნისი, 1749 წ.

წუთი, როდესაც მე თქვენი წირილი მივიღე, ბატონო და ძვირფასო მასწავლებელო, ერთი ყველაზე უფრო სასიხარულოთაგანი იყო ჩემს სიცოცხლეში. გულითად მადლობას გიძღვნით მასთან დართულ საჩუქრისათვის. თქვენ არ შეგეძლოთ გაგეგზავნათ თქვენი თხხულება სხვა ვინმესთვის, რომელიც ჩემზე მეტად თქვენი თაყვანისმცემელი იქნებოდა. ადამიანები მოწიწებით ინახავენ კეთილგანწყობილების ნიშნებს ძლიერთაგან ამა ქვეყნისა; რაც შემეხება მე, რომლისთვისაც ყოველივე განსხვავება ადამიანთა შორის მხოლოდ მათ პირად ღირსებებშია, მე ამ საბუთს თქვენი ჩემდამი პატივისცემისას იმდენად მაღლა ვაყენებ კეთილგანწყობილებების ნიშნებზე ძლიერთაგან ამა ქვეყნისა, რამდენადაც უკანასკნელნი თქვენზე დაბლა დგანან. დაე, ახლა რაც უნდა ის იფიქროს ამ ხალხმა ჩემს წ ე რ ი ლ ზ ე ბ რ მ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ; ის თქვენ მოგეწონათ; ჩემმა მეგობრებმა ის სცნეს კარგად; ჩემთვის ეს საკმარისია.

მე ისევე ნაკლებ ვიზიარებ სპუნდერსონის შეხედულებებს როგორც თქვენ; მაგრამ, შეიძლება იმიტომ, რომ მე ვხედამ ის დამოკიდებულებანი, ჩვენ რომ გვანცვიფრებენ, ბრმაზე არ ახდენენ ასეთივე ეფექტს; ის მუდმივ სიბნელეში ცხოვრობს; და ამ სიბნელემ დიდი წონა უნდა მისცეს მას მისი მეტაფიზიკური არგუმენტებისათვის. ჩვეულებრივად ღამე წამოიშლებიან ხოლმე ბურუსნი, რომელნიც ღმერთის არსებობას ჩრდილავენ ჩემში; მზის ამოსვლა გაფანტავს მათ; მაგრამ ბრმისათვის სიბნელე განუწყვეტლივ გრძელდება, და მზე მხოლოდ თვალხილულთათვის ამოდის. ნუ იფიქრებთ, რომ საუნდერსონს უნდა შეემჩნია ის, რასაც თქვენ შეამჩნევდით მის ადგილას: თქვენ არ შეგიძლიათ სხვას შეენაცვლოთ ისე, რომ საკითხის მდგომარეობა სავსებით არ შესცვალოთ.

აი რამდენიმე მოსაზრება, რომელთაც მე საუნდერსონს აუცილებლად ვათქმევინებდი, რომ იმ ბატონების შიში არ მქონებოდა, თქვენ რომ ასე კარგად ამიწერეთ.

332

რომ არსებანი არ ყოფილიყვენ, ვათქმევინებდი მე მას, ისინი არასოდეს არ იქნებოდნენ, რადგან, იმისათვის, რომ არსებობა მისცე

შენს თავს, საჭიროა იმოქმედო. და რომ იმოქმედო, – საჭიროა არსებობდე. რომ მხოლოდ მატერიალური არსებანი ყოფილიყვენ, არასოდეს სულიერი არსებანი არ იქნებოდნენ; რადგან სულიერი არსებანი ან თვითვე მისცემდნენ არსესობას თავის თავს, ან მიიღებდნენ მას მატერიალური არსებათაგან, ისინი უკანასკნელთა მოდუსები იქნებოდნენ, ან, ყოველ შემთხვევაში მათი შედეგები რაც, რასაკვირველია, თქვენ არ დაგაკმაყოფილებთ. მაგრამ ყოველთვის რომ სულიერი არსებები ყოფილიყვენ, მაშინ, როგორც თქვენ ამას დაინახავთ, არასოდეს მატერიალური არსებები არ იქნებოდნენ. საღი ფილოსოფია მე ნებას მაძლევს ვსცნო საგნებში მხოლოდ ის, რასაც მე მათში გარკვეულად ვამჩნევ. მაგრამ სულში მე ვამჩნევ გარკვეულად მხოლოდ აზროვნებისა და ნდომის უნარს, და მე ვერ წარმომიდგენია, რომ აზრსა და ნებისყოფას შეეძლოთ იმოქმედონ მატერიულ არსებებზე ან არარაობაზე და არარაობასა და მატერიულ არსებებს – სულიერ არსებებზე. მტკიცება იმისა, რომ არარაობისა და მატერიულ არსებათა ზეგავლენა წმინდა სულიერ არსებებზე შეუძლებელია, იმიტომ რომ ჩვენ სრულებით არ გვესმის შესაძლებლობა ამ ზეგავლენისა, ეს ნიშნავს სცნო აგრეთვე, რომ შეუძლებელია წმინდა სულიერი არსებების ზეგავლენა სხეულოვან არსებებზე, რადგან ასეთი ზეგავლენის შესაძლებლობაც ძნელი წარმოსადგენია. ამრიგად, ამ დაშვებიდან და ჩემი მსჯელობიდან, – განაგრძობდა საუნდერსონი, – გამოდის, რომ სხეულოვანი არსება არანაკლებ დამოუკიდებელია სულიერ არსებაზე, ვიდრე სულიერი არსება – სხეულოვან არსებაზე, რომ ერთად ისინი სამყაროს შეადგენენ და რომ სამყარო ღ მ ე რ თ ი ა. რა ძალა შეეძლო მიეცა ამ მსჯელობისათვის იმ, თქვენსა და ლოკისათვის საერთო შეხედულებას, რომ აზრი, შეიძლება, მატერიის ერთგვარი მოდიფიკაცია იყოს.

მაგრამ, – უპასუხებდით თქვენ მას, – ეს დაუსრულებელი ურთიერთობანი, რომელთაც მე საგნებში ვამჩნევ და ის შესანიშნავი წესრიგი, ყოველი მხრიდან რომ გამოვლინდება, – რას უნდა წარმოადგენდეს ყოველივე ეს? – რომ ეს მეტაფიზიკური არსნი არიან, რომლებიც მარტო თქვენს გონებაში იარსებებენ, – გიპასუხებდათ თქვენ ის. ფართო უშენი ადგილი ამოუვსებიათ ალალბედზე მიბნეულ-მობნეულ ნამტვრევებით, მაგრამ ამ ნაყართა შორის ჭია და ჭიანჭველა მოხერხებულ სადგომს პოულობენ თავიანთთვის; რას იტყოდით თქვენ ამ მწერების შესახებ, რომ დამოკიდებულებანი მათ მიერ დაკავებულ ადგილსა და მათივე ორგანიზაციის შორის რეალურ არსებებად მიეჩნიათ და

თავის აღფრთოვანება გამოეთქვათ ამ მიწისქვეშეთი არქიტექტურის სიმშვენიერისა და იმ მებაღის უზენაეს გონიერების გამო, რომელმაც ასეთნაირად დაალაგა მათთვის საგნები?

აჰ, ჩემო ბატონო, რა ადვილია ბრმისათვის ასეთი მსჯელობის ლაბირინთში დაბნევა, და ათეისტად სიკვდილი, რაც თუმცა, საუნ-

დერსონს არ ეხება. სიკვდილის დროს მან მიაბარა თავისი თავი კლარკის, ლაიბნიცისა და ნიუტონის ღმერთს, ისევე, როგორც ებრაელები აბარებდნენ თავს აბრაამის, ისაკისა და იაკობის ღმერთს, ვინაიდან ის დაახლოებით იმავე მდგომარეობაში იყო; მე უთმობ საუნდერსონს მას, რაც უაღრეს სკეპტიკოსებსაც კი რჩებათ, სახელდობრ, ცოტაოდენ იმედს მასზე, რომ ისინი სცდებიან: მაგრამ ასეა ეს თუ არა, მე არ ვიზიარებ მათ შეხედულებას. მ ე მ წ ა მ ს ღ მ ე რ თ ი, თუმცა ვცხოვრობ მეგობრულად ათეისტებთან. მე შევნიშნე, რომ წესრიგის მშვენიერება მათაც მოსწონთ, მიუხედავად ყოველივე მათის წინარწმენისა; რომ სიკეთე და სილამაზე მათშიდაც იწვევს აღფრთოვანებას და რომ მათ, ვისაც გემოვნება აქვს, არ ძალუძთ არც ცუდი წიგნის ატანა, არც ცუდი კონცერტის მოთმინებით მოსმენა, არც თავიანთ კაბინეტში ცუდი სურათის ატანა, არც ცუდი საქციელის ჩადენა; ჩემთვის ეს სრულიად საკმარისია! ისინი ამტკიცებენ, რომ ყოველივე საჭიროებას წარმოადგენს. მათი აზრით, ადამიანი, რომელიც მათ შეურაცხყოფას აყენებს, ისივე უდანაშაულოა, როგორადაც კრამიტი, რომელიც მათ სახურავიდან თავზე ეცემა; მაგრამ ისინი არ ურევენ ერთმანეთში ამ მიზეზებს და არასოდეს გული არ მოსდით კრამიტზე. ეს არის კიდევ სხვა არამიმდევრობა, რომელიც მამშვიდებს მე. ამიტომ, თუ მართლაც დიდმნიშვნელოვანია ის, რომ ერთმანეთში არ აურიო მათოთი და ოხრახუში, სამაგიეროდ სავსებით მოკლებულია რაიმე მნიშვნელობას – გწამს შენ თუ არ გწამს ღმერთი: „ქვეყანა, – იტყოდა მონტენი, – ეს ბურთია, ფილოსოფოსებზე გადაცემული მათ გასართობად“, და მე თითქმის იგივეს ვამბობ თვით ღმერთზედაც.

სქოლიოთა განმარტება

1. არაკი შენზეა ნათქვამი.
2. ან ცეზარი, ან არაფერი.
3. ყველას იტაცებს თავისი სიამოვნება.
4. იმის მკაცრი კბილით, ვინც ცუდად შეეხება თითოეულ საგანს.
5. რანდონ დებუასე – დიდროს თანამედროვე, მოიჯარე.
6. ხალხის წინ მედეა ბავშვებსაც ვერ მოკლავს.
7. ეს სიტყვები ეკუთვნის ბუალოს (Art poètique, – vers 111 და 112).
8. φόβος. შიში.
9. καί έλέος. და სიბრალული.
10. მეც მხატვარი ვარ.
11. ვიცოცხლო, ჩემო ლესბია, და უმკაცრესი მოხუცების ყველა ხმა შევაფასოთ ერთი ასად. მზეს შეუძლია: ჩასვლა და ამოსვლა: როდესაც ერთხელ ჩადის ხანმოკლე სინათლით, მაშინ ჩვენ ერთი ღამე უნდა განუწყვეტლივ ვიძინოთ. მაკოცე მე ათასჯერ, შემდეგ კი ასჯერ. (Val. Catulli, Carmina, ad Lesbiam).

12. Deshays – იყო ბუშეს სიძე.
13. ეს სურათი იმყოფება პარიზის მუზეუმში.
14. ეს სურათი ეკუთვნის ანიბალ კარაშს, იმყოფება ლუვრის მუზეუმში.
15. ეს სურათი ეკუთვნის ჟუვნეს; იმყოფება ლუვრის მეზეუმში.
16. ეს სურათ იმყოფება პარიზის მუზეუმში.
17. სიარულზე შეეტყო, რომ ის არის ნამდვილი ქალღმერთი. (Virgil.).
18. ვინც სიმართლეს წერთ, აიღეთ საზრდო თქვენი ძალებისათვის და დიდხანს იფიქრეთ, რის ტარებაზე ამბობენ უარს და რა შეუძლიათ მტრებს. (Horat.)
19. ლესიუერის სურათი. იმყოფება ლუვრის მუზეუმში.
20. კერმესი – დღესასწაული სოფლოდ.
21. ულამაზეს ვანდერ-მეილენებისა. – ნაგულისხმევია ცნობილი ბატალისტის – ვანდერმეილენის სურათები.
22. ეს არის მოლიერის კომედია, გალექსილი პოეტ თ. კორნელის მიერ.
23. ის არ არის საზიზღარი ინელება, ვინც ბაძავს ხელოვნებას და ვისაც არ შეუძლია მოეწონოს თვალებში. (ბუალოდან).
24. ქალღმერთმა დაიგლიჯა უშნოდ დავარცხნილი თმები და განმეორებით იცემდა გულში ხელებს.
25. ეს ადგილი მოყვანილია ჰომეროსის „ილიადადან“.
26. მე მინდა სიტყვამოკლე ვიყო, ხოლო ბუნდოვანი კი ვხდები. Brevis csse labo-ro, obscurus fio.
27. იდინოს ბევრი ოფლი და იშრომოს ტყუილად იმან, ვინც გაბედა ერთი და იგივე.
28. მე დავინახე ახლოს სტიქსი. მე დავინახე ევმენიდები, რომელნიც უკვე შეიჭრნენ ჩემს მშიშარა ყურებში მკვდართა სამეფოს ძაღლთა საშინელ ყეფით.
29. როგორიცაა სურათი, ისეთი იქნება პოეზიაც.

30, ოჰ, მიმბაძველნო, დამონებულნო პირუტყვნო.
31. ლ ა რ მ ე პ ი ე რ ი (1726-1812) – ფრანგი ელინისტი, აკადემიის წევრი და პროფესორი ლიტერატურისა. სახელი გაითქვა თავისი თარგმანებით ჰეროდოტეს, ელექტრის, ვრიპილის და სხვათა ისტორიებისა. დასწერა ტრაქტატი ვენერას შესახებ.
32. აბატი ლაშო – 1776 წელს გამოაქვეყნა პარიზში დისერტაცია ვენერას თვისებების შესახებ.
33. მოყვანილია ოვიდიუსის „მეტამორფოზებიდან“.
34. მე თქვენ! . . . . მაგრამ სჯობია დავაწყნარო აბორგებული ტალღები (ვირგ.).
35. აქ დიდრო მიუთითებს ბიუფონისა და დობერტონის ბუნების ზოგად და კერძო ისტორიის I ტომს.
36. აქ დიდროს მხედველობაში აქვს ბიუფონის წიგნში – „ბუნების ისტორია“.
37. დიქტორი ბაუმანი – ფსევდონიმია, რომლის ქვეშაც მოპერტუიმ გამოუშვა თავისი დისერტაცია, ნახსენები დიდროს შენიშვნებში. თხზულებათა კრებულის ლიონის გამოცემაში ამ დისერტაციას სათაურად აქვს „ბუნების სისტემა“. დიდრო იღებს ბაუმანის თეორიას, როგორც ერთ ვარაუდთაგანს, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ბუნების მოვლენათა საერთო კავშირის იდეისა და ორგანიულ ფორმათა ევოლუციის ფილოსოფიურად დასაბუთებაში.
38. დიდროს მხედველობაში აქვს ზემოხსენებულ ბუნების ისტორიაში მოთავსებული თავი ჩანასახების შესახებ.
39. გყავდეს შენ ლაიდა, ოღონდ კი ლაიდას არ ჰყავდე შენ.

40. აქ დიდრო უკეთებს შენიშვნას, რომლის ტექსტიც მთლიანად მოგვყავს:
მე შენ გითხარი, ახალგაზრდა, რომ ისეთი თვისებები, როგორც მიზიდვაა, დაუსრულებლად ვრცელდებიან როდესაც არაფერი არ შეზღუდავს მათი მოქმედების სფეროს. შენ შეგეპასუხებიან, რომ „მე ისიც კი შემეძლო მეთქვა, რომ ისინი ერთნაირად ვრცელდებიან. იქნება დაუმატონ, რომ წარმოუდგენელია თუ როგორ შეუძლია თვისებას უშუამავლოდ იმოქმედოს მანძილზე; რომ მაგრამ ამაში არაა და არასოდეს არ ყოფილა არაფერი აფსურდული, ან რომ აფსურდი სწორედ იმის მტკიცებაა, რომ სიცალიერეში ის სხვადასხვაგვარად მოქმედებს სხვადასხვა მანძილზე. რომ ამ შემთხვევაში ვერ ამჩნევ მატერიის რომელიმე ნაწილის შიგნით ან მის გარეშე ვერაფერს, რასაც შეეძლოს მისი მოქმედების ვარიირება; რომ დეკარტი, ნიუტონი, ძველი და თანამედროვე ფილოსოფოსები, ფიქრობენ, რომ სხეული, ცარიელ სივრცეში მცირეოდენ მოძრაობისაგან ასულდგმულებული, ერთნაირად და სწორი ხაზით მიდის დაუსრულებლობაში; რომ მანძილი, თავისთავად, არ წარმოადგენს, მაშასადამე, არც დაბრკოლებას არც გამტარს; რომ ყოველივე თვისება, რომლის მოქმედებაც ვარიირდება მანძილის მიხედვით პირდაპირ ან უკუფარდობით, აუცილებლად მიგვიყვანს სავსობამდე და კორპუსკულურ ფილოსოფიამდე; და სიცალიერის დაშვება და მიზეზის მოქმედების ცვალებადობის დაშვება – ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო დაშვებაა. თუ შენ ასეთ ძნელ კითხვებს დაგისვამენ, მე გირჩევ მიმართო რჩევისათვის ნიუტონის რომელიმე მემდევარს, ვინაიდან მე, უნდა გამოგიტყდე, არ ვიცი, როგორ გადავჭრა ეს სიძნელეები.
41. გამოქვაბული დარსი.
42. დიდროს მხედველობაში აქვს ნიუტონის და ლეიბნიცის დავა პირველობაზე დიფერენციალურ გამოანგარიშებათა აღმოჩენაში.

43. გეორგ ერნსტ სტალი (1660-1734)
გეორგ ერნსტ სტალი (1660-1734) – გერმანელი ექიმი და ცნობილი ქიმიკოსი, ფიზიოლგიური თეორიის ფუძემდებელი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფიზიოლოგიურ პროცესების განხილვას სტალი ქიმიური თვალსაზრისით უდგება, ის ამ შეხედულებას აკავშირებს თეორიასთან, რომლის თანახმად ყველა პროცესი ორგანიზმში სულიერ მოქმედებათა შედეგია. სწორედ ამ იდეალისტურ მოტივებს გულისხმობს დიდრო, როდესაც სიტყვა „ბურუსს“ ხმარობს.
44. იგულისხმება ფრანკლინის წიგნი „ცდები და დაკვირვებანი ელექტრობაზე“. ბენიამინ ფრანკლინი (17ო7-1790) – ამერიკელი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწეა, რომელიც შეერთებული შტატების დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. მას ეკუთვნის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენები ელექტრობის დარგში, კერძოდ მეხსარიდის გამოგონება.
45. კარლ-ლინეი (1707-1778) – შვეციელი ბუნებისმეტყველი. პირველმა სცადა სახეობათა სისტემატიკა და კლასიფიკაცია. ლინეის კლასიფიკაცია წმინდა ხელოვნური იყო და არ გამოხატავდა ორგანიზმების ობიექტურ განვითარებას; ის აერთიანებდა, მაგალითად, ერთ კლასში რბილსხეულიანებს ინფუზორიებთან; სახეობათა რაოდენობის და მათ განმასხვავებელ ნიშნებს ლინეი თვლიდა უცვლელ ნიშნებად და რაოდენობად. ლინეის დამსახურებაა ადამიანის შეყვანა ცხოველთა სისტემაში. ლინეი ათავსებდა ადამიანს მაიმუნთან ერთად პრიმატების ერთ რაზმში.
46. დოქტორი ერლანგენიდან – მოპერტუი. ის ამბობდა, რომ ორგანიზმების მოძრაობაში არის „რაღაც ძალა, დამახასიათებელი უუმცირეს ნაწილაკებისათ-

ვის, რომლებიდანაც შემდგარია ცხოველი და გავრცელებულია თვითეულ მათ-
განში; ის ახასიათებს არამარტო ცხოველის თვითეულ სახეობას, არამედ
ერთი და იმავე სახეობის თვითეულ ცხოველსაც კი, რამდენადაც თვითეული
მათგანი განსხვავებულია და თავისებურად მოძრაობს და გრძნობს, მაშინ
როდესაც ყველა ერთად ისინი ესწრაფვიან მას, რაც ხელს უწყობს მათ
თავიანთი სიცოცხლის შენარჩუნებაში, და დაჯილდოებული არიან ბუნებრივი
სიძულვილით, რომელიც უპირობოდ იცავს მათ იმისაგან, რასაც შეეძლო
ვნება მოეტანა მათთვის“.

47. ბაუმანი – ფსევდონიმია მოპერტუისა.
48. ფრანგულ ორიგინალში ეს ადგილი მოყვანილია ლათინურად.
49. ანასტომოზი – არის ერთი საუკეთესო აღმოჩენა ჩვენი დროის ანატო-
მიაში, რომელც ბერტენუს ეკუთვნის.
50. ცა გვიამბობს ღმერთის დიდებას.
51. მზის ქვეშ ახალი არაფერია.
52. რამდენიც თავია იმდენი აზრია...
53. ეს თევზი, ყველასათვის არ არის.
54. პაქომი – (4 საუკუნე) დამაარსებული ქრისტიანული ბერმონაზნობისა.
55. სტილიტები – ქრისტიანული სექტა – 5-7 საუკუნეში.
56. ინიციალი C-ით დიდრო გულისხმობს რ უ დ ო ლ ფ კ უ დ ვ ო რ ტ ს
(1617-1688) – ინგლისელ ფილოსოფოს-დეისტს, რომელიც ემპირიზმის და
ათეიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა.
57. იგულისხმება ა ნ ტ ო ნ ა შ ლ ი შ ე ფ ტ ს ბ ე რ ი (1671-1713) – ინ-
გლისელი ფილოსოფოსი დეისტი. თავის ძირითად ნაწარმოებში „ცდა მადლის
და დამსახურების შესახებ, რომლის გავლენის ქვეშაც დიდრო იმყოფებოდა პირ-
ველ ხანებში. შეფტსბერი ამტკიცებდა ზნეობის დამოუკიდებლობას რელიგიიდან

და აპირობებდა მორალს განსაკუთრებულ თანდაყოლილ „ზნეობრივ გრძნობით“.

58. პიერ ნიკოლო (1625--1695) – თეოლოგი, გამოჩენილი იანსენისტი,
რომელიც მუშაობდა პორ-როიალის მეთოდებზე, იღებდა მონაწილეობას ლუ-
ღიკის „I’art de penser“ შედგენაში, გადათარგმნა ლათინურ ენაზე პასკალის
„პროვინციალური წერილები“.

59ა. ბლეს პასკალი (1623-1653) – ფრანგი მათემატიკოსი და ფილოსო-
ფოსი – დეკარტის ერთი მოწაფეთაგანი თავის „აზრებში“ ამტკიცებდა, რომ ბუ-
ნება ჩიხში აყენებს სკეპტიკოსებს და გონება – დოგმატიკოსებს; დოგმატიკოსი
ვერ ერევა გონების უძლეველ სისუსტეს. სკეპტიკოსი კი ვერ ერევა ჭეშმარიტე-
ბის უძლეველ იდეას. „პროვინციალურ წერილებში“ პასკალი თავს ესხმის იეზუი-
ტურ კაზუისტიკას და მასხარად იგდებ მას. პასკალს ეკუთვნის მთელი რიგი აღ-
მოჩენებისა მათენათიკაში და ფიზიკაში. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მეც-
ნიერი მისტიციზმში გადავარდა.

59ბ. ბრიერის ვარაუდით დიდროს აქ მხედველობაში ყავს პროფესორი
რ ი ვ ა რ ი, რომელიც მაშინ ფილოსოფიას ასწავლიდა.

60. იგულისხმება ვოლტერი.
61. ციტატა მოყვანილია ციცერონიდან, ფრინველთმკითხაობის შესახებ,
თავები 80,81.
62. ციტატა მოყვანილია წმ. ავგუსტინეს „ღმერთის რისხვიდან“ წიგ. XIV,
თ. 24.
63. დიდროს მსედველობაში აქვს წიგნი პარლამენტის მრჩევლის ეფისკო-
პოს მონჟერონისა, სადაც ლაპარაკია ახალ სასწაულზე, რომელიც მოხდა „რო-

გორც თვალსაჩინო საშუალება ღვთის მიერ უბრალო ხალხისათვის მოვლენილი, ჭეშმარიტების შესაგნებლად“.

64. ავტორს. მსედველობაში აქვს არნოსა და ნიკოლის წიგნი „ლოღიკა ან აზროვნების ხელოვნება“ (ამსტერდამი 1675 წ.).

65. დიდრო გულისხმოს ერთერთ პარიზელ დიაკონს, რომელიც გარდაიცვალა 1732 წ.

66. დიდრო გულისხმობს აბატ ბეშერანს, რომელიც თავს წმინდანად აცხადებდა.

67. დიდრო გულისხმობს მონჟერონს, პარლამენტის მრჩეველს.

68. თავი დავანებოთ იმ ჩვეულებრივს, რის შესახებ შეიძლება ორივე მხრივ ლაპარაკი, თუმცა ნამდვილად არ შეიძლება მათზედ ორთა მხრივ ლაპარაკი (წმ. ავგუსტინე).

69. იგულისხმება ეტიენ ტაბუროს თავგასართობი კრებული სახელწოდებით „ჭრელ-ჭრელი მოტივები სენიორ ა კ ო რ დ ა ს ვინმე მოლიარის წარმონათქვამებით“, გამოცემულია 1572 წ. ბევრჯერ ყოფილა ხელახლა გამოცემული.

70. ბარონ დე ლაჰონტენი – გასკონელი აზნაური, მე-18 საუკუნის მოგზაური.

71. ბედნიერია, ვინც სიკვდილის დროს შეცდა.

72. კოშენი (1687-1747) – ფრანგი ადვოკატი.

73ა. იგულისხმება ენტუზიასტი ღვთისმეტყველი.

73ბ. როცა დასჯილია გონება, იზრდება ავტორიტეტი.

74. როდესაც თითქოს ტყეში აქა იქ მოხეტიალეებს შეცდომა დააშორებს სწორ გზას, ერთი მიდის მარჯვნივ, მეორე მარცხნივ; ორივეს ერთი შეცდომა მოსდით, მაგრამ სხვადახვა გზით. მე შენ გარწმუნებ, რომ ისინი უგნურნი არიან; მაგრამ იმას, ვინც შენ დაგცინის, არ აქვს უფრო მეტი ჭკუა და კუდი კი აბია.

75ა. როგორი უბედურებისაგან არის გონება დაბნეული? შიშისგან ღმერთების წინაშე.

75ბ. იმ დროს, როდესაც ვამტკიცებ, რომ თქვენ ხართ უგნურები, ყველანი მოდით რიგრიგად.

76. მინც მიიღებს სხვადასხვა სახეს, შესატყვისს ჭეშმარიტებისა და ბოროტმოქმედების ხმაურობისა, ის ჩაითვლება აგზნებულად.

77. კიდევაც შეუძლიათ და კიდევაც არა.

78. პრუსიელი ოკულისტი ჰილმერი.

79. პატარა ქალაქია.

80. (90) – პოლიციის მოხელე.

81. ინგლისელი გეომეტრი რაპსონი.

82. გამოცემული იქნა ლონდონში 1740 წელს საუნდერსონის სიკვდილის შემდეგ.

83. იგულისხმება პ ი ე რ კ ა რ ო მ ა რ ი ვ ო (1683-1763), დიდროს თანამედროვე მწერალი. მარივო ცნობილა, როგორც ზნეობის მასწავლებელი, საოჯახო რომანების ავტორი. ეს ჟანრი მარივომ შეითვისა ინგლისის მაშინდელი მოწინავე ბურჟუაზიული ლიტერატურიდან. მისი რომანების გმირებად გამოდიან ბურჟუები, მდაბიო მოქალაქეები და გლეხობა („სვებედნიერი გლეხი“, „მარიანას ცხოვრება“). „მარიანას ცხოვრების“ ზეგავლენით დაიწერა რიჩარდსონის რომანი „პამელა“. საზოგადოდ, მარივოს დიდი გასავალი ქონდა ინგლისში.

84. ამ ცდებს მაზედ ახდენდნენ კემბრიჯის უნივერსიტეტში.

85. კარგად მყოფმა გაანთავისუფლე ცხენი, რომელიც უდროოდ ბერდება,

რომ არ ჩაიდინოს შეცდომა, არ გახდეს საბოლოოდ სასაცილო და არ ქშენდეს დაქანცულობისაგან.

86. ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის.

სახელთა და საგანთა საძიებელი, განმარტებებით

აბბადი. გვ. 152 – ავტორი 1729 წ. გამოქვეყნებული ტრაქტატისა „ქრისტიანული რელიგიის ჭეშმარიტების შესახებ“.

აგამემნონი. გვ. 49 – მიკენელთა (საბერძნეთის უძველესი ქალაქი) მეფე, ბერძენთა წინამძღოლი ტროადის ომში.

ადონისი. გვ. 49 – მითოლოგიური გადმოცემით, ვენერას სატრფო.

ავგური. გვ. 144-145 – ძველი რომაელი ქურუმები.

ავგუსტინე წმინდა. გვ. 145, 150, 151 (354-430 წ.) – ღვთისმეტყველი, პატრისტული ფილოსოფიის დამფუძნებელი; ძირითადი მისი შრომებია, – „აღსარება“ და „ღვთოს ქალაქი“.

ავგუსტუსი. გვ. 145, 210 (30-13 წ. ჩ. ე.) რომის პირველი იმპერატორი.

ავრელიუსი, მარკი. გვ. 164 (161-180 წ.) რომის იმპერატორი. სტოიკი. სდევნიდა ქრისტიანებს.

ავრორა. გვ. 35 – ბერძნული მითოლოგიით განთიადის ქალღმერთი.

ათანასე. გვ. 150-(296-373) – ალექსანდრიის ეფისკოპოზი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ღვთიურ სამებაზე ქრისტიანული დოგმატის გამომუშავებაში.

ათეისტი. გვ. 133, 134, 163 – ის,ვინც უარყოფს ღმერთის არსებობას.

ათეოსი. გვ. 220, 222, 223, 225, 227 – ათეისტის სახელი.

ათინა. გვ. 162, 29 – საბერძ5ეთის ქალაქი.

ალგებრა. გვ. 260, 302.

ალექსანდრე. გვ. 28, 46.

ალექსანდრიელი დიდიმი. გვ. 270 (308-395) – ბრმა, საღვთო წერილის კომენტატორი.

ალკამენი. გვ. 36 – საბერძნეთის მოქანდაკე, ფიდიასის მოწოვე. ცხოვრობდა V ს. ჩვენ წილთაღრიცხვამდე.

ალკმეონი. გვ. 221, 222.

ალსიპი. გვ. 234, 238.

ალციფრონი. 177 – სკეპტიკოსი.

ამაზონის მდინარე. 178 – მდინარე სამხრეთ ამერიკაში.

ამერიკული. გვ 105.

ამიენი. გვ. 296 – ქალაქი საფრანგეთში.

ანაკრეონი. გვ. 229 – ძველი საბერძნეთის პოეტი ლირიკოსი. ცხოვრობდა VI ს. ჩვენ წელთაღრიცხვამდე.

ანკონე. გვ. 217 – ქალაქი იტალიაში.

ანტაბლემენტი. გვ. 57 – პოზის ზედა ნაწილი.

ანტიკური. გვ. 48, 49, 60, 89.

ანტროპოფაგები. გვ. 21 – კაციჭამიები.

აპოლონი. გვ. 49, 23 – ბერძნული მითოლოგიით მზის ღმერთი, ხელოვნების ღმერთი.

აპოლონიუსი თიანელი. გვ. 158 – ცხოვრობდა რომის იმპერატორ კალიგულას დროს. იყო ნეოპითაგორელთა ეკლექტიკური ფილოსოფიის სკოლის წარმომადგენელი.

აჟერონი. 232, 233, 237.

არეოპაგი. გვ. 28, 29 – უმაღლესი კრიმინალური სასამართლო ათინაში პერიკლეს დრომდე (460).

არისტ. გვ. 171, 174, 178, 201.

არისტოტელი. გვ. 16, 73 – (384-322 ჩვენ წელთაღრ-მდე) – საბერძნეთის ფილოსოფოსი სისტემატიკოსი. მოწაფე პლატონისა. არისტოტელი არ იზიარებს მასწავლებლის აზრებს ფორმის, იდეის და მატერიის საკითხებში. ენგელსი ამბობს, რომ არისტოტელმა ლოღიკის დარგში უკვე გამოიკვლია დიალექტიკური აზროვნების ყველა არსებული ფორმები და იგი „ანტიკური ქვეყნის ჰეგელია“-ო. არისტოტელმა მრავალი შრომა დასტოვა ლოღიკიდან, ფსიქოლოგიიდან, ეთიკიდან, პოეტიკიდან, პოლიტიკიდან და ბუნებისმცოდნეობის სხვადასხვა დარგებიდან.

არმიდას ბაღები. გვ. 220 – რომელშიაც შესანიშნავმა არმიდამ (ტასოს პოემის „თავისუფალი იერუსალიმის“ მომქმედი პირი), გაიტაცა მამაცი და მშვენიერი ჯვაროსანთაგანი რინალდი.

არნო ფრანსუა. 128 – (1526-1612) იტალიელი მხატვარი.

არქიმედი. გვ. 67 – (287-212 ჩვენს წელთაღრიც-დე) – საბერძნეთის მათემატიკოსი და მექანიკოსი. მის მირ გადაჭრილ კითხვებს, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ თავიანთი მნიშვნელობა თანამედროვე გეომეტრიასა და მექანიკაში, ეკუთვნიან: წრეს თეორია, ბერკეტის კანონი, კანონები სხეულთა ზედაპირთა და მოცულობათა შესახებ. თავის შრომებით არქიმედმა შეიტანა გეომეტრიაში გაზომვის ელემენტები (მეტრიკა).

ასტერია. გვ. 240 – იყო განთქმული მოცეკვავე.

ასტრონომია. გვ. 247, 269, 302.

ატალანტი. გვ. 59.

ატიკი. გვ. 168 – ფილოსოფოსი, პლატონის მიმდევარი II ს. გამოდიოდა არისტოტელიზმის და ეკლექტიზმის წინააღმდეგ.

ატლანტი. გვ. 209 – კისრის პირველი მალა.

ატომი. გვ. 299.

აქილესი. უძლიერესი საბერძნეთის გმირთაგან, მონაწილე ტროადელთა დამარცხებისა.

აზიელი, ევსევი. გვ. 270 – ბრმა (268-338) დასწერა „საღვთო მტკიცებანი“, სადაც ამტკიცებდა ქრისტიანობის ჭეშმარიტებას.

ბაბილონი. გვ. 201.

ბანქო. გვ. 228.

ბატალისტები. გვ. 33 – სამხედრო-საბრძოლო სურათების ფერმწერები.

ბახი, სებასტიანი. გვ. 299 – (1685-1750) გამოჩენილი კომპოზიტორი.

ბეთლემი. გვ. 202.

ბეილი, პიერ. გვ. 151, 175-(1647-1706), საფრანგეთის ფილოსოფოსი სკეპტიკოსი, მისმა „ისტორიულ“ და „კრიტიკულმა“ ლექსიკონმა მოახდინა გავლენა საფრანგეთის ათეისტური ლიტერატურის განვითარებაზე.

ბეკონი. გვ. 40 – გამოჩენილი ფილოსოფოსი. დაიბადა ლონდონში 1561 წ. 1618 წ. იყო კანცლერად. 1626 წ. დაბეჭდა „ახალი ორგანონი“.

ბელიზა. გვ. 234, 235, 236 237, 238.

ბერკლი. გვ. 175, 267, 268 – (1684-1753) ირლანდიელი ეფისკოპოზი, მამამთავარი სპირიტუალისტური ფილოსოფიისა. იხ. ბერკლის შესახებ ვ. ი. ლენინი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

ბერნული, იოგანე. გვ. (1667-1748) მათემატიკოსი.

ბერუიე. გვ. 143 – XVIII საუკუნის იეზუიტი.

ბიუფონი. გვ. 70, 105 – ავტორი „ბუნების ისტორიისა“.

ბლასი, დე. 297, 303.

ბოდუენი, პიერ ანტუან. გვ. 28, 29 – (1732-1769), ბუშეს მოწაფე მხატვარი. აკადემიის წევრი 1763 წლიდან.

ბოკაჩიო ჯიოვანი. გვ. 229 – გამოჩენილი იტალიელი მწერალი, ცხოვრობდა 1313-1375 წ. „დეკამერონის“ ავტორი. იტალიური კლასიკური პროზის შემქმნელი და ინიციატორი იტალიაში გუმანისტური მოძრაობისა.

ბოქსუორზი. გვ. 275 – ქალაქი ინგლისში.

ბრედლი ჯემს. გვ. 65 – (1692-1762) ინგლისელი ასტრონომი.

ბრიტანიკუსი კლავდიუსი. გვ. 129 – (42-65), რომის იმპერატორის კლავდიუსის და მესალინას შვილი. მოწამლული ნერონის ძმის მიერ.

ბრუნო, წმინდა. გვ. 28, 30.

ბრუტუსი მარკუსი. გვ 52 – რომაელი პატრიოტი, დაიბადა 35 წ. ჩ. წელთაღრიცხვამდე. მეგობარი სულიუს კეისარისა. ჩაუდგა სათავეში კეისრის წინააღმდეგ შექმნილ შეთქმულებას. მიიღო მონაწილეობა კეისრის მკვლელობაში.

ბუალო ნიკოლა. გვ. 52 – 1636-1711. ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი. მისმა პოემამ „პოეტური ხელოვნება“ დიდი გავლენა იქონია XVIII ს. ლიტერატურაზე.

ბორჰავი ჰერმანი. გვ. 108 – 1668-1738. ჰოლანდიელი ექიმი და ფიზიოლოგი. თავისი ფილოსოფიური შეხედულებებში იყო დეისტი.

ბუშე ფრანსუა. გვ. 29, 53, 230 – 1703-1770. ფრანგი მხატვარი, მოწაფე ფრანსუა ლემუანის. 1765 წლიდან აკადემიის დირექტორი და მეფის პირველი მხატვარი.

გალენი კლავდიუსი. გვ. 108 – (131-200) რომაელი ფიზიოლოგი და ფილოსოფოსი, რომელმაც თავისი შრომებით ანატომიაში და ფიზიოლოგიაში საფუძველი ჩაუყარა პათოლოგიას. ფილოსოფიის დარგში იყო ეკლეტიკოსი და იზიარებდა ნეოპლატონიკოსთა და სტოიკთა სკოლის იდეებს.

გალილეველნი. გვ. 141. 142 – გალილეის, – პალესტინის ჩრდილოეთით მდებარე უძველესი პროვინციის მცხოვრებნი.

გალილეი გალილეო. გვ. 266 – 1564-1642 გამოჩენილი იტალიელი მეცნიერი-ფიზიკოსი.

გეოგრაფია. გვ. 303.

გეომეტრია. გვ. 290, 295, 302, 255, 258, 265, 271, 273.

გერიონი. გვ. 294.

გერმანული. გვ. 90.

გვიდო რენე. გვ. 36. 51 – 1575-1642. გამოჩენილი მხატვარი ბოლონიის სკოლის.

გიუიზუმი, ვან. გვ. 25. ჰოლანდიელი ფერმწერი.

გლიკონი. გვ. 48 – ათინელი მოქანდაკე II-III ს. ჩ. წელთაღრიცხვამდე.

გოიენი ვან. გვ. 58.

გონკური. გვ. 55.

გრაცია. გვ. 51.

გრიგოლ დიდი. გვ. 142 (540-604.) ქალაქ რომის პოლიციის უფროსი 590 წელს აირჩიეს პაპად.

დავიელი. გვ. 296, 297 – ფრანგი განთქმული თვალის ექიმი, რომელმაც პირველად გააკეთა კატარაქტის ოპერაცია.

დალამბერი. გვ. 65, 105, 295 – გამოჩენილი ფრანგი მატერიალისტი მე-18 ს.

დამისი. გვ. 220, 222, 225, 237, 238 – პირონისტი.

დაფნე. გვ. 23 – ბერძნული მითოლოგიით, გეის ქალიშვილი, რომელიც აპოლონის დევნის თავიდან ასაცილებლად გარდაიქცა დაფნის ხედ.

დეიზმი. გვ. 130, 134, 151, 153, 169.

დეიზმი. სცნობს ერთად-ერთ სწორ რელიგიად „ბუნების რელიგიას“ და ღმერთს სთვლის უპიროვნო უმაღლეს პირველმიზეზად, რაღაც მსოფლიო გონიერებად, რომელიც მსოფლიო პროცესებში მჟავნდება. აქედან დეისტი წინააღმდეგ თეისტისა უარყოფს პიროვნულ ღმერთს, საეკლესიო წესებს, დოგმატებს და თვით გაღმერთებას ანუ კულტს. დეიზმი, როგორც ფილოსოფიური მიმართულება წარმოიშვა, მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისში ბურჟუაზიის გარევოლუციონერებასთან დაკავშირებით. მეთვრამეტე საუკუნის ბურჟუაზიული იდეოლოგიის განვითარებასთან ერთად დეიზმი უფრო და უფრო მეტ გაბედულებას იჩენს, სწყვეტს ყოველივე კავშირს იდეალიზმთან და გადადის ათეიზმში.

დეკარტი რენე. გვ. 130, 131, 151, 245, 248, 266, 277.

რენე დეკარტი (1596-1650) – ფრანგი) ფილოსოფოსი რომელმაც თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ჰოლანდიაში გაატარა. გამოჩენილი მათემატიკოსი და ფიზიკოსი. დეკარტმა, მარქსის თქმით, „მანუფაქტურული პერიოდის ფილოსოფოსმა“ შექმნა დუალისტური ფილოსოფია, რომელშიდაც ასახა ამ გარდამავალი პერიოდის წინააღმდეგობები. ასაბუთებდა რა, წინააღმდეგ სქოლასტიკისა, დადებით ცოდნას, დეკარტი ყოფდა ფიზიკას თავის დუალისტურ მეტაფიზიკიდან და მატერიალისტურ მიმართულებას აძლევდა მის განვითარებას. ასაბუთებდა რა რაციონალიზმს, დეკარტი თვლიდა ჩვენი ცოდნის წყაროდ გონებას, ჭეშმარიტების საზომად კი – ნათელ და გარკვეულ იდეებს. დიდრო, რომელმაც შემდეგ შეითვისა დეკარტის ფიზიკის მატერიალისტური ხასიათი, ბოლომდე ებრძოდა მის მეტაფიზიკას. აქედანაა მისი ხშირი დამოწმებები და ფარული გადაკვრები დეკარტს ამა თუ იმ გონებაჭვრეტითი განსაზღვრების უსუსურობაზე და იმავე დეკარტის დედუქციების მასხარად აგდება.

დენჰაი. გვ. 29.

დიდონი. გვ. 23.

დიკონსი. გვ. 275 – კემბრიჯის ოლქის, ბოქსუორზის რექტორი.

დიოგენი. გვ. 253.

დიდროს მსედველობაში ყავს **დიოგენი** სინოპიდან, რომელიც ეკუთვნოდა საბერძნეთის ფილოსოფოსთა ცინიკურ სკოლას (დაახლოებით 404-323 წ. ჩვენ წელთა აღრ-დე). დიოგენი ანვითარებდა სოკრატეს მორალური ფილოსოფიის პრინციპებს და შემეცნების წყაროდ სცნობდა მხოლოდ ათვისებებს გრძნობების საშუალებით. პრაქტიკული ცინიზმის წარმომადგენელი, დიოგენი გმობდა გრძნობითი სიამოვნებებს, მეტისმეტობას, გარეშე დოვლათს და ხედავდა მათში არისტოკრატიის მორალურ გარყვნილებას. ადამიანმა, მისი აზრით, უნდა დაიკმაყოფილის მარტივი ფორმით მხოლოდ აუცილებელი სასიცოცხლო მოთხოვნილებები. მიუთითებს რა მასზე, რომ ბრმა პიუიზოდან აღემატება დიოგენს მორა-

ლურ შეფასებათა საქმეში, დიდრო ხაზს უსვამს აქ იმას, რომ ზნეობრივი მცნებები ადამიანის ბუნებით განისაზღვრება.

დიონისე, წმინდა. გვ. 161.

დიუკლო, შარლი. გვ. 105 – 1704-1772, ლიტერატორი.

დიუპრე. გვ. 51 – განთქმული მოცეკვავე.

დიუსელდორფი. გვ. 54 – ქალაქი გერმანიაში.

დიფილი. გვ. 229, 222.

დობანტონი, ლუი-ჟან-მარი. გვ. 105 – 1716-1779 ექიმი, ნატურალისტი, ბიუფონის დამხმარე. „ბუნების ისტორიისათვის“ ამზადებდა მასალას ანატომიიდან.

დოგმატი. გვ. 134, 153.

დოუ, გერარდ. გვ. 54, 61. მხატვარი.

დოქტრინა. გვ. 250.

დრეზდენი. გვ. 54 – ქალაქი გერმანიაში.

დუბლინი. გვ. 276 – ირლანდიის მთავარი ქალაქი.

დულცინეა. გვ. 216 – სერვანტესის ნაწარმოების „დონკიხოტი“-ს ერთ-ერთი გმირი.

ებერი. გვ. 230.

ეგვიპტე. გვ. 66, 150.

ევდამიდის ანდერძი. გვ. 38.

ედიქტი. გვ. 141, 143 – გამოქვეყნებული განკარგულებანი უზენაესი ძალაუფლებისა.

ევმენიდთა გველები. გვ. 20 – შურის ძიების ღრმერთები, რომლებიც გამოისახებოდნენ გველებით თავზე.

ევრიპიდი. გვ. 49 – 480-407 ჩ ე საბერძნეთის გამოჩენილი ტრაღიკოსი. მის მიერ დაწერილი 80 ტრაღედიიდან ჩვენამდე მოაღწია 18. მან იქონია დიდი გავლენა ძველი და თანამედროვე ლიტერატურის განვითარებაზე.

ევროპა. გვ. 65.

ევფრანერი. გვ. 50 – ძველი საბერძნეთის მოქანდაკე და მხატვარი (V ს. ჩ. ე.)

ეილერი, ლეონარდი. გვ. 65 – 1707-1783 გერმანელი მათემატიკოსი და ფიზიკოსი.

ეკლეზიასტური. გვ. 105 – სასულიერო, საეკლესიო.

ელიონის მთა. გვ. 161 – ყველაზე უმაღლესი მთა იერუსალიმში.

ელია. გვ. 140 – წინასწარმეტყველი.

ელცჰაიმერი, ადამი. გვ. 39 – 1578-1610. უდიდესი რომელი მხატვარი. შთამომავლობით გერმანელი.

ემაუსი. გვ. 26.

ენეა. გვ. 28 – ტროდის ომის ერთ ერთი გმირი.

ენეიდა. გვ. 209 – ვირგილიუსის ეპიკური პოემა.

ენიუსი კვინტ. გვ. 40 – 239-169 ჩ. ერამდე. რომაელი მწერალი ჰომეროსის წამბაძველი. თავის „ანალების“ ეპოპეის წინასიტყვაობაში მოგვითხრობს, რომ ვითომც მას სიზმრად ჰომეროსი გამოეცხადა და თავისი სული მას შთაბერა.

ენო. გვ. 303 – პრეზიდენტი.

ეპამინონდი. გვ. 202 – 418-362 ჩ. წ-მდე თებანელთა მხედართმთავარი, რომელიც იბრძოდა ზღვაზე თებანელთა გაბატონებისათვის.

ეპიკური. გვ. 73.

ეპიკური. 346-276 ჩვენს წელთაღრიცხვამდე. საბერძნეთის ფილოსოფოსი, მატერიალისტი მოწაფე დემოკრიტისა, რომლის ატომიზმზედაც აშენებულია მისი

ფოლოსოფია. ატომის გაგებაში ეპიკურს შეაქვს ახალი მომენტები – სიმძიმის და შემთხვევის მცნებები. ეპიკური უარყოფდა უკვდავებას და ღვთის ონტოლოგიურ მნიშვნელობას. ბუნებაში მექანიკურ მიზეზობრიობის კანონის თანახმად ხდება ყოველივე. შემეცნების თეორიაში ეპიკური სენსუალისტურ პოზიციაზე დგას. ეპიკურის აზრით, ფილოსოფია შეგნების და სწორი ცოდნის გზით ხელს უწყობს ბედნიერ ცხოვრებას. ეპიკურის შრომებიდან მსოლოდ ნაწყვეტებმა მოაღწიეს ჩვენამდე. ეპიკურს და მის ფილოსოფიის გადმოცემას დიდრომ სპეციალური სტატია უძღვნა „ენციკლოპედიაში“, „ეპიკურეიზმი“.

ერეტიკოსი. გვ. 165 – ადამიანი, რომელიც არ ეთანხმება გაბატონებულ რელიგიურ საკითხებს.

ეროსი. გვ. 239, 249.

ესკულაპი. გვ. 158 – მკურნალობის ღმერთი ძველ საბერძნეთში.

ეტრუსკები. გვ. 146 – წარმოადგენენ უძველეს ხალხს, რომელნიც ხმელთაშუა ზღვაზე და იტალიაში სარგებლობდნენ დიდი საზოგადოებრივ პოლიტიკური მნიშვნელობით.

ვარენი. გვ. 38.

ვატო ჟან-ანტუან. გვ. 15 (1684-1721) გამოჩენილი ფრანგი მხატვარი 1717 წელს იყო მიწვეული აკადემიის წევრად. შემქმნელი ახალი ჟანრისა, თავისუფალი მხატვრული მანერისა, და შესანიშნავი კოლორისტი.

ველენის ქაღალდი. გვ, 186. საუკეთესო ხარისხის ქაღალდი, რომელიც თავის თვისებით ჩამოგავს პერგამენტს, მისგანვე მიიღო სახელწოდება, რომელსაც ფრანგულად ეწოდება vélin.

ვენერა მედიცის. გვ. გვ. 49, 55, 16, 23 – ვენერას ქანდაკება.

ვერნე კლოდ-ჟოზეფი. გვ. 58 (1714-1789) მხატვარი პეიზაჟისტი და მარინისტი, წარმოშობით ავინიონიდან. 1752 წლიდან პარიზის აკადემიის წევრი.

ვილი ჟან-ჟორჟ. გვ. 58 (1715-1806) გამოჩენილი გერმანელი გრავიორი, რომელიც სცხოვრობდა პარიზში.

ვირგილიუსი პუბლი-მარონ. გვ. გვ. 15, 52, 209, 210, 215, 225. გამოჩენილი რომაელი პოეტი, წარმომადგენელი ავგუსტუსის დროინდელი ლიტერატორისა (82-19 ჩვენს წელთ აღრიცხვამდე).

ვიქტორია. გვ. 239. ჰერცოგის მეუღლე.

ვოლტერი ფრანსუა-მარი-არუე. გვ. 105, 135. 175, 283 (1694-1778) – ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელი განათლებისა, გამოჩენილი მწერალი და ფილოსოფოსი; სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა კათოლიკეთა ეკლესიასთან რელიგიურ ცრუმორწმუნოების წინააღმდეგ და გამოდიოდა ფანატიზმის ყველა მსხვერპლთა დასაცავათ. კათოლიციზმის უარყოფასთან ერთათ ვოლტერმა ვერ შესძლო ღმერთის იდეის უარყოფა; ის ამტკიცებდა, რომ ღმერთი არსებობს და თავის წერილში ფრიდრიხ მეორესთან ამბობდა: რომ ღმერთი არ ყოფილიყო საჭირო შეიქნებოდა მისი გამოგონებაო. რელიგიას ის საჭიროთ სთვლიდა მასების ასალაგმავათ, „რომელთაც სჭირდებათ უღელი, მეხრე და საკვები ფილოსოფია და განათლება, ასე საჭირო ბურჟუაზიისა და ინტელიგენციისათვის, ვოლტერის თვალსაზრისით, მიუწდომელია მასებისათვის და ამასთან ერთად სასაზარალოცაა, რადგან „თუ სალხმა მსჯელობა დაიწყო, ყოველისფერი დაიღუპება". „განათლებულ“ მონარქიის მომხრე ვოლტერი გამოდიოდა თავადაზნაურობის და სასულიერო წოდების პრივილეგიების წინააღმდეგ და ქადაგებდა თანასწორობას კანონის წინაშე. ტიპიური ლიბერალი და განმანათლებელი-დეისტი. ვოლტერი ასე „სწყვეტს“ ძირითად ფილოსოფიურ პრობლემას: „რომელი

სისტემაც არ უნდა მივიღოთ ჩვენ, არცერთი მათგანი არ ვნებს ზნეობას, რადგან რა მისი საქმეა შეიქნა მატერია თუ მხოლოდ მოწესრიგდა. ღმერთი ორივე შემთხვევაში უმაღლეს მეუფეთ რჩება" („ფილოსოფიური სიტყვარი). ბუნებრივია, რომ ასეთი შეხედულებების მქონე ვოლტერს როგორც „ენციკლოპედიის“ თანამშრომელს, არ შეეძლო ბოლომდე ევლო დიდროსთან, თუმცა ძლიერ მეგობრულათ კი იყო მის მიმართ განწყობილი. მიუხედავათ ამისა ვოლტერის თხზულებებმა დიდი გავლენა მოახდინეს მე 18 საუკუნის საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრზე. დიდროს მიერ აქ მოხსენებული თხზულება „ჰენრიადა“ გამოვიდა პირველათ 1723 წელს და ფარულათ დაიბეჭდა რუანაში; შემდეგ იგი დამატებით დამუშავდა ლონდონში და მიეძღვნა ინგლისის დედოფალს.

ვულსტონი ვილიამი. გვ. 175 – (1659-1724) ინგლისელი ფილოსოფოსი.

ზენოკლესი. გვ. 220, 222 – პირონისტი.

თაზოსი. გვ. 16 – კუნძული.

თევდა. გვ. 202 – მეამბოხე.

თემირი. გვ. 231.

თეოკრიტე. გვ. 15 – სირაკუზიდან – ძველი საბერძნეთის მწერალი.

თეოლოგია. გვ. 176 – ღვთისმეტველება.

თიანელი აპოლონიუსი. გვ. 158. ცხოვრობდა პირველ საუკუნეში, მიეკუთვნებოდა ნეოპითაგორიულ ფილოსოფიურ სკოლას.

იაკარანდას ხე. გვ. 193 – ითვლება საუკეთესო ხეთ ავეჯეულობისათვის.

იანსენისტი. გვ. 138, 148, 164 – მიმდევრები ჰოლანდიის ღვთისმეტყველი კარნელი იანსენიუსის მოძღვრებისა, რომელიც უარყოფდა ნებისყოფის თავისუფლებას და ამტკიცებდა, რომ ადამიანის ხსნა დამოკიდებულია მადლის გამომსყიდველობით ძალაზე. იეზუიტების წინააღმდეგ გამოსვლით იანსენისტებმა მიიმხრეს ყველა, ვინც იეზუიტებით უკმაყოფილო იყო. იანსენიზმის თეორეტიულ დასაბუთებაში დიდი როლი ითამაშა პორ როიალის მონასტერმა. იანსენიზმის წინააღმდეგ გაბედულად გამოდიოდა პარიზის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების ფაკულტეტი, – სორბონა, – რომელიც სენ-ჟაკის ქუჩაზე იმყოფებოდა.

იან-ჰუსი. გვ. 175 – (1369-1415) ჩეხელი რეფორმატორი და მებრძოლი ჩეხთა ნაციონალურ განთავისუფლებისათვის. ჰუსი ებრძოდა კათოლიკურ ეკლესიას, რის გამოც იგი გამოცხადებულ იქნა მწვალებლად და ქრისტიანულმა ეკლესიამ დასწვა ცეცხლის კოცონზე.

იაფეტი. გვ. 186.

იდეალისტები. გვ. 267 – ფილოსოფიური იდეალიზმი, ყოველთვის დაკავშირებული, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მისტიკასა და სამღვდელოებასთან, არის ექსპლოატატორ კლასების რეაქციონური ფილოსოფია, მათი ბატონობის იდეოლოგიური იარაღი. ყოველივე არსის საფუძვლად იდეალიზმს მიაჩნია იდეა, სული, აზრი და სხვ. სცნობს რა აზროვნებას ყოველივე არსის განმსაზღვრელ საფუძვლად, იდეალიზმი ხედავს ყოფნის და შემეცნების წყაროს ან ღმერთში, ან იდეაში. აქედან ჩვენი წარმოდგენების გარეშე მატერიალისტურ საგნებთან დამთხვევას ძირები აქვს, იდეალიზმის თვალსაზრისით, თვით შეგნებაში ანდა ის დაპირობებულია უმაღლესი არსების მიერ. უდგება რა იდეალიზმის განსაზღვრას მხოლოდ, შემეცნების პროცესში მყოფ ჩვენი შეგნების ობიექტიურ სამყაროსთან დამოკმდებულების თვალსაზრისით, დიდრო აქ სასავსებით ითვალისწინებს წმინდა სენსუალიზმის და ემპირიზმის ნაკლოვანებებს. მოყავს რა ეს ადგილი „წერი-

ლიდან“ თავის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“, ლენინი აღნიშნავს რომ დიდრო ძლიერ ახლო მივიდა თანამედროვე მატერიალიზმის 'შეხედულებებ-

თან და გარკვეულად დაუპირისპირა ერთიმეორეს ძირითადი ფილოსოფიური მიმართულებები.

იერუსალიმი. გვ. 158, 200.

იეზუიტი ბერუეი. გვ. 143 – ცხოვრობდა მე-XVIII საუკუნეში.

ილიადა. გვ. 132, 133 – თხზულებაა ძველი ბერძნული ეპოსის ნახევრად ლეგენდარულ ავტორის ჰომეროსის, რომელსაც ძველი საბერძნეთის მწერლები გვიხატავენ მოხეტიალე ბრმის სახით. მის ცხოვრებას აკუთვნებენ მე-9 საუკუნეს ჩვენ წელთაღრიცხვის დასაწყისამდე. არსებობს დიდი ლიტერატურა ეგრეთწოდებულ „ჰომეროსის პოემების“ წარმოშობაზე. „ილიადა“ ფორმის მხრივ წარმოადგენს პოემას მრავალრიცხოვან მსმენელთა წინაშე წასაკითხავად არის ნავარაუდევი, და თავისი შინაარსით გამოხატავს საბერძნეთის სამხედრო-მიწათმფლობელი არისტოკრატიის მტაცებლურ ტენდენციებს.

ილუმინატები. გვ. 136. საიდუმლო რელიგიური სექტები, რომელნიც არსებობდნენ ესპანეთში, საფრანგეთში, ბელგიაში მე-XVII-XVIII საუკუნეებში, დეიზმის საქადაგებლად.

ინგლისური. გვ. 90, 271, 276.

ინდოელი. გვ. 271.

ინჩლიფი, ვილიამ. გვ. 275, 276 – ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი, რომელიც უკმაყოფილო იყო დიდროსი, ვინაიდან უკანასკნელმა მიაწერა მას ათეისტური იდეები და გახადა იგი პასუხისმგებელი საუნდერსონის პირით გამოთქმული თავისი საკუთარი შეხედულებებისა.

იონა. გვ. 140 – წინასწარმეტყველი.

იოანე მოციქული. გვ. 201.

იონაფანტი. გვ. 202 – ფანატიკოსი.

იოსები. გვ. 201, 202 – ისტორიკოსი.

იოფა. გვ. 200 – საზღვაო ქალაქი სირიაში. ჯვაროსნული ომების დროს ითვლებოდა მთავარ ადგილად, სადაც ჯვაროსნები იკრიბებოდენ.

ეროდე. გვ. 202 – იუდეველთა მეფე. მეფობდა 37 წლიდან ჩვენი წელთაღრიცხვამდე 2 წლამდე თანამედროვე წელთაღრიცხვისა. ისტორიაში ცნობილია ბავშვების ამოჟლეტით და აგრეთვე როგორც დიდი ბოროტმომქმედი.

იტალიელი. გვ. 54, 56.

იუდა გალილეველი. გვ. 203.

იუდეველები. გვ. 200.

იუდიფი. გვ. 21. ძველ ებრაელთა გმირი ქალი, რომელმაც ებრაელთა მტერი ოლიფერნი დაათრო და შემდეგ მოჰკვეთა თავი.

იულიანე. გვ. 141 – რომის კეისარი (331-363). ისტორიაში ცნობილია, როგორც „განდგომილი“ ქრისტიანული რელიგიიდან.

იულოსი კეისარი. გვ. 143 (100-44 ჩვენ წელთაღრიცხვამდე). გამოჩენილი მხედართმთავარი. სახალხო ტრიბუნი. კონსული და იმპერატორი. 44 წელს მოკლულ იქნა რესპუბლიკელების მიერ.

იუპიტერი. გვ. 50, 129, 147 – იუპიტერი ანუ ბერძენთა ზევსი, მითიური ღმერთი.

იფიგენია. გვ. 27. ბერძნული მითოლოგიის გმირი ქალი.

კადრილე. გვ. 304 – ბანქოს თამაშის ერთერთი სახე.

კავალიონი. გვ. 250 – აზარტული თამაში.

კალვინისტი. გვ. 138 – მომხრენი რეფორმაციის იმ განსაკუთრებული მიმართულებისა, რომელიც შექმნა ჟან კალვინმა (1509-1564). მისი მოძღვრება გამო-

დიოდა იმ რწმენიდან, რომ ადამიანის ბედი წინასწარაა განსაზღვრული ღმერთისგან, რომ ეკლესია ყოვლის შემძლეა და მისი ამოცანა გამოიხატება ადამიანის ყოველივე ნაბიჯის მეთვალყურეობაში და საზოგადოების მთელი ცხოვრების დაწვრილებით დარეგლამენტებაში.

კალისტო. გვ. 234, 237.

კალმია. გვ. 148.

კამერგერი. გვ. 239, 240 – სასახლის მაღალი წოდება.

კაპუცინი. გვ. 22 – განსაკუთრებული ორდენის ბერები.

კარიატიდები. გვ. 57 – ქანდაკებანი, რომელნიც საბჯენ სვეტად იხმარება.

კარლოსი XII. გვ. 312 (1682-1718) – შვეციის მეფე.

კარტუშ, ლუი. გვ. 129 (1693-1721) – ფრანგი ყაჩაღი, რომელიც მოქმედებდა პარიზში და მის მიდამოებში.

კასტორი. გვ. 165 – დიდრო გულისხმობს **კასტორს** და **პოლუქსს** – ბერძნულ მითოლოგიის მიხედვით ზევსის შვილები, ზღვაოსნობის მფარველნი. მათ ხატავდნენ ნახევრად ოვალურ ქუდებში, ვარსკვლავით თმებზე. ამ „ალთ“ დიდრო ადარებს სახარების მითს „სული წმინდის“ მაგიურ მოქმედებაზე, რომელიც მოციქულებზე გადმოდიოდა ცეცხლის ენების სახით და რომლის შემდეგაც მოციქულებმა იწყეს ლაპარაკი და „სხვადასხვა ენებზე წინასწარმეტყველება“.

კემბრიჯი. გვ. 265, 285 – საუნივეოსიტეტო ქალაქი ინგლისში.

კიპრიანე. გვ. 150 – კართაგენელი ეფისკობოზი, რომელიც მოკლულ იქნა 258 წელს.

კიპრიდა. გვ. 229 – აფროდიტას ზედმეტი სახელი, კუნძულ კიპროსის სახელწოდებით.

კლარკი, სამუილი. გვ. 271 (1675-1739) – ფილოსოფოსი, არათანამიმდევრული კარტეზიანელი, ინგლისის რაციონალისტური ღვთისმეტყველების მამამთავარი. თავის თხუზულებებში „დამტკიცება ღვთის არსებობის და თვისებების“ და „სინამდვილე და ჭეშმარიტება ბუნებრივი რელიგიისა და ზეშთაგონებულ რელიგიისა“, ცდილობდა დაესაბუთებია ბუნებრივი რელიგია, რომელსაც ის უპირისპირებდა ათეიზს და მატერიალიზმს.

კლეობული. გვ. 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 176.

კლერო, ალექსის-კლოდი. გვ. 65 – ფრანგი მათემატიკოსი 1713-1765.

კლოინის ეპისკოპოზი. გვ. 267.

კოლლე. გვ. 304 – დიდროს თანამედროვე პოეტი.

კომპოსტელა. 217 – ქალაქი.

დე-კონდილაკი, ეტიენი-ბონოდე-მაბლი. გვ. 278, 279, 280, 283, 288 – (1715-1780) – ე. წ. ფილოსოფიური სენსუალიზმის ერთერთი დამაარსებელი.

კორეჯიო, ანტონიო-ალეგრი. გვ. 36, 37 – იტალიელი მხატვარი (1494-1534)

კორნელი, პიერ. გვ. 40 – (1606-1684) გამოჩენილი ფრანგი დრმატურგი. ავტორი პირველი კლასიკური ტრაღედიისა, როგოოიც არის: „ჰორაცი“, „ცინა“, და სხვ.

კოშენი შარლ-ნიკოლა. გვ. 58 – (1725-1790), გამოჩენილი ფრანგი გრაფიკოსი XVIII საუკუნისა.

კლინშტედი. გვ. 230.

კრიტონი. გვ. 234, 235, 237, 238 – სოკრატეს მოწაფე, რომელსაც უნდოდა გაქცევით გადაერჩინა სოკრატე სიკვდილისაგან, რომელიც მას მისჯილი ჰქონდა.

კნიფერგენი. გვ. 98.
კუაპელი, ანტუან. გვ. 48.

კუსკო. გვ. 217.
ლაგრანჟი, ლუი-ჟოზეფი. გვ. 65 – (1736-1813) გამოჩენილი ფრანგი მათემატიკოსი.
ლაიპციგი. გვ. 61 – ქალაქი გერმანიაში.
ლათინთა. გვ. 209.
დე-ლაკაილი, ნიკოლა-ლუი. გვ. 302 – (1713-1762) ფრანგი ასტრონომი 1741 წ. არჩეულ იქნა აკადემიის წევრად. სახელი გაითქვა თავისი ასტრონომიული ცხრილებით და ვარსკვლავთა კატალოგებით.
ლაკედემონია. გვ. 48 – კუნძულთ ჯგუფი.
დე-ლაკონდამინ შარლი. გვ. 166 – (1701-1774) ფრანგი მოგზაური და მათემატიკოსი. მან შეისწავლა ასტრონომია და იყო ქიმიის ადიუნქტი პარიზის აკადემიაში.
ლამოთი გუდარი. გვ. 128 – (1572-1713) ფრანგი მწერალი.
დე-ლანკლო ნინონ. გვ. 161 – (1615-1705) შესანიშნავი ჭკუის მქონე ლამაზი ქალი, რომლის სალონში თავს იყრიდა იმ ეპოქის ყველა გამოჩენილი ხალხი.
ლაოკოონი. გვ. 20, 42, 50, 51 – ტროადელი ქურუმი. იგი მოუწოდებდა თავის მემამულეებს არ შამოეშვათ ქალაქში ცბიერი „ათინელები“.
ლაპლანდია. გვ. 178.
ლაფონტენი. გვ. 65, 128, 229 – (1621-1695) ფრანგი პოეტი – იგავთმწერალი. იღებდა რა სიუჟეტს უძველეს იგავთმწერლებიდან, ლაფონტენს ოსტატურად გამოყავდა თავის იგავებში მისი თანამედროვე კლასთა და წოდებათა წარმომადგენლები.
თავისუფლად მოაზროვნემ ასალგაზრდობაში, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ლაფონტენმა დაჰგმო თავისი „უღმერთო“ იგავარაკები და შეუდგა ფსალმუნების თარგმნას.
ლაფრენეი. გვ. 238.
ლაქტანცია. გვ. 145 – (IV) ქრისტიანული მწერალი და ორატორი, იყო ფილოსოფიის მასწავლებელი ნიკომიდიაში.
ლაჰარპი, დე ჟან ფრანსუა. გვ. 22 – (1739-1803) ფრანგი მწერალი. სახელი გაითქვა როგორც კრიტიკოსმა.
ლაზარე. გვ. 28.
ლებრენი – შარლ. გვ. 143 – (1919-1690) ფრანგი მხატვარი, აკადემიის ბელადი და თეორეტიკოსი, ცნობილია სურათებით, რომლებშიდაც ლუდოვიკე მე-14 ისტორია გადახლართულია მითოლოგიურ გამოსახულებებთან. მისი რელიგიური მხატვრობა ატარებდა მედიდურ აზნაურულ ხასიათს.
ლედას გედი. გვ. 165 – ჰომეროსით, ლედა, სპარტანელთა მეფის ტინდარეის მეუღლემ, მასზე გედის სახით შეუღლებულ ნემსიდან, შვა კვერცხი, რომლიდანაც გამოტყდა მშვენიერი ელენე, ტროადის ომის გამომწვევი.
ლაიბნიცი. გვ. 108, 271, 272, 277 – (1646-1716) გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი და თავის დროის უდიდესი მეცნიერი, ხელი შეუწყო გერმანიაში მეცნიერების აკადემიის დაარსებას და იყო მისი პირველი პრეზიდენტი. მანვე ჩაუნერგა აზრი პეტრე დიდს რუსეთში აკადემიის დაარსების შესახებ. მის კალამს ეკუთვნის უამრავი ნაწარმოები სხვადასხვა დარგებში, როგორიცაა: მათემატიკა, ფიზიკა, იურისპრუდენცია, ისტორია, თეოლოგია, ფილოლოგია, ფილოსოფია და დიპლომატიაც კი.

ლეკარაჩი – ჰნიბალი. გვ. 20 – (1560-1609) გამოჩენილი იტალიელი მხატვარი, მეთაური ბოლონიის სკოლისა.

349

ლემონიე. გვ. 65 – (1715-1799) ფრანგი ასტრონომი.

ლემუანი, ჟან ბაპტისტი. გვ. 31, 32, 42 – (1704-1778), მოქანდაკე. 20 წლის ასაკში მიიღო უმაღლესი პრემია პარიზის აკადემიაში. შექმნა უამრავი ძეგლები. ყველაზე უფრო განთქმულია ლუდოვიკე Xv ძეგლი. აკადემიის წევრი 1738 წ.

ლერესი. გვ. 35, 55, 37, 46.

ლესიუერი, დესტაში. გვ. 30, 143 – (1617-1655) ფრანგი. მხატვრობის ისტორიკოსი. ერთერთი წამყვანი მაატვარი კლასიკური მიმართულებისა ლუდოვიკო XIII და ლუდოვიკო XIV დროს.

ლივიუსი ტიტ. გვ. 143 – (59 წ. ჩვენ წელთაღრ. 11 წლამდე ჩვენი წელთაღრიც). გამოჩენილი რომის ისტორიკოსი. რომის ისტორიის 142 წიგნიდან, რომელნიც მას ეკუთვნის, ჩვენს დრომდე მოაღწია 35.

ლიკაონი. გვ. 42.

ლიუთერი მარტინ. გვ. 175 – (1483-1546) – გერმანელი რეფორმატორი, რომელიც ამხედრდა კათოლიკეთა ეკლესიის ყოველუფლბიანობის წინააღმდეგ, უარყოფდა პაპის ძალაუფლების ღვთიურობას, ჩამოაშორა კათოლიკეთა ეკლესიას მთელი რიგი სახელმწიფოებისა და დაარსა ახალი „ლიუთერანული“ ეკლესია, ემყარებოდა რა დასაწყისში გლეხობას და რაინდობას. ლიუთერი, გლეხთა მოძრაობის გაქანებით შეშინებული, შემდეგში მთლიანად დადგა გერმანიის დიდ თავადების მხარეზე და ხელი შეუწყო მათ გამარჯვებას გლეხთა ომში.

ლოგოსი. გვ. 162 – 1) სიტყვა; 2) გონება; 3) ღვთაება.

ლოკი, ჯონ. გვ. 151, 290, 266, 278, 279 (1622-1704) – ინგლისელი ფილოსოფოსი, ინგლისურ დეიზმის ფუძემდებელი. თავის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებში, როგორც პოლიტიკოსი, ეკონომისტი და პედაგოგი, ლოკი იყო ტიპიური ლიბერალი და კონსტიტუციური მონარქიის მომხრე. „ცდებში ადამიანის გონიერებაზე“, აკრიტიკებს რა დეკარტის რაციონალიზმს და მის თანდაყოლილ იდეების თეორიას, ლოკი ასაბუთებს თავის სენსუალისტურ შემეცნების თეორიას, რომლის თანახმად შემეცნების წყარო ცდა არის. ცნობდა რა ჩვენ ორგანოებზე მომქმედ და შეგრძნობათა გამომწვევ გარეშე არსებობას, ლოკი ამასთან ერთად სცნობდა შინაგან ცდას, როგორც, სულის მიერ საკუთარ მოქმედებათა ჭვრეტას. პირველი მომენტი ლოკის შემეცნების თეორიისა გამოსავალ წერტილად შეიქნა საფრანგეთის მატერიალისტებისათვის (მათ რიცხვში დიდროსთვისაც); რომლებმაც, როგორც მარქსი და ენგელსი ამბობენ: „მისცეს ინგლისის მატერიალიზმს მახვილგონიერება, სისხლი, ხორცი და მჭერ მეტყველება. მათ შემატეს მას ტემპერამენტი და სინატიფე, რომლებიც მას აკლდა“, და მიმართეს „ლოკის სენსუალიზმი მე-17 საუკუნის მეტაფიზიკის წიმააღმდეგ“. მეორე მომენტი კი ლოკის მოძღვრებისა, რომელშიდაც ის სცნობს სულის სუბსტაციონალობას და ღვთის არსებობას, ბერკლის სუბიექტურ იდეალიზმს დაედო საფუძვლად.

ლონგინი, დიონისი კასიი. გვ. 16 (213-273) ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი, ფილოლოგი და რიტორი.

ლონჟენი. გვ. 22.

ლოო, ვან კარლ. გვ. 36.

ლუდოვიკო, XIV. გვ. 105 – საფრანგეთის მეფე.

ლუდოვიკო, XV. გვ. 31, 32 – საფრანგეთის მეფე.

ლუკა. გვ. 160 – წმინდანი.

ლუკრეცი, ტიტ კარი. გვ. 73 (99-55 ჩვენ წელთაღრ-დე) – რომის ფილო-

სოფოსი და პოეტი. მისი ერთადერთი, ჩვენამდე მოღწეული, პოემა „საგანთა-ბუნებაზე“ წარმოადგენს ეპიკურის ძირითად მატერიალისტურ შეხედულებათა

მხატვრულ გადმოცემას. ლუკრეცის მიერ გამოთქმულმა აზრებმა ცოცხალ არსებათა წარმოშობასა და განვითარებაზე, დიდი გავლენა იქონია ფრანგ მატერიალისტებზე, კერძოდ, ლამეტრიზე და დიდროზე.

ლუსიენი (ლუკიანე) (გვ. 20 – (120-200) საბერძნეთის გამოჩენილი მწერალი. შესანიშნავი სატირული დიალოგების ავტორი, სადაც დასცინის ძველ ბერძენთა რელიგიას, ლუკიანეს კალამს ეკუთვნის აგრეთვე სატირები სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლების წინააღმდეგ.

მადრიდი. გვ. 217 – ესპანეთის სატახტო ქალაქი.

მალბრანში, ნიკოლოზი. გვ. (1638-1715) – ფრანგი ფილოსოფოსი-მისტიკოსი. უდიდესი წარმომადგენელი, ეგრეთწოდებული ოკაზიონალიზმისა (შემთხვევითი მიზეზების სისტემის). სცდილობდა რა უარყო დეკარტის ფილოსოფიური დუალიზმი, მალბრანში ამტკიცებდა, რომ საგნების შესწავლა შესაძლებელია არა გრძნობების არამედ იდეების საშუალებით, რომლებიც გონებაზე დამოკიდებული არიან ღმერთში. მალბრანშის მთავარი შრომაა – „ჭეშმარიტების ძიება“.

მალპიგი მარცელო. გვ. 130 (1638-1694) – იტალიელი ანატომი და ბუნებისმეტყველი. ცნობილია თვისი გამოკვლევებით ტვინის აგებულობის ბადურის და ელენთის დარგში. მას ეკუთვნის აბრეშუმის ჭიის ანატომიური აღწერა და თავის დროისათვის შესანიშნავი დაკვირვება კვერცხში წიწილის განვითარებაზე. სწორედ უკანასკნელი აქვს მხედველობაში დიდროს.

მარივო. გვ. 229 – ფრანგი მწერალი.

მარინისტი. გვ. 58 – მხატვი, რომელიც თავის სიუჟეტად ზღვას იღებს.

მარკოზი. გვ. 199, 201 – ევანგელისტი.

მარტენი. გვ. 230.

მაჰმადიანი. გვ. 138, 142, 154, 172 – მოჰამედის მიმდევრები.

მაჰომედი. გვ. 138, 147, 158, 16ი – მაჰმადიანობის დამაარსებელი (571-632) დაიბადა მექაში. წარჩინებულ და ძლევამოსილ კორეიშიტების წარმომადგენელი, რომელთაც ეკუთვნოდა მექა. 40 წლის ასაკიდან დაიწყო თავისი რელიგიის ქადაგება, რომელშიდაც მოუწოდებდა კორეიშიტებს განედევნათ კერპები ქაბულიდან, რის გამოც იძულებული იყო გაქცეულიყო მედინაში. მიუხედავად ამისა მაჰომედს აღმოუჩნდა დიდძალი მიმდევრები, რომელთა საშუალებით დაიპყრო მექა.

მედოკა. გვ. 20 – საჰერცოგო.

მედუზა. გვ. 20 – ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით სამი შიშისმომგვრელი და, რომელთაგანაც ყველაზე უსაშინელესი იყო მედუზა, რომლის თავზე თხების მაგივრად იხვეოდნენ გველები და ფენები შეიარაღებული ჰქონდა სპილენძის ცხენის ჩლიქებით. მისი თვალები ყველაფერს აქვავებდნენ.

მელოდია. გვ. 299.

მენიპი. გვ. 129, 197, 198, 201 – (III საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) საბერძნეთის ფილოსოფოსი-ცინიკი და სატირიკოსი.

მეოსტრისი. გვ. 239.

მერკური. გვ. 48 – ბერძენთა ღმერთის ჰერმესის სახელწოდება.

მერსუსი. გვ. 229.

მეტამორფოზები. გვ. 20 – ცვლილებანი.

მეტაფიზიკა. გვ. 253, 254, 257, 179, 280, 289 – ფილოსოფიური ტერმინი შემეცნებისა და კვლევითი მეთოდი. დიალექტიკური მეთოდის საწინააღმდეგო.

მეტაფორა. გვ. 264 – სიტყვების ხმარება არაპირდაპირი მათი მნიშვნელობით.

მექა. გვ. 139 – მაჰმადიანთა ქალაქი არაბეთში.

მეჩეთი. გვ. 139 – მაჰმადიანთა სალოცავი.

მილიუსი. გვ. 61 – მხატვარი.

მილტონი, ჯონი. გვ. 205 – უდიდესი ინგლისელი მწერალი და პოეტი (1608-1674), როიალისტებისა და კარლოს I დამცველთა მოწინააღმდეგე. რესპუბლიკის დამცველი მთელ რიგ ახალ პამფლეტებში. ავტორი „დაკარგული და დაბრუნებული სამოთხე“.

მინერვა. გვ. 61 – ძველ რომაელთა ქალღმერთი.

მირონი. გვ. 16 – ერთერთი უდიდესი ბერძენი მოქანდაკე. ცხოვრობდა V საუკ. ჩვენც წელთაღრიცხვამდე.

მიქელ-ანჯელო ბუონაროტი. გვ. 51, 62, 1474-1564. – გამოჩენილი იტალიელი მხატვარი, მოქანდაკე ხუროთმოძღვარი.

რომულუსი. გვ. 146, 147.

მოლინე ვილიამი. გვ. 293, 278, 279, 280, 281 – 1656-1698 – ირლანდიელი მეცნიერი, რომელმაც დაარსა დუბლინში ფილოსოფიური საზოგადოება.

მოლინისტები. გვ. 138 – ლუი მოლინეს მიმდევრები 1535-1606. მოლინე იყო ესპანელი იეზუიტი და ღვთისმეტყველი.

მონტენი მიშელ. გვ. 69, 151, 175, 204, 288 1533-15924 – ფრანგი ფილოსოფოს-სკეპტიკოსი. თავის მთავარ ნაწარმოებში „ცდები“– ხაზს უსვამდა ადამიანის გონების სისუსტეს და გრძნობების მატყუარობას. „ცდები“ დატვირთულია ფაქტებით, ანეკდოტებით და პრაქტიკული აზრებით ცხოვრებაზე. თანახმად გავრცელებული თქმულებისა „ფრანგებს მონტენმა ასწავლა აზროვნება“.

მონტესკიე შარლ. გვ. 105, 175 – 1689-1755 საფრანგეთის მწერალი და პუბლიცისტი.

მოპერტუი პიერი. გვ. 65, 105 1698-1759. ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი. ავტორი მრავალი შრომების: გეოგრაფიაში, ასტრონომიაში, დედამიწის აღნაგობაზე და სხვ. ფრიდრიხ მეორის მიერ მიწვეული იქნა ბერლინის აკადემიის პრეზიდენტად. ფილოსოფიის დარგში მოპერტუის ეკავა საშუალო პოზიცია ერთის მხრით – დიდროსა და ლამეტრის მატერიალიზმის და მეორეს მხრით – ლეიბნიცის მოძღვრებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელთან შედარებით მან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ მონადის მატერიალიზაციის მხრივ, მოპერტუიმ მაინც საბოლოოდ ვერ დასძლია იდეალისტური შეხედულებები მატერიაზე. დიდრო შემდგომ აკრიტიკებს მოპერტუის პოზიციის წინაუკმობას.

მოსე. გვ. 140, 143 – ლეგენდარული ბიბლიური კანონმდებელი ებრაელთა რელიგიისა.

მუშენბროკი პეტრე. გვ. 130 1692-1761 ჰოლანდიელი ფიზიკოსი, ნიუტონის მიმდევარი. მას ეკუთვნის ძვირფას დაკვირვებების და აღმოჩენების მთელი რიგი, სინათლის რეფრაქციის დარგში, ფოსფორესცენციაში და ხვედრით წონათა გამოანგარიშებაში. მის სახელთანაა დაკავშირებული „ლეიდენის ქილის“ ისტორია.

ნავარიელი დედოფალი. გვ. 229 – მარგარიტა ვალუა, გენრიხ IV-ს ცოლი.

ნავიუსი. გვ. 145, 146.

ნარსესი. გვ. 239, 240.

ნატურალისტი. გვ. 247.

ნერესტორი. გვ. 220, 222 – სკეპტიკოსი.
ნერონი, ლიუცი-დომიციუსი. გვ. 46, 129, 37-68 წ. რომის იმპერატორი

საზიზღარი ტირანი, 59 წელს მოჰკლა საკუთარი დედა, 62 წელს ცოლი, თავი წარმოესახა დიდ ხელოვნად.
ნეტჩერი. გვ. 58.
ნიუტონი ისააკი. 65, 91, 130, 132, 178, 266, 271, 274, 277, 1642-1727 ინგლისელი მათემატიკოსი, დამსრულებელი მექანისტური მსოფლგაგებისა, რომლის მეცნიერული დამუშავება კოპერნიკის მიერ იყო დაწყებული. ნიუტონს ეკუთვნის ლეიბნიცთან ერთად და მისგან დამოუკიდებლივ გამოგონება დიფერენციალური და ინტეგრალური გამოანგარიშებებისა და აღმოჩენების მთელი რიგი ფიზიკაში და მექანიკაში. მსოფლიო მიზიდულობის კანონი, სპექტრი და სხვ. ნიუტონს ახასიათებდა ღრმა ღვთისმორწმუნეობა, და სწორეთ ეს აქვს ამ შემთხვევაში დიდროს მხედველობაში.
ნიკოლი პიერი. გვ. 156 – 1625-1695. თეოლოგი, გამოჩენილი იანსენისტი.
ნიკრისის ქარები. გვ. 210 – დაავადება (პოდაგრა).
ნიმფა. გვ. 23 – ბერძნული მითოლოგიით ბუნების ძალთა ქალღმერთები.
ნინევიტელები. გვ. 140 – ასირიელთა სატახტო ქალაქის ნინევიის მცხოვრებლები; გადმოცემით ქალაქი ნინომის მიერ არის დაარსებული. დანგრეულ იქნა 606 წელს. მიდიელთა და ბაბილონელთა მიერ გათხრებმა, რომელიც დაიწყო 1843 წ. აღმოაჩინეს სასახლეები, ძეგლები და სხვა.
ნიუვერტიტი ბერნარდი – გვ. 130 1654-1718 – ჰოლანდიელი მათემათიკოსი; კარტეზიანობის მხურვალე მომხრე. შეეკამათა ლეიბნიცს და უარყოფდა უმაღლესი წესის დიფერენციალების არსებობას. ფილოსოფიის დარგში მხარს უჭერდა ღმერთის არსებობის ფიზიკო-თელეოლოგიურ მტკიცებას.
ოდრანი ჟერარდი. გვ. 49 – 1640-1703. ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი საფრანგეთის რეპროდუქტური გრავიურისა.
ოვიდიუსი, პუბლი, ნაზონი. გვ. 20, 59 – ცხოვრობდა 43 წ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე 17 წლამდე ჩ. წელთაღრ. შემდეგ. გამოჩენილი რომაელი პოეტი. სახელი გაითქვა თავისი პოემებით „სიყვარულის ხელოვნება“ და „მეტამორფოზები“. ავგუსტინეს მიერ გადასახლებულ იქნა დობრუჯში, სადაც გარდაიცვალა.
ომფალი. გვ. 51 – მითოლოგიური ლიდიის დედოფალი.
ონე, ჟორჟ. გვ. 46 – გამოჩენილი ფრანგი მწერალი.
ონტოლოგია. გვ. 130 – ფილოსოფიური მოძღვრება.
ორაკული. 150 – ღვთიური წინასწარმეტყველება.
ორიბაზი. გვ. 220, 221, 222, 223, 225 – სპინოზისტი.
ოსმალეთი. გვ. 186.
ოქროპირი-იოანე. გვ. 150 347-407. ღვთისმეტყველი კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოზი.
პავლე მოციქული. გვ. 140, 150, 173.
პარისი. გვ. 50 – ბრინჯაოს ქანდაკება, შესრულებული ევფრანერის მიერ მე-4 ს. ჩ. წელთაღრიცხვამდე.
პარიზი. გვ. 29, 144, 149, 296.
ბასი. გვ. 144 – პარიზის ერთ-ერთი რაიონი.
პასკალი, ბლეზ. გვ. 156, 164. – 1623-1662. გენიალური ფრანგი მოაზროვნე, მათემატიკოსი და ფიზიკოსი.
პაპენის ქვაბი. გვ. 121.
პაპისტი. გვ. 138. მართლმორწმუნე კათოლიკე.

პელიპოდი. გვ. 201-მე-4 ს. ჩ. წელთაღრიც. თებანელი მხედართმთავარი.
პეონი. გვ. 186 – ყვავილი.

პერუ. გვ. 178-სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკა.
პიგალი. გვ. 48 – მოქანდაკე.
პითაგორი. გვ. 258. – (მე-6 საუკ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე), დაიბადა, გადმოცემის მიხედვით, კუნძულ სამოსზე; განდევნილი სამშობლოდან ის დასახლდა, სამხრეთ იტალიაში, სადაც მოაწყო ფილოსოფიური სკოლა და პოლიტიკური კავშირი დემოკრატიის წინააღმდეგ, დაყავდათ რა საგნების არსი რიცხობრივ განსაზღვრებამდე. პითაგორელები გამოხატავდნენ მას რიცხვით, რომელშიდაც საგნების უნივერსალურ მომწესრიგებელ საწყისს ხედავდნენ.

პითაგორის სისტემა, როგორც ამას არისტოტელი მოწმობს თავის თხზულებაში „ცაზე" გამოვიდა არა დაკვირვებებიდან, არამედ მეტაფიზიკური წესის მოსაზრებებიდან. პითაგორელები ცდილობდნენ „არა იმას რომ მოვლენების შესწავლაზე დაუფუძნებიათ თავისი ახსნები და მითითებული მიზეზები, არამედ მას, რომ თვით მოვლენები მოერგოთ თავიანთ შეხედულებებისათვის და ახსნებისათვის".

პილი, დე როჟე. გვ. 46 – (1635-1709) მხატვარი, მწერალი და დიპლომატი. იყო რუბენსის მიმდევარი.
პინდარი. გვ. 201 – (522-448 ჩ. წელთა აღრ.) საბერძნეთის პოეტი-ლირიკოსი.
პირონისტი. გვ. 129, 137, 163, 169 – საბერძნეთის ფილოსოფოს პირონის მიმდევრები.
პლატონი. გვ. 7 3, 162, 168, 315. (427-347) – საბერძნეთის უდიდესი ფილოსოფოსი-იდეალისტი, დამაარსებელი „აკადემიისა" ათინაში. მისი ფილოსოფიის ძირითადი მომენტია სწავლება იდეებზე, როგორც დამოუკიდებელ, გონებით მისაწდომ და მარადიულ დასაბამებზე. ცალკეული საგნები წარმოადგენენ მხოლოდ ანარეკლთ იდეებისა, რომლებიდანაც უმაღლესია ღვთის იდეა. არსი პლატონის ფილოსოფიისა გამოიხატება იდეათა შეგნებაში, და მათი მეშვეობით ღვთის შეგნებაში. აქედან შეგნების მეთოდი უნდა იყოს არა გრძნობადი, არამედ რაციონალური, რომლის მიზანია შეგნება საყოველთაოსი ცალკეულში და ცალკეულის საყოველთაოში ცნებათა ანალიზის და სინთეზის მეშვეობით.
პლინიუსი ცეცილიი, სეკუნდი. გვ. 50 (62-144 ჩ. წელთაღრიცხვა). რომაელი მწერალი.
პლუტარქი. გვ. 18, 127 (50-120) – საბერძნეთის ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და მწერალი.

მის ნაწერებში მოცემულია პლატონის მოძღვრების გარჩევა, ნაწყვეტები ჰეროკლიტედან, დემოკრიტედან, პარმენიდედან, ემპედოკლედან და ეპიკურელებიდან.

პო. გვ. 20. უდიდესი მდინარე იტალიაში.
პოეზია. გვ. 299.
პოლიგნოტი. გვ. 16.
პოლიევქტი. გვ. 140. თანახმად გადმოცემისა წვალებით მოკლულ იქნა რომის იმპერატორის ვალერიანეს დროს იმპერატორის ბრძანების მოსპობისათვის.
პოლითეისტები. გვ. 138 – მრავალღმერთიანობის მიმდევარნი.
პოლიორცეტისი, დემეტრიუსი. გვ. 18.
პოლიქსენი. გვ. 22 – პრიამის და გეკუბას ქალიშვილი. პარისის მიერ აქილესის მოკვლის შემდეგ, როგორც საცოლო უკანასკნელისა, მსხვერპლად იყო

პოლონეთი. გვ. 62.
პოლუქსი. გვ. 165 – ბერძნული მითოლოგიით ზევსის შვილი.
პონტიუს, პილატი. გვ. 144.
პორსელის იანი. გვ. 58 – (1580-1632) ჰოლანდიელი მხატვარი.
პროკულეუსი. გვ. 146.
პრუსიელები. გვ. 61, 244, 254.
პუიზოელი. გვ. 244, 250, 269, 270, 284.
პუსენი ნიკოლა. გვ. 49, 53, 61, 38 – (1593-1665) სახელგანთქმული ფრანგი მხატვარი. გმირული პეიზაჟების დამაარსებელი. პუსენი იმყოფებოდა რაფაელის, ანტიკური და ბილონიის სკოლების გავლენის ქვეშ.
ჟანდრონი. გვ 216 – (1653-1750). სახელგანთქმული ოკულისტი.
ჯოკონდა პატარა. გვ. 244.
ჟუვნე ჟან-ბაპტისტი. გვ. 27 – (1644-1717) მხატვარი.
ჟულეტი. გვ. 230 – ბუშეს სურათი.
რასინი, ჟან. გვ. 293 – 1639-1699. ფრანგი დრამატურგი.
რაფაელი სანტი. გვ. 26, 51, 53, 40, 35, 62 – 1483-1520. უდიდესი მსოფლიო მხატვარი. შთამომავალი ურბინოდან (იტალია).
რევერსი. გვ. 304 – ბანქოს თამაში.
რემბრანდტი, იგივე გარმენცი-ვან-რინ. გვ. 40, 41, 44, 54, 58 (1606-1699). გამოჩენილი და ორიგინალური ჰოლანდიელი მხატვარი. 'შეუდარებელი პორტრეტისტი. ყოველი ინდივიდუალური ნუანსების გამომხატველი. მისი პორტრეტების შესანიშნავი კოლექცია მოთავსებულია ლენინგრადის ერმიტაჟში.
რეომიური დე. გვ. 244, 295 – 1683-1757. ფრანგი ფიზიკოსი. მან გამოიგონა სპირტის თერმომეტრი 80^0 დანაყოფით, რომელიც ვერცხლის წყლიან თერმომეტრშიდაც არის მიღებული.
რეზონერები. გვ. 206 – ისეთი ხალხი, რომელთაც უყვართ ზნეობრივი ხასიათის მსჯელობა.
რიგო. გვ. 58.
რომი. გვ. 200, 217.
როქსანა. გვ. 28 – ბაქტრიონის თავადის ქალიშვილი, რომელიც შეირთო ცოლად ალექსანდრე მაკედონელმა, ირანის ამ პროვინციის დაპყრობის შემდეგ 329 წ. ჩ. წელთაღრცხვამდე.
რუბენსი, პეტრე-პავლე. გვ. 37, 47, 59 – 1577-1640. გამოჩენილი ნიდერლანდელი მხატვარი, რომელმაც დასტოვა 1500 სურათი მხატვრობის ყოველ დარგიდან.
რუსსო ჟან-ჟაკ. გვ. 105 (1712-1778) წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი, ფილოსოფიაში განმანათლებელთა მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელი. იზიარებდა რა უკანასკნელთა სიძულვის სახელმწიფოს წესწყობილებისა და ეკლესიის მიმართ, ეწინააღმდეგებოდა ბურჟუაზიულ მატერიალიზმს და ცივილიზაციაში საზოგადოების დამღუპველ გავლენას ხედავდა. ცივილიზაციას ის უპიროსპირებდა ადამიანის პირველყოფილ მდგომარეობის იდეალს („მსჯელობა მეცნიერებებზე და ხელოვნებაზე“ 1749). თავის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებებით რუსსო სხვა განმანათლებლებზე მაღლა იდგა, მან დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწეებზე. აღზრდის საკითხებში რუსსო ემხრობოდა („ემილი 1762) და იდგა ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებათა განვითარების თვალსაზრისზე. ამისთვის მთავარ პირობად მას – მიაჩნდა იძულების და ძალადობის

სალვატორი როზა. გვ. 21.

სალინიაკი დე მელანია. გვ. 297.

სალუსტისი, გაი-კრისპი. გვ. 143-86-34 ჩ. ერამდე, რომის ისტორიკოსი. ავტორი „კატილინას შეთქმულებისა“.

სანტერი. გვ. 46 – მხატვარი.

სანჩო. გვ. 216. სერვანტესის ნაწარმოების „დონ-კიხოტის“ ერთერთი გმირი.

სარაცინები. გვ. 187 – საშუალო საუკუნეში უწოდებდნენ არაბებს, მაჰმადიანებს და ყველას, ვისაც ქრისტიანული რელიგია არ სწამდათ.

სასი დე ლუი-ლემეტრი. 1613-1684. ღვთის მეტყველი „ბიალიის“, ერთ ერთი მთარგმნელი ფრანგული ენახე.

სატურნინი. გ. 229.

საუნდერსონი, ნიკოლოზი. გვ. 259, 261. 262, 264, 265, 267, 268, 269, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276, 277, 284, 290, 295, 296. 1682-1739 -1711 წლიდან მათემატიკის და ფიზიკის პროფესორი კემბრიჯის უნივერსიტეტისა. მიუხედავად იმისა, რომ საუნდერსონმა დაკარგა მხედველობა თავის სიცოცხლის პირველსავე წელს, მას ქონდა ნათელი წარმოდგენა პერსპექტივაზე, სფერიულ მოხაზულობებზე და ფორმებზე, რომლებსაც:ფიგურები იღებენ სხვადასხვა მდგომარეობებში, კითხულობდა ლექციებს ფერებზე და სინათლეზე. საუნდერსონი ავტორია წიგნის „ალგებრის ელემენტები“. თავის მსოფლმხედლობაში ის სკეპტიციზმს არ გაშორებია.

საქსონია. გვ. 62.

სენაარის ვაკე. გვ. 67 – სენაარი, ქვეყანა სამხრეთ ნუბიაში, თეთრ და ცისფერ ნილოსის შუა.

სენ-ჟაკის ქუჩა. გვ. 138. პარიზის ერთ ერთი ქუჩა.

სენ-კლუ. გვ. 38 – პარიზის გარეუბანი.

სენეკი ლუკიანი. გვ. 307. 1 საუკუნე რომაელი ფილოსოფოსი, სტოიკი. 65 წელს, როგორც მონაწილეს პიზონას შეთქბულებისა, მიესაჯა სიკვდილით დასჯა და მან გადაიჭრა ვენები. მის კალამს ეკუთვნის დიალოგები, „ბედნიერი ცხოვრების შესახებ“, სატირა იმპერატორ კლავდიუსის სიკვდილზე და სხვა.

სერვანდონი ჟიოვანი-ნიკოლო. გვ. 220. 1695-1666, მხატვარი, დეკორატორი, ხუროთმოძღვარი, მექანიკოსი. შთამომვლობით ფლორენციიდან. 1731 წ. სამხატვარო აკადემიის წევრი,

სერვანტესი სავედრა-მიგუელ, დე. გვ. 205 1547-1616 გამოჩენილი ესპანელი მწერალი. ლიპანტოსთან ბრძოლაში დაჰკარგა მარცხანა ხელი. ესპანეთში დაბრუნების დროს 1575 წ. ალჟირელ ფირალების მიერ წაყვანილი იქნა ტყვედ, საიდანაც 1580 წ. გამოიყიდა ოჯახმა. 1583 წ. იწყება მისი ლიტერატურული მოღვაწეობა. მსოფლიო სახელი მოიხვეჭა მისმა „დონ-კიხოტმა“, რომელიც გადათარგმნილია ყველა ენებზე.

სეფიზა. გვ. 243.

სექტანტი. გვ. 136 – რომელიმე რელიგიური სექტის მიმდევარი.

სიასამურები. გვ. 178 – ძუძუმწოვარი ცხოველი. ძვირფასი ბეწვით.

სიპაები. გვ. 186 – ინგლისის ინდოსტანის ადგილობრივი ჯარები.

სიზიფი. გვ. 35 – ეოლის შვილი. მეფე. კორინთის დამაარსებელი. ითვლებოდა ყველაზე გაიძვერა ადამიანად.

სკეპტიკოსი. გვ. 130, 133, 134, 136, 137, 152, 169, 177 – ყველაფერზე

იჭვის თვალით მაყურებელი ადამიანი.

სნაიდერი ფრანსი. გვ. 54 – გამოჩენილი ფლამანდიელი მხატვარი. ცხოველების, ნადირობის და ნატურმორტების ყველა მისი სურათი ნატურალისტური იყო და იმავე დროს დეკორატიული თავისი ხასიათით.

სოკრატე. გვ. 77, 168, 275 – საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი. დაიბადა 470 ჩ. ერამდე ათინაში. 60 წლის ასაკში იქნა ბრალდებული ახალგაზრდებში ღმერთის უპატივცემლობის პროპაგანდაში, რის გამოც მიესაჯა სიკვდილით დასჯა. სოკრატემ აუღელვებლად შესვა საწამლავი.

სოსენი ფრანსუა. გვ. 175 – მე-XVI საუკუნის იტალიელი ჰუმანისტი.

სპარტა. გვ. 48 – ლაკონიის მოავარი ქალაქი დაარსებული X ს. ჩვენს ერამდე.

სპინოზისტი. გვ. 169 – გამოჩენილი ფილოსოფოს სპინოზას (1632-1677) მიმდევარი.

სტოიკები. გვ. 315 – ფილოსოფიური მიმართულება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ზენონმა.

ტანზაი. გვ. 229 – დაწერილია კრებილიონის მიერ (1707-1777). – ეს უკანასკნელი ავტორია მრავალი პარნოგრაფიული ნაწარმოებისა.

ტარქვინიუსი. გვ. 144, 145, 146 – უფროსი. რომის მეფე მე-IV ს. ჩვენს ერამდე.

ტაციტი, პუბლი კორნელიუსი. გვ. 40, 65 – (55-120 ჩ. ე.)რომის ისტორიკოსი და სენატორი. მის ნაწარმოებთა შორის განთქმულია „ისტორია“ და „ანალები“.

ტენირსი დავითი უნცროსი. გვ. 36, 54 – (1610-1690) ფლამანდიელი მხატვარი. სახელი გაითქვა სიუჟეტებით გლეხთა ცხოვრებიდან.

ტერტულიანი, კვინტ-სეპტიმუსი. გვ. 150 – 160-230 ჩ. ე. რომაელი ღვთის მეტყველი და მწერალი რაციონალიზმის წინააღმდეგი. მას ეკუთვნის განთქმული აფორიზმი „მწამს, ვინაიდან ეს – აბსურდულია“.

ტიბერიელი იუსტიუსი. გვ. 201.

ტიბრი. გვ. 61 – შუა იტალიის მდინარე.

ტიმანთი. გვ. 49 – ძველი საბერძნეთის მხატვარი. მე-IV ს. ჩ. ერამდე.

ტირეზიასი. გვ. 270 – რომელიც ძლიერ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მოთხრობებში ედიპის უბედურობებზე; ჰომეროსის მიხედვით, სიკვდილს შემდეგ იმყოფებოდა ქვესკნელის სამეფოში, სადაც ოდისეის სურდა შეეტყო მისგან თავისი ოჯახის სვებედი და აგრეთვე ის, შესძლებს თუ არა ის თავის სამშობლოში დაბრუნებას.

ტიულიერი. გვ. 16, 62 – პარიზის მიდამო, სადაც არის მეფის სასახლე.

ტიურენი, დე. გვ. 159.

ტიციანი ვეჩელი. გვ. 36 – (1477-1576) ვენეციური გამოჩენილი სკოლის მხატვარი.

ტორნო. გვ. 178 – მდინარე შვეიცაში.

ტრიანონი. გვ. 15 – ვერსალის ერთ-ერთი სასახლე.

ურანიისადმი მიმართვა. გვ. 206 – ვოლტერის ნაწარმოები, რომელიც მან დასწერა 1732 წლის ახლო, დაიბეჭდა მხოლოდ 1738 წ. არ სცილდებოდა რა ვოლტერის დეიზმის საზღვრებს „მიმართვა“ იძლეოდა არგუმენტებს ტრადიციული რელიგიის წინააღმდეგ; ეთიკის დარგში «მიმართვა» გამსჭვალულია ეპიკურეიზმით.

ფალკონე, ეტიენ-მორისი. გვ. 46, 50 (1716--2791). მოქანდაკე დაიბადა პარიზში, ჟან-ბაპტისტ ლემუანის მოწაფე. 1754 წლიდან აკადემიის წევრი. დიდრო ძალიან მაღლა აყენებდა ფალკონეს შემოქმედებას. აგრეთვე ფალკონეს მიერ

არის შესრულებული პეტრე დიდის ძეგლი ლენინგრადში. ფალკონეს კალამს ეკუთვნის VI ტომეული ლიტერატურული შრომებისა.

ფანატიკოსი. გვ. 131, 144 – ფანატიზმით შეპყრობილი ადამიანი.

ფანტომი. გვ. 108 – აჩრდილი, მოჩვენება.

ფანფარონი. გვ. 137 – უქნარა ტრაბახა ადამიანი.

ფარნეზი. გვ. 20.

ფედიმა. გვ. 232, 333, 234, 237.

ფერმატი პიერი. გვ. 67 – (1608-1655), გამოჩენილი მათემატიკოსი. დეკარტთან ერთად შეჰქმნა ანალიზური გეომეტრია. ალბათობის თეორიის შემქმნელი.

ფიდიასი. გვ. 50, 36 – V ს. ჩვენს ერამდე, ერთი უდიდესი ძველი ბერძენი მოქანდაკეთაგანი.

ფილონ ალექსანდრიელი. გვ. 201 – (1 საუკუნე). იუდეველ-ალექსანდრიელი, რელიგიური ფილოსოფიის წარმომადგენელი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანულ თეოლოგიაზე.

ფილოქსენი. გვ. 220, 222, 223, 225 , 226, 227 – დეისტი.

ფლავიუსი იოსებ. გვ. 143 – (37-100 წ.) ებრაელთა ისტორიკოსი. «იუდეველთა სიძველეების» და «იუდეველთა ომების» ავტორი.

ფლამანდიური ხელოვნება. გვ. 15, 33, 38. 54, 57. – სამხრეთ ნიდერლანდების ხელოვნება.

ფონტენელი, ბერნარ, ლებუვე. გვ. 15 – (1657-1757). ფრანგი მწერალი და მეცნიერი. საფრანგეთის აკადემიის მუდმივი მდივანი.

ფონტენუა. გვ. 167.

ფორტუნა. გვ. 66 – რომაელთა შემთხვევითობის ღმერთი – ბედნიერების ან უბედურების.

ფრინეა. გვ. 28. – საბერძნეთის გეტერა, რომელზედაც არსებობს გადმოცემა, რომ ვითომ იგი უღმერთობისთვის არეოპაგის სასამართლოს მიერ იქნა გასამართლებული. დამცველმა მოსამართლეებს ფრინაა შიშველი დაანახა და იგი გაამართლეს თვისი ღვთაებრივი სილამაზისათვის.

ქვადრიგი. გვ. 35 – ოთხცხენიანი ეტლი.

ქსანთუსი. გვ. 220 – ათეისტი.

ყურანი. გვ. 142 – წიგნი, რომელიც შეიცავს სწავლებას მაჰმადიანური რელიგიის შესახებ. შედგენილია მაჰომედის მიმდევარის აბულ-ბექის მიერ, გადმოცემების და ჩაწერების მიხედვით.

შარდენი, ჟან-ბატისტ. გვ. 25 (1734-1788), ფრანგი მწერალი და აკადემიის წევრი. ახალგაზრდობაში მონაწილეობას ღებულობდა ამერიკის განმანთავისუფლებელ ომში. სახელი გაითქვა თავისი წიგნით «საზოგადოებრივი ბედნიერების შესახებ» დაახლოვებული იყო ენციკლოპედისტთა წრესთან.

შარონი პიერი. გვ. 288 – (1541-1603) საფრანგეთის სკეპტიკოსი-მორალისტი. იგი სთვლიდა ზნეობის წყაროდ რელიგიას.

ჩინეთი. გვ. 190.

ჩისლდენი, ვილიამი. 282, 287 – (1656-1698) ირლანდიელი მეცნიერი, რომელმაც გაილაშქრა პაპის და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. მისი სწავლების დამახასიათებელი თვისება არის რელიგიის შერიგების ცდა გონებასთან.

ცინა, ლუციი-კორნელიი. გვ. 210. რომაელი პატრიციელი 87 წ. ჩვენს ერამდე იყო კონსულად. მარიუსის მომხრე.

ციცერონი მარკ-ტულიი. გვ. 40, 52, 58, 145, 146, 153, 154, 168, 315 – რომის სენატორი გამოჩენილი ორატორი და მწერალი.

წმინდა იაკობის ქუჩა. გვ. 175. ქუჩა პარიზში.

პალიკარნასი, დიონისე. გვ. 145 (I ს. ჩ. ერამდე.) რომის ისტორიკოსი «რომის არქეოლოგიის» ავტორი.

ჰარტცუკერი, ნიკოლოზი. გვ. 130 – (1656-1725) ჰოლანდიელი ფიზიკოსი და ექიმი. ცნობილია თავის შრომებით მიკროსკოპის და ტელესკოპის გაუმჯობესების საქმეში. მას ეკუთვნის სპერმატოზოიდების აღმოჩენა, რომელიც იმ დროს იმდენად მოულოდნელი და სახიფათო იყო სამღვდელოების თვალში, რომ ჰარტსუკერმა გაბედა მხოლოდ რამდენიმე მეცნიერისათვის შეეტყობინებია ამის შესახებ. ფილოსოფიის დარგში ჰარტსუკერი ცდილობდა წამოეყენებია ფორმათა შემქმნელ სულის იდეა.

ჰეისუმი, ჟან. გვ. 46. (1682-1749) ცნობილი ჰოლანდიელი მხატვარი.

ჰენრიადა. გვ. 132 – ვოლტერის ნაწარმოები.

ჰერკულესი. გვ. 46, 51, 65 – ბერძნული მითოლოგიით განსახიერება ფიზიკური ძლიერების და კეთილობისა.

ჰეტეროგენური. გვ. 109 – თვითჩასახვა.

ჰიპოგრიფი. გვ. 20 ზღაპრული მფრინავი ცხენი.

ჰობსი, ტომასი. გვ. 129. (1588-1679) – ინგლისელი ფილოსოფოსი, რომლის მატერიალიზმიც, ზუსტ მეცნიერებათა აყვავებასთან დაკავშირებით გაჟღენთა მათემატიზმით და აბსტრაქტული ხასიათი მიიღო. ცოდნის წყაროდ ჰობსს გრძნობა მიაჩნია, მაგრამ მეცნიერული ცოდნა, მისი აზრით, შეიქმნის მხოლოდ გრძნობების მონაცემთა გადამუშავების გზით. აქედან ფილოსოფია არის რაციონალური ცოდნა, გრძნობიერ ცოდნისაგან განსხვავებული. არის რა საგნების შესწავლის საშუალებათა ერთობლიობა, ფილოსოფია, ისე როგორც ლოღიკა, წინააღმდეგ სქოლასტიკისა, არის გზა (მეთოდი) სინამდვილის შესწავლისა და ამასთან ერთად წარმოადგენს ადამიანის გაძლიერებისა და ბუნებაზე გაბატონების საშუალებას.

ჰოლანდიური. გვ. 58, 54, 57.

ჰოლმსი, ჟერვეზი. გვ. 270, 271, 272, 273, 274. მღვდელმსახური.

ჰომეროსი. გვ. 17, 20, 27, 40, 52, 59, 132 – გამოჩენილი, უძველესი მწერალი-კლასიკოსი. ცხოვრობდა დაახლოვებით, 1105 წლიდან 850 წლამდე ჩვენს ერამდე. მთავარი მისი ნაწარმოებად ითვლება ილიადა და ოდისეა.

ჰომოგენური. გვ. 109. ერთგვაროვანი.

ჰორაციუსი, ფლანკ-კვინტი. გვ. 21, 52, 66, 213 – ცხოვრობდა I ს. ჩვენს ერამდე. გამოჩენილი რომაელი პოეტი, სატირიკოსი, ლირიკოსი.

ჰუეტი პიერ-დანიელი. გვ. 152 – (1630-1727) ე. წ. თეოლოგიური სკეპტიციზმის წარმომადგენელი ფილოსოფიაში. უარყოფდა დეკარტის ფილოსოფიას. დასწერა ტრაქტატი „ადამიანის გონების სისუტის შესახებ“, სადაც იგი ამცირებს გონების როლს სარწმუნოების წინაშე.

სარჩევი.

		გვ.
1.	დენი დიდრო (წინასიტყვაობა)	5
2.	ცალკეული აზრები ფერწერასა, ქანდაკებასა, არქიტექტურასა და პოეზიაზე	15
3.	აზრები ბუნების განმარტებაზე	63
4.	ლოცვა	115
5.	ფილოსოფიური პრინციპები მატერიასა და მოძრაობაზე	117
6.	ფილოსოფიური აზრები	124
7.	ფილოსოფიური აზრების დამატება	155
8.	სკეპტიკოსის გასეირნება ანუ ხეივნები (წინასიტყვაობა)	167
9.	სკეპტიკოსის გასეირნება ანუ ხეივნები. ეკლნარის ხეივანი	178
10.	წაბლნარის ხეივანი	206
11.	ყვავილნარი	228
12.	წერილი ბრმებზე	244
13.	დამატება წინა წერილის	295
14.	საზოგადოება	307
15.	წერილი ვოლტერს	332

შეცდომების გასწორება

	სტრ.			
გვ.	ზემოდ.	ქვემ.	არის	უნდა იყოს
23	14	–	მე მას არ დავძრახავდი	მე ამ ქანდაკებას უმალ დავამს ხვრევდი
34	18	–	ვან-დერ-მეილენებისა	ვანდერ-მეილენებისა
55	12	–	pesis	poesis
139	–	?	XXIX	XXXIX
146	–	6	მოკლულუსი რომულუსი	მოკლული რომულუსი
162	–	9	XLXX	XLIX
165	5	–	LIX	LXIV
250	–	17	90	80
295	–	1	88	54
309	2	–	89	85

დენი დიდროს ნაწარმოებთა წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ფრანგული სრული აკადემიური გამოცემიდან (გამოცემულია პარიზში ბრიერის მიერ, 1821 წელს).